

6110404



1. 9. 7. 2.



ბიზნეს-მედიუმი

ს ა რ რ ე ვ ი

1 9 7 2 № 7

უ ა ნ გ ი თ ი ს ი ს თ

კუნძული . . . . .	3
<b>X საუკუნის სპარსი პოეტები</b>	
ნიმა იუმიჯი . . . . .	99
ფერიდუნ თავალოლი . . . . .	106
საიე . . . . .	107
სიავეშ ქესრაი . . . . .	108
მეჰდი ასაყან სალესი . . . . .	109
<b>ერსკინ კოლდუელი</b>	
ჰენდი . . . . .	110
მეტემა-მთემა . . . . .	116
ნელი სიკვდილი . . . . .	122
<b>იუზეფ ბენი</b>	
ლოლილა ავტობუსები . . . . .	128
<b>თადეუზ რუშევიჩი</b>	
ლექსები . . . . .	150
<b>ჯონ ფლეტჩერი</b>	
მომთვინიერებლის მორჯულება . . . . .	157
<b>ჰარმან ჰესე</b>	
პოეტი . . . . .	229
პიქტორის ფერისცვალება . . . . .	236
<b>რეზო ყარალაშვილი</b>	
ზამბახის გულის საიდუმლოება, 'ანუ მოგზაურობა ჰერმან ჰესეს ზღაპრების სამყაროში . . . . .	240
<b>ლია ლორია</b>	
ლოტრეამონი . . . . .	246
<b>ლმელა ურუშაძე</b>	
დილან თომასი . . . . .	253

რადაკტორი

ვახტანგ კელიძე

სარედაქციო კოლეგია

ვახტანგ ბეჟუგელი

მიქაელ თოფურიაძე

გიორგი კვამელაშვილი

ვახუშტი კოტიანიშვილი

ვახტანგ ქორთრაძე

ნიკო ყიასხაშვილი

ბარეკანი

დავით დუნდუასი

გამომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი





სუან გოიტისოლო

## კუნძული

ესპანურიდან თარგმნა  
ელზა ახვლედიანმა

თანამედროვე ესპანური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი სუან გოიტისოლო დაიბადა 1931 წ. ბარსელონაში. სწავლობდა ჯერ ბარსელონას, ხოლო შემდეგ მადრიდის უნივერსიტეტში. 1950 წლიდან თავისი პედი სამუდამოდ დაუკავშირა ლიტერატურას, მწერლობას.

რომანი „კუნძული“ დაწერილია 1961 წ. მწერალი თვალწინ გვიშლის ერთ საკურორტო ქალაქში ჩასულ არისტოკრატთა „ტკბილ ცხოვრებას“. რომანის გმირები ხალხისაგან ისე არიან გარიყული, თითქოს განმარტოებულ, შორეულ კუნძულზე ცხოვრობენო. მწერალს სურს „ტკბილი ცხოვრების“ მიღმა ესპანეთის ნამდვილი სახე დაგვანახოს.

ფრანკისტულმა რეჟიმმა გოიტისოლო საშიშ პიროვნებად გამოაცხადა. ცენზურამ „კუნძული“ აკრძალა. ავტორმა მხოლოდ საზღვარგარეთ მოახერხა მისი გამოცემა. რომანი ჩრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის რუსულ ენაზეც.

გოიტისოლო ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ მშობლიურ ესპანეთთან კავშირს არა წყვეტს.

მონიკასა და ფლორანსს

### I

თვითმფრინავი რომ დაეშვა, მინდორი მზის სხივებში იყო გახვეული, მადრიდში კი მოღრუბლული და პირქუში ცა დავტოვეთ. თვითმფრინავიდან გადმოსვლისას შავი სათვალე გავიკეთე. ვიღაც თეთრქუდიანი კაცი მომიახ-

ლოვდა, ტყის თხილი და ნუში შემომთავაზა. ის დრო გამახსენდა, მე და რაფაელი რომ ვსეირნობდით გიბრალფაროზე, და ახლაც ერთი პარკი ტყის თხილი ვიყიდე მისთვის. აეროსადგურის თანამშრომელი ქალი მწვანეში ჩაფლულ აივნისკენ გაგვიძღვა. ტერასაზე უცხოელებს მოეყარათ თავი. მოსაცდელ დარბაზში გავედი. მშობლიურ კილოს ნელ-ნელა ვაჩვენედი ყურს და როცა მუშის ხორხისმიერი, დაბალი, ნაბახურები, მაგრამ სასიამოვნო უფროსი ხმა მომესმა, გული სიხარულით ამიძვრდა: არც არის საკვირველი, მესმის მესმის მაღაგაში ვიყავი.

— Hotel confor verigud misis<sup>1</sup>.

ამ სიტყვების გაგონებაზე მოვბრუნდი და დავინახე შავტუხა, ტანდაბალი კაცი, ერთი იმათაგანი, ქუჩაში ქალებს რომ აეკიდებიან და ყურში ქათინაურებს ეჩურჩულებიან ხოლმე.

— Non expansif... Gud, gud<sup>2</sup>.

მე ვუთხარი, აქაური ვარ-მეთქი, თანაც მეტი დამაჯერებლობისათვის ისიც დავძინე, ფქვილის სასწორების ქუჩაზე ვცხოვრობ და შეგიძლიათ წმინდა კასტილიურ კილოზე მელაპარაკოთ-მეთქი. მაგრამ მე გვარიანად დამვიწყებოდა მშობლიური კილო და კაცის დაბნეული სახე რომ დავინახე, გამეცინა.

— სინიორა ოტელში მიდის?

— არა, ოტელში რა მინდა, — მხიარულ ხასიათზე დავდექი. მიხაროდა, რომ კვლავ აქ, მშობლიური მზის ქვეშ, მშობლიურ ქალაქში ვიყავი. — ტორე-მთლინოსში მივდივარ და ტაქსი მჭირდება.

— ამ წუთში მოგართმევთ...

კაცმა ხელი ქუდთან მიიტანა და ვესტიბიულისაკენ გავარდა. მე კი ბარში შევედი და სავარძელს მივაშურე. ჩემს გვერდით ამერიკელი ქალ-ვაჟი იჯდა, ორივეს ვარდისფერი და გამოყეყეჩებული სახე ჰქონდა. იქვე წვერმომშვებული, მსუქანი კაცი, საქონლით მოვაჭრეს რომ ჰგავდა, აბრეშუნის ცხვირსახოციოთ სახეზე წამდაუწუმ იწმენდდა ოფლს. შუადღე იყო, საშინლად ცხელოდა. მზის სხივები მინებში ატანდა და მოზაიკით მოფენილი იატაკი პრიალებდა.

— სენიორა...

კაცი უკვე დაბრუნებულიყო. წამოვდექი. ავიაკომპანიის მოხელეებს ტვირთი ავტობუსამდე მიჰქონდათ. ერთ მათგანს ჩემი კუბონი გავუწოდე და იმანაც ჩემოდნები გადმომიღო. მუშამ ჩემოდნები აკრიფა და ტაქსამდე მიმაცილა. როცა ვკითხე, რამდენი მოგართვათ-მეთქი, დაიმორცხვა, რამდენსაც ინებებთო. ორი დურო მივეცი. მუშა ისე წავიდა, მადლობაც არ უთქვამს.

მანქანა ისეთივე დაბალი და მოუხერხებელი „პეჟო“ იყო, რაფაელს რომ ჰქონდა ერთ დროს. ჩაჯდომისას კინაღამ შუბლი არ გავიტეხე. მძლოლმა მითხრა, ფრთხილად იყავითო, და სარკეში გამიღიმა. შუახნის ღონიერი და მწითური მამაკაცი იყო. მისამართი ვუთხარი. ცოტა ხნის მერე მძლოლმა თვალი ჩამიკრა:

— თქვენი ბედი, რომ რქები არ გადგათ, თორემ შეამტვრევდით.

კეშმარიტად ჩემს სამშობლოში ვიყავი! სანამ მანქანას დასძრავდა, მძლოლს

<sup>1</sup> მშვენიერი, კეთილმოწყობილი სასტუმრო, მისის (დამახინჯ. ინგლ.).

<sup>2</sup> მხოლოდ ჩემოდ... კარგი, კარგი (დამახინჯ. ინგლ.).

ვუთხარი, ქმარმა რქები უკვე დამადგა-მეთქი, და სათვალე მოვიხსენი. მანქანამ ბუჩქნარს შემოუარა, გზატკეცილზე გავიდა და მარჯვნივ გაუხვია.

— თქვენ დაგადგათ რქები? ვერ დავიჯერებ. — მძლოლი დინჯად ლაპარაკობდა, თითქოს ყოველ სიტყვას უსინჯავსო გემოს, — თქვენთანა ტურფა რომ მყავდეს შინ, თვალისჩინივით გავუფრთხილდებოდი. განა ყველა მამაკაცმა იცის ოქროს ფასი? ცხრაკლიტულში გამოამწყვდევინ ხოლმე მწუთუნახავ ცოლს და თვითონ კი ისეთზე გაცვლიან, გახვრეტელ გროშადაც რომ არა ღირს.

— ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, — ვთქვი მე.

— მაპატიეთ გულახდილობისათვის და, ასეთ მამაკაცებს დავხვრეტდი, — სარკეში ამღვრეული თვლებით მიცქერდა. — რა თქმა უნდა, თქვენს ქმარზე არ ვამბობ... კედელთან მივაყენებდი და მივახვრეტდი!

— არ ღირს, — ოცი წლის გოგოსავით მეჭირა თავი. — როგორმე თვითონ გადავუხდი სამაგიეროს.

— თქვენს ქმარს?

სიგარეტს მოვუკიდე და ფანჯარაში გავიხედე. შორს მინდორზე მირაყი თრთოდა.

— განა მე მორჩილ ცოლსა ვგავარ?

— არა, — თითქოს რალაცაზე ჩაფიქრდა. მერე სახე ღიმილით გაებაღრა და მტკიცედ დაუმატა: — არა, არ ჰგავხართ.

— თავის დაცვა მეც შემიძლია.

— ასეც უნდა. — ეს რამდენიმე წუთია, ისე მიყურებს, თითქოს რალაც მოისაზრო. — სადაც აძლევენ, იქ იღებენ კიდევ. ეს საკუთრივ ჩემი აზრია.

ცოფიანივით ჩაგვიქროლა „დოჯმა“. მანქანას ამერიკული ნომერი ჰქონდა. ჩვენ სამხედრო აეროდრომთან, სარკინიგზო ხიდზე მივქროდით.

— ცოლიანი ხართ?

რამდენიმე წამს კაცი დუმდა, ალბათ ფიქრობდა, რა ვუბასუხო.

— ღიახ, — გამოტყდა ბოლოს. — ერთი უბრალო ქალი ვითხოვე. არაფრით არ ბრწყინავს, ის კი არადა, ჯოხივითაა. ღვიძლიც სტკივა... გეფიცებით, შეგეცოდებათ, რომ ნახოთ.

— მაშინ რალად შეირთეთ?

— მშობლებმა მოაგვარეს საქმე. როცა კაცი ახალგაზრდაა, თვითონ არ იცის, რა უნდა... თანაც მთლად ასეთიც არ იყო...

მან სატვირთო მანქანა გაუშვა წინ. ვგრძნობდი, აშკარად სიამოვნებდა, რომ ველაპარაკებოდი, და ირონიანარევი სერიოზულობით მიპასუხებდა ხოლმე. დროდადრო ისე შემათვალისწინებდა, თითქოს რალაცისთვის ემზადებო.

— მუდამ ცხვირჩამოშვებულია, გაიგეთ? არ შეუძლია, რამე ისეთი მოიგონოს... თუნდაც ერთ დღეს ყველაფერი თავდაყირა დააყენოს, ან ერთი დღით მაინც დაივიწყოს ყველაფერი ამ ქვეყანაზე. მუდამ ცხვირჩამოშვებულია, მუდამ ბუზღუნებს...

მანქანა თანდათან უკლებდა სვლას, სანამ სულ არ გაჩერდა მოაჯირთან, ბენზინის წერტილის პირდაპირ.

— მალაგაში ერთი სუფთა ოტელი ვიცი. ტაქსი საკუთრივ ჩემია. მერე ტორემოლინოსში მიგყვანთ და ბარი-ბარში ვიქნებით.

მძლოლმა თავისი მწითური სახე მოაბრუნა ჩემკენ.



— არა, — ვუთხარი მე შკვახედ.

— ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება. გეფიცებით, საიდუმლოს შენახვა ვიცი.

— გითხარით, არა-მეთქი!

როცა მიზეზი მკითხა, კინაღამ არ ვუპასუხე: იმიტომ, რომ თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე. ჩემნაირ ქალს ფუჭი სიტყვით ვერ მოყოფდნენ სჯობს ვეგ სიტყვები თქვენი ცოლისთვის შემოინახოთ, იქნებ რატომღაც გსმართობოცხლოთ-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს. შემეშინდა, ერთიც ვნახოთ, გაჯიუტდეს და შეტევაზე გადმოვიდეს, მაშინ... ვერ წარმოიდგენთ, რა მადლობელი დავრჩი, როცა ძრავა ჩართო და მანქანა ადგილიდან დაძრა.

— მეგობარი გყავთ? — მძღოლს ნელა მიჰყავდა მანქანა, აღარ მიყურებდა.

— მყავს.

— თვითონ უნდა მივმხვდარიყავი. ალბათ გელოდებათ, მე კი... მაპატიეთ, თვითონაც არ ვიცი, საიდან მომივიდა აზრად ასეთი რამ.

ნეტავ რას ბოდიშობთ, საბოდიშო არაფერია-მეთქი, ვუთხარი.

— უცხოელმა ქალებმა გაგვათამამეს, — თქვა მძღოლმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. — საგანგებოდ ამ საქმისათვის ჩამოდიან აქ, შენც მიეჩვევი და ზოგჯერ შეცდები კიდევ კაცი.

შემეცოდა და გავუღიმე.

— ხშირად ეპატიეებით მათ იმ თქვენს ოტელში?

— ხშირად.

— ისინიც მოგყვებიან?

— ყოველთვის არა. ტაქსში რა არ ხდება. მაგალითად გასულ კვირას ერთი გერმანელი ქალი...

ბორცვზე, ხეებში, ტორემოლინოსის სახლები გამოჩნდა. ვესპის მოსახვევში ახალგაზრდებს ჩავუქროლეთ. მანქანას უკვე დაეტყო სვლაზე, ხალხმრავალსა და აქრიაშულეებულ ქუჩებში რომ შევედით.

მძღოლმა გერმანელი ქალის ამბავი დაამთავრა, — ბუნდოვნად ახსოვდა, თითქოს სადღაც ამოეკითხა მისი ამბავი, — მერე უხერხულობა რომ გაეფანტა, ახალი ახეკდოტები წამოიწყო. მე ისე ვიჯექი, თითქოს დიდი გულისყურით ვუსმენდი, სინამდვილეში კი მანქანის ფანჯრებს მიღმა წამით ჩაქროლილ სურათებს ვუცქერდი და ვცდილობდი გონებაში აღმედგინა წინანდელი ქალაქი. მინდვრებში სახლები ჩაედგათ. იქაურობას იერი შეცვლოდა. როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე, ჩვენი მანქანა უკვე მოედანზე მისრიალებდა. ბარებში აპერიტივს სვამდნენ და ტანთ ისე ემოსათ, როგორც სენ-ტროპეზში. გზის გასწვრივ ფუნეხიროლზე შვიდსართულიანი ოტელები, ლუქსი რესტორნები და საკმაოდ შილიფად ჩაცმული გოგონები გაიელვებდნენ ხანდახან. ჩემი ბავშვობის იდილიური ტორემოლინოსი საპნის ბუშტივით გამქრალიყო სადღაც.

მძღოლმა მოასფალტებულ ქუჩაზე გადაუხვია და მანქანა ორსართულიან თეთრად შეფეთქილ სახლთან შეაჩერა. მერე ჩემოდნების გადმოღებაში მომეშველა და დამნაშავესავით გამიღიმა:

— თქვენ თვითონ ისურვეთ ასე, — მითხრა. — ას ათი პესეტი უნდა გადაიხადოთ.



რაფაელი ლოგინიდან ახალი წამომდგარი დამხვდა. სანამ მოახლე ჩემოდნებს მიაღაგებდა, რაფაელმა ბაღში გამასეირნა. წვერგაუპარსაჲ იყო, თმაც აჩეჩოდა და თვალის უბეებიც დაბერვოდა. იმ ძაღლსა ჰგავდა, მთელი ღამე რომ უხიფათოდ გაატარა და ახლა ბრაზობდა.

— დილის ექვს საათზე დავწექი დასაძინებლად, — <sup>ქრისტეშული</sup> ~~მითხრა რაფაელმა.~~ — ისეთი ამბავი იყო, ცხოვრებაში რომ არ მინახავს. — თმა ხელით ჩამოივარცხა და სათვალე გაიკეთა. — კარიუელაში ახალი ბარი გახსნეს. ბარის მეპატრონემ უამრავი ხალხი დაპატიჟა. ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა, ისეთი ამბავი იყო. ბოლოს ამერიკელებმა ცემა-ტყეპაც გააჩაღეს...

გაზონების გასწვრივ, კენჭებით მოფენილ ბილიკზე მივაბიჯებდით. რაფაელი მამოზის ჩრდილში შედგა.

— შენ როგორა ხარ? პარიზში რა ამბებია?

პარიზში ძალიან ცხელოდა და ოტელიდან იშვიათად გამოვდიოდი-მეთქი, ვუთხარი მე.

— უფროსები აგვისტოში ჩამოვლენ. მე ყველაფერი მოვაწესრიგე.

გლიციანიები სულ მაღლა და მაღლა მიიწევდნენ და სახლის მთელი სამხრეთი ფასადი დაეფარათ. ხის ფარდულის ფანჯარაზე სამიზნე იყო მიმაგრებული, იქვე ისრებიც ეყარა.

— ბავშვები როგორ არიან?

— ძალიან გაეშმაკდნენ, მარია-ლუისა ისევ ავადმყოფობს. უარი ვერ ვუთხარი...

ჩვენ ისევ სადარბაზოსთან მივედით. ოთახები სადაღ მოერთოთ უბრალო ხალიჩებით, მწვანე ქსოვილგადაფარებული სავარძლებითა და ანდალუსური ავეჯით. რაფაელმა დარბაზში შემიყვანა, ვისკი, სიფონი და ყინული მოიტანა. მშობლების ამბავი რომ ვკითხე, მხრები აიჩეჩა, კარგად არიან და ორივეს ძალიან მოენატრეო, მითხრა.

— ჯერ სიტყვაც არ დამიძრავს ჩვენს ურთიერთობაზე. მათთვის ჯერ კიდევ სამაგალითო ცოლ-ქმარი ვართ. დედას უნდა ბავშვი ვიშვილოთ, ბიჭი. — რაფაელი დამცინავად, გამომწვევად ლაპარაკობდა.

— უსათუოდ ვინახულებ მათ, — ვთქვი მე.

— მთავარია, არ აღელდე. თუ არ გინდა მათ სანახავად წასვლა, რამეს მოვიგონებ.

— აო მესმის, ასე რატომ ლაპარაკობ.

— უბრალოდ ვეჩვევი, — რაფაელმა პაპიროსს მოუკიდა. პაპიროსი უთრთოდა თითებში. — ჩვენ ხომ დავთქვით, თავაზიანები ვყოფილიყავით.

— შენ უკვე დაივიწყე ეგ პირობა.

— ჰო, კარგი, კარგი... უკანვე მიმაქვს ჩემი სიტყვები.

რამდენიმე ხანს ვდუმდით და ისე უბრად ვისხედით, ექიმის მოსაცდელ ოთახში ავადმყოფები რომ სხედან ხოლმე. მერე რაფაელმა ვისკი გადაკრა და გამიღიმა:

— გახსოვს ტორემოლინოსი ომის შემდეგ?

— მახსოვს.



— გამოიცვალა, არა? — ისე, თავაზიანობისათვის მკითხა რაფაელმა და მეც მხოლოდ თავი დავუქნიე. — თუმცა შენ ხომ ხალხს არ იცნობ ჯერ. ტორემოლინოსი ქვეყანას მოწყდა, ნამდვილი კუნძული გახდა... ქმრები/დალატობენ ცოლებს, ცოლები — ქმრებს. მღვდელი დასჯით იმუქრება, მაგრამ ყურს არავინ უგდებს. სიწმინდე აღიგავა პირისაგან მიწისა. მამაკაცები ქალებივით ინახებიან.

ერქუნული

რაფაელი ცდილობდა ელაპარაკა გასაგებად, შთამბრძნობდა, მტკვორც სჩვეოდა ხოლმე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას, და მე უცბად შემეცოდა იგი: რაფაელი უკვე ხანში იყო შესული და წინანდებური ენერგია დაჰკარგოდა. ყოველი მახვილი სიტყვა, ყოველი სხარტი გამოთქმა მისგან იმდენ ძალას მოითხოვდა, რომ ჯაფა ბოლოს სანანებელი უხდებოდა. სანანებელი უხდებოდა ისიც, რომ კუდაბზიკობდა და სათვალეს არ ატარებდა, თანაც ღვინოს ბევრსა სვამდა და ქალებშიც დადიოდა.

— არდადეგებისათვის იდეალური ადგილია, — დაასკვნა რაფაელმა. — მაღაგაში ტორემოლინოსს ტორე მილ ლიოსს<sup>1</sup> ეძახიან.

— მაღაგას რაღას ეძახიან? — დავინტერესდი მე.

— მაღაგას სახელს ასე ადვილად ვერ შელახავს კაცი, — მითხრა რაფაელმა.

ამ დროს ოთახში ბავშვები შემოცვივდნენ: „კლაუდია ბიცოლა, კლაუდია ბიცოლა!“ — გაჰყვიროდნენ ისინი. მათი ოქროსფერი თმა მზეზე ლამაზად ბრწყინავდა. ბავშვებმა ერთობ თავაზიანად მკითხეს: კლაუდია ბიცოლა, როგორა ხარო. მერე სერხიომ მკვდარი შაში მჩვენა, გზაზე ვიპოვეო, მითხრა, თანაც დასძინა, ალბათ მე თვითონ მოვკალი, გუშინ გავისროლე და რომელიღაცა ჩიტი, მგონი, ფრთაში დავქერიო.

ძმები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. სერხიოს დედამისის, ჩემი მულის, ცისფერი თვალები გამოჰყვა, ლუისს კი სქელი ტუჩები და დედის გამოთქმა. მერე ბავშვები ოთახიდან გავარდნენ და მალე კვლავ შემოცვივდნენ. ხელში ყვითელი გალია ეჭირათ. გალიაში იადონი ჩაემწყვდიათ.

— სახლის პატრონმა ქალმა დაგვიტოვა, უნდა მოვეუაროთ.

— საცოდავი იადონი! ამის გულისათვის გუშინ საღამოს ორივეს კარგა მაგრად მოხვდა. კინაღამ კონიაკი არ დააღვევინეს ჩიტს!

— ლუისის ბრალია!

— სტყუი. შენც ხომ ასმევდი!

რაფაელი წამოდგა, ბაონდილიოში საუზმეზე ვართ მიპატიყებული და მერე მაღაგაში მშობლები უნდა მოვიხაზულო, ათ საათზე კი გამოგივლიო, მითხრა.

— მანქანას წავიყვან, აკუმულატორი უნდა მოვაწესრიგო.

მარტო რომ დავრჩი, ჩემოდნების ამოსალაგებლად მალლა ავედი. საძინებელი ოთახის ფანჯრები პლაჟზე გადიოდა. ზღვა სულ ახლოს იყო. კარადაში კაბებს ვკიდებდი, რომ ოთახში მოახლე შემოვიდა, ხელში ფოჩიანი ზეწარი ეკავა. ეს იყო ძალზე დაბალი ქალი, ფეხის წვერებზე დადიოდა, თითქოს ჩემი ეშინოდა. სახელი ვკითხე

<sup>1</sup> სიტყვების თამაშია: Torre mil lios — ათასი კავშირის კოშკი (ესპ.).

— ერმინია მჭვია თქვენს მონა-მორჩილს.

ერმინიას რამდენიმე კოლოფი „ალკა-სოდა“ მივეცი და დავაფალე, ყოველ ოთახში დაედო თითო კოლოფი.

— ისეთ ადგილზე დადეთ, სენიორმა რომ ადვილად იპოვოს. გასაგებია? მოახლე ქალმა თავი დამიქნია, თან შეშფოთება გამოეხატა სახეზე. სანამ კარს იქით მიიძალებოდა, დავადევნე:

— არ დაგავიწყდეთ, ასეა საჭირო.

ერმინიას  
ბიზანიუმში

ნივთები მივაღაგ-მოვაღაგე და ტანგაუხდელი მივწექი. ვიგრძენი, ახალ ცხოვრებას ვიწყებდი. სადად მორთული ოთახი მომწონდა. ჩემს სახელზე პარიზიდან გადმოვეგზავნათ რამდენიმე წერილი, გამოფენებისა და ახალი წიგნების კატალოგები, ჩემი მულის ღია ბარათიც. არც ერთი არ წამიკითხავს, ქალაქდების კალათაში ჩავყარე. მხოლოდ ერთი წერილი დავიტოვე. ეს წერილი პირდაპირ ტორემოლინოსში გამოვეგზავნათ.

სევილია, გამარჯვების 21-ე წელი.

ჩემო საძაგელო კლაუდია!

სამინისტროში რაფაელს შევხვდი. შენი მისამართი იმან მომცა. მანვე მიაშბო იმ არეულობაზე, გაზეთის რედაქციაში რომ მომხდარა (მდივანი ქალის რ.-ის ამბავი პირდაპირ ანთოლოგიისათვის გამოდგებოდა). რაფაელმა მითხრა, შეიძლება ამერიკაში გაგვეგზავნონო. ბედნიერები ხართ, მუდამ მოგზაურობთ!

აქ გაზოლინს დღითი დღე ემატება სიმყრალე. დღითი დღე მატულობს ხმაური, მეტია მომწესრიგებელიც. ისინი თვალს არ გაცილებენ. რას იზამ, წინ მივდივართ. წინათ მუდამდღე მდინარეზე დავდიოდით საბანაოდ. მარტონი ვიყავით და დიდებული მდინარეც მარტო ჩვენ გვეკუთვნოდა. ახლა კი მხოლოდ პირველამომჩენის მონოპოლია გვიპყრია ხელთ, მაგრამ ვიღას სჭირდება ეს მონოპოლია? წყალი ზეთიან ფენასა და განავალს დაუფარავს. ეს იმ დაწესებულებათა საპირფარეშოებიდან მოდის, მდინარის ნაპირზე რომ გაუშენებიათ ჩვენი პროგრესის მოსურნეთ. ფეშენებელურ კლუბებში ხალხი ჩოგბურთითა და ბრიჯით ერთობა, საღამოობით კი უგემრიელეს ვისკისა და ხორციან სენდვიჩებს მიირთმევენ და ამრიგად სისხლის წნევას იმატებენ. ქალაქს მერი არა ჰყავს და არც არავისა სურს მერობა. რადიო უსასრულოდ გაჰყვირის: „ბრუს სარეცხი მანქანა! ბრუს სარეცხი მანქანა! ბრუს სარეცხი მანქანა!“ ლორენსო ბლანკოს საერთაშორისო წიგნის მაღაზიებში, სადაც ყოველ დილა-საღამოს ნამდვილად პლატონური განცხრომით ჰკლავ დროს, ბუენოს-აირესის ყველა წიგნს ზღაპრული ფასი — 210 პესეტი აწერია. ოთხმოცი პროცენტი სევილიელებისა იმას ტირის, მდიდრული მანქანები არა გვაქვსო, დანარჩენი ოცი პროცენტი კი იმას დარდობს, ნეტავ რად გვინდა ეს საოცრება რომ შევიძინეთო. რომანული ეკლესიები კვლავ იწვიან. ამბობენ, გენერალისიძუსი ალკასარაში ჩამოდისო საცხოვრებლად.

მაშ, გავწიოთ წინ.

როგორც ყოველთვის, ისაბელი დღესაც კვდება. თუ მანამდე არ გავისტუმრე საიქიოს, სანამშაბათს ალბათ ერთად ჩამოვალთ.

გეხვევი.

წერილი ორჯერ წავიკითხე და დავხიე.

ბოლო დღეებში პარიზში ჩვენს ავეჯს ვყიდდი, თანაც რაფაელის საქმეებს ვაგვარებდი და ისე დავიღალე, არა მგონია, ოდესმე თუ დავისვენებ.

ერმინიას ვუთხარი, არ ვისადილებ-მეთქი. ისევ წამოგწვიქი. მძლე ძილს მივეცი თავი. ფანჯარა ღია იყო და ბურანში წასულს ბავშვების ურიაშული მესმოდა.

ერმინიას  
ზიზღილი

□ □

რაფაელმა ზუსტად ათ საათზე გამომიარა. მალაგაში სპორტულ დარბაზში ყოფილა და დალაქთანაც შეუვლია. თმადახვეულს სახეც გამოცოცხლებოდა. უფრო ახალგაზრდა და მიმზიდველიც ჩანდა. მეც ორ საათზე მეტ ხანს მოვუნდი გამოწყობას. მერე სარკეში რაფაელიც და საკუთარი თავიც რომ დავინახე, გამეცინა, ნეტავ რა გვეკეკლუცება-მეთქი.

ჩვენ უკვე იმ ხნისანი ვიყავით, როცა საკუთარი სხეულიც კი ტვირთად აწევს კაცს. მართალია, ჯერ კიდევ არ დაგვდმეჭოდა სახე, მაგრამ ყოველდღე უნდა გვეზრუნა სილამაზის შენარჩუნებაზე. არც მე და არც რაფაელი ერთმანეთს არ ვუმხელდით ამას. უწინდელივით სადღა შეგვეძლო იაფფასიან კარაქში შემწვარი ჩანკეტე<sup>1</sup> გვეჭამა, ველარც იატაკზე ვიძინებდით და ველარც ღვინოსა ვსვამდით იმდენს. ერთხელ პარიზში ახალწლის ღამეს ჩვეულებას ვუღალატეთ და მერე მთელი სამი დღე ვიწექით ლოგინში. მას შემდეგ რაფაელი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, ხალხში მხნედ გამოჩენილიყო. შინ კი შავ მელანქოლიასა და ნაღველს მიეცემოდა ხოლმე. მე ჯერჯერობით მასზე უკეთ მეჭირა თავი, მაგრამ ჯიბეში წამლები მომიმრავლდა და ეს მაშფოთებდა.

— „პატარა ზღვაში“ სენიორა ფერეროს შევხვდი, — თქვა რაფაელმა. — გრეგორიო ჩვენთან ერთად წამოვა.

— სად?

— სასაუზმოდ. ბაონდილიოში ისიც მიიპატიყეს.

ჩვენ უკან მოვიტოვეთ კვარტალი და გზატკეცილზე გავედით. საუცხოო ღამე იყო. მთვარე საპაერო ბუშტივით დაცურავდა ზღვაზე. ფარნების შუქთა ციაგში, ფერად ბადეთა ხლართებში კარიუელას აგარაკები მოჩანდა. რაფაელი სტვენდა და ისე მართავდა მანქანას. რა ადვილად შეგვიძლია ბედნიერ ცოლქმარს ვგავდეთ, გავიფიქრე მე. რკინიგზის გადაღმა ოტელებისა და ბარების რეკლამები ისე ბრიალებდნენ, გეგონებოდათ, დიდი ქალაქიაო. მოედანი მანქანებს აევსო და პოლიციელი ძლივს აწესრიგებდა მოძრაობას. როგორც კი თავისუფალ ადგილს მოვკარით თვალი, მაშინვე იქ დავაყენეთ მანქანა.

— ჩვენები აქ მოიყრიან თავს. თვითონ ნახავ, საინტერესო ხალხია.

„ცენტრალურის“ ტერასაზე ვისხედით, თვალს ვადევნებდით იქვე მოსერიანე მოკლესახელოიან პერანგებსა და ჯინსებში გამოწყობილ ჭაბუკებსა და გაპრანკულ, ულამაზო უცხოელ ქალებს. შავებში ჩაცმული გლეხის ქალები და კაცები მალაგის ავტობუსს ელოდებოდნენ. ისინი ორიოდ მეტრზე იდგნენ ჩვენგან და დამცინავად გვიცქეროდნენ. მსოფლიოს სხვა პლაჟებისა არ იყოს,

<sup>1</sup> ჩანკეტე — თევზის სახეობა.

აქაც ახალგაზრდობა სჭარბობდა. ერთი ულამაზო და სახეშეთხუპნილი ქალიშვილი განსაკუთრებით ცდილობდა ყველას ყურადღება მიექცია. რაც შეეძლო სულელივით იმანქებოდა და იგრიხებოდა.

— დედამისი ოცნებობს, ქალიშვილი რომელიმე უცხოელზე გაათხოვოს. მგონი, საცაა ვაკოტრდებიან, — ჩამჩურჩულა რაფაელმა.

მალე რაფაელის მეგობრებიც გამოცხადდნენ. ისეთი ხმაურითა და ღრიან-ცვლით მოედვნენ იჭაურობას, თითქოს ცარიელი კასრი დაეჭურჭნათ. ქვაფენილზე. ჯერ ყველაფერი თავდაყოლია დააყენეს, თავისუფალ სკამებს ეძებდნენ, მერე, ეტყობა, გადაიფიქრეს და პირდაპირ იატაკზე მოკალათდნენ.

მოსულებში ხუთი კაცი, — რაფაელის ხნისა, — და ერთი ძალზე მოტეხილი ქალი იყო. ეს ქალი პატარა გოგოსავით სულ იცინოდა და ტიკტიკებდა. ეტყობა, საქველმოქმედო ლატარეაზე კარგად იმზიარულეს. პატარა ქალმა სიცილით თქვა, ლატარეაში თხა გვერგოო.

— ბალთასარი პირდაპირ გენიალური გახლდათ, — მადრიდული აქცენტით თქვა ერთმა მელოტმა კაცმა. — როცა თხა გადასცეს, იგი მღვდელს მიუბრუნდა და ჰკითხა: როგორ, ცოლად ეს თხა უნდა ვითხოვო? უნდა გენახათ, რადღეში ჩავარდა მღვდელი.

— საუცხოო ლატარეა იყო! ტორემოლინოსელ მილიონერთა ბავშვებისათვის მოეწყო, გაიგე?

მე შევცქეროდი მათ და ვფიქრობდი, ნუთუ მთელი ზაფხული ამათთან უნდა გავატარო-მეთქი. პირველად არის ძნელი, თორემ ბოლოს და ბოლოს ალბათ მივეჩვევი. რაფაელი სასაცილო ამბავს ყვებოდა მწყემსსა და თხებზე. მე იძულებული გავხდი, მთელი ძალ-ღონე დამეძაბა და არავისთვის შემემჩნევინებინა, ცუდ ხასიათზე რომ დავდექი. საბედნიეროდ, ბაონდილიოში გველოდნენ. მელოტმა კაცმა ფული გადაიხადა და ყველანი მანქანებისაკენ გავემართეთ.

ბალთასარი ვილაც კაცთან ერთად მიდიოდა მოტოციკლეტით. სან-მიგელის ქუჩიდან ჩემთვის უცხო მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაზე გავედით.

მანქანის ფარები სიბნელეს ტაცებდნენ საიდუმლოებით მოცულ სურათებს: თეთრ კედლებს, ქვიტკირის გალავანს, გაშიშვლებულ, დაგრეხილ ხეს. რაფაელს ნელა მიჰყავდა მანქანა. რატომღაც მეგონა, პლაცს ვუვლიდით გარს. მანქანის ღია ფანჯრებში ნიაფიქროდა, რადიოში ჯაზურ სინკოპებს უკრავდნენ. მოტოციკლეტი ჩვენ წინ ზიგზაგურად მიდიოდა. ბოლოს მთის ძირში გაჩერდა.

— მოუჩქარეთ! — ბალთასარი მოტოციკლეტიდან გადმოხტა და ხელი დაგვიქნია. — უკვე მოსულან!

რაფაელმა სასაუზმესთან მიმიყვანა. ზღვა ოციოდე მეტრზე იყო. მთვარე ვერცხლისფრად დაჰნათოდა ტალღებს. ხარხარი მოგვესმა. ხარხარი ქალის ხმამ დაჰფარა: „ეე, მატყუარა, რალაც იეშმაკა, დავინახე, დავინახე!“

სასაუზმეს ჭერი ბამბუკისა ჰქონდა. მაგიდა ბანკეტის საკადრისად გაეწყოთ. ნავთის ლამპების მკრთალ შუქზე ხალხი ირეოდა. სულ ოცდახუთამდე კაცი იქნებოდა. ტაშით შემოგვხვდნენ. სასაუზმეს პატრონმა კბილები დაკრიჭა, გაიღიმა და ჩვენთვის სკამების მოსაძებნად გაიქცა.

თავს უხერხულად ვგრძნობდი. ასე მემართება ყოველთვის, როცა უცხო ადამიანებში მოვხვდები ხოლმე. ახლაც ალაღბედზე ვართმევდი ხელს ვილაცას.

რაფაელი ხელის აწევით ესალმებოდა ყველას, თითქოს მოკრივე ან საყვარ-  
ლების როლის შემსრულებელი კინომსახიობი ყოფილიყოს. ყური მოვკარი, ვი-  
ლაცის ეუბნებოდა: ტორემოლინოსში ყველაზე ლამაზი ქალია და თანაც, საუ-  
ბედურად, ჩემი ცოლიო.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ხან ერთთან მივდიოდი, ხან მეორესთან.  
მერე ლურჯ ქურთუკში გამოწყობილი კაცი მომიახლოვდა. ექვმთაყვანის ვი-  
ცანი გრეგორიო, როცა გამიღიმა და თვალი ჩამიკრა. ძალზე გასტუმბულიყო  
ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ, ოფლით მოლაპლაპე და წინ გამოწეულ  
შუბლთან თმაც საკმაოდ შეთხელებოდა.

— კლაუდია, როგორც იქნა, გნახე! — გრეგორიო, ჩვეულებისამებრ, ხმა-  
დაბლა და საკუთარ თავში დარწმუნებული კაცივით ლაპარაკობდა. ყოველ  
შემთხვევაში, ახლაც არ უღალატნია ჩვეულებისათვის: — ვფიქრობდი, აღარ  
ჩამოხვიდოდი...

— როგორც ხედავ, — ვუთხარი მე, — კვლავ აქა ვარ.

გრეგორიო მაძლარი კაცივით ისვამდა ხელს მუცელზე. ახლა ძალიან ჰგავ-  
და მამამისს.

— შენ ალბათ არც იცი, ცოლი შევირთე. დედაჩემი მუდამდღე ჩამჩიჩი-  
ნებდა. რას იზამ! უკვე დროა, ჩემი ხნის კაცს თავი მხრებზე ედგას!

თავი არასოდეს გქონია, თავი და მუცელი შენთვის ერთი იყო-მეთქი,  
ფუთხარი. არც სწყენია. დაწვრილებით მიაშბო: ერთი წლის წინ მამაჩემის  
მაძულებს ვათვალისწინებდი და თავს ვილაცხვებო დამესხნენო. ჟანდარმებმა  
რამდენიმე ექვმთაყვანის კაცი დააპატიმრეს. მათ შორის იყვნენ უმუშევრად  
დარჩენილი მიწის მუშები, ბოშები და ერთი-ორი ბნელი წარსულის მქონე  
პირი, მაგრამ უშედეგოდ, ვერაფერი გამოირკვიესო. შევამჩნიე, იქ მყოფთ სახე-  
ზე უკმაყოფილება გამოეხატათ, ეტყობა, არაერთხელ მოუსმენიათ ეს ამბავი.

— მაშასადამე, არ მოგკლეს, — შევაწყვეტინე ლაპარაკი გრეგორიოს.

— არა, მაგრამ უნდოდათ მოვეკალი. წარმოიდგინე, ტყვიამ მხოლოდ  
ქუდი გამიხვრიტა.

— ქუდი მეცოდება! შემდეგში უკეთ დაგიმიზნებენ თოფს.

გრეგორიომ გამიღიმა და ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: „აი, შე  
ეშმაკო!“

— ჩემს მეგობარ ქალს გაგაცნობ. ამერიკელია. ძალზე არტიტული არსე-  
ბაა. საოცარი ტანი აქვს.

— შენი ცოლი სადღაა? რა, ცოლი აღარ მოგწონს? — ვკითხე მე.

არაფერი მიპასუხა, წავიდა და მალე თოჯინასავით ქერა ქალთან ერთად  
დაბრუნდა. ქალი თითქოს ეს-ეს არის, მოდების ჟურნალიდან გადმოვიდაო.

— სენიორა ესტრადა. მისს ბენტლეი. — ჩვენ გავუღიმეთ ერთმანეთს. —  
მისს ბენტლეი მალაგაში ჩამოვიდა, რათა ესპანური ცეკვები შეისწავლოს.

— ძალზე სასიამოვნოა.

— ესპანეთი მზეა და ბედნიერება, — თქვა მისს ბენტლეიმ.

— კარგი გოგონაა, თვითონ დარწმუნდები, — ამიხსნა გრეგორიომ. — ამე-  
რიკაში მის მშობლებს ბევრი ფული აქვთ. ამას თავაშეებული ცხოვრება უყ-  
ვარს. დღეს რომ აქ არის, ხვალ იქ ამოჰყოფს თავს. დღეს რომ ფულს ფანტავს,  
ხვალ უგროშოდ ზის. მე მგონი, გაუგებთ ერთმანეთს...

ყველანი სუფრას შემოვუსხედით. მე ბალთასარსა და ლაურას შუა დავ-  
ჯექი. სასაუზმის პატრონმა საუცხოო, არომატული ღვინო მოგვართვა. სანამ  
სუფრის თავში მჯდომი ქალი მენიუს კითხულობდა და მომტანი ქალი თეფ-  
შებს ალაგებდა, მე ცნობისმოყვარეობით ვათვალისწინებდი სუფრის გარშემო  
მსხდომთ. ერთი ფერფლისფერთმიანი და პირმშვენიერი წალი დოლორეს ვე-  
ლესს მივაშვავსე. იქვე მზისგან ცხვირგადატყავებული ქალი იჯდა, თავის კავა-  
ლერს უსმინდა და ხანდახან ალტაცებული შესძახებდა ხოლმე რაღაცას. ხმაზე  
ვიცანი, ის ქალი იყო, სასაუზმესთან რომ გაჰყვიროდა წელან. ჩემ მარჯვნივ  
ყმაწვილი ქალები მხიარულად ბაასობდნენ ინგლისურ ენაზე.

— დიდებული რამ არის, — წამჩურჩულა ლაურამ. — იცი, აქ რატომ შე-  
ვიკრიბეთ? — ჩემკენ დაიხარა და ჩურჩულითვე განაგრძო: — სუფრის თავში  
რომ ქალი ზის, ლოს-ანჯელოსის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელია,  
ტორემოლინოსში საკმაოდ თავაშვებულად ცხოვრობს. ქმარი ორი თვით გვიან  
ჩამოსულა, ცოლი აეროდრომზე დახვედრია და უთქვამს, უშენობა სულ არ  
მიგრძვნია, ესპანელები ზრუნავდნენო ჩემზე. ჰოდა, იმ კეთილ კაცსაც გადაუ-  
წყვეტია ჩვენს პატივსაცემად საუზმე გაემართა. ეს ყველაფერი ბალთასარმა  
მიამბო გუშინ, მაგრამ არ დავიჯერე. გენიალურია, არა?

თითქოს თოფი დაიცალაო, შამპანურის ბოთლის საცობმა იფეთქა. ერთმა  
კაცმა, მონდოლს რომ ჰგავდა, ჭიქები შეავსო, ლოს-ანჯელოსელმა ქალმა კი  
ჩამოარიგა.

— სადღეგრძელო, სადღეგრძელო! — მოითხოვდნენ ხმამაღლა.

კაცი მეორე ბოთლსაც წვდა და მისდა სასიხარულოდ საცობი კვლავ ხმა-  
ურით ამოვარდა.

ლაურას ვკითხე, ეს კაცი ვინ არის-მეთქი. ლაურამ ტუჩებზე ცხვირსახოცი  
აიფარა და მიჩურჩულა:

— ჩჩჩ... ხმადაბლა ილაპარაკე. მგონი, ეს უნდა იყოს იმ ქალის ქმარი.

□ □

რა ხანია კოკინასი<sup>1</sup> არ მიქამია — სულ უკანასკნელად ომამდე, მშობლებ-  
თან ერთად რომ მივემგზავრებოდი პალოში, მაშინ ვქამე. ჰოდა, ახლა ხარბად  
ვიტენიდი პირში კოკინასს. შამპანურმა და ნახევრად ჩაბნელებულმა ოთახმა  
ინტიმობის ილუზია შექმნა. რაფაელი ორ ამერიკელ გოგონას ეარშიყებოდა.  
როცა ლოს-ანჯელოსელი ქალის მეუღლე ირონიულად ადღეგრძელეს, რაფაელი  
მოჰყვა ამბავს, კატალონიის ერთ ქალაქში რომ მომხდარა: იქაურ ქალებს თურ-  
მე მობეზრებით, ქმრები რომ ღალატობდნენ და კინაღამ არ გადაუწვავთ  
სასტუმრო, სადაც უცხოელი ქალები ცხოვრობდნენ.

— მეთევზეები აღარ თევზაობენ... გერმანელი ქალები ჰკუთას ჰკარგავენ  
მათთვის. საკურორტო სეზონის შემდეგ ყველა მეთევზე მოტოციკლეტს ყი-  
დულობს და ქალაქში ლურჯ კოსტიუმსა და ძვირფას ლაბადაში გამოწყობილი  
სეირნობს.

ბალთასარმა თქვა, ტორემოლინოსშიც იგივე ხდება, ზაფხულობით მხო-  
ლოდ მოხუცები შრომობენო.

<sup>1</sup> საკმელი მოლუსკები.

— წინათ ესპანელებს უზრუნველ ხალხს ეძახდნენ, ახლა კი, რაც აქ ამერიკელები მოზღვავენ, ესპანელები მატერიალისტები გახდნენ: ყველაფერს აკეთებენ ფულისათვის.

— ო, არა, არა, — შეეკამათა რაფაელს თეთრთმიანი ქალბატონი. — ჩემს ქვეყანაში ხალხმა არ იცის, რა არის ეკონომიური სიძნელე, მაგრამ აქედან ბევრად უბედურები არიან. ესპანელი კაცი ამაყია და პატივმოყვარე...

ყველანი უდილობდნენ, საკუთარი აზრი გამოეთქვათ, მხოლოდ ერთი კი ვერ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს საუბარში ერთი, შანელის კოსტიუმში გამოწყობილი ქალი ჩაერია, გინდათ თუ არა, უნდა გაამბოთ პლაჟზე რაც გადამხდაო.

— ... სადამოთი მე და ელენი ხელიხელჩაკიდებული მივსეირნობდით. უცებ ერთი ჯარისკაცი მოგვიახლოვდა და არც აცია, არც აცხელა, ხელი ჩამავლო. ასე არ იყო, ელენ? ჯარისკაცს დავუყვირე. თავი დამანებეთ-მეთქი, იმან კი, ღმერთო ჩემო, პირი დააღო, წიწკასავით გაწითლდა და იცით, რამითხრა? ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, ინგლისელები მეგონეთო.

ყველამ გულიანად გადაიხარხარა. ელენმა ქმარს გადაუთარგმნა ნათქვამი.

— ჯარისკაცი შესახედავად როგორი იყო? — დაინტერესდა ლაურა.

— ნუთუ გგონიათ, მისი შეთვალეერება მოვასწარი?

— მე კი ყოველთვის ვასწრებ.

— ოჰ, შეადარა რაღა! შენ თავისუფალი ხარ... მე კი ქმარი მყავს და თანაც ძალიან მიყვარს იგი. ხომ გვიყვარს ერთმანეთი, მიგელიტო?

— ნეტავი გამაგებინა, რა ეშმაკი გინდათ, სადამოობით რომ დაეხეტებოთ პლაჟზე? — ჰკითხა რაფაელმა.

— ოო, დამიხედეთ ერთი, რა ჭკვიანია... შენ წარმოიდგინე, ვსეირნობთ. ნუთუ ორ ქალს არ შეუძლია ქუჩაში გავიდეს სასეირნოდ!..

ბალთასარმა ხუმრობით დაარტყა კოვზი მაგიდას:

— თქვენი ნაამბობი მაეჭვებს. იქნებ თქვენ მიეცით გამოლაპარაკების საბაბი!

სასაუზმეს პატრონმა ჩანკეტე მოგვართვა. სანამ ელენის ქმარი ჩანკეტეს გვაწვდიდა, ლაურა იქ მყოფებზე მეჭორავებოდა, თან გზადაგზა თავის ამბავსაც მიყვებოდა. ოდესღაც უძრავი ქონების გამსაღებელი აგენტის ცოლი ყოფილა, მაგრამ ორი თვეც არ უცხოვრიათ ერთად. „იმ მხეცს უნდოდა, მუდამ ათ საათზე დავწოლილიყავი დასაძინებლად. კარგა ხანს ვუთმინე, ერთხელ კი ვუთხარი, ცოტა ხანს დამიცადე, გავალ, დავრეკავ-მეთქი. საწყალი აღბათ ახლაც მიცდის“.

ფერფლისფერთმიანი ქალი მართლაც დოლორეს ველესი აღმოჩნდა. მე იგი თხუთმეტი წლის წინათ ვნახე ფილმებში „მიტოვებული“ და „ლერი უინდერმერის მარაო“. ამ თხუთმეტ წელიწადში სულ არ შეცვლილა. მხოლოდ თმა შეუღებავს და სახეზე დაღლა დასტყობია. ლაურას ვუთხარი, დოლორესი ძალიან მომწონს-მეთქი.

— ერთ დროს კარგი მსახიობიც იყო. ახლა თითქმის აღარ თამაშობს. რომანთან — თავის ქმართან — ცუდი ურთიერთობა აქვს. თვითონაც ის აღარ არის... რომანი ეჭიმიან, მადრიდში მუშაობს და თუკი დოლორესი საგასტროლოდ არსად არ მიემგზავრება, ცოლ-ქმარი ზაფხულს ტორემოლინოსში ატა-

რებს... საკვირველი კაცია, ისეთი მფლანგველია, ერთ ღამეს შეუძლია ათი ათასი პესეტი დახარჯოს. გაგაცნობ. ჩვენ პირდაპირ, ჰავანურ სიგარას რომ ეწევა, ის არის...

მზემოკიდებული, თითქმის უკვე გამელოტებული რომანი თავგადასვლულ მოარშიყე და ლაქლაქა კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ექიმს. ერთ წამს ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. რომანმა მერე ლაურას გადუქტუქტუ ქვეროვანი კოცნა გამოუგზავნა.

ბიზლიქსიქა

— რომანი დიდებული კაცია, — მიჩურჩულა ლაურამ. — დოლორესი კი არ მიყვარს.

მე კი პირიქით, დოლორესის გაცნობა მწადდა, მაგრამ მთელი ნახევარი საათი იძულებული ვიყავი, ბეწვეულით მოვაჭრისათვის მესმინა. მას თურმე დიდად მოსწონდა რაფაელის სტატიები. ისე შინაურულად მელაპარაკებოდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. „ჩემი აზრით, მხოლოდ პარიზში შეიძლება იცხოვროს კაცმა. თქვენ რას იტყვით?.. შარშან გაზაფხულზე რამდენიმე დღე ვიყავი იქ და რომ დავბრუნდი, მადრიდი დიდი სოფელივით მომეჩვენა, დიდი სოფელივით, მაგრამ მაინც სოფელივით“.

მინდოდა ცივი წყალი გადამესხა მისთვის და მეთქვა, პარიზი სულაც არ მომწონს-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— მხოლოდ პარიზში გაერთობა კაცია, — თქვა მან. — კინო, მაგალითად...

— კინოში არ დაედივარ.

— წიგნები...

— არც წიგნებს ვკითხულობ.

— მეგობრებთან საუბარი...

მარტობა მიყვარს-მეთქი, ვუთხარი.

— სულ მე მგავხართ. შინ ჯდომა მირჩევნია, ფირფიტების მოსმენა.

— ფირფიტები არა მაქვს.

კაცმა გამოთაყვანებული თვალებით შემომხედა:

— ალბათ ქმარს ეხმარებით.

— არა.

— აბა, რას აკეთებთ?

— მძინავს.

ძალზე სერიოზულად ველაპარაკებოდი და როგორც კი შევამჩნიე, კაცი დაიბნა, გავშორდი, თან საკუთარი თავი შევაქე, კლაუდია, შეუღარებელი იყავი-მეთქი. მაგიდის ბოლოში დოლორესი იცინოდა. მე იქითკენ წავედი. დოლორესს გარს ხალხი ეხვია. ვილაც ყმაწვილმა ანთებული სანთია მიაშველა სიგარეტის მოსაკიდებლად. ყური მოვკარი, დოლორესმა ხმადაბლა რომ უთხრა ვაჟს: „ფრთხილად, წამწამები არ შემიტრუსოთ, კარგი?“ ასე მეგონა, დოლორესს სცენაზე ვუყურებდი ბენავენტესა თუ უაილდის პიესაში და გული შემიქანდა. რაფაელმა საჩქაროდ გამაცნო:

— ეს დოლორესია, ეს კი ჩემი ცოლი.

დოლორესს ხელი გავუწოდე, იმან კი თითქოს ვერ დაინახაო, წელზე მომხვია ხელი.

— რაფაელი ბევრს მიამბობს შენზე. ხომ არ ჩამოჯდები?

დოლორესის მორკალული წარბები გამოკვეთილად ჩანდნენ შუქიანი თვა-



ლებს ფონზე, მიუხედავად ტუჩებთან გაწოლილ ნაოჭისა, არაჩვეულებრივად ლამაზი მომეჩვენა.

შკითხა, ტორემპოლინოსში დიდხანს თუ დარჩებიო. მე ვუთხარი, რაფაელ-  
წეა დამოკიდებული-მეთქი.

— რედაქციამ სხვა კორესპონდენტი მიავლინა პარიზში, რაფაელს კი არ  
ვიციო, ახლა სად გაგზავნიან.

დოლორესი მღუმარედ წევდა სიგარეტს, მერე შამპანურს.

— ელენი საუცხოო ქალია, — მითხრა მან. — გულლია, ჭკვიანი. ძალიან  
მინდა, ელაპარაკო.

— მგონი, მისი ქმარი უბედური უნდა იყოს.

— ყველა ქმარი უბედურია. ეს საუნემეც ხომ იმიტომ მოეწყო, ქმრების-  
თვის დაეცინათ. ელენს ქმარი სძულს. — მერე რომანზე მიმითითა. — აი, ის  
პავიანი საკუთრივ ჩემია. არ დამიჯერებ, მაგრამ რაც მართალი მართალია, ძა-  
ლიან მიყვარდა. ვეჭვიანობდი, როცა ვიდაც გომბიოებზე მცვლიდა. მის წერი-  
ლებს გკითხულობდი, ტელეფონშიც ვუგდებდი ყურს. ერთხელ კი საკუთარ  
თავს შევეუბნე: „დოლორეს, ნამდვილი სულელი ხარ. მალე ორმოცი წელი  
შეგისრულდება, შენ კი პატარა გოგოსავით იქცევი.“ ჰოდა, ერთ მშვენიერ  
დღეს გადავიყვარე ქმარი, ახლა მისი ჯერი დადგა, უნდა იტანჯოს...

რაფაელი მთავრობის საწინააღმდეგო ახალ ანეკდოტს ყვებოდა. თითქმის  
ყველანი მის გარშემო შემოკრებილიყვნენ. რომანი მიხვდა, მასზე რომ ვლაპარა-  
კობდით, მოვიდა და გვერდით მოგვიჯდა.

— მშვენიერი კლაუდია, — თქვა და ხელზე მაკოცა.

რომანი ცელქ, განებვირებულ ბიჭუნას ჰგავდა: საკუთარ ღირსებაში დარ-  
წმუნებული ისე ირთნიულად იღიმებოდა, თითქოს ქუჩის ქალის გული მოიგო  
და უხარიაო.

— არ ვიცი, დოლორესმა რა გითხრა ჩემზე, მაგრამ ერთს კი გეტყვი, ნუ  
დაუჯერებ. მე შრომისმოყვარე, გამოცდილი ექიმი და ოჯახის პატივცემული  
უფროსი ვარ...

— მგონი, მე და კლაუდია ესაუბრობდით მარტო. ნუთუ არ შეგიძლია  
ცოტა ხნით მაინც დამანებო თავი? — უთხრა დოლორესმა.

რომანმა ცოლს შეხედა უბოროტოდ, მაგრამ ისეთი გამომეტყველებით,  
რომლის მნიშვნელობაც მაშინ ვერ გავიგე და მხოლოდ მხრები ავიჩეჩე.

— შენთან არ მოვსულვარ.

კვლავ დიდის ამბით მემთხვია ხელზე და წამოდგა:

— რა გაეწყობა, შემდეგისათვის იყოს...

დოლორესი კმაყოფილი იჯდა.

— ვეღარ მიხვდა, გული რომ გამიწყალა! ჩვენ შორის ყველაფერი გათავ-  
და, ის კი ნაცარს ქექავს ცეცხლის გასაღვივებლად.

ელენის ქმარმა დოლორესს ჭიქა შეუვსო.

— რომ გამახსენდება, რა სულელი ვიყავი. წარმოიდგინე, ხალხში ერთ ამ-  
ბავს ავუტეხდი ხოლმე, ამით კი ხელს ვუწყობდი უფრო გაყოყლოჩინებული-  
ყო... მას შემდეგ კი, რაც ჭკუა ვისწავლე და ყურადღებას აღარ ვაქცევ, კუდში  
დამდეგს. ნეტავ იცოდეს, როგორ მომაბეზრა თავი!

მე და დოლორესს კვლავ შეგვიშალეს ხელი. შანელის კონსტიუმში გამო-

წყობილმა ქალმა — წელან ჯარისკაცის ამბავს რომ მოჰყვა, — დოლორესი გადაკოცნა და მეორე დღისათვის თავის საცურაო აუზში მიიწვია.

— მე და კლაუდიას ზღვა გვირჩევნია. შენც წამოსულიყავი ჩვენთან.

— სად?

— პლაჟზე. მერე კი რომელიმე სასაუზმეში ვისადილებოდა.

კარგა ხანია ჩემს მაგივრად არავის გადაუწყვეტია რეჟიმულუ დოლორესისადმი უსაზღვრო მადლობის გრძნობით ავივსე. პიტყვებით მეუხერხულებოდა უცნობ ხალხში ტრიალი, მაგრამ ერთი-ორი საათის მერე მივხვდი, თუ თავისუფლება მსურდა, რაღაც უნდა მომეფიქრებინა და თავი ამერიკელებია ამ მომამბეზრებელი ნაცნობებისათვის. თუმცა დამავიწყდა: ეს პარიზი კი არა, მალაგაა და აქ ყველა მზად არის უანგაროდ გაგიწიოს დახმარება!

— ჩვენ თითქმის მეზობლები ვართ, — მითხრა ქალმა. — თუ გინდა, თერთმეტ საათზე გამოვივლი.

როცა წავიდა, დოლორესს ვკითხე, ეს ქალი ვინ არის-მეთქი. ქალს მაგდაჰქვიებია. მისი ქმარი ბრაზილიაში გამდიდრებულა თურმე და ახლა მთელი წელია ტორემოლინოსში ცხოვრობენ.

— თავი მხატვარი ჰგონია. თუ როდისმე მის სახლში მოხვდი, არ გაბედო ამ კაცის სურათების გაკრიტიკება. ერთხელ ვთქვი, საშინელი ნახატებია-მეთქი და მერე გავიგე, მისი ყოფილა.

მწითურთმიანმა ყმაწვილმა გიტარაზე სევდიანი ინგლისური სიმღერა დაამღერა. სანთლების ალზე ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და კოცნიდნენ ქალვაყნი. ბალთასარი ერთ უცხოელ ქალს ხელისგულზე დასჩერებოდა და მშვენიერ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ელენის ქმარს სახეზე ჩვეული მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა და ბოთლებს ხსნიდა.

— როგორა ხარ? თავს როგორა გრძნობ? — მკითხა რაფაელმა.

კარგადა ვარ-მეთქი, უსიტყვოდ ვანიშნე და რომ არ მელაპარაკა, შემოთავაზებულ ჰქვას მივწვდი. ჩემ გვერდით ფიქრებში ჩაძირული დოლორესი სიგარეტს წევდა. იქაურობა მოვითვალისწინებ, იქნებ ლაურასა და რომანს მოგვკრა-მეთქი თვალი, მაგრამ ისინი სადღაც გამჭრალიყვნენ.

მაგიდასთან მელოტი კაცი უცხოელ ქალებს უხსნიდა, ესპანელები ტემპერამენტიანი ხალხია და უცბად იციან აფეთქება, თქვენ კი პრაქტიკული, გონიერი ხალხი ხართ, ჩვენ არ გვგავხართ. დღეს რომ მონასტრებს გადავწვავთ, ხვალ იმავე მონასტრებს თავყვანსა ვცემთ. კეტით თუ გვაიძულებენ, თორემ ისე შრომაში ხარმაცები ვართ. განა ტყუილად უთქვამთ, ყველა ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო. ქერათმიანი ამერიკელი ქალი მელოტი კაცს ეკამათებოდა, მუდამ ვიყავი და მომავალშიც ვიქნები ყოველგვარი დიქტატურის წინააღმდეგი, სულ ერთია, როგორიც არ უნდა იყოს ის; ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხმა თავისი სული დაკარგა. ჩვენც ესპანეთში იმიტომ ჩამოვდივართ, დავისვენოთო. ქერათმიანი უკვე მე მელაპარაკებოდა. მე ცივად გავაწყვეტინე, ესპანელებს თქვენი დასვენება ძვირი უჭდებათ-მეთქი. ძალზე დამღალა ერთი და იგივე სისულელის მოსმენამ. წამოვდექი, მაგიდას გავშორდი. დოლორესიც უკან მომყვა.

— საბაგელი ხალხია. თავიანთ ქვეყანაში მოწყენილობა ჰკლავთ, ჩვენსას კი კალიასავით მოედებიან ხოლმე... გინდა, მანქანით გავისეირნოთ?

დოლორესმა მკლავში ხელი გამომდო და თავისი მანქანისაკენ წამიძღვა. მთვარე ღრუბლებში დაცურავდა და ზღვას შუქსა ჰფენდა. ტალღები დგაფუნით ეხლებოდნენ ნაპირს.

— აქ რომ დავრჩეთ, დროს ტყუილად დავკარგავთ. სადაც სამ კაცზე მეტი მოიყრის თავს, იქ საინტერესო არაფერია.

დოლორესმა მანქანის სახურავი დაუშვა და თმა აბრუნების თავესაფრით წაიკრა. სიბნელეში კატის თვალებივით ანათებდნენ მისი თვალები.

— კარიუელაში ერთი ბარია. მთელი ღამე ღიაა. ამ დროს იქ ბლომად ხალხი იყრის თავს. წავიდეთ? რას იტყვი?

კარგი-მეთქი, დავეთანხმე. მანქანის ფარებმა სიბნელეში სინათლის გვირაბი გაჰკვეთეს. მსიამოვნებდა, რომ მივქროდით და სახეზე მარლიანი ნიავი გველამუნებოდა. ისიც მსიამოვნებდა, რომ ეს ჩემი არდადეგების პირველი დღე იყო. ირგვლივ ყველაფერი განაბულიყო: ლერწმის პლანტაციები, ქვის კედლები, ბანანები. გზა მთისკენ მიიწევდა, დროდადრო ქვემოთ ზღვა გაიღვებდა ხოლმე. ნაღველი რამდენიმე წამში გაქრა.

პირველად მეგონა, დოლორესი რაღაცის თქმას აპირებს და იმიტომ წამომიყვანა-მეთქი, მაგრამ მალე მივხვდი, იგი ბაონდილიოს იმავე მიზეზით გამოექცა, რა მიზეზითაც მე დავტოვე. სან-მიგელის ქუჩა თითქმის დაცარიელებულიყო. მოედანზე დოლორესმა მანქანა დაამუხრუჭა და „ცენტრალურში“ შევიდა. მალე დაბრუნდა და მითხრა, იქ იმიტომ შევედი, ერთ ჩემს მეგობარს უნდა შევხვდროდიო პაემანზე. პერუ ყვავილნარს შემოვუარეთ და „ელდორადოსთან“ შევჩერდით.

— იქნებ აქ არის, დავპირდი, პირველი საათისათვის განვთავისუფლებდემეთქი. საწყალს ალბათ მობეზრდა ლოდინი.

იქაურობა აღმოსავლურ სასახლესა ჰგავდა. ტერასაზე ქალ-ვაენი აღტყინებული ცეკვავდნენ „ჩა-ჩა-ჩას“. ბარში ვისკი დავლიეთ, დოლორესი ნაცნობებს ესალმებოდა. ერთმა ყმაწვილმა კაცმა, მარაოსავით წამწამები რომ ჰქონდა, დოლორესს ორივე ლოყაზე აკოცა. რამდენიმე წუთს ხალხს ვათვალიერებდით, მაგრამ დოლორესმა თქვა, ჩემი ნაცნობი აქაც არ არისო.

გზატყეცილი მიიკლავებოდა და თევზის ქერცლივით ბრწყინავდა. დოლორესს საუცხოოდ მიჰყავდა მანქანა. კარიუელა გამოჩნდა თუ არა, პირველსავე შესახვევში მოუხვია. ჩვენს წინ ოღროხოლორო, ქვიანი და ღრანტეებიანი გზა გაიჭიმა. გზა პირდაპირ ზღვისკენ მიემართებოდა. ახლა უკვე ვხტოდით და აქვთ-იქით ვეხეთქებოდით. თუმცა ამ ადგილებში უბრალო ხალხი ცხოვრობდა, ტურიზმს აქაც მოეკიდა ფეხი: განათებული წარწერები იუწყებოდნენ, რომ აქ იყო „ეგზისტენციალური მღვიმე“, მარჯვნივ კი მალლა მიიწევდნენ ოტელთა გიგანტური ჩონჩხები, სიბნელეში თეთრად რომ ანათებდნენ. მეთევზეთა საბლებში ეძინათ. დოლორესმა ქუჩა გადაჭრა და ზედ ზღვის პირზე გაჩერდა.

— წავიდეთ, აქვეა.

გრილმა ნიავმა დაჰქროლა. ქუჩაში მხარზე კარაბინგადაკიდებული ჟანდარმები მორიგეობდნენ. მთვარე ის იყო ღრუბელთა აფრებს ამოეფარა. ბარისკენ ხელის ცეცებით მივიწვევდით. ლერწმისქერიან და ერთადერთი ნათურით განათებულ მეთევზეთა ქოხმასში ბარი მოეწყობთ. შევედით თუ არა, დახლთან მდგომებმა ყურადღებით შეგვათვალიერეს. დოლორესს ვიწრო შარ-

ვალი ეცვა, კოფთაც მჭიდროდ შემოტმასნოდა ტანზე. თმა ისევ თავსაფრით ჰქონდა წაყრული; მე კი მუქი შალის კოსტიუმში გამოწყობილი თავს ისევ ვგრძნობდი, თითქოს მხიარულ კვარტალში მოსეირნე ტურისტი ვყოფილიყავი. მედუქნემ ერთი ბოთლი მანსანილია დაგვიდგა. „აი, იმ მოხუც ქალს, კუთხეში რომ ზის, ბეტი ჰქვია, — ჩამსურჩულა დოლორესმა. — სამოცდაათობეტი წლისაა, შვილიშვილები ჰყავს და მაინც აქ დადის“.

მანსანილია მაშინვე გადავკარი. ვილაც ჩასუქებულ გამხსენებელ მწერიკელს პლაჟზე ჩასძინებოდა. ცოლი საგულდაგულოდ ცდილობდა წმინდასა და მშვენიერებას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ხელი უიმედოდ ჩაიქნია და კონიაკი მოიღო. ბეტი ერთ კაცს ეყვალულებოდა. დოლორესმა ხმადაბლა მითხრა, მიყვარს. მიხრწნილ ბურჯუებს რომ კეცქერიო.

ვკითხე, ხშირად დადიხარ-მეთქი აქ. დოლორესმა ყოყმანის შემდეგ მითხრა, ძვირფასი ბარები მომბეზრდა, მდიდრებს უნდათ ყველა სიკეთე იგემონ, ოღონდ ისე, რომ არავინ არ უცქერდეს მათ ამ ყოფაში. აქ კი ხალხი სინდისს კარგავსო.

ვილაც ბოშა კაცი მოგვიახლოვდა და კონტრაბანდად შეძენილი საათი შემოგვთავაზა. თავიდან რომ მოგვეშორებინა, ღვინის ფული მივეციო. დოლორესმა სიგარეტი მოჭაჩა:

— ქმარს ვერ ეწყობი, ხომ?

— ჰო.

— მაშინვე მივბვდი... მე და შენ ცოლქმრობისათვის არა ვართ გაჩენილი. გამეცინა და ვკითხე, აბა, რისთვის ვართ გაჩენილი-მეთქი.

— არ ვიცი. ზოგჯერ საათობით მიფიჭრია ამაზე და პასუხი ვერ მიპოვია, და მაინც ჩაცვებზე ღირსეულნი ვართ.

— ყოველთვის მანაკაცებზე ძლიერები ვართ და როგორც კი ჩვენს სიძლიერეს შევაძინებთ, წმრებს ვეღარ ვაპატიებთ ხოლმე. ქალებს სუსტი მესხიერება აქვთ, აჟ რაიმეს დავიწყებას გადაწყვეტენ, მაშასადამე, სამუდამოდ დაივიწყებენ კიდევ, — ვთქვი მე.

— ნეტავი გამაგებინა, ჩვენი ქმრები რას ამბობენ ჩვენზე. არა, ხომ საინტერესოა?

— ო, ისინი ჩვენსავით გულახდილები როდი არიან.

მერე კარგა ხანს ხმა აღარ ამოგვიღია არც ერთს. მანსანილიამ თავისი გაიტანა, ძილი გაგვიფრთხო. ჩვენს მაგიდას ბეტი მოუახლოვდა; სიცილით გვითხრა: ჟანდარმერიის ლეიტენანტმა აქაური მცხოვრებლების სახელით მთხოვა, მეთევზეებს თავი დაახებეთო.

— მე ვუთხარი, ტორემოლინოსში იმდენი ფული დამიხარჯავს, რაც ჩემი ქვეყნის მთავრობას არ დაუხარჯავს-მეთქი მთელ ესპანეთში, და ისიც მაშინვე გაჩუმდა. საბრალომ აღარ იცოდა, რა ექნა.

პლაჟზე ქალები მიდიოდნენ, ხელში კალათები და სანთლები ეჭირათ: საცაა მეთევზეთა ნაეები უნდა მობრუნებულიყვნენ და თევზი საყინულეში ჩაებარებინათ. განთიადი ახლოვდებოდა. ამ დროს მხოლოდ ისინი ფჩიზლობენ, უთენია რომ გაიღვიძეს, ან ისინი, ვინც მთელი დამე უძილოდ გაატარა. ჯერ კიდევ დამე იყო, მაგრამ მზე მაინც მეწამულისფერად ისახებოდა პორიზონტზე.

დოლორესი დაიღალა და ჩვენც მანქანაში დავბრუნდით. რატომღაც მე-

გონა, შორ გზაზე ვიყავით წამოსული და გოცელები დავრჩი, როცა თვალის დახამხამებაში ჩემს სახლთან გავჩნდით. რაფაელი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. გარაჟი ცარიელი დამხვდა. ბაღში ის იყო ჩიტები ელურჯად იწყებდნენ. დოლორესმა ტუჩები ოდნავ შეახო ჩემს ტუჩებს, ძალი ნებისა ჩისურვა და მანქანა დასძრა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დილით ჯერ კიდევ მეძინა, ერმინია რომ შემთვიდა ოთახში.  
— ვილაც სენიორას თქვენთან ლაპარაკი სურს.

ვიფიქრე, მაგდამ ან დოლორესმა მომაკითხეს-მეთქი, მაგრამ ჯერ აღრე იყო პლაჟზე წასვლა. „ნეტავი ვინ უნდა იყოს?“ — ვეკითხებოდი თავს და ხალათს ვიცვამდი. შინ დაბრუნებისას თავი დამძიმებული მქონდა, მაგრამ ძილის წინ რომ სოდის აბები გადავყლაპე, უკვე ემოქმედა და ახლა თავს მსუბუქად ვგრძნობდი.

ქვემოთ, ვესტიბიულში, ასე საშუალო ხნის ულამაზო ქალი დაეინახე. მამაკაცების ყაიდაზე შეკერილი მუქი ლურჯი კოსტიუმში ეცვა, ხმა რისხვით უკანკალებდა: ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრი ვარო, ბავშვები ჩემს მტრედებს ესროდნენო. ამუქრებოდა, ვიჩივლებო, სტუმრის გარეგნობა თვალში არ მომივიდა და ღიმილით განვუცხადე. ჩვენი ბავშვები თქვენს მტრედებს თავდაცვის მიზნით ესროდნენ, რადგან ჩიტები ჩვენი ბაღის ყვავილებს კორტნიდნენ, ესეც არ იყოს, მე მცენარეთა დაცვის საზოგადოების წევრი ვარ-მეთქი. ერმინია იქვე იდგა, სახეზე სულელური გაკვირვება ეხატა. მე ვთხოვე, ქალბატონი კარამდე მიეცილებინა.

ოთახში დავბრუნდი, წამოვწეჭი, იქნებ დამეძინოს-მეთქი, მაგრამ ამაოდ. მეზობელმა ქალმა წონასწორობიდან გამომიყვანა და ნერვები ამიშალა. რომ დავმშვიდებულიყავი, ვიბანავე, თანაც ერმინიის ვთხოვე, ყავა მოეტანა.

დიდებული, უღრუბლო დილა იყო. გაჩახჩახებულნი მზე ხეთა კენწეროებზე შესკუბულიყო. ვილა ზღვიდან ასიოდ მეტრზე იდგა. წვიმიანმა და ნამდვილად პარიზულმა ექვსმა ზამთარმა გული გამიწყალა და ახლა აქ უცხოელივით მინდოდა მზეზე ვწოლილიყავი მხოლოდ სილასა და ზღვასთან ერთად. პარიზში ძალა შექარივით მადნებოდა, ძალაგაში კი შემიძლია აბალგაზრდობა გავიხსენო-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის აბაზანაში. აქ შემეძლო დენო დამელია, სისულელეები ჩამეღინა, გვიან დამით დავწოლილიყავი. აი, ახლაც ხუთი საათი მეძინა მხოლოდ და სულაც არა ვგრძნობ დაღლას. ის კი არადა, შემიძლია ამაღამაც გავათენო.

საგულდაგულოდ გავეხვიე ხალიან ხალათში, პირი დავიბანე, საბანათ კოსტიუმი ჩავიცვი და ბაღში ჩავედი. ბავშვებს შეშინებოდათ, ცხოველთა დამცველი კიდევ არ მოგვივარდესთ და სადღაც მიმალულიყვნენ. დავუძახე, ვითომ არც გავგონოთ, ყურაც არ მათხოვეს. რაფაელი დამით შინ არ ყოფილა. გარაჟი ცარიელი დამხვდა და ის იყო რეზინის მილი ავიღე, გაზონი უნდა მომერწყა, რომ ტიშქარიც გაიღო და მაგდა შემოვიდა.

მაგდას საპლაჟო ცისფერი კოფთა ეცვა. მეტისმეტად შინაურულად გადამკოცნა.

— კარგი ვინმეცა ხარ! ყველანი გეძებდით... სად დაიკარგეთ?

მე ვუთხარი, თავბრუ დამესხა და დოლორესმა მირჩია: ჰაერზე გავიდეთო.

— ლაურაც თქვენთან ერთად წამოვიდა?

— არა.

— მე მაინც გაგეფრთხილებინე. ვიფიქრე, რომანს გაჰყვნენ-მეთქი სამი-  
გენი...

მაგდას ცნობისმოყვარეობა, ეტყობა, ჯერ კიდევ არ იყო დაგმაროფილე-  
ბული, ცოტა ხნის მერე მკითხა, მალაგაში ხომ არ იყავით.

— დოლორესმა კარიუელაში, ბარში შემიპატიჟა. ამ ბარს ლამბერო არ კე-  
ტავენ თურმე... ხუთ საათამდე იქ ვიყავით.

მაგდა ბავშვივით გაიბუტა:

— ცუდად მოიქეცი. რა ხანია იმ ბარში მინდა შესვლა, მაგრამ მიგელი  
არ მიწევს. იქ რა გესაქმებაო, მეუბნება. ნუთუ მართლა ისეთი საშინელებაა,  
როგორც ჰყვებიან?

მე ვუთხარი, ბევრი არაფრით განსხვავდება სხვა ბარებისაგან, მხოლოდ  
ეს არის, აქ მეთევზეები და უცხოელები იყრიან თავს და თანაც ყველაფერი  
იაფია-მეთქი.

— როგორმე უნდა წამიყვანოთ, — ამოიოხრა მაგდამ. — მიგელი მუდამ  
მეჩინებდა, დიდი ცნობისმოყვარე ქალი ხარო. მიგელი მართალია, თუ რამე  
მოვისურვე, გათავდა, რვა წლის გოგოსავეთ ავიჩემებ.

შევპირდი, წაგიყვან-მეთქი. იმანაც ბავშვივით შემოჰკრა ტაში და მთხოვა,  
სიტყვა არ გატეხო.

— მიგელს ვეტყვი, ვითომ მალაგაში მივდივართ. მერე კი ყველაფერს  
ვუამბობ. საცოდავი ისეთი კეთილია... ბევრს იცინებს, როცა გაიგებს სადაც  
ვიყავი.

ერმინიას დავუბარე, სადილზე არ დამელოდოთ-მეთქი და ქუჩას გავყე-  
ვით. მეზობელ კვარტალებში მშენებლობა იყო გაჩაღებული. მუშები ხმამაღლა  
მღეროდნენ. კარიუელას პლაჟი გუშინდელივით თვალწარმტაცი ბყო. მეთევ-  
ზეთა კირით შეფეთქილი ქოხები ერთ რიგში ჩამწკრივებულიყვნენ. ნაპირზე  
ბარკასები ეყარა, პატარა ბიჭები ტილოს ქოლგებს შორის დარბოდნენ, ან  
ნაპირთანვე ჭყუმპალაობდნენ.

მაგდას საკმაოდ შილიფი საბანაო კოსტიუმი ეცვა, თეძოებზე შემოტმას-  
ნილი. ახალგაზრდა და მშვენიერი ჩანდა. მივეშველე და პირსახოცი გავაფე-  
ნინე სილაზე, მერე ჩანთიდან მზის საწინააღმდეგო კრემი ამოვიღე და  
მთელი სხეული საგულდაგულოდ დავიზილე. დიმილმორეული ვატყობდი,  
მაგდას ცნობისწადილი ჰკლავდა, სიმსუქნისაგან კანი ხომ არ მქონდა გაღიზია-  
ნებული, და ნება მივეცი ფეხები დაეზილა ჩემთვის.

— გუშინ დაგინახე, ლაურას ელიპარაკებოდი, — მითხრა უეცრად, — რა  
აზრისა ხარ ლაურაზე?

— რა აზრისა უნდა ვიყო. მე ხომ თითქმის არც ვიცნობ მას. თქვენს მოსვ-  
ლამდე ნახევარი საათით ადრე გამაცნო რაფაელმა.

— სიძარტლე თუ გინდა გითხრა, ლაურა არ მომწონს.

ეს უკვე ჩემი საქმე არ იყო. სახე მზეს მივუშვირე და პირსახოცზე წამოვ-  
წეკი.

— ლაურა ახლა რომანს ეკურკურება, თანაც ისე, რომ ყველამ დაინახოს.  
ხომ ნახე, რაც გააკეთა?

— არა.

— მთელი საღამო წერილებსა სწერდა. რომანს სწორედ მაგისტანა ქალე-  
ბი უფუჭებენ სახელს. რომანი იღებს მხოლოდ იმას, რასაც სთავაზობენ. მის  
ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა.

მაგდას ვუამბე, იმ საღამოს რომანი და დოლორესი შელაპარაკდნენ-მეთქი.  
მაგდამ სიგარეტის კოლოფი მომაწოდა.

— რომანი ბავშვი არ არის. იცის, ვისთან როგორ მოიქცეს, ნამდვილად მისა-  
უბრია მასთან. სულაც არ არის აბეზარი და უხეში კაცი. ვიცი, ნაკლიც ბევრი  
აქვს, მაგრამ მე მაინც მიყვარს.

პლაჟზე დოლორესი და ელენი მოდიოდნენ. მაგდა წამოხტა და ხელების  
ქნევას მოჰყვა.

— ერთი შეხედვე, როგორ მოდის, ნამდვილი დედოფალია, — მიჩურჩულა  
მაგდამ.

დოლორესი მართლაც დედოფალსა ჰგავდა. აღარ ვიცოდი, რითი დავმტკ-  
ბარიყავი: მისი წვრილი, ჭალწულეებრივი წელისა თუ მზემოკიდებული ჩამოქ-  
ნილი ფეხების ცქერით. კაცები ხომ თვალებით ჭამდნენ, ის კი მშვიდად ილი-  
მებოდა.

— გამარჯობათ, უკვე იბანავეთ? — დოლორესს თმა ბადით წაეკრა, თვა-  
ლებზე ნუჭი სათვალე გაეკეთებინა.

ელენიც დაიხარა ჩემ საკოცნელად. სახის კანი დამკენარი და ქონიანი  
ჰქონდა და თავი ძლიერ შევიკავე, ზიზღი რომ დამეფარა.

— ეს-ეს არის მოვედით, — ვთქვი მე.

მაგდამ დოლორესს შეუტია, ორთავეზე ნაწყენი ვარო.

— ხომ გითხარი, მე ვარ-მეთქი დამნაშავე. — ჩავერიე საუბარში.

— არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის დამნაშავე. მთელი დამე ველოდი,  
იქნებ ვინმემ მიმიწვიოს-მეთქი იმ დუქანში.

— ამისათვის კაცები არსებობენ. სთხოვე შენს ქმარს და წაგიყვანს, მე და  
კლაუდიას კი გვსურდა მოწმეთა გარეშე გვესაუბრა.

— მიგელი არ მიშვებს. ერთხელ უკვე ვთხოვე. ნეტავ გენახა, როგორ  
გაბრაზდა.

დოლორესმა სათვალე მოიხსნა. მზეზე დაბერებული მეჩვენა მისი სახე.

— შენც ნუ დაუგდებ ყურს, რამდენჯერ მითქვამს, შენი ქმარი სულელია-  
მეთქი.

— სულაც არ არის სულელი. მიგელი კარგი კაცია. ბევრად მჯობია. —  
მაგდა მე მომიბრუნდა: — ცოტა გულჩახვეულია და ხალხსაც სხვანაირი ჰგო-  
ნია. მიგელს არავინ სჭირდება და იმიტომ არის ასეთი. მისთვის ისიც კმარა,  
რომ მე გვერდით ვყავარ. ზოგჯერ მინდა ცოტა ხნით მაინც გავექცე, მაგრამ  
გავიგონია? გვერდიდან არ მიშორებს.

— ვთქვათ, ეს ყველაფერი მართალია. ერთს მაინც გეტყვი: მომწყინდა  
იმისი ცქერა, თვინიერი ცოლის როლს რომ თამაშობ, გაიგე? მომწყინდა, თანაც  
არ მომწონს.

ისინი კამათობდნენ, მე კი საბანაოდ წავედი. ზღვა მშვიდი იყო. დამსვენ-  
ებლები რეზინის ლეიბებზე გაწოლილიყვნენ და მზისთვის მიეფიცებინათ  
სხეული. წყლის ველოსიპედით ჩამიქროლა უცხოელმა ქალ-ვაჟმა. მალაგის

სანაპირო შორეთში იკარგებოდა. ცურვით რომ დავიღალე, მხოლოდ მაშინ დავბრუნდი ნაპირზე.

დოლორესი და მაგდა აღარ ჩხუბობდნენ. დოლორესმა მკითხა, როგორ წყალიაო. ნესვის სუნი აქეს-მეთქი, ვუბასუხე მე. პია ესპადას ბლანკზე მობანავეები ფუთფუთებდნენ. ქვიშაზე მირაყი თრთოდა. მზე ~~შუბი~~ ტარზე იდგა. ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა ცაზე.

ლიფი შევიხსენი და პირქვე დავწექი. დოლორესმა ~~მკითხა~~ <sup>მკითხა</sup> ბიკინი, ამაზე სასამოვნო რაღაცუნდა იყოს: თვალდახუჭული წვეხარ და გრძნობ, ზურგზე როგორ გაშრება ზღვის მარილი. სენ-ტროპეზში მივეჩვიე სითამამეს, პამპლონში თითქმის შიშველი ვბანაობდი, ხელს არაეინ მიშლიდა, არც მე ვუშლიდი ვინმეს ხელს. მაგრამ, როცა მივიხედ-მოვიხედე, გამახსენდა, რომ ახლა სენ-ტროპეზში კი არა, ანდალუსიაში ვიმყოფებოდი. თათლს რომ ფუტკარი დაეხვევა, ჩვენ ირგვლივ ისე მოეყარათ თავი უსაქმურ მამაკაცებს. ზოგი სულ ახლოსაც კი წამოწვა. შავი სათვალისა და გვიცქეროდნენ. პირდაპირ გული აგერეოდა. დოლორესმა ბიკინი შეიკრა.

— გამიგონეთ, ყმაწვილო, — მიმართა მან იმ კაცს, ყველაზე ახლოს რომ წამოწოლილიყო ქვიშაზე, — ცოლიანი ხართ?

კაცმა ყოყმანით უთხრა, ცოლიანი ვარა.

— აბა, მე რაღად მიცქერიო?

კაცი გაწითლდა და მაშინვე გაგვეცალა. სხვებმაც ნელ-ნელა მიბაძეს მის მაგალითს.

— საზიზღრები არიან! ქვიშაზე ხელიკებივით გაწოლილან... ოჰ, როგორ მეზიზღებდნენ! — ჯავრობდა დოლორესი.

— ბიკინი მეც მაქვს, მაგრამ ამ კაცების გადამკიდე, ვერ ჩამიცვამს. ასე მგონია, შიშველი ვარ, — თქვა მაგდამ.

— გეგონოს, მერე! რა არის აქ ცუდი?

— არა, ძვირფასო, გამოწვევა არ მიყვარს. რაც ვინდა ის მიწოდე, სასაცილო და ძველი ყაიდის ქალი, მაგრამ როცა ვხედავ, კაცები მიყურებენ...

— მე კი გამოწვევის მომხრე ვარ, — დოლორესს სახეზე სიმშვიდე ეხატა. მხოლოდ თითები უთრთოდნენ. — შენ ხომ გესმის ჩემი, კლაუდია?

— მესმის, — ვუთხარი მე.

დოლორესი ელენს გაჰყვა საბანაოდ. მაგდამ პაპიროსს მოუკიდა.

— მე კი არ მესმის.

— ოჰ. — ვთქვი მე.

— აქაური ხალხი ქალზე პრიმიტიულია, აღზრდა აკლიათ, რაიმე ახალს თუ მოჰკრეს თვალი, უკვირთ.

მაგდამ ისიც მითხრა, ტორემოლინოსში მარტო მდიდარი ტურისტები ბრწყინავენ, თორემ ისე საშინელი სიღარიბე სუფევსო; არის ოჯახები, სამი კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში ცხოვრობენ. ბევრი ასეთი ოჯახი მინახავს და გარწმუნებ, საშინელებააო.

ღარიბთა ცხოვრებას კარგად ვიცნობ-მეთქი, ვუთხარი მე. ოთხი წელიწადი საქველმოქმედო საქმეებს მივდევი და მშვენივრად ვიცოდი, სიღარიბე რასაც ნიშნავდა. კრუს-დელ-მოლინელ ქალთა დამშეული სახეები ჯერ კიდევ თვალწინ მიდგას. საზოგადოებრივ სამზარეულოში პურის ნატეხისათვის ერთმანეთს



ვაგრუკანა ქალებივით ეჩხუბებოდნენ: პურს ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ „თავიანთი შვილებისათვის“, მერე კი ზედმეტ ფასებში ყიდდნენ კორღობას ქუჩაზე ან ბაზრის ახლოს.

წარსულს რომ ვიგონებდი, მუდამ დავცინოდი საკუთარ ალტორესტობას. რამდენი დამე ვამიტენებია უძილოდ, ახლობლის გულხაფვის რამდენჯერ მითქვამს უარი პურზე. რაც მე სარეკომენდაციო ბარათი დამიწერია, რომ დავაგროვო, ათასგვერდიანი წიგნი გამოეცა ალბათ. ახლა ისიც უღმერთო ტელეფონით რამდენს ვლაპარაკობდი და რამდენს დავდიოდი... თვრამეტი წლისას მეგონა, სიცოცხლე ფასდაუღებელი განძია-მეთქი, მაგრამ როცა სიყვდილმა ყველას მოუტაკუნა კარზე და ყველაფერი თავდაყირა დადგა, გულუბრყვილოდ მჯეროდა, ქვეყანას შევცვლიდი. ეს ყველაფერი ემოციურობით იყო გამოწვეული — ერთხელ განთიადისას ჩემი მშობლები დახვრიტეს და გამოსამშვიდობებლადაც კი არ მიმიშვეს ცხედრებთან — კარგა ხანი მწამდა, რომ სიმართლისათვის ვიბრძოდი.

სინამდვილემ ნელ-ნელა ამიხილა თვალი. გამარჯვებას შემდეგ ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. ჩემთვის მან უკვე დაკარგა რომანტიკული ბრწყინვალეობა. ომმა არაფერი არ შეცვალა. მდიდრები თავიანთი სოროებიდან გამოძვრნენ. მალაგა კვლავ წინანდებური მალაგა გახდა. ჩვენ კი სამსხვერპლოზე ისევ და ისევ უნდა მიგვეტანა თავი, ისევ და ისევ გაგვეგრძელებინა უწინდელი საქმიანობა, თითქოს შეიძლებოდა სასწაული მომხდარიყო. აღარაფერი მჯეროდა, იძულებითი საქმიანობაც ძალ-ღონეს მაცლიდა. რაფაელი მადრიდში რომ გაამწესეს, ჩემი ენთუზიაზმი მოყვასის სიყვარულთან ერთად გაქრა და ომისდროინდელი იდეალიზმიც სიკეთის ზიზღმა და ეგოიზმმა შეცვალა.

მაგდას შეძლებისდაგვარად ავუბახენი ეს ყოველივე. დოლორესმა ჩემს ბოლო სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, პირსახოცს დასწვდა და მითხრა:

— თავი გაანებე. მაგდა მაზოხისტია. თუ სიმართლე გინდა გაიგო, სიამოვნებს, როცა მთელი ქვეყნის დარღ-ვარაში მაგას აწევს კისერზე.

— ყოველთვის ვერ მოითმენს კაცი... — შეეკამათა მაგდა.

დოლორესი აენტო, თვალეში დაკვესა:

— მაგრამ მაინც ითმენს, ხომ ასეა?

შემეშინდა, ისევ წაიჩხუბებენ-მეთქი, მაგრამ მაგდამ არაფერი უბასუხა. ელენი, ვითომც არაფერი იყო, სიგარეტს ეწეოდა, ცოტა ხნის მერე კი წამოდგა და სამიკიტნოში მაგვიწვია სარდენზე.

შინ ლაურას წერილი დამხვდა: „ექვს საათზე გამოგივლი, თუ შეძლებ. ტელეფონით დამირეკე — 8-68“. ერმინიას ვკითხე, ეს წერილი ვინ მოიტანა-მეთქი. ერმინია კარგა ხანს ფიქრობდა:

— როგორც კი წახვედით, ვილაც ქალბატონი... მგონი, ბავშვებს გამოელაპარაკა....

სერხიო და ლუისი ბადში თამაშობდნენ. ორივეს კარგად დავუცაცხანე მტრედის გამო: მეზობლის ქალმა რომ იჩივლოს, ქანდარმები მოვლენ, და ვინ იცის, იქნებ ციხეშიც გიკრან-მეთქი თავი. თავდახრილი მისმენდნენ, სახეზე სასაცილო შიში გამოხატვოდათ. რადგანაც დუმდნენ, წადით-მეთქი, ნება დავართე.

— თუ კიდევ იცელქებთ, ეცადეთ მაინც, მე არ გავიგო! — დავადევნე მათ.

რაფაელი თავის ოთახში იყო და წვერს იპარსავდა. რამდენიმე წუთში ჩემთან შემოვიდა. ლოყა გაეჭრა და სისხლი გამოსვლოდა ორნავ. მკაობა, დრო როგორ გაატარეო.

— ძალიან კარგად, — ვუპასუხე მე.

— არა უშავდა, არა? ჰო, მართლა, მერე სად წახვედი?

— დოლორესმა კარიუელაში წამიყვანა.

— მართლა? ვერც კი შევამჩნიე, როდის წახვედით. რომანსა და თქვენ ორივეს გეძებდით. ისე ჩუმად გაიპარეთ...

მე ვუთხარი, მგზავრობამ დამქანცა და არ მინდოდა ყველას სათითაოდ გამოვმშვიდობებოდი-მეთქი.

— როგორ მოგეწონა დოლორესი? — პასუხი ისე ადვილი მისახვედრი იყო, რომ რაფაელი არც კი დაძვლოდა, თვითონვე მიპასუხა: — რომანი არ არის დოლორესის ღირსი, ხომ მართალი ვარ?

— არ ვიცი, — ვუთხარი მე. — რომანს არც კი დავლაპარაკებია ხერხიანად.

— მე კი მეგონა, რომანი თქვენ წამოგყვათ.

— არა. ჩვენ რომ მივდიოდით, რომანი იქ აღარ იყო.

რაფაელმა ლოყაზე მიიღო ხელი და როცა მოიშორა, სისხლიანი ჰქონდა.

— მაგიდაზე რომ წერილები დაგიტოვე, ნახე?

— ჰო, ვნახე.

— ერთი წერილი ენრიკესი იყო... არ გწერს, როდის ჩამოვა?

— სამშაბათს.

— მადრიდში ვნახე, არ გითხრა?

თავი გავაქნიე, არა-მეთქი.

— სამინისტროს დერეფანში შევხვდით ერთმანეთს. სახლი სადღაც აქეთ დაუჭირავებია... ტორე კებრალაში თუ ჩურჩანაში.

კინალამ არ ვიყვირე: „შენს საქმეს მოუარე-მეთქი!“ მაგრამ რაფაელმა შეამჩნია ჩემი აღელვება და საუბრის თემა შეცვალა.

— ვახშამი ექვს საათამდე გაგრძელდა, წარმოგიდგენია? რაც მთავარია, მთელი ამ ღამისთვის მერე ბალთასარი და სხვები შინ მივაცილე და მერე ღამე გავათენე...

— არავინ არ გეკითხება, სად გაათენე.

— ვიცი, — რაფაელი დაბნეული შემომაცქერდა. — უნებურად წამომცდა.

— ჩვენ ხომ დავდეთ პირობა, ასეთ რამეებზე არ ვილაპარაკებდით, რატომ ვინდა ყველაფერი გააფუჭო.

მე თითქოს სხვისი ხმით ვლაპარაკობდი. რაფაელს სახე გაუქვავდა.

— იქნებ გგონია, ძალიან მსიამოვნებს, ცოლს რომ ვეძებ და თანაც ყველანი მეკითხებიან, სად დაიკარგაო.

— გუშინდელზე ამბობ?

— ჰო, გუშინდელზე.

— შენ რა, ექვიანობ?

— ვეჭვიანობ? — რაფაელი ამოდ ცდილობდა, გაეღიმა.

— მთავარია, კეთილი დამოკიდებულება მხოლოდ გარეგნულად შევინარჩუნოთ, ხომ ასეა? ჰოდა, თუ ასეა, მაშინ უპირველესად შენ უნდა ეცადო, ეს პირობა არ დაირღვეს.

ჩვენ არ შეგვეძლო ისე გველაპარაკა, შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა ერთმანეთისათვის. რაფაელს ვთხოვე, მარტო დამტოვე-მეთქი. იმანაც მხრები აიჩეჩა და, როგორც გინდაო, მითხრა.

გასვლისას კარი მიიჯახუნა. მე საწოლზე წამოვწექი. სწამებოდა, რომ იმის გაფიქრებაც კი, რომ ახლა ჩვენი დამოკიდებულება მხოლოდ იმითღა განისაზღვრებოდა, ვინ ვის დაესხმოდა თავს ასეთი სიტყვებით. თანაც ამდენი ხნის სიყვარულის მერე!.. საკმარისი იყო, ერთს სულ პაწაწა შენიშვნა გამოეთქვა, რომ მეორე მაშინვე ზიზღითა და დაცინვით უბასუხებდა. ეტყობა, აქამდე მოგვეყოლოდა წარსული ურთიერთობის ინერცია, თუმცა ურთიერთობა სადღა იყო. ეს ამბავი ძალიან მამბრაზებდა. ვთქვამთ, რაფაელის კარიერა ჩვენგან მსხვერპლს მოითხოვს, რატომ არ შეგვიძლია წესიერი ადამიანებივით მოვიქცეთ? განა ერთი-ორი ოჯახი ცხოვრობს ჩვენსავით? მაგრამ ხომ ცხოვრობენ და სიცოცხლეს არ უწამლავენ ერთმანეთს? ჩვენ რატომღა არ შეგვიძლია სხვებივით ვიცხოვროთ?

„კლაუდია, შენ სულელი ხარ, სულელი ხარ, კლაუდია“. დიდხანს ვბორგავდი საწოლში, ვცდილობდი დამეძინა, მაგრამ ძილი არა და არ ეკარებოდა თვალებს. ცხელოდა, ჰაერი ისე უძრავად იდგა, როგორც წყალი გუბურაში. სუნთქვა მეკვროდა. რა ვქნა? წამოვხტი, ვიბანავე. მერე სულ მთლად შიშველი დავწექი. მესმოდა, როგორ მუშაობდნენ კალატონები მეზობელი სახლის მშენებლობაზე. პაპანაქებაში ბზუილი გაჰქონდათ ბუზებს. მე კვლავ და კვლავ ვხუჭავდი თვალებს, სანამ დაქანცულს არ ჩამეძინა.

რომ გამომეღვიძა, დაღლილობა სადღაც გამჭრალიყო. ოცი წლის გოგოსავით ვგრძნობდი თავს. რაფაელი თავის ოთახში ხერინავდა. აუჩქარებლად ჩავიცვი, მოვირთე და ქვემოთ ჩავედი ვისკის მოსამზადებლად. ერმინია ყინულის მოსატანად გაიქცა. ვესტიბიულში კატა ხარბად შესცქეროდა გალიაში ჩამწყვდევულ იადონს. ბალში გამავალი კარი ღია იყო და კატამ რომ დამინახა, გაიქცა. დივანზე ჩამოვჯექი და პარიზიდან წამოღებულ „ლოლიტას“ ოციოდე გვერდი ჩავიკითხე. ლაურა დაგვიანებით გამოცხადდა. ჩემ გვერდით ტიპობრასავით ჩაეფლო სავარძელში. ჯინსი და თხელი კოფთა ეცვა.

— ოჰ, ეკვდები, — ამოიოხრა მან, მერე „ლოლიტა“ ხანტად გადაფურცლა. ვისკი, სიფონი და ყინული მივაწოდე.

— დღის ორი საათიდან პოკერს ვთამაშობდით... — ლაურამ გაიზმორა. — ხოჭოებმა ათასზე მეტი წამგლიჯეს.

— ვინ?

— ვინ და, ბალთასარმა, ჩიჩომ და კრისტობალმა. პირველად სულ მე ვიგებდი. მერე ბედი აღარ მწყალობდა. უგროშოდ დავრჩი.

— ეცადე დაიბრუნო ფული.

— გგონია, შევძლებ?

• მე არ ვუბასუხე. ლაურამ სულმოუთქმელად გადაჰკრა ვისკი.

— გუშინ რომანთან ერთად გავიპარე. შეამჩნიე?

მე ვუთხარი, როცა ქალი და კაცი ასე დაუფარავად ტოვებენ სწოგადობას, ცხადია, ყველანი შეამჩნევენ-მეთქი.

— დოლორესმა კვლავ გააბრაზა რომანი. ისიც გულმოკლული ადგა და მთელი ღამე ჩემთან გაატარა.

— ჰო?

— ჰო. ახლა რომანი სწირად მოდის ჩემთან. დოლორესმა კვლავ შეგიტყუა სიცოცხლე მოუწამლოს ქმარს. იმასაც მობეზრდა ყველაფერს და მითინებს ჩემთან იყოს. — ლაურამ კიდევ გადაჰკრა ვისკი. — რომანი გადასარევი კაცია. იქნებ იდიოტობაში ჩამითვალთ, მაგრამ მინდა მისგან შეიღო მყავდეს... რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ გამოვიჭირო, არა, მინდა ვიღაც მყავდეს... სულელი ვარ, არა?

მე ვუთხარი, შეიღო რომ გინდა, სულაც არ არის სისულელე, მაგრამ მთავარია, მართლა თუ გინდა-მეთქი.

— ო, არ ვიცი, — ჩაილაპარაკა მან, — სიცოცხლე ისეთი უაზრობაა...

— თუ უაზრობაა, რაღად ცხოვრობ?

ლაურა ხელში ნერვიულად ატრიალებდა ჭიქას.

— შენ მართალი ხარ. ქალები ეგოისტები ვართ. ჩემს ლაუბობას ყურადღებას ნუ მიაქცევ. როცა ვსვამ, სისულელებს ვამბობ მუდამ.

ბალიდან გრილმა ნიავმა დაუბერა. ლაურას შევთავაზე, სადმე წავიდეთ-მეთქი.

— სად წავიდეთ?

— არ იცია, მანქანით გავისეირნოთ ქალაქში.

„ფიატში“ ჩავსხედით. მანქანას ცალი ფრთა დაჭყლეტილი ჰქონდა. „ცენტრალურის“ ტერასაზე ჩვენთანს ვერავის მოვკარი თვალი. მოედანს შემოვუარეთ. მინდოდა „დიგამე“ მეყიდა, მაგრამ კიოსკში მითხრეს, შაბათამდე არ იქნებაო. ლაურამ ჩამჩურჩულა, სან-მიგელის ქუჩაზე ერთი მზიარული, პატარა ბუნაგი ვიცი, „ნუგეში“ ჰქვია. მისი მეპატრონე ჩემი მეგობარიაო.

შესასვლელი კაცებს აეცხათ. ძლივს გავიარეთ მათ შორის. მეპატრონე ჭიქებს ღვინით ავსებდა და თან დახლზე ცარციტ წერდა შეკვეთის ფასს. ტურისტები მთლად გაშინაურებულიყვნენ აქაურ მოსახლეობასთან. ყველანი ბევრსა სვამდნენ.

ლაურამ ორი ჭიქა ტინტო და ამდენივე ულუფა ხურელესი<sup>1</sup> მოითხოვა. სიცხე რომ არა, აქ ყოფნა სასიამოვნო იქნებოდა. პარიზში ალბათ მეტ ფულს გადავიხდიდი ასეთი ადგილისათვის. კაცება ყაყანებდნენ, ბარის მეპატრონე მოქვიფევებს ხმამაღლა სთავაზობდა ტაპასს<sup>2</sup>. სამზარეულოს სუნი კვამლში არეულა და პირდაპირ ყელში გვიღვინებდა.

ლაურა კვლავ რომანზე ლაპარაკობდა. მაგრამ მე უკვე კარგა ხანია ასეთი ქალებისა აღარაფერი მწამდა და გულგრილად ვუსმენდი. ვუსმენდი-მეთქი, ვამბობ, სინამდვილეში კი ერთი სიტყვაც არ გამიგონია მისი. ასეთი ჩვეულება მქონდა, გარეგნულად ყურადღებად ვიყავი ქცეული, ეს კი ძალიან მეხმარებოდა გრძნობების დაფარვაში.

<sup>1</sup> ხურელესი — იაფფასიანი ალკოჰოლი.

<sup>2</sup> ტაპასი — ღვინოსთან მოსატანებელი სალხმეული.

— ამაღამ რემოში მიედივართ საცეკვაოდ. რომანს უნდა, შენც წამოხვიდე... იცი, ძალიან მოეწონე. რომ არ მოხვიდე, ეწყინება.

თავიდან რომ მომეშორებინა, დავეთანხმე, თანაც ვთხოვე, სახლამდე მიმაცილე-მეთქი.

რემოში წასვლა სულაც არ მინდოდა, მაგრამ როცა დათქმულ დროს დოლორესმა დამირეკა და მითხრა, რემოში მსახიობებზე უფრო დიდხარებას უნდა შევხვდე და შენც მოდიო, დავეთანხმე, სახლამდე მიმაცილე-მეთქი.

რაფაელი მანქანით წავიდა. მე ბავშვებთან ერთად ვისადილე. გამთანგავი პაპახაქებას შემდეგ ჰეშმარიტად რომ საამო იყო გრილი საღამო. ბაღში ტახტზე წამოვწვი და „ლოლიტას“ კიდევ ოციოდე ფურცელი წავიკითხე. ლაურას ლაქლაქმა ძალზე გამაბრაზა და გადაეწყვიტე, მომავალში ასეთი მოსაუბრეებისათვის თავი ამერიდებინა. მალაგაში მასპინძელს ნება აქვს სტუმარს თავი დაატანჯვინოს, აქ ხომ უცვლანი მოკლილები არიან. უსათუოდ რაღაც უნდა ვიღონო. ავადმყოფობას მოვიგონებ, ან სასწრაფო სამუშაოს მოვიმიზეზებ, ან არადა, ერმინიას ვასწავლი, მომსვლელებს ჩემზე უთხრას, შინ არ არისო. რაც მართალი, მართალია, მეტად დიდი და რთული საკითხი ნქონდა გადასატრედი.

რემოში რომ მივედი, ორკესტრი ცეცხლოვან მამბოს უკრავდა. ჭაბუკი, მარაოსავით გაშლილი წამწამები რომ ჰქონდა, დახლს დაყრდნობოდა. ვკითხე, დოლორეს ეელესი ხომ არ დაგინახავთ-მეთქი. დარბაზის ბოლოსკენ მიმითითა:

— კინომსახიობებთან არის. მის მარცხნივ რომ დგას, რაფ ვალონეა.

მე მადლობა გადავუხადე და მაგიდებს შორის გავიარე. ყველანი იქ იყვნენ: რომანი, ლაურა, ელენი, მისი ქმარი და ის თეთრთმიანი ამერიკელი ქალიც, ძალიან რომ უყვარდა ესპანეთი და ჩვენი ხალხის სულზე რომ ზრუნავდა. მხიარული შეძახილებით შემეგებნენ. დოლორესმა გვერდით მომისვა. მას ელეგანტური მოშავო-მოოქროსფრო კაბა ეცვა. კვლავ განსაცვიფრა დოლორესის მწუხარე სილაბაზე.

— რაფ, გაიცანი, ეს კლაუდია ესტრადაა.

მე ყველას მივესალმე. დოლორესი საიდუმლოდ მიღიმოდა. იგი თავის მართლებას მოჰყვა, რომანიც დაეპატიჟეო. „რაფის გაცნობა უნდოდა. მთელი დღე გული გამიწყალა. უარი ვერ ვუთხარი, გესმის?“ ჩემთვის სულ ერთია-მეთქი, ვუბასუხე. დოლორესმა თითქოს შვებით ამოისუნთქა: „ათასჯერ მითქვამს, მაგრამ ამიად, არაფრის გაგება არ სურს“.

საუბრე ჯერ დამთავრებული არ იყო, დარბაზი კი თანდათან ივსებოდა ხალხით. მთვარე ცირკის რეფლექტორებით ანათებდა. ბაღში აქა-იქ მიმოფანტული ფარნები ხეთა ფოთლებს საუცბო მწვანედ ლუბავდნენ. ორკესტრი იტალიურ მელოდიას უკრავდა. რომანი უსტვენდა და მაგიდის კიდეზე თითებს მუსიკის ტაქტს აყოლებდა.

ელენი მოგვიახლოვდა, უნდოდა გაეგო, რას ვლაპარაკობდით, მაგრამ როცა მიხვდა, მეტიმეტი ცნობისმოყვარეობა გამოუვიდა, მკითხა, რაფაელი სად არისო.

— არ ვიცი, — ვუთხარი მე. — მალაგაში თუ წავიდა.

— ბედი გწყალობთ. ჩემი ჯერალდი კი სულ კუდში დამდევს. რომ ჩა-

მოვიდა, ვუთხარი: ძვირფასო, იმდენჯერ გილალატე, რომ ახლა კუდში დევნას მნიშვნელობა აღარა აქვს-მეთქი. უფრო შევუყვარდი, წარმოგიდგენიათ?

— ღვინო დააღვინე, — ურჩია დოლორესმა.

— ასეც ვაკეთებ. ხედავ, ერთ ნაბიჯზეც არ მშორდება...

თავი ავწიე, ლაურას თვალებს წაეაწყდი. იგი რომანსა და პროდიუსერს შორის იჯდა და შეთქმულივით მიღიმოდა. ნერვებს მიშფოვდა მისი გამაყოფილი გამოპეტაცვლება. ვითომ არც დამინახავს.

— მაგდა სადღაა? სად არის მაგდა? — იკითხა ელენმა.

თეთრთმიანმა ამერიკელმა ქალმა თქვა, მიგელი კვლავ მიზანთროპიამ შეიპყრო და მაგდა ამიტომაც ვერ წამოვიდაო.

რომანი ადგა და თავაზიანად დაიხარა დოლორესისკენ:

— ვიცეკვოთ?

დოლორესმა რამდენიმე წამს შეიცადა; მისი თვალები ორ მორიელსა ჰგავდა.

— შენთან ერთად? — უცბად პროდიუსერს მიუბრუნდა და ხელში ხელი წაავლო: — მანოლიტო, წავიდეთ. მერე შენთან ვიცეკვებ, რაფ.

რომანი ყარგა მაგრად დაგესლეს, მაგრამ არ შეიმჩნია. გაიცინა, თითქოს ბავშვები იყვნენ და თამაშობდნენ. მერე ლაურა გაიწვია საცეკვაოდ.

მე არაფერი მესმოდა ამ თამაშისა. სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფაც არ მიყვარდა, თანაც ამდენი ლაუბობის მერე რატომღაც მიხდოდა მეცეკვა. თავს ვირთობდი იმაზე ფიქრით, შეიძლება ვალონესთან ვიცეკვო-მეთქი. რაფ ვალონე თითქმის ყველა ფილმში ვნახე, რომელშიაც კი თამაშობდა. მე მგონი, ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა. როგორც ველოდი, საცეკვაოდ არ მიმიწვია, მხოლოდ მითხრა, ერთხელ რაფაელთან ერთად ვისაუზმე კანში, სადაც იგი გაზეთის რედაქციამ გამოაგზავნაო. ჟურნალისტიკაზე საუბრის შემდეგ რაფ ვალონე დაინტერესდა, რა აზრისა ვიყავი დე გოლის პოლიტიკაზე. მე ანგარიშ-მიუცემლად ვუბასუხე: როცა რთული ვითარება იყო, საქმეები კარგად მიდიოდა, როგორც კი გაიოლდა, პირიქით, ცუდად წავიდა-მეთქი, — მობეზრებული მქონდა ამაზე ლაპარაკი, — მერე ძალზე სერიოზულად ვკითხე, რაფაელს ხომ არ იცნობთ-მეთქი.

— უკვე ათი წუთია, მხოლოდ რაფაელზე გელაპარაკებით, — რაფ ვალონემ წარბები აზიდა და ისე შემომაცქერდა.

— მაპატიეთ, რატომღაც დაეიბენი.

მოცეკვავეები თავთავიანთ მაგიდებს დაუბრუნდნენ. ერთმა ქალმა ბოლერო იმღერა მომავცდავ ობოლ გოგონაზე, მერე კი ვნებით აღსავსე სასიყვარულო მონოლოგი წაიკითხა. ყურს არავინ უგდებდა. ელენის ქმარმა ორი ბოთლი შამპანური გახსნა. ეს კაცი ამქვეყნად თითქოს მხოლოდ ერთი მიზნისთვის მოსულიყო: რაც შეიძლება ხშირად შეევესო ცარიელი ჭიქები. მერე ორკესტრმა კვლავ დაუკრა და რომანმა საცეკვაოდ გამიწვია.

რომანმა წელზე ხელი მომხვია და დარბაზის მეორე ბოლოში გამიყვანა. მითხრა, შარშან მე და დოლორესი შენს სახლში ვცხოვრობდით და გვაინტერესებდა, შენი ოთახი რომელი იყო. არც კი დავფიქრებულვარ ისე ვუბასუხე, ჩემი ოთახის ფანჯრები ზღვისკენ გამოდის-მეთქი... და მაშინვე მივხვდი, შევცდი. რომანმა მითხრა, გაგიყვებით მომწონხარ და ამაღამ გესტუმრებით.

ქვეყანა გვიყურებს და თანაც იცოდეთ, ქუჩის ქალი არა ვარ-მეთქი, ვუბასუხე. რომანმა გაიცინა, მერე დიდხანს ხუმრობდა და მეკითხებოდა, ხომ გსიამოვნებს, ჩემთან ჩახვეული რომ ხარო; არა-მეთქი, ვუბასუხე.

— დარწმუნებული ხარ?

— როცა კაცი მომწონს, არ ვიპრანჭები. მარტოკას თუ არ ვსურთ ძილი, ლაურას მიმართეთ.

ასეც მოიქცა. რაფ ვალონესთან რომ ვცეკვავდი, ლაურას გამომიგზავნა. გრეგორიოსაც მოვკარი თვალი, თავის მეგობარ ქალთან ერთად ცეკვაუდა და კმაყოფილი იღიმებოდა. ორკესტრმა რომ დაკვრა დაამთავრა, მაგიდასთან დავბრუნდით. ელენი პროდიუსერს უთვალთვალეზდა, მისი ქმარი კი კვლავ ჭიქებს ავსებდა. დოლორესი მისს ბენტლეის ელაპარაკებოდა.

— ესპანელები ზომიერი ხალხი ვართ, გესმით? თქვენ განვითარებულ ქვეყანაში მცხოვრებთ, შაშხი და ერბო-კვერცხი, კოკა-კოლა და სინთეტური პური გაქვთ... აქ კი ასე არ არის. ჩვენ გვაქვს ცოტაოდენი ფლამენკო, ზელები ტაშისათვის და რაც მთავარია, ჰაერი, რამდენიც ვინდა. — დოლორესი ჩაფიქრდა: — მხოლოდ არა გრეგორიოსთვის. გრეგორიო წიწილებს მიართმევს.

— როცა ფული მაქვს... — წამოიწყო გრეგორიომ.

— გრეგორიო შეძლებული კაცია. აბა, გრეგორიო, უთხარი ამ გოგონას, რამდენი ფული გაქვს!

— არ ღირს. მას უფრო მეტი აქვს.

— მართლა?

— მართლა, — თქვა მისს ბენტლეიმ.

— ფული თუ აქციები?

— ფულიც და აქციებიც.

— ესეც არ იყოს, მსახიობიც არის, — დავუმატე მე.

გრეგორიომ დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

— განა არ იცოდით, მისს ბენტლეი ესპანეთში ანდალუსიური ცეკვების შესასწავლად რომ ჩამოვიდა?

— ნუთუ? — ჩაილაპარაკა დოლორესმა.

— დიახ, ასეა.

— მილიონერი ქალი, მსახიობი და თანაც ცეკვები უყვარს.

— დიახ, ასეა, — თქვა მისს ბენტლეიმ.

— გრეგორიოც უყვარს.

— დიახ, ასეა, — თქვა მისს ბენტლეიმ.

— რა მომხიბვლელი გოგონაა, ქეშპარიტად მომხიბვლელი გოგონაა.

გრეგორიო და მისს ბენტლეი საცეკვაოდ წავიდნენ. დოლორესს ლოყაზე ვაკოცე. უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთისა. ჩემთვის საკმარისი იყო, მისი ღიმილი დამენახა, ნათელ, ცისფერ თვალებში ჩამეხედა, რომ ყველაფერს მივმხვდარიყავი.

— იქნებ სადმე პატარა დუქანში წავსულიყავით? — თქვა ელენმა.

ელენის ქმარმა სწრაფად გადაიხადა ფული. ყველანი გავედით ეზოში, სადაც ჩვენი მანქანები იდგა. რომანი ლაურასთან დარჩა საცეკვაოდ.

რომანის მუქარა სულ გადამავიწყდა და როცა, კარგა ხნის მერე, — ლამის სამ საათამდე ვსვამდით დუქანში და დაღლილი დავწექი, — ფანჯარასთან უც-

ნაური შარიშური მომესმა, ვიფიქრე, ნამდვილად ქურდია-მეთქი. სუნთქვა შევიკარი, ზეწარში გავეხვიე და საწოლთან პატარა ნათურა ავანთე... ქურდმა ფანჯრის შინაზე დააკაკუნა.

- კლაუდია, მე ვარ.
- ვინ შენ?
- რომანი ვარ.
- მერე რა გინდა?
- შემოსვლა მინდა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მე ვუთხარი, ძალიან შეძინება და სტუმრის თავი არა მაქვს-მეთქი.

- ერთი წუთით შემომეშვი.
- არც ერთი და არც ორი წუთით.
- გეფიცები, ხელს არ გახლებ.

საკუთარ თავსა და სიმხდალესე გავბრაზდი და შევუყვირე, თავი დამანებე-მეთქი.

— გეყოფათ, დაიკარგეთ აქედან... ხომ იხუმრეთ, ახლა გეყოფათ!

ცოტა ხანს დაველოდე, მერე რომ დავრწმუნდი, წავიდა, ავდექი, ფანჯარა გავაღე და ბაღში გადავიხედე. კედელზე კიბე მოედგა. ნეტევზეთა ნაცებზე ფარნები ისე ანათებდნენ, თითქოს ზღვას ცეცხლოვანი ყვავილები მოსდებოდნენ.

ფანჯარა მივხურე და დავწვიქი, მაგრამ კვლავ პარიზულმა მტანჯველმა უძილობამ შემიპყრო. იძულებული გავხდი, დასაძინებელი წამალი დამეღია.

□ □

ხშირად, გათენებისთანავე თვალი გამიხელია თუ არა, სევდა შემომწოლია გულზე, ყოველი ახალი დღე იმედების დაცარიელებულ კოლოფს მაგონებდა და როცა დილიდანვე შემიპყრობდა ცხოვრებისადმი გულგრილობაზე ფიქრი, — სიმწრითა და კმაყოფილებით გამჩნევდი, რა თანდათან მიიწევდა წინ გულგრილობის განგრენა.

ომის დროს მე და რაფაელი მზად ვიყავით იდეისათვის მოვმკვდარიყავით. მხოლოდ უმადლესი მორალი გვაცოცხლებდა. ყოველდღე, პოსპიტალსა თუ ფრონტზე იწრთობოდა ჩვენი გმირობა. ჩვენს არსებას სძაგდა ილუზიები და იმედები და უკმარობის გრძნობა გვიპყრობდა. არადა, რა ცოტა იყო საკმარისი, დაგვეპურებინა და დაგვემწყურვალებინა; თუკი დაიღლებოდა, მოგვესვენებინა და თუკი მოითხოვდა, ცოტაოდენი სიყვარულიც მიგვეცა მისთვის. ისე უხეშად ვექცეოდით საკუთარ სხეულს, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენდა სამსახურად გაჩენილი ყოფილიყოს. სულ არ ვფიქრობდით იმაზე, რომ ერთხელაც იქნებოდა, წარსულთან ანგარიშის გასწორება მოგვიხდებოდა და ეს ისე ძვირი დაგვიჯდებოდა, ვერასოდეს ვერაფრით რომ ვერ გადავიხდიდით.

გამარჯვებამ გულგატეხილობა მოგვიტანა. გადავწვიტე, მთელი ჩემი ძალა, აქამდე რომ „მოყვასის სამსახურში“ ვფლანგავდი, რაფაელისათვის შემეწირა. ეს იყო შეუპოვრობისა და გაჭირვების წლები. ეს ის დრო იყო, ცარიელ ოთახებში რომ დავბოროილობდით, გარეუბნებში, იაფფასიან კინოებში რომ დავდიოდით და ტრამვით ვმგზავრობდით, რაფაელი დღე და ღამე მუ-



შობდა, მეც ორი წელიწადი გეოგრაფიასა და ისტორიას ვასწავლიდი სკოლაში. სხეული წინანდებურად აღარ გვემორჩილებოდა, მაგრამ ბრძოლის წყურვილი მაინც გვეკლავდა; წინასწარ არც გვიფიქრია იმ ამბავზე, რაც მერე მოხდა. როცა რაფაელი ცნობილი კაცი გახდა, როცა მისი ნიჭი ყველამ აღიარა, უცებ მივხვდით, რომ წარმატება აღარ გვაინტერესებდა. პარიზის მაღალ წრეში ვტრიალებდით, ჩვენთვის არაფერს ნიშნავდა დაგვემთქნარებინა უსწრაფესობაში, ან ვინმე გაგვემასხრებინა გონებაჩლუნგობისათვის. ჩვენთვის ყველაფერი იყო ჩვენი იდეალებთან ერთად გაქრა. ახლა უკვე მაძღარნი ვიყავით, ღვინოს ბევრს ვსვამდით, ამას დაუმატეთ კამპარი და ვისკი, კონიაკი და კალვადოსი. მერე ერთ ღამე „ფერნეტ ბრანკისაც“ დავაყოლებდით, რათა გადაგვემუშავებინა ყველაფერი ის, რაც გადავსანსლეთ. საღლა იყო მაღაგური ძილი, ახლა დღეზე მეტად ღამე გვდლიდა — ხმაური ქუჩებში, გულისცემა — და თანდათანობით მივეჩვიეთ თვითპიპნოზს. მომავალზე აღარ ვფიქრობდით, დღევანდელი დღით ვიყავით კმაყოფილნი. ილუზია გაქრა, წამლების დოზამ კი იმატა. ხშირად, როცა ყოველივე ამაზე ფიქრი შემიპყრობდა, კანკალი ამიტანდა.

მთელი დღი საწოლში გავატარე. ფანჯარა ღია დავტოვე. პირველი საათისათვის კი დუქნის ახლოს, პლაჟზე წავედი საბანაოდ. რაფაელმა ღამე მაღაგაში გაათია. დედამისმა ტელეფონით დამირეკა, მე დავპირდი, ხვალ ვინახულვებთ-მეთქი, მერე ტაქსი გავაჩერე, მიწოდდა საღმე შეშველო დასალევად. გაზეთების კიოსკში მითხრეს, „დიგამე“ ჯერ არ მიგვიღიაო. „როდის მიიღებთ?“ „არ ვიცი, — მიპასუხა გამყიდველმა. — იქნებ დღეს საღამოსაც მივიღოთ“. დურო დავუტოვე, ერთი გაზეთი შემინახეთ-მეთქი. საყვავილესთან მოედანი გადავჭერი. „ცენტრალურში“ ელენი და მისი ქმარი დამხვდნენ.

— გამარჯობა, — მომესალმა ელენი.

— გამარჯობა.

— დალევ რამეს?

ისინი სუფთა ვისკისა სვამდნენ.

— დავლევ. კიდევ ერთი ვისკი მოიტანეთ.

— Here is very bad <sup>1</sup>.

— ჯერალდი ამბობს, აქ ვისკი არ ვარგაო.

ელენის ქმარმა ჯიბიდან მათარა ამოაძვრინა.

— Do you want to drink? <sup>2</sup>

— მადლობთ.

ერთი-ორი ყლუბი მოვსვი. ვისკი ნამდვილად სჯობდა იმას, რასაც ესპანეთში ყიდდნენ. სასიამოვნოდ ამიწვა კუჭი.

— ჩემამდე ჯერალდი უფრო მეტს სვამდა, — თქვა ელენმა. — დაჩაჩინაკებული იყო, სამკურნალოდ კლინიკაში დავაწვინე.

— Do you like it? <sup>3</sup>

— Yes <sup>4</sup>.

<sup>1</sup> აქ ძალზე ცუდი ვისკია (ინგლ.).

<sup>2</sup> ვინდათ, დალით? (ინგლ.).

<sup>3</sup> მოგწონთ? (ინგლ.).

<sup>4</sup> დიახ (ინგლ.).

— მარტო ვისკიზე ფიქრობდა, — ელენი მთვრალი იყო. — ხომ საშინელეა?

— ო, დიახ, — ვთქვი მე.

— ლოთი კაცი სა-ზიზ-ღრო-ბაა, არა?

— დიახ.

— მე გადავაჩვიე ლოთობას.

ოფიციანტს კამპარი შევუკვეთე: ჯერალდი და ედენი<sup>1</sup> ჩემს კუროდნენ სიგარეტს.

— დოლორესი სად არის?

— მაღაგაში პროდიუსერს უნდა შეხვდეს. არ იცი, ფილმს იღებენ.

— არ იცი.

— დღეს საღამოს მაგდასთან მივდივართ. დოლორესმა თქვა, მეც იქ ვიქნებიო.

ოფიციანტმა კამპარი რომ მომიტანა, ჯერალდმა ზიზლით გადახედა და რაღაც ჩაიბურჩუნა.

— რას ამბობს?

— სისულელეს.

— Bad, bad<sup>1</sup>.

— მინდა, ჯერალდმა მუზეუმი, ესკორიალი და დაღუპულთა ველი ნახოს, მაგრამ მარტო არ მიდის. იქნებ შენ წაპყოლოდი?

მადლობა გადავუხადე თავაზიანობისათვის და ვუთხარი, შეუძლებელია-მეთქი.

— რატომ? — ამოიოხრა ელენმა: — Ça serait si gentil de ta part<sup>2</sup>.

— სხვა ქალი მონახე. უსათუოდ დაითანხმებ ვინმეს.

— მეც ამას არ გეუბნები? — წაიბურტყუნა ელენმა. — ასეთი პირუტყვი რომ არ იყოს...

სადილობის დრო რომ მოახლოვდა, ტაქსი გავაჩერე და შინ დაებრუნდი. ბავშვები ბაღში თამაშობდნენ, კატა კი იადონის გალიას დარაჯობდა. ოთახში ენრიკეს წერილი და გახეთის ამონაჭერი ვახე. სტატია აჭა-იქ წითელი ფანქრით აეჭრელებინათ. სადილის მერე წავიკითხე. მართლაც შესანიშნავი სტატია იყო. წავიღე და რაფაელის ოთახში დავტოვე.

ნასადილევს ძილი მომერია. ჩავთვლივე, მერე კი ბაღში ჩავედი. ერმინიამ მითხრა, რაფაელმა ცოტა ხნით შეძთირბინა, ჩაიცვა და ისევ წავიდათ. იმასობაში დოლორესმა დამირეკა და მთხოვა, მაგდასთან მოდიო.

— შენ როდისლა წახვალ? — ვკითხე მე.

— დამელოდვ, მე ზვიტონ გამოგივლი.

რამდენიმე წუთში მოვიდა. აკაციის ჩრდილში წამოვწექით. დოლორესმა ჩემი ვილა შეაქო, ერთი საუკეთესოთაგანია მთელს ტორეშოლისოსშიო. კიბე ჯერ ისევ კედელთან იყო მიდგმული. ერთ წუთს მომეჩვენა, დოლორესმა ამ სიტყვებში სხვა აზრი ჩააქსოვა-მეთქი, მაგრამ მან მაშინვე შეცვალა საუბრის

<sup>1</sup> ცუდია, ცუდი (ინგლ.).

<sup>2</sup> ეს ისეთი თავაზიანობა იქნებოდა შენი მხრით (ფრანგ.).

თემა, ფილმის სცენარი მიაშობო, ისიც მითხრა, ვალონე აეროდრომამდე გავე-  
ცილეთ.

— ელენი რომ გაიგებს, გაცოფდება... ამ დღით მითხრა, რაფ ვალონე  
ძალიან მომეწონაო.

— ელენს ყველა მოსწონს...

ერმინიამ ბოთლით ვისკი მოიტანა. სანამ მე სასმელს ვამზადებდი, დოლო-  
რესმა ელენის თავგადასავალი მიაშობო. ადრე თურმე მეტყვის კონტროლში  
ერთ კონტრაბანდისტთან, მერე კი ჯერალდის სიმდიდრეს მოუხილავს და  
ცოლად გაჰყოლია. დოლორესს ვუთხარი, ელენისთანა ჭალები სიმარტოვეში  
უნდა ცხოვრობდნენ-მეთქი. „ჭალები ყველანი სიმარტოვისთვის ვართ დაბა-  
დებულნი“, — მიპასუხა დოლორესმა. ვიფიქრე, ახლა კი რომანზე მეტყვის-  
მეთქი რამეს, მაგრამ არაფერი თქვა, თვალები ირონიულად დააკვესა და უბრა-  
ლოდ მკითხა: რას იტყვი, მომხიბლავი თუ ვარო. „მომხიბლავი?“ „ჰო, მომხიბ-  
ლავი. კაცი რომ იყო, მოგეწონებოდი?“ მომეწონებოდი-მეთქი, ვუთხარი (ის  
ხომ ერთი იმ ჭალთაგანი იყო, ვის გვერდით ყოფნაც მსიამოვნებდა). დოლო-  
რესმა გადაიხარხარა: „მადლობთ, შენ ძალზე კეთილად მეპყრობი“.

მაგდას სახლი კარიუელას ბოლოში იდგა. დოლორესმა მანქანა ფარდულ-  
ქვეშ დააყენა. სახლი ანდალუსიური სტილისა იყო, თეთრად შეფეთებული კედ-  
ლები და შესანიშნავი რკინის აივნები ჰქონდა. ყვავილნარში რეზინის დიდი  
შილი დაკლაკნილიყო. კუდის ქიციანით მოგვიახლოვდა სეტერი. მოკეცილ  
ბილიკზე მოლბერტი იდგა აკვარელით.

— შეხედე, ნამდვილი ველასკესია, — ჩამჩურჩულა დოლორესმა.

სახლს შემოვუარეთ და ფართო, წყნარ ეზოში შევედით. სახლის გასწვრივ  
ქასმინებით დაჩრდილული შუშაბანდი გაჭიმულიყო. იქვე ლურჯად ლივლივებ-  
და აუზი. ეზოს ბოლოში კი, კაქტუსების ძირში მაგდა და სამი უცნობი ქალი  
კარტს თამაშობდნენ. ჩვენს დანახვაზე მაგდა წამოხტა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მაგდას, საერთოდ, სიკვოდა,  
როცა რამე ძალზე გაუხარდებოდა, ბავშვივით იყო ატაცებული. ახლაც ყელზე  
ჩამომეკიდა, მერე კი უცბად სახეზე საიდუმლო იერი გამოეხატა და განზე  
გაგვიყვანა. — მიგელის დარდი მკლავს... კიდევ მოუარა, გოგოებო, არ ვიცო-  
რით ვუშველო. გუშინ ისე წამოუარა... გეხვეწებით, აღერსიანად მოეპყარი!

მაგდა ისე შემოგვეცქეროდა, თითქოს ჩვენს ხელთ ყოფილიყოს მიგელის  
ბედ-იღბალი, მაგრამ მალე ისევ კარგ გუნებაზე დადგა.

— მეგობრები ისე მოვიბატონე, მისთვის ერთი სიტყვაც კი არ ჰითქვამს.  
საბრალოს მარტოობა კლავს და იქნებ ახლა ცოტა გამხიარულდეს. წავიდეთ,  
გაჩვენებთ.

მაგდას მეგობარი ჭალები, კარტს რომ თამაშობდნენ, მალაგის მაღალი  
საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ. მივხვდი, მიცნეს: იდგნენ და მხო-  
ლოდ ფეხებზე მიცქეროდნენ. რამდენიმე წლის წინ, ვინ იცის, იქნებ შინაც კი  
მივსულვარ მათთან, ან ტელეფონით თუ წერილებით გული გამიწყალავდა და  
საზოგადოებრივი სამზარეულოსათვის დახმარება მითხოვია. ახლა კი წელგა-  
მართული ვიდექი. მათზე უკეთ მეცვა და ბავშვივით მიხაროდა, ასე დამცირე-  
ბულთ რომ ვხედავდი. რაფაელი მოიკითხეს, არ ვიცი, სად არის-მეთქი, ვუთხა-  
რი. ამით საუკეთესო საშუალება გამოვინახე და ვაგრძნობინე, რას მელაპარა-

კებით, სულ ერთია, ერთმანეთს ვერ გავუგებთ-მეთქი. როგორც კი შემთხვევა მომეცა, გავეცალე.

კედრების ძირში — აუზის მეორე მხარეს — აუარება ბალოშს, პამაკსა და რეზინის ლეიბს წავაწყდით. ჩამავალ მზესავით ვეებერთელა ხოსეფა ფერერო საქანელაში იჯდა. პირველად რომ ენახე, მაშინ ხოსეფა სიმსუქნის გამო თეატრებში ვერ დადიოდა — სავარძელში არ ეტეოდა, ხარების ბრძოლაზე მისი ქმარი იძულებული იყო სამი ბილეთი ეყიდა. ახლა კი ხოსეფა თუ არა ქალს, მაშინვე მივხვდი, კიდევ ერთი ბილეთის ყიდვა დასჭირდებოდა მის ქმარს.

— კლაუდია, ძვირფასო, როგორ გამახარე... — ხელი მარწუხებივით შემომხვია. სხვა გამოსავალი არ მქონდა, უნდა მეკოცნა. — რაფაელმა მითხრა შენზე, აქ არისო ჩემს რძალს არ იცნობ? სელია, გაიცანი, ეს კლაუდია ესტრადაა.

გრეგორიოს ცოლი დაბალი ტანისა იყო, უგემოვნოდ ჩაცმულ-დავარცხნილი; თუმცა სახეზე ველური, თითქოს უკმაყოფილო იერიც დაჰკრავდა, მაგრამ არც ისე ულამაზო იყო. მათ დაქორწინებაში, ეტყობა, თავად ოჯახები ჩაერივნენ. ოცი წლის გოგონას თამაშს უკრძალავდნენ; ის ხომ უკვე ცოლი იყო.

— სამი საათია, აქ ვზივარ, — ამოიოხრა ხოსეფამ. — ღმერთო, როგორ ცხელა!

მე მის გვერდით, ბალახზე დავეჯექი. ხოსეფა, ჩვეულებისამებრ, ლაქლაქს მოჰყვა. მივხვდი, დიდხანს ვერ გავუძლებდი და სედაას მივუბრუნდი: „თქვენ ნორჩი და ლამაზი გოგონა ხართ. თავს რად არ უვლით?“ ბავშვივით გაწითლდა. ხელი ჩაეკიდე: „წამოდით, მე მოგეამარებთ... გავალამაზებთ“. უამრავი ნივთითა და ხალიჩით მორთულ დიდ დარბაზში შევედით; თმა დავუვარცხნე, ლოყებზე რაღაც წითელი საცხი წაესვა. მოვაცილე, ტუჩები პომადით შევუფერადე. ძალიან მომწონდა, მორჩილად რომ იდგა — თითქოს მომეჯადოვებინოს. შერე სარკესთან მივიყვანე. თუმც უგემოვნოდ შეკერილი კოფთა ეცვა, სელია ახლა სულ გადასხვაფერებულიყო. შეშინებული დიდხანს უცქერდა საკუთარ თავს სარკეში. „ასე არ უნდა იცვამდე. ეს კაბა გაბერებთ“. „დედამთილმა მაჩუქა“, — ჩაიბუტბუტა სელიამ. მე კი, საკუთარი ხელობით აღფრთოვანებულმა, ვუთხარი: „თქვენ ერთი გრეგორიოს გეყოფათ მბრძანებელი“.

მე მიგელის სანახავად წავედი, სელია კი გაკვირვებული და ბედნიერი დავტოვე. მიგელი ტახტზე გამოთავყვანებული იჯდა. მაგდა შორიდან მამხნევებდა ღიმილით. ამასობაში დოლორესიც მოვიდა:

— ნეტავ ვიცოდე, რამ გამოგათავყვანა ასე?

მიგელი მთლად დაბნეული ჩანდა, არაფერი უპასუხა.

— სასაცილო ხარ, გესმის, სასაცილო! თუ მოგწყინდა, წადი აქედან. შენი ცოლი ახალგაზრდაა. შენ რომ არა, სხვას მოსძებნიდა.

— მეც მაგას ვეუბნები, — ამოიღუღლულა მიგელმა.

— იი, ხომ ხედავ, ერთი აზრისანი ვყოფილვართ! არავის არ უყვარს შენსავით ცხვირჩამოსვეებული კაცი. ალბათ ფული ვერსად დახარჯე, ხომ?!

მაგდა თითის წვერებზე შედგა და სახლში შეიპარა. გარეთ უკვე ბნელდებოდა. უცბად ჩუმი სიცილი და ლაპარაკი მომესმა. რაღაცას გვიმზადებენ!

მიგელს თვალები შუშასავით უბრწყინავდა. ცოტა ხანს დუმილი ჩამოწვა ბაღში. მერე საყვირის მჭახე ხმამ გადაგვიარა თავზე და მაშინვე ტერასაზე ხუბარები გამოცვივდნენ.

□ □



ქართული

ბალთასარს, რომანს, ლაურას, იმ თეთრთმიან ამერიკელ ქალებს, რომლებიც რომ მოსწონდა, და კიდევ ჩემთვის ერთ-ორ უცნობ კაცს კოჭებამდე ტუნიკები ჩაეცვათ, თავზე აბაჯურები და ჩაჩები ჩამოეცვათ. ჩიჩოს სათამაშო საყვირი გაეჩარა პირში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჰყვირებდა. ბალთასარმა გრაგნილი გაშალა: „ჩუმაღ, ჩუმაღ!“ — შეჰყვირეს აქეთ-იქიდან. ღრიანცელი ისევე სწრაფად შეწყდა, როგორც დაიწყო.

— ყურადღება, — თქვა რომანმა. — ახლა ჩვენს წინაშე სიტყვით გამოვა ბალთასარი. გახვრთ ყველამ მოიხადოთ ქუდი!

ბალთასარმა დაამთქნარა, გრაგნილი მოიმარჯვა, თვალებთან მიიტანა, თურმე უკუღმა ეჭირა, მანჭვა-გრეხით მოიხადა ბოდიში და ბოლოს სულ-მოუთქმელად ჩაიკითხა:

— მოისმინეთ მთავრობის ოფიციალური ბიულეტენი, კანონი საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ.

მუხლი პირველი: კატეგორიულად არის აკრძალული მოწყენილობა.

მუხლი მეორე: ის, ვინც მოიწყენს, ვალდებულია ათ წამში დატოვოს ქალაქი.

მუხლი მესამე: კანონი აღსრულებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ყველა ციხე-სიმაგრეში.

კანონს მინისტრთა საბჭოს სახელით ხელს აწერს და ბეჭდით განამტკიცებს ჟანდარმერიის გენერალ-ლეიტენანტი დონ ბალთასარ ალონსო მელა.

აქეთ-იქიდან ყვირილს მოჰყვნენ პროტესტის ნიშნად, სტვენაც კი წამოიწყეს. ბალთასარმა საათს დახედა და თვლას მოჰყვა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი! — მერე შუბლზე ხელი მიიღო, მიიხედ-მოიხედა და იკითხა: — ხომ არავინ წასულა? არავინ არ იძროდა ადგილიდან.

— მაშასადამე, არავის მოუწყენია! — წამოიძახა მან.

იქაურობა კვლავ მხიარულმა შეძახილებმა აავსო, ჰაერში ჩაჩები აფრიალდნენ. სიბნელიში მაგდაც შეუერთდა მათ შეუმჩნეველად: ისიც იცინოდა და ტაშს უკრავდა. მე მიგელს ვადევნებდი თვალს. საცოდავად იღიმებოდა. დოლორესის მწარე სიტყვებით გულის სიღრმემდე დაქრილი ბანგმორეულსა ჰგავდა. მივუახლოვდი, მინდოდა ცოტათი მაინც გამომეცოცხლებინა, მაგრამ მრეხვდი, ამაოდ დავშვრებოდი. ლაურა მოგვიახლოვდა. ზეწარს მიწაზე მოათრევედა.


— როგორა ხართ? როგორ გაატარეთ დრო?

მკლავში ხელი ჩამჭიდა, შუშაბანდისაკენ წამოყვანა და როგორც ველოდი, დოლორესზე გამიბა ლაპარაკი:

— ხედავდი, როგორ გვიცქეროდა? გეუბნები, ჩემი ყინი ჰქირს. გუშინ შე მოგვთავაზა, რემოში წავიდეთო. იცოდა, ყველანი იქ ვიქნებოდით, ისიც იცოდა, რომანი მიიწვევდა საცეკვაოდ, უარს ეტყოდა და ამით დაამცირებდა ქმარს.

სულ არ მსიამოვნებდა მისი ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვუგდებდი ყურს. ლაურამ მიამბო, რომანმა წუხელ ღამის სამ საათზე მიმატოვა, ასე მითხრა, დოლორესის საქციელს უნდა ჩავუფიქრდეთ, მერე, ეტყობა, იფიქრა, იფიქრა და ისევ ჩემთან მოვიდა.

— მკვდარივით მეძინა. უეცრად მესმის, ბაღში რაღაც ფანჯარას, შიშით გული გადამიქანდა. საბრალო რომანს ღობეზე გადმოხტომი მოუწია. ვინ იცის, რამდენს მელოდა. რატომ იცინი?



— შე? ისე.

რომანი რომ ამდენს დარბოდა ღამით ერთი ქალიდან მეორესთან, რატომღაც მომწონდა და როცა ბუფეტში შევეჩხე, გამეცინა.

— იცი რა? — რომანმა ხელი წამავლო. — დღითი დღე ლამაზდები.

— სჯობს, ღამლამობით მშვიდად იძინო.

— ღამე მარტო ძილისათვის კი არ არსებობს.

— აჰ, ძილისათვის არ არსებობს? მაშ, რისთვის არსებობს, ხომ ვერ შეტყვი.

რომანმა კატასავით მოილოკა ტუჩები.

— ფანჯარა ღიად დატოვე და გაიგებ, რისთვისაც.

— ვერ დავტოვებ. ცივა.

— რა მნიშვნელობა აქვს სიცივეს.

ბაღში მივსერილობდით, ბუჩქებს რომ ჩავუარეთ, კოცნა დამიპირა. ვუთხარი, თუ შეიძლება, დაწყნარდი-მეთქი.

— ქალებს უყვართ, კატებივით რომ უაღერსებენ. აი, მაგდა, მაგალითად...

ჩვენ ჩიჩოს გვერდით დავსხედით ბაღში. სელა ბუფეტისაკენ წავიდა ვიღაც აჩაჩულ-დაჩაჩულ ვაჟთან ერთად. სენიორა ფერერო სულს ძლივს ითქვამდა: „ჩემი გოგონა ოქროა. აქ მას შემთხვევით შეხვდით — პირველად გამოვიდა ხალხში. რაც გრეგორიოს ცოლი გახდა, სულ ერთად ვართ“. მიგელი სულელივით იღიმებოდა, მაგდა კი მუხლზე დაუჯდა და თმაზე ხელი გადაუსვა: „ბალთასარი შეუღარებელი იყო. ხომ იცინოდით?“ პასუხად ყველამ დაუქნია თავი. ჩიჩო წამოდგა და განაცხადა: ყელი გაგვიშრა, ხომ არ გაგვესველებინაო?

კაცები ბერესისა და ვისკის მოსატანად გაიქცნენ. მე კი რეზინის ლეიბზე წამოვწექი დოლორესის გვერდით. ახლა მთვარე გაცრეცილ ფერგადასულ შედალსა ჰგავდა. მისი შუქი თავს გვირგვინად დასდგომოდა ფიჭვებს. ვგრძნობდი, ისევე ხელ-ხელა მეუფლებოდა სუფთა ჰაერის სიყვარული, როგორც მაშინ, რაფაელის გაცნობამდე მშობლებთან ერთად რომ ვიჯექი ხოლმე აივანზე. დოლორესმა იცოდა, დუმილი როდის იყო საჭირო.

პირდაპირ აღტაცებასა მგვრიდა მისი მიხვედრილობა.

— დღეს რაფაელი ენახე თავის მეგობარ ქალთან ერთად, — მითხრა მან. — იცნობ იმ ქალს?

ამ ბოლო ხანებში არ ვიცოდი, რაფაელი ვისთან ერთობოდა. დოლორესს მაინც ვკითხე, ნიკოლი ხომ არ იყო-მეთქი. დოლორესი შეფიქრიანდა.

— ფრანგია, ბაღენსიავას მოდელსა ჰგავს, საკმაოდ ლამაზია...

— ჰო? რას წარმოადგენს?

— არ ვიცი. რაფაელი „პატარა ზღვაში“ იყო მეგობრებთან ერთად და არ გაშაცნო.

— არც მე მისაუბრია მასთან. ამ ზაფხულს ორივენი ერთად გაემგზავრ-  
ნენ და ვიღოდი, აქაც ერთად ჩამოვიდოდნენ.

— ეტყობა, შენი ქმარი არ არის მონობოლისტი.

— ნუთუ?

— ერთი იტალიელი არისტოკრატი „ალფარომეოთი“ აკითხავს ხოლმე ამ  
ქალს შინ.

— იმედია, რაფაელი ვერასოდეს გაიგებს ამ ამბავს — ის  
ისეთი მგრძნობიარე კაცია...

დოლორესმაც გაიღიმა. ჩიხომ ჭიქები მოგვიტანა.

— ხერესს დალევთ თუ ვისკის?

მე ხერესი ვირჩიე და ერთბაშად გადავკარი. მშვენიერმა სამხრეთულმა  
ღამემ მონაჯადოვა: სურნელებით გატენილი სიო ქროდა, ზღვაც იქვე ფშვი-  
ხავდა. გიტარა და სევილიანი სიმღერაღა გვაკლდა. მსიამოვნებდა ხერესი, ისიც  
მსიამოვნებდა, ცინიკურად რომ ვიყავი განწყობილი და თან დოლორესთანა  
ქალს ვესაუბრებოდი ქმრის გაურკვეველ მომავალზე. პარჩხში კაცი ერთობ  
მშფოთვარედ ცხოვრობს, მხოლოდ მაღაგაში თუ შეიცნობს სიმშვიდის ფასს.

საუზმის შემდეგ (ლაქია ლივრეაში იყო გამოწყობილი) ჰაერი დამძიმდა.  
ელენი ქმარს ხელიდან დაუძვრა და ვილაც ულამაზო კაცთან ერთად მოგვევ-  
ლინა. ბალთასარს უნდოდა კვლავ სიტყვა წარმოეთქვა, მაგრამ ხმაური იდგა  
და ისიც უკმაყოფილოდ გაილალა. გრეგორიოს ცოლი და ყმაწვილი კაციც  
გაიპარხენ. სენიორა ფერერო ხვნეშით წამოდგა: „სელია, გოგონი, სად ხარ?“  
მას არავინ გამოპასუხებია. გაძეციანა. მთლად მოშვებულ მიგელს სახეზე ერთი  
კუნთიც არ უთრთოდა.

— გაეთრიე, — კბილებში გამოსკრა დოლორესმა. — რაღას უცდი? ათი  
წამი კარგა ხანია გავიდა. რამდენჯერ უნდა გითხრა, გუნებას გვიფუჭებ!

როგორც კი მთვარე ღრუბლებს მოეფარა, მაგდა სკამზე შეხტა და შე-  
მოგვეთავაზა, ვიბანათო...

— თანაც შუქს ჩავაქრობ, სიბნელეში ვიბანავებო... თანახმა ხართ?

მაგდას სიტყვებს ყველანი ტაშით შეხვდნენ. მე ტანსაცმელი გავიძრე.  
სიბნელეში ბალს სულ სხვა იერი დაჰკრავდა. აუზში მკრთალად ილანდებოდა  
ღრუბლიანი ცა. კედლების ძირში ლანდები დაბორიალობდნენ. ვილაცამ შეჰყ-  
ვირა და წყალში ჩახტა. დოლორესი უძრავად იჯდა თავის რეზინის ლეიბზე.

— შენ არ იბანავებ? — ვკითხე დოლორესს.

— არა, შენ წადი. — დოლორესს ხმა უკანკალებდა, მიგელის წვალება თუ  
განიზრახა, გავიფიქრე მე. კაბა დავეცე, ბალახზე დავდე და აუზისკენ გავწიე.  
რემ გვერდით თეთრი ლაქა ქანაობდა.

— რომელი ხარ?

— ლაურა ვარ. ერთად წავიდეთ.

წყალში უხმაუროდ ჩავეშვით. წყალი საოცრად თბილი იყო. სენ-ტრო-  
ბეზში გატარებული ზაფხულის შემდეგ მთლად შიშველს ჯერ არ მიბანავია.  
ახლა კი ცელქ მოსწაელე გოგონასავით შეჭირა თავი. ორჯერ გადავცურე  
აუზი ერთი ნაპირიდან მეორემდე. ლაურა გვერდიდან არ მშორდებოდა. საიდ-  
ანლაც შესმოდა აღგზნებული ჩიხოს სიცილი. მერე ვილაცამ ჩაყვიხთა ჩვენს  
მანლობლად. ეს რომანი იყო. ყოველნაირად ვცდილობდი მის მკლავებს დავსხ-

ლტომოდი. როცა წყლიდან თავი ამოვყავი, ლაურა დავინახე, წყალში ჩაშვებულ კიბეზე იდგა და თვალს არ მაშორებდა, რამდენიმე წამს რომანი სელაპივით ფრუტუნებდა. კვლავ მომიახლოვდა. „გინდა დამალობანა ვითამაშოთ?“ — მკითხა მან, ჩაყვინთა. უცბად ქერათმიანმა ამერიკელმა ქალმა, ჩვენს მახლობლად რომ ბანაობდა, შეჰკივლა. ეტყობა, ამ ყვეფის შედეგად და იმას უჩქმიტა ფეხზე. გავბრაზდი და წყლიდან ამოვედი. აუზი ცოლის გუფთებით სავსე ქვაბსა ჰგავდა.

შემცივდა, კაბის საძებრად გავიქეცი. მთვარე მკრთალად ანათებდა ღრუბლებიდან. დოლორესი კვლავ უძრავად იჯდა და აუზში მკრთალად მოლივლივ წყალს ჩასჩერებოდა.

— კარგად შეიმშრალე. მაგდამ პირსახოცი მოიტანა.

ეტყობა, რომანი ჩუმჩუმად განაგრძობდა თავის საქმეს. ქალები კისკისებდნენ, თან ვითომ უჯავრდებოდნენ, წყლის შხეფები ჩვენამდეც კი აღწევდა. ამ დროს სენიორა ფერეროს ხმა მომესმა:

— ჩვენთან ერთად წამოხვალ, გესმის, ცულლუტო გოგონა!

სწრაფად ჩავიცვი. მთვარე სადაცაა ღრუბლებს თავს დააღწევდა. დანარჩენებიც სწრაფად ამოვიდნენ წყლიდან. ერთი მალაგელი ქალი ყველას ეკითხებოდა, კაბა რომელმა ეშმაკმა დამიმალაო. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ჩიჩომ ლათინურად ლოცვა აღავლინა და დედისობილა შეუდგა ვარჯიშს.

— სად არის ჩემი კაბა?

ქერათმიანმა ამერიკელმა ქალმა, როგორც იქნა, მონახა თავისი კაბა, კაქტუსებზე დაეკიდა ვილაცას. კაბა ეკლებით იყო სავსე. ქალი გაჰყვიროდა, ამ კაბის აქ ჩამომკიდებელი ციხეში უნდა ჩასვანო. დოლორესმა მითხრა, ერთ მეგობარს პაემანზე უნდა შევხვდე და თუ წამოხვალო. გულით მინდოდა აქაურობას გავცლოდი და სიამოვნებით დავეთანხმე. ორივენი გასასვლელისაკენ გავეშართეთ.

— ჩქარა, რომანმა არ დაგვინახოს, — ჩამჩურჩულა დოლორესმა.

გზად არავინ შეგვხვედრია. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ნეტავ ვინ არის ის კაცი, დოლორესს რომ ხვდება ყოველ ღამე-მეთქი. კითხვით კი დოლორესს არაფერი ვკითხე. ბაღის შესასვლელში ხეები ფარნების შუქს გაენათებინა. ჭადრების ჩრდილს ვილაცეები შეეფარნენ. მათი ჩურჩულიც კი მოგვესმა:

— მეტი აღარ შემიძლია, გეფიცები, მოთმინების ფიალა ამეცსო... სხვასთან თუ გინდა წასვლა, წადი ბარემ. არ მინდა, ვითმენდე ამ...

მაგდა და მიგელი იყვნენ. ჩვენი ნაბიჯები რომ შეესმა, მაგდა ჩრდილიდან გამოვიდა და სახეზე ღიმილი აიფარა:

— უკვე მიდიხართ? ჯერ ხომ თორმეტი საათი არ არის. ბეტი და დები რიჩარდსონები შეგვპირდნენ, მოვალთო. ბეტიმ თქვა, იმდენ საანტერესო ამბავს გეტყვითო... არა, ძვირფასო?

მიგელს კრინტი არ დაუძრავს. მომეჩვენა — დიახ, ალბათ მომეჩვენა — ის ტიროდა. მაგდამ გამოგვაცილა.

— საშინელებაა. ეჭვიანობს, ასე ჰგონია, ვატყუებ, ვღალატობ. რა ვქნა?

დოლორესმა ფეხები ნერვიულად დააბაკუნა, არაფერიც არ ქნაო.



— ვერ დავაჯერე. მაგას ჰგონია, შებრალება და იმიტომ მიყვარს. ო, ალბათ გავგიჟდები...

სტუმრები შუქის ანთებას მოითხოვდნენ. მაგდამ ბოლიში მოგვიხადა და ჩვენც მანქანაში ჩავსხედით. კარიუელას ქუჩებში კაცის ჰაჭანება არ იყო. კარს რემოდან საცეკვაო პანგები მოჰქონდა. ფარდულში ვიღაც პირი შეყუ-  
ფულიყო და რომელიღაც სახლის მშენებლობას დარაჯობდა. დოლორესმა  
მთხოვა, პაპიროსს მომიკიდეთ. მეც მოვუკიდე და მივაწოდე.

— ხვალ რას აკეთებ?

— ხვალ რაფაელის მშობლები უნდა ენახო. ჯერ არ მინახავს.

— საწყენია! ვიფიქრე, რონდაში ან სადმე წავალთ-მეთქი. კვირა დღეს აქ  
რა უნდა გააკეთოს კაცმა!

ჩემს სახლთან შევჩერდით. დოლორესს ვაკოცე გამომშვიდობებისას. ჩემს  
ოთახში ტანთ ვავიძრე და წიგნის საკითხავად წამოვწეჭი, თან წინასწარ დასა-  
ძინებელი წამალი დავლიე და ველოდი, როდის ჩამეძინებოდა. ფანჯარა ჩაკე-  
ტილი იყო, ვინ იცის, იქნებ დაუპატიებლად მესტუმროს-მეთქი ვინმე. როცა  
იმლამინდელივით წყნარი კაკუნი შემომესმა, აღარ მიფიქრია, კარს ქურდები  
მომადგნენ-მეთქი.

— კლაუდია!

— რა გინდა?

— რომანი ვარ... ფანჯარა გამიღე.

— მეძინება.

— მხოლოდ ერთი წუთით შემომიშვი, რაღაც უნდა გითხრა.

შეშინოდა, კაკუნზე ერმინიასა და ბავშვებს არ გამოლვიძებოდათ. ფეხის  
ცერებზე მივედი ფანჯარასთან.

— მითხარი, რა გინდა. გისმენ.

— არა, ასე ვერ გეტყვი.

— ხვალ მოდი.

— ხელს არ შეგიშლი, გეფიცები. როცა მეტყვი, მაშინვე წავალ.

მომბეზრდა მისი სიჯიუტე.

— მართალს ამბობ?

— ჰო.

— ერთ წუთს დამიცადე.

ხალათი მოვიცვი და ფანჯარა გავაღე. რომანი ნამდვილ ლოველასსა ჰგავ-  
და. მელოტი და ულვაშა კაცი იყო. კიბე ფანჯარას ვერ წვდებოდა, მაგრამ  
იგი ოთახში ერთი ნახტომით გაჩნდა.

— გამარჯობა.

— იქნებ ახლა მაინც მითხრა, რა გინდა?

— არაფერი. მინდა ცოტა ხნით მაინც დავწვე შენთან.

— მაშინ გიჯობს საიდანაც მოსულხარ, იქ წახვიდე.

— არა, აქ დავრჩები.

კოსტიუმი გაიძრო, ღრმად ამოისუნთქა და საწოლზე გაიშლართა.

— როგორ მომწონს აქაურობა.

— იცოდე, რაფაელს ვეტყვი.

— უთხარი, ახლაცე უთხარი, ვითომ არ იცი, მალაგაში თავის მეგობარ

ქალთან რომ არის ახლა... — მშვიდად მოუკიდა სიგარას და ხელები თავ-  
ქვეშ ამოიღო. — მოდი.

— არა.

— გეშინია, დოქტორესი არ მოვიდეს?

— ო, არა, ლაურაზე ეფიქრობ. საცოდავი ქალი ოცნებობს, შეივან შვი-  
ლი ეყოლოს... — მინდოდა გამებრაზებინა, მაგრამ ის ჩემს სიტყვებს აინუნ-  
შიც არ აგდებდა.

— ლაურა ერთი ჩვეულებრივი ქალია. არც მეტი, არც ნაკლები. როცა  
სხვა გზა არა მაქვს, მას მოვიჩინებ ხოლმე. აი, შენ კი სულ სხვა ხარ.

— ჰო? ძალზე სამწუხაროა, მაგრამ მე სხვა გზა მაქვს... აბა, ახლი წადი!  
რომანი არც განძრეულა. პირსაბანის ონკანი მოვეუშვი და სურა წყლით  
აეავსე.

— მიდიხარ?

— არა.

— იცოდუ, დაგასხამ.

— დამასხი.

— გაბრაზებულმა დავასხი. რომანი არც ახლა განძრეულა. მეორედ წავედი  
სურის ასავსებად, მესამედ, მეოთხედ, ის კი იცინოდა და იცინოდა. საწოლში  
გუბე დადგა. მეხუთედ რომ დავაპირე დასხმა, ხელები ამიკახკალდა და მუხ-  
ლებშიც ძალა გამომელია. რომანი წამოდგა და თავისკენ მიმინიდა...

II

მხოლოდ ერთხელ ვუღალატე რაფაელს და ისიც მაშინ, როცა ერთმანეთი  
გვიყვარდა — აქამდე მის გარდა სხვა მამაკაცი არ ვიცოდი. არც არასოდეს  
მიამბნია მისთვის ის ამბავი, რომელიც ჯვრისწერამდე მოხდა. მაშინ რაფაელი  
ჯარში იყო გაწვეული, მე კი დღეში თითქმის თოთხმეტ საათს ვმუშაობდი  
სამხედრო ჰოსპიტალში, გუადალმედინას გაღმა. მოტრილიდან მომავალი  
სანიტარული მანქანები ავსებდნენ და ავსებდნენ პალატებს თავიანთი საში-  
ხელი ტვირთით. ვის არ ნახავდით აქ: საჭაერო თავდასხმის დროს დაშავე-  
ბულთ, ქვემეხის ყუმბარებით დასახიჩრებულთ, უფეხო, უხელო და დაგლე-  
ჯილ-დაბრმავებულ ადამიანებს. მაღაგაში საქმე ცუდად მიდიოდა, მეც ერთი  
წუთითაც არა მქონდა მოცალეობა. მართალია მ თებერვლის მერე განაჩენის  
აღმსრულებელ ჯარისკაცებს ფორმა გამოუცვალეს, მაგრამ სხვაფრივ არაფერი  
არ შეცვლილა, ხოცვა-ჟლეტა კვლავ გრძელდებოდა. ისინი, ვინც ერთ დროს  
ჩემი მშობლები მხოლოდ ფალანგისტობისათვის დახვრიტეს, ახლა თავითონვე  
ისჯებოდნენ სხვებთან ერთად, ვინ იცის, იქნებ უღანაშაულო ხალხთან ერთა-  
დაც კი. სულ ახლახან სასოწარკვეთილი ცვდილობდი გამეგო ნათესაების  
ბედი, თანაც კოშმარული, უძილო ღამეებისა და ციხეებში ხეტიალის მერე  
უნდა გამოვსულიყავი და დამეცვა ჩემი მეზობლის ვაჟი ან მეგობრის ქმარი,  
რომლებიც ოცდათექვსმეტ წელს რესპუბლიკის მხარეზე იყვნენ. ეს იყო  
შრომისა და მარტობის მძიმე წლები; ის წლები, როცა არ ვიცოდი სხვა  
სიმშვიდე, გარდა რაფაელთან ხანმოკლე შეხვედრებისა, როცა ბრძალ მწამდა

ჩვენი საჭმის სამართლიანობა, ჰოსპიტალში ჯარისკაცებს ჭრილობას ვუხვევდი, ვაჭმევდი და ვასმევდი, ვბანდი, წერილებს ვუწერდი და ვუკითხავდი. ზოგს კიდევ შევუყვარდი, მეც ვცდილობდი მათთვის თანაგრძნობა გამეწია, იმაზეც ვფიქრობდი, ჩემს ადგილზე რაფაელიც ასე მოიქცეოდა-მეთქი, რომ მშობის ილუზიასა ქმნიდა. ყველანი ერთი ოჯახის წევრები ვიყავით. სიბნელე იცოდა, ერთი თვის მერე ვის რა ბედი ეწეოდა, ცოცხალი გადარჩებოდა თუ უშუბარის მსხვერპლი გახდებოდა.

ჩვენს პალატაში ერთი ხაენელი მჭედელი იწვა, ტყვიამფრქვევს სულ დაეცხრილა, დანარჩენი დაჭრილებისაგან არაფრით არ გამოირჩეოდა. ყოველდღე ვბანდი ჭრილობას, ვაჭმევდი. თვითონ ცოტას ლაპარაკობდა, — ძალით წაუყვანიათ ობში, — პირველად უნდობლადაც კი მიცქეროდა. მუდამ მშიერი იყო, კარტოფილს პირდაპირ ხელთ ჭამდა, ჩანგლის ხმარებაც კი არ იცოდა. იშვიათად თუ გადამიხდიდა მადლობას, ისიც მხოლოდ უსიტყვოდ, ღიმილით. რაც ჰოსპიტალში იწვა, ერთი-ორი სიტყვა თუ გვითქვამს ერთმანეთისთვის. მალე გამოჯანმრთელდა. ერთხელ ღამით, ჰოსპიტლიდან რომ გამოეწერა, ზედ კარებში შევეჩხეხე. ვედრებით შემომცქეროდა, — ზუსტად ისე, სადილს რომ მივუტანდი ხოლმე. მაშინვე მივხვდი, სხვა შინშილი კლავდა და ახლა მას არავითარი საჭმელი არ გააძლებდა. იმავე ღამეს, შუა მინდორში ისე დავაბურე ჩემი სხეულით, თითქოს ჭრილობა მომებანოს, ან უგრეხელის ფაფით სავსე თუფში მიმერთმიოს მისთვის. სიბნელეში უსიტყვოდ დავემშვიდობებთ ერთმანეთს, მხოლოდ ეს იყო, ხელზე მაკოცა და მითხრა: „მადლობთ, დაო“.

სახელიც არ მიკითხავს მისთვის. ქუჩაში რომ შემხვდეს, ალბათ ვერც ვიცნობ არადა, ყოველთვის, როცა კი უკუხუთრი რომანტიზმით გრძნობამორეული დაფიქრებულუარ, მუდამ ერთი და იმავე აზრს დავუტანჯივარ, ნეტავ შეიძლებოდეს წარსულის დაბრუნება, ერთხელ კიდევ რომ შემახვედრა ის ჯარისკაცი. მაშინ ხომ სულ სხვაგვარად წავიდოდა-მეთქი ჩემი ცხოვრება. ჰოდა, ახლა მიძინარე რომანს რომ შევცქეროდი, ვიგრძენი ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობის ის მწველი, ვერაგი და მტანჯავი ტკივილი, ომის წლების გახსენებაზე რომ წამოპყოფს ხოლმე თავს.

□ □

რომანის წასვლის მერე, რვა საათამდე მკვდარივით მეძინა. ცუდ გუნებაზე ვამეღვიძა, დღე კი დიდებული იყო. ნეტევზეთა ქოხების იქით ზღვა ათასფრად ბრწყინავდა და ლივლივებდა. ერმინიამ ფინჯანი ყავა მომიტანა, ვთხოვე, ღამის პერანგი გამომიცვალე-მეთქი. დღე სიცხესა და მოწმენდილ ზეცას გვპირდებოდა. გახურებულ ჰაერს უკვე დაეკარგა მკვირვალეობა, ცაზე პაწაწინტელა ღრუბელიც კი არსადა ჩანდა. საცაა მატერიკიდან ქარიც დაუბერავდა.

ვიბახავე, კოფთა გამოვიცვალე და ბაღში ჩავედი. რომანს, ეტყობა, უფიქრია, სიფრთხილეს თავი არ სტკივარ, და კიბე კედლიდან ხეზე გადაუტანია. რაფაელის მანქანა გარაჟში იდგა. წერილი დავუტოვე: მალაგაში მივდივარ-მეთქი, და ოთახის კარზე მივაშაგრე. ერმინია ჭიშკრის გასაღებად გაიქცა.

ჯერ დილის ცხრა საათიც არ იყო და ქუჩებს უკვე ყრიამული შესდგომოდათ. მოედანზე მანქანა გავაჩერე ბენზინის ჩასასხმელად და მერე კიოსკშიც მივაკითხე „დიგამეს“.

— ჯერ არ მიგვიღია, — მიბასუხეს.

— განა „დიგამე“ შაბათობით არ გამოდის?

— დიახ, შაბათობით გამოდის, მაგრამ ამ კვირაში კაფე-ქაბა, ალბათ ფოსტა...



ბიზლიქსიქა

ვიცოდი, ანდალუსიაში ვიმყოფებოდი და ამ საქმესაც აღარ ჩავეჭიე. „ცენტრალურის“ ტერასაზე ერთი ფინჯანი ყავა კიდევ დავლიე. ავტობუსები დამსვენებლებს აევსოთ. გადავწყვიტე, მთელი დღე მალაგაში გამეტარებინა. თითქმის ექვსი წელიწადი გავიდა, მალაგაში არ ვყოფილვარ. ახლა მომინდა მარტოკას გამენავარდებინა მის ქუჩებში. თუცა წუთიც კი არ დამჭირვებია ქალაქში მისვლამდე. ტეტუანის ხიდი გავიარე, ფიკუსების ჩრდილშიც ვინებოვარ, მერე მარცხნივ ლარიოსის ქუჩისაკენ გავუხვიე და ხოსე ანტონიოს მოედანზე გავაჩერე მანქანა.

— აი, მეც აქა ვარ.

ასე მეგონა წარსული ერთი ხელის მოსმით წარიშალა-მეთქი, გული გამაღებოდა მიცემდა მკერდში. მანქანიდან რომ გადმოვედი (ჩემს მანქანას პარიზული ნომერი ჰქონდა), ტურისტული კანტორის აგენტი მომიანლოვდა და ერთ-ერთი ოტელის მისამართი მითხრა. ბევრი ვიხეტიალე იმ უბანში, სადაც ჩემი დედამთილ-მამამთილი ცხოვრობდნენ. მოვიარე გრანადას, კალდერერას, მენდეს ნუნესის ქუჩები და ბოლოს წმიდა იულონის კედელთან, მაგნოლიის ძირში შევჩერდი. ეს ადგილი ყველაზე მეტად მიყვარდა მთელს მალაგაში. ახლაც მანამდე ვიდექი იქ, სანამ ახლომახლო სახლებში ფანჯრები არ გაიღო და ცნობისმოყვარე ადამიანებმა არ დამიწყეს ისეთივე დაჟინებული თვალთვალი, რა დაჟინებითაც მე შევცქეროდი ხეს. მერე ჩემი ძველი მარშრუტი გავიხსენე და მალა ავუყვები ოლერის ქუჩას საზოგადოებრივ სამხარეულომდე. უცბად ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს დრო შეჩერდა და წლებიც სადღაც გაჭრნენ. აქ ყველაფერი ისევ ძველებურად იყო: ქუჩებში ჩაბინძურებული დედაკაცები და ტიტლიკანა ბავშვები დაძრწოდნენ. გამყიდველები ყვირილით უხმობდნენ გამვლელებს: „იყიდეთ საუცხოო ყურძენი... წყაროს წყალივით გემრიელი ქორფა ნესვი! სულ იაფად იყიდება თასები, ქოთნები, ნიხარული დოქები!..“ ბოშები უგულოდ იკაზმებოდნენ თავიანთი ვირების გვერდით, მლესავს თავისი სალესი ჩრდილში დაედგა, ფეხს რიტმულად აჭერდა სატერფულს და ნავახას<sup>1</sup> ლესავდა.

სულ მალა და მალა მივყვებოდი პოსტიგოს მიხვეულ-მოხვეულ აღმართსა და პატარ-პატარა ქუჩებს. ბავშვობაში მამა მხრებზე შემისვამდა და ისე ამოვყავდი ხოლმე აქ, რათა ხელისგულივით გადაშლილი ქალაქისათვის გადამეხედა. ახლა კი მცხუნვარე მზემ და ქოხებიდან გამომავალმა სუნმა შემაწუხა და მთის წვეროზეც ვეღარ ავედი. დადმართს რომ დავუყვები, ბავშვები დამედევნენ. მოწყალეებასა მთხოვდნენ. უნებურად გამახსენდა მაგდა და ის მგრძნობიარე ქალებიც, პარიზში რომ მეუბნებოდნენ, ესპანეთში

<sup>1</sup> დასაკვეთი დანა (ესპ.).

არამც და არამც არ წავალთ დასასვენებლად, მათხოვრების დანახვაზე აუად გახდომისა გვეშინიათ. თ, როგორ მონინდა ახლა აქ, ამ მცხუნვარე მზის ქვეშ, ამ ჩაბინძურებულ ბავშვებთან და ბუზებთან შენახა ის ადამიანები და სასაცილოდ ამეგდო მათი ფარისევლური გულჩვილობა. *Peut que les choses resteront pareilles, je ne mettrai pas les pieds dans votre pays*<sup>1</sup>. ესპანური რეჟიმისათვის და ამ უბედურთათვისაც სულ ვერცერთი დაადგამდნენ თუ არ დაადგამდნენ ისინი ფეხს ესპანურ მიწაზე. ვერცერთი უსვრელად სურდათ სინდისი მშვიდად ჰქონოდათ, ეს კი, ჩემი აზრით, გაიძვერობაზე უარესი იყო. თავს იტყუებდნენ, როცა ამბობდნენ, ხალხისათვის შეგვეტვივაო გული. სინამდვილეში საკუთარ ტყავზე ფიჭრობდნენ!

რაფაელის მშობლები ტურკოს მოედანზე, ძველი ყავახანის თავზე, ბოლო სართულზე ცხოვრობდნენ. სახლი გასული საუკუნის დასასრულს ავშენებინათ და იმ დროში ალბათ ერთ-ერთ საუკეთესო შენობადაც ითვლებოდა. რაფაელის ბაბუა, დედის მხრიდან, წლების განმავლობაში ემსახურებოდა კლიენტებს თავის სანოტარო კანტორაში პირველ სართულზე. მერე შენობა თანდათან დაძველდა. ომი რომ დაიწყო, იქ უკვე რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მარმარილოს დიდებულ კიბეს დაკარგვოდა ძველებური ბრწყინვალება. კიბეზე ასეღისას შევამჩნიე ათასნაირი ნაბატებიოთა და წარწერებით აჭრელებული კედელი. იმ ოთახის კართან, სადაც ახლა ვაპირებდი შესვლას, ლურსმნით მიეკედებინათ ლითოგრაფია წმიდა გულის გამოსახულებით. ეს ლითოგრაფია ტრინამ 1933 წლის 18 ივლისს ჩამოხსნა და მანამდე არ გამოუკიდია, სანამ ქალაქში ნაციონალური ჯარი არ შემოვიდა. თუ არ ჩავთვლით ამ ხანმოკლე ჩამოხსნას, ლითოგრაფია მუდამ თავაზით ხვდებოდა მეგობრებსა და სტუმრებს, ყველას, ვინც კი ზარის დილაკს თითს დაატყერდა.

ლაურეანომ მიცნო და გადამესვია. მამამთილი ძალზე გამოცვლილი, დაზიანებული და დაბერებული მეჩვენა. მთელი თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ჯანმრთელობის შენარჩუნებას მოანდომა (ოცდაორი წლისა იყო, კუჭის წყლული რომ აღმოაჩნდა და აქამდე ვერაფრით ვერ მოეშორებინა), დანარჩენ დროს კი კლავდა „აბც“-ს კითხვასა და ყავახანაში მეგობრებთან საუბარში. „ტრინა, ჩქარა მოდი! — შეტყვირა მახ. — კლაუდია ჩამოვიდა!“ ძალზე აღელვებული შემიძღვა სასადილო ოთახში. ამასობაში საგარეო კაბაში გამოწყობილი ტრინაც შემოვიდა. „კლაუდია, შეილო, როგორც იქნა, გნახე... აბა, ერთი ჯარგად დაქნახვე“. ფანჯარასთან მიმიყვანა. წამით მეც შევაავლე თვალი დედამთილის დანაოჭებულ სახესა და წაბლისფრად შეღებილ თმას. ყოველნაირად ვცდილობდი, რაფაელზე არ ჩამოეგდოთ საუბარი, არაფერი ეკითხათ მასზე, მაგრამ, საბედნიეროდ, ტრინა ერთობ ჩაძირული იყო საკუთარ სამყაროში და სულაც არ აინტერესებდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. წუწუნს მოჰყვა, ავად ვარო, მერე კი თავის ქალიშვილს მარია-ლუისას დაატყდა თავს რისხვად: „როგორ არიან მისი შვილები? ისევ რაფაელთან ცხოვრობენ?“ მე ერთი-ორი გაუგებარი სიტყვა ჩავიღუღლულე. ტრინამ კი ქანდაკებებითა და სურათებით თავსე, ბნელსა და ჩაყამებულ ოთახს მოავლო თვალი: „ჩემს დროს ხალხი სხვანაირი იყო, შეილო... ჩვენი წრის ხალხს ყველგან იბატყებდნენ. კაცები

<sup>1</sup> სანამ ვფელიაგო ასეა მოწყობილი თქვენს ქვეყანაში, ფეხსაც არ დავადგამ იქ (ფრანგ.).

ნამდვილი კაბალეროები იყვნენ, ახლანდელს კი არა ჰგავდნენ, ღმერთმა რომ არ იცის, საიდან მოსულან. სადღაა ძველებური მალაგა, მოკვდა, გაქრა. თვალი მოავლე ჩვენს ბინას და მიხვდები, აქ რატომ ვიკლავ თავს. სიბერე ყველას და ყველაფერს ერევა, შვილო...”

ეს იყო მისი ჩვეულებრივი ლიტანია და მეც რაც შემეძლო ვუძღვებდი. სინამდვილეში ტრინას ჯერაც ვერ მოენიღებინა, რაფაელმა კი უკვე მოეხიფა ცოლად (ჩემისთანა ქალიშვილები არ უყვარდა). სანამ ლაურეანო მისი კარს ატოვებდა, დღამთილი იმ წლების ამბებს მიცვებოდა, როცა „მალაგა ჯერ კიდევ მალავობდა“. მერე არც აცია, არც აცხელა და ერთი-ორი ანეკდოტიც მიიყოლა ბირველი მარკიზას დე ლარიოსის ელეგანტობაზე. „ამ დამთხვეულებმა მისი ქანდაკება რომ ზღვაში გადააგდეს, იმ დღიდან მკერდში რაღაც ჩამწყდა და გონსაც ვერ მოვსულვარ...“

ლაურეანომ ფინჯნები შემოიტანა, თან ქათინაურით შეამკო ჩემი ჩაცმულობა. გული მტკიოდა, ასე დაბერებულსა და დაგარდნილს რომ ვხედავდი; ყოველნაირად ვცდილობდი მოსიყვარულე რაღის როლი შეთამაშა. „ყოველ საღამოს მივადგები ხოლმე ფერანდისის ფერდობს, სადაც შენი მშობლები დახოცეს. ჩემს ბებერ ფეხებსაც უხდება ის გზა... მე და ტრინას ძალიან გვიყვარდა შენი დედ-მამა“... ლაურეანო ამას ისე ამბობდა, თითქოს რაღაცისა რცხვენიაო. ხელზე ხელი მოეუთათუნე, ოდნავ აღელვებული და შემცბარი შევცქეროდით ერთმანეთს. ტრინა უცბად აფუთფუთდა. საათს დახედა და მკითხა, ეკლესიაში ხომ არ წამომყვებიო.

— როგორც გინდათ. — ვუთხარი მე.

ჩემთვის სულ ერთი იყო, სად წავიდოდი, მკლავი მკლავში გავუყარე და კიბეზე დავეშვი. საღარბაზოში ტრინამ სახეზე საგულდაგულოდ შეიფრქვია პუდრი. ეს იყო საკვირაო რიტუალი, გასეირნება: თანაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, „რას იტყვის ხალხი“. ყოველ ნაბიჯზე ნაცნობები ესაღმებოდნენ. მერე ორი შინაბერა დაძანახა: „მარცხნივ რომ ქალი დგას, იმას რაფაელი უყვარდა. მიესალმე“. მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა ტრინას ეამაყებოდა და მეც თავი დავუკარი ქალებს.

თუმცა ტორემოლისისი იტვე, მეზობლად მდებარეობდა, მალაგაში საზოგადოება მაინც არ შეცვლილიყო. მდიდრები კვლავ ქორებს იყვნენ გადაყოლილნი და არაფერს აკეთებდნენ. მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალეობასათვის იხარჯებოდა სიტყვები, ენერჯია და ფული. გამახსენდა 1936 წლის ზაფხული. როცა ეს ვაჟბატონები, ახლა რომ ღირსეულად უჭირავთ თავი, საიდუმლო ბუნაგებში შეუფუფულნი უცდიდნენ დაღამებას, რათა კალატოზების, მათხოვრებისა ან ქალის ტანსაცმელი გადაეცვათ და სამშვიდობოს გასულიყვნენ. ჩვენ ვიასენით მათი ტყავი, ინტერესები კი ისევე უცვლელი დარჩა, როგორც მათივე წრე ან ის ვალსი, ოდესღაც მათი ბაბუები რომ ცეკვავდნენ. თუმცა სიკვდილის მხარდამხარ იდგნენ, მაინც ვერაფერი შეიგნეს, რაფაელი მართალს შეუბნებოდა, ბოლოს და ბოლოს შენს მშობლებს ბედმა გაუღიძაო.

ქვეტელა ფერებით შეღებულ ქრისტეს გამოსახულებასთან ჩავიჩოქე ტრინას გვერდით. წირვა ეს-ეს არის დაიწყო. ასკეტური შესახედაობის მოძღვარი კათედრაზე შედგა, ცისკენ ისე აღაპყრო ხელები, თათქოს თოფი დაუმიზნესო. მთელი ნახევარი საათი ლაპარაკობდა ქრისტეიანულ ღმობიერებაზე. ეკლესიის

მსახური პატარა ბიჭები ლანგარს დაატარებდნენ შესაწირაჲ ფულისათვის. ვიღაცამ ზურგზე შემახო ხელი:

— თავდაუხურავი ხართ. თავსაფარი ხომ არ მოგართვათ?

ეკლესიიდან რომ წამოვედით, როგორც ველოდი, რაფაელი შეგხვდა. გაღიმებულმა მაკოცა ლოყაზე. მერე ტრინა და ლაურეანო ვერძუტის დასალევად წავიყვანეთ. „პატარა ზღვა“ ხალხით იყო სავსე, თავისუფალი მაგიდა მხოლოდ „გოგონაში“ აღმოვაჩინეთ. რაფაელს ეტყობოდა, ვინ ვართ, იყო კომედი, ჰცენ რომ ვთამაშობდით, ორივეს ერთხაირად გვართობდა. პირველად ამდენი ხნის მანძილზე ორივენი გულიანად ვიცინოდით. ქუჩაში ხალხი მიდი-მოდიოდა. ერთმა ქერა ქალმა ყურადღებით შემათვალიერა, მერე ფრთხილად დაუქნია ხელი რაფაელს. რადგან რაფაელმა უპასუხოდ დატოვა მისი მისალ-მება, მივხვდი, ეს ქალი ნიკოლი იყო.

— ჰოგოსში დოლორესი ენახე, — მითხრა რაფაელმა მცირე ხნის დუმილის მერე. — ხვალ ზღვის ზღარბების საკმელად მიგვიპატიეთ.

— სად?

— სად და, პირდაპირ ქვევზე. რომანმა იცის ერთი კარგი ყურე, ფუენ-ხიროლასთან. მთელ დღეს იქ გავატარებთ.

ლაურეანომ დაგვარიგა, მზეს მოერიდეთ, ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, ორ შვედ ქალს მეორე ხარისხის დამწვრობა მიუღიათ. რაფაელმა სიგარას მოუკიდა.


— ნუ გეშინია, კლაუდიამ იცის თავის მოვლა.

— რაფაელმაც, — დავუმატე მე.

საღამოს ხარების ბრიოლას დავესწარი. რაფაელს მანქანის გასაღები დაუბრუნებ, მალე „ერთი მეგობარი“ უნდა მოენახულებინა. სადილზე ვმარ-ჩიელობდით, რაფაელის მორიგი მივლინება საით იჭნებოდა მიმართული — ბონსა თუ ვაშინგტონში, ლაპარაკისას შევამჩნიე, რაფაელი შეშფოთებული მიცქეროდა. ნიკოლთან მომხდარი ინციდენტის მერე გუნება მთლად გაუფუჭდა. როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ის პირველი ხრიდა თავს.

ლაურეანომ ეტლი დაიჭირა. ბედნიერი ტრინა იცინოდა და მაროს წამ-დაუწუმ იქნევდა. ხალხი მდინარესავით მოსდებოდა ქუჩას. მეეტლემ რედინგის პროსპექტზე გაგვიყვანა. აქ ყველაფერი ძველებურად იყო. მე კვლავ ფიქრებში გავებვიე. რამდენჯერ მიყილია აქ წყალი. ახლაც ერთი ყლუბისათვის რეალი უხდა გადაგებადა. ძველებურად დაეწყით შუაზე გაჭრილი ნესვები, აქაოდა, მოდიოდა და გასიხვეთ, რა არისო, ძველებურადვე აევსოთ კალათები გასაყიდ-ფასინებსა და მზის ქუდებს. გიბრალფაროს წვეროზე ცნობისმოყვარეებს მოეყარათ თავი და ბინოკლით ათვალიერებდნენ ყველაფერს, რაც ქვემოთ ხდებოდა. რამდენჯერ ავსულვართ იქ მე და რაფაელი, ტიკით ღვინო აგვიტა-ხია და მანამდე გვისვამს, სანამ არ დავმთვრალვართ.

კორიდას არა უშავდა რა, მაგრამ დიეგო პუერტამ მოლოდინს გადაატარბა, მეორე ხარის ორივე ყური დაიმსახურა. უკან რომ ვბრუნდებოდით, მკერდში სიცარიელე ვიგრძენი. თავიც დაძინებული მქონდა. სიცოცხლის უაზრობა თითქმის ფიზიკურად შევიგრძენი. ტრინა და ლაურეანო ტურკოს მოედნამდე მივაცილე და ტორემოლინოსში ტაქსით დავბრუნდი.



„ცენტრალურში“ ელენსა და მაგდას მოვკარი თვალი. ტაქსის შოფერს ვთხოვე მაიქანა გაეჩერებინა.

— გამარჯობათ.

— გაგიმარჯოს. — მაგდა გაკვირვებული მიცქერდა. — საიდან მოდიხარ?

— რაფაელის მშობლებთან ერთად ვიყავი კორიდაში.

— ჩემი ქმარი ხომ არ გინახავს? — მკითხა ელენმა.

მაგდას გვერდით ჩამოვჯექი, ოფიციანტს ვისკი, სიფონი და ყინული შევუკვეთე.

— ... ერთ ქალთან დავტოვე. ისინაც კორიდაზე უნდა წასულიყვნენ.

— არა, არ მინახავს.

— ეს ყვეუჩი კაცი ყველაფერს ჩამიფუშავს...

— ელენმა იმ ქალს ფული მისცა, ჩემს ქმართან ერთად ისეირნეო-დალა-მეზამდე, — ამიხსნა მაგდამ.

— ძალიან მომწონს ეს აზრი, — ვუთხარი მე. ელენმა ვისკი მოსვა და ამოთხრა: — ნეტავი ორივენი სადმე წავიდოდნენ შურს...

— უთხარი იმ ქალს და წავლენ.

— უკვე ვუთხარი, მაგრამ ჩემი ქმარი ისეთი კრეტინია... — ელენს ბეტიმ და ერთმა თმაშედლებილმა ამერიკელმა ქალმა შეაწყვეტინეს ლაპარაკი. მაგდამ სკამში მოსწია ჩემკენ:

— წუხანდელი ამბავი მაპატიე... მიგვლი გუნებაზე არ იყო და ცუდად მოიქცა. საბრალო, ხულ ბავშვია...

დავამშვიდე, ყველა კაცი ასეთია და საბოლოოდ არაფერი გაქვს, რაც მთავარია, დრო კარგად გავატარეთ-მეთქი.

— მართლა? — მაგდა ისე დაძაბული შემომცქეროდა, ვიფიქრე, თუ პასუხი დავუგვიანე, ალბათ გული გაუსკდება-მეთქი.

— მართლა. — (მოვატყუე).

— მე კი ვფიქრობდი, შენ და დოლორესი უკმაყოფილო დარჩით, — ბავშვივით გადაიხედა თმაზე ხელი. — დოლორესი ტყუოდა მიგელთან. მართალია, მიქირს მასთან ცხოვრება, მაგრამ რას ვიზამ. დედობრივი გრძნობა მაწუხებს. ჩემი აზრით, კაცები ბავშვებივით არიან. ვიცი, დამცინებ, მაგრამ რომ ვიცოდე არც ერთს არ შევუყვარდები და სისულელეებსაც არ ჩაიდენენ, სამ თუ ოთხ კაცს შევიხიზნებდი ერთად.

— რაზე თქვა, სამ თუ ოთხსო? — ამერიკელი ქალები წავიდნენ და ელენიც დაჯდა.

— მაგდა ქმრების კოლექციაზე ლაპარაკობდა, — ვუთხარი მე.

— ქმრების კოლექციაზე? — ელენმა შეშფოთებით შეხედა. — ხომ არ გაგიყდი?

ოფიციანტმა დანახარჯი მიანგარიშა.

— რატომ არ მივდივართ სადმე საკმელად? — იკითხა მაგდამ.

ოთხმოცდაათი პესეტი უნდა გადამეხადა, ათიც ისე ვაჩუქე მომტანს. ტერასა თანდათან ივსებოდა ხალხით. თმაგაჩეჩილი ახალგაზრდები მაშინვე



ეცნენ ჩვენს მაგიდას. სან-მიგელის ქუჩის კუთხეში ლაურას შევეფეთეთ. შემეშინდა, ახლა არ მოჰყვეს-მეთქი ლაპარაკს რომანის ღამის ფილოსოფიურ ფიქრებზე (რომანს მართლაც შეეძლო, უთენია მისულიყო მასთან), მაგრამ, ეტყობა, ლაურა უკვე გარკვეულიყო რაღაც-რაღაცეებში. მითხრა: პაემანზე შივდივარო ერთ ყმაწვილკაცთან, და ცივად დამემშვიდობა.

მაგდამ ერთ ხმაურიან სამიკიტნოში მიგვიყვანა. სამიკიტნოში კაცებს აეფსო. კართან ახალგაზრდა კაცი საქონლის თირკმელებს წყავდა. მისგან თორმეტობდნენ ულუფა შეუკვეთა და საფუნთუშესაკენ გასწია. მე და ელენი დახლთან მოვკალათდით.

— ეტყობა, დოლორესი და რომანი მაგრად წაიჩხუბნენ, — მითხრა ელენმა.

— შენ რა იცი?

— ბეტიმ მითხრა. ყავა დაუღევია მათთან და ასე თქვა, ეტყობოდათ, წაჩხუბრები იყვნენო.

— კი მაგრამ, რად არ მიატოვებს დოლორესი ქმარს? — ვკითხე ელენს.

— ნუთუ ვერ ამჩნევ. დოლორესს რომ გაგიყვებით უყვარს ქმარი?

— გაგიყვებით რომ უყვარდეს, ყოველდამე არ ივლიდა სხვა კაცთან.

— ძერე ვინ გითხრა, რომ დადის?

— თვითონ მითხრა, გუშინ ერთად რომ წავედით: პაემანზე უნდა შეხვედროდა „ხვალინდელ დღეში“.

სამიკიტნოს პატრონმა ორი ჭიქა ღვინო მოგვიტანა. უცბად ჩემთვის ყველაფერი ცხადზე უცხადესი გახდა: მანქანით გასეირნება პირველ დღეს, შემთხვევა ცეკვისას, აუზი...

— რომანს დოლორესი არ უყვარს, დოლორესს კი დაუყენია, ვბერდებო, — ამიხსნა ელენმა. — დარწმუნებულა, კაცებს აღარ მოგწონვარო.

— განა რომანის გარდა სხვა კაცი აღარ არსებობს? — ვკითხე ელენს.

— მეც მაგას არ ვეუბნები? ოცი წლის გოგოებსაც შეშურდებათ მისი ტან-ფეხი. სკენაზე არ გინახავს? ბრწყინვალე მსახიობია. განა არ შეუძლია, ვინმე ამოირჩიოს? რომანი სიცოცხლეს უწამლავს, ის კი, ოღონდ მის გვერდით იყოს და ყველაფერს ითმენს. მარტოკა რომ ზის და გრძნობის დაკარგვამდე ეძალება ღვინოს, გეფიცები, ცუდად ვხდები...

მაგდამ პური მოიტანა და ბიჭმაც მოგვართვა მწვადები. კაცები აღმაცერად გვიცქერდნენ. კალატოზები და მეთევზეები საკვირაო შარვალ-ხალათებში გამოწყობილიყვნენ. ცისფერთვალა, შავულვაშა ყმაწვილი კაცი ელენს უღიმოდა. მაგდა ხარბად ჭამდა, თან გვეკითხებოდა, რაზე ლაპარაკობდითო.

— არაფერზე, — უბასუხა ელენმა. — ათასნაირი სისულელე მოვიგონეთ.

მეც არ მინდოდა მაგდასთან მელაპარაკა დოლორესზე და ელენს თვალებით გადავუხადე მადლობა. ბოლოს ისევ მაგდამ წაგვიყვანა „ნუგეშში“, გვითხრა, ახლა იქ ძალიან კარგიაო და თან დასძინა, დოლორესსაც დავუძახოთო. „ქალებმა ქეიფი მოვაწყობთ, როგორ მოგწონთ? რომანი ალბათ რემოშია, ჭერალდი — მალაგაში, რაფაელი ღმერთმა იცის, სადაა, მიგელმა კი ალბათ დასაძინებელი აბი გადაყლაპა და უკვე ხვრინავს...“ მაგდამ მხიარულად შემოჰკრა ტაში. მალაზიასთან შევჩერდით. დოლორესს დავურგვეთ. მოახლემ გვითხრა, შინ არ გახლავსო.

— ხომ არ იცი, სად წავიდა?

— არ ვიცი, ქალბატონო. ორი საათია მანქანით წავიდა. არც არაფერი დაუბარებია.

„ნუგეშს“ რომ მივუახლოვდით, ელენმა მკლავში წამავლო ხელი:

— სულელი, ალბათ ღვინოსა სვამს სადმე.

დარბაზში სომბრეროიანი, უღვაშა კაცი გიტარის სიმებიდან აწყურებდა. გასასვლელში დავსხედით, რომელიღაც უცხოელის ჯალაბობის დახრწებით. სანამ სომბრეროიანი კაცი „ადელიტას“ მღეროდა, ოფიციალტმა ტინტო და სამი ულუფა ხურელესი მოგვართვა. ვკითხე, დოლორესი ხომ არ დაგინახავთ-მეთქი. ოფიციალტი ჩაფიქრდა: „აქ იყვნენ ლოლო მედინა, პაულ ლუკასი, იმპერიო არხენტინა... დოლორეს ველესი კი... არა. არ მოსულა. ყოველ შემთხვევაში, მე არ დამინახავს“.

თითქმის მთელი საათი ვუგდებდით ყურს მომღერალს. მერე ელენმა ფული გადაიხადა. მაგდამ კარიჟელაში წასვლა მოინდომა, მე და ელენმა კი გადავწყვიტეთ, დოლორესი მოგვეძებნა. ჯერალდის გარაჟიდან მანქანა გამოვიყვანეთ. მივაკითხეთ „მარგალიტსა“ და „ელდორადოს“, მაგრამ დოლორესი იქაც არ იყო. „ხვალინდელ დღეში“ მეპატრონემ გვითხრა, დოლორესი ახლახან იყო აქ, ერთი-ორი ჭიქა გადაჰკრაო.

— მარტო იყო? — ჰკითხა ელენმა.

— მგონი, ფეფე ახლდა. ის კი აღარ ვიცი, საით წავიდნენ.

მანქანის სარკმელში ცხელი ქარი შემოიჭრა. „ოსტალშიც“ ვცადეთ ბედი. მერე უკან დავბრუნდით და რადგან მოედანზე ბენზინის წერტი დაეკეტათ, ელენმა მანქანა ლოს ალამოსისაკენ გააქროლა. იქ ბაღში დოლორესის „მერსედესს“ მოვკარით თვალი. ბარი შუალამისას იკეტებოდა. დოლორესი კუთხეში იჯდა ერთ ჭაბუკთან ერთად. ჭაბუკს მარაოსავით წამწამები ჰქონდა.

— გამარჯობათ, — დოლორესს ხმა ოდნავ უთრთოდა. — აქ რა გინდათ?

მე და ელენი მივუსხედით მათ მაგიდას. ჭაბუკმა დოლორესს აკოცა. მაშინვე შევამჩნიე, ვაჟს ტუჩები წითლად ჰქონდა მოთხვრილი.

— რას დაღევთ? მე გაბატიყებთ, — გვითხრა ჭაბუკმა.

— დღეს ფეფე ბედნიერია, — აგვიხსნა დოლორესმა. — რამდენი ჭიქა ვისკი დავლიეთ? ექვსი, შვიდი?

— ცოტა დავთვერით, — თქვა ფეფემ.

მაგდა გიჟივით იცინოდა, მინდოდა ერთი მაგარი სილა გამეწნა მისთვის. დოლორესს სახეზე ეტყობოდა, დაღლილი იყო. სანამ ვსვამდით, ფეფე რაღაცას გვიამბობდა ვატიკანზე: ბებიაშის სალოცავად გაუგზავნია რომში და საფასურიც თვითონ გადაუხდია, ფეფეს კი თურმე ბურნუთი მოუყრია პაპის სასახლეში... ამასობაში გრეგორიოც მოვიდა მისს ბენტლეისთან ერთად.

— ოჯახს გაუმარჯოს! — გრეგორიო ხელის აწევით მოგვესალმა.

სხვა დღეებისა არ იყოს, ახლაც ყველამ მოვიყარეთ თავი. მაშინვე გავიფიქრე. ამ ხალხს თავს ვერ დავალწევ-მეთქი. მათ ხომ თავისუფლად შეუძლიათ, დილაუთენია გაგაღვიძონ არაფრის გულისათვის, თოთხმეტი საათი გელაპარაკონ, მერე ღამით ფანჯარაზეც დაგიკაკუნონ და ოთახშიც შემოგივარდნენ. გრეგორიომ მისს ბენტლეის წელზე მოხვია ხელი და ბარმენისაკენ მიიბრუნა კმაყოფილი სახე:

— მუსიკა რად არ მესმის?

ბარმენმა რადიო ჩართო. იქაურობას სამბას საამური რიტმი მოეფინა. გრეგორიომ ორი სკამი მოათრია. გაქონილი თმა და ოფლიანი შუბლი უბრწყინავდა.

— რა ცხვირი ჩამოგიშვიათ, რა მოგივიდათ?

— წარმოიდგინე, თქვენ გელოდებოდით, — დოლორესი თითქოს გამოცხლდა კიდევ: — ეს ლამაზმანი როგორ არის?

— კარგად, — უპასუხა მისს ბენტლეიმ.

— კვლავ ისე უყვარს თავისი გრეგორიო?

— დიახ, — უპასუხა მისს ბენტლეიმ.

— მამიკოს მილიონები როგორღა არიან?

— ო, კარგად... — გაწითლდა მისს ბენტლეი.

დოლორესის სახეს მოწყენილობა გადაეკრა. მისს ბენტლეი ყვავილივით გაფურჩქვნილიყო. დოლორესი ნელ-ნელა წრუპავდა ვისკის და გამგმირავი თვალებით შესცქეროდა მას.

— შენ მდიდარი ხარ, ესპანეთში კი ვალმერებთ მდიდარ ამერიკელებს! ცხადია, შენ რომ შენი მილიონებიდან ნახევარი დაგეკარგა, ჩვენც ნახევრად გვეყვარებოდი. ერთი მესამედი რომ დაგრჩენოდა, ჩვენც ერთი მესამედი გვეყვარებოდი. სულ რომ არაფერი გაგაჩნდეს... — დოლორესმა ხმას დაუდაბლა, ქალიშვილს ხელი ჩასჭიდა. — წამო, ვიცეკვოთ.

რადიოში ოცდაათიანი წლების ტანგოს უკრავდნენ. მისს ბენტლეი ღიმილით გაპყვა საცეკვაოდ. დოლორესს დაღლილობა მთლად დავიწყებოდა. თავი ლამაზად გაიქნია და შუბლიდან ვერცხლისფერი თმა გადაიყარა. მისს ბენტლეის წელზე ხელი მოხვია. რამდენიმე ხანს ტრიალებდნენ ერთმანეთს ჩახუტებულნი. მერე თითქოს აპაშეს ცეკვავესო, დოლორესმა უხეშად მოიშორა ქალიშვილი. მისს ბენტლეი კვლავ იცინოდა, დოლორესს მოთმინება დაუკარგა მისმა სახემ, ხელის ერთი მოსმით აუბურდა თმა, სავარცხელი იატაკზე დაგორდა, ვითომ შემთხვევით, დოლორესმა ფეხიც დაადგა. მისს ბენტლეის მხრებზე ჩამოშლოდა აბრეშუმივით ნაზი, ქერა დატალღული თმა. ახლა ის ზღაპრულ მეფის ასულსა ჰგავდა. მუსიკის ტაქტს აყოლილი დოლორესი თმას უბურდავდა გოგონას, ის კი შეშინებული შესცქეროდა. ყველანი დადუმდნენ. ბარმენი პირდია ადევნებდა თვალს ამ სურათს. მე გული ძალუმად მიძგერდა. დოლორესი მისს ბენტლეის ისე ეთამაშებოდა, როგორც კატა თავგს. ორჯერ სახეშიც კი შემოჰკრა, მერე კვლავ ჩაავლო ხელი...

როცა მუსიკა დადუმდა — წამი წელიწადივით გაგრძელდა — დოლორესმა მისს ბენტლეი მკერდზე მიიკრა და აკოცა.

— ცეკვა არ გცოდნია, გოგონი... გრეგორიო, ასწავლე ცეკვა!

საუბარი ნელ-ნელა განახლდა. მისს ბენტლეი ცდილობდა გაეღიმა. დოლორესი, თითქოს ნერვიულმა აღგზნებამ შეიპყრო, ვისკით, სავსე ჭიქას მისწვდა და სულმოუთქმელად გადაპკრა. როცა დიქტორმა შემდეგი ფირფიტის სათაური გამოაცხადა, დოლორესმა მოკასინები გაიძრო და ჩარლსტონის ცეკვას მოჰყვა.


ამ სანახაობას ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. დოლორესი ისე კარგად ცეკვავდა, თითქოს ბავშვობიდანვე მხოლოდ ჩარლსტონი ესწავლოს და მეტი

არაფერი. როცა გაღიმებულმა ხელებიც გაშალა, მისმა ალგუნებულმა და პათეტიკურმა სახემ გამოაცა. ასეთი ქალი არასოდეს მინახავს. დოლორესს დაწვები გაუფერმკრთალდა. ფირფიტა რომ ჩათაედა და ტაშიც გაისმა, საპირფარეშოში მივდიე გაქცეულს.

— დავბერდი, დავბერდი... — ეტყობა, ცეკვამ ძალს გამოვლია დოლორესს, ხელით მეჭირა, სანამ აღებინებდა. — რომანს მისს ბენტლეისნაირი ქალიშვილი სჭირდება. მე აღარ ვარგივარ...  
 ბიზლიქსეკა

ბარმენს ვთხოვე ცაცხვის ნაყენი დაემზადებინა. დოლორესი სუფთა პაერზე გავიყვასე. მალე ელენიც მოვიდა დანარჩენებთან ერთად. დოლორესის ცეკვამ ხომ ყველა გააკვირვა! მოსულებს თვალთ ვანიშნე, ხელს ნუ გვიშლით-მეთქი. კარგა ხანია არ მიგრძნია, ვინმე ყოფილიყო ჩემთვის ისე ახლობელი, როგორც დოლორესი იყო ამ წუთს. ერთი-ორი წვეთი ნაყენი გადავავლაპე და თანქანაში ჩავსვი.

მანქანათა ფარების შუქი განაკაფს ეფინებოდა ბორცვზე. ბნელი და თბილი ღამე იყო. ქანცგამოცლილ დოლორესს მისძინებოდა. გასაღები მის ჩანთაში ვიპოვე რომანის სურათთან ერთად. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წლის შერე მეც ასევე დამემართოს — ცხოვრება ხომ იმას ნიშნავს, ბოლომდე დახარჯო საკუთარი თავი — მაგრამ არა მგონია, გამოჩნდეს ისეთი ახალგაზრდა, გამოუსწორებელი რომანტიკოსი, ვინც მიპატრონებს, შინ მიმიყვანს.



შინ რომ დავბრუნდი, ერმინია შეშინებული დამხვდა: თქვენი ოთახის ფანჯარასთან ბაღში ქურდს კიბე მიუდგამს და ზედ ამძვრალა, მეც დანაშაულის კდვილზე მივუსწარი და წყალი გადავასხი თავზე: „აი, ამოდენა კაცი იყო, სენიორა. ღმერთო, რა საშინელებაა!..“

მოახლე დავამშვიდე, ისუმრა და შენც კარგად მოქცეულხარ, თავზე რომ წყალი გადაგისხამს-მეთქი. საბედნიეროდ, ჩემს მულიშვილებს არაფერი გაუგიათ. რაფაელიც ღამით შინ არ ყოფილა. ერმინიას დავუბარე, რაც არ უნდა მოხდეს, არ გამაღვიძო-მეთქი. ახლა კი შემეძლო ფანჯარა ღია დამეტოვებინა და მოსვენებით დამეძინა. ქანცგამოცლილი ჩავემზე საწოლში.

ათი საათის შერე დერეფანში ატეხილმა ხმაურმა გამომიყვანა საღათას ძილიდან. ერმინია რალაცას ცოდვილობდა თავის ენაზე, ცდილობდა არ შემოეშვა მოსული, მაგრამ უეცრად კარი გაიღო და ოთახში დოლორესი შემოვარდა.

— გააგებინე ამ ჭუჭას, რომ შენთან კეთილი სურვილებით ვარ მოსული, რომ არც შენი ნოკვლა მსურს და არც ძალას ვიხმარ.

დოლორესი საწოლზე ჩამოჯდა. ერმინიას ვუთხარი, მარტო დაგვტოვე-მეთქი. დოლორესმა საგულდაგულოდ გადაივარცხნა თმა, კაბა გაისწორა და ჩაცვივნულ თვალებზე შავი სათვალე აიფარა.

— რა მოხდა წუხელ? მთვრალი ვიყავი? ამ დილით რომ გამომეღვიძა, თავი მტკიოდა. მოახლე გოგომ მითხრა, შენ მიგიყვანივარ შინ... არაფერი არ მახსოვს.

მე ყველაფერი ვუამბე, მხოლოდ საპირფარეშოში მომხდარი ამბავი და

მისი ნალაპარაკევი დაეუმალე. დოლორესმა აცახცახებული ხელებით მოუკი-  
და პაპიროსს.

— მაშ, მისს ბენტლეის კუჭი ავუწვი? ძალიან კარგი. გრეგორიო და ეს  
ქალი ნერვებს მიშლიან თავიანთი სულელური ბედნიერებით.

წუხანდელი ამბის მოგონებაზე მეც გამეცინა, მერე დოლორესს ვუთხარი,  
სოლიანი აბი ხომ არ გინდა-მეთქი.

— მადლობთ, არ მინდა, უკვე გადავულაპე... შინ იმეორეს მსგავსად,  
შენი ჯუჯა მოახლისა ტელეფონში არაფერი მესმის. ელენი<sup>1</sup> — მისი ქმარი  
მანქანაში გველოდებიან. ზღვის ზღარბების დასაჭერად მივდივართ.

— ახლა?

— ჰო, ახლა. ნახე, რა ამინდია... მთელ დღეს ზღვაზე გავატარებთ, გავ-  
ხალისდებით. აბა, ჩქარა, ჩაიცვი!

სანამ ტანს ვიბანდი, დოლორესი ფანჯარას დაყრდნობოდა. მზე ბრწყინ-  
ავდა და ოქროს დაირასა ჰგავდა. ბაღში მიმოზეზი იფურჩქნებოდნენ, ფრთა-  
წითელი შაშვი ტირიფის კენწეროზე შემომჯდარიყო.

— გუშინ რომანს კარგა მაგრად ვეჩხუბე, — თქვა დოლორესმა. — პირ-  
ში მივახალე, მაგდასთან წვეულებაზე სულელურად იქცეოდი-მეთქი. მერე  
ისიც გაბრაზდა. რაც დრო გადის, უფრო მეტად მიკვირს, რამ შემაყვარა ეს  
კაცი. საწყალს ჰგონია, ვეჭვიანობ და ისე იბნევა, რომ ერთი მახედან რომ  
დაიძვრენს თავს, მეორეში ვარდება. ამ დილით რაღაც სასაცილო მითხრა, შე-  
რიგება უნდოდა. მეც ავდექი და თავიდან რომ მომეშორებინა, ნება დავრთე  
ჩვენთან ერთად წამოსულიყო. ცუდად მოვიქეცი?

— არა.

— მგონი, საზოგადოებაში ისე აუტანელი აღარ არის. შენ როგორ ფიქ-  
რობ? ესეც არ იყოს, ზღვის ზღარბებს ოსტატურად იჭერს. ყველანი ერთად  
რომ ვიქნებით, რომანის უცნაურობა ისე აღარ გამოჩნდება.

ერმინიამ ორი ფინჯანი ყავა შემოიტანა. მეც ფერმკრთალი ვიყავი, თვა-  
ლები ჩამცვივნოდა. რაც შემეძლო, გულდაგულ მოვირთვე. ელენი ჩემს  
ბულიშვილებს ელაპარაკებოდა ბაღში.

— რომანი მიგელისა და მაგდას საძებნელად წავიდა. დავთქვით, ერთ-  
მანეთს გზაჯვარედინზე შევხვდეთ. რაფაელი სადღა არის?

— რაფაელი შინ არ არის. წუხელ სადღაც გაათია ღამე.

— კლაუდია ბიცოლა, წუხელ მართლა მოვიდა ქურდი?

— რას ამბობთ? ქურდს აქ რა უნდა?

— აბა, ერმინიამ რომ გვითხრა, ვილაც კაცს ქალბატონის ოთახში უნდო-  
და გადამძვრალიყო?

— სისულელე უთქვამს.

ქიშკარი მოვკეტე. დოლორესმა მკლავი მკლავში გამიყარა. მანქანაში ჯე-  
რალდი თვლემდა.

რომანი ძველი, ცხვირწაგრძელებული „ფიატის“ საჭესთან იჯდა. გვანიშნა,  
მე მომყევითო. დოლორესმა მანქანა სწრაფად დაძრა ადგილიდან. ჯერალდი  
ერთი მაგრად შექანდა და გამოეღვიძა.

— Good morning.<sup>1</sup>

<sup>1</sup> დილა მშვიდობისა (ინგლ.).

— Good morning.

ჯერალდს ფეხებს შუა სანოვაგით პირთამდე სავსე კალათა ჩაედგა. ბოთლებს წკარუნი გაჰქონდათ.

— Do you want to drink? <sup>1</sup>

— არა, გმადლობთ.

ჯერალდმა ჯიბიდან მათარა ამოაძვრინა და ვისკი მუსკა-ფართო გზატკეცილზე მზის. სხივები თამაშობდნენ. მაგდა „ფიატში“ მანქანი-საკენ ხშირ-ხშირად იყურებოდა, ჩემი დანახვა უნდოდა. რომანსა და მიგელს შუა იჯდა და მათთვის მხარზე ხელი გადაეხვია.

უკან მოვიტოვეთ კოსტა დელ სოლის სამიკიტნო და ტორემოლინოსის გარეუბნები. გზისპირას წვერმოშვებული, ხელჩანთიანი ტურისტები იდგა და გამვლელ მანქანას ელოდა. გზაზე უამრავი უცხოური მანქანა მიდი-მოდიოდა. რომანი ფიატს მიაქროლებდა, დოლორესი შორ მანძილზე მიჰყვებოდა უკან.

ტორე კებრადას რომ მიუახლოვდნენ, მიგელმა ხელი დაგვიქნია მანქანის სარკმლიდან, ჩვენც სანაპიროზე შევჩერდით. ქვევით, კლდეებს შორის ვიწრო პლაჟი მოჩანდა. ზღვა ნაპირს ეთამაშებოდა და ჭაფით მოგვირგვინებული წყალქვეშა კლდეები ჩანდა.

ციცაბო დაღმართზე რომანი კალათის ჩატანაში მიეხმარა ჯერალდს. პლაჟზე მირაჟი თრთოდა. ქვებს უკან მოფარებული ადგილი ამოვარჩიე და ქვიშაზე საბანაო ხალათები გავფინეთ.

სანამ ჩვენ ტანთ ვიძრობდით, რომანმა ღვინით სავსე ბოთლები ჩაედგა წყალში. ჯერალდს დაჩითული საბანაო კოსტიუმი ეცვა, თავზეც ტილოს შლაპა დაეხურა. ირგვლივ ხვატი იდგა, შორს მკრთალად მოჩანდნენ მთათა მწვერვალები. მზე თვალს ჭრიდა. წყალში ჩავყვინთე. რა კარგია, როცა ტალღებზე წამოწოლილს ზღვა აქეთ-იქით გაქანავებს, ტუჩებზეც მარილის გემოსა გრძნობ! ფსკერზე ზღვის ზღარბები მოჩანდნენ. დოლორესმაც წყალში ჩაყვინთა, მერე ჩემ გვერდით ამოჰყო თავი და მოულოდნელად მაკოცა.

— შეამჩნიე, რომანი როგორ გიცქერდა, კაბას რომ იძრობდი?

— არა.

— დაგენაძლევები, მოსწონხარ.

— ხომ არ გაგიყდი?!

— სულაც არ გავგიყებულვარ. აბა, დააკვირდი.

მკლავებგაშლილი თითქმის უმოძრაოდ ვიწექი წყალზე, დოლორესიც ჩემს გვერდით იწვა.

ელენი რომ მოგვიახლოვდა, მე ნაპირზე დავბრუნდი. ჯერალდის გვერდით ჩემს საბანაო ხალათზე დავწექი პირქვე. მაგდამ ჩანთიდან კრემი ამოიღო და თეძოები დაიზილა, მერე მოულოდნელად მიუბრუნდა რომანს და ზურგი დამიზილეო, სთხოვა.

რომანი მაგდას მიუჯდა, უნებურად წავაწყდი მიგელის ნაღვლიან თვალებს. რომანის ხელები ნელა სრიალებდნენ მაგდას მხრებზე. ქალი სიცილით ამბობდა, რომანზე უკეთესად ჯერ არავის დაუზილაესო ჩემთვის მხრები.

— შენს ქმარსაც კი? — ჰკითხა რომანმა.

<sup>1</sup> ხომ არ დაღუვდით? (ინგლ.)

მიგელმა მორცხვად გაიღიმა. მაგდამ ისღა თქვა, ჩვენ გაგიყვებით გვიყვარსო ერთმანეთი.

— შენ გგონია, ყველა შენა გგავს? ჩემს ქმარს ვუყვარვარ, ხომ ასეა, მიგელიტო?

ჯერალდმა ვისკი გადაჰკრა. მერე ბოთლი ხელიდან ხელში გადავიდა. დოლორესი და ელენიც მალე დაბრუნდნენ, ლოდებშუა პატარა ყურე აღმოუჩინიათ და მე და მაგდა მიგვიწვიეს იქ.

— საკმაოდ მოფარებული აღგილია, შეგვიძლია შევუვლით ვიბანათ, — თქვა ელენმა.

რომანმა განაცხადა, მშვენიერი აზრიაო.

— მეც წამოვალ, გოგოებო...

— შენ კაცებთან ერთად წახვალ ზღვის ზღარბებზე სანადიროდ, — სიტყვა გააწყვეტინა დოლორესმა. — ან იქნებ კაცი არა ხარ?

რომანმა წარბები აზიდა, სახე გაუქვავდა. დოლორესის ცისფერი თვალებიც ცეცხლს აკვესებდნენ.

— რომ ვამბობ, კაცი არა ხარ-მეთქი, ალბათ ვიცი, რომ არა ხარ. ლაყბობა გეხერხება, კაცობა კი სულ სხვა რამეს ნიშნავს...

— გაჩუმდი.

— შენი ხნის კაცები მუშაობენ, აბა, შენსავით კი არ დასდევენ ქალებს და თავს სასაცილოდ კი არ იხდიან! გულთამბყრობელი კაცები მოდიდან გადავარდნენ, გასაგებია?

— ხომ გთხოვე, გაჩუმდი-მეთქი.

— თავი კაცად მოგაქვს, სინამდვილეში კი კაცი არა ხარ.

დოლორესი არ ცდილობდა დამშვიდებულიყო. მხოლოდ ჩხუბი აკავშირებდა მას ქმართან. მერე მე ჩავერიე მათ კამათში, ვუთხარი, აქ საჩხუბრად კი არა, ზღვის ზღარბებზე სანადიროდ ვართ მოსული-მეთქი. რომანი დატკბა.

— კარგი, — თქვა მან და მიგელისკენ გასწია. — წამოხვალ?

რომანმა რვაფეხებისა და ზღარბების საჭერი კავები და სანადირო იარაღი მოიმარჯვა ხელში. მერე ორივენი ზღვისკენ გაემართნენ. ჯერალდი ძილ-ბურანში იღიმებოდა. დოლორესი ზღვაში გადახტა, ელენი, მაგდა და მეც მივყევით მას.

— თავს ვერ ვიკავებ, — მითხრა დოლორესმა, — რომანი ნერვებს მიშლის.

კლდისაკენ მივცურდით. დოლორესს ვუთხარი, აბა რა საჭირო იყო, ჩხუბი რომ ატეხე-მეთქი.

— ვიცი, განა არ ვიცი, — თქვა მან. — სულელი ვარ.

ნაპირზე მართლაც იყო პაწია პლაჟი, ყოველი მხრიდან მოფარებული. ჩვენ მაშინვე გავიძრეთ საბანაო კოსტიუმები...

ტალღები კლდეებს ეხეთქებოდნენ. ნახევრად ძილმღვიძარნი კარგა ზანს ვიწექით ქვიშაზე. მზე ჯიუტად აჰერდა. ერთი ორჯერ ავდექი და ისევ წყალში ჩავეყვინთე. მოშორებით კაცები კვლავ ზღარბებზე ნადირობით იყვნენ გართულნი. რომანს სახეზე უზარმაზარი სათვალე აეკრა და ხელში რეზინის ძილი ჩაებლუჯა. შორიდან მარსელს ჰგავდა.

— უკვე მომშივდა, — თქვა დოლორესმა. — თქვენ არ მოგშივდათ?

ზღვა უკვე მეტი ძალით მოიწევდა ნაპირისაკენ. ტალღები თითქმის ჩვენს ფერხით იმსხვრეოდნენ. ტანსაცმელი ჩავიცვი. მაგდამ საყვედურით ჩაიბუზლუნა, მუდამ შიშვლები უნდა ვბანაობდეთო.

— რატომ აღარ მოდიხართ ჩემთან აუზში საბანაოდ? მიგელს გვიანობამდე სძინავს. მარტონი ვიქნებით და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ.

პლაჟზე ცურვით დავბრუნდით. ნაცრისფერი თოლგები უფასოდაგვტრიალებდნენ. ცა მთლად ლურჯი იყო, კამკამა ზღვაში ლოდებდა მთქმურად იყვნენ. ჯერალდს ხელში საცობმოხსნილი ბოთლი ჩაებლუჯა. რომ დაგვინახა, უხალისოდ შეეცადა წამომდგარიყო. უკვე მთვრალი იყო.

— Hallo, darling! <sup>1</sup>

— იდაოტი, — ჩაიბუზლუნა ელენმა.

მაგდა და მე დანარჩენების მოსაყვანად გავემართეთ. რომანი კვლავ ლოდებშია ყვინთავდა. მიგელი წელამდე წყალში იდგა და კალათაში აწყობდა რომანის ნანადირევ ზღარბებს. პირთამდე სავსე მეორე კალათა უკვე ნაპირზე იდგა.

— რას იტყვით, გვეყოფა?

რომანმა წყლიდან თავი ამოპყო, მძიმედ სუნთქავდა, ნიღაბი მოიხსნა და პლაჟისკენ რომ გავწიეთ, ხმადაბლა მითხრა:

— გუშინ შენი ოთახიდან წყალი გადმომასხეს თავზე... შენ იყავი?

— ღრუბელი იყო, — ვუპასუხე მე. — ამიერიდან ყოველდღე იწვიმებს.

გაბრაზებული ვლაპარაკობდი. რომანი, ეტყობა, მიხვდა, შეჩერდა და დაბნეული შემომაცქერდა.

— რატომ მელაპარაკები ასე, დოლორესი რომ მეჩხუბა, იმიტომ ხომ არა?

— არა...

— მაშინ ვერაფერი გამიგია.

— არც არაფერია გასაგები.

ნაბიჯს მოვუმატე, დანარჩენებს დავეწიეთ. დოლორესმა ჩანთიდან ბუტერბროდები ამოალაგა. სანამ მიგელი ზღარბებს დანით ჭრიდა, მაგდამ ღვინის ბოთლს საცობი მოხსნა და ამ ბოთლიდანვე მოვსვით ყველამ.

— თქვენ გაგიმარჯოთ, — ვთქვი მე.

ჯერალდი რაღაცას ბუტბუტებდა ინგლისურად. მზეზე მთლად აჭარხლებულიყო. ელენმა წარბებამდე ჩამოაფხატა შლაპა.

— კლაუდიას შესანიშნავი ტანი აქვს, — ჩასჩურჩულა დოლორესმა რომანს. — შიშველი უნდა ნახო.

რომანმა ცოლს უსიტყვოდ შეხედა.

— ასეთ ქალებს არ უნდა სჭირდებოდეთ საბანაო კოსტიუმი; ხომ მართალს ვამბობ, ელენ?

— მართალს ამბობ.

— მე რომ კაცო ვიყო, ალბათ გავგიჟდებოდი, — დოლორესი კვლავ რომანს უცქერდა. — შენ რას ფიქრობ?

— მე? — რომანმა თითებიდან ქვიშა გამოყარა. — არაფერს...

— არაფერს? ეჰ, შე მხდალო... კლაუდია, რომანის თვალწინ რად არ იძრობ კაბას?

<sup>1</sup> სალაძი, ძვირფასო (ინგლ.)



კინალამ არ ვუთხარი, უკვირ ვავიძვრე-მეთქი, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე. შორს იახტა ჭანაობდა ჰორიზონტზე.

— ვის უნდა ჩემთან ერთად იბანაოს? — ვთქვი მე უცებ.

პასუხი არავის გაუცია. სულისწამლები ხვატი იდგა, გავიქვცი და დგაფუნით ჩავეშვი წყალში.



ეროვნული

სალამოს „ცენტრალურამდე“ მიმიყვანეს და როგორც კი დავედგა, მაგდას უნდოდა ბანქოს სათამაშოდ წავსულიყავი მასთან, მაგრამ უარი ვუთხარი, მარტო ყოფნა მინდა-მეთქი. მხოლოდ ოთხი დღეა, ერთმანეთს ვიცნობთ და ასე მგონია, უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ. ამ უსაქმურთა დროსტარებაზე უფრო უსასრულო და დამღლელი ალბათ არაფერია მთელს ქვეყანაზე. გაუთავებელი ლაპარაკი ძალ-ღონეს მაცლიდა, სამაგიეროდ მიკვირდა დანარჩენების საარაკო გამძლეობა. ცოტა ხანს ქალაქში გავისეირნე მარტოვამ.

კიოსკში „დიგამე“ არ ჰქონდათ. დილით მოიტანეს და მაშინვე გაიყიდაო, მითხრა გამყიდველმა. მე გავახსენე, ერთი გაზეთი ჩემთვის უნდა გადაგენახათ-მეთქი. გამყიდველმა შუბლში იტკიცა ხელი: „ღმერთმა დამწყველოს, სულ არ დამავიწყდა?! იცით რა, ხვალ დილით მობრძანდით და ანტონიო არ ვიყო, თუ არ დაგახვედროთ გაზეთი. უსათუოდ ვიშოვი“...

ის იყო ტაქსი უნდა დამეჭირა, რომ სერხიოსა და ლუისს გადავეყარე ქუჩაში. ისინი სხვა ბავშვებთან ერთად „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ძველ ნომრებს ჰყიდდნენ. მათი მეგობრები, ეტყობა, ამერიკელები იყვნენ. ერთი მათგანი, ტყავის შარვალსა და კუბოკრულ ხალათში გამოწყობილი, გამვლელებს ოქროს საათს სთავაზობდა. ალბათ მამას თუ აწაპნა.

— აქ რას აკეთებთ?

შეშინებულ სერხიოს გაზეთები გაუცვივდა ხელიდან. ამის დანახვაზე სხვებმაც მოკურცხლეს. დავემუქრე. ნახეთ, რა დღეს დაგაყრით-მეთქი, პირველივე შემხვედრ ტაქსში ჩავჯექი და შინისკენ გავემართე. ძლივს მოვასწარი შინ შესვლა, რომ ტელეფონმაც დაიწკრიალა.

— Allo. je voudrais parler à Madame Estrada.

— C'est moi-même.

— Je m'excuse de vous déranger. Peut-être avez-vous entendu parler de moi. Je suis une amie de Rafael. Nicole Vandrome...

— Oui.

— Je voudrais vous parler. Ce soir est-ce que ce serait possible?

— Bien sûr.

— Ecoutez. Rafael vient de partir à l'instant. Je suis libre toute la soirée. On pourrait peut-être dîner ensemble?

— Oui.

— Où voulez-vous qu'on se retrouve?

— Où vous voudrez.

— Disons à Mar Chica à neuf heures?

— D'accord.

— Alors, à tout à l'heure.

— A tout à l'heure. <sup>1</sup>

ყურმილი რომ დავდე, გული ძალუმად მიძგერდა. ამ ოთხ დღეში ძალზე მოვიქანცე. ნიკოლთან მომავალი ახსნა-განმარტებებიც მალეღვებდა. მალე ავედი ტანის დასაბანად და ერმინიას ვუბრძანე, ჩემთან არავინ შემოუშვა-მეთქი. ტანი ხეირიანად არც კი შემიმშრალებია, ისე ჩამთვლილა.

რაფაელი რვა საათისთვის დაბრუნდა შინ. საათზე მეტ ხანს ვიჯექი სარკის წინ, როცა ქვემოთ ჩავედი, რაფაელი დარბაზში ლუი არმსტრონგის ფირფიტას უსმენდა.

— ეს ფირფიტა როდის იყიდე? — ვკითხე მე.

— ახლა. ახალ ქუჩაზე შესანიშნავი მაღაზიაა. ვისკი ხომ არ გინდა?

— ერთ ყლუპს დავლევ მხოლოდ. მადლობთ.

სავარძელში ჩავჯექი. რაფაელი ახალი გაპარსული იყო, სუმბულის სურნელება ასდიოდა.

— გინდა ამ საღამოს ერთად ვივარდებოდეთ?

— არ შემიძლია. სხვას შევპირდი...

— კარგი, კარგი... — რაფაელმა თითები აათამაშა მაგიდაზე. — ჩემი მშობლები ნახე?

— ვნახე, ცოტა დაბერებულან.

— ლაურეანოს ძალიან უყვარხარ. დღეს ვნახე და დიდი მოკითხვა დამაბარა შენთან. — არმსტრონგმა დაპფარა რაფაელის ხმა. რაფაელმა გააჩერა ფირფიტა და ლაპარაკი განაგრძო: — მენანება მათთან განშორება.

— განშორება? რატომ?

— სადილობისას მადრიდში დავრეკე. ლუკასს ვილაცის ზურგი აქვს. ფხიზლად თუ არ ვიქენი, ადგილს დავკარგავ. ხავიერი მირჩევს, ერთი-ორი დღით ჩამოდიო.

— ახალს რას ამბობენ ისინი?

— ახალს არაფერს... მხოლოდ ჩემი და შენი პირადი ცხოვრება, ვისკი და ანეკდოტები აკერიათ პირზე... ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაზეც აქ ჩვენი მეგობრებიც ლაყბობენ. ჩვენ სიბინძურეში ვცურავთ, კლაუდია, ერთ

<sup>1</sup> — ალო, მაღამ ესტრადასთან მსურს ლაპარაკი.

— მე ვარ.

— მაბატით, რომ გაწუხებთ, იქნებ გსმენიათ ჩემზე რაიმე. მე რაფაელის მეგობარი, ნიკოლ ვანდრომი ვარ.

— დიახ.

— თქვენთან ლაპარაკი მსურს. დღეს საღამოს შეგიძლიათ შემხედეთ?

— რა თქმა უნდა.

— რაფაელი ეს-ეს არის წაყვიდა. მთელი საღამო თავისუფალი ვარ... იქნებ ერთად გვესადილა?

— სიამოვნებით.

— სად შევხვდეთ ერთმანეთს?

— სადაც თქვენ გსურთ.

— მაშ, „ატარა ზღვაში“ შევხვდეთ, ცხრა საათზე.

— კარგი.

— ნახვამდის.

— ნახვამდის (ფრანგ.).

მშვენიერ ღღეს ყველა და ყველაფერი გადმოყირავდება და ყელამდე ნეხვში ჩავეფლობით.

— შენ რას აპირებ?

— რას ვაპირებ? შენი აზრით, კიდევ საჭიროა რაიმე დავაპირო? — რაფაელი ისე მიცქეროდა, თითქოს შველასა მთხოვდა. — ჩვენ უკვე დაუბრდით, კლაუდია. ოცი წლისა რომ ვიყო...

— მერსედესის ვაჟი ოცი წლისაც არ არის. იქნებ გგონია, ციხეში ის უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე ჩვენ აქ?

— არა, ალბათ არა. აი, უკვე რამდენიმე ღღეა ერთსა და იმავეზე ვფიქრობ: რომ შეგვეძლოს ყველაფრის თავიდან დაწყება... — რაფაელმა ვისკი გადაჰკრა და მოიღუშა. — საბოლოოდ, ვფიქრობ, ყველაფერი მოგვარდება. ჩემს პირად საქმეს არა უშავს, ცოტაოდენი წარმატება და შეიძლება ერთ ღღეს გავხდე...

— მერს ნუ დაღვე, რაფაელ.

— ჰო, შენ მართალი ხარ. მაღალი კლასის წარმომადგენლებმა საზოგადოებას მაგალითი უნდა მივცეთ... ჰო, მართლა, ოროპესაზე არაფერი გაგიგია?

— არა.

— ო, ეს ძალზე სასაცილო ამბავია. გასულ კვირას, ქორწინების წლისთავზე თავის ცოლს წერილი დაუტოვა თურმე, მერე ადგა და მეტროში მატარებელს ჩაუვარდა... ეტყობა, ამ ბოლო დროს ცუდად ჰქონდა საქმე. გაზეთში დაწერეს, ცოდვები მოინანია და მოკვდაო, განა ეს დიდებული არ არის?

— ეს საშინელებაა.

— ვითომ?! მე კი სასაცილო მგონია. რამდენიმე თვე სტატიებს ვწერდი მის მაგიერ. — რაფაელმა ისევ დაისხა ვისკი და ცოტაოდენი მოსვა.

რაფაელს მოსწონდა, თვითონ რომ იგვემავდა თავს. ერთხანს მეცოდებოდა კიდევ, მერე მივეჩვიე და ვცდილობდი ბოროტება ჩანასახშივე ამომეკვეთა. რაფაელს ვუთხარი, მანქანის გასაღები მინდა-მეთქი და ავდექი. რაფაელმა შიშით შემომხედა:

— უსათუოდ უნდა წახვიდე?

— ჰო.

— უსათუოდ?

— ჰო.

— კარგი, — ჩაიბუტბუტა მან. — ვითომ არც არაფერი მითქვამს შენთვის. ნახევარი საათის შემდეგ მაღაგაში ვიყავი. რაფაელის უსიამოვნო სიტყვები სადღაც გაქრა. ვიტრინებში შუქი ელავდა, ქუჩებში ხალხის ნაკადი მიედინებოდა. მანქანა ალვების ხეივანში დავაყენე და „პატარა ზღვისაქენ“ გზას ფეხით დავადექი.

ნიკოლი ტროტუარზე, მაგიდასთან იჯდა და მელოდა. მკერდზე ოქროსფერი, ჰყვებელა ბლუზა შემოტმასნოდა, შავ-თეთრი უჯრედებიანი ტეხასური შარვალი ეცვა. მწვანე ნუშისმაგვარი თვალები ჰქონდა და ძალიან ლამაზი მომეჩვენა. ერთი ტოტი ჟასმინი ვიყიდე და მივართვი.

— მაღლობთ, — მითხრა ფრანგულად. თავაზიანი ადამიანი ბრძანდებით.

სიმპათიით შემომცქეროდა, თავის მხრივ „ჩესტერფილდი“ შემომთავაზა. ოფიციალტს ვთხოვე ერთი სირჩა ხერესი მოიტანეთ-მეთქი.

— გუშინ ძალიან გამეხარდა, რომ დაგინახეთ, — მითხრა ნიკოლმა, — სულ არ მეგონა, ასეთი თუ იყავით. რომ დაგირეკეთ, არ გაგიკვირდათ?

— არა.

— თქვენ ახალგაზრდა ხართ, თანაც ლამაზი. უარს რად ეუბნებით რაფაელს? იმას, რაც ჩვენ შორის არის, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. რაფაელს მხოლოდ თქვენ უნდა ხართ....

მალიგელმა ქალებმა, მაგდას აუზში რომ ნებიერობდნენ, ჩაეფარეს და ალპაცერად გადმოგვხედეს, ეტყობა, იცოდნენ რაფაელის თავგადასავალი და კუთხეში გაჩერდნენ საჭორაოდ.

— რაფაელი ბავშვია, მთლად უმწეთ. თავს ობლად გრძნობს, ამის გამო ლოთობს და სისულელეებს ჩადის. მეშინია, კარიერა არ გაიფუჭოს. სამსახურიდან გაგდებას რომ უპირებენ, იცით?

— ვიცი, — ვუპასუხე მე.

— საკმარისია ერთი-ორი ჭიქა ვისკი-გადაჰკრას, რომ ლაპარაკის საღერდელი აეშლება. რაც შეიძლება ვცდილობ. შევაჩერო, მაგრამ ამაოდ. თქვენ უკეთ მოუვლიდით მას. — ნიკოლმა თავისი სირჩა ტუჩებთან მიიტანა და მანსანილია მოსვა. — გულახდილად გეტყვით. ჩემი საყვარლები უფრო მეტს მაძლევენ, ვიდრე მჭირდება... სისულელეა, რაფაელმაც ფულები ფლანგოს. მე მას ნამდვილად ვაფასებ და არ მინდა ცუდად წაუვიდეს საქმე. საკმარისია ერთი ანიშნოთ და იგი დაგიბრუნდებათ.

ნიკოლი თვალებში მიცქეროდა. მე ვუთხარი, არ შემიძლია, ამას რაფაელს ვერ დავპირდები-მეთქი.

— რატომ? — მკითხა მან.

— იმიტომ რომ არ მიყვარს, — ოფიციალტმა ხერესი მოიტანა, მე ცოტა მოვსვი. — ჩემთვის სულ ერთია, გაიგეთ? ეს რამდენიმე თვე მასთან ვცხოვრობ მხოლოდ მისი კარიერისათვის, ეს რომ არა, ამდენ ხანს დავშორდებოდი...

შეცბუნებული ნიკოლი რამდენიმე ხანს დუმდა, მერე კი უცბად გადაიხარხარა:

— მაპატიეთ, — მითხრა მან. — რა სულელი ვარ. მე მეგონა, გიყვარდათ. ეს რომ მცოდნოდა, არასდროებით არ დაგირეკავდით.

მეც გამეცინა და ვუთხარი, ბოდიში არ არის-მეთქი საჭირო. ნიკოლი უცბად მიხვდა, რა სასაცილოდაც აეწყო საქმე: თითქოს მოგველაპარაკოს, ორივემ ზურგი შევაქციეთ რაფაელს და ახლა, საერთო მსხვერპლს რომ გადავუდექით, ერთმანეთს სიმპათიით შევცქეროდით.

ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით კაცებზე (ისინი ხომ მხდალები, სუსტები და მეტიჩრები არიან): ვიცინოდით და შეთქმულების კვანძიც თანდათან ინასკვებოდა. უსირცხვილოები და ცინიკოსები ვიყავით იმ წუთს. ჩვენს მახლობლად „ალფა-რომეო“ გაჩერდა. ის კაცი, ვისზედაც ჩემი ახალი ნაცნობი ქალი მიაბობდა, კოჭლობით მოგვიახლოვდა და ნიკოლს დიდის ამბით ეამბორა ხელზე.

— გაიცანით, ბარონი ფინი გახლავთ, ეს კი ჩემი მეგობარი ქალია.

ბარონი მეც შემთხვია ხელზე. ის იყო მელოტი კაცი. სულელური სახე, არწივივით ცხვირი და ცისფერი, უაზროდ მზირალი თვალები ჰქონდა. ბარონი ჩვენ პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა. ნიკოლმა რაღაც უჩუჩუღლა იტალიურად.

— სად სჯობს ვისაუბროთ? — ცოტა ხნის მერე მკითხა ნიკოლმა.

ჩემთვის სულ ერთია-მეტქი, ვუთხარი მე.

— თუ გინდათ „გიბრალფაროში“ წავიდეთ. — შემოგვთავაზა ბარონმა.

— ნინოს კარგი სმა-ჭამა უყვარს, — ამიხსნა ნიკოლმა, — და თუ მხარი არ აუბი, ძალიან განაწყენდება.

— ჩვენს ოჯახში პირის პატივი ყველამ ვიცით. სამი მზარეული გვყავდა. მშობლებს მენიუ ედოთ წინ და ისე სადილობდნენ, — გვითხრა ნიკოლმა.

— სმაც უყვარს, — დასძინა ნიკოლმა.

— ღვინო ესპანეთში შესანიშნავი გაჭვთ, ყველი კი, პირიქით, საძაგელია, — თქვა ბარონმა.

— მართლა?

— ჩვენთან უკეთესი ყველია. იცნობთ იტალიას?

— ცოტათი, — ვუთხარი მე.

— თუ ოდესმე ჩამოხვალთ რომში, დიდი სიამოვნებით დავითმობთ ჩემს ბინას.

— გმადლობთ

— თითქმის ცელი წელიწადი ამოგზაურობ და ბინას მეგობრებს ვუტოვებ. ნიკოლი იქ ცხოვრობდა შარშან ზამთარს.

— თოთხმეტი ოთახია, — მამცნო ნიკოლმა. — ტიბრს გადაჰყურებს.

— ზაფხულობით მიყვარს მოგზაურობა. თქვენ მანქანას მართავთ?

— ცოტათი.

— ნინოს გაგიყვებით უყვარს მანქანები, — მითხრა ნიკოლმა. — მარკებივით აგროვებს მათ.

— შარშან „ბენტლეი“ და „ფერარი“ ვიყიდე...

— უმცროს ამას ნინოზე უკეთ დაჰყავს მანქანა. სისხლში აქვთ გამჭდარი...

— ამ შემოდგომაზე ბარსელონას შემოვივლი, — გვითხრა ბარონმა. — თუ თქვენც მოისურვებთ. საკმარისია ერთი სიტყვა და...

მე შევბირდი. ასეც მოვიტყვევი-მეტქი. ბარონმა ფული გადაიხადა და ჩვენ ავდექით.

გადასასვლელთან ნიკოლმა ჩამჩურჩულა:

— კაპრიდან რომ მივითია, ღხდა, ჭვარი დავიწეროთ.

სიცილით ვუთხარი, რაფაელს ეს სჯობია-მეტქი. ნიკოლმა მკლავი მკლავში გაიყარა და ლოყაზე მაკოცა.

— ჯერჯერობით ვართობ, როგორც შემოდის. გუშინწინ საქორწინო ბეჭედი შეუკვეთა...

გზაში ბარონმა-მთელი თავისი ბრწყინვალე ნიქი გამოამზეურა. მანქანებსა და ტრამვაებს შორის ოსტატურად დააქროლებდა მანქანას, მეტეორივით გადაკვეთა ქალაქი და ფირანდისის აღმართი ასზე მეტი კილომეტრის სისწრაფით აირბინა. ქარმა თნა გამოიწეწა. საინამ ტრაქტირში შევიდოდით, დავივარცხნე. აივანი უცხოელებს აქვსოთ. ბარონმა თავისუფალი მაგიდა მოძებნა და ერთი ბოთლი შამპანური შეუკვეთა.

ოფიციალტმა მაგიდაზე ყინულიანი ბადია დადვა. ირგვლივ რამდენიმე ნაცნობს მოვკარი თვალი. ის ვაჭარი, ამას წინათ ელენთან გამართულ საუბარზე რომ გავაცურე, თოჯინასავით შევლებილ ქერა ამერიკელ ქალს მისჯდომოდა გვერდით. ნიკოლმა მითხრა, ეს ქალი კინომსახიობი იყო, მაგრამ ბედმა

აღარ გაუმართლაო. „მთვარეულივით დადის, აბა, შეხედე, სწორ გზაზე მიდის და ძაინც ფორხილობს“.

ბარონმა ჭიქები შეავსო და ჩვენი შეხვედრის სადღეგრძელო დავლიეთ. მერე მეორე ჭიქაც შევსვით და სპორტულ მანქანებზე საუბარს მოვყევით. რომელი მანქანა მომწონს, ინგლისური თუ იტალიური? ფრანგული, ფრანგული? ფრანგული თურმე არც არსებობს. ბარონმა თქვა, გერმანულ მანქანები ყველას სჯობსო. „გერმანელები არ მიყვარს, — განაცხადა ნიკოლმა. — მდიდარი ებრაელი ნათესავები მყავდა, გერმანელებმა ისინი არ ამოხოცეს და მეც უმემკვიდრეობოდ დავრჩი“. ბარონმა უთხრა, ჩემთან რომ იყოთ, არაფერი გაგიჭირდებათო. „ისე, იტალიაშიც, არ უყვართ გერმანელები“. „მაშ, რად გახდით მათი მოკავშირე?“ სანამ ბარონი ლექციას წაიკითხავდა მუსოლინისა და ომზე, მე ვცდილობდი მეტი დამეღია და გავმხიარულებულიყავი.

როცა წამოვდექით, უკვე კარგ გუნებაზე ვიყავი. ბარონი მანქანას ას ოცი კილომეტრის სიჩქარით მიაქროლებდა. მალაგაში ჩასვლისას გვითხრა, ერთი ბარი უნდა განახოთო. მთელი საათი დავეხეტებოდით ბინძურ კვარტალებში, მაგრამ ბარი ვერა და ვერ ვიპოვეთ. თურმე ეპისკოპოსს მოუთხოვია დაეხურათ ბარი და გუბერნატორიც ვერ წასულა წინააღმდეგი. გზაში ვიღაც მოხეტიალეებს გადავეყარეთ, მათთან ერთად დავლიეთ ღვინო. ერთმა კაცმა, ბოშას რომ ჰგავდა, გაგაცილებთო, გვითხრა და სარდაფში კი ჩაგვიყვანა. იქ გიტარაზე უკრავდნენ. შვიდი დღეა გრანადაში ვარ და ამ ბოშებმა მთლად მომაბეზრეს თავი. ბიჭი გავგზავნე ტაქსის დასაჭერად, სანამ მანქანა მოვიდოდა, ერთი ბოთლი მანსანილია დავლიეთ. ბოშები როკავდნენ და ტანზე ხელებს იტყაპუნებდნენ. ბარონი ჩასისხლიანებული თვალებით უცქერდა ნიკოლს. გამოვემშვიდობე მათ, ვუთხარი, ახლა პაემანზე მეჩქარება და ხვალ დაგირეკავთ-მეთქი.

ცხადია, დარეკვა არც მიფიქრია. მთელი დღია მშვიდად მეძინა. დღის პირველ საათზე მე და რაფაელი კარიუელაში წავედით საბანაოდ. რაფაელი კარგ გუნებაზე იყო. მაგდასთან ყოფილა მეგობრებთან ერთად.

სასაუზმეს პატრონი ქუჩაში თევზსა წვავდა, სარდინები ვერცხლივით ბრწყინავდნენ. კარგა მაგრა მოგვშიებოდა: თორმეტი სარდინი და პური გადავსანსლეთ, ერთი ბოთლი ტინტოც მივაყოლეთ ზედ. მერე კი ჩვენს ბაღში წამოვწექით და ჩაგვთვლიმა.

მალე ენრიკემაც დარეკა და სადილზე მიგვიპატიყა. ენრიკეს ჩამოსვლამ ძალზე დიდი ეფექტი მოახდინა. გრეგორიომ ერთი წუთით შემოირბინა ჩვენთან, სადილობისას ენრიკე და მისი ცოლი ვნახე და ჩურჩანაში მეც თქვენთან ერთად მოვდივარო. გრეგორიო ის იყო წავიდა, რომ კვლავ დაიწკრიალა ტელეფონმა. ამჯერად ისაბელი იყო, ბოდიშობდა, ადრე ვერ დაგირეკეთო. გვთხოვა, რაც შეიძლება ბევრი ხალხი წამოიყვანეთო. ...უზარმაზარი ვილა გვაქვს და ენრიკეს უნდა ხალხით აავსოს. არ დაგავიწყდეთ, ცოლ-ქმარი ფერე-როებიც წამოიყვანეთო. ისაბელი აღელვებული იყო, ხმა უკანკალებდა, მარწმუნებდა, მიხარია, შენი ხმა რომ მესმისო. ვიფიქრე, ენრიკე ალბათ იქვე დგას და ცოლის სულელურ ქათინაურებს ყურს უგდებს-მეთქი, და ისაბელს ცივად შევაწყვეტინე საუბარი.

თითქმის მთელი ნახევარი საათი ვურეკავდი მაგდას, ლაურას, დოლო-

რესა და ელენს. შევთანხმდით, „ცენტრალურში“ შევხვედროდით ერთმანეთს შვიდ საათზე. მერე დასაბანად ავედი მაღლა. ორი თვეა, ენრიკე არ მინახავს და მინდა დღეს ლამაზი მოვეჩვენო. ქვემოთ რაფაელი არმსტრონგის ფირფიტას უსმენდა კვლავ. მე გულდაგულ მოვირთე, კაბები გადავქექე, მაგრამ არც ერთი არ მომეწონა და საბოლოოდ ცისფერი კოფთა და ჯინსი ამოვარჩიე.

— წავიდეთ? — ვუთხარი რაფაელს.

ენრიკესთვის

— შენ წადი... მე გვიან მოვალ. ტელეფონზე უნდა დავსაუბრო. იმედი მქონდა, ნიკოლი დღესაც დაიტოვებდა რაფაელს და სანამ ძრავა გახურდებოდა, გადაეწყვიტე, დამერეკა მისთვის და გამეფრთხილებინა, მაგრამ ტელეფონის ნომერი ჩანთაში დამრჩენოდა და დარეკვაც გადავიფიქრე.

„ცენტრალურში“ უკვე მელოდნენ მაგდა, რომანი, ლაურა, ჩიჩო და ფერეროები. გრეგორიო ჩაფიქრებული ეწეოდა პაპიროსს. სელია იმ ახმახ ყმაწვილს ესაუბრებოდა, მაგდასთან რომ იყო აუზში ბანაობისას.

— რა ვაქცია ეს ენრიკე? — იკითხა რომანმა. — შარშან რომ გვესტუმრა, ის ხომ არ არის?

მე ენრიკეს გვარი და იმ გაზეთის სახელი ვთქვი, სადაც ის მუშაობდა. მაგდამ ტაში შემოჰკრა:

— ახლა კი მომაგონდა... ჩვენი ხნის ვაქცია, თანაც ძალზე მხიარული!

— საძაგელი ცოლი ჰყავს, — დასძინა რომანმა.

— ყველა ცოლი საძაგელია, — თქვა ჩიჩომ.

— ისე ამბობ, თითქოს ყველას იცნობდე, ბიჭიკო!..

— ჩიჩოს ქალებისა იმათზე მეტი გაეგება, ვინც ბევრს ტრაბახობს, — გადაჰკრა ლაურამ რომანს. ის კი ცბიერად იღრმებოდა და კეფას იფხანდა. ამასობაში დოლორესი, ელენი და ჯერალდიც მოვიდნენ.

— სალამი საზოგადოებას! — დოლორესი გრეგორიოსთან გაჩერდა. — შენი მეგობარი ქალი სადღაა?

სელიამ ახმახთან საუბარი შეწყვიტა და ქმარს გადახედა. გრეგორიო სულელივით იკრიჭებოდა.

— ნეტა რა ბუზმა გიკბინა? ღმერთო, რა ქალია და მუდამ კი იკბინება... სელიამ მე გადმომხედა, თვალები უბრწყინავდა:

— დოლორესმა რაღაც გკითხა, რად არ უპასუხე?

გრეგორიო სიბრაზისაგან მთლად გაწითლდა. იგი ხან დოლორესს შეხედავდა, ხან იმ ახმახ ყმაწვილს, ბოლოს მზერა ცოლზე შეაჩერა.

— სჯობს ენა ჩაიკმინდო. გესმის?

— ყრუ არ გახლავარ.

— მომწყინდა ყველაფერი. გესმის, მომწყინდა!

სელიამ პირი დააღო, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მაგდამ დაასწრო, მეგობრები შევეყრილვართ აქ და ჩხუბი სხვა დროისთვის შემოინახეთო.

— მაგდა მართალია, — თქვა ელენმა. — მიედივართ?

— როგორც გინდათ.

— წინ შენ წადი. ჩვენ გზა არ ვიცით.

გრეგორიო და რომანი ფულის გადასახდელად წამოდგნენ, სელია და მისი ახმახი მეგობარი ჩემს მანქანაში ჩასხდნენ. დოლორესი, ელენი და ჯერალდი ჩვენს უკან მოდიოდნენ „მერსედესით“. დანარჩენებიც მათ მოსდევდნენ უკან.

— რა სულელია, — თქვა სელიამ. — გინახავს ასეთი სულელი?

— რა მოუვიდა? — ვკითხე მე.

— რა ვიცი, — ჩაილულლულა ყმაწვილმა. — საკმარისია თვალი მომკრას და გუნება ეცვლება, — სელიასა და ამ ახმახ ყმაწვილს ხელები ჩაეჭიდათ ერთმანეთისთვის. სელია ბედნიერი იყო და ილიმებოდა.

— ამ დღით, ბაონდილიოში რომ ვბანაობდი, ხორხე მესულა, მხოლოდ სალმისთვის მოიბინა, გრეგორიომ კი მაშინვე განატყვევებდას დროაო და შინისაკენ ძალით წამათრია.

ლოს ალამოსის ბენზინის წერტს ჩავუარეთ და კოინის გზას დავადექით. სამხედრო აეროდრომიდან ჯარისკაცები ცხვირსახოცებს გვიქნევდნენ.

— ხორხეც ცხოვრობდა პარიზში, — თქვა სელიამ.

— მართლა?

— მამაჩემმა გამაგზავნა პარიზში, უნდოდა ბაკალავრი გაემხდარიყავი.

— კვლავ დაბრუნდებით პარიზში?

— არ ვიცი, მე მგონი, არ დავბრუნდები. პოლიციამ დამაპატიმრა სხვა სტუდენტებთან ერთად და მთელი ექვსი თვე ციხეში ვიჯექი. ახლა სწავლის უფლებას აღარ მომცემენ, — დასძინა მან. — გაისად ხელახლა მომიწევს გამოცდების ჩაბარება.

მივედით ჩურიანაში. მანქანა ზედ გზის პირას მივაყენე. ენრიკეს აგარაკი იქვე, ორმოცდაათ მეტრზე იყო. დოლორესმა და ლაურამ თავიანთი მანქანებიც ჩემი მანქანის უკან დააყენეს. მანქანიდან გადმოსვლისას გრეგორიომ წაშით გადახედა სელიას.

— წავიდეთ, — მივიპატიე ყველანი.

ბინდდებოდა, მაგრამ ცა შაინც მკრთალად ანათებდა. ლობესთან ორი მანქანა იდგა. იუკით, ბანანითა და თაფლინდის ხეებით დაჩრდილოულ ბაღში შევედით. დაბალი, თეთრი სახლი ხვართქლასა და ჭასმინებში ჩადლულიყო. უძრავ პაერში გარინდულიყვნენ ჩამავალი მზის სხივით მარჯნისტრად შეღებილი კაქტუსები.

— გამარჯობათ, — შემოგვეგება ენრიკე, — დიდხანს შეძებათ?

ორივე ლოყაზე რომ მაკოცა, სადღაც გაჭრა ის ორი-სამი თვე. ერთმანეთისაგან შორს რომ ვცხოვრობდით. შევხედავდით თუ არა ერთმანეთს. თვალები მაშინვე განზე მიგვექონდა. მივხვდი, ორივე ერთნაირად ვღელავდით შეხვედრის გამო. ძალა მოვიკრიბე და სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს წარვუდგინე:

— ენრიკე ოლმოსი... დოლორეს ველესი...

როცა მათ ერთმანეთს ჩამოართვეს ხელი, მე შეფარვით ვუცქერდი ორივეს. ენრიკეს გულისცემა მესმოდა თითქოს, ამოდ ვცდილვარ, დამევიწყებინა იგი. ჩვენ კვლავ გვიყვარდა ერთმანეთი. სევდიანი და თანაც დამამშვიდებელი აზრი მეწვია, ჩვენ შორის ყველაფერი განახლდებოდა.

— გთხოვთ, აქეთ მობრძანდეთ, — ენრიკეს სახეზე მისთვის ჩვეული დამცინავი იერი დასთამაშებდა. მკლავში ხელი გამომდო და ტერასისაკენ წავვიძღვა ყველას. — აქ შეგიძლიათ იცეკვოთ, სვათ. ერთმანეთი გიყვარდეთ, მოკლედ, როგორც მოგესურვებათ, ისე მოიქცეთ. თუ რომელიმე სენიორიტა უკავალროდ დარჩება, შემძლია, აგაპიტოს ჩავაბარო მისი თავი.



ყველამ იქით მივიხედეთ, საითაც ენრიკემ გვანიშნა. დავინახეთ ჯუჯა კაცი, რომელსაც გრძელი კოსტიუმი, მოკლე შარვალი და საყელოგახიმებული პერანგი ეცვა. ყელზე ბაფთა ებნია, შიშველ ფეხზე სანდლები ჩაეცვა, პირში სიგარა გაეჩარა და ჩვენკენ მოდიოდა. ჟურნალისტთა წრეში ენრიკეს იცნობდნენ, როგორც მახინჯთა მოყვარულს. მადრიდში თავს მოუყრიდა ხოლმე ხეიბრებს, დაათრობდა და ერთობოდა მათი ცქერით. ენრიკემ აგაპიტოს ქაშარში წააგლო ხელი და მალლა ასწია. წამით ყველანი გაშეშდნენ.

— ჩემი მდივანი, აგაპიტო, ქალთა გულთამბყრობებში, — სევილიაში მალალი საზოგადოების ქალიშვილებთან მეგობრობდა.

როცა სტუმრებთან სიფრიფანა მოსასხამში გახვეული ისაბელი გამოვიდა, ყველანი ხარხარებდნენ. ისაბელმა მკვირცხლად მიმიზიდა თავისკენ:

— კლაუდია, როგორ გამახარე! — მერე მზრუნველობით მიიხედ-მოიხედა: — რაფაელი სადღა არის, არ მოსულა?

— საქმე ჰქონდა, სადაცაა მოვა.

— გალამაზებულხარ, გოგონი, დღითი დღე ახალგაზრდავდები.

როგორც სჩვეოდა, სხაპასხუპით ლაპარაკობდა. ენრიკემ ჯუჯა იატაკზე დაუშვა და თქვა, სამწუხაროა, ქალებს პირი ბოქლომით რომ არ ეკეტებათო.

— ჩემი ცოლი ყველაზე დიდი მოლაყბეა ამქვეყნად, — თქვა მან. — თუ თავს მოგაბეზრებთ, ზურგი შეაქციეთ და თავს უშველეთ. მე, მაგალითად, ასე ვიქცევი მუდამ.

ისაბელთან საუბრისას მართლაც ბევრჯერ მოვქცეულვარ ასე, და ახლაც უკვე მერამდენედ, იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ რამ შეართვევინა-მეთქი ეს ქალი ენრიკეს.

— მობრძანდით, ცოტა დავლიოთ, — გვითხრა ენრიკემ.

სანამ ის სასმელს გვთავაზობდა, რომანი გახეთის საქმეებით დაინტერესდა. ენრიკემ თქვა, ესპანეთი დღითი დღე ემსგავსებათ ინდოეთს. „ყოველ შემთხვევაში, სევილია არაფრით არ განსხვავდება ბენარესისაგან. დიდი ხანია, სევილიაში არ ყოფილხართ?“ მე დოლორესისა და ელენის გვერდით დავჯექი. ენრიკემ სასმელი მოგვართვა. „მზე საშინლად აცხუნებს, ხალხი შიმშილით იბოცება პირდაპირ ქუჩაში. მუნიციპალიტეტის საბჭომ საგანგებოდ გამოკითხა მკვდრების ასაკრეფად. თუ შენს საბლთან გვამს დაინახავ, შეგიძლია სანიტგანყოფილებაში დარეკო. მიცვალებულთა წასადებად „ჩიპზე“ ამხედრებული ამერიკული დახმარების წევრები მოვლენ. მღვდლები ეკლესიებიდან გაიქცნენ. ახლა მარია-ლუიზას პარკში ხეებს შესევიან და ტყის თხილს აკნატუნებენ. როცა რომელიმე ეპისკოპოსს მოუნდება ნასადილევს ცოტა მაინც მოისვენოს ზედ ტრამვაის ხაზზე, ქუჩაში მოძრაობა ფერხდება. ვერავინ ბედავს გააღვიძოს იგი. ამას წინათ ექვსი საათი მაინც ვიდრე ქალვო სოტელოს მოედანზე“.

ტერასა თანდათან აივსო სტუმრებით. ისაბელი ვიღაც უცნობი ქალიშვილების შესაგებებლად გაემართა. მაგდამ არეულობით ისარგებლა, მკლავში ხელი წამაგლო და ბნელ კუთხეში მიმისწყვდია:

— რა მოგდის? — მკითხა მან.

— მე? — შემეშინდა, ენრიკეზე არაფერი ეთქვა და მაშინვე დავამშვიდე: — არაფერიც არ მომდის...

გარეთ მთლად ჩამობნელდა. აქა-იქ ფარნები აანთეს.

— დოლორესს ხომ არ გაუბრაზდი გუშინდელი ამბისთვის?

— მე? სულაც არა.

— აპატიე. რომანის სიყვარულმა გააგიჟა და სხვაზე იყრის ჯავრს, არ იცის, რა მოიგონოს, ოღონდ კი შეინარჩუნოს ქმარი...

სანამ ჩვენ ვლაპარაკობდით, რაფაელმა ბალი გადაჭრა და ენრიკეს გადაეხვია. რამდენიმე წუთს მალულად ვადევნებდი მათ თვარს, მაგრამ იგი გულახდილად ენატანობდა:

— შენმა ქმარმა არაფერი გითხრა ლაურაზე?

— მითხრა.

— ტიკივით გაბერილი მოვიდა, ღვინო აღარ დავალევიც და გამიბრაზდა.

— რაფაელმა უკვე მიაჩნო ეს ამბავი.

— ჩემს ცხოვრებაში ასეთი არაფერი მინახავს! არ მესმის, დოლორესი როგორ ითმენს? — საუბარი რომ შემეწყვიტა, მაგდას ვუთხარი, რაფაელმა უკვე ყველაფერი მიაჩნო-მეთქი. მაგდას სიტყვა პირში შევატოვე და ბარში დავბრუნდი. ენრიკემ სასმელი მომაწოდა.

— შენი ქმარი ნახე?

— ჰო.

— დამელოდე, ახლავე მოვალ.

დოლორესს მივუჯექი და ორივე ლოყაზე ვაკოცე. ის ყურადღებით შემომცქეროდა თავისი შუქიანი თვალებით. ცხოვრება სისულელეა, იდიოტი უნდა იყო, რომ გაუძლო, მითხრა. რომანი გატაცებით ცეკვავდა ერთ ყმაწვილ ქალთან. „უსათუოდ უნდა დავიწყო მუშაობა, — მითხრა დოლორესმა. — თორემ, ღმერთმა იცის, რა სისულელეს არ ჩავიდენ“. დოლორესს წელზე მოვხვიე ხელი, თვალები კი ენრიკესკენ მქონდა მიქცეული. დოლორესმა ღვინო გადაჭრა და თითით ენრიკეზე მანიშნა:

— გიყვარს?

— ჰო.

— ხალხი კი ამბობს, არ უყვარსო.

— ვიცი.

— შენ მართალი ხარ. რა მნიშვნელობა აქვს...

როცა ენრიკემ საცეკვაოდ გამიწვია, მთელი სამყარო დაცარიელდა ჩემს თვალში, მარტო მე და ის დავრჩით. ლოყა ლოყაზე მივადე და თვალები დაფხუჭე. ღვინის სუნი ასდიოდა.

— შენ მე მაგიყებ, — ვუთხარი მე.

— შენც მაგიყებ.

— გევედრები, ერთხელ კიდევ გაიმეორე. შენგან შორს რომ ვარ, თავი ბებერი და ულამაზო მეჩვენება, საშინლად არ მჯერა საკუთარი თავისა... მითხარი, რომ გიყვარვარ.

— მიყვარხარ.

— კიდევ მითხარი...

— მიყვარხარ.

— უფრო მაგრად ჩამიკარ, კიდევ მაგრად.

— მიყვარხარ, კლაუდია.

— მითხარი, რომ მაპატიებ.

— მიბატეებია.

— ძვირფასო, ჩემო ძვირფასო.

ფირფიტა დამთავრდა, უნდა დაეშორებულიყავით. ყველაფერი თავდაყირა დადგა. ჟასმინის სურნელებით გაჟღერებული ზღვაური ქროდა. მე სელისა და ელენს შორის დავჩექი. ჯერალდი ვისკით გაგვიმასპინძლდა.

რაფაელი და ლაურა როკ-ნ-როლს ცეკვავდნენ, ჯუჯამ ჩაგვიჩვენა და ელენს თვალი ჩაუკრა. სელია და ახმახი იცინოდნენ. მათ თვალს აღვჩინებდნენ მარტო-შული გრეგორიო, მერე უცებ წამოდგა და ხორხესთან მივიდა.

— ციხე როგორ მოგეწონათ? ხომ არ ისურვებდით, დაბრუნებულიყავით?

— არა, — მშვიდად უპასუხა ხორხემ.

— მაშ, ფრთხილად იყავით. ადამიანი ერთადერთი სულიერია, რომელიც ორჯერ წამოჰკრავს ხოლმე ფეხს ერთსა და იმავე ქვას.

წუთით დუმილი ჩამოვარდა: ხორხე გრეგორიოს შესცქეროდა. გრეგორიო თითქოს სადაცაა აიწყვეტდა, მთვრალი იყო და მძიმედ სუნთქავდა. სელიამ ხორხეს ხელი ჩასქიდა:

— ვიცეკვოთ?

ისინი წავიდნენ. გრეგორიო რუმბივით დაასკდა სკამს, თითქოს მიწა გამოეცალაო ფეხქვეშ. სიცილი ძლივს შევიკავე და დოლორესისკენ გავემართე, რათა ყველაფერი შეამზნა.

დოლორესი რომანს ეკამათებოდა და მე ყურს არ მიგდებდა. ბარში ერთი ელამი, სათვალისანი ყმაწვილი კაცი იჯდა. ენრიკემ დიდის ამბით გამაცნო იგი.

— გაბრიელ ბორასი ვახლავთ. ეს კი სენიორა ესტრადაა, თქვენი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი.

ენრიკემ მარტო დაგვტოვა. ყმაწვილმა კაცმა ჩაახველა და გაიფხორა:

— „ამაო ძახილი“ წაიკითხეთ?

— არა.

— „ნიავეს იქით“?

— არაფერიც არ წამიკითხავს.

დიდხანს ვდუმდით. ყმაწვილმა კაცმა ქშენა-ქშენით ჩამოთვალა ანთოლოგიაში გამოქვეყნებული რამდენიმე ლექსის სათაური.

— თქვენი ლექსები არ წამიკითხავს, — ვუთხარი მე. — ენრიკემ იხუმრა.

თავმოყვარეობაშელახული მივატოვე ყმაწვილი კაცი. ისევ დავისხი ვისკისაბელი კვლავ დაუღლელად ელაქლაქებოდა მეგობარ ქალებს. დონ აგაპიტო ლაურას ემასლაათებოდა. რაფაელი მომიახლოვდა და საცეკვაოდ გამიწვია.

— დღეს სალამოს ხავიერს უნდა დაერეკა, ველოდი და უცებ გავიფიქრე, რა მოხდება, ვაშინგტონში რომ გამგზავნონ-მეთქი სამუშაოდ. მაშინ რამდენიმე დღეს გავატარებდით აზორის კუნძულებზე. სწორედ გზად გავივლით. შენ რას იტყვი?

რაფაელი დაუღვევრად ლაპარაკობდა, მეც არაფერი ვუპასუხე.

— ეტყობა, შაბათამდე მომიწევს მადრიდში ყოფნა. ბილეთებზე თვითონ ვიზრუნებ. შენა გგონია, აჭაურობა არ მომწონს? პარიკით... მაგრამ ჩემი აზრით, აჯობებდა სადმე წავსულიყავით. რას იტყვი?

— ნუთუ იმისათვის არ მიგეჭვებია ყურადღება, რომ სულ რაღაც ერთი კვირაა, ტორემოლინოსში ვარ?

— ვინ იცის, იქნებ დიდხანს ვეღარ მოვახერხოთ სამოგზაუროდ წასვლა... ვფიქრობდი, გაგეხარებოდა, ადგილს, მზესა და ჰაერს რომ შეიცვლიდი.

— აქამდე უნდა გეფიქრა ეგ. ბინა სექტემბრამდე დაფიქროვეთ. შეუძლებელია.

— სახლს მარია-ლუიზას დავუთმობთ და ყველაფერი ვაქცევთ. იმ მინის ფულით კი, თუნდა, ალიასკაზე წავალთ! მოიფიქრე. ასეთი შემთხვევა აღარ გვექნება...

მთვარე ქათქათებდა ცაზე. ჩვენ გვერდით ხორხე და სელია ცეკვავდნენ. ბარში ენრიკე ვიღაც ქალიშვილს ესაუბრებოდა.

— არ მინდა აქედან ფეხი მოვიცვალო, რაფაელ. მინდა მშვიდად გავატარო ერთი-ორი დღე. შენ თუ გსურს აზორის კუნძულებზე გამგზავრება, წადი, ზოლოდ მე ნუ მთხოვ, წამომყევით. მგზავრობამ დამალა.

— მე კი მეგონა, ამაზე ოცნებობდი... თვითონ არ ამბობდი?..

— გადავიფიქრე.

— ერთხელ კიდევ დაფიქრდი.

— უკვე დავფიქრდი.

— კარგი, კარგი... როგორც გინდა...

ვეგრძნობდი. რაფაელს ხელები თანდათან უსუსტდებოდა. ფირფიტა რომ დაძვარდა, მდუმარედ დავცილდით ერთმანეთს. ბალი სტუმრებით იყო სავსე. ტერასაზე პროექტორის შუქზე ქალ-ვაენი ცეკვავდნენ, ბარში მამაკაცები ირეოდნენ. აქ შევხვდი ერთ ვაჭარს, რომელიც ომის შემდეგ გამდიდრდა კონტრაბანდით. აქვე ვნახე პროვინციელი ფალანგისტი დეპუტატის ცოლიც, და წარსული გავიხსენეთ. ვაჭარი ჯერ კიდევ არ გამელოტებულა, ქალი კი ბებერი და მოსაწყენი მეჩვენა. ენრიკე პოლიტიკაზე ეკამათებოდა მონარქისტების წარმომადგენელს: „ყველანი გაუბედავნი ხართ. პირდაპირ უნდა გადაგედგათ ნაბიჯი და მუშათა საკითხი გაგუქმებინათ...“ „გაგვეუქმებინა? კი მაგრამ, როგორ?“ „როგორღა, თავიდან უნდა მოგეცილებინათ. აფრიკიდან ხანგებს ჩამოვიყვანდით...“ ერთმა ქალმა ენრიკეს ჰკითხა, ჩემი ქმარი ხომ არ გინახავსო და იმანაც უპასუხა, ბაღშია და ვიღაც ქერა ქალს ჰკოცნის, თუ შეიძლება, ხელს ნუ შეუშლით, უზრდელობა იქნებაო. ქალმა უგემურად გაუცინა, მერე მე და ენრიკე სახლში შევიმალეთ და კოცნით ვიჯერეთ გული.

ტერასაზე რომ გამოვედი, მესამეჯერ გადავკარი ვისკი. გრეგორიო თავისი ცოლის გარშემო დაბთრილობდა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, გრეგორიომ ვერც მოასწრო გარკვეულიყო. დაეინებით შესცქეროდა სელიას, თითქმის ეშინოდა, თვალს მოვაცილებ და დაკვარგავო. რაფაელი და ლაურა ცეკვავდნენ, ჯერალდს სავარძელში ჩაფლულს ეძინა. რომანს შევეჩხებე და ვკითხე, დოლორესი სად არის-მეთქი.

— წავიდა, — გაიღიმა რომანმა. — ასე თქვა, მალაგაში პაემანი მაქვსო.

მე და რომანმა ვიცეკვეთ — ის აღარ მემარსიყებოდა. ერთმანეთს გესლიანად წავეხუმრეთ გრეგორიოს მისამართით. მერე ელენი მომიახლოვდა, მკლავში ხელი გამომდო და მითხრა, დოლორესი ტყუილუმბრალოდ წაეჩხუბაო რომანს. „ახლა ალბათ სადღაც ზის და ღვინოსა სვამს. გინდა წავიდეთ და მოე-

ძებნოთ?“ მე ვუთხარი, ძალიან დავიღალე-მეთქი, მაგრამ ენრიკე მოგვიას-  
ლოვდა და შემოგვთავაზა ტორემოლინოსიდან გავპარულიყავით.

გასასვლელისკენ რომ მივიპარებოდით, ლაურამ მოგვკრა თვალი და დამი-  
ცადეთო, დავვიძახა. ლაურა კარგა მთვრალი იყო, მალე რაფაელთან და ჩიჩოს-  
თან ერთად შემოგვიერთდა. ჩიჩო ამბობდა, ბაონდილიოში წავიდეთო, ელენი  
„ნუგეშს“ ამჯობინებდა, ენრიკემ გააწყვეტინა და თქვა, ამას კალაქში რომ  
გავალთ, მაშინ გადავწყვეტთ.

რაფაელს თავისი მანქანის გასაღები მივეცი, მე კი ენრიკეს „403“-ში  
ელენის გვერდით დავჯექი. ენრიკეს სწრაფად მიჰყავდა მანქანა, იმედი ჰქონ-  
და, დანარჩენები ჩამოგვრჩებიანო, მაგრამ გზაჯვარედინზე უკან რომ მივიხედე,  
„ფიატის“ ფარნები დავინახე. მთელი გზა ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. ენრიკე  
ჩემზე მეტად იყო გაბრაზებული. მოედანზე რომ გავედით, ყვავილნარს რამ-  
დენჯერმე შემოუარა გარს.

— რას შვრები?

— არაფერს. იქნებ იმათ მოსწყინდეთ და ჩამოგვეხსნან.

მაგრამ ორივე მანქანა ყვავილნარს მხიარულად უვლიდა გარს ჩვენთან  
ერთად. რამდენიმე წუთის შემდეგ ენრიკე დანებდა და „ცენტრალურთან“  
შეაყენა მანქანა.

— ჩვენ აქ ვრჩებით, — თქვა მან.

ისინიც დარჩნენ. რაფაელი წაეხუმრა ენრიკეს, აზორის კუნძულებზე ხომ  
არ წახვიდოდით.

— აზორის კუნძულებზე? რისთვის?

— ამბობენ, იქ შესანიშნავი ჰაერია. ხალხი უსაქმოდ დადის, ერთობიან,  
ნამდვილი სამოთხეაო...

— გზის ფულს თუ შენ გადაიხდი...

— შენსა და ისაბელის გზის ფულსაც მე გადავიხდი, ოთხნი წავიდეთ,  
ოღონდ კლაუდია დაითანხმე.

— როგორ, კლაუდია უარზეა?

— უარზეა.

— უჩემოდ წადით, — ვუთხარი მე. — რომ ჩამოხვალთ, მერე მიამშვით.  
მიყვარს, როცა რამეს მიამბობენ.

— კლაუდიას აღარ იზიდავს მოგზაურობა, — განაგრძო რაფაელმა, — წი-  
ხათ კი ძალიან უყვარდა.

— როცა სადმე კარგად გრძნობ თავს, აღარ გინდა იქიდან წახვიდე.

— საოცარია, რამდენიმე წლის წინ სულ სხვას ამბობდი. ოცნებობდი  
მოგზაურობაზე, ახალ-ახალ ხალხთან შეხვედრაზე... ახლა ადგილიდან ვერ  
დაძრავ, თანაც ხალხიც მალე სწყინდება.

— გააჩნია, რა ხალხია.

— წინათ ასე არ ამბობდი, ყველაფერი გაინტერესებდა. — რაფაელმა  
ვისკი შეუკვეთა ყველასათვის, მერე ენრიკეს მიუბრუნდა: — პარიზმა შეც-  
ვალა კლაუდია.

— ცხოვრება ყველას ცვლის, — ვუთხარი მე. — შენც ის აღარა ხარ, რაც  
იყავი.

— მართალია, ის აღარა ვარ. დრო ნელ-ნელა გვაბერებს. ახლა მხოლოდ

ბედს მინდობილი ვცხოვრობთ, — რაფაელმა გაიღიმა. — სამსახურშიც ასე არ იყო? სტატიების წერა შეკვეთით დავიწყეთ, პოდა, ახლა შეკვეთითა ვცხოვრობთ. განა ასე არ არის, ენრიკე?

მღუმარედ მდგარ ენრიკეს ხელი ხელში წავავლე. ეს ისე უნებურად მომივიდა, რომ ყველანი შიშით შემომაცქერდნენ. მტანჯველი სიჩუმე ჩამოვარდა.

— იქნებ ვიცეკვოთ? — თქვა ელენმა.

— კარგი აზრია, — მხარი აუბა ჩიჩომ.

აქამდე მარტო ლაურას არ ესმოდა, რა ხდებოდა აქ, მაგრამ ახლა იმანაც გაიგო ყველაფერი.

— წამოდი, ჩვენც წავიდეთ, რაფაელიტო.

რაფაელმა ვისკი ნელ-ნელა მოსვა და გაუბედავად შემომხედა:

— შენ არ წამოხვალ?

— არა?

— შენ?

— არც მე წამოვალ, — უპასუხა ენრიკემ.

რაფაელი ადგა. თითქოს წუთში დაბერდაო, სახეზე ნაოჭები დააჩნდა.

— რემოში მივდივართ, — რაფაელმა ნერწყვი გადაყლაპა და ისე ჩაიბუტბუტა: — თუ გადაიფიქრებთ, დამირეკეთ. მთელი ღამე იქ ვიქნები.

უკანმოუხედავად წავიდა. ენრიკეს მივუახლოვდი და ტუჩებში ვაკოცე.

— ხედავ, რა მოსდის?

— ვხედავ.

— მოტყდა, ღირსება დაკარგა.

ჩვენ ისევ ვაკოცეთ ერთმანეთს. ვიგრძენი, ენრიკეს როგორ შეაყრეოლა, თვალებიც უბრწყინავდა.

— წავიდეთ.

მანქანაში ჩავსხედით. „403“-მა უკან მოიტოვა ფერად-ფერადი რეკლამები, გაზონებიანი თეთრი სახლები და ელ პინარის ტყიანი ბორცვები. გზა მთისკენ მიიწევდა. ერთ მოსახვევში მთვარის შუქით განათებული ზღვა დავინახე. ერთ მხარეს აეროდრომის მწვანე და წითელი შუქი საახალწლო ნაძვის ხესავით ანათებდა. გუადალორსეს ხიდი და ღირბთა კვარტალი გავიარეთ. მხოლოდ ერთ ორ ბარში ანათებდა შუქი. უკან მოვიტოვეთ ტრამვაი, მეეტლეთა სადგომა და ფიკუსებით სავსე ალამედას ქუჩაზე გავედით, ენრიკემ მარცხნივ მოუხვია და მანქანა ოტელთან გააჩერა. მაშინვე გამახსენდა პარიზული უძილო ღამეები და ამსტერდამის ეკლიანი გზა, მაგრამ უკანდახევა უკვე გვიან იყო.

### III

რა ხანია გათენდა. მზე წითლად ამოგორდა პორიზონტზე. დილის ნიავზე ფოთლებს შრიალი გაჰქონდათ. ენრიკემ მანქანა გალავანთან შეაჩერა.

კიდევ ერთხელ ვაკოცეთ ერთმანეთს, მანქანიდან გამოვედი და ენრიკეც წავიდა. ბაღში რომ შევედი, გარაჟი ცარიელი დამხვდა. ეტყობა, რაფაელი ჩვენმა ლოდინმა დააღალა, ლაურამ თუ წაიყვანა დასამშვიდებლად. ერმინიას

პატარა ბარათი დავუტოვე, არაფერზე არ შემაწუხო-მეთქი და ძილის აბი გადავყლაპე.

თორმეტი საათი იქნებოდა, რომ გამეღვიძა. პირი გამშრალი მქონდა და ნახევარი ლიტრა ყავა მაინც დავლიე. ტელეფონზე დაურეკავთ ისაბელს, მაგდას, ლაურეანოსა და კიდევ ვიღაც კაცს, რომელსაც თავისი ვინაობა არ გაუშხელია, ოღონდ დაუბარებია, ორი საათისათვის შემოვივლიო. ერმინია შეშინებული ჩიტივით მიცქერდა. ვთხოვე აბაზანაში წყალი გაეთბო.

— სენიორი სად არის? — ვკითხე მე.

— არ გახლავთ. ღამე შინ არ გაუთენებია, — მიპასუხა ერმინიამ.

მეგობრებთან მომავალი შეხვედრა არ მიხაროდა. ნეტავ რა საჭიროა ფულის ყოვლისშემძლეობაზე ლაპარაკი, თუკი ერთი წუთითაც ვერ მოგანიჭებს სიმშვიდეს. ტორემოლინოსში ხალხს ხუთ და ათოთახიანი ბინები აქვთ და ისე ცხოვრობენ, თითქოს ქოხმახები ჰქონდეთ. მაგდა, ელენი და თვით დოლორესიც მუდამ საზოგადოებაში ყოფნას ცდილობენ. თითქოს ეშინიათ, ერთი წუთითაც რომ მარტონი დარჩნენ. თავისუფალ დროს ერთად ატარებენ, ტელეფონი დილიდან საღამომდე რეკავს და აბა, თუ ქალი ხარ, გაუძელი!

მთელი საათი დავყავი აბაზანაში, მერე ჩავიცვი და ბაღში ჩავედი. სანაპიროდან ეს ერთი დღეა განუწყვეტლივ ქრის ქარი. მზე შეუბრალებლად იკბინებოდა. ბავშვები მოთენთილიყვნენ და მოეწყინათ. მითხრეს, კატა საეჭვოდ უყურებსო იაღონს, თანაც მთხოვეს, კარიუელაში გაგვიშვიო.

— დღეს ძალიან ცხელა. წადით, ჩრდილში ითამაშეთ.

წამოვწექი, გადავწყვიტე კედარის ჩრდილში „ლოლიტა“ წამეკითხა, მაგრამ ერთი გვერდიც არ მქონდა ჩათავებული, რომ ჭიშკარი გაიღო და გრეგორიო გამოჩნდა. ლურჯი პერანგი და ზოლიანი შარვალი ეცვა. თეთრი ქუდი ეხურა და ახლა უფრო გარკვევით ჩანდა მისი უსწორო და გაფიქვინებული სახის ნაკვთები. სადღაც გამქრალიყო მისი ოპტიმიზმი, თვალები დანადვლიანებოდა, ქვედა ტუჩი უღონოდ ჩამოკიდებოდა. დაჯდა და საგულდაგულოდ მოიწმინდა ოფლი.

— მე მგონი, იცი, რატომაც მოვედი.

— საიდან მეცოდინება.

გრეგორიომ ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო და ხელებზე დაიხედა.

— სელიას საყვარელი ჰყავს.

— მართლა? კი მაგრამ, რა იცი, რომ საყვარელი ჰყავს?

— ყველაფერი ვიცი. გუშინ ჩურჩინაში გაიბარა იმ ბიქთან ერთად და პირში ჩალაგამოვლებული დამტოვა. საწყალი, გამოუცდელი გოგოა. ის ბიქი მოატყუებს, ლაფში ამოსვრის მის სახელს, მაგრამ გეფიცები, არაფერი გამოუვა.

გაბრაზებული გრეგორიო თანდათან უწევდა ხმას. ბავშვებს ყველაფერი ესმოდათ. თვალით ვანიშნე, აქედან წადით-მეთქი.

— არაფერი გამოუვა, გესმის? გინდა სულელად ჩამთვალე, რაღაც გინდა იმად ჩამთვალე, მაგრამ გუშინდელმა ამბავმა თვალეები ამიხილა. ნებას არავის მივცემ, სასაცილოდ ამიგდოს, მით უმეტეს, იმ ჯიშის ძაღლს...

— არ მესმის, რას ამბობ, — ვუთხარი მე.

— ის ყმაწვილი ერთხელ უკვე იჯდა ციხეში, წითელია. მათ ხომ არ

სწამთ საკუთრება, ამიტომაც ჰგონიათ, ყველაფერი მათ ეკუთვნით. მოთმინების ფილა ამევსო; თუ მთავრობა არ მიიღებს ზომებს, მე თვითონ გავუსწორდები ამ თავხედს!

— მაინც როგორ გავუსწორდები?

— დუელში გამოვიწვევ. ვიცი, სასაცილოდაც არ გყოფნის ჩემი ნათქვამი, მაგრამ მე ამას გავაკეთებ სხვებისათვის. თუ ახლა არ დაეცევი, ერთ მშვენიერ დღეს ზურგში ჩაგვეცემენ დანას.



ბიზლიქოშეკა

ნაწყვეტ-ნაწყვეტად და აბდაუბდად ლაპარაკობდა. მერე ისეთი თვალე-ბით ამომხედა, თითქოს შეელასა და დახმარებას მთხოვდა. სახე კვლავ ოფლს დაეცვარა. პაპიროსს მოვუკიდე.

— გრეგორიო, შენ მე ჰქვიანი კაცი მეგონე, სულ სხვა აზრისა ვიყავი შენ-ზე. მეგონა, თანამედროვე, განათლებული და ღირსეული კაცი იყავი, მაგრამ ვხედავ, შევცდი. — გრეგორიო გულისყურით მისმენდა. — ყველაფერი, რაც შენ თქვი, სისულელეა. ამერიკელებს ბაძავთ, მაგრამ არაფერი გამოგდით. მათ-სავით რომ იცხოვრო, ურცხვი უნდა იყო, რქები ისე უნდა ატარო, ვითომც აქ არაფერი იყო. აი, მაგალითად, ჯერალდი ნამდვილად თანამედროვე ადამიანია. თქვენ კი, ესპანელები, საკმარისია ქალს დაუმეგობრდეთ, ცოტაოდენი ვისკე შესვათ და თავი უკვე ამერიკელი გგონიათ. ვერ მოგართვით! მერე საკმარისია შუბლზე პატარა რქა ამოგივიდეთ და ჰე, ყველაფერი დაიმსხვრა თქვენთვის. მაშინვე ღრიალს მორთავთ საკუთარ ღირსებაზე, შურისძიებაზე და გინდათ მტერი დუელში გამოიწვიოთ! ვისაც სურს თანამედროვე ადამიანი იყოს, ბო-ლომდე უნდა იყოს თანამედროვე. არ ვარგა, დღეს იყო ერთი, ხვალ მეორე და ზეგ მესამე. მაშინ ხომ არავინ არ ჩაგითვლის ამას სერიოზულობად. მამაკაცის-თვის კი ამაზე ცუდი არაფერია.

გრეგორიო თავჩაქინდრული მიგდებდა ყურს. მერე ათრთოლებული თი-თებით ამოიღო პაპიროსი.

— ჩემს ადგილზე შენ რას გავაკეთებდი?

— არაფერსაც არ გავაკეთებდი. დაე, თვითონ გადაწყვიტონ საქმე. სე-ლიას არ უყვარხარ, არც შენ გიყვარს სელია. დღეიდან შეგიძლია თავისუფ-ლად იარო შენს მეგობარ ქალთან ერთად. იმ კაბუკმა ხომ თვითონაც არ იცის, რა დახმარება გავიწია. მართალი რომ გითხრა, იმის მაგიერ, რომ მადლობა უთხრა...

— შენ ასე ფიქრობ?

— რა თქმა უნდა. შინ მოიწვიე ხორხე და მისს ბენტლეიც. მერე კი გაცვა-ლეთ ქალები. თანამედროვე ცოლ-ქმარი ზუსტად ასე იქცევა: ერთი — ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს და ყველაფერი რიგზეა, როგორც კინოში.

ნახევარი საათის მერე გრეგორიო წავიდა, მთლად გარდაქმნილი. ხორხეს-თან მოსალოდნელმა დუელმა შეაშინა იგი და მე მივხვდი, რომ მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოვაცალე. გალავანთან სანამ მივიდოდა, სიგარას მოუკიდა და ქუ-ჩაში გამარჯვებული კაცის იერით გავიდა.

ერმინიამ მითხრა, სუფრა გაშლილიაო, მაგრამ ძალზე ცხელოდა და მხო-ლოდ ერთი ფინჯანი გასპაჩო<sup>1</sup> დავლიე. ირგვლივ ყველაფერს ბუდი ასდიოდა.

<sup>1</sup> პური, ზეთით, მწრით, ხახვითა და ნიორით შეზავებული ცივი წვენი.



მეზობელი სახლის მშენებლობაზე კალატოზები წელამდე შიშველნი მუშაობდნენ. ერთმა ჩალისქუდიანმა მუშამ რომ დამინახა, დაუსტვინა და გულზე ხელები დაიკრიბა.

სადილის მერე ჰამაკში ჩავწექი დასასვენებლად. თითქოს საბერველიდან უბერავსო, ცხელი და მშრალი ქარი ქროდა. ძალაგამოცლილი ბავშვებზე ჩემ გვერდით დასხდნენ ჩრდილში. ცა მთლად მოწმენდილი იყო, მზე ბრწყვიალად ნამსხვრევებად ეგდო მიწაზე და თვალსა ჭრიდა.

ერმინიამ გამომალვიძა, ტელეფონთან გთხოვენო. დოქტორის იყო — ათას ხმაში გამოვარჩევი მის ხმას — ბოდიში მოიხადა, წუხელ გაგეპარეთო. ძალიან ცხელა და მოდი, ყველანი რონდაში წავიდეთო.

— დღეს მკონი კორიდაა. ცუდიც რომ იყოს, ჰაერზე მაინც ვიქნებით. თავს მოვიკლავ, კიდევ რომ დავრჩე აქ.

მითხრა, ერთ საათში შემოგივლიო. დრო რომ არ დაგვეკარგა, გადავწყვიტეთ სხვებიც გაგვეფრთხილებინა.

— რომანსა და მაგდას წამოვიყვან. ოთხი საათისთვის რომ შევიკრიბოთ, თავისუფლად მოვასწრებთ.

მისმა ენერგიამ გამომადგნიზლა და მეც ჩურჩინაში დავრეკე.

— ენრიკე ხარ?

— დიახ.

— კლაუდია ვარ. — მისი ხმის გაგონებაზე გული ამიძგერდა. — მოწყვნილი ხარ?

— არა.

— აბა, დაიფიცე.

— გეფიცები.

— მიყვარხარ. სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა ჩემთვის, გესმის?

— მესმის.

დოქტორის წინადადება გავაცანი და მერე, რადგან ცოტა დრო გვრჩებოდა, სასწრაფოდ ავედი მალლა აბაზანაში. ლაურასა და ელენსაც დავურეკე. კატა კვლავ იადონის გალიას დარაჯობდა. ჩემს დანახვაზე შეშინებულმა მოკურცხლა. ის იყო, ვისკი, სიფონი და ყინული მოვამზადე და არმსტრონგის ფირფიტაც დავდე დასაკრავად, რომ ზარმაც დარეკა. ბავშვები კარის გასაღებად გაიქცნენ.

— კლაუდია ბიცოლა, ვილაც კაცი გკითხულობთ.

ვუთხარი, შემოვიდეს-მეთქი, შემოვიდა ენრიკე თავის მდივანთან ერთად. დოხ აგაპიტო გუშინდელზე უფრო მახინჯი მეჩვენა. პერანგი და მოკლე შარვალი ეცვა, ხელზე უზარმაზარი საათი გაეკეთებინა. ენრიკემ ჯუჯას მელოტ თავზე ხელი გადაუსვა და ბავშვებს მიუბრუნდა:

— აი, ვინ მოგიყვანეთ, ეთამაშეთ.

ბავშვები გაოცებული შესცქეროდნენ ჯუჯას. ენრიკე ჩემს პირდაპირ ჩაჯდა სავარძელში და პაპიროსს მოუკიდა.

— ეს-ეს არის ისაბელმა დამირეკა, კალიფორნიაში ვარო. ხომ წარმოიდგენ, როგორ გამეხარდებოდა. მილოცვაც ვერ მოვასწარი და სასიამოვნო მგზავრობაც ვერ ვუხსურვე, რომ ამიხსნა, მალაგაში, სასტუმრო „კალიფორნიაში“ ვარო...

აგაპიტო და ბავშვები ბაღში გავიდნენ, ჩვენ მარტონი დავრჩით. ენრიკემ მაკოცა.

- ძვირფასო, კიდევ მაკოცე.
- დაგვინახვენ.
- დაგვინახონ, ჩემთვის სულ ერთია.
- ჩემთვისაც.

ენრიკემ მიმიზიდა და ასე ჩახვეულნი რამდენსამე მდუმარედ ვისხედით.

- შენს მეგობრებს უარი უთხარი, მე და შენ ერთად წავიდეთ სადმე.
- არ შეიძლება, ეწყინებათ.
- გთხოვ. რამე მოიგონე. მანქანა ჭიშკართან დგას.
- არა, შეუძლებელია.

ენრიკე მიბრუნდა და ხალიჩას დაუწყო თვალიერება.

- გაჯავრდი?
- არა.
- კი. გაჯავრდი.
- გეფიქვები. არ გავჯავრებულვარ.
- დოლორესს ვჭირდები, გესმის?

ენრიკე დუმდა, მე ვაკოცე.

ზარი დარეკეს და მე ავდექი. ერმინიას ვთხოვე, მაცივრიდან ყინული გამოიტანე-მეთქი და ბაღში გავედი. ლაურა გაღიმებული შემხვდა.

— ეს-ეს არის შენს ქმარს დავცილდი. მართლაც მომხიბვლელი ვინმეა. — ტუჩები ოდნავ მომადო საკოცნელად და მერე ყურში ჩამჩურჩულა: — ეჭვიანი ხარ?

- პირიქით, ძალიანაც გამეხარდა. სად წავიდა?
- არ ვიცი. მგონი, მალაგაში პაემანი ჰქონდა.

დონ აგაპიტო ჰამაკში ამძვრალიყო და ბავშვებს ზღაპარს უამბობდა:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა მეფე, სახელად ფეისალი. ცხოვრობდა ბაღდადში, თავის დედ-მამასთან და ძმებთან ერთად...

ბაღში შევედით. ჭიქები ვისკით ავახსე. ლაურამ ენრიკეს ჰკითხა, ტორემოლინოსში პირველად ხართო? შარშან ზაფხულშიც აქ ვისვენებდით, უპასუხა ენრიკემ. არ მახსოვხართო, თქვა ლაურამ. არც არის გასაკვირიო, უთხრა ენრიკემ. ყველა კაცი მახსოვსო, დასძინა ლაურამ. კი მაგრამ, ტორემოლინოსში კაცებს რა გამოლევსო, შენიშნა ენრიკემ.

მე მდუმარედ ვსვამდი ვისკის. ერმინიას გავძახე, ჭიშკარი გააღე-მეთქი. ლაურა თავისი ბეცი თვალეებით მიცქერდა. კვლავ ცხელი ქარი ქროდა. ჭიქაში ორი ნატეხი ყინული ჩავაგდე. დონ აგაპიტო ბავშვებისაკენ დაბრლიყო და ჩურჩულით განაგრძობდა:

— ... პოდა, წაიყვანეს პატარა ფეისალი, ნაკუწ-ნაკუწ აჩეხეს, თავის ქერათმიან პრინცესასთან და თხუთმეტევე ძმასთან ერთად ტომარაში ჩაყარეს და შუა მოედანზე დააგდეს. ყველანი ამოიხოცნენ, ყველანი...

ამ დროს ზარიც დარეკეს და ყველანი წამოვდექით.

დოლორესს ტეხასური შარვალი და თხელი კოფთა ეცვა. ჩვენ დანახვაზე მანქანიდან გადმოვიდა და ტაში შემოჰკრა:

— აბა, სწრაფად. თუ არ ავჩქარდით, დაგვაგვიანდება!

დოლორესმა ტუჩებში მაკოცა, სხვებს კი ისე შეაქცია ზურგზე, თითქოს ვერ შეამჩნიაო.

— ყველანი ვართ? (რომანი თან არ ახლდა).

— ჰო, — ვუთხარი მე. — ელენმა ბოდიში შემოგვიტყველა, მწუხელ ჯვრალდი გაძარცვეს და პოლიციაში უნდა წავყვეო.

დოლორესმა თავის გვერდით მომისვა და მანქანის კარი მიხურა. მისი შოელვარე და მშვიდი თვალები ცისფერ ტბებსა ჰგავდნენ.

— მე და კლაუდიას მარტო გვინდა ვიყოთ.

მაგდამ უკმაყოფილება ვერ დაფარა. დოლორესმა უთხრა, შენ და შენი ჰმარი მეორე მანქანაშიც ჩაეტევიო.

— რა გზით მივდივართ? — იკითხა ენრიკემ.

— სან პედრო დე ალკანტარას გზით.

— კოინის გზით უფრო მოკლეა, — თქვა მიგელმა.

— თუ გინდათ, წადით იმ გზით, ვნახავთ, ვინ უფრო ადრე მივა.

დოლორესმა ძრავა ჩართო და ჩვენც სწრაფად დავიძარით ადგილიდან.

— მაგდა ნერვებს მიშლის, — მითხრა დოლორესმა. — არც ერთი არ მიყვარს, შენ გარდა. ზოგჯერ მინდა ყველაფერი მივატოვო და გავიქცე.

— მეც ასე მომდის, ადამიანებთან განუწყვეტელი ურთიერთობა მაღიზიანებს, ძალას მართმევს.

— შენთან ერთად სიამოვნებით ვიმგზავრებდი, ყოველ შემთხვევაში, რომანს მაინც დავალწევდი თავს. დღითი დღე აუტანელი ხდება, გეფიცები... იცი, რა მითხრა ამ ბოლო დღეებში?

— არა.

— თეატრი მიატოვეო, მიმძიმს როცა ჩემ გვერდით არა ხარო. აბა, წარმოიდგინე. ჩემი სახლის საღარბაზოსთან ვდგავარ და რომანთან მოსულ ავადმყოფებს კარს ვუღებ...

— ვერ წარმოვიდგენ.

— ვერც მე წარმოვიდგენ. ჩემისთანა ქალი უსათუოდ უნდა მუშაობდეს. მაყურებელს შევეჩვიე. გავგიყდები, სახლში რომ ჩამკეტოს ვინმემ...

— როლზე როდის დაიწყებ მუშაობას?

— ერთი თვის მერე. მანოლიმ სცენარი გამომიგზავნა, ორშაბათს კონტრაქტს ხელს მოვაწერ. რომანმა რომ გაიგო, კინალამ გაგიყდა. ძალიან უნდა, კლანჭებში ვყავდე, მაგრამ არაფერი გამოუვა...

დოლორესი მანქანას მიაქროლებდა და ჩემკენ არც იყურებოდა. ცისფერი აბრეშუმის თავსაფარი წაეკრა, ქარი ეთამაშებოდა შუბლზე ჩამოშლილ მის ვერცხლისფერ კულულებს.

— ამ დღით პროდიუსერს ველაპარაკე. საწყალი, ჩემმა მდგომარეობამ ჩააფიქრა: — სტუდიას ექიმი სჭირდება და მოდი, რომანი მოვიწვიოთო. როგორ მოგწონს, ა?

მე არ მიპასუხნია — მისი სითამამე მაოცებდა. სიგარეტს მოვუკიდე.

— ამგვარად, ერთად ვიმუშავებთ და გულს აღარ გამიწყალებს, ხომ გაიგე?

— გავიგე.

— იქ არხეინად იქნება. — მოსახვევში ბორბლების კრიალმა დაპფარა მისი ხმა. — ასე მეუბნება, დაბერდიო, სინამდვილეში კი თვითონ ჩემზე უარესად არის. ხომ ნახე, წუხელ როგორ იქცეოდა?

მარბელამდე ენრიკეს „403“-მა გაგვისწრო, მაგდამ ქელედიტევიქნია. კოსტა დელ სოლში წლის საუკეთესო დრო იდგა. გზის ორივე მხარეს ვილები და საზაფხულო აგარაკები ჩამწკრივებულიყვნენ უსასრულოდ. ტურიზმს საოცრად სწრაფად შეუცვლია ყველაფერი: სახლები სოკოებივით მომრავლებულიყვნენ, ფიჭვებში ოტელები ილანდებოდნენ. ერთი ტრაქტორის მეკარე გამვლელებს მუშკეტით ემუქრებოდა. ეს გზა ისე ჰგავდა სენ-რაფაელისას და სენ-ტროპეზისას, რომ ზოგჯერ მეჩვენებოდა, საფრანგეთში ვარ-მეთქი.

როგორც კი დოლორესმა სან-პედრო დე ალკანტარას ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ, ღრანტეებიანსა და ოღროჩოღრო ქუჩაში შეუხვია, ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა. სანაპირო აეჭრელებინა უცხოურ მანქანებს, ბარებს, ინგლისურ რეკლამებს. მერე კი ისევ ანდალუსიაში ამოგყავით თავი — უდაბურსა და მკაცრ ქვეყანაში. სიერას უღელტეხილზე გზა ხან მალლა მიიწევდა, ხან დაბლა ეშვებოდა. რაც უფრო მალლა მივიწევდით, მით უფრო თავისუფლად ვსუნთქავდით. ჩვენსა და ენრიკეს მანქანას შორის მანძილი სწრაფად მოკლდებოდა. ენრიკეს „403“ მზეზე ბრჭყვიალებდა და თითქმის ყოველ მოსახვევში გვესმოდა მისი სიგნალი. გზა უფსკრულის პირას მიიკლაკნებოდა. კლდეებზე ფიჭვები აცოცებულიყვნენ. ცოტა ხანი მანქანა დაბლობზე მიჭროდა, მალე ოლქის საზღვარი გადავკვეთეთ. გზაზე სამხედრო სატვირთო მანქანა და მთავრობის „ფიატი“ შემოგვხვდა. მთებში იკარგებოდა მანქანათა სიგნალების ექო. დოლორესი მღუმარედ მართავდა საჭეს. მზე ყოველ მოსახვევში იყო ჩასაფრებული და ამ დროს დოლორესიც ამუხრუჭებდა მანქანას. ჩავუარეთ პავილიონს, სადაც მაგარ სასმელსა ჰყიდდნენ. იქ თავმოყრილმა ჯარისკაცებმა მხიარული შეძახილებით დაგვიქნიეს ხელი. მცენარეულობა თანდათან გაიშვი-ათდა. ათასი ნეტრის სიმალლეზე ვიყავით და გზა კვლავ იქით მიიწევდა, სადაც სულ მალლა, სიერას კლდეებზე ერთი-ორი ფიჭვი გამოძერწილიყო. მალე მთები სულ გაშიშვლდნენ. მათი მწვერვალები ჰორიზონტს სწვდებოდნენ. რამდენსამე წუთს ერთი ხეც არ დაგვინახავს. შეუმჩნეველად ავედით უღელტეხილზე. გზა უკვე მთის მდელოზე გადაჭიმულიყო. „403“ გაქრა თვალთახედვიდან. საღამომ ირგვლივ ყველაფერი ოქროსფრად შეღება. სწრაფად მივიწევდით წინ. ერთ-მანეთს ენაცვლებოდნენ მცენარეები, ხრიოკი ველები და უწყლობით გადამხ-მარი პურის ყანები. ალოობა გახურებულიყო. გლეხები თავიანთი ჭორე-ბით ხან იქ გამოჩნდებოდნენ და ხან აქ. ზოგიერთები პურს უკვე ლეწავ-დნენ, კალო ყვითლად ანათებდა. დაბლა ოქროსფერი ველი გადამლილიყო, აქა-იქ ბოსტნები და ჯუჯა, ჩამომხმარი ჩინარები ჩაყუყულიყვნენ. გზა ზედ მთის ძირში გადიოდა. რამდენიმე წუთიც და შორს რონდა გამოჩნდა. იგი ისე შერწყმოდა მთების პეიზაჟს, რომ ჩამავალი მზის სხივებში გახვეული, მსოფ-ლიოში ულამაზეს ქალაქად მეჩვენა. სახლები რაღაც სასწაულით იდგნენ ზედ ხრამების პირას. დოლორესმა მანქანა დაამუხრუჭა და მითხრა, ერთხელ მად-

რიდიდან აქ საგანგებოდ მოვედიო თავის მოსაკლავად. „საათზე მეტ ხანს ვი-  
დექი ხიდზე და ჩავყურებდი უფსკრულს, მაგრამ გამბედაობა არ მეყო. აბის  
გადაყლაპვა ადვილია, მაგრამ, აბა, სცადე და ორასი მეტრის სიმაღლიდან გა-  
დახტის თან იმაზეც ვდარდობდი, სხეული დამიმახინჯდება-მეთქი. / თუ კიდევ  
გადავწყვეტ თავის მოკვლას, ავდგები და როგორც მხდლებს სხვევით, / ვერო-  
ხალს დავლევ“.

ჩვენ კვლავ დავიძარით. მღუმარედ მივდიოდით: ქალაქის ქუჩებში მიე-  
ფარა, მირაჟივით გაქრა. ავუყევით სან-ფრანცისკოსა და არაბული კარიბჭის  
მტვრიან გზას. უკან მოვიტოვეთ ალკასაბას ნანგრევები, გავიარეთ მენდეს ნუ-  
ნესის ქუჩა და ქალაქის ძველ მოედანთან მივედით, რომელიც ამ დროს ყო-  
ველთვის ყანებიდან მომავალი გლეხებით იყო სავსე. დოლორესი ძლივსძლი-  
ვობით მიიკვლევდა გზას ხალხით გაქვდილ ქუჩაში. კაცები უსაქმოდ მიყუდე-  
ბოდნენ კედლებს. აქა-იქ ჯორებს ჰედავდნენ. კუთხეში ორი მეურმე დასტრია-  
ლებდა თავს ურმის ღერძსა და ბორბალს.

ხიდი გავიარეთ, მოედანზე გავედით და ენრიკეს მანქანასთან გავჩერდით.  
კორიდას დაწყებამდე ათი წუთიღა რჩებოდა. მოაჯირს დაყრდნობილები ჩავ-  
ცქეროდით ხრამს. მწვანით შემოსილი კლდოვანი ფერდობები დაკიდულ კედ-  
ლებს ჰგავდნენ. სულ ჰვემით ლოდებს შუა ვერცხლისფერი ძაფივით ჩანდა  
გუადალუვიჩა. იქით კი იწყებოდა მოვარდისფრო-ყვითელი ველი, რომელიც  
ძალიან წააგავდა მარწყვითა და ვანილით შეზავებულ ნაყინს. ჰაერში უძრავად  
გარინდულიყვნენ ჰკები, მერე უეცრად, თითქოს ნიშანი მისცესო, დაბლა  
დაეშვნენ და ფართხუნით ჩაყვინთეს ხიდქვეშ.

— წავიდეთ, — თქვა დოლორესმა. — დაგვაგვიანდება.

ჰვემით, კასტელარის ქუჩაზე ხალხის მდინარე მიედინებოდა. ხაკისფერი  
მუნდირები შერეოდნენ გლეხებისა და მწყემსების შავ სამოსს. ადამიანთა  
მოფუთფუთე ფაფა ღვინისა და ოფლის სუნით ყარდა. კაცები ჩვენკენ იცქი-  
რებოდნენ, დოლორესმა თავსაფარი მოიძრო და წელზე ხელი მომხვია.

— ყეყეჩები, — კბილებში გამოსცრა მან. — ოღონდ სახეში შემაფურ-  
თხებინა მაგათთვის და მეტი არაფერი მინდა!

დანარჩენები არენის პირდაპირ, კაფეში გველოდებოდნენ. დავსხედით  
და ტინტო დავლიეთ. ენრიკე ბილეთების საყიდლად წავიდა, როცა დაბრუნ-  
და, წამოვიშალეთ. მიგელმა დაუძახა ოფიციანტს და ოცი ღურო მისცა. მაგდა-  
ნერვიულად იკვნეტდა ფრჩხილებს. სანამ ოფიციანტი ხურდას მოიტანდა, მო-  
მიახლოვდა და თითქმის ძალით გამიყვანა განზე.

— თუ ღმერთი გწამს. მიგელსაც მიაქციე ყურადღება. იმ საცოდავს  
ჰგონია, მარტო ჩემი გულისთვის სცემენ პატივს. ფეხზე ძლივს დგას. დილის  
ოთხ საათამდე არ დაუძინია, მე მელოდა... მეშინია, სისულელე არ ჩაიდინოს...

მაგდა, როგორც სჩვეოდა, ბავშვური ხმით ლაპარაკობდა. დავამშვიდე, მი-  
გელი პატარა ბიჭი არ არის და ჰკუის სწავლებაც არ სჭირდება-მეთქი, მაგრამ  
ის მაინც თავისას განაგრძობდა:

— მომაბეზრა თავი პირდაპირ. მისთვის ყველაფერი ვარ. სულ არ ესმის,  
რომ ზოგჯერ უმისოდაც მინდა ვიყო ხალხში, თუმცა მიყვარს იგი. ასე მითხრა,  
თუ მიმატოვებ, თავს მოვიკლავო. განა მე ვარ დამნაშავე, რომ კაცები ასეთები  
არიან და გარს მეხვევიან?

ტრიბუნაზე ენრიკეს გვერდით დავექი. თორმეტი წელი გავიდა, რაც ხარების ბრძოლას არ დავსწრებივარ. ის ბოლო კორიდა გამახსენდა, რაფაელთან ერთად რომ დავესწარი მაისის ბაზრობისას. გუბერნატორმა ლოქაში მიგვიწვია მაშინ. ანტონიო ბიენვენიდამ მეორე ხარი მე მომიძღვნა და რთივე ყური მოჭრა.

ამჯერად მატადორებად სამი გამოუცდელი ჭაბუკი გამოიყვანეს. მოზერებმა არც ერთს არ მისცეს საშუალება თავი გამოეჩინათ.

პირველ ხართან ბრძოლა უფერულად დაიწყო. ტორეადორი ხან მიპარვით, ხანაც აშკარად დასდევდა ხარს და იქამდე უქნევდა მულეტს, სანამ მაყურებლებმა სტვენა არ ატეხეს და მოედნიდან არ გააგდებინეს პირუტყვი. მეორე ხარი ის იყო აპირებდა აპყოლოდა ტორეადორს, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო: პირველ დარტყმაზევე წინა ფეხები მოკეცა და დაეცა. ტორეადორი უშნოდ იქნევდა ხელებს, სანამ არ ჩასცხო კისერში და არ მოკლა. ხალხს მოსწყინდა, აღრი-  
აღდა. ძეც ნერვიული სისუსტე მომერია. ასე მემართებოდა მუდამ, როცა ცუდ კორიდას ვუყურებდი, ნალველი და სიცარიელე დამეუფლებოდა ხოლმე.

ასეთ დროს აჯობებდა ხარი წამომხტარიყო, მოაჯირს გადავლებოდა და რომელიმე წესრიგის დამცველს მაინც დასძვერებოდა. კორიდა კორიდად არ ვარგოდა და ისევ ხალხს დავუწყე თვალიერება. ირგვლივ შლაბებსა და ყი-  
ლეტებში გამოწყობილი მეხრეები და სენიორები ისხდნენ, მანსანილიას სვამდნენ და სიგარას ეწეოდნენ. ქალებს სახეზე ისეთი ალქაჯური დამაბულობა ეხატათ, თითქოს სისხლი სწყუროდათ ვინმესი.

მესამე ხარიც მხდალი გამოდგა. ტორეადორი მხოლოდ მარჯვენა მხრიდან ეპარებოდა პირუტყვს, მაყურებელი კი ტაშით ამხნევებდა მას. ძალიან გამიჯვირდა, ხალხი ასე გულითადად რომ შეხვდა მესამე ტორეადორს. გვერდით მჯდომმა კაცმა ამიხსნა, ეს ბიჭი რონდელია და ხალხიც იმიტომ უკრავსო ტაშს.

- კი მაგრამ, დანარჩენები სადაურები არიან? — იკითხა ენრიკემ.
- კაცმა ზიზღით დამანჭა სახე:
- მალაგელები.

კიდევ კარგი პედრო რომერო მკვდარია, თორემ ხომ ვერ იამაყებდა თანამემამულეთ, გავიფიქრე და აქედან წასვლა მომიჩნდა. ასე მეგონა, კორიდა აღარასოდეს დამთავრდებოდა. ხარი წამში რომ აენტებოდა, წამშივე დაცხრებოდა. ტორეადორმა ორჯერ სცადა დაერტყა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. ბოლოს მესამედ, როგორც იქნა, დაარტყა. ხალხმა ტაში დასცხო, ტორეადორს ჭიქით წყალი მიაწოდეს. ენრიკეს ჩემზე მეტად მოსწყინდა. სანამ რონდელი ტორეადორი წყალსა სვამდა, ენრიკე ადგა და განაცხადა:

- ყმაწვილებო, მე მივდივარ.

სხვებიც მოგვყვნენ და მოედანზე კაფეში შევედით. ვინც კორიდაზე ვერ მოხვდა, ქუჩაში ხეტიალობდა ან თავი მოეყარათ და კამათობდნენ. დოლორესმა ბოთლი ტინტო შეუკვეთა. ხშირად მოწყენილობისაგან დვინო მომნდომები და კარგა ბლომადაც დამიღვევია. ახლაც ანგარიშმიუცემლად გადავკარი.

- კიდევ გინდა?
- წყურვილი მახრჩობს.

— შესანიშნავი ღვინოა, — თქვა დოლორესმა. — ერთი ბოთლი კიდევ მოგვიტანონ.

არენიდან ხალხის სტვენა მოისმოდა. ბავშვიანი ბოშა ქალი მოწყალებას თხოულობდა. ენრიკემ ოფიციანტს დაუძახა:

— კიდევ ერთი მოგვიტანეთ!

— ტინტო?

— დიახ, ტინტო.

ლაურამ მეორე ჰიქა შემივსო. მზე ის იყო ჩავიდა, მაგნიტის ღრუბლები და მოწმენდილი იყო. ქუჩები ხალხით ივსებოდა. სანტიაგოს დღესასწაულის წინა დღე იყო და ჰაერშიც კი იგრძნობოდა საზეიმო სუნი. ფესააქმლის მწმენდავი მეზობელ მაგიდასთან იჯდა და ყურადღებით მაკვირდებოდა ფეხებზე.

— ფეფეს უკანასკნელი ოინი არ გაგიგიათ?

— არა.

— გუშინ საღამოს იმ ბანკის ფილიალთან მისულა, ლარიოსის ბოლოში რომ არის და სამაზანდო ცხრილი გამოუცვლია. ფუნტი სტერლინგის, დოლარისა და ფრანკის ღირებულება ოთხმოცი პროცენტით დაეცა. ლირა კი, პირიქით, ათას პესეტამდე გაიზარდა. ირგვლივ ტურისტები ირეოდნენ და ამბობდნენ, ვიღაცამ თავიც კი მოიკლაო.

— ვინ გითხრა?

— ბეტი იყო ჩაბალიტაში და ფეფე უნახავს. ბეტი ამბობს, პოლიცია რომ მოვიდა, ფეფე სიტყვას ამბობდა: შეიძინეთ ასაფეთქებელ ნივთიერებათა კომპანიის აქციები. უფრო სარფიანია. სულ მოკლე ხანში ომი დაიწყებაო. ეტყობა, კარგად გამომთვრალა.

მიგელის გარდა ყველა იცინოდა, სანამ მეორე ბოთლ ტინტოს მოიტანდნენ, დოლორესი მიგელს ეძგერა:

— ძალიან გთხოვ, გაგვარკვიო, რა ჯანდაბად მოდიოდი აქ? ცოლმა წამოგიყვანა თუ თვითონ ისურვე?

— რახან ის აქ არის, მაშასადამე, ჩვენთან ურჩევნია. ხომ მართალია, მიგელიტო?

მიგელი მორცხვად იღიმებოდა, მაგდა თვალებით მთხოვდა შველას. ცოტა ხანს ხმა არავის ამოუღია.

— კორიდა მოსაწყენი იყო, — განაცხადა ლაურამ. — მხოლოდ ტორუადორები მომეწონა.

— პირველს არა უშავდა, — თქვა ენრიკემ.

— მე ყველა მომეწონა.

— წადი და გასასვლელთან დაუცადე, — ვუთხარი მე.

— ასეც ვიზამ, — მიპასუხა ლაურამ. — ერთი კიდევ დამისხი ღვინო.

ლაურას შევუვსე ჰიქა, მეც დავისხი. არც ისე მაგარი ღვინო იყო. პირში მწკლარტე გემოსაც მიტოვებდა. ალბათ მარტო მე მთელ კასრს გამოვცლიდი.

— შენს ჯუჯაზე გვითხარი რამე, — მიუბრუნდა ლაურა ენრიკეს. — რატომ თან არ წამოიყვანე?

— ჯუჯა გენიალური კაცია, — თქვა ენრიკემ. — ბაბუაჩემის მერე გაზეთის საბუღალტრო საქმეებზე არავის უზრუნვია. მან კი ყველაფერი წესრიგში მოიყვანა. ნამდვილი საანგარიშო მანქანაა.



ენრიკესი

— ქალები უყვარსო, რომ ამბობენ, მართალია?

— გიყდება.

— რომანი ყვებოდა, ერთხელ თურმე კარადაზე შეგისვამს და თვითონ სადღაც წასულხარ.

— ვიხუმრე მაშინ. ისე კი, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.

კორიდას დამთავრების შემდეგ ხალხი მაგიდებს მიაწყდა, რონდელ ტორეადორს თურმე საბატიო წრეც შემოუვლია. ფენიკსმდს... მწმენდაემა ჩვენ გვერდით ჯარისკაცების ჯგუფი გაარღვია, მოგვრასტოვტა, მტკასინებზე დამხედა და მკითხა:

— ხომ არ გაგიწმინდოთ?

— არა, გმადლობთ.

— კაცი წავიდა, მე თვალი გავაყოლე. ამ დროს ჩასკვნილი, ქერა კაცი ჩემკენ დაიხარა:

— სწორად მოიქეციოთ, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი ტიპი...

— ჰო?

— იოლად უნდა ფული იშოვოს.

ენრიკემ ტინტო დამისხა. კაცი ჯერ კიდევ იდგა ჩვენ შორის, წასვლას არც ფიქრობდა.

— ქალისა და ბავშვის ფეხსაცმელს, კი ბატონო, კარგად აპრიადებს, მაგრამ თუ ცოტა სამუშაო შეხვდა, მაშინვე დაიხვეს უკან. ამას წინათ ჩემს ცოლთან ერთად ვიყავი აქ. შევესწარი, ერთმა პოლიციელმა დაუძახა... იცით, მაშინ რა გააკეთა? შეხვდა პოლიციელის ჩექმებს, გულბელი დაიკრიბა და განაცხადა, საჩემო არ არისო. ღმერთმანი, ასე თქვა. აქ თითქმის ყველა მაგნაირია. ტყუილს არ გეუბნებით, მე თვითონ რონდელი ვარ და ყველაფერი კარგად ვიცი.

უფრო რომ დავერწმუნებინეთ, ხელი მკერდზე დაირტყა, ენრიკემ შესთავაზა, დაბრძანდითო და ტიქა გაუწოდა.

— დიდი მადლობელი ვარ. თქვენ და თქვენს ამხანაგებს ჯანმრთელობას გისურვებთ.

— აქ მუშაობთ?

— არა, სენიორ, მადრიდში. ოჯახის მოსახალხურებლად ჩამოვედი.

— ჩემი მეგობრებიც მადრიდელები არიან. მოგწონთ მადრიდი?

— დიახ, სენიორ. უზარმაზარი ქალაქია. ექვსი წელია იქ ვცხოვრობ და ქალაქს ჯერ კარგად არც ვიცნობ... მანამდე კი სევილიაში ვცხოვრობდი.

— რას აკეთებთ?

— ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ. ხოსე ლოპეს ლაგუნა, ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი.

— ძალიან სასიამოვნოა.

— მეც მოხარული ვარ თქვენი გაცნობით.

დაძაბულობა ნელ-ნელა გაქრა. ენრიკემ კიდევ დალია ტინტო. ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელმა თქვა, პოლიცია ყველაფერში უნდა ერკვეოდესო.

— ეს მძიმე ხელობაა, არ იფიქროთ...

— რა თქმა უნდა.



— ბევრს ჰგონია, საქმარისია კორპუსში შეხვიდე და პაიდა, ფეხი ფეხზე გადაიდე და უზრუნველად იცხოვრე. როგორ არა, მამ! ყველაფერი თანდათანობით უნდა დასძლიო...

— რა თქმა უნდა.

— ტრაბახში არ ჩამითვალეთ და ყველას კი არ შეუძლია პოსტზე დადგეს! ზოთლი დაეცალეთ, ენრიკემ ტაში შემოპკრა, ოფიციალტს დაუძრა, უნდოდა ეთქვა, კიდევ მოგვიტანეო, მაგრამ ის სხვა საქმით იყო დასაქმებული.

— აქვე ახლოს, გრასიას ქუჩაზე, ერთი ბარია. იქ შენაღობისა და ღვინო აქვთ, თანაც იმდენი, მთელ პოლკს ეყოფა, თუ მოისურვებთ, წავიყვანთ, — გვითხრა ლავუნამ.

ენრიკემ ფული გადაიხადა და ჩვენც ხალხში გავიკვლიეთ გზა. ყველანი შემთვრალი ვიყავით. მხოლოდ დოლორესს ეტყობოდა სახეზე, უგუნებოდ რომ იყო. ვანზე იდგა. მიგელიც მოწყენილი დუმდა. მაგდა მოჩვენებითი მხიარულებით ჩამომეკიდა მკლავზე.

— ვინ არის ეს ტიპი?

— არ ვიცი.

— რასა ჰგავს, თავიდან მოვიშორეთ.

მაგდას შეთქმული კილო მაღიზიანებდა. არც ვუპასუხე. ისედაც პატარა ბარი კაცებით იყო გაჭედილი. დახლზე ჩამწკრივებინათ ნაირ-ნაირი ტაბასი. ბაერში შემწვარ-მოხრაკულის სუნი იდგა.

— შეიდი ჰიქა ტინტო და შეიდი ულუფა ჩანკეტესი მოგვიტანეთ, — შეუკვეთა ენრიკემ.

— თირკმელებსაც არა უშავდა რა, — შენიშნა პოლიციელმა.

— თირკმელებიც დაუმატეთ, ოქროფხალაცა და კალნახიც.

ღვინო ძალზე ცივი იყო და სასიამოვნო დასალევი. კაცები უფრო შემჭიდროვდნენ, ადვილი დაგვითმეს, თან ცნობისმოყვარეობით გვიშხერდნენ.

— პირველად ხართ რონდაში? — პოლიციელს თვალები უბრწყინავდა, მივხვდი, დათვრა.

— არა, — უპასუხა ენრიკემ.

— კორიდას დაესწარით?

— დავესწარით.

— ტყუილად შეწუხებულხართ. რაც თავი მახსოვს, ერთი კორიდაც არ გამიცდენია. დღეს კი არ წავსულვარ. ერთი რეალია სამივეს ფასი.

— მოზვრებიც არ ვარგოდნენ.

— მოზვრები კი არა, ხარებიც რომ ყოფილიყვნენ, მაინც არ ივარგებდა. ხამდვილი ტორეადორი მუდამ ნამდვილი ტორეადორია. თუგინდ გაიპარსოს კიდევ, ესენი კი ლაწირაკები არიან.

— შართალი ხარ.

— დღეს პირველობა ორდონიესს ეკუთვნის, იმიტომ კი არა, რომ ჩემი მიწა-წყლის კაცია.

ლაურამ თქვა, ლუის-მიგელი სჯობსო. ოფიციალტმა ჰიქები კვლავ შეგვივსო. დოლორესი გონებადაფანტული იცქირებოდა ქუჩაში.

— მადრიდში თუ ესწრებით კორიდას? — ჰკითხა ენრიკემ.

— თუ სამსახურში არა ვარ, უსათუოდ ვესწრები. პოლიციელებში ბევ-

რია კორიდას მოყვარული. სან-ისიდორში ყოველ წელს ვყიდულობ აბონე-  
მენტს. თქვენ?

— თუ ქალაქში ვარ, მეც ვყიდულობ, — ენრიკეს ხმა ყრუდ ისმოდა.

— თქვენ მადრიდში არა ცხოვრობთ?

— არა.

— ჩემი ბინის მისამართს მოგცემთ, თუ ჩამოხვალთ, — ენრიკე წავალთ  
ორნი, ან ცოლებსაც წავიყვანთ...

— ჩემი ცოლი ცუდი ქალია, — თქვა ენრიკემ.

პოლიციელმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო,  
ჩვენს შორის ენრიკეს ცოლი ხომ არავინ იყო.

— აი, გულანდილი საუბარი თუ გინდა, ეს არის. რომ გამიგოთ და მო-  
მენდოთ კიდევ, გულანდილად გეტყვით, არც ჩემია ანგელოზი. საკმარისია  
ცოტა დავაგვიანო, ისეთ ამბავს ამიტებს... აშარი ქალია...

— ცოლქმრობა გაუგებრობაა და მეტი არაფერი, — შენიშნა ლაურამ.

— სწორია, ნეტავი აკრძალონ, — დაუჭირა მხარი პოლიციელმა.

ვგრძნობდი, ზომაზე მეტი მომივიდა დალევა. კვამლით სავსე ბარში ყვე-  
ლანი ერთმანეთსა ჰგავდნენ. ენრიკეს ნიშანზე ოფიციალტმა ჭიქები კვლავ  
შეგვიცხო.

— ძლიან მინდა, მადრიდში ჩამოხვიდეთ, — თქვა პოლიციელმა. — ახლა  
ფორმა არ მაცვია და არაფერს წარმოვადგენ. იქ სულ სხვაა, იქ ძალაუფლება  
გაქვს, პატივსა გცემენ. კვირა დღეს ერთად ვისადილებდით...

— სიამოვნებით...

— თუ ცუდი რამ შეგემთხვათ, მაშინვე მაცნობეთ, ყველაფერს მოვაგვა-  
რებ, გესმით?

— მესმის.

— ვინმეს რომ მანქანა დააჯახოთ, მაშინაც შემატყობინეთ. ხოსე ლოპეს  
ლაგუნა რკითხეთ, და მეტი არაფერი გინდათ.

კიდევ დავლიეთ. ენრიკემ ხელი გადამხვია. ლაურაც შემთერალიყო. დო-  
ლორესი კვლავ ქუჩაში იტყირებოდა. მხოლოდ მიგელი და მაგდა ისხდნენ  
მშვიდად.

— ნეტავ ვინმეს დააჯახებდეთ მანქანას... — ენას ძლივს აბრუნებდა პო-  
ლიციელი.

ენრიკემ უთხრა, უსათუოდ ჩამოვალ მადრიდში და ვინმეს დავაჯახებო.  
მერე პოლიციელმა კვლავ შემოგვთავაზა, სხვაგან წავიდეთ. შესანიშნავი ბა-  
რიათ სოკოროს ეკლესიის პირდაპირ. ძლივს მივიწვევდით ხალხით სავსე ქუ-  
ჩაში. ბარში რომ შევედით, დოლორესმა თქვა, უნდა წავიდეთ. ენრიკე რაღა-  
ცაზე ებაასებოდა მაგდას, თანაც ყველასათვის თითო ჭიქა სასმელი შეუკვეთა.  
ჩვენი გიდი ჯიუტობდა, სხვა ბარებშიც შევიდეთო. დოლორესმა გაბრაზებული  
თვალეები შაპყრო პოლიციელს, მიგელმაც დაითანხმა ენრიკე, წასულიყვნენ...  
ბოლოს გამოვედით, პოლიციელი კუდში მოგვდევდა და გვეუბნებოდა, ერთი  
დუქანი ვიცი, იქ კარგად ვისაუზმებდითო.

— საღამოს არა გვცალია, — უთხრა ენრიკემ.

როცა მანქანების სადგომს მივუახლოვდით, დოლორესმა გვითხრა, მარტო  
გამოგყვებითო მანქანით.

— რომელი გზით წავალთ? — იკითხა მაგდამ.

— რომლითაც გინდათ.

პოლიციელი ენრიკეს ეხვეოდა და მომავლის გეგმებს აწყობდა.

— ახლა უკვე იცა ჩემი მისამართი.

— ვიცი.

— ხეალ ყველას გელით სადილზე.

— ჰო, ჰო.

ენრიკემ ძლივს გაითავისუფლა თავი მისი ხელებიდან და მანქანის კარი გაბრაზებულმა მოიჯახუნა.

— რა მეტიჩარა ვილაცაა, — თქვა ლაურამ.

— სად მივდივართ?

— შალაგაში. ალორას მხრიდან წადი. ასე უფრო აჯობებს.

— დოლორესი?

— თავისი მანქანით უკან გამოგვყვება.

ენრიკემ ძრავა ჩართო. პოლიციელი ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან.

— ხომ კარგადა ხარ? — ვკითხე ენრიკეს.

— კარგადა ვარ.

— იცოდე, მაგდასაც დაჰყავს მანქანა.

— გაგიყვდი?!  
გამოვფხიზლდი. დავიძარით.

— ნახვამდის.

— წადი ერთი... — ჩაიბუზღუნა ენრიკემ.

კვლავ კასტელარზე ავედით და ესპინელისაკენ მიმავალ გზაზე შევეუბვიეთ. მალე ჩამობნელდა, მაგრამ სახლებიდან გამომავალ შუქზე ყველაფერი ჩანდა და მანქანის შუქფარებიც აღარ ჩავვირთავს. რონდადან რომ წამოვედით, მოვიხედე და მოშორებით დოლორესის მანქანა დავინახე.

ენრიკე გულმოდგინედ მართავდა საჭეს. სარკმელი რომ გავაღე, ხელზე მომეაღერსა. მე ავენთე ამ შეხებაზე. გზა გველივით მოიკლავებოდა. შუქბინდი შემოკვროდა სიერას მთებს, მიდამო უდაბურსა ჰგავდა. მაგდა ბავშვური ცნობისმოყვარეობით აფვალავებდა იქაურობას. მერე გლეხების სიღარიბეზე წამოიწყო ლაპარაკი. ენრიკემ თქვა, მოგზაურობისას ატაუალბა მაგონდებო მუდამ.

— ატაუალბა რომ ესპანეთში ყოფილიყო, კარგა მაგრა დაგვცინებდა. ინკებმა შური იძიეს ჩვენზე.

ოც წუთში მთლად დაბნელდა. დოლორესის მანქანის შუქფარებმა სიბნელე თრკონუსად გაჰკვეთეს. რამდენიმე სოფელი გავიარეთ, ენრიკეს მხარზე დაეადე თავი.

— ეს რა სოფელია?

— პენიარუბია.

მერე დაკლანდილ გზაზე გადავუბვიეთ და კვლავ დავინახეთ „მერსედესის“ შუქფარები. ენრიკეს მანქანის სპიდომეტრის ისარი სამოცს არა სცილდებოდა. უმთვარო ღამე იყო და რამდენიმე კილომეტრზე ნისლში გახვეულებს გვეგონა, ჩვენ გარდა სულიერი არავინ არ დადიოდა ამ ქვეყანაზე.

კიდევ ერთი სოფელი გავიარეთ. უცბად შევამჩნიე, რომ დოლორესი



ენრიკეს  
მანქანის კარი

დაგვეყარვა თვალთახედვიდან. ენრიკემ სვლა შეანელა და მალე მანქანა შეჩერა კადეც. ზეთისხილის ქალაში ტრიტინობელებს ტრიტინი გაჰქონდათ. რადიო ჩავრთე, დიქტორი ცნობას კითხულობდა სოფლის მეურნეობის დარგში დამსახურებისათვის სამოქალაქო ორდენით დაჯილდოებული შესახებ. სხვა ტალღაზე რადიოს მღეროდნენ მტვირნიან/შარას. მიდამო წყვდიადში იკარგებოდა.

ენრიკემ

— ნეტავ რა უნდა მომხდარიყო? — ვკითხე მე. ბიზნისმენა

— სოფელში შესვლამდე დავინახე. სამას მეტრზე იყო ჩვენგან.

— ალბათ ბენზინისათვის თუ შეჩერდა სადმე, — თქვა მაგდამ.

— ბენზინი საკმარისი ჰქონდა, — ვუპასუხე მე. — თანაც, აქეთ მგონი არც არის ბენზინის წერტი.

— არც მე დამინახავს, — მხარი დაუჭირა მაგელმა. — დოლორესი იქნებ სადმე შევიდა გადასაკრავად?

— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

ენრიკემ სიგარას მოუკიდა.

— თუ გინდათ დაებრუნდეთ და მოვებნოთ.

არავინ უპასუხა. ენრიკემ მანქანა მოაბრუნა. რადიოში კურტ ვეიელის მუსიკას უკრავდნენ. დიდი სისწრაფით მივქროდი.

— ასე თუ წავედით, გზაში ავცდებით დოლორესს, — თქვა ლაურამ.

— არ ავცდებით, მე ვიცნობ მისი მანქანის შუქფარებს.

სოფელში რომ შევედით, მაშინვე „მერსედესს“ წავაწყდით. დოლორესი ბართან შეჩერებულყო. ქუჩიდან დავინახეთ, დახლთან იდგა ვიღაც კაცის გვერდით.

— სალაში, — დოლორესს სახეზე სულაც არ დასტყობია გაკვირება.

— ქალო, გაგეფრთხილებინეთ მაინც! — შეუყვარა მაგდამ.

კაცი მთვრალი იყო და განაწამები შემოგვეცქეროდა, ძველი, ერთიანად დაკვრებული პერანგი და ტუქყიანი, გაცვეთილი შარვალი ეცვა. დოლორესმა არაფერი მოსვა.

— მაშ, თქვენ ამბობთ, ცოლმა მიმატოვაო?

— დიახ.

— ახლა რას აპირებთ?

დოლორესი მკაცრად ლაპარაკობდა, კაცს თვალს არ აშორებდა. კაცმა ჭიქა პირთან მიიტანა, ხელები უკანკალებდა.

— როგორც ხედავთ, ვსვამ...

— სულელი ხართ, — უთხრა დოლორესმა. — თქვენს ცოლს მოსწყინდა თქვენთან ერთად შიმშილი და ახლა ალბათ რომელიმე მდიდართან ერთად დასეირნობს ბარსელონაში.

ბარის პატრონი მტრულად შემოგვეცქეროდა. ჩვენ გარდა იქ არავინ იყო.

— არ არის მართალი... — წაიბუტბუტა კაცმა. — ჩემს ცოლს ვუყვარდი.

— მე თქვენ გეუბნებით, თავი მოაბეზრეთ და ბარსელონაში გაემგზავრა ნამდვილი ცხოვრებისათვის. ნუთუ სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ ლოთობის გარდა?!

— არ არის მართალი... — კაცი უხერხულად იწმენდა თვალებს.

— მის წერილში ყველაფერი ნათლად წერია. რომ გყვარებოდათ, ვიშვიშს

არ მოჰყვებოდით აქ. სულ ახლახან კაცები პატარა მიზნისთვისაც კი ქუჩაში გამოდიოდნენ თოფით ხელში.

— ჩემი ცოლი მეძავი არ არის...

— ყველანი მეძავეები ვართ, გესმის? — დოლორესს თვალები ისევ უბრწყინავდა, როგორც იმ საღამოს, მისს ბენტლეისთან ცეკვისას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მდიდარი ქალები ფულისათვის კი არა, საკუთარი სიამოვნებისათვის ვმეძაობთ.

— ძალიან გთხოვ, — ჩაერია მაგდა, — დაწყნარდი.

— ხმა გაიკმინდე, — შეაწყვეტირა დოლორესმა. — შენ არაფერ არ გეითხავს!

კაცი ორივეს შესცქეროდა და ვერაფერი გაეგო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და წარმოსადეგიც, მხოლოდ დაღლილობა და კარგა ხნის გაუპარსავი ჯაგარი აბერებდა.

— არ ნიყვარს, ასე როცა ლაპარაკობ, — უთხრა მაგდამ. — თავი დაანებე.

— თვითონ წამოიწყო, — თქვა დოლორესმა. — რომ შეიცოდონ, მოდას და ყველას უჩვენებს ცოლის წერილს. მე კი არ მინდა, ვინმე შეცოდებოდეს. უბედურები მეზარებიან.

— ჩემი ცოლი კარგი ქალია... — გული აუჩუყდა კაცს.

— შენი ცოლი დაგცინის, მეც დაგცინი. როცა კაცს არ შეუძლია ოჯახი არჩინოს, მათხოვარივით კი არ ხეტილობს, ქურდობს ან კლავს ვინმეს.

— გაჩუმდი, — ვერ მოითმინა მაგდამ. — ამის რა ბრალია, სხვა დამნაშავე...

— მხოლოდ ეს არის დამნაშავე. ვინც ასეთ ამბავს ურიგდება, ყველაფრის ღირსია.

— თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი.

— არა, ასეთებს ცეცხლი უნდა შეუწითო! — თითქმის ყვიროდა დოლორესი. — ცრემლი და გოდება რას უშველით. გუბნები, ასეთებს ბევრა არაფერი გადაუტანიათ ცხოვრებაში. აბა, მოაკელი მათ შზე, ქალები, ხარები, — ყველაფერი ის, რაშიც სიმშვიდეს პპოვებენ!.. ის, რაც აქამდე გადაიტანეს, წვეთია ზღვაში. გასაგებია შენთვის? მეტის ღირსნი არიან.

— შენ გაგიყვდი!

— პირიქით, გონებაზე ვარ, თქვენა ხართ სულელები. მე კი რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ. არასოდეს ვყოფილვარ ასე ჭკვიანი.

ქუჩაში ძლივს გამოვიყვანეთ, მაგდას ნერვებში უმტყუნეს და ატირდა. ენრიკემ ატირებულ მაგდა თავის მანქანაში ჩაისვა სხვებთან ერთად, მე კი „ნერსედესში“ დავრჩი.

— „ცენტრალურში“ დაგელოდები! — შემომძახა ენრიკემ.

დოლორესმა ჩანთიდან სიგარა ამოიღო, მე ანთებული ასანთი შევაგებე. ჯავრი რომ ამოანთხია, ცოტა დაწყნარდა. დანამუხლი, მოეღვარე თვალებით შემომაცქერდა:

— იმას არაფერს ვერჩიოდი, გესმის? — მე თავი დავუქნიე. — მდიდრები უფრო მაღიზიანებენ თავიანთი მორალური პრობლემებით, ვიდრე ესენი.

ქუჩაში კაცის ჭკვანება არ იყო. დოლორესმა მანქანის საბურავი დაუშვა, პირდაპირ სახეში გვცემდა ცხელი ქარი.

— სულაც არ მიფიქრია მისი შეურაცხყოფა, მხოლოდ გულახდილი მინდობა ვყოფილიყავი.

ის პატარა ზამბარა, რაც ჩემს სხეულში იყო მოთავსებული და იკუმშებოდა და ფართოვდებოდა მსოფლიო სევდის გამო, ომის ბირველსვე წლებში ვაწყდა, მხოლოდ აღარ მახსოვს, ზუსტად როდის ვაწყდა. ვგონობდი, დოლორესი მართალი იყო და ცოტა მშურდა კიდევ მისი. გზაზე დოლორესს ვუამბე, ერთ დროს როგორ ვმოღვაწეობდი საზოგადოებრივ საქმიანობებში.

— მართო თანაგრძნობა ჭრილობას ვერ მოაშუშებს, — თქვა დოლორესმა. — შებრალება მხოლოდ მას შეეღის, ვისაც ებრალება...

ცა კვლავ გადაიწმინდა, აღორას რომ გავცდით, გუადალორესს დაბლობს მოეფინა მთვარის სხივები. გონებაში ის ჩემი თანატოლები ჩამოვთვალე, რომელთაც ჩემსავით გაუწყდათ ზამბარა: რაფაელი, ენრიკე და კიდევ ბევრი სხვა. ცხოვრების უაზრობამ შემაძრწუნა. ასეთი რამ შემართებოდა პარიზში. ოდესღაც სასურველ და პატივსაცემ სტუმარს მერე გულცივად რომ ვხვდებოდი შინ. თანდათანობით ვიხრწნებოდი შინაგანად, რის გამოც სხვების მიმართ შეუწყნარებელი გახდი. ქალიშვილობაში ქვეყნის დასასრულამდე ვივლიდი, ოღონდ განსაცდელში ჩავარდნილ მეგობარს დავხმარებოდი. ახლა კი მეგობრებთან ყოფნაც მაღიზიანებდა. ეროზიამ დაშალა მთელი ჩემი სიკეთე და ახლა მხოლოდ ინერციით ვარსებობდი. ეს ინერციაც თუ გაქრა, ალბათ დასასრულიც მომიკაკუნებს კარზე.

ნახევარი საათის შემდეგ მალაგაში ვიყავით, დოლორესმა სადგურიდან კადისის გზისკენ გაუხვია. როცა ტორემოლინოსში მივედით, მოედანზე გაჩერდა და ერთმანეთი გადავკოცნეთ. ენრიკე „ცენტრალურში“ მგლოდა.

— რას ვაპირებთ? — ვკითხე მე.

ენრიკე გაწამებული სვამდა ხერესს:

— მაგდა ნერვებს მიშლის, აღარ შემიძლია.

— ხალხი აუტანელია. ამ წუთას არავისი დანახვა არ მინდა.

— არც მე.

— დავიღალე, ალბათ დავბერდი...

— მოდი, მალაგაში წავიდეთ.

ხელი ჩამვიდა, მე ადგილიდან არ დავბრუნლვარ. იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ კვლავ უძილო დამე მგლოდა.

ხუთშაბათს, სანტიაგოს დღეს, ენრიკემ შინ განთიადისას მიმეყვანა, დღის ბირველ საათზე კი ისევ გამომიარა და მალაგაში წავედით სადილად. რაფაელს შინ არ ეძინა. ბავშვებს ცივად, უგულოდ ველაპარაკებოდი. ასე მელაპარაკებოდნენ მეც პატარაობისას დედაჩემის მეგობრები: რამდენი წლისა ხარ, ან როგორა ხარ; როგორ ვბრაზობდი მაშინ დიდებზე, ერთსა და იმავეს დაზებირებულღვივით რომ იმეორებდნენ, ახლა სასაცილოდ არ მეყო და შემრცხვა კიდევ იმის მოგონებაზე. როგორმე რომ დავმშვიდებულიყავი, საკუთარ თავს ვუთხარი, მს შემდეგ ცხოვრება კარგა მაგრად შეიცვალა-მეთქი. უწინ ბავშვები სახლში ტეხის წვერებზე დადიოდნენ, ეშინოდათ, მშობლები არ გაეღვიძებინათ. ახლა კი მე და რაფაელი მხოლოდ იმიტომ ვიქცევოდით ასე, რათა ბავშვებს არ გაეგოთ სინამდვილე. ჩემი მშობლები რომ ცოცხალი ყოფილიყვნენ, სიცილით მოკვდებოდნენ.

სადილის მერე რაფაელის მშობლებს დაფურეკე და მოვუბოდიშე, პარი-  
ზიდან შეგობრები გვეწვივნენ და ხმა იმიტომ ვერ მოგაწვდინეთ-მეთქი აქამდე.  
თან დავპირდი, ხვალ ბავშვებთან ერთად გინახულებთ-მეთქი.

მე და ენრიკე კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ერთ სასაუბრეში. სამი  
ბოთლი ღვინო დავლიეთ. მერე ენრიკემ ოტელში წამიყვანა.

— როცა შენს გვერდითა ვარ, ასე მგონია, გული სისხლისაგან შეწრიტება.

— გაჩუმდი, რაფაელი ერთი თვის მერე ვაშინგტონში მარტინს შევხვდით და  
წავყვე. ამ ორ-სამ დღეს ნუ ჩამაშხამებ.

— კარგი.

— ნიყვარხარ. მაგრამ ოტელში აღარ წამოგყვები, გესმის?

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი, — ენრიკემ ხელი გამიშვა.

— გამიბრაზდი?

— სულაც არა.

— მე ხომ მეძავი ქალი არა ვარ. მითხარი რომ არა ვარ მეძავი.

— მე შენ მიყვარხარ.

— ვიცი, ძვირფასო. ნუ მიცქერ ასე.

— აბა, როგორ გიცქირო?

— არ ვიცი. ნუღარ მაუბედურებ ისედაც უბედურს.

ენრიკე ღუმდა. თავზარსა სცემდა ის ამბავი, რომ ჩვენ შორის ყველაფე-  
რი დამთავრდა. ნელა შევუდექი ჩაცმას.

— ერმინია თავის ქალიშვილთან წავიდა, ხუთ საათზე უნდა დაბრუნდეს,  
შანამდე კი ბავშვებს უპატრონოდ ვერ დავტოვებ.

ენრიკე წამოდგა. შეუმჩნეველად ვადევნებდი თვალს სარკეში და ვფიქრობ-  
დი, ერთხელ კიდევ რომ შემომხედოს, ყველაფერი თავიდან დაიწყება-მეთქი.  
ერთ წუთს გულის კანკალით ველოდი, მაგრამ ენრიკე ჩაფიქრებული იდგა და  
ჩემი მტანჯველი შემოფოთებაც მაშინვე გაქრა.

— რომელი საათია?

— ხუთის ნახევარი.

— ღრო კიდევა გვაქვს.

— დღეს ძალიან მტკივა თავი, — თქვა მან.

— მეც მტკივა თავი.

— ბევრი ღვინო დავლიეთ.

— ჰო, ბევრი დავლიეთ.

— აფთიაქში ალკა-სოდა ვიყიდოთ.

ხალიჩამოფენილი კიბე ჩავიარეთ, ვესტიბიულში მეკარე შემოგვხვდა:

— ამადამისათვის ოთახი შეგინახოთ?

— არა, — უთხრა ენრიკემ.

მანქანა ქუჩის კუთხეში იდგა. ენრიკეს გვერდით დავჯექი.

— სად წავიდეთ?

— სადაც გინდა.

— სადმე გრილ ადგილს შევაფაროთ თავი, — თქვა ენრიკემ. — ეს წყუ-  
ლი ქარი რომ არა...

პარკში გავჩერდით ფარდულთან. ენრიკემ არაყი „კუბა-ლიბრე“ მოითხოვა  
— სენიორასაც სურს?

— დიახ. რაც შეიძლება მეტი ყინული ჩააგდეთ.

ბაზრობამდე ორი კვირა რჩებოდა, მოედანზე კარუსელებსა და ტირს დგამდნენ. ხალხს კორიდაზე მიეჩქარებოდა, თუმცა ჯერ კიდევ ნახევარი საათი იყო დაწყებამდე.

— დღეს ვინ გამოაცხადეს აფიშაში? — ვიკითხე მე.

— მანოლო სეგურა, დიეგო პუერტა და გრეგორიო სანჩესი.

— დიეგო პუერტა დიდებული ტორეადორია.

— სევილიაში ერთი უმაწვილი ვნახე, მონდენიო ერქვა, ძალიან მომეწონა.

— ყველაფერს მივცემდი, ოღონდ სადღესასწაულო კორიდა მენახა. ლუის მიგელ ორდონიესი გამოვა ალბათ.

— შენ რა, უკვე მიდიხარ?

— არ ვიცი. ხომ ვითხარი, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რაფაელს სად დანიშნავენ-მეთქი.

— ამ ბოლო დროს რაღაც კარგად არ ჰქონდა საქმეები.

— უნდოდათ კვანტი გამოედოთ, მაგრამ რაფაელმა აიცილია.

— სამინისტროში მითხრეს, ლუკასის ბრალიაო ყველაფერი.

— ალბათ. ხავიერმა რაფაელს სთხოვა, მადრიდში ჩამოდი და საკუთარ საქმეებს მიხედო. რაფაელი ხომ კარგად იცნობს ვილაც-ვილაცებს.

ორივენი უცხოებობით ვლამპარაკობდით, ოფიციალტმა რომ კოკტიელი მოგვიტანა, დავლიე და ენრიკეს ვთხოვე, შინ წავიდეთ-მეთქი. ენრიკემ თავისი ჭიქა გამოცალა და ოფიციალტს უხმო.

— რამდენი მოგართვათ?

— ოცდაორი პესეტი, სენიორ.

ენრიკემ ხუთი დღით ქალაქის ფული ჩაუთვალა, და მანქანაში ჩავსხედით. მომწესრიგებელმა ვილიენ სოტელოს ქუჩაზე მიგვანიშნა, ჩვენც იქით გავუხვიეთ და ქალაქის განაპირას შევჩერდით მორივე აფთიაქთან, სადაც ენრიკემ ალკა-სოდა იყიდა.

— რა ხანია ასე მაგრად არ ამტკივებია თავი, — მითხრა მან.

— რომელიმე ბართან გაჩერე მანქანა.

— არა, მოვითმენ.

— მაშინვე კარგად გახდები.

პერჩელში, ავადმყოფებივით, მინერალური წყლის დასალევად შევჩერდით. ენრიკემ ჭიქაში რამდენიმე აბი ჩააგდო.

— შენ არ გინდა?

— მომეცი ერთი ცალი.

— როგორა ხარ?

— კარგად.

— მე ცუდადა ვარ.

— ჩურჩანაში რომ დაბრუნდები, დაწეტი. ცოტა უნდა დაისვენო.

მე ანგარიშმიუცემლად ჩავჭიდე ხელი, მან თითებზე მაკოცა, თან დაბნეული იტყობოდა ქუჩაში.

— მოდი, მანქანას მე წავიყვან.

— არა. რამდენი უნდა მოგართვათ?

— შვიდი პესეტი, — უპასუხა ფარდულში მომუშავე ქალმა.



— გინდა, ყავა დავლიოთ?

— მარტო ყოფნა მინდა, — თქვა ენრიკემ.

შინ რომ დაკბრუნდი, უკვე ექვსის ნახევარი იყო: კიშკარი ღია დამხვდა და ბაღში ისე შევედი, ზარი არც კი დამირეკავს. გარეთი კვლავ ცაჩელი იყო. ვიფიქრე, რაფაელი ჯერ არ დაბრუნებულა-მეთქი, მაგრამ ოთახში რომ შევედი, დავინახე, რაფაელი ლიონელ ჰემპტონის ფირფიტას უსმენდა.

— გამარჯობა, — მივესალმე მე, ძალზე ვიყავი დაღუპული. — რაფაელი მინდოდა. — მანქანა სად დატოვე?

რაფაელმა მემბრანა ასწია. ფერმკრთალი იყო, თვალეზრაცვივნილი, სათვალის ქვემოლან შემომხედა უაზროდ.

— სარემონტო სახელოსნოში.

— რატომ?

— ისე, ოდნავ დაეჯახე და ფრთა დაიჭექყა.

— როდის?

— გუშინდამ.

— რაფაელ, ღმერთო ჩემო, მთვრალი იყავი?

— ო, არა, ხეა დამნაშავე.

— ხომ შემპარდი, სიმთვრალისას...

— არაფერსაც არ შეგპირებდევარ. — რაფაელმა სიგარას მოუკიდა და კვამლის რგოლები გამოუშვა პირიდან. — ესეც არ იყოს, შენი რა საქმეა?

მე ვუთხარი, სწორედ ჩემი საქმეა-მეთქი, მაგრამ ვითომ ვერ გაიგონა.

— თუ ასე გწყინს მანქანის ამბავი, მეორეს გამოვიყვან ნისიად.

— მთავარი ეგ არ არის. ვიცი, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, ასე ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, რად მოეშვი ასე? დღითი დღე უმატებ ლაქლაქს და უკან-უკან მიდიხარ...

— შესანიშნავია... მაშასადამე, შენც შეამჩნიე?

— ამას ხომ ბრმაც დაინახავს, რაფაელ... ნუთუ არ შეგიძლია ძალა მოიკრიბო?

— ძალა? რომელი ძალა? რა ხანია, ვცდილობ...

— არ ვიცი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მაგრამ უაზრობაა ასე სიცოცხლე.

— ამას წინათ შენოგთავაზე, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ-მეთქი.

— მაგაზე არ გეუბნები, რაფაელ. სავსებით საკმარისია იმის შენარჩუნება. რაც დარჩა...

— რაც დარჩა? — რაფაელი დაიმანქა, იქაურობას თვალი მოავლო და ხმადაბლა თქვა: — და თუ არაფერი დარჩა?

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ბავშვების ყრიაბული ისმოდა ბაღიდან. რაფაელი კვლავ უძრავად იდგა. ოდნავ წაიჩურჩულა:

— მე ვიღუპები, კლაუდია, ვერც ვერავის ვეუბნები ამას. საბოლოოდ ვიღუპები. სერიოზულად ვამბობ, კლაუდია.

რაფაელი ოთახში მივატოვე, — უკვე დიდი ხანია დახმარებაზე უარი ვუთხარი... ჩემი საწოლი ოთახისაკენ გავეშურე. მეშინოდა, ძველი გრძნობები არ ამშლოდა და კიდევ ერთხელ არ გავხლართულიყავი ცრემლისა და ტანჯვის ლაბირინთებში.

ტანთ გავიხადე, ორმაგი დოზა დასაძინებელი წამალი დავლიე და დავწექი, ფანჯარა ღია დავტოვე. მგონი, არც არასდროს არ დავლილვარ ასე. ძილი გარს შევლებოდა დაყინებით და მეც მალე მივენდე მის ალერსიან ბურანს.

რომ გამოვიღვიძე, სიბნელე იყო. ვიღაც კარგა ხანია აკაკუნებდა კარზე. საფეთქლები მტკიოდა ჯერ კიდევ გაუშქრალი დაღლილობისაგან. ვინა ხარ-მეთქი, ვიკ თუე. ერმინიამ კარებში თავი შემოჰყო და მითხრა, სასტუმრო ოთახში დოლორესი გელოდებათო.

ბიზლიუსი

— უთხარით, ამოვიდეს.

ხალათი მოვისხი და პირსაბანს მივადექი, თავზე წყალს გადავისხამ-მეთქი. ძილმა ვერ მოიგვარა შვება, პირიქით, დაღლილობამ და აპათიამ შემიპყრო. ყელგამშრალმა წყალი დავლიე. მაგრამ ჩემი წყურვილი ნერვიული წყურვილი იყო, კუჭაა ზიზლით მიიღო სითხე.

— გამარჯობა, გეძინა? — მკითხა დოლორესმა.

საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, მე გვერდით მივუწექი.

— პო, რომელი საათია?

— თორმეტის ოცი წუთია. არ გივახშმია?

— არ მინდა.

— ელენი, ჯერალდი და მე „მარგალიტში“ ვიყავით. დაბრუნებისას რაფაელს შევხვდით.

— სად?

— ძოვდანზე. ავარიაზე გვიამბო... მთვრალი იყო.

— ახლა?

— პო, თქვენ რა წაიკინკლავეთ?

— როგორც ყოველთვის. ისეთი არაფერია მომხდარა...

— მგონი, მისი მანქანა გადაბრუნდა... კიდევ კარგი თვითონ არ დაშავდა.

— სად დატოვეთ?

— კბრიუელაშია სხვებთან ერთად.

— მომიცადე, შენთან ერთად წამოველ, — ვუთხარი მე.

დოლორესი ფახჯრის რაფას დაეყრდნო და პაპიროსი გააბოლა. მე კი, როგორც შემეძლო, სასწრაფოდ დავიბანე და მოვირთე. მერე ვესტიბიულში ჩავედი და ერმინიას ვუთხარი, შეგიძლია დაიძინო-მეთქი.

— ბავშვებმა კარგად ჭანეს?

— ძალიან კარგად, სენიორა.

— ხვალ პირველ საათამდე ვიძინებ, არავის ნახვა არ მსურს.

ვიღაცას მაგიდაზე დაედგა ჩადონიანი გალია. ჭიშკარს რომ ვკეტავდი, კა-ტა მომაგონდა. დაბრუნებას ვაპირებდი, გალია რომ გადამედგა, მაგრამ დოლორესი „პერსედესში“ მელოდა.

— ხომ არ იცი, მარტო იყო? — ვკითხე დოლორესს.

— ვინ?

— რაფაელი.

— როდის?

— ავარია რომ მოუხდა.

— არ ვიცი.

— გუშინ საღამოს რომანმა ნახა მაღაგაში ნიკოლთან ერთად...

— ნახავდა.

ქუჩის ბოლოში მარცხნივ შევუხვიეთ, მანქანის ფარების სინათლეზე შეთევვებულ პატარა სახლები გამოჩნდნენ.

— ეცადე დააწყნარო.

— კარგი.

— მარტო წადი. სჯობს, ჩემთან ერთად არ გნახოს.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული. ხელის ცეცებით ვეძებდით სასაუზმისკენ. აქ ყლაპავდნენ თავიანთ ყოველდღიურ დოზა სპირტს ლეკადენტი ტურისტები, იქით კი, ლერწმის ფანჩატურში უბრალო ხალხი ქეიფობდა. მაშინვე დავინახე რაფაელი, ელენსა და ჯერალდს შორის იჯდა. მათთან იყო უცნობი, წითელთმიანი ქალი.

— სალამი, — ვთქვი მე.

— სალამი, — ელენმა თვალები ასწია და სახე გაუნათდა. — ეს-ეს არის შენზე ვლადიმერობდით.

— ჰო?

— ვთქვით, რომ შენ შესანიშნავი ცოლი ხარ, — თქვა რაფაელმა.

— სასიამოვნოა, — ვუთხარი მე.

— ამაყი, თავდადებული, მამაცი, ნამდვილი ესპანელი ქალი... — ერთი ჭიქა არაყი სულმოუთქმელად გადაყლაპა.

— რას დაღევ? — მკითხა ელენმა.

— სულ ერთია.

— ძლიან კარგი არაყია.

— ცოტა დამისხი.

— ცოტა-ცოტას როცა სვამ, შესანიშნავია.

ელენმა ლიმონის ნაჭერი ჩაიგდო ჭიქაში.

— მგონი, ჯერ არც გამიცვნიხართ ერთმანეთისთვის, — თქვა მან. — ეს კლაუდია ესტრადაა, ეს კი ჩემი ინგლისელი მეგობარი ქალი აგატა პიტსი.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — ვუთხარი მე.

— მე და აგატა მექსიკაში ერთად ვცხოვრობდით, — ამიხსნა ელენმა. — სწავლის გასაგრძელებლად გავემგზავრეთ. მართლაც, ბევრი რამ ვისწავლეთ და გამოვცადეთ. ერთხელ კი რაღაცაზე წავინახებეთ და მას შემდეგ შევიძულეთ ერთმანეთი... — მერე წითელთმიან ქალს მიუბრუნდა: — რატომ წავინახებთ, აგატა?

— აღარ მახსოვს, — უპასუხა აგატამ. — წარსული ამბავია, იმ დროიდან მოკიდებული, რაც წესიერი მშობლების სახლი მივატოვე, იმ დრომდე, როცა გათხოვებით ვუშველე თავს, არაფერი მახსოვს.

— უბრალოდ რომ ვთქვათ, აგატამ წერილი მოსწერა ჩემს ქმარს ჩემს მორალურ მერყეობასა და თავისუფალ ქცევაზე.

— იქნებ ასეც იყო, — თქვა აგატამ. — სულ არაფერი არ მახსოვს.

— როცა კუბაში მივემგზავრებოდი, აგატა ერთ ესპანელ არისტოკრატთან ცხოვრობდა, მთელი თორმეტი წელი არაფერი არ ვიცოდი მასზე, გუშინ კი „ელდორადოში“ მოვკარი თვალი, ზანგთან ცეკვავდა.

— ჯონი შესანიშნავი ყმაწვილია, — თქვა აგატამ.

ოფიციალტმა ორი ლიმონი მოგვიტანა და გვკითხა, არაყი თუ მოგეწონათ.

— Very good, — უთხრა ჯერალდმა (ის იყო ძილისაგან გამოფხიზლდა).

— ერთი ჭიქა გვაკლია. — დაუმატა ელენმა.

— ახლავე მოგიტანთ.

— ნუ შეწუხდებით, — შევაჩერე ოფიციალტი, — თეიმონ მოგიტან.

დახლთან მივედი. ვილაც ლურჯბერეტიანი კაცი შემომაშურდა. ერთ-ორჯერ მინახავს პლაჟზე ბიჭუნასთან ერთად. ბიჭუნა ეფუძნებოდა კოცნიდა და მკერდზე ბალანს უწიწქნიდა.

ბიჭუნა

— ერთი ჭიქა მომაწოდეთ, თუ შეიძლება.

პატრონის ცოლი ყურს არ მივდებდა. კაცმა დახლში შესასვლელი ფიცარი ისწია, ჭიქა აიღო და მდუმარედ გამოიწიდა.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე.

მაგიდასთან რომ დავბრუნდი, რაფაელთან დავჯექი. უაზროდ იცქირებოდა, სახე მკვდარი და მოშვებული ჰქონდა. ეს მდგომარეობა ჩემთვის ნაცნობი იყო. და მის მაგიერ შემრცხვა...

— იცი, გუშინ რომ გავჯექურდეს? — მითხრა ელენმა.

— ვიცი. ტელეფონით არ მითხარი?

— ჯერალდმა საბუთები და სალაროს წიგნაკი დაკარგა. ახლა უგროშოდა ვართ.

— მეც ხშირად გავუქურდივართ, — განაცხადა აგატამ.

— სად? — ჰკითხა ელენმა.

— ყველგან: ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში...

— იტალიაში უსუსური პოლიციაა, — თქვა ელენმა.

— შეეცადე იტალიაში საათი მომპარეს.

— მდიდარ ქურდებზე არ ვბრაზობ, — თქვა ელენმა. — ლარიბები რომ ქურდობენ, ის მიშლის ნერვებს. ბავშვი რომ ვიყავი, მეუბნებოდნენ, ლარიბები პატიოსანი ხალხიაო...

დაცარიელებული ჭიქები აგატამ ყველას შეუვსო. მოვიდა ბეტი, თან ის ჭერა ქალი ახლდა, ჩვენს ხალხზე რომ იყო შეყვარებული; დაგვინახეს თუ არა. პაეროვანი კოცნა გამოგვიგზავნეს. ცბელოდა, ნათურების ირგვლივ პეპლები დაფარფატებდნენ. დახლთან მდგომი კაცი თვალს არ მაშორებდა.

— პოლიციაში იყავით?

— ვიყავით, — მიპასუხა ელენმა. — პოლიციელი შესანიშნავი კაცი იყო. უპირველესად სიტყვა წარმოთქვა ესპანელი და ამერიკელი ხალხის მეგობრობაზე, მერე კი დაგვპირდა, იმ ცუდ პატრიოტს სასწრაფოდ ვიპოვიო. ჯერალდი აღფრთოვანებული დარჩა.

— What do you say? <sup>1</sup>

— თანაც ღვინოზე მიგვიპატიე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბარიერზე ილაპარაკა. ხომ დიდებულია?

— კი, დიდებულია.

— გარდა ამისა, ჩვენს შორის დარჩეს და, არც ისე ცუდი კაცი იყო. მე რომ მომწონს ესპანელი კაცები, სწორედ ისეთი იყო.

კაცი კვლავ დახლთან იდგა. ჩვენი თვალემა ერთმანეთს შეხვდნენ. თავი ისევ მტკიოდა და ერთი ჭიქა არაყი გადავკარი.

<sup>1</sup> რას ამბობ? (ინგლ.)

— კლაუდიას ანდალუსიელი ცინიკოსები მოსწონს, — რაფაელი იდაყვე-  
ბით დაეყრდნო მაგიდას და ელენს მიუბრუნდა: — აქამდე არაფერი უთქვამს  
შენთვის?

— არა.

— მისი ბოლო გატაცება ცივისხლიანი, ბრწყინვალე სველივლი მამა-  
კაცია.

— გაჩუმდი, — ვუთხარი მე.

— ხალხსა ჰგონია, კლაუდია ჩემი ცოლია, სინამდვილეში კი ჩემი ცოლი  
არ არის. როცა მარტონი ვართ, ჩემი არაფერი უნდა.

— არ უნდა? რატომ? — იკითხა აგატამ.

— უდროოდ გავცვთი... კლაუდიას სძულს ღვინით მოწამლული ჩემი  
სუნთქვა.

— ოღონდ არა თქვათ ახლა, ვიტანჯებით, სულ ერთია, არ დაგიჯე-  
რებთ, — თქვა აგატამ.

— მანაკაცები უცნაური ხალხია, — დაუმატა ელენმა. — ის კუბელი კა-  
ბალიეროც საშინლად იტანჯებოდა.

— გარწმუნებთ, სულაც არ ვიტანჯები, — რაფაელმა ძლივს გაიღიმა. —  
ოღონდ კარგა ხანია ერთმანეთზე აღარ ვფიქრობთ, ასე არ არის, კლაუდია?

— გევედრები, დამშვიდდი.

— არ დამიჯერებთ და მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა კლაუდიას ვუყ-  
ვარდი. სასიყვარულო ბარათებს მწერდა და განშორებისას ტიროდა. კლაუდია,  
ძვირფასო, უთხარი შენს მეგობრებს, რომ ასე იყო.

— შენ მთვრალი ხარ. შინ წაგიყვან.

— გაზეთში რომ ვაუშაობდი, ყოველდღე მეტროთი მგზავრობდა, ჩემთან  
რომ მოსულიყო. პარიზში გამგზავრებამდე სამაგალითო ცოლი გახლდათ.

რაფაელი კვლავ მტანჯველი ღიმილით იღიმებოდა. არაყი გადაჰკრა.

დახლთან რომ კაცი იდგა, გულზელდაკრეფილი გვადევნებდა თვალს.

— ორივენი სენტიმენტალურად განწყობილები ვიყავით. მსოფლიო  
უნდა გადაგვერჩინა და თვითონ კი ჩავიძირეთ.

— შენი ქმარი საძაგელი კაცია, — თქვა აგატამ.

— ახლა მე ნამდვილი თოჯინა ვარ. დილით ვდგები, წვერს ვიპარსავ,  
ვჭამ... ჩემთვის თეთრი და შავი სულ ერთია.

— გეყოფა, ვითომ დიდი უბედური ხარ, — ვუთხარი მე. — ასპირინი ხომ  
არაფისა გაქვთ?

— მე მაქვს, — თქვა ელენმა.

— What is the matter with him? <sup>1</sup>

— Nothing <sup>2</sup>. — ელენმა ჩანთიდან აბი ამოიღო. — წყალი ცოტა მოსვი.  
რაფაელმა შეშლილივით შემოგვხედა და არაყიანი ჭიქისკენ ხელი გაიშვირა.

— გეყოფა, კმარა.

— მთვრალი ხარ, — უთხრა ელენმა.

— რამდენსაც მიინდა, იმდენს დავლევი... კლაუდია, ძვირფასო, როგორ მომ-  
მართავდი, ჯვარი რომ დავიწვრეთ?

<sup>1</sup> რა დაემართა? (ინგლ.).

<sup>2</sup> არაფერი (ინგლ.).

წყლის მოსატანად წავედი. დახლთან რომ კაცი იდგა, გზა დამითმო.

— კარგი ვინმეა, ხომ იცით... — თქვა მან.

კიდევ გადასწია დახლის ფიცარი, თხკანი გააღო და ჭიქა წყლით შეავსო.

— თქვენი მეგობარია?

— ჩემი ქმარია.

— სუფთა ჰაერზე გაიყვანეთ. თუ გინდათ, წამოყვებით... არაფერი არ ვუთხარი. დავბრუნდი და აბი წყლიანი ჭიქა მტკბარედ.

ჩამოყვინთული რაფაელი ვაიძულე, ნელ-ნელა მოესვა წყალი.

— არ მეგონა, ასე თუ დათვრებოდა, — თქვა ელენმა.

— არც მე მეგონა.

— ახლა რას იზამ?

— შინ წავიყვან.

— მანქანა გყავთ?

— არა.

— არც ჩვენ... გინდა მოგეხმარები.

— ნუ შეწუხდები. აგერ იმ კაცებიდან ვინმეს დავიხმარ.

მინდოდა ფეხზე წამომეყენებინა, მაგრამ რაფაელი ძალიან მძიმე იყო. იგი კვლავ სკამზე დაენარცხა. დახლთან მდგომმა კაცმა და მე ერთმანეთს შევხედეთ. კაცი მოგვიახლოვდა:

— ნება მიბოძეთ, მე წამოვაყენო.

— მადლობთ.

— თქვენ ხელში მოეჭიდეთ, მე კი უკანიდან დავიჭერ.

როგორც იქნა, რაფაელი წამოვაყენეთ. კაცმა იგი ზურგზე წამოიკიდა.

— თუ დოლორესმა მიკითხოს, უთხარი, შინ წავიდა-თქო. ზვალ დავურეკე. მეთევზეებმა და უცხოელებმა გულგრილად გამოგვაყოლეს თვალი.

ალბათ ხშირად შესწრებიან ასეთ სურათს.

— წამოდიოთ, — ვთქვი მე. — აქეთ წამოდიოთ.

რამდენიმე წუთს უსიტყვოდ მივდიოდით. რაფაელი ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა და დროდადრო რაღაც გაუგებარს ლულულულებდა. ცოტა რომ გავიარეთ, შესასვენებლად შევჩერდით.

— კიდევ შორს არის თქვენი სახლი?

— არა. ახლავე მივალთ.

— ნიშადურის სპორტი თუ გაქვთ, ცხვირსახოცი დაასველეთ და აყნოსეთ. — კაცმა შემომხედა და თქვა: — თქვენს მოსკლამდე თქვენმა ქმარმა ბევრი დალია.

— ვიცი.

— ნუ ლელავთ. ზვალ ჩიტივით წამოფრინდება.

გზა განვაგრძეთ. ბნელი და თბილი ღამე იყო. ხანდახან ზმელეთიდან მონაბერი ქარი თუ შემოგვაფრქვევდა თავის ცხელ სუნთქვას.

— ფრანგი ხართ?

— არა. ესპანელი.

— მაშინ ყველაფერი ნათელია. თავიდანვე შეგატყვეთ, ესპანურად ძალიან კარვად ლაპარაკობდით. თქვენი მეგობრები უცხოელები არიან?

— დიახ.

— ფრანგები არიან?

— არა, ამერიკელები.

რაფაელი ცოტა დაწყნარდა. ქუჩის კუთხემდე მივედით და კვლავ შევისვენეთ.

— აი ჩვენი სახლი, — ვუთხარი მე.

— სად?

— აი, იქ, თეთრი გალავანი რომ ჩანს.

კაცმა სწრაფად შეავლო თვალი ვილას, მერე მე მომიბრუნდა: თვალები უელავდა.

— წავიდეთ, — ვუთხარი მე.

ახლა რაფაელი თვითონ მოდიოდა, მე ჭიშკრის გასაღებად წავედი.

— მიეშველეთ, სანამ ჭიშკარს გავაღებ.

— კარგი.

რაზა გადავწიე, რაფაელი ბაღში შევიყვანე. კაცი ფეხს არ იცვლიდა, ჭიშკარს მიყრდნობოდა.

— წავიყვან და ახლავე მოვალ.

რაფაელს წელზე მოვხვიე ხელი და გაზონში გადავიყვანე. გასაღები ჭილობის ქვეშ იდო. დავიხარე და ავიღე. რაფაელი მთვარეულივით აღიოდა კიბეზე. ოთახში რომ შევიდა, თვალები გაახილა.

— დაწექი, ალკა-სოდას მოგცემ, — ვუთხარი მე.

რაფაელი გაბოროტებული მიმხერდა. მერე ისე სწრაფად ჩამავლო ხელი, კინაღამ არ დავეცი. სანამ თავს გავინთავისუფლებდი, რაფაელმა თოჯინასავით ჩამბლუჯა, ჩემს ტუჩებს ეძებდა. მე სახეს ვმაღავდი. ის კი მთელი ღონით ცდილობდა ტანთ გაეძრო ჩემთვის. რამდენიმე წამს სახეში მცემდა მისი ცხელი სუნთქვა. აკანკალებული ვებრძოდი, მგონი, საუკუნე გაგრძელდა ეს ბრძოლა. ბოლოს რაფაელს ღონემ ფშტყუნა და ჩაეძინა...

მე სირბილით დავეშვი კიბეზე. შუა ოთახში ცარიელი გალია ეგდო. ნახევრად ღია ფანჯარაში ქარი შემოდის, ხალიჩაზე კი ფრინველის ბუმბული მიმოფანტულიყო.

მოწყენილი, ნაცრისფერი დილა გათენდა. კარიუელას პლაჟზე ავბედიტად დაკიდებულიყვნენ შავი ღრუბლები. ფრინველთა გუნდი, თითქოს მორევში მოჰყვაო, ქართან ერთად ბორჩალებდა. თორმეტ საათზე ერმინიამ ყაფა მომიტანა და მითხრა, რაფაელი წავიდაო.

მის ოთახში კარადა ცარიელი იყო. მე მაშინვე დავუჩიქე ჩემს დედამთილ-მამამთილს. ტელეფონთან ლაურეანო მოვიდა, მაგრამ ტრინამ ყურმილი წაპგლიჯა ხელიდან და თეთრად გათენებული ღამის დაწვრილებითი აღწერის შემდეგ თქვა, ათ საათზე რაფაელი მოვიდა, გამოგვემშვიდობა და ორი საათის მერე მადრიდში გაფრინდაო.

— სამინისტროში გამოიძახეს მოსალაპარაკებლად. ჯერ კიდევ გაურკვეველია, სად გაგზავნიან.

დედამთილ-მამამთილი სადილზე მელიოდებოდნენ ბავშვებთან ერთად. დარბაზში რომ შევედი, დავინახე, ბავშვები დაღვრემილი იდგნენ უბედური იადონის გალიასთან. ყველა სიკეთეს ისიც მიემატა, რომ ქილაში სული განუ-



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ტევა ხელიკმა სერხაომ. იძულებული გავხდი შევპირებოდი, ნუ იჯავრებთ და კუსა და ზღვის გოქს მოგიყვანთ-მეთქი.

— მე თეთრი თავი მინდა, — მითხრა ლუისმა.

ტაქსი დავიჭირავე და სამივენი მაღაგაში გავემგზავრეთ, <sup>სადა</sup> ბავშვები სულ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ დაესაჯათ კატა. ცოცხალი იქნება/თუ მკვდარი, სულ ერთია, ხელში ჩავიგდებო, — იმუქრებოდა ლუისი.

ტურკოს მოედანზევე შევამჩნიეთ: ტრინა, როგორც <sup>მანქანის</sup> ახლაც თანჯარაში იცქირებოდა. ლაურეანო კაფეში გველოდებოდა. კიბეზე ასვლისას ხმადაბლა მკითხა რაფაელზე:

— იჩხუბეთ?

— არა, — ვუპასუხე. ლაურეანოს სახეში შევხვდუ და დავლონდი: — უბრალოდ ორივენი დავიღალეთ.

— ტრინას არაფერი უთხრა და ასე მგონია, რაფაელი ბევრსა სვამს. ალკოჰოლი ჯანმრთელობისათვის არ არის კარგი. სჯობს მეტხანს ეძინოს და ივარჯიშოს.

— ჰო, მამა.

— შენა ხარ მასთან, თვალყური ადევნე. უპირველესად ჯანმრთელობაა საქირო. ძალიან სამწუხარო იქნება, სამსახურის საქმე რომ გაიფუტოს. — ლაურეანომ ცხვირი მოიწმინდა. — ცოტა რელიგიაც არ აწყენდა. მე, მაგალითად, ძალიან მეხმარება.

— ჰო, მამა.

— ხანდახან ჰაერზეც უნდა გაიარ-გამოიაროს, ვიტამინები დალიოს. ექიმმა მირჩია და მეც ამ დილით მივეცი რაფაელს ორი კოლოფი ვიტამინი. სადილისა და ვახშმის წინ ერთ ჭიქა წყალში გახსნას და დალიოს. ძალიან გთხოვ, თვალყური ადევნო, შვილო.

ჩვენ უკვე „წმინდა გულის“ გამოსახულების წინ ვიდექით, ტრინამ ეჭვიანად შეგვაწყვეტინა ლაპარაკი, მთელი თავისი რისხვა თანამედროვე აღზრდას დაატეხა თავს და განაცხადა: არავისი საქმე არ არის, მე რომელ ჯვარს ვატარებო.

— მარია-ლუისა მოვა და ვეტყვი, რომ ბავშვები ნამდვილი ველურები არიან. უწინ სხვანაირად იზრდებოდნენ...

რაფაელს ავტოსახელოსნოს მისამართი და მანქანის საბუთებიც დაეტოვებინა. ზღვის გოჭისა და კუს საგულდაგულო ძებნის შემდეგ იმ სახელოსნოში წავედი მექანიკოსებთან მოსალაპარაკებლად. მანქანის ძარის წინა ნაწილი ძალიან დაზიანებული იყო. შექვეყილი ფრთაც და ბორბალიც გამოსაცვლელი ჰქონდა, ვკითხე, მზად როდის იქნება-მეთქი. სულ ცოტა ორი კვირა დაგვჭირდება, ძრავაც თითქმის გამოსაცვლელიაო, მითხრა სახელოსნოს პატრონმა.

დამტვრეული მანქანა რომ დაინახეს, ბავშვებს ისე გაუკვირდათ, რომ ცხოველებიც კი გადაავიწყდათ.

შინ რომ დავბრუნდი, ერმინიამ მითხრა, დოლორესმა გიკითხათო. დოლორესს დავურეკე და ვუთხარი, მთელი დღე არ მეცალა-მეთქი. მერე ენრიკესთან ტელეფონით ლაპარაკი შევუკვეთე, მაგრამ გადავიფიქრე და გავაუქმებინე. მთელი საღამო მშვიდად მოვისვენე. ცხრა საათზე ერმინიამ მითხრა, საუზმე მზად არისო. მეც დავჯექი და ერთი თეფში ჩანკეტესი და ნესვის ნაჭერი



შევკამგ. თავი დამძიმებული მქონდა, მთელი ტანი მტეხდა და ისე დამეძინა, წამალი არც კი დამჭირვებია.

შაბათს ბავშვებმა გამაღვიძეს — მადრიდიდან რეკავენო, ბურნუსი მოვისხი და ქვემოთ ჩავედი. სერხიო და ლუისი ღია გალიასთან ჩასაფრდნენ, ტყაცუნა თოფით ხელში ელოდებოდნენ კატას.

ხავიერი რეკავდა, — რატომღაც მომეჩვენა, რომ ჩემი ხმის გაგონება გაუხარდა. მითხრა, რაფაელი ვაშინგტონში გაამწესესო: „ერთი სწავლის წინ გავიგეთ ეს ამბავი, სასწრაფოდ უნდა ეყიდა ბილეთი, არ ეცალა და შთხოვა, დოლორესს დაურეკეო. ჩემი აზრით, შენი მული ამ საღამოს მალაგაში მოფრინავს. რაფაელმა, მართალია, ვერ მოასწრო მასთან დალაპარაკება, მაგრამ ის ალბათ მაინც გამოფრინდება“.

კიდევ დაგირეკავო, მითხრა.

— სხვას არავის დაურეკავს? — ვკითხე ერმინიას.

— არა, სენიორა.

ბევრი საქმე მქონდა მოსაგვარებელი. ჯერ რაფაელის მშობლებს, მერე კი მარია-ლუისას დაურეკე. ყურმილი მისმა ქმარმა აიღო. მან ყოველთვის ყველაფერი იცოდა და ახლაც დამპირდა, საფრანგეთში მანქანას გაყიდინებო.

— ბავშვების საქმე როგორღა იქნება?

— მარია-ლუისა დარჩება მათთან სექტემბრამდე. ჩემ მაგიერ აკრცე ბავშვებს.

თორმეტ საათზე დოლორესმა გამოძიარა და თრივენი ბათნდილიოში წავედით საბანაოდ. დოლორესმა ახალი ამბავი მითხრა: გუშინ ლაურას ერთი აურზაური აუტეხია თურმე ენრიკესათვის. პირობის თანახმად ენრიკე შუალამისას უნდა მისულიყო შინ ლაურასთან. ლაურას კარი ღია დაუტოვებია. შუალამისას ვიღაც მართლა შესულა მის ოთახში და ზემოდან დამხობია, მაგრამ ენრიკე კი არა, ენრიკეს ჯუჯა ყოფილა თურმე. ლაურას კივილი გაუბამს, დონ აგაპიტოს უკბენია და სახეც დაუკაწრავს მისთვის. ელენი იყო ლაურასთან და მითხრა, გაცოფებულიაო. ძალიანაც კარგი, ამის შემდეგ ეცოდინება, ვის დასცინოს და ვის — არა, მის ადგილზე ჰკუპას ვისწავლიდი...

მზე დასთამაშებდა ტალღებს. ჩვენ დიდხანს ვიწექით ქვიშაზე. მერე დოლორესმა კოკინასზე დამპატიყა. სასაუზმეს მეპატრონე თავისი ჩვეული ღიმილით შეგვხვდა. ჩვენ რაფაელსა და რომანზე მოვყევით ლაპარაკს.

საღამოს რაფაელის მშობლებთან მივედი. ლაურეანო კაფეში წავიდა გაზეთის წასაკითხად. ტრინა კი წუწუნს მოჰყვა, ავად ვარ, მარია-ლუისაც უმადურად მექცევიაო. როგორც იქნა, თავი დავალწიე მის ლაქლაქს. ტორემოლინოსში გამგზავრებამდე მექანიკოსებს მოველაპარაკე.

ხავიერმა ზუსტად რვა საათზე დამირეკა: რაფაელი უკვე მიფრინავს ამერიკაში, შენი ბილეთი ორშაბათისთვის შევუკვეთეო თვითმფრინავზე. „რაც უფრო მალე ჩამოხვალ მადრიდში, მით უკეთესი. მგონი ხვალ საღამოს არის ფრენა მალაგიდან. თუ გინდა „იბერიაში“<sup>1</sup> გაგიგებ ზუსტად“. მართლაც კვლავ მალე დამირეკა, თვითმფრინავი სამ საათზე მოფრინავს მალაგიდან და აეროპორტში

<sup>1</sup> ესპანეთის ავიაკომპანია.

იქნებოა შენი ბილეთი. ხავერს მოხერხებულობა შევუქე. მან გაიცინა და დამპირდა, დაგხვდებოდა.

ბანგმორეულივით დავბორიალობდი. მერე ტელეფონით ვის არ ველაპარაკე: მადრიდს, ტრინას და ლაურეანოს. მეორე დღეს თერმეტის სახევარზე მარია-ლუისაც ჩამოვიდა, ცოტა ვილაპარაკეთ, იფნის ძირში ვისხედით ბავშვებთან ერთად. სადილზე დოლორესი, მაგდა და ელენიც მესტუმრნენ, ენრიკეს დავურეკე. მაგრამ შითხრეს, არ არისო.

ბიზნიუსი

დოლორესმა აეროდრომამდე მიმაცილა, გამოთხოვებისას მაკოცა და შითხრა, მე და შენ იმისათვის დავიბადეთ, რომ მარტოსულად ვიცხოვროთ. ვთხოვე, გაფრენას ნუ დაელოდები-მეთქი, ისიც წავიდა, მე კი ბარში დავრჩი.

თვითმფრინავი თხუთმეტი წუთის დაგვიანებით გაფრინდა. ავიაკომპანიის თანამშრომლებმა ტრაპამდე მიგვაცილეს. მე ფანჯარასთან დავჯექი და ყურებში ბამბა დავიცე. ზომალდის მეთაურმა ბედნიერი მგზავრობა გვისურვასტიუარდესამ კანფეტები დაგვირიგა, თავდასაცავი ქამრის შემორტყმაში მეც დამეხმარა.

ავფრინდით. ზემოდან დავხედე მაღაგას; ორძრავიანი თვითმფრინავის ჩრდილი მკრთალად აჩნდა ზღვის ზედაპირს. ნუთუ მხოლოდ თერთმეტი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ფეხი დავადგი ამ მიწას? დრო სწრაფად მიქროდა, ეროზია ვრძელდებოდა.



ქართული  
წიგლიწიგლი

ნაბიჯი

სპარსულიდან თარგმნა  
ჯემალ აჩიაშვილმა

## ღეღა და შვილი

ქოხის კარებთან ეცემა მთვარე,  
ქარი კვამლიან ერდოებს გაბანს  
და სევდიანად აგრძელებს ღამე  
სხვა ღამეების დაწყებულ ზღაპარს.  
მინებს აკვდება ნოემბრის თოში,  
ბუხრის დირეზე ალი ინთება  
და უძილობით დაღალულ ქოხში  
დადის დუმილი და გარინდება.  
შორს კი მთებს სძინავთ, სძინავთ აულებს...  
კარს მოაწყდება წვიმების რიგი,  
ჭერს ქარიშხალი აახმაურებს  
და იმედივით იელვებს ფიქრი, —  
რომ ვიღაც მოდის, ბილიკებს კეცავს,  
ის გაზაფხულის მოიყვანს პეპლებს  
და ვნებიანი სიცილით შეძრავს  
კვამლის ბოლქვებით დაბინდულ კედლებს.  
ის ჭერ არ მოჩანს...  
და მღვრიე შუშას  
მძიმედ აწყდება ტოტების ტაში;  
თვალდაბინდულნი გასცქერენ ქუჩას  
და მოთმინებით ელიან ქარში.  
და სიღარიბის ხელები მტრული  
აბნელებს ოთახს, ტკივილებს აჩენს,

არა აქვთ წყალი,  
 არა აქვთ პური  
 და დაპურებას შესთხოვენ გამჩენს...  
 ქარი ტირიფებს ხმაურით არხევს,  
 ბავშვი გაჰყურებს, ოცნებობს თითქოს;  
 ჰვრეტს სიბნელეში  
 დედამისის სევდიან სახეს  
 და შორს დარჩენილ მამაზე ფიქრობს.  
 ის გაეშურა — უმწეო მგზავრი,  
 დრო ილეოდა, როგორც ნუგეში,  
 შორს განწირული ქრებოდა ავლი,  
 გზებს ამტვერებდა ქარი უხეში  
 და დამშვიდებით კვდებოდა მგზავრი  
 ზღვის ლაქვარდოვან სიმსუბუქეში...  
 ... აწ ვინ გასმინოს  
 სევდიანი სიმღერა მისი,  
 სად გადიხვეწო, რომელ ჭვეყნის ქარში ექანო!..  
 ღამეა გრძელი.  
 სივრცეებში ბატონობს ნისლი  
 და უდაბნოთა ღუმელია უკიდვგანო.  
 ღუმს გალავანი, განაბულა დაღლილი მხარე,  
 ტირის ციხე და აუტანელ ტკივილებს იტევს  
 და მთვარე ცოცხ,  
 შემოდგომის მწუხარე მთვარე,  
 წყლის ზედაპირზე აქანავენს მილეულ  
 თითებს...  
 ძირს მიარხევენ მხედრები ლანდებს,  
 ღია თვალებით აცილებს ბავშვი;  
 ვიღაც აელვებს თეთრ ბრილიანტებს  
 და ქარავანი ქანაობს ქარში...  
 ... შიშით მოიხვევს ბავშვი ძველმანებს,  
 შეიმოსება ღამეში თალხად,  
 თვალს ჩირაღდნებად ააელვარებს,  
 თმას — ნიჟარებთან ჩამოშლილ ტალღად.  
 და მამისეულ ჩვენებას ელის,  
 ცრემლი მარცვლებად იცრება თვალში...  
 გესმოდეთ ფასი  
 უნუგეშოდ დაღვრილი ცრემლის,  
 ო, მარგალიტის გესმოდეთ ფასი! —  
 თქვენ, ვისაც გართობთ  
 მოფერება მზრუნველი ხელის,  
 თქვენ, ვისაც გმოსავთ ხავერდი ნაზი  
 და ვისი გულიც  
 უზრუნველი სიმღერით მღერის, —

თქვენ, იმ ცრემლების გესმოდეთ ფასი,  
იმ დედაკაცის დაღლილი მზერის,  
იმ მოლოდინის გესმოდეთ ფასი..

\* \*



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

კვლავ აცახცახდა თოთო სხეული,  
ვიღაც შორეულ მუსიკას უკრავს;  
დედის კალთაში ხელჩახვეული  
ბავშვი ტირილით მოითხოვს ლუკმას.  
მაგრამ ვინ მისცეს პატარას პური...  
დედა მოწყენით გახედავს შარას  
და უცებ —  
ყალბი და ჯამბაზური  
თვალს სიხარულის ცრემლები ფარავს.  
და ეუბნება:  
დამშვიდდიო, ტირილს მოეშვი,  
მამის ძახილი მომიტანა სიზმარში ჭარმა;  
იჩქარის მამა!  
შუალამის სიმყუდროვეში  
პური მოაქვს და იჩქარის მამა!..  
— პური მოდისო!  
პური მოდისო! —  
ბავშვი შეირხა ხელის სავსავით,  
შეშფოთებული შავი თვალები  
გზას გაპყურებენ ვედრებასავით  
და კვლავ ღამეა ტანშებურვილი,  
ირგვლივ გზები და გზებზე არავინ...  
არის დუმილი, მკაცრი დუმილი, არის ლოდინი  
გულშემზარავი.  
...და მოწყენილი პირისახე  
ტკივილებს ამხელს,  
მამას ელოდა,  
ბურს ელოდა,  
ელოდა სარჩოს!..  
უყურებს დედა ვაჟიშვილის გულმოკლულ  
სახეს  
და სინანულის ცრემლები ახრჩობს,  
ო, შეისმინეთ ანგელოზის უმანკო სევდა!..  
ბაგეს აკვდება ძახილი შვილის  
და მან არ იცის —  
მოლოდინით დაღლილი დედა  
რა უნუგეშო ცრემლებით ტირის.

და მან არ იცის —

ფანჯარასთან მდგარი ბავშვები  
ვით ეხვევიან მამების კალთას,

და მან არ იცის —

მომცინარნი, მოგანგაშენი  
რა სიხარულით ელიან ზამთარს...



ღუმს და თვალებზე ბინდი ევლება, **მარქუნეშლი**  
სიზმარეთისკენ საფეხურს გადებს **ბიზლიქოსეკა**

და ხელგაწვდილი დაედევნება  
პურის საძებრად გაქცეულ ლანდებს.

პირს ეფინება ტკავილი წყნარი,

გულს ღამეული ედება შიში,

არა აქვს პური,

არა აქვს წყალი

და მოწყალებას მოითხოვს ძილში...

და უცებ, როგორც მფარველი ძალა,

წინ გაიელვებს მამის ჩვენება,

შეშფოთებული შემოვა მამა,

ჭერს გაანათებს შუქთა მშვენება

და მადლიანი მარჯვენის ძალა

ქოხს იმედივით მოეშველება.

... და მისდევს ბავშვი ჩვენებას, ზღაპარს,

ხელის ფათურით აწყდება კედლებს,

გაღვიძებია კერაში ლაღარს,

აღს ათამაშებს, ვითარცა პეპლებს

და მოცახცახე ჩრდილებით ხატავს

კვამლის ბოლქვებით დაბინდულ კედლებს...

\* \*

სად არის ხელი,

მშობლიური სად არის ხელი!..

სხივს საიმედოს სიბნელეში არავინ ისვრის;

ამ უდაბნოში გაითხრება

სავანე შენი,

ამ უდაბნოში

უსასრულო ტევრია ნისლის

და გამუდმებით სამრეკლოების

თავგანწირული ძახილი ისმის.

მოდის შიმშილი, ედება სახლებს,

კარზე გაკრულა სიკვდილის გარსი,

ვიღაც არყოფნის სიმღერას არხევს

და აკორდები ტყდებიან ქარში...

\* \*

ფრთა გაუშლია ღამეში ჭადარს,  
შორს შადრევნების შრიალებს მხარე,  
სვამ ლაყვარდიდან გადმოღვრილ ბადაგს  
და სასმისივით იცლება მთვარე.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რხეულ ტოტებში თრთიან ჩიტები,  
შენ ყურს მიუგდებ ღამეულ ბგერებს  
და გატაცებით ჩაეჭიდები  
თვალისჩინივით ახლობელ ხელებს.

აღფრთოვანება ჩაქრება ქარის,  
ცა ხეივნების სიმწვანეს გაბანს,  
შენ ღაზელები<sup>1</sup> გეტყვიან ხალის  
და ბაგეების შორეულ ამბავს  
და დაგავიწყებს ალერსი ქალის  
ყოფნა-არყოფნის ნისლიან ზღაპარს.

\* \*

ჰოი, გვალვაში დახშულო წყაროვ,  
ჰოი, იმედო,  
რად იკარგები, უნუგეშოდ ილევია ასე!  
საპნის ბუმტივით დაეცემი ამღვრეულ წყალზე  
და წამიერი წამებით წვალობ,  
წყალდაწრეტილო იმედის წყაროვ!  
მიდის ღრუბელი,  
უსაზღვროა სურვილი მისი,  
გადაიარა ხეივანი, დიდი მინდორი;  
ფერდობებიდან მოსძახოდა დაღლილი ნისლი  
და სივრცეები ქვითინებდნენ უამინდონი,  
და იქ, სად უწინ მთვარე ენთო,  
აწ შენისლული  
ღუმდა მხარე და ელვის ცეცხლში იწვა ხეობა  
და კვამლი, როგორც ანთებული ველების სული,  
მალლა, ღრუბლებში სათნოებად მიირხეოდა.  
ბოლოს ჩაქრა და ხეობებში მიწყნარდა გლოვა,  
ტყე მიილულა — ავბედითი ბურუსით სავსე  
და ტკივილივით დახვეული ღრუბლების გროვა  
ქრილობასავით მტკივნეულად გაიხსნა ცაზე.  
... იქ კი... ღამეში ისევ ელის ბნელი მიწური,

<sup>1</sup> ღაზელი — სპარსული საღებავო ფორმა.

ცივ ფანჯარასთან დამხობილა ქარი დაჭრილი  
და სიბნელეში

— სიკვდილისკენ თვალგამიზნული  
დაეხეტება სიღარიბის შავი აჩრდილი.

— სად არის მამა!

სად არის მამა! —

კვლავ კითხულობენ ჩუმი ქარები  
და დაჟინებით ელიან პასუხს  
გაწამებულ ბავშვის თვალები.

ო, მწუხარებამ სისხლი დაშრიტა...

ქალი კარებთან მიდის დუმილით,  
ხან ნერვიულად გადის ქარში და  
სწუხს

მოთმინებადაკარგულივით.

ის მოლოდინში ღამეებს ითევს,  
მძიმედ ჩაესმის ტოტების ტაში...  
ქალი მიაჩვენს მიღებულ თითებს  
და მირაჟები ქრებიან ქარში.

შორს აიშლება ნისლი გუნდებად,  
ღედა გახედავს ბილიკებს უღრანს  
და დაღვრემილი დაუბრუნდება  
მღვრიე მიწურში ჩამხობილ ბუხარს.  
მერე მოყვება —

შემოდგომის უხმო ღამეში  
ვით მოუტანა მამის ხმები დაღლილმა ქარმა;  
— იჩქარის მამა,

მგლოვიარე შუაღამეში

პური მოაქვს და იჩქარის მამა!

\* \*

და ყოველ ღამით ელოდნენ ასე,  
ქალი კარებთან იდგა ტანივით,  
ღუმდა მიწური ნისლიან გზაზე  
რალაც სევდით და გულისტკივილით.

და მოლოდინით დაღლილ მინებთან  
გვიან წყდებოდა ქარების ტაში,  
ტოტებს ტოტებზე აცემინებდა  
და იმედები ცოცხლობდნენ ქარში.

\* \*

... ცა ტირის, როგორც უმწეო ბავშვი,  
ხე დამხობია მდინარეს უხმოს,



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ვიღაც გამოიბის ღამეულ ქარში  
და მამისეულ ჩვენებას უხმობს.

შორს კი... წვალებით ამოდის მთვარე;  
ქარი კვამლიან ერდოებს გაბანს  
და ნაღვლიანად აგრძელებს ღამე  
სხვა ღამეების დაწყებულ ზღაპარს.



## ღამე პალატაში

— ასწიეთ ხელი,  
ასწიეთ ხელი,  
იქ, პალატაში, ღამეა ბნელი  
და ლაზარეთის სიციხიან კედლებს  
თავდავიწყებით აწყდება ხელი.  
ო, გაეცალეთ!.. მძინარე სნეულს  
ხმა ეფინება იღუმალ ველთა  
და შეაშფოთებს ანთებულ სხეულს  
ოკეანიის უსაზღვრო სევდა...  
... ვიღაც ლანდივით იდგა კარებთან,  
თვალს აყოლებდა მდუმარე კედლებს  
და სასთუმალთან აფრიალებდა  
სიზმარეთისკენ გაფრენილ პეპლებს.  
შორს მეწამული ჩანდა ეთერი,  
ღუმდა მთოვარე — უმანკო ბავშვი  
და სიციხიანი ლაზარეთები  
მთვარეულივით როკავდნენ ქარში.



\* \* \*

დამშვიდდი! უკვე განშორების მოვიდა ჟამი,  
 სულს ღამეული სიბნელე ერთვის;  
 ცხოვრება იყო წამიერად შესმული შხამი  
 და უსასრულო ყვედრება ღმერთის.  
 დღის სინათლეზე მგლოვიარე ლანდივით ჩანდი,  
 გწყუროდა ცრემლი, ჩამკვდარიყო სულში მხნეობა:  
 შვილის აკვანთან ეცემოდა მწუხარე ლანდი  
 და ქალიშვილის სასთუმალთან მიირხეოდა.  
 ჰე, უფლისაგან მერამდენედ ითხოვე შემწე!..  
 მჭისე ლოცვები ბორიალა ქარში განიბნა  
 და ჩაიარე სამყაროს შეუვალ გზებზე,  
 როგორც უცხომ და როგორც ყარიბმა.  
 შენ ქვა იყავი, განთიადის გწვავდა ლოდინი,  
 ეგდე გზაში და მოთმინებით იტანდი ურვას  
 და უსასრულო მოლოდინით გულდაკოდილი  
 გზებს დამდურებით უთვლიდი კრულვას.  
 ბნელ ღამეებში ქვითინებდი, ვითარცა ჩანგი,  
 საბედისწერო გედებოდა თითების მწკრივი,  
 ქარს მიჰყვებოდა მგლოვიარე სიმღერის ჰანგი  
 და დაწყვეტილი კვნესოდა სიმი.  
 და ვის ესმოდა, ვის ესმოდა, და ვინ იცოდა,  
 როცა სახეზე იფარებდი ღიმილს უვნებელს,  
 მაშინ თვალები გამოუცნობ ცეცხლში იწვოდა  
 და გული სევდას ინახავდა დაუსრულებელს.  
 დუმდა და ტანზე გედებოდა ბასრი მახვილი,  
 გზარავდა ზარი, გზათა ზარი, ზარი ეზოთა,  
 შფოთიან ღამეს აღვიძებდა მკაცრი ძახილი.  
 მაგრამ ძახილი არვის ესმოდა...  
 ასე მწუხარე დადიოდი... ვიდოდა ჟამი,  
 გწვავდა ცრემლი და გეხვეოდა ხანძარი ურჩი,  
 ტანს მაცდურივით ედებოდა მტანჯველი შხამი  
 და საწამლავი წიოდა სულში...



\* \* \*

ჩემი ტრფიალი მძაფრი ქარია,  
მთიდან რომ მოაქვს შავი ფაფარი,  
ჩემი ტრფიალი ბოშა ქალია —  
უბინაო და მიუსაფარი.

ქვეყნად ვინ ჰპოვოს სადგომი მისი,  
დადის, ამაყად დააქვს სხეული;  
ის ირემია — ხალხის გროვიდან  
და ხმაურიდან გამოქცეული...  
მაგრამ, თუ მოსწყდა მშობლიურ წიაღს,  
მყის ჩაუქრება თვალების ეშხი,  
იგლოვებს დიდხანს,  
დაიკრეფს ხელს და  
გარდაიცვლება ქალაქის მტვერში.



\* \* \*

მე დავყურებდი მდინარეს უხმოდ,

არ მოძრაობდა არც ერთი ტალღა,

ათასი ზნის და ათასი ფერის ბნელი ხიდები გაედოთ მაღლა.

და ყველა ხიდი ერთმანეთს მტრობდა,

ძლივს იკავებდნენ ამღვრეულ მკერდებს,

ვიდექ მაღლა და შეძრწუნებული კრულვას ვუთვლიდი უგუნურ ღმერთებს.

\* \* \*

ვზა დავრდომილთა გოდებას უძლებს,

მივალთ და მიგვაქვს

მოგონება ღირსეულ ძეთა,

ჩან დავემხოვით ტრამალთა ზედა

და ვაშრიანებთ წარსულის ფურცლებს

მარტოობაში უდაბურ დღეთა...

სდუმან დაირები...

მიწყნარდა ვნებიან

და ზვიად მეფეთა ქეიფი ულევნი;

და სალამოის ბინდში ქრებიან

ფრთებდალეწილი ქეიბურები.

ვთვლემთ მეზღაპრენი შორეულ დღეთა,

ოდესმე ხეთა მშვენიერთა

გვემოსა ჩერო;

აწ ვგოდებთ შენდა,

ვლადებთ შენდა,

ჩამოქცეულთ ქალაქო ჩვენო...

ზოგჯერ მიველტვით მღვიმეთა მდუმარ

და მარადიულ ზმანებას თითქოს,

მოვეუხმობთ დილას, მოვეუხმობთ სითბოს, მზეს ვეაჭებთ ყველაზე უმაღლ,

მაგრამ არენი სდუმან და სდუმან...

სტიროდღე, სულო!

ოდესმე მშუქარ და მოზეიმე მშვენიებად ჩანდი,

აწ განგებისად მოგძახის უკან დაყიანუსის<sup>1</sup> ბებერი ლანდი.

<sup>1</sup> დაყიანუსი — აქ: სიბერისა და დრომოჭმულობის სიმბოლო.



## პრსკინ კოლხელი

### პ ე ნ ღ ი

ინგლისურიდან თარგმნა  
ნელი კრავეიზვილმა

არავინ იცოდა, საიდახ მოვიდა, ან სად წავიდოდა, თუ წასვლა მოუწევდა; პაპა პრაისი რომ არ მოეკლა, ალბათ კიდევ დიდხანს დარჩებოდა აქ.

პაპა პრაისი ჭირვეული მოხუცი იყო. მთელი დღეები ფუსფუსებდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ძალად მოუსწრაფეს სიცოცხლე, თუმცა გრძელი დღე ისედაც არ ეწერა, ჰენდიმ მას ოწინარი ესროლა და მოხუცი იმავე ღამით გარდაიცვალა. სხვა რა გზა ჰქონდა ჰენდის, თავისი ბარგი უნდა შეეკრა და წასასვლელად გამზადებულიყო.

— ცოტა მეტი ჰკუა უნდა გეხმარა. — უთხრა პარი მახფორდმა.

— ჰკუა რა შუაშია, — მიუგო ჰენდიმ.

— სულ ერთია, შენ მაინც არ მოიქეცი კარგად.

— ადამიანი არ უნდა იყო მეტისმეტად მომაბეზრებელი. — თქვა ჰენდიმ... — კაცი, რომელიც მთელ თავის ცხოვრებას რაიმეს შექმნას ანდომებს, ვერასოდეს მოიცილის, რომ სხვას შარი მოსდოს.

— თუნდაც ასე იყოს. — თქვა პარიმ, — ასე მაინც არ უნდა მოქცეოდი პაპა პრაისს.

უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში პაპა პრაისის უცნაური ნათქვამის ან საქციელის ჩამოსათვლელად მთელი დღე იყო საჭირო. ხან იმას წუწუნებდა, ეს ქათმის წვენი რას მეყოფათ, ხან — კრემი მეტისმეტად ტკბი-

ლიათ, და თუ საჩხუბარი გამოეღოდა, დღეს აუხირდებოდა ხოლმე. თუ დილა იყო, ნეტა შუადღე ქნათ, ამბობდა, თუ შუადღე იყო, საღამოს ნატრობდა. და ვაი მას, ვინც გაბედავდა და იტყოდა დღის ყველა დრო კარგიაო, პაპა პრაისი უმალ გაბრაზდებოდა და ყვირილს მოჰყვებოდა. სიკვდილამდე რომდენიმე დღით ადრე პარის გადაეკიდა, ბუხრის სპილენძის შვეული სწორი არ არისო. ამან ისე გააბრაზა პარი, რომ წონასწორობიდან გამოიყვანა;

— მერე რა, რომ სწორი არ არის? — სიტყვა შეუბრუნა მოხუცს.

— სწორი არ არის და უნდა გასწორდეს, — უთხრა პაპა პრაისმა.

პარი გაბრაზდა და შვეული შეამოწმა. საკვამური ინჩის ერთი მერვედით იყო დახრილი.

— ხმა ჩაიკმინდე, ბერიკაცო, — დაუყვირა პარიმ.

— როგორ თუ ხმა ჩაიკმინდო? შენც კარგად იცი, ბუხარი სწორად არა დგას. უნდა დაინგრეს და ახალი აშენდეს. — უპასუხა პაპა პრაისმა.

— ცოცხალი თავით ამას არ გავაკეთებ. — მიუგო პარიმ.

დაღამებამდე პაპა პრაისს ენა არ გაუჩერებია, ბუხლუნებდა და ბუხლუნებდა. პარისა და ყველა მანფოსტებს ზარმაცებს, უქნარებსა და ბინძურებს უწოდებდა. მეორე დღეს მთელი დღე უკან დაჰყვებოდა პარის და ჩასჩინებდა, თქვენ რა ხალხი ხართ, ერთი რივიანი ბუხარი ვერ გაგიმართავთო.

— რაც უფრო მეტს ვფიქრობ, პენდი, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყავი, — უთხრა პარიმ. მეც ბევრჯერ მქონია სურვილი აგური ამელო და თავში ჩამერტყა მისთვის, მაგრამ არ შეიძლება მოხუცებს ასე უდიერად მოვექცეთ. რა აუტანლებიც არ უნდა იყვნენ. კანონი ამის წინააღმდეგია.

— მეტის მოთმენა ვერ შევძელი, პარი, — უთხრა პენდიმ. ახლა კი ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მაშინ თავი ვერ შევიკავე.

პენდი აქ უკვე ათი-თორმეტი წელი ცხოვრობდა და როდესაც პირველად შემოვიდა ეზოში, ბამბის მოსავლის აღების დრო იყო. შემოვიდა და თქვა, სამუშაოს ვეძებო. ეს ის დრო იყო, როცა პარის ყველაზე მეტად ბამბის მკრეფავები ესაჭიროებოდა. ყველას მიიღებდა, თუკი ვინმე გამოჩნდებოდა და პენდიც სახარულით დაიქირავა. ყმაწვილს ას სამოცი ცენტი შესთავაზა მინდორში მუშაობისათვის.


პენდიმ ისე გააქნია თავი, თითქოს იცოდა რას ეძებდა. ბამბის კრეფა მისი საქმე არ იყო.

— არა, სერ, მე არ მოვკრეფ ბამბას, — თქვა მან.

— ამჯერად მე სხვა არაფერს მჭირდება, — უთხრა პარიმ. — ბამბა ცვივა და ყოველი დღე მეკარგება, სხვა არაფერი მაწუხებს ახლა.

— თქვენ ყოველთვის დაგჭირდებათ რაღაცის გაკეთება, ან რაიმე ძველი ნივთის გადაკეთება თუ შეკეთება. მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია: ვიღებ იმას, რაც უვარგისია და გამოსადეგს ვხდი. ზოგჯერ მიყვარს რაიმეს გაკეთება მხოლოდ იმიტომ, რომ ის ლამაზია, — თქვა და მიწაზე დაგდებული ერთი ფუტის სიგრძის და ორი თუ სამი ინჩის სისქის ჯოხი აიღო. ყურადღება არავის მიუქცევია მისთვის. პარიმაც მაწანწალად ჩათვალა. ჰკითხა, ოდესმე მინდორში ან სამდინარო გემზე თუ გიმუშავიაო. არაო, უპასუხა პენდიმ.

— ბამბის ვადამმუშავებელ ქარხანაში?





— არა.

— რკინიგზაზე?

— არა.

პარიმ თავი გააქნია. ჰენდი საბოლოოდ უქნარად და მანანტლად მიიჩნია. ამასობაში ჰენდომ ხის ნაჭერი მჭრელი დანით გამოთალა და პარის გადასცა. ეს იყო სუფთად გამოთლილი ხის კოვზი, რომლის მსგავსიც იშვიათად თუ შეგხვდებათ. ისეთი სუფთა ნამუშევარი იყო, რომ ზუმენდის მჭრელით გაწმენდილი და პემზით გაპრიალებული გეგონებოდათ. ჰენდომ ეს პარისთან ლაპარაკის დროს გააკეთა. პარიმაც დიდხანს ატრიალა ხელში ხის კოვზი, გასინჯა და ჰენდის გაუღიმა. ასეთი კოვზის გამოთლელი უკეთეს დანას იმსახურებდა და ჯიბიდან საკუთარი ჯაყვა ამოიღო, ჰენდის გადასცა.

მეტად აღარ შეუთავაზებიათ მისთვის ბამბის კრეფა. ჰენდომ ეზოს ჩამოუარა და ყველაფერი დაათვალიერა, შემდეგ სახლის უკან წავიდა და ბოსელში შეიხედა, დაათვალიერა შეშის საწყობი, საბოლველი და საქათმე. ყველა ქათმის ბუდეში ჩაიხედა და შემდეგ ხისაგან კვერცხების გამოთლას შეუდგა. ისინი პრიალა და მუქი ფერისანი იყვნენ და კვერცხის მდებელ ღედლებს ძალიან მოსწონდათ.

ექვსი-რვა კვერცხის გამოთლის შემდეგ ჰენდომ სხვა საქმე გამოიჩინა. არასოდეს უკითხავს პარისათვის, ან ვინმე სხვისთვის, რა გაეკეთებინა. აკეთებდა იმას, რასაც ხედავდა და გრძნობდა, რომ გასაკეთებელი იყო. ჰენდის გაკეთებული სკამები ყველაზე მოხერხებული და გემრიელი მოსახმარი იყო სახლში. გუთანი ყველაზე უფრო მაგარი და გამძლე იყო ფერმაში და ამინდის ფლუგერი — ყველაზე ლამაზი სოფელში.

— უბედურება ისაა, რომ პაპა პრატისი ჩვენ არა გვგავდა, — თქვა პარიმ. — მე და შენ იმით ვგავართ ერთმანეთს, რომ მე მომყავს ის, რისი მოწვევაც მინდორში შეიძლება, შენ კი საგნებს საკუთარი ხელითა ჰქმნი. პაპა პრატისს ამის გაგება არ შეეძლო. ის მხოლოდ სხვის ნაკლს ხედავდა.

ჰენდომ მოიწყინა და დანადგლიანდა. კარგად იცოდა, დიდი დრო დასჭირდებოდა, სანამ შეხვდებოდა ისეთ ოჯახს, რომელიც საცხოვრებელ ადგილს და მისთვის საყვარელ სამუშაოს მისცემდა. რა თქმა უნდა, გზაზე სამუშაოს პოვნას შესაძლებდა; ზოგს საქათმე დასჭირდებოდა, ზოგსაც სალორე. ჰენდი ყველაფერს გააკეთებდა და გასამრჯელოდ ტანსაცმელს ან სადილს მიიღებდა. ისიც იცოდა, რა ძნელი იყო ისეთი ადგილის შოვნა, სადაც იცხოვრებდა კიდევ და იმუშავებდა. ყოველგვარ სამუშაოს შესთავაზებდნენ: მინდორში ხვნას ან სამდინარო გემზე მუშაობას. „ჩემი საქმე კი ხისგან საგნების გამოთლაა, — ფიქრობდა იგი. — მინდა ჩემი ხელით შევქმნა რაიმე“. ხალხი კი ზურგს შეაქცევდა და კარს ცხვირწინ მიუხურავდა. ახლა მას არ შეეძლო მშვიდად მჯდარიყო და ხელები აუკანკალდა.

— რა მოგდის, ჰენდი? — ჰკითხა პარიმ, — პაპა პრატისს სიკვდილი აგრენე განადგვლებს.

— პაპა პრატისს როდი ვნადვლობ. ამის მიზეზი სულ სხვა რამ არის.

— მაინც რა, აღარ იტყვი?

— ვგრძნობ, რომ გამიჭირდება, საკუთარი ჰერი და სამუშაო თუ არ მექნა.

— მეც ძალიან მიმძიმს შენთან განშორება, — უთხრა პარიმ.

წასვლაზე ლაპარაკმა ისე ააღელვა პარი, რომ სახეში ველარ უყურებდა ჰენდას.

— შერიფი შავ დღეს დამაყრის თუ არ ვეტყვი, რა მოხდა.

ეს უკვე პაპა პრაისის სიკვდილის მეორე დღე იყო და შერიფისათვის ყველაფერი უნდა ეამბნათ, რომ მოხუცის სასაფლაოზე დაკრძალვის ნება მიეღოთ.

— მე მაინც არ მინდა ყველაფერი ვუთხრა, — თქვა პარიმ დაფრქვებით, — ეს შენს გაცემას ნიშნავს, ჰენდი, მე კი მირჩევნია გავაგებო შერიფმა აქ განახოს.

ამაზე ფიქრმა ისე შეაწუხა პარი, რომ ოთახში ჰენდისთან ერთად დარჩენა ველარ შეძლო. ადგა და გარეთ გავიდა.

როცა უკან დაბრუნდა, ჰენდი აღარ დაუხვდა. გარეთ გაიხედა და ჰენდი ღობის იქით მომუშავე დაინახა. დამშვიდებული შინ შევიდა ტანზე განოსაცვლელად. ასეა თუ ისე, ქალაქში წასასვლელად ტანსაცმელი მაინც უნდა გამოეცვალა. ჩაცმა შეეძლო გაეჭიანურებინა. რამდენიმე შარვალი გამოიღო, სანამ გადაწყვიტა, რომელი ჩაეცვა. ძალიან უნდოდა ჰენდის მსგავსი ადამიანი ჰყოლოდა ახლოს, რადგან ის მუდამ რაღაცას აკეთებდა და მუდამ მზად იყო სანუშაოდ. აი, ეს მოსწონდა მას ჰენდისა. ჰენდის სკოლის არდადეგებზე შინ დაბრუნებულ ბავშვს ამსგავსებდა, რომელიც მუდამ რაღაცით იყო გართული: ან თამაშობდა, ანდა მუშაობდა. ერთადერთი, რაც პარის აშინებდა, ეს ის იყო, რომ მისი შვილები არ დამსგავსებოდნენ მოხუცებულობაში პაპა პრაისსა და მის მსგავსად საქმის გაკეთების მაგიერ სხვისი თვალყური და ნაკლის ძებნა არ დაეწყოთ.

როცა პარი ეზოში გამოვიდა, უკვე ნაშუადღევ იყო.

— არ მინდა ამ დროს ქალაქში წასვლა, — თქვა მან და ბოსლისკენ გაიხედა, სადაც ჰენდი ეგულებოდა. შემდეგ ცას ახედა, შემდეგ ისევ ბოსლისკენ გაიხედა, — ახლა რომ წავიდე, საბუნელეში მომხდება უკან დაბრუნება.

პარიმ რამდენჯერმე შემოუარა სახლსა და ბაღს, შემდეგ კი ბოსლისაკენ წავიდა, ნეტა ჰენდი ამდენხანს რას აკეთებსო. რამდენჯერმე დაინახა ჰენდი ბოსლის კარებთან, კალათით ნაგავი გამოჰქონდა და ისევ უკან ბრუნდებოდა.

მალე დაღამდა და მეორე დილაზე აღარ უნახავს ჰენდი; ჰენდი საუხმობდა, როცა პარი შემოვიდა და დაჯდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა და უცბად წამოდგა.

— პაპა პრაისის საჩუქარი, — უპასუხა ჰენდიმ.

— ჰო, მაგრამ, პაპა პრაისი აკი მოკვდა...

— პაპა პრაისს გავუკეთე, მინდა კისერზე ჩამოჰკიდოთ მოხუცს და საფლაოში თან ჩატანოთ. — უთხრა ჰენდიმ. — ყოველთვის მინდოდა მისთვის რაიმე გამეკეთებინა. ცოცხალი რომ იყოს, ალბათ ამასაც დამიწუნებდა და მისდა საამებლად ყველაფერი უკუღმა გავაკეთე.

ეს იყო ორი ფუტის სიგრძის ხისგან გაკეთებული ყელსაბამი. თითოეული მძივი თითო ფრჩხილის ტოლა იყო და ყოველი მათგანი რაღაცას გამოხატავდა. მთელი დღე და ღამე მოანდომა ამის გამოთლას.

— პაპა პრაისი რომ ცოცხალი იყოს, სიამოვნებით მიიღებდა ამ საჩუქარს

და ნაკლს ვერ მოუძებნიდა. მართლაცდა, ამაზე უკეთესი საჩუქარი მე არ მი-  
ნახავს.

პარი დაჯდა. ხელში აიღო ყელსაბამი და თვალიერება დაუწყო, პირველ  
მარცვალს, რომელსაც დახედა, პატარა სკამის ფორმა ჰქონდა. სკამს სამი  
ფეხი მოკლე ჰქონდა, მეოთხე კი გრძელი.

— არ მეგონა, თუ ჩემს გარდა კიდევ ახსოვდა ვინმეს ჰაპაჰაჰაჰა და  
ჩემი ჩხუბი სკამის თაობაზე. მე ვამბობდი, სკამს ერთი ფეხი უნდა ჰქონ-  
დეთქი, პაპა პრაისი კი ამტკიცებდა, სამი ფეხი აქვსო მოკლე, ერთი კი გრძელი.  
იმ ხანებში ამაზე მოგვდიოდა მე და პაპას ყველაზე დიდი უსიამოვნება, ასე არ  
არის, ჰენდი?

ჰენდომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

პარი ისევ ყელსაბამს მიუბრუნდა. ერთ-ერთ მძივზე გამოჩუქურთმებული  
იყო კრიალა ცა, მზე და მოკაშკაშე ვარსკვლავები, მეორე — ჩარჩოში ჩასმულ  
სურათს გამოხატავდა, რომლისთვისაც საიდანაც არ უნდა შეგეხედათ, მაინც  
თავდაყირა იყო.

ჰენდომ ხმაურით გასწია სკამი და ადგა.

— საფლავისათვის არ მემეტება, ჰენდი, — თქვა პარიმ, — ცოდვია ასეთი  
ხვეთის მიწაში ჩატანება. იქ ხომ ვერავინ ნახავს.

— პაპა პრაისს კისერზე ჩამოსაკიდებლად გავუკეთე, — ჭიუტად უპასუხა  
ჰენდომ, — ეს მისი საჩუქარია.

ჰენდი სამხარეულოდან კიბეზე ჩავიდა, ეზო გადაჭრა და ბოსელში შევი-  
და. შევიდა თუ არა, მაშინვე თოფი გაისროლა.

პარი ფეხზე წამოიქრა, ხელში პაპა პრაისისათვის გაკეთებული ყელსაბამი  
ეჭირა.

— რატომ გაისროლა ჰენდომ?

ერთი წუთით ფანჯარაში გაიხედა და შემდეგ ბოსლისაკენ წავიდა.

როდესაც უკან დაბრუნდა, ძლიესლა მოდიოდა. დამწუხრებული ჩანდა.  
ამავე დროს რაღაც სხვა გამომეტყველება ჰქონდა სახეზე. ერთ წუთს კიდევ  
გაეღიმა.

— ჰენდის ახლა აღარსად დასჭირდება წასვლა. — მთელი სახე ღიმილით  
გაებადრა. — ჰენდი რომ ცოცხალი გადარჩენილიყო, მე ალბათ ველარასოდეს  
ვნახავდი. — თქვა მან თავისთვის. კარებში გაჩერდა, სინათლის შუქზე დაუწყო  
ყელსაბამს თვალიერება. ხან ერთ მარცვალს მოჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს,  
დიდხანს უკვარდებოდა და სათითაოდ სინჯავდა.

— პაპა პრაისი, თუ უნდათ, სასაფლაოზე წაასვენონ, — თქვა მან ხმამალ-  
ლა. — მაგრამ ჰენდის აქვე დავკრძალავ, უკანა ეზოში.

მან ორივე ხელში დაიჭირა ყელსაბამი და მზეზე გახედა.

— მიხდა ჰენდი აქვე მყავდეს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## პითქეა-გოთქეა

ინგლისურიდან თარგმნა  
ზურაბ ჯიბლაძე

სწორედ ჯორჯ უილიამსმა დაასახელა პირველად სემ ბილინგსი ქალაქის ხაზინადრად. დაასახელა თუ არა ქალაქის ყოველწლიურ საარჩევნო კრებაზე, მაშინვე გაისმა მოწონების შეძახილები და, პირველად ქალაქ ანდროსკოგენის ისტორიაში, ხაზინადარი ერთხმად აირჩიეს. შემდეგ კი, კრების დამთავრებამდე, ყველას ის უკვირდა, აქამდე რატომ არავის არ მოუვიდა აზრად სემ ბილინგსის დასახელება.

ქალაქის ხაზინადრად სემის არჩევა ყველას გაბოშებდა და ქუჩაში დაუჭდა. ვერ ერთი, იგი ნამდვილად საქმის კაცი იყო და, მეორეც, ძალიან პატიოსანი პიროვნება გახლდათ. ესეც არ იყო, ანდროსკოგენის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე საკუთარი სასტუმრო ჰქონდა, რომელიც მთელი ქალაქის შემოსავლის მფლობელს იძლეოდა. ზაფხულობით ოთხმოც-ოთხმოცდაათ თანამოქალაქეს სამუშაოს აძლევდა და კარგ გასამრჩელოსაც უხდიდა. ერთი სიტყვით, მისი არჩევის შემდეგ გაკვირვებისაგან ყველა ხელებს შლიდა — მთელი ოცი წელი რატომ ფიქრად არავინ გაივლო ადრევე ჩაგვებარებინა სემ ბილინგსისათვის ქალაქის ფული და ყველა მაწანწალას, ვივინდარასა თუ თაღლითს არ გაეწყალებინა ჩვენთვის გულიო. მასთან ხომ ცენტრც არ დაიკარგებოდა. ძველ ხაზინადარს ახლაც ვერ აეხსნა რა უყო იმ ათას რეას დოლარს, რომელიც ფულის გადაბარების დროს დააკლდა. მისმა წინამორბედმა კი ისე აურ-დაურია სააღრიცხვო დანებები, რომ ახლა მათს წესრიგში მოსაყვანად კაცის დაქირავება დასჭირდათ და კარგი ორას ორმოცდაათი დოლარიც მიახარჯეს.

კრება რომ დამთავრდა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთმა წევრმა — კლაიდ ბოლარდმა ჯორჯ უილიამსი გვერდზე გაიხმო. კლაიდი ქალაქის მთავარი მალაჩიის პატრონი ბრძანდებოდა.

— დღეს შენ ქალაქს ნამდვილად დიდი სამსახური გაუწიე. — უთხრა მან ჯორჯს. — სემ ბილინგსი სწორედ ის კაცია, რომელიც თავიდანვე უნდა აგვერჩია ხაზინადრად. მაინც საიდან მოგივიდა ეგ აზრი?

— ასეა, — მიუგო ჯორჯმა. — სემ ბილინგსი თავიდანვე მიზანში მყავდა ამოღებული. აი, შემდეგ არჩევნებზე მუნიციპალიტეტის კარგი წევრი რომ დაგვჭირდება, ერთს კიდევ გავარტყამ ნიშანში.

— ჯორჯ, მე ხომ კარგი წევრი ვიყავი? — მღელვარებისაგან სული შეუ-  
გუბდა კლაიდს.

— რა მოგახსენო, მე არც ავი მითქვამს შენზე და არც კარგი, ჯერ არა-  
ფერი გადამიწყვეტია. ვნახოთ, ავწონ-დავწონო, თუ ქალაქმა ჩემ <sup>ფერმამდე</sup>  
გზა გაიყვანა... ხომ იცი, ხალხნი ვართ, გავიხედოთ და ერთ <sup>მშვენიერ</sup> დღეს  
მანქანა ვიყიდე, მაშინ? წესიერი გზა ხომ მინდა, რომ ფერმიდან ქალაქამდე  
ვიარო.

კლაიდმა გამგები კაცის იერით დაუქნია თავი. მან დიდი ხანია იცოდა,  
რომ ჯორჯ უილიამსი ყველას გულს უწყალებდა თავისი გზით. წარამარა ვა-  
დაუკრავდა ხოლმე სიტყვას, მუნიციპალიტეტის წევრებმა უკეთესია ამ გზას  
შიაქციონ ყურადღება და აიძულონ საგზაო კომისია უფრო მეტად დაინტე-  
რესდეს ამ საკითხით. კლაიდმა ხელი ჩამოართვა ჯორჯს, საკუთარ მანქანაში  
ჩაჯდა და თავისი ფერმისკენ გასწია.

ანდროსკოგენში ზაფხულის სეზონი სექტემბრის პირველ ნახევარში მთავ-  
რდებოდა და სასტუმროში გაჩერებული სტუმრებიც ჩვეულებრივ ამ დრო-  
სათვის წავიდ-წამოვიდოდნენ ხოლმე სახლებში — ბოსტონში თუ ნიუ-იორკში.  
მაგრამ სემ ბილინგსი მაშინვე არ კეტავდა თავის ოტელს. პირველ ოქტომბრამ-  
დე ღია ჰქონდა, რადგან კვირაობით კიდევ ბევრი ხალხი ჩამოდებოდა ხოლმე  
ვოლფის სათამაშოდ. ოქტომბერში სასტუმროს კარ-ფანჯრებს ფიცრებს ააქე-  
დებდა და ზაფხულის გაწამაწიის შემდეგ ნამდვილად ისვენებდა. ივლისში და  
აგვისტოში ისეთი დიდი მოგება ჰქონდა, რომ მხოლოდ ორი-სამი კვირის შემ-  
დეგ თუ შორსებოდა ხოლმე ანგარიშებს და შემოსავალ-გასავლის აღრი-  
ცხვას.

ამ შემოდგომამდე, პირველად იმ ოცი თუ ოცდაათი წლის მანძილზე, არავინ  
წუხდა ხაზინადარზე და ქალაქის თანხებზე. სემ ბილინგსს ყველა პატიოსან კა-  
ცად იცნობდა და, ამასთან ერთად, რაკი საქმის კაცის სახელიც ჰქონდა, არხე-  
ინად იყვნენ, რომ დავთრებში ყველაფერი წესრიგში იქნებოდა. გადასახადე-  
ბით აკრედიტ ფულს სემს აბარებდნენ. მიღებულ თანხას ზუსტად აღრიცხავ-  
დნენ ხოლმე და წარდგენილ ანგარიშებსაც მაშინვე ასწორებდნენ. ერთი სი-  
ტყვიით, ყოველად შეუძლებელი იყო ახალი ხაზინადარისათვის ვინმეს რაიმე  
ხიჩვი ეპოვა.

ყველაფერი ასე იყო, სანამ ქალაქში პირველ თოვლს ჩამოყრიდა. იან-  
ვრის პირველსავე დღეებში ზამთარმა იზამთრა და სამი დღე გადაუღებლად  
იხოვა. აი, ამ დროს, ქალაქში ახალი ამბავი დაირჩა — სემ ბილინგსი, ფლორი-  
დამი წავიდაო.

ჯორჯ უილიამსმა, როგორც კი ეს შეიტყო, იმავე დღეს დაჰკრა ფეხი და  
ქალაქისაკენ აიღო გეზი. მან სულ შემთხვევით მოჰკრა ყური, ვილიცა რეკავდა  
ტელეფონით ქალაქში და სხვათა შორის აცნობა სემ ბილინგსის ფლორიდაში  
გამგზავრების ამბავი. ეს რომ არა, ალბათ ერთ კვირაზე მეტი გავიდოდა სანამ  
ვინმე ამ ამბავს ჩამოუტანდა.

კინადამ მოკლა ცხენი ქვებით და პირდაპირ კლაიდ ბოლარდის სავაჭ-  
როს მიადგა. ფარდულში რომ შევიდა, სწორედ სემ ბილინგსზე ლაპარაკობ-  
დნენ.



კარად ეწერა სახეზე, რომ იმას ანგარიშობდა, ახლა რამდენის გადახდა მომიწევსო.

კლაიდი ისევ მივიდა ლუმელთან და ხელები მიუფიცა.

— ჩემს ცოლს კი წუხელ ერთ ადგილას აი, რა გაუგია. — იგი შეჩერდა და ყველას სათითაოდ შეხედა სახეში. კაცებმა სული განაბეს მალონდინში. — შარშან ზაფხულს სემ ბილინგსს თავის ოტელში ვიღაც ნიღბიერი კელი მალიონერი მოუკლავს. ამას ფულსთვის ჩაიდენდა. გეგმა რაღაცაა და მოეკლა კაცი. მოკლედ, ახლა ისეა თავაწყვეტილი, რომ აღარაფერზე დაიხვეს უკან.

— სულ იმას არ ვამბობ, სემ ბილინგსზე ზნეწამსდარი, მატყუარა და არამზადა კაცა ჯერ არ დაბადებულა ანდროსკოგენში-მეთქი, — ზიზღით თქვა ჯორჯმა. — ბოლო დროს რომ ვნახე, მაშინვე ის ვიფიქრე, როგორ იქნება სულმა არ წასძლიოს და ქალაქის ფულს ერთხელ მაინც არ გაჰკრას-მეთქი კბილი. ახლა გამოდის, რომ მართალი ვყოფილვარ. მოკლედ, ბილინგსი უნდა დაეჭირათ და ფედერალურ ციხეში ვუკრათ თავი, რომ ერთი კარგად დაისვენოს.

— დაიჭირე თუ ბიჭი ხარ, — თქვა კლაიდმა. — სემ ბილინგსისნაირ ხალხს ყველაფერი წინდაწინა აქვს აწონილ-დაწონილი. ალბათ ახლა რას დაგვცინის! ფული ფულად წაიღო, ხახამშრალი დაგვტოვა და მასხარადაც გვიგდება.

— შენ არხეინად იყავი, ფედერალურმა მთავრობამ იცის, მაგისთანა ხალხის ოხტში როგორ მოვიდეს, — თქვა ჯორჯმა. — თუ საქმეს ხელი მოჰკიდეს, ბილინგსს დაუჭერელს არ გაუშვებენ. საქმე ისაა, რომ იქ არ უნდათ თავის შეწუხება. ბოლოს და ბოლოს, შტატის ციხეში ჩავასმევინოთ.

ყველა დიეთანხმა ჯორჯს. ერთი სემ ბილინგსი ჩაუვარდეთ ხელში და ციხეში ჩააღპობენ! რაც კანონით არის გათვალისწინებული, სულ უკლებლივ მიაქედავენ!

რამდენიმე დღის შემდეგ ჯორჯი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ წევრს შეხვდა და სემ ბილინგსზე ჩამოუგდო სიტყვა. ჯორჯის გეგმით ფლორიდის პოლიციას უნდა მიეკვლია ბილინგსის ადგილსამყოფელისათვის. შემდეგ კი შერიფს გაეგზავნა თავისი ხალხი, ადგილზევე დაეჭირათ ბილინგსი და სადაც წეს არს, იქ მიებრძანებინათ. ხოლო მერე, რაღა თქმა უნდა, სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა. მუნიციპალიტეტის წევრს თავისი გეგმა უფრო უყდებოდა ჰკუთხაში: არტურ რასელმა უნდა აღძრას საქმე ფედერალური მთავრობის წინაშე: სემმა ჩემი ქალიშვილი — ჯენი რასელი გაიტაცაო. მაშინ, — აუხსნა მან ჯორჯს, — სემს ისე მოაბრძანებენ ანდროსკოგენში, რომ ქალაქს ცენტრც არ დაეხარჯებოდნ.

ჯორჯი ყველა გეგმის მომხრე იყო, ოღონდ სემ ბილინგსი ხელთ ეგდოთ და ქალაქის ხაზინას გაძარცვისათვის გაესამართლებინათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, უკვე შუა ზამთარში, ვიღაცამ ჯორჯს ამბავი მოუტანა, სემი ჯენი რასელთან ერთად კუბაში წასულაო. ამ ამბის შემდეგ ქალაქში უკვე კაცი აღარ მოიძებნებოდა, რომ სემ ბილინგსის დასაცავად სიტყვა დასცდენოდა. იმას ლარი და ხაზი აღარ უნდოდა, რომ სემ ბილინგსმა ქალაქის ფული გაიტაცა და მოუსვა. მეტი არავის არაფრის მოსმენა აღარ სურდა.

— ყოველთვისა ვგრძნობდი, რომ ეგ სანდო კაცი არ იყო. — თქვა ჯორჯმა

კლაიდის მაღაზიაში. — იმდენ ფულს იღებდა იმ თავის სასტუმროდან და მაინც ვერ გაძღა მისი გული. ასეა, კაცს რაც მეტი აქვს, მით უფრო ხარბი და გაუმაძღარია, თავისი ფული აღარ ეყო და ქალაქისაც ჩაიჯიბა. არტურ რასელის ადგილას რომ ვიყო, მე მაგას ვაჩვენებდი სეირს ჯენის მოტაცებისათვის. ჩემი ქალიშვილი რომ ყოფილიყო და სემ ბილინგსს ამდენი ხნით წაეყვინა ფლორიდაში, დავაჭერინებდი კი არა, სულ კუდიტ ქვას ვასროლინებდი!

— რაც გინდა თქვი და დიდი შეცდომა მოგვივიდა, რომ ქალაქის ფული მივანდეთ. — თქვა კლაიდმა. — არ გინდა ამოდენა ზარალის ანაზღაურება? მთელი ათი წელი არ გვეყოფა. ლამის ათასი დოლარი ჰქონდა ხელთ, როცა გაიქცა.

— შენც იმ ბრიყვებთან ბრძანდებოდი, ხმას რომ აძლევდი. — უთხრა ჯორჯმა. — ვაი, რომ ჩვენს ქარაფშუტა ამომრჩევლებს ჰქუა ჯერ კიდევ არა აქვთ.

— მე თუ მეხსიერება არ მძალატობს, სწორედ შენ დაასახელე სემ ბილინგსი ქალაქის ხაზინადრად, — მიახალა კლაიდმა.

ნირწამხდარი ჯორჯი მაღაზიიდან გავიდა. ცხენი აუშვა, შეჯდა და ხმისამოუღებლად გასწია საზღვისაკენ ისე, რომ სიტყვაც არ შეუბრუნებია კლაიდისათვის.

ზამთრის ბოლომდე კაციშვილს არ გაუგია სემ ბილინგსის ასაეალ-დასავალი. ანგარიშებს ჯერ ყავლი არ გასვლოდა, არაფერი იყო გადასახდელი და ქალაქში არავინ შეწუხებულა იმით, რომ ფონდები სემ ბილინგსს ებარა.

გაზაფხულის პირას, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვეულებისამებრ სემი თავისი ოტელის წესრიგში მოყვანას მიჰყოფდა ხოლმე ზელს, რათა ზაფხულს მომზადებული შეხვედროდა და სასტუმრო ივნისში გაეღო, ერთ მშვენიერ დღეს ქალაქში ხმა გავარდა, სემ ბილინგსი დაბრუნდარი იმ სისხამ დილით ვიდაცას ენახა ქალაქში, ღურგლებს და მუშახელს რომ იყვანდა ქირით. იგი ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს არემონტებდა თავის ოტელს.

ჯენი რასელიც დაბრუნებულიყო. ესეც იმავე დღეს შეიტყო ყველამ.

ორშაბათს ოცკაციანი ბრიგადა უკვე შეუდგა სასტუმროს მოწესრიგებას. კარ-ფანჯარას ფიცრები ააძვრეს, სასტუმროს წინ, ტბაზე, ახალი ნაემისადგომის შენებას მიჰყვეს ხელი. ქალაქის ყველა უმუშევარი ახლა იქით მიუშურებოდა და სამუშაოს თხოვდა სემს, რადგან კარგად იცოდნენ, სემ ბილინგსი ხეირიან ჯამაგირს იძლეოდა და თანაც ყოველთვის თავის დროზე, შაბათ საღამოს ურიგებდა მუშებს ფულს.

მოკლედ, სემი ისევე შეუდგა საქმიანობას, როგორც ყოველ გაზაფხულზე. არავის დაუკენჯავს მისთვის, რა ხმებიც დადიოდა მასზე ზამთარში. რა თქმა უნდა, არც ის შეუტყვია, რა დანაშაულს მიაწერდნენ მას კლაიდ ბოლარდი თუ ჯორჯ უილიამსი და, სიმართლე რომ ითქვას, ქალაქის ყოველი მიცხოვრებელი.

იმ კვირას ჯორჯი ქალაქში ჩავიდა და სემის ჩამოსვლის ამბავი შეიტყო. იგი პირდაპირ კლაიდს მაღაზიისაკენ გაემართა, შევიდა და გრძელ დასლზე ჩამოჯდა:

— მაშ ქალაქის ფული გადარჩა, ჰა? — უთხრა მან კლაიდს. — სემ ბილინგსი დაბრუნებულა და ჯენი რასელიც ჩამოუყვანია.



— წუხელ ვილაც ჩემს ტელეფონში ჩაერთო და იმის ლაპარაკს მოვეკარი ყური. სემ ბილინგსს შარშან შემოდგომაზე ფლორიდაში დიდი სასტუმრო უყიდა. — უთხრა კლაიდმა. — ჯენი რასელს გარიგებია, წაპყლოდა და იქაურობისათვის მიეხედა, რომ მოსამსახურე გოგოებს ყველაფერი წესრიგში მოეყვანათ. ჯენი რასელს ეგ არ შეეშლება. სემმაც ძალიან კარგად იცის, რომ მასზე უკეთეს თანაშემწეს მთელ ქალაქში ვერ იშოვიდა. ჯერ კარგად იცის, რომ წარუმატებელი სასტუმრო ნახე რა გაწკრიბებულ-გაპრიბებული აქვს.

— ჯენი რომ კარგი დიასახლისია, მაგას თქმა არ უნდა, — თქვა ჯორჯმა. — ვინ გეგულება ჩვენში ჯენი რასელზე უკეთესი? თავის დროზე მეც მეჭირათვალი, ავიყვან-მეთქი სახლის მომვლელად და მერე იქნებ ერთ მშვენიერ დღეს გვირგვინიც დამედგა. ნამდვილად შესანიშნავი დიასახლისია. სემ ბილინგსიც ჰკვირნი კაცია და ძალიან კარგად იცის, ვინცა სჭირდება იმ თავისი ჩინებული სასტუმროებისათვის.

— მოკლედ, ქალაქის ფულის ფიქრი არა მაქვს, — თქვა კლაიდმა, — სემ ბილინგსი პატიოსანი კაცია.

— რა თქმა უნდა. სემ ბილინგსისთანა ალალი კაცი, პირადად შე, ჯერ არსად შემხვედრია. ბავშვობიდან ვიცნობ. ქალაქის ფული გინდა მას ჰქონია და გინდა ჯიბეში მდებია, ისე ვარ დარწმუნებული. სემ ბილინგსი ნამდვილად პატიოსანი კაცია, კლაიდ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ნალი სიკვდილი

ინგლისურიდან თარგმნა  
გიორგი ნოდიაშვილი

მთელი დღე როიალის ყუთში ვისხედით და ეუცდიდით წვიმის გადაღებას. ქვემოთ, თორმეტა ფუტის დაშორებით, სავანა ზღვისაკენ მიაქანებდა თავის მღვრიე ტალღებს. მიატივტივებდა ზემოდან ჩამოტანილ გამსმარ, ფიჭვებს და ჯორების დამპალ მოსართავეებს.

მეთხუთმეტე ქუჩის ახლად აშენებული ხიდი წვიმისაგან გვიფარავდა. ყუთის კუთხეები აგურის ნამტვრევებზე გვექონდა შეყენებული, რომ ხიდიდან და წითელი თიხის დამბიდან ჩამონადენ წყალს ჩვენს ქვემოთ გაეველო და ადიდებულ მდინარეს შერთვოდა.

დროდადრო დეივი ჩაიმუხლებდა და ყუთში ჩალას ასწორებდა. კარგად რომ არ მოესწორებინა, გუნდ-გუნდად დაგროვდებოდა ფეხებქვეშ. ბანანის ჩალა ნესტიანი და მყრალი იყო. ყუთი ძლივს გვეოფნიდა ორივეს.

ჩვენს მეზობლად, გალანტერიისათვის განკუთვნილ ყუთებში, ოთხსულიანი ოჯახი ბინადრობდა. ყუთები ერთმანეთს გვერდებზე ამოჭრილი ხვრელებით უკავშირდებოდნენ, მსგავსად შესაფუთავი ყუთებისა, რომლებიც ოთხი ან ხუთი განყოფილებისაგან შედგებიან. ოჯახის დიასახლისს ორი მკვლე ქათამი ჰყავდა. დღედაღამ უტრიალებდა მათ, გარეთ არ უშვებდა, თითქოს უნდოდა დაეყოლიებინა, კვერცხება დადეთო. ხიდის ბოლოს, სამხრეთ კაროლინის მხარეს, თორმეტიოდე და, შესაძლოა, მეტი ყუთიც იდგა. როცა რომელიმე დაბერებული, შიმშილისა და გაჭირვებისაგან გაყვითლებული მამაკაცი ან ქალი მოკვდებოდა, ცხედრები მდინარის ნაპირზე ჩაჰქონდათ და ატალახებულ წყალში გადაუშვებდნენ ხოლმე. როდესაც ბავშვები იბადებოდნენ, ხალხი შეგროვდებოდა ხიდზე და მოაჯირს დაყრდნობილია უსმენდა მშობიარის კივილს, თან კაკლის ნატუჭებს ისროდა მდინარეში.

შებინლებისას წვიმამ გადაილო, მაგრამ ეტყობოდა, დილაძე მაინც არ გადაიკარებდა და მთელი ღამე იწვიმებდა. დაუდგრომელ დეივს მეტის გაძლება აღარ შეეძლო ყუთში.

— ადექი, მაიკ, — მითხრა მან, — წამო, იქნება სადმე რამე გამოვქექოთ.

უკან მივეყვებოდი დეივს, რომელიც უკვე მოწითალო ტალახში მიტოპავდა. დაშბა გადავიარეთ და ტროტუარზე აღმოვჩნდით. პირდაპირ გუბეებში ვაბიჯებდით, რათა ფეხებიდან თიხა მოგვეშორებინა.

დეივს ორმოცდაათი ცენტი ედო ჯიბეში. გავიფიქრე, არასგზით არ დავა-  
ხარჯინებ-მეთქი. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დეივი ქალაქების  
დამწყობად მუშაობდა ფაქტორიის სარდაფში და დღეში ორმოცდაათ ცენტამ-  
დე იღებდა. წინააღმდეგობა აღებულ იქნა ფული ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაბარებული.

როდესაც მდინარის მეორე მხარეზე გადავედით, უეცრად მოგვნიჭა მო-  
ვუხვით და გავიქვცა. ორმოცდაათი იარღის გარბენაც ვერ მარტყნებდნენ, რომ  
დეივი სვიტერში ჩამაფრინდა და შემაჩერა. მე რე ჯიბეში ჰქონდა ორმოცდაათ ცენტი და  
ორმოცდაათ ცენტისანი მონეტა მიჩვენა.

— ჩემზე ნუ წუხდები, დეივ, — ვუთხარი მე და შევეცადე ფული ისევ  
ჯიბეში ჩაედო. — ხვალამდე როგორმე გავძლებ. ნახევარდღიან სამუშაოს შემ-  
ბირდნენ, ერთ დოლარს თუ არა, ნახევარ დოლარს მაინც ავიღებ, შენ წადი  
და ერთი წესიერად ჭამე!

— არა, — თქვა დეივმა და ხელი მკერდზე მიიდო, გული ამოვარდნაზე  
ჰქონდა, — ჩვენ ამას გავიყოფთ.

ქალაქისაკენ წამათრია. დაბლა ჩამოწოლილ ფამარ ღრუბლებს ნარინ-  
ჯისფერი გადაჰკრავდა; მანქანები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ  
ბრბოსავით გაჰკიოდნენ.

ჩვენ ისევ გუბეებით მივაბოტვბდით ქალაქისაკენ. უცებ დეივი შეჩერდა  
შუა წყალში.

— მაიკ, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, — მითხრა მან, ხელი სვიტერში ჩამჭი-  
და და მომქაჩა, ისე, როგორც ძალი დაითრევს ხოლმე ბალიშს. — მე უკვე  
დავბერდი, შენ კი ჯერ ახალგაზრდა ხარ. შენ უფრო შეძლებ გაიგო, რა უნდა  
ექნათ; მე რე დაბრუნდი და მეც ისე მოვიქცევი, როგორც შენ მასწავლი.

— რა მოხდა, დეივ. — ვკითხე მე. — რაზე ლაპარაკობ?

მკლავები გაშალა, თითქოს სურს, რაც შეიძლება მეტი რამ ჩაიკრას  
გულში.

— სადღაც არიან ადამიანები, რომლებმაც იციან, როგორ ვიხსნათ თავი გა-  
ჭირვებისაგან. შენ რომ გეპოვა ვინმე ისეთი, ჩვენც რამეს ვილონებდით.

— ორი კაცი ვერაფერს შეცვლის, დეივ, ჯერ ჩვენს თავზე უნდა ვიფიქ-  
როთ.

— ამაზე ნუ დარდობ, — მითხრა მან. — როცა ხალხი ისწავლის რა გააკე-  
ოს და როგორ, მაშინ ჩვენც წავალთ და დედას ვუტირებთ ამ გასიებულ ნა-  
ბიჭვრებს, სამუშაოს თუ არ მოგვეცემენ.

— ჯერ ადრეა, დეივ.

— ჯერ ადრეა! განა ორი წელი არ გავიდა, რაც მე სამუშაოდან გამომიგ-  
დეს? როდის აღარ იქნება ადრე? ახლა სწორედ დრო, სანამ შიმშილით არ  
დავხოცილვართ და ფეხებგაფშევილი მაგ წუმბეში არ გადაგვყარეს.

სანამ რამეს თქმა მოვასწარი, იგი შემობრუნდა და ქუჩას გაჰყვა. მეც  
დავედევნე და დავეწიე. ჩვენ გუბეებში მივტოპავდით და ვცდილობდით ღრმა  
ტბორებისთვის გვერდი აგვევლო.

ორი წლის წინ დეივს კარგი სამუშაო ჰქონდა სამხრეთ აუგუსტაში, სასუ-  
ტების ქარხანაში. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გამოაგდეს და უკან აღარ მიუ-  
ღიათ. მაშინ მასთან ერთად სამოცდაათი კაცი გაყარეს. დეივს არასდროს  
უთქვამს ჩემთვის, რა ბედი ეწიათ დანარჩენებს. მაგრამ მე ვიცოდი, რა ბედი

ეწია თვითონ დეივს. ექვსი თუ შვიდი თვის განმავლობაში ბინის ქირა ვერ გადაიხადა და მეპატრონემ გაგდება დაუპირა, მაგრამ დეივი არ დამორჩილდა: არსადაც არ წავალ, სანამ სამხრეთ აუგუსტას სასუქების ქარხანაში არ დავიბრუნებ სამუშაოსო.

დეივმა კიდევ ოთხ თვეს იცხოვრა იქ, მაგრამ კარები და ინჯამებიანი ფანჯრები მეპატრონემ ჩამოხსნა და წაიღო. ზამთრის დამტყვინებში დაიწყო და მთელი სახლი დამპალ შეშასავით ნესტით გაიჟღინძა. იანვრის ქარმა, სტვენითა და სისინით აწყდებოდა ფარღალა კედლებს. ღუმელის გასათბობად არც შეშა გააჩნდა დეივს და არც ნახშირი. მხოლოდ ორი ბამბისა და ერთი მატყლის საბანი ჰქონდა ცოლისა და სამი ბავშვისათვის. ორი ბავშვი ჯერ კიდევ იანვრის ბოლომდე გარდაიცვალა. თებერვალში მათ მიჰყვა ცოლიც. მარტში ერთ ერთ ეკლესიაში აწირვინეს კიდევ დეივისა და მისი თორმეტი წლის ქალიშვილის დასახმარებლად. მაგრამ, როგორც დეივი ამბობდა, მთელ იქ მოხვეჭილ ავლა-დიდებას ორ ადგილას გამოხეული ხაკისფერი შარვალი შეადგენდა.

დეივმა არ იცოდა, მისი ერთადერთი ქალიშვილი მოკვდა, რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოებას შეეხიზნა, თუ საროსკიბოში ამოჰყო თავი, უკანასკნელად იმ დილას ნახა, როდესაც პოლიციელი მოვიდა მის წასაყვანად და საბანში გახვეული დეივი მარტო დატოვა უფანჯრო სახლში.

უკვე შეშვიდე ქუჩამდე ვიყავით მისული. მოედანი ნისლში გახვეულიყო. ირგვლივ ასწლიანი საფლავის ქვებით აღმართულიყვნენ ოტელები, მთავრობის დაწესებულებები და უღიმღამო და პირქუში ცათამბჯენები.

— წადი და ქაზე, დეივ. — გავუმეორე. — მე აქ დაგიცდი, მერე ხიდთან დავბრუნდით და ყინვას შევაფაროთ თავი.

- უშენოდ არსადაც არ წავალ.
- მე არა მშობა, დეივ. არ გატყუებ, არა მშობა.
- არც მე შევჭამ, — თავისას არ იშლიდა დეივი.

როცა დაღამდა, ნესტმა და სიცივემ იმატა. მიღებიდან გამონადენი წყალი თხრილში გრძელი გველებივით მიიკლავნებოდა. ქარი თანდათანობით ძლიერდებოდა, მდინარისკენ მოჰქონდა ნისლი და ზურგში ნემსებივით გვჩხვლევდა.

— ნუღა აყოვნებ, დეივ. — შევემუდარე. — სისულელე არაა, ამ სიცივეში ტყუილად ვდგავართ და ვიყინებით? ნახევარ საათს დაგვლოდები.

დეივი სვიტერში ჩამწედა და უკან წამოიხრია. ქუჩაში დრალით მიჰქროდნენ ავტომანქანები, კრიალბდნენ ს ბარგულები, და ყოველივე ამისგან ისეთი ბათქი და გრილი იდგა, რომ ყვირილით თუ გავაგონებდით ერთმანეთს.

კიდევ ერთხელ დავაპირე დეივი სასაუზმედ გამეგზავნა: უცუბ გზაზე დავინახე შავი ავტომანქანა, რომელიც ჩვენს უკან უხვევდა. მთელი სისწრაფით მოდიოდა. ალბათ საათში ორმოც მილს ამეტებდა. ავტომობილი მკვეთრად ქრიდა კუთხეს.

ჯიქურ ჩავავლე ხელი დეივს, მინდოდა გზიდან გადამეყვანა, რადგან ზურგით იდგა და მანქანას ვერ ხედავდა.

მან, როგორც ჩანს, იფიქრა, ევლავ რესტორანში მიპირებხი გაგზავნას და უკან დაიხია. გვიანდა იყო, ხელი რომ მეტაცნა და გზიდან ჩამომეცილებინა.

რაც ძალა და ღონე მქონდა, შევყვირე, მაგრამ დეივი უცებ ვერ გაერკვა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან. მანქანა მარჯვენა წინა ფრთით დაეჯახა და ნაფოტივით მოისროლა ტროტუარზე.

მძლოლი, ეტყობა, სამი ფუტის დაშორებით მაინც ჰკრიდა ქუთხურ, რადგან ბორბლები ტროტუარის პირზე ახტნენ.

მძლოლმა მანქანა გააჩერა და ჩვენკენ წამოვიდა. ამასობაში ჩვენს გარშემო ყოველი მხრიდან ხალხი შემოიკრიბა.

— გეტკინა რამე, დეივ? — შეგვეკითხე მე და მის გვერდით ტროტუარზე დავეშვი.

მძლოლს უკვე გამოეღწია ხალხში, და როდესაც მალა ავიხედე, იგი დეივის ფეხებთან იდგა და სახემოღუშული გვიცქერდა.

— მაიკ, — მითხრა დეივმა და ჩემკენ შემობრუნდა. — მაიკ, ნახევარი დოლარი მაქვს მარჯვენა გულის ჯიბეში.

იგი მაგრად ჩაფრენოდა თითებით ჩემს ხელს, თითქოს ეშინია არ დავარდესო.

— რა დროს ეგაა, დეივ, — შევხვეწე მე, — თუ რამე იტკინე, მითხარი და ახლავე ექიმს გამოვუძახებ.

დეივმა თვალები გაახილა და ქვემოდან ამომხედა. მხრები უთრთოდა და კიდევ უფრო მაგრად მეჭიდებოდა თითებით.

— არაფერიც არ მოსვლია, — თქვა ავტომობილის მძლოლმა და იდაყვებით მისწი-მოსწია ხალხი თავის გარშემო. — არაფერიც არ მოსვლია, თავს იგდებს.

იგი ჩვენს წინ იდგა და დეივს უცქეროდა. პირი დაეფჩინა, გადმობრუნებული ტუჩები კი თითქოს გასიებიაო.

— მაიკ, — მითხრა დეივმა, — ეტყობა სამუშაოს უკვე ვეღარ დავიბრუნებ. ძალიან გვიანაა. დრო აღარ მეყოფა.

მძლოლი არგულივ შეკრებილ ხალხს ელაპარაკებოდა. მეტისმეტად ტლანქი ტუჩები ჰქონდა. გეგონებოდათ, პირის გაღება უჭირსო.

— თავს იგდებს, — გაიმეორა მან, — ფულის შოვნა მონდომებია, მაგრამ მე ამისთანა მაწანწალების ხრიკები ვერ მომატყუებს. არაფერიც არ მოსვლია.

მე კარგად მესმოდა, რას ლაპარაკობდა ხალხი ჩვენს გარშემო. ვილაც ბიჭი ჩემს უკან ყველას გასავიწყლოდ გაჰყვიროდა, მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ შეუძლებელი იყო კაცს არ გაგეგონა მისი სიტყვები.

— მაწანწალაა. აბა რა! მაშ, რად არ მიჰყავთ საავადმყოფოში? რა ჯანდაბად შეიწუხებენ თავს ვილაც მაწანწალასთვის? საავადმყოფოში წაყვანა შეიძლება ფული დაუჯდეთ. ესეც არ იყოს, ვაითუ მანქანას სისხლი დაეცხოს. აბა რად უნდათ, რომ შალითას მაწანწალის სისხლი აჩნდეს.

მე სვიტერი გავუხსენი დეივს და პერანგში შევუყავი ხელი, ჩამტვრეული ხომ არა აქვს-მეთქი ძვლები. თვალები კვლავ დახუჭული ჰქონდა, მაგრამ თითებით ვერ კიდევ მაგრად მებლაუჭებოდა მაჯაში.

— თავს იგდებს, — თქვა მძლოლმა, — მაწანწალა ყველაფერს გააკეთებს. ოღონდ ფული მიეცი. არაფერიც არ მოსვლია. თავს იგდებს.

ბიჭი კი არ ჩერდებოდა:

— რატომ არ მიგყავს საავადმყოფოში, სახედაცომებულო? მძლოლმა ხალხს გადახედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

მე გამოვიღე ხელი დეივის პერანგიდან და სისხლი დავეხაბე. სისხლი მხარიდან არ უნდა ყოფილიყო გამოქონილი. მკერდის მარცხენა მხარეს სდიოდა დეივი სწორედ მკერდით დაასკდა ტროტუარს, როდესაც მანქანის ველების როლა. შერე ისევ შევეუყავი ხელი სვატერში და ჩამტვრეული მკერდის მხარეს სხეული ამ მხარეს რბილი და სველი ჰქონდა, გულის ძგერას ისე ვგრძნობდი, თითქოს ხელის გულზე მქონოდა დადებული.

— არ აპირებთ ამ კაცის წაყვანას საავადმყოფოში? — ვკითხე მძლოლს, რომელიც ზემოდან გვიცქეროდა. — ვერა ხედავთ, დაშავებულია!

— ისე იგდებენ თავს ეს მაწანწალები, — თქვა მძლოლმა, თან მხერა ერთი სახიდან მეორეზე გადაჰქონდა, — არაფერიც არ მოსვლია, არაა დაშავებული. დაშავებული რომ იყოს, ყვირილს მოჰყვებოდა, განა გაიგონეთ მისი ყვირილი ან კვნესა? უბრალოდ ვდია და ელოდება, სანამ ერთ ან ორ დოლარს გადავუგდებ. ფული რომ მიმეცა, წამოხტებოდა და თვალსაც ვერ მოასწრებდით, ისე აითესებოდა. კარგად ვიცი ამ მაწანწალების ამბავი. ფულის მეტი არაფერი უნდათ.

ვცადე წამოვმდგარიყავი და დეივიც ამეყენებინა. ჩვენ მაინც წავიყვანთ საავადმყოფოში, რაკი მძლოლი თავის მანქანაში არა სვამს-მეთქი.

მძლოლი ისევ ხალხისაკენ იყო მიბრუნებული და არწმუნებდა, ამ კაცს მხოლოდ ფულის შოვნა უნდოდათ.

— თავს იგდებს, — გაჰყვიროდა იგი, — ამ მაწანწალებს ჰგონიათ, ფულს მისცემენ, თუ მანქანას წინ დაუდგებიან და შერე წუწუნს მოჰყვებიან, დავიმტვერბთო, ეს კარგი გაკვეთილი იქნება მათთვის, ახლა მაინც ისწავლიან ჰკუპას. ვიცი მე ამათი ამბავი. მაშინვე ვხვდები, როცა თავის აგდებას იწყებენ.

დეივმა თვალი გაახილა და შემომხედა.

— ერთი წუთი მოიცა, მაიკ, — მითხრა მან, — დამაწვინე, რალაც მინდა ვითხრა.

რაც შემიძლო ფრთხილად დავაწვინე ტროტუარზე. იწვა გარინდული და შიგ თვალებში მიცქეროდა, თითები კი კვლავ მაჯაში ჩამფრენოდა.

— მინდა დავრწმუნდე, რომ შენ მიაგნებ ჩემს ნახევარ დოლარს. აგერ ჩემს მარჯვენა გულის ჯიბეშია.

ისევ მინდოდა მეთქვა, რა დროს ორმოცდაათ ცენტზე ფიქრია-მეთქი, როდესაც ვიგრძენი, რომ მისი თითები ნელ-ნელა მოეშვა ჩემს მაჯას. თვალებში ნისლი ჩაუდგა.

მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მე, მუხლებზე დაჩოქილს, დეივი მეკავა, ვცდილობდი მომეფიქრებინა რამე, სანამ მეტისმეტად გვიან არ იყო.

ვიდრე რამეს მოვიფიქრებდი, მძლოლი კიდევ უფრო მოგვიახლოვდა, თვალს არ გვაცილებდა.

— თავს იგდებს, გამურული მაწანწალა თავს იგდებს. — თქვა და გზა გაი-

კაფა თავისი ავტომობილისაკენ. მანქანასთან რომ მივიდა, ხალხის თავებს ზემოდან გადმოგვძახა:

— არაფერი მაგას არ მოსვლია. მე ვერაფერში დამდებს ბრაუსს კარგად ვიცი ამ გამურული მაწანწალების ამბავი. ფული მიეცი და თავისუფალი ხარ. მერე მალე აითესებიან აქედან. გამურული მაწანწალა თავს იგდება!

— რა თქმა უნდა, მაწანწალაა, — თქვა ბიჭმა ჩვენს უკანასკნელს უკუვები ზარივით აზანზარდა პაერში. — ვაითუ მაწანწალას სისხლით მანქანის შალითას.

ამასობაში, შეკრებილი ბრბო რომ დაინახა, პოლიციელიც მოვიდა. ხალხი მისწი-მოსწია, ხელკეტი მკრა და მკითხა, რა ამბავიაო. სანამ პასუხს მოვასწრებდი, ხელკეტი ზურგშიც ჩამარტყა.

— რა ეშმაკად ჩაგიკეტავს ეს გზა?

დეივი მოკვდა-მეთქი, ვუთხარი.

პოლიციელი დაიხარა და ახლად შეამჩნია იგი.

— ეს სხვა საქმეა, — თქვა მან.

ტელეფონის ჯიხურში შევიდა, საავადმყოფოში დარეკა და სასწრაფო დახმარების მანქანას გამოუძახა. სანამ პოლიციელი დაბრუნდა, მანქანის მძლოლი უკვე იქაურობას გასცლოდა.

— რატომ იმავე მანქანით არ წაიყვანეთ საავადმყოფოში, რომელმაც გაიტანა? — იკითხა პოლიციელმა, თან ხელკეტი აათამაშა და ვიტრინის წინ მდგარ ქალს შეაცქერდა.

— ვერა ხედავ, რომ მაწანწალაა, — თქვა ჩვენს უკან მდგომმა ბიჭმა, — არ გვინდოდა, რომ მანქანის შალითა მაწანწალას სისხლით მოთხერილიყო.

პოლიციელი შეჩერდა და იმ ბიჭს შეხედა, მერე ჩემზე გადმოიტანა მზერა. ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

— თქვენ საქმეს მიხედეთ, მაწანწალებო, — თქვა მან და ხელკეტი გვკრა, — აითესეთ ახლა აქედან, სანამ არ დამიჭერიხართ.

მე ისევ მივირბინე დეივთან, გადავაბიჯე მის უსულო სხეულს და იქვე დავჯექი. პოლიციელი მომვარდა. ხელკეტს იქნევდა და მაგინებდა.

თვალთ დაბიბნელდა. როდესაც გონს მოვედი, ბიჭი, რომელიც ჩვენ გვიკერდა მხარს, გემსატვირთების მიმართულებით მიმათრევდა ქუჩაში; უკანასკნელ ლამპიონს რომ გავცდით, მაღლიერების გრძნობით ავხედე მის სახეს. არც ერთ ჩვენგანს ხმა არ ამოუღია.

## ლოლია აპტოგუსეი

თარგმანი  
თამაზ გოლდერძიშვილისა

„თავშესაფარი“, — შევებით ამოიხუნთქა ვოიტეკმა. მეტყვევებ გასაღები გადაატრიალა და კარი გააღო. თავშესაფარი მწვანე სავანესა ჰგავდა. ოთახში გამკვირვალე ბინდბუნდი გამეფებულიყო.

— კარგია, — თქვა ვოიტეკმა და პირდაპირ ფანჯრისაკენ წავიდა. დარაბა გააღო. სინათლე ერთბაშად შემოიღვარა: თქროსფერი ზოლი მაგიდას დაეცა, ორი ფართო საწოლი გადასჭრა და ლუშელის კაფელზე ასხლტა. ვოიტეკმა ზურგჩანთა დაავდო და საწოლზე ჩამოჯდა. ზამბარები აჭრიჭინდა. მერე ვაჟი გულაღმა დაწვა; საწოლმა შეითამაშა და ძალდა შეაგდო.

— საუცხოოა, — თქვა ვოიტეკმა და წამოდგა.

მეტყვევ გაიღრიჯა:

— ეს მთავარია. პირველ რიგში რიგიანი საწოლი უნდა ჰქონდეს კაცს. „მართალია, მართალი, — ფიქრობდა ვოიტეკი, — ახლა ყველაფერი სხვა-ნაირად იქნება, ადამიანურად. თავშესაფარი... როგორც იქნა, ვიშოვნეთ თავშესაფარი“.

— ხომ ღირს, რასაც განდევინებ? — ჰკითხა მეტყვევმა.

— ჯენტლმენები ფულზე არ დაობენ.

ორივეს გაეცინა. ვოიტეკმა პაპიროსი ამოიღო.

— ჩიბუხში ჩავეფხვნი, — თქვა მეტყვევმა. იგი ზორბა ტანისა იყო, სახის უხეში ნაკვეთები და წითელი, ნაოჭებით დასერილი კისერი ჰქონდა. მეტყვევის მწვანე შალის მუნდირს ასდიოდა რაღაც ნაცნობი სუნი, რომელიც ვოიტეკს ვერაფრით ვერ გაერკვია. ვოიტეკი ცნობდა ამ სუნს, ალბათ, ლიტერატურიდან, ტიპიური, დამაჯერებელი აღწერებიდან. თივის სუნია? მკვნარი ფოთლების? ცხენის? დიახ, რა თქმა უნდა, ეს ცხენის ოფლის სუნი იყო. ახლა კი მას თამბაქოს კვანლის სუნიც გარეოდა.



— პანი როდის ჩამოვა? — შეეკითხა მეტყევე.

— ხვალ, ოღონდ არ ვიცი, რომელ საათზე.

— პირველი ავტობუსი რვა საათისათვის მოდის.

— პირველით არა მგონია, მაგას რომ მოუსწროს, ღამით უნდა ადგეს.

— ადგება, აბა რას იზამს. — და ბოლოს გაისმა კითხვა, რომელსაც ვოი-

ტეკი ელოდა:

— ცოლია?

ვოიტეკმა ჩაახველა.

— როგორ გითხრათ...

მეტყევე წყნარად ბერტყავდა ჩიბუხს.

— რა ჩემი საქმეა, არავის ზნეობას არ ვეხები. — მერე დაუმატა, — მე დროსტარება მიყვარს. თუ გნებავთ, მყვირალობაზე წავიდეთ.

— რაზე?

— იქ, მყვირალობაზე, ირმები ფურ-ირმებისათვის იბრძვიან. წასვლას ვაპირებ. თუმცა თქვენ სად გეცლებათ.

ვოიტეკმა გაიღიმა.

— ქალს თავის გზას გავუყენებ და ყველაფერი რიგზე იქნება.

— სიამოვნება არ მინდა დაიკლოთ, მაგრამ მყვირალობაზე ხომ...

— მესმის!

— სროლა გიყვართ? კაკბებზე შეიძლება ნადირობა. თქვენთვის კარგი თოფი მაქვს.

— ვატყობ, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავსაც ვასიამოვნებ.

მეტყევემ ნავთის ლამპა აანთო.

— მხოლოდ ჩემს ბებრუხანასთან არ წამოგცდეთ, რომ თქვენი ცოლი არ არის. არ ესმის ამდენი. ცხოვრებას არ იცნობს. რაიმე საჭმელი ხომ არ მოგიტანოთ?

— არა, გმადლობთ, ჯერ კიდევ მაქვს ჩემი სანოვაგე.

— როგორც გენებოთ. წყალი აი, აქ არის. ვედრო იქ. თუ გაგიჭირდებათ — იმ მხარეს გაისეირნეთ და საერთოდ, თუ რაიმე დაგიჭირდეთ, კედელზე დააბრაახუნეთ.

— გმადლობთ, ო'კეი!

— დილით რძეს დალევთ?

— ალბათ. ღამე მშვიდობისა.

მეტყევე ცოტა ხანს კიდევ იდგა, ჩამქრალ ჩიბუხს ექაჩებოდა, მერე ხელი ჩაიქნია და გავიდა.

ვოიტეკმა ზურგჩანთა გახსნა: პერანგები, კედები, წინდები, შოკოლადი. კონსერვები. ჯიბის ნათურა. ყავა. საპარსი მოწყობილობა. ფოტოაპარატი. პირსახოცი. „არაფერი წამომიღია მისთვის, — გაიფიქრა უცებ, — აქვე ვუყიდი რაიმეს ხვალ. ყვავილებს? სენტრიმენტალობაა, მეცხრამეტე საუკუნე. ღმერთმა უწყის, რას იფიქრებს... რა მოსწონს, არ ვიცი. აი, რომ მიყვარდეს, ყველაფერი მეცოდინებოდა. ან მომეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ვიცი“, — ფიქრობდა და ფეხსაცმელზე თასმებს იხსნიდა.

„ასე სჯობს. ქალს ხელში არ უნდა ჩაუვარდე. შორს უნდა დაიჭირო თავი, შორს შენივე გრძნობებისაგან. თადეუშმა ამას „ზეშეცნება“ უწოდა. არა, არ

მიყვარს ირა. ვერც ვერასოდეს შევიყვარებ. „ზეშეცნება“ არ გვაძლევს შეყვარების უფლებას. ჩვენ ძალიან ბევრი ვიცით. იმან? ჩამოდის ჩემთან პოლონეთის მეორე მხრიდან. ყველაფერს სტოვებს და ჩამოდის, რომ ჩემთან ერთად გაატაროს რამდენიმე დღე. ამაში რაღაც არის, მაგრამ რა? რა ვიცი? არაა? კარგია, რომ მე ამომირჩია. ის არ უნდა, მე ვუნდივარ. ბელი მქვს, მაგრამ ყველაფერი ეს სიხარულს არ მანიჭებს იმიტომ, რომ, რატომღაც, არ ვიცი რას მივაწერო ეს არჩევანი“.

ბიზლიუსი

საწოლი მართლაც განიერი იყო. არასოდეს არ ჰქონიათ ასეთი მოხერხებული პირობები. „ჯერ არასოდეს გამღვიძებია მის გვერდით. ეს პირველად მოხდება: განთიადისას თვალს გაახელ, იმის თავი შენს მხარს ეხება, მკერდით კი გრძნობ თბილ სუნთქვას. ასეთი რამ ჯერ ჩვენ არა გვქონია, საერთოდ კი ყველაფერი ეს სისულელეა, ორ დღეს წავიცვალქვებთ, მერე ქალბატონს თავის გზას ვაფუყენებ და მეტყვევებთან ერთად წავალ ბეკასებზე ან კაკბებზე სანადიროდ“.

საათი მომართა. „თორმეტი საათი დარჩა“, — გამოითვალა.

პატრუქს ჩაუწია. ბნელა. ფანჯრის იქით ჩუმი შრიალია. ფოთლები ყვითლდება. ირას-შემოდგომის ტყით წამოიყვანს. „აქ ქვაც კი დაიწყებს ოცნებას. დასწყევლოს ღმერთმა, არ ვიცი როგორ ვიყო რომანტიული. არ შემიძლია მთვარეს ვუყუფო! ყვითელმა ფოთლებმა რაღაც მომაგონეს; რაღაც ლიტერატურული? მეტყვევს უღვაშება? არა, ნავთის ლამპის ალი.“

დარჩა თერთმეტი საათი... კი მაგრამ, რატომ თერთმეტი? ხომ შეიძლება ირა პირველი ავტობუსით ჩამოვიდეს? ადრე უნდა ავდგე ხვალ, ასე, ექვს საათზე.

გამოდის, ირა ცხრა საათის შემდეგ აქ იქნება. იქნებ ისევ ყვავილები სჯობდეს? ისე, უბრალოდ, ხუმრობით. ეშმაკმა დალაზვროს, რა საჭიროა, ჩვენ ხომ დიდები ვართ. ის გადმოდის ავტობუსიდან, მე კი: გამარჯობა, ირა, და ვკოცნი ხელზე. „გამარჯობა, გამარჯობა, ვოიტეკ“. და ვკოცნით ყველას თვალწინ ერთმანეთს. ცირკია, დედას ვეფიცებით“.

ტყე შეინძრა, შარიშურმა ფოთლებზე ტალღებივით გადაირბინა. ტოტმა დარაბაზე რამდენჯერმე დააკაკუნა. ოღონდ ამინდი ნუ შეიცვლება! ვოიტეკმა საათს დახედა: კიდევ რვა საათ-ნახევარი დარჩა.

დილით ამინდი აირია. მართალია, არ წვიმდა, მაგრამ მოღრუბლული იყო. გაყინული ტყე აღარ ელავდა მკვეთრი ფერებით. გაბაცდნენ ოქროსფერი, ფანჯისფერი, მეწამული. სამწუხაროა. ვოიტეკი ვერანდაზე იდგა და ფიქრობდა: „რა თქმა უნდა, ირა ირია, მაგრამ შესაფერი დეკორაცია ხელს არ შეგვიშლიდა. იმ ერთი პოეტისა არ იყოს: „ლირიკა, ნაზი დინამიკა, ანგელოლოგია და შორეთი“.

უკანასკნელად შეათვალღერა ოთახი. სუფთაა და ახალ მოდაზე გაწყობილი. საწოლები პირდაპირ თვალში გეცემა. კარი დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. კარგია, რომ ცალკე გასასვლელი აქვს. ესეც განმარტოება, ტემპი, პირობები.

საათი მომართა. რვის ათი წუთია.

მესერთან სახლის პატრონი იდგა. ბრეზენტის ლაბადა ეცვა. მხარზე შალითაში გახვეული ორლულიანი თოფი ეკიდა, არარსებული მუსიკალური ინსტრუმენტის მსგავსი.

— კონცერტზე მიდიხართ? — შეეკითხა ვოიტეკი.

მეტყვევებ თავი დააქნია და შესთავაზა:

— წამოდი ჩემთან ერთად.

— არ შემიძლია. ხომ იცი...

— ნადირობა არა სჯობს?

— რას იზამ. მერე წავიდეთ.

— ქალი ხომ კურდღელი არ არის. მასზე ნადირობა არის აკრძალული.



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის

სახლიდან დიასახლისი გამოვიდა, მაღალი, გამხდარი. სახის ნაკვთები სწორი ჰქონდა, კაცური, მაგრამ გამოხედვა თბილი და მშობლიური. ვოიტეკს გაუკვირდა. იგი ელოდა, რომ ქალი, რომელსაც „არ ესმის“, ტყვიამფრქვევით მოკაკანე ფაშფაშა დედაკაცი აღმოჩნდებოდა.

— გამარჯობათ, — ვოიტეკმა გვარი წაიბურტყუნა და ტუჩები ქალის ოფლიან ბელს შეახო. „რაც იქნება-იქნეს“.

— ცოლი როდის ჩამოვა? — ჰკითხა ქალმა.

— დღეს.

— პირველი ავტობუსით?

— გააჩნია, რომელ მატარებელს გამოჰყვება.

— იხვი დავკლათ?

ვოიტეკი ჩაფიქრდა.

— ცუდი არ იქნება. თუმცა ჯერ კიდევ გვაქვს დრო.

ვოიტეკს უცებ ეჭვმა გაჰკრა. ხომ შეიძლება რაიმემ შეუშალოს ხელი. (ქმარმა. სამუშაომ. შინაურულმა დღესასწაულმა. ავადმყოფობამ. უხალისობამ. ან სხვა რაიმემ, ამაზე უკეთესმა).

— თუ დაგჭირდებათ, მითხარით.

— გეტყვით. აბა, გავიქეცი. ნახვამდის.

— გზა იცი? — მიაყთლა ვოიტეკს მეტყვევებ.

— ვიცი, — უბასუხა ქვიშიან ნაკვალევში მიმავალმა. ტყეში კვლავ დახედა საათს. „მოვასწრებ“. ახლა იგი გალიბულ ფოთლებზე მიდიოდა, ფართო ნაბიჯებით. „მოვასწრებ. ამ ავტობუსით, ალბათ, არ ჩამოვა. თუ ჩამოვიდა? ასეთ გიჟმა გოგონას შეუძლია მატარებელს შუალამისას შეახტეს. ეჭვსზე უკვე ქალაქში იქნება, რვაზე კი: „გამარჯობა, ვოიტეკ“.

ტყიდან ტრიალ მინდორზე გამოვიდა და შეჩერდა. რვას თხუთმეტი წუთი აკლდა. „ტყე სარეკორდო დროში გავიარე“. გაეხარდა. სახერხ ქარხანას ჩაუარა და ავტობუსის გაჩერებისაკენ წავიდა.

გოდრიანის დედაკაცები ავტობუსის მოლოდინში ბოძთან იდგნენ. „არა, ირასათვის ძალიან ადრეა“. — გადაწყვიტა ვოიტეკმა. მაგრამ მაინც იდგა და ელოდა.

ავტობუსი, როგორც იქნა, მოვიდა და ხმაურით მოტრიალდა. ვოიტეკი ფეხის წვერებზე შედგა და ფანჯრიდან შეიხედა. ის ცისფერპალტოიანი ხომ არ არის? არა მგონია. აბა, ის, მწვანექუდიანი? არა. არ არის. მივდივარ. არა, კიდევ დავიცდი, ფანჯრიდან ცუდად ჩანს.

ავტობუსიდან უცნობი ადამიანები ჩამოდიოდნენ: ზურგჩანთიანი ახალგაზრდები და ვიღაც ვაჭარი ცარიელი კალათით ხელში, უკანასკნელად ქალარა კაცი გამოჩნდა. „ირა ამ ავტობუსს ვერ მიუსწრებდა“.

ვოიტეკმა ფეხები ააბაკუნა, რომ გამთბარიყო. ზურგჩანთიანი უბედურები, ეს საბრალო ქმნილებანი და ტურიზმისათვის წამებულნი კი პირდაპირ ტყისაკენ გაეშურნენ. თან მიჰქონდათ ჩანთები, კარვები, საძილე ტომრები, კონსერვები. „მაინცდამაინც არ მწყდება გული ასეთ ღამისთევასზე. <sup>ერას რიგიანი,</sup> თბილი საწოლი ელოდება“.

„ირა დამპირდა, ორშაბათს ჩამოვალო. დღეს ხომ ორშაბათია? — უცებ გამოითვალა, — მე კვირას ჩამოვადი, მაშინვე მოველაპარაკე <sup>ქვეყნებს და ღამე</sup> გავათენე. ორშაბათია, ნამდვილად ორშაბათია. იქნებ, <sup>რახმე მოხდა?</sup>“

ვოიტეკი ფოსტისაკენ წავიდა.

— ვოიტეხ გლონთან წერილი არის?

— თქვენთან? — ჰკითხა გოგონამ სარკმლიდან. იგი პატარა, სქელი და ფერმკრთალი იყო.

— დიახ.

— პასპორტი გაქვთ?

ვოიტეკმა პასპორტი მიაწოდა. გოგონამ ჯერ ფოტოსურათს დახედა, მერე ვოიტეკს.

— ამაზე კარგი სურათი ვერ იშოვნეთ?

— წერილი თუ არის-მეთქი, — შეახსენა ვოიტეკმა.

— ახლავე გავსინჯავ. გლონი, არა? ვოიტეხი. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც კარგი სახელი იყო. — გოგონა თან წერილებს სინჯავდა, — არ არის, ეტყობა, გადაგიყვარეს.

შემდეგი ავტობუსი თორმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე ჩამოდის. დრო ბევრია. ვოიტეკმა იქაურობა სწრაფად დაათვალიერა: რამდენიმე მაღაზია, საცხოვრებელი სახლები, გაზეთის კიოსკი, გარაჟი, სამჭედლო, სახელოსნო, ამბულატორია, სასაფლაო. საოლქო ცენტრი აქედან რამდენიმე კილომეტრით იყო მოშორებული. იქ პირუტყვით ვაჭრობდნენ და დიდი ფული ტრიალებდა. აქაურობას კი მხოლოდ ტყეში ხეტიალის მოყვარულნი ეტანებოდნენ.

კურორტის მმართველის მოვალეობას დაბის ბუღალტერი ასრულებდა. ახალგაზრდა, გაძვალტყავებული კაცი იყო; გრძელი, საზიზღარი და წითელი ცხვირი ჰქონდა; ამ დილაადრიან უკვე შეზარხოშებულიყო. ალკოჰოლის მყავე სუნი ასდიოდა.

— ვოიტეხ გლონი არავის უკითხავს? — ჰკითხა ვოიტეკმა.

— არა. რა გნებავთ? — ღიმილი ბუღალტერს აბერებდა. ქვედა და ზედა ეშვების ადგილას სიცარიელე უჩანდა.

„კარგი ადგილი ყოფილა, — გაიფიქრა ვოიტეკმა. — აქ უკბილოდაც შეიძლება დარჩეს კაცი“.

— ერთი რამ მინდა გთხოვოთ: შეთანხმებული ვიყავი, აქ ერთ ქალს შევხვედროდი.

— ოჰო.

— როცა მოვა, თუ შეიძლება, გადაეცით, რომ ჩვენ მეტყვევსთან ვცხოვრობთ.

— ვიხოვსკებთან?

— დიახ, — გაახსენდა ვოიტეკს, — მათთან. იცით, სად ცხოვრობენ ისინი?

— აბა რა! ვიხოვსკებთან არ ვაგიჭირდებათ.

— მეც ასე ვფიქრობ.  
ბულალტერმა ქალაღდი გაუწოღა.

— დაწერეთ რაც გნებავთ.

ვოიტეკმა ქალაღდი უკან დაუბრუნა. ბულალტერმა დახვღა დი თავი და იქნია.

- კარგი ხელწერაა. ბულალტერი ბრძანდებით?
- არა, პოლიტექნიკურის სტუდენტი.
- მაპატიეთ. მეგონა ჩვენი ძმა ბულალტერი იყავით.
- არ დავაღვიწყდებათ? — ჰკითხა ვოიტეკმა.
- რაკი დამიწერეთ, ყველაფერი რიგზე იქნება.



ქართული  
ზიზღიერება

ღრუბლებში გაჩნდა ღრმა ხვრელი, ნათელი უფსკრული, საიდანაც მზე ამოვარდა. ვოიტეკმა ქურთუკი გაიხსნა. „საწყენია, რომ აქ ყვავილებს არა ჰყიდიან. ვიყიდდი, ისე, ხუმრობით. ზურგსუკან დავმალავდი და მერე ბუხ! ცხვირწინ. „ვოიტეკ, ეს რა გულჩვილობაა!“ არა, ვტყუი. ასე არ მეტყოღა. „საშინლად სასიამოვნოა. შენ, უბრალოდ, საშინლად საყვარელი ხარ!“ თითქოს მოესმა კიდეც მისი ხმა და უცებ გაიღვიქრა: „იქნებ აქეთ მომავალი მანქანით ჩამოვიღა, როცა ბულალტერს ველაპარაკებოღი“. იგი კვლავ ფოსტაში მივიღა.

- აჰ, ეს თქვენა ხართ? — შეეგება გოგონა.
- თავი მოგაბეზრეთ?
- არა, ძალიან მოხარული ვარ.
- რადგან ასეა, მომეცი, თუ შეიძლება, კონვერტი, ქალაღდი, მარკა და კალამი.

- იქნებ წერილიც თქვენს მაგივრად დამეწერა?
- ზუსტად ერთი თვის წინ დავამთავრე უცოდინრობის ლიკვიდაციის კურსები.

„ირა, — დაიწყო წერა. სახელმა ქალაღდზე იფეთქა და ქალთან დაახლოვღა. იგი ისე აღელღა, თითქოს, ქალი მკლავებში ჰყავღა მომწყვდელული: — ჩვენ მეტყვევსთან ვცხოვრობთ. ნახევარი საათის სავალია აქედან. პან ვიხოვსკის სახლი ყველამ იცის. გელი მოუთმენლად. ნახვამდის, ვოიტეკი“.

კონვერტი დააწება და დააწერღ: „ირინა ზბარსკაიის, აქვე“.

— საით? — იკითხა გოგონამ.

- აქვე.
- აქვე?

— ჰო. მოკითხვამდე, ის ქალი თვითონ მოაკითხავს.

ავტობუსი ორი საათის შემდეგ უნდა მოსულიყო. ვოიტეკი უხალისოდ დაეხეტებოღა დაბაში. მერე სასაუზმეში შესვლა გადაწყვიტღ. „ამ ღროს, ალბათ, აქ, სასაუზმეში, მთვრალეები ჯერ კიდეც არ ამტვრევენ კბილებს ერთმანეთს“.

ბინდბუნდი და მოწყენილობა. ვოიტეკმა დათვალღერღ იქაურობღა და ფანჯარასთან დავღა. მეზობელ მაგიდასთან რამდენიმე ტურისტღ ყვითელ ჩაის მიირთმევეღა. ისინღ სკამებზე გადაწოლილიყვნენ და ფეხები ზურგჩანთებზე შეეწყოთ.

ვოიტეკს თმააწეწიღი და ფეთხუმი მიმტანი ქალი მიუახლოვღა.

— რა მოგართვით? — თვალებზე ეტყობოდა, რომ გონება სხვაგან ჰქონდა. თითქოს, თავს ვალდებულად არ სთვლიდა ემუშავა.

- რაიმე ცხელი.
- ცდა მოგიხდებათ.
- არა უშავს, არ მეჩქარება.



ქალმა მიატოვა ვოიტეკი. ვაჟი ზურგით იჯდა დარბაზის უღივლიანი ფარდიდან შევძლო ქუჩისათვის ეცქირა. ჯიბიდან დაჭიმული პაპიროსები ამოიღო, ბევრი არჩია და ბოლოს ერთ-ერთს მოუკიდა. ქუჩაში არაფერი საინტერესო არ ხდებოდა. მხოლოდ ღრუბლები შეჯგუფდნენ ისევ. ეინჟელაც კი დაიწყო, მაგრამ მალე გადაიღო. ვოიტეკმა პაპიროსი მოსრიდა. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა. ძილი მოერია. „რა იდიოტობაა აქ უწიგნოდ ჩამოსვლა!“ თუმცა, ეგონა, კითხვაზე ფიქრიც კი შედმეტი იქნებოდა, როცა... მოულოდნელად ვოიტეკი წამოხტა და ქუჩაში გაეარდა. ერთი წუთიც კი არ გასულა, იმედგაცრუებული დაბრუნდა სასაუზმეში.

- რა მოხდა? — ჰკითხა მიმტანმა.
- არაფერი.
- შემაშინეთ.
- მომეჩვენა, თითქოს ნაცნობმა ჩაიარა.
- რას მიირთმევთ? ერბო-კვერცხს?
- სიამოვნებით. შავი ყავა გაქვთ? სიამოვნებით დავლევდი მაგარ შავ ყავას.

- დაფქული არ არის.
  - მე დავფქევა.
- იგი ფანჯარასთან იჯდა და ყავის პატარა წისქვილის სახელურს ატრიალებდა. „დალახეროს ეშმაკმა, როგორ ჰგვრის ძილს!“ ტურისტები აღარ ჩანდნენ. თუმცა სასაუზმე უმოწყალოდ აებოლებინათ და ნაგვის დატოვებაც მოესწროთ. მომტანმა ერბო-კვერცხი მოიტანა.

- დაფქვით?
  - დიახ. ძალიან მსხვილად ფქვავს.
- ქალმა წისქვილი წაიღო და სამზარეულოსაკენ წავიდა. „რალაც უნდა ვკითხო. ქალს უეჭველად რალაც უნდა ვკითხო“...

- ერთი წუთით, — დაიყვირა ვოიტეკმა.
- ქალი კართან გაჩერდა. „რა უნდა მეკითხა? ჰო, ვიცი“.
- რა დღეა დღეს?
  - დილიდანვე ორშაბათია.
  - ნამდვილად? — ხელმეორედ შეეკითხა დაუფიქრებლად... მაგრამ პასუხი აღარ ესმოდა.

- ერთი საათის შემდეგ:
- შეიძლება ყავა ცოტა ჩქარა მომიტანოთ?
  - რა მოხდა ასე უცებ?
  - ავტობუსს უნდა მივუსწრო.
  - მერე რა, — თქვა ქალმა.

ქალი მართალია, დრო საკმარისზე მეტია. ვოიტეკი ყავას, რაც შეეძლო, ნელა სვამდა, წვეთწვეთობით წრუპავდა. ორი პაპიროსი მოსწია. „რა ეშმაკად“

მინდა ეს ნაგავი, — გაბრაზდა უცებ, — პირს მიშრობს, თითებზე თამბაქოს უტანელი სუნი ამდის“.

— ტუალეტი სადა გაქვთ?

— ეზოში.

— ხელების დაბანა მინდა.

— ახლავე ტაშტს მოგიტანო.

ვოიტეკმა ხელები ბეჭითად დაიბანა, მერე დიღხანს იმეზღაქმის სალონით, მაგრამ გაჩერებამდე ორი წუთის სავალი იყო. „აქ ყველაფერი აქვეა, დრო კი ძალიან ნელა გადის“.

ვახეთის კიოსკს მიუახლოვდა. სათაურებს თვალი გადაავლო: ძველი, ჯერ კიდევ პარასკევის ცნობები იყო. „თუ გამყიდველმა ქალმა იცის კვირის მატჩის შედეგები, დღეს ნამდვილად ორშაბათია“.

— ხომ არ იცით, როგორ ითამაშა „ლეგიამ“ „ლეს“-თან?

— ლეგიამ მოიგო, ჯვარი პირველ უჯრედში. თქვენც ასე აღნიშნეთ?

— მე ყაიმზე დავნაძლევედი, — იცრუა ვოიტეკმა და გაშორდა, მაგრამ მალე დაბრუნდა.

— წასაკითხი ხომ არაფერი გაქვთ?

— ყველაფერი, რასაც ხედავთ. „ახალგაზრდები იარაღის მოედნიდან“.

„მარტა“.

— რაიმე ადამიანური?

— აიღეთ „გასართობი“. კროსვორდების ამოხსნა გიყვართ?

— შესანიშნავი აზრია. უკაცრავად, რა ხმაურობს, თუ იცით?

პასუხს არ დაუცადა და გაჩერებისკენ გაიქცა. ავტობუსი უკვე გაჩერებულ იყო და მგზავრებიც გადმოდიოდნენ. „არ არის, უცხო სახეები, სხვა ფერის პალტოები. სწვადასხვა წლოვანების ხალხი, უბრალო, გაუპარსავი, ბანძურებიც, არ არის, არ ჩამოვიდა“.

თუმცა, ვინ იცის? შესაძლოა, ირა ყველაზე ადრე ჩამოხტა და სასწრაფოდ გაეშურა აგარაკის მმართველთან ან ფოსტაში. როგორც შეთანხმდნენ.

— ვოიტეკ!

ვოიტეკი სწრაფად მობრუნდა.

— ირა!

— რამ ვაგაფითრა?

„მართლაცდა რამ? ხმაც კი შემცვლია“.

გაიღიმა.

— გამარჯობა, ალინა! — მერე ქაბუკს მიუბრუნდა: — სალამი, იურეკ. — და იქვე მდგომ მსუქან ვოგონას წარუდგა: — გლონი.

თითოეულ მათგანს თითო ზურგჩანთა ჰქონდა წამოკიდებული.

— კემპინგზე? — იკითხა ვოიტეკმა.

— ჰო, შენა?

— მე აქ ვილაცას ვუცდი.

— ვის?

— ვილაცას.

— ო, ეს მარადუჭკნობი სიყვარული. რაო, ამ ავტობუსით უნდა ჩამოსულიყო?



ეროვნული

ბიბლიოთეკა

— საქმეც ესაა, რომ არ ვიცი.

— ქალაქში შეაგვიანდებოდა, — თქვა მსუქანმა გოგონამ, — იქ კარგი საკომისიო მაღაზიაა.

ალინამ გამოიანგარიშა:

— ჩამოვა, ჩამოვა, საღამომდე კიდევ ორი ავტობუსი იქნება. თუმცა მეორე, ალბათ, არც ითვლება, გვიან ღამით ჩამოდის.

— და ერთიც მატარებელი, — ჩაერია იურეკი, — ათხეველად წუთებზე რომ გამოდის, ერთი ვაგონი პირდაპირ აქ მოდის. კარგი იქნება, იმ ვაგონში თუ მოეწყო.

— იურეკმა ყოველთვის ყველაფერი იცის, — თქვა ჩაბუტკუნებულმა.

— საერთოდ, მამაკაცები უფრო ორგანიზებული ხალხია, — თქვა ვოიტეკმა.

— ალბათ, ამ მატარებლით ჩამოვა, — კვერი დაუკრა ალინამ და გაიღიმა.

— ნუ მამბრაზებთ. სულ ერთია, ჩამოვა თუ არა, მაშინვე უნდა დავთესო. მეტყვევსთან ერთად კაცებზე სანადიროდ მივდივარ.

— ვოიტეკ... ვოიტეკ... მაშინ რატომღა უცდი?!  
— რა ვიცი...

„ახლა ირა ბულალტერისაგან გამოდის და ფოსტაში წავა“. იურეკმა ზურგჩანთა შეათამაშა ზურგზე.

— წინ, გოგონებო. წარმატებას გისურვებთ, ვოიტეკ.

— ნახვამდის. ცეცხლთან ფრთხილად იყავით. — მიაძახა ვოიტეკმა.

ტურისტები წავიდნენ, ვოიტეკი მობრუნდა. ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ გაარკვევდა, სად იყო, რატომ და რა უნდა გაეკეთებინა. „ავტობუსს ვერ დავხვდი. ავცდით ერთმანეთს. ახლა ირა დადის და მეძებს“. მერე უცებ დაწყნარდა. „სად შეიძლება იყოს? — ფოსტაში, მმართველთან. კიდევ სად? სასაუზმეში? არა. ირა არ დამიწყებს სასაუზმეში ძებნას. იცის, მმართველს ან ფოსტას რომ უნდა მიაკითხოს“.

ვოიტეკი სათემო მმართველობისაკენ გაემართა. ბულალტერი ჩაის წრუპავდა.

— ისევ მე ვარ, არავის ვუკითხივარ?

— რა გვარი ხართ?

— გლონი.

— ა, ეს თქვენა ხართ. უკაცრავად, — ბულალტერმა წერილი მოძებნა. წაიკითხა: „პანი ზბარსკაიას. ვოიტეკ გლონი ცხოვრობს მეტყვევ ვიხოვსკისთან“. ეს არის, არა? არა, არავის უკითხიხართ. როდის ჩამოვა?

— ოთხისთვის.

— მე ოთხამდე ვმუშაობ.

— მართლა?

— როგორც ბულალტერი. როგორც აგარაკის მმართველი კი ყოველთვის აქა ვარ.

გარეთ კვლავ თინჯლავდა. ვოიტეკმა გონება მოიკრიბა. „აგარაკის მმართველი ვნახე, დამრჩა ფოსტა. ავტობუსმა შეიძლება წერილი ან დეპეშა ჩამოიტანა. იმ გოგონას, ალბათ, გაუკვირდება, როცა დამინახავს“.

ფოსტაში სარკმელი დაკეტილი იყო. ვოიტეკმა დააკაკუნა. სარკმელი გაიღო.



— გლონ ვოიტეკისათვის არაფერი არ არის?

— ხომ ვითხარით, რომ არა.

— ეს დილით იყო. მახსოვს. მაგრამ ხომ შეიძლება ახლა მოსულიყო რაიმე.

— არა.

— დეპეშაც არ არის?

— არა.

ვოიტეკი კართან მივიდა, მაგრამ უცებ შემობრუნდა.

— პანი ზბარსკაიას არ წაუღია წერილი?

— ახლავე გავსინჯავთ.

„წაიღო, — ფიქრობდა ვოიტეკი. — უკვე მეტყვევებთან არის, საწოლზე ჩამომჯდარა და მიცდის“.

— წერილი აქ არის. — თქვა გოგონამ, — არავის მოუკითხავს.

— მართლა? — ჩაიბურტყუნა ვაჟმა, — გმადლობთ.

ვოიტეკი კვლავ დაბაში ხეტიალობდა. გაზეთის კიოსკთან შეჩერდა.

— „გასართობი“ გაქვთ?

— უკანასკნელი ნომერი. ჟურნალები აიღეთ, კროსვორდი ყოველ ნომერშია.

— მომეცით ის... ისიც და ფანქარი.

ვოიტეკი სასაუზმეში შევიდა. ლუდით გაღეშილი გლეხები ფეხზე ძლივს იდგნენ. ერთ-ერთი ტურისტის ცხელი ჩაით სავსე ჭიქაზე ითბობდა ხელებს. ფანჯარასთან ამჯერად ორი ხნიერი ქალი იჯდა. წინ არაყი და ძესვი დაედოთ. ვოიტეკი კუთხეში მიიყუთა, მაგიდაზე კროსვორდიანი ჟურნალები დააწყო. მიმტანმა ქალმა ჰკითხა:

— რა მოგართვათ?

— სადილი.

— პირველ საათზე იქნება.

— დავიცდი, არ მეჩქარება.

— თქვენ არასდროს გეჩქარებათ.

— რას იზამ, ასეთი ბედი მაქვს.

— ლუდი მოგიტანოთ?

— შეძინება.

ქალმა მოახსენა:

— ქერის წვნიანი და მონარშული ხბოს ხორცი გვექნება.

— გეახლებით. თქვენ არ იცით ეს რა ბოსტნეულია? კ-ზე იწყება.

— რამდენი ასოა?

— ბევრი.

— ნიახური ან ოხრახუში.

— კ-ზე მეთქი.

— არ ვიცი. ახლავე. კარტოფილი.

— კარტოფილი ბოსტნეულია? — გაუბედავად იკითხა ვაჟმა. მერე კროსვორდს ჩახედა, — აქ მე კიდევ რაღაცა მაქვს თქვენს დარგში, სტაფილოს სახეობა.

— ძირმოკლე. ახლავე მოგართმევთ წვნიანს.



— არ მეჩქარება.

ვოიტეკი კროსვორდს მიუბრუნდა: გემთსამშენებლო მერქანი ოთხი ასო-საგან. ბერძენთა სიყვარულის ღმერთი. ზევსის დედა. ზოდიაქოს ნიშანი. „არა“ გერმანულად. ყოველთვის უკმაყოფილო ადამიანი. მედიცინის დოქტორი. კუნძუ-ლი ირლანდიის ნაპირებთან. „ემმაკმა იცის“. მდინარე ესპანეთში. „ებრო, გვა-დიანა, ენარესი. არ ვიცი“. ფრანგული ღვინის სახელი. „უკმაყოფილო აბა ქვე-ვით“. კათოლიკური ეკლესიის უმდაბლესი ჩინი. „ალბათ, ალბათ, სად პო-ულობენ ასეთ სიტყვებს?“

მიმტანმა წინ წვნიანი დაუდგა.

— რა გეჩქარებოდათ, — თქვა ვაჟმა, — ერთი წუთით. რა ერქვა ბოშა ქალს რომანში „ქოხი სოფლის ბოლოს?“

— აზა.

— აზა. — გაიმეორა ვოიტეკმა, — უდგება. თქვენ წაიკითხეთ ეს წიგნი?

— არა, ასე გამოდის თვითონ.

„მე არ წამიკითხავს „ქოხი სოფლის ბოლოს“. არ წავიკითხავ „ქოხს სოფ-ლის ბოლოს“. არ მინდა წავიკითხო „ქოხი სოფლის ბოლოს“.

— მომისმინეთ, — შესძახა უცებ.

მიმტანი მიუახლოვდა.

— უგემურია? — ჰკითხა ქალმა ღიმილით.

— მინდოდა მეკითხა... როდის ჩამოდის შემდეგი ავტობუსი?

— ოთხზე.

— გმადლობთ. წვნიანი გადასარევია.

„ხმოს ხორცი, ყავა, ორი პაპიროსი. კროსვორდი, ღმერთო, რა ნელა გადის დრო. კიდევ ერთი პაპიროსი. სამის თხუთმეტი წუთია“.

— შეიძლება, ვიანგარიშოთ?

მერე კვლავ შეეკითხა ქალს:

— არ იცით, რა ჰქვია იაპონურ ხურდა ფუღს?

— იაპონურს? არ ვიცი.

— არც მე.

— ვახშადაც ჩვენთან შემოიარეთ. რუსული ღვეზელი გვექნება, ხაჭოთი.

— ალბათ ვერ მოვალ. — თქვა ვაჟმა ღიმილით და საათს დახედა, — ალბათ, ვერ მოვალ.

„მზე! ასეც უნდა იყოს, რახან ჩემი გოგო ჩამოდის. ჩემს გოგოს ჰყავს ქმარი, მაგრამ ის ჩემი გოგოა, ბედმა გამიღიმა. ასეთი სულელური ბედი მაქვს. ერთი საათის შემდეგ აქ იქნება. პირდაპირ მეტყუევსთან წავიყვან, ახლა აღა-რაფრის შემრცხვება და გულს ვიჭერებ მისი ცქერით“.

ვოიტეკი საგალანტერიო მალაზიასთან შეჩერდა. ღილები, წვივსაკრავები, ძაფები, ბალთები. კარს ხელი ჰკრა. მალაზიაში არავინ იყო. დახლზე დააბრაზუ-ნა. ხანშიშესული, მსუქანი მამაკაცი გამოვიდა და წრიბინა ხმით ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— მე მინდოდა შეყიდა... — ვოიტეკი სიტყვებს ეძებდა, — გესმით, რაიმე ორიგინალური.

— თქვენ თვითონ აირჩიეთ.

ვოიტეკმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერაფერზე შეაჩერა თვალი.

— სჯობს თქვენ შირჩით, — სთხოვა ნოქარს, — ქალისათვის, ცოლისთვის.

— წინდები რომ იყოს?

ვოიტეკმა ნიკაპი მოისრისა. ჯერ არასოდეს არ ეყიდა ქალის წინდები.

— თუ საუკეთესო ხარისხისაა...

საბედნიეროდ, ვაჭარმა დაიწრობინა:

— რას ბრძანებთ? საიდან? აქ ეინ იყიდის? მაქვს რაღაცა...  
გებოდ თქვენთვის.

ვაჭარმა დახლქვემოდან ორი თხელი ყვითელი ხელთათმანი ამოიღო.

— ჩეხურია.

— ალბათ, ძვირია.

— სამას ოცდაათი.

— ძვირი ყოფილა. — თქვა დანახებით ვოიტეკმა; შემდეგ დახდინა, —  
მე სტუდენტი ვარ.

— მაშინ ქამარი აიღეთ. ას ოთხმოცი. კარგი ხარისხისაა, ცოლი კმაყოფილი  
დაგრჩებათ, რა ზომა აქვს წელი თქვენს მეუღლეს?

— არ ვიცი. გინახავთ კიხოში ბრიჯიდ ბარდო? არც ფოტოსურათზე? ზუს-  
ტად ისეთია, შეიძლება ოდნავ განიერი.

— თუ არ გამოადგება, გამოვიცვლით. — ვაჭარმა ქამარი შეახვია, — საჩუ-  
ქარი კი არა, ოცნებაა!

„საჩუქარი კი არა — ოცნება“ უკვე ჯიბეში ედო. „როგორ გაუკვირდება  
ირას! „ვოიტეკ, ეს საშინლად, საშინლად სასიამოვნოა“. ირას ხმა კვლავ მასთან  
არის. კმაყოფილების გამოსახატავად იმ გოგონას მხოლოდ რამდენიმე სიტყვა  
გააჩნია, მაგრამ ამ სიტყვებს ისე სხვადასხვანაირად წარმოთქვამს ხოლმე, რომ  
მუდამ ახლებურად ედერს.

ვოიტეკი გაზეთის კიოსკთან მივიდა.

— ისაღიღეთ? — ჰკითხა გამყიდველმა ქალმა.

— ჰო, ახალი გაზეთები როდის იქნება?

— ოთხის შემდეგ.

— მატარებელი არ ჩამოიტანს?

— რომელი მატარებელი? — გაუკვირდა ქალს.

— თხუთმეტზე და ცამეტზე რომ ჩამოდის, — თქვა ვაჟმა.

— უჰ, ეგ როდის იყო! ხაზი ორი წელია აიღეს, ლიანდაგებიც კი დაშალეს.

— რომელი საათია?

— მეოთხე. თქვენ საათს რა, ორი ქვა აკლია? — გაიცინა გამყიდველმა.

ერთი ქვევიდან და მეორე ზემოდან, დასაბეჭდად.

— სწორედ მაგრეა, ნახვამდის.

ვოიტეკი სასაფლაოზე წავიდა. ხუთი წუთი დასჭირდა ამისათვის. საფლა-  
ვის ქვებზე წარწერებს კითხულობდა. დაიბადა, გარდაიცვალა, ჭირისუფალნი  
მგლოვიარედ დასტოვა.

„ოთხზე ყველაფერი გათავდება. ირა ჩამოვა, დავინახავ და ბოლო მოვლე-  
ბა ლოდინს. კრინტსაც არ დავძრავ, მოუთმენლად რომ ველოდი... ღამე, ღლე  
და კიდევ ერთი ღამე მეტყვევებთან, ერთ ქერქვეშ, კაფელის ღუმელთან, რბილ  
განიერ საწოლზე. მერე ირას დავთესავ და მოხუცთან ერთად სანადიროდ წავალ.  
რატომ არ უნდა წავიყვანო თან? ჭირსაც, წაუღია ნადირობა. ოღონდ გამო-

ჩნდეს ავტობუსის საფეხურზე. ბოლოს და ბოლოს, რას აკეთებს, რა საქმე გაუჩნდა?!”

„რა ჰქვია ამ ხეს? ჯერ კიდევ მწვანეა, ალბათ რცხილა. ხის ჯიში ყველაზე უფრო ბავშვობაში ახსომდებათ. რცხილა კი ჩემს ბავშვობაში არ იყო. არყის ხე, აკაციები, მუხა, წაბლი, ნეკერჩხალი, ტირიფი. ყველაზე ლამაზად ნეკერჩხალი ჰქნება. შევაგროვებ ცოტას ამ წითელ ნაგავს და მივყრდნობ. მოელვარე თაიგულს ირას. ნახე, რა წითელია-მეთქი, ვეტყვი, ლოდინი და სხვა“.

ფეხები კოჭებამდე ეფლობა ფოთლებში. სასაფლაოს კარს უკან საათს და-ნედა და შვებით ამოისუნთქა. სასაფლაოზე 20 წუთი გაეტარებინა. „ამჯერად, ალბათ, ჩამოვა. სულელი ვარ; აბა, საიდან შეეძლო ადრე ჩამოსვლა. ადგა დღეს დილით, როგორც ყოველთვის, როგორც ყოველდღე, ჩაიცვა, მერე მატარებელში ჩაჯდა, მერე ავტობუსში. ის არის, შორს რომ ხმაურობს. ცისფერი, დრუნჩა, ღოღილა ურჩხული. ამ ტანკით ჩამოვა ირა!“

ავტობუსი გაჩერდა. ვოიტეკმა ფანჯრებს მოავლო თვალი. შიგნიდან ვიღაცა ხელს უქნევდა. პირი დაადო, მაგრამ წამსვე შენიშნა, რომ გვერდით მდგომი დედაბერი ცხვირსახოციტ ცრემლს იმშრალეზდა და უცინოდა მას, ვინც ხელს აქნევდა.

ვაჟმა კვლავ შეათვალიერა ფანჯრები. „არა ჩანს. მშვიდად! ავტობუსში სიბნელეა, დავიცდი, სანამ ყველა არ გადმოვა“.

ავტობუსი დატარიელდა. ვოიტეკი ღია კართან მივიდა და თავი შეჰყო (მუშამბისა და ქონის სუნი იდგა). ირა არ ჩანდა. ქურთუკის ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი ვაჟი ცოტა ხანს კიდევ იდგა და ტუჩებს იკვნეტდა. „გომბიო, ქუჩის გოგო, დამცინის. თავისი ძალა უნდა მაჩვენოს, გომბიო, გომბიო, სულელი გოგო. მით უარესი მისთვის. არ უნდა ჩამოსვლა და ნუ უნდა. ეშმაკსაც წაუღია! მაგრამ რატომ მასუღლეებს? შეეძლო დაეწერა, ედებეშა, აკი შევთანხმდით?!“

ვოიტეკი ფოსტაში წავიდა. ამჯერად სარკმელში სხვა, მორცხვი ჰორფლიანი გოგო იყო.

— ხომ არაფერი მოსულა გლონის სახელზე? ვოიცებ გლონი, — გაიმეორა მან.

— ერთი წუთით.

გოგონამ წერილები გასინჯა.

— არაფერი არ არის.

— დებეშა?

— არაფერი.

— არაფერი, — გაიმეორა მან დაუფიქრებლად.

„რაიმე უნდა დავლაო, ტუჩები მიხურს“.

— თუ რაიმე მოვიდა... მე პან ვიხოვსკისთან ვცხოვრობ.

გოგონამ ჩაიწერა.

— კარგი. პან ვიხოვსკისთან გამოვგზავნი.

— გმადლობთ. თქვენ საშინლად თავაზიანი ხართ. საშინლად, — გაიმეორა მან, თითქოს რაღაც გემო ჩაატანა ამ სიტყვას.

ფოსტაში საქმე მოგვარდა. ის ტიპიდა დარჩა საკურორტოდან. სათემო მმართველობაშიც არავინ იყო. საწერი მაგიდებიდან ქალაღდები გამქრალიყო. სკამებიც კი გაუჩინარდა. ვოიტეკმა მეორე ოთახის კარზე დააკაკუნა.

— ახლავე, — მოესმა.

ერთი წუთის შემდეგ კარებში რწმუნებული გამოჩნდა. მას კოვბოურა ეცვა. სახელოები დაეკაპიწებინა და გამხდარი, ქერა ბალნით დაფარული მკლავები უჩანდა.

— არავინ მოსულა? — ძლივს გაიღიმა ვოიტეკმა.

— არავინ.

— არ ვიცი, გახსოვთ თუ არა...

— როგორ არა, მახსოვს: პან გლონი. ჩაწერილი მაქვს, თუ ჩამოვა, მეტყვევსთან გამოვგზავნი, მშვიდად იყავით.

— ალბათ, რაღაც მოხდა, — თავს იმართლებდა ვოიტეკი.

— ხდება ხოლმე. ბავშვები გყავთ?

— არა.

— ჩვეულებრივ, ბავშვები უშლიან ხელს. ხან ანგინა აქვთ, ხან მუცელი სტკივათ. ხომ გესმით. — ახალგაზრდა კაცი ამისთანა რამეებში რომ ერკვეოდა, ვოიტეკს სასაცილოდ მოეჩვენა. — მაგრამ დიდებსაც ემართებათ ხოლმე ასე. ზოგჯერ სწორ ადგილზეც შეიძლება რაიმე შეგემთხვას.

— უკანასკნელი ავტობუსით, ცხადია, არ ჩამოვა.

— ალბათ. თქვენც გირჩევთ სახლში დაბრუნდეთ, სანამ არ დაბნელებულა.

— თქვენ მართალი ხართ. ჰო... თუ მაინც ჩამოვიდა?

— სასაუზმეში ორი სასტუმრო ოთახია.

— ის აქ მოვა, თქვენთან.

— მაშინვე გამოვგზავნი, მშვიდად იყავით და დაბრუნდით მეტყუევსთან.

— რჩევას შევასრულებ. ნახვამდის.

— ნახვამდის.

ნელა ბრუნდებოდა და ფიქრობდა იმ მიზეზებზე, რომლებმაც, შესაძლოა, ირა დააკავეს. ცუდად მოილაპარაკეს. ზუსტად უნდა დაეთქვათ მატარებელი და ავტობუსი. „ისე, ქალმა რა იცის, როგორ მოიქცეს. შეიძლება ამ წუთას ირა მატარებლიდან გადმოდის. ეს სავსებით ლოგიკური და ჰკვიანური იქნება. დამეს ქალაქში გაათევს და ხვალ პირველი ავტობუსით გამოემგზავრება. ცხადია, ასეა“, — გადაწყვიტა მან და შენიშნა, რომ გუნება გამოუკეთდა.

ფოთლების გროვას ფეხი ამოჰკრა და შეშინებული დაკლაკნილი ანკარა დაინახა. „ხვალ ირა აქ იქნება!“

როცა ვოიტეკის წინ მეტყუევის სახლის ყვითელი კედლები აღიმართა, თავში გაუელვა: ირა შეიძლება უკვე ჩამოვიდა და მოლოდინში დიასახლისთან საუბრით ერთობაო. სახლს მიუახლოვდა და დაინახა: დიასახლისი ბოსტანში სტაფილოს გლეჯდა. არავინ ახლდა და არავის ელაპარაკებოდა.

ვოიტეკი შეჩერდა და პიტნის ფოთოლს დაუწყო წუწნა. დიასახლისმა თავი ასწია.

— აბა, როგორ ხარ? — შეეკითხა ქალი.

— ნელ-ნელა, — უპასუხა ვოიტეკმა და ვერანდისკენ გაემართა; კიბეებამდე მივიდა და მოიხედა.

— არავის ვუკითხივარ?

— არავის.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სახლიდან მეტყვევე გამოვიდა. ქურთუკი გაეხსნა და კბილებში ჩამჭრალი ჩიბუხი გაერჭო. ვოიტეკმა თავს ძალა დაატანა და ჰკითხა:

- როგორ ინადირეთ?
- არა უშავს რა. თქვენ რა მოინადირეთ?
- არაფერი.

— ასეა, ასე, — ბურტყუნებდა მეტყვევე, — ყველაზე უფრო ისინი ჰყრიან წიხლებს, ვისაც ნამატი აქვს. ასეთს სჯობია არც დაუმიზნდეს.

- რალაცამ შეუშალა ხელი. ხვალ ჩამოვა.
- გაცნობათ რამე?
- ჰო, — იცრუა ვოიტეკმა.

ოთახში შევიდა. ჯიბიდან ქამარი ამოიღო და საწოლზე დადო. ერთხანს უყურებდა. მერე კარადაში შეინახა. რამდენიმე კროსვორდი შეაგსო. დაბნელდა, თვალები ეტკინა.

საათს დახედა. ბოლო ავტობუსა ნახევარ საათში ჩამოდის. ქურთუკს ხელი დასტაცა და ვერანდაზე გავარდა. კარის დასაკეტად რომ დაბრუნდა, მეტყვევეს ხმაც მოესმა.

- სასუირნოდ მიდიხართ?
- დიახ. გაჩერებაზე მინდნ გავიქცე.
- აკი შემოგითვალათ...
- ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა; წავალ. დავიძინებ.
- ასე აჯობებს. ჩაი დალიე და დაიძინე.

ვოიტეკი უკვე იძინებდა. გარედან ნაბიჯების ხმა რომ შემოესმა. წამოხტა. „როგორ მოხვდა ამ შუალამეს აქ, ტყეში? რამ მოიყვანა? სიყვარულმა, სიყვარულმა, უცნაურმა სენმა, დაუოკებელმა წყურვილმა, რომელიც ნაწილებად მგლეჯს და მავსებს“.

კარი გააღო. სახეში სიცივემ და წყვედიადმა დაუქროლა. არავინ არის. ნაბიჯების ხმაც არ ისმის. ქარი ქროდა, ტოტები ხმაურობდა, ფოთლები შრიალებდა. ცაზე ბოლისფერი ღრუბლები მოჰქროდა, რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე ტყის შავი ზვირთი ხმაურობდა.

„ჩქ არის, — გაიფიქრა გლონმა, — ამ შავი ტყის იქით. უკანასკნელი ავტობუსით ჩამოვიდა და სასტუმროში აპირებს გათენებას. საათებსა და წუთებს ითვლის, კროსვორდებს ხსნის, წიგნებს კითხულობს, ასოები ხტიან თვალწინ. არაფერი ესმის და ემდურის ამ უღიმღამო ცხოვრებას“.

ვაჟმა სასწრაფოდ ჩაიცვა და ტყისკენ გაიქცა. სიბნელეში ბილიკი ვერ იპოვა. მიიხედ-მოიხედა.

- თქვენა ხართ? — მოისმა მეტყვევის ხმა.
- ვოიტეკმა მუშტი შეჰკრა.
- მე ვარ.

მეტყვევე ჯირკზე იჯდა და ჩიბუხს ქაჩავდა. ვოიტეკი მიუახლოვდა.

- აქ რას აკეთებთ? — ჰკითხა ვოიტეკმა.
- ყოველ საღამოს აქ ვზივარ, — ნელ-ნელა გამოსცრა მეტყვევემ. — ჩვეულებად მექცა. გამოვალ, ჩიბუხს გავაბოლებ და ისევ შინ შევდივარ.
- ცოლს, აღბათ, მაინცდამაინც არ მოსწონს.
- რას იზან, ხელობამ შემაჩვია.

— მე კი გამოვიჩეცი, — თქვა ვოიტეკმა, — ფეხის ხმა მომესმა.

— ალბათ, ჩემი. წავიდეთ.

შუალამისას ვოიტეკი ფანჯარაზე კაკუნმა გამოაღვიძა. გულგახეთქილმა იდაყვებზე წამოიწია და ყური მიუგდო. კიდევ ერთ წუთს უცდიდა და მერე ბალიშზე დაეცა. დარაბა ხმაურობდა. „სულელო! რატომ ვღეღავ. ხვალ წემთან იქნება, ხვალ“, — გაიმეორა გულში.

დილით გამოეღვიძა და თავხარი ეცა. უკვე მერვე <sup>მარტის</sup> ~~საღამოს~~ <sup>საღამოს</sup> ~~გაღვიძ~~ პარსო?

„ეშმაკსაც წაუღია გაპარსვა, არ გავიპარსავ“. ხუთ წუთში მზად იყო წასასვლელად.

დიასახლისი ცხელი რძით გაუმასპინძლდა.

— იხვს რა ვუყო? — შეეკითხა, — შევწვა?

— აუცილებლად.

— საჩურთით გავტენო?

— კარგი იქნება...

მეტყვევ მოწმენდილ ცას შესცქეროდა.

— საუცხოო დღეა.

— ასეც უნდა იყოს.

— ვისროლოთ?

— ვისროლოთ.

— როდის?

— ხვალ. ქალსაც თან წავიყვანთ?

— ეე, ქალის ნადირობა ვის გაუგია?!

— მაშ, კერასთან დავტოვებთ, — თქვა ვოიტეკმა და დიასახლისს მიუბრუნდა, — იხვი ხომ არ დაგეწვებათ?

— ერთ ღროს კსშინსკებთან ვიყავი მზარეულად. — ვოიტეკს გაეცინა.

ტყე-ტყე გარბოდა. გუშინდელის შემდეგ ფოთლები მოგროვებულა. ვოიტეკი დაიღალა და ნაბიჯს უკლო. ტყიდანვე შენიშნა, ავტობუსი სვეტს რომ მიუახლოვდა. რამდენიმე კაცი გადმოვიდა. მათ შორის ირა არ ყოფილა. ვოიტეკი სვეტამდე არ მისულა და ფოსტისკენ გაუხვია.

— წერილები მოიტანეს?

— ვის სახელზე?

— გლონის. ვოიცებ გლონის.

გოგონამ წარბებქვეშიდან შეხედა და უჯრაში დაიწყო ფათური.

— არაფერი არ არის.

— პანი ზბარსკაია?

— არ მოსულა.

ვოიტეკი მმართველისაკენ გაეშურა.

— მოგესალმებით, — გაიფურჩქნა ბუღალტერი. — არავინ არ ჩამოსულა: თათხი მოვამზადეთ: აბა, რა გეგონათ. სუფთა საწოლი, ყველაფერი, როგორც წესია, მაგრამ არავინ ჩამოსულა.

— თუ ვინმე გამოჩნდა...

— მახსოვს, მახსოვს, — პან ვიხოვსკისთან.

— მე სასაუზმეში ვიქნები.

- კარგით, თუ მოვა, ჯერ სასუხმეში გამოვგზავნი. მიმტანი ქალი ძველი ნაცნობივით შეხვდა.
- ყავა?
- ჩემს გულში იჯექით?
- დაფქვავთ?
- აბა რა.
- ახლაც არ გეჩქარებათ?



ეროვნული

ბიბლიოთეკა

„ყველაფერი ისევია, გუშინდელივით. ვფქვავ და ვფქვავ! თუმცა დღეს არ წვიმს, კარგი ამინდია, მზიანი; ასეც უნდა იყოს, რადგან ირა ჩამოდის. პირველის თხუთმეტ წუთზე ჩამოვა. ან კი რატომ უნდა წამომხტარიყო დილის ექვსზე. პირველის თხუთმეტ წუთზე შემდეგი ავტობუსია და ჩამოვა კიდევ“.

„ყავა, ორი პაპიროსი. უნდა გავიპარსო. ეჰ, სულ ერთია. თუ შემდეგი ავტობუსითაც არ ჩამოვა, ავიკრავ გუდა-ნაბადს და ეშმაკებთან გადავიკარგები. დამცინის. ეს დაცინვაა, ნაღდი დაცინვა. დღეს უკვე სამშაბათია. მე კვირას ჩამოვედი, გუშინ ორშაბათი იყო, შევთანხმდით, რომ ორშაბათს დილით ჩამოვიდოდა. დიახ, დილით. დილით თუ ვერ შესძლო, უნდა ჩამოსულიყო შუადღეს, საღამოს, მეორე დღეს მაინც. პირველის თხუთმეტი წუთი საბოლოო გადაა! ამ ავტობუსით ჩამოვა“.

დაბა ვოიტეკმა ზეპირად შეისწავლა. „ისევ სასაფლაოზე წავიდე? გაზეთის გამყიდველ ქალთან ვილაყბო?“ საგალანტერო მალაზიის წინ შეყოყმანდა. „ხელთათმანები უფრო შესაფერი საჩუქარი იქნება.“

ვაჭარმა ექვის თვალით შეხედა.

— ქამარი არ გამოადგა?

— არა, ყველაფერი რიგზეა.

ვაჭარმა გაიღიმა და წაიდუღღუნა:

— მე ზომ უფრო დიდი ზომა მოგეცით. ყოველ ქალს ჰგონია კინოვარსკვლავის ტანი აქვს. მაგრამ თუ საქმე გაზომვამდე მივა...

— ხელთათმანისთვის მოვედი, — გააწყვეტინა ვოიტეკმა, — გუშინ რომ მაჩვენეთ, ყვითელი.

— ირმის ზამშეა. — უთხრა ვაჭარმა, დახლს ქვემოდან გამოიღო ხელთათმანი. ხელი ნაზად, სიყვარულით, გადაუსვა და მოაგონა: — სამას ოცი.

— მერე რა.

— ზომა კარგია?

— ალბათ.

„მთლად გავიყიდე“, — გაიფიქრა მან, ფულს დახლზე რომ დებდა.

დარჩენილი დრო ხეტიალსა და ოცნებაში გაატარა. ზუსტად თორმეტზე გაჩერებაზე წავიდა. კვლავ დედაკაცები! შეიძლება, გუშინდელი ვაჭრუკანებიც კი იყვნენ. ჩიოდნენ, ხორცი არ არის და რალაც-რალაცეები, ალბათ, გაძვირდებო. ვოიტეკი რამდენჯერმე შეეხო ხელთათმანიან პაკეტს (საშინლად კარგია, ვოიტეკ, საშინლად კარგი). მოდის ავტობუსი, ლოდინსაც ბოლო მოეღება.

ავტობუსი მოახლოვდა. გაჩერდა. „მგონი, არა ჩანს. ვერ ვხედავ. შეიძლება, სადღაც შუაში იმალება? არა, არა. კმარა თავის მოტყუება. არ ჩამოვიდა. არც ჩამოვა. ქუჩის გოგო! გომბიო!“



ჭიბეში ხელი ჩაიყო და განზე გადგა. შეჩერდა. გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ენახა. მობრუნდა და უცებ გაოცდა. ირა! შავ შარვალსა და წითელ სქელ სვიტერში გამოწყობილა. ირამ გზაზე გადაირბინა და ტყისკენ გაემართა. ვოიტეკმა დაიყვირა:

— ირა!..

ქალი არ მოტრიალებულა. ვოიტეკი გამოეკიდა.

— ირა, ირა! — უყვიროდა.

კინალამ ზედ არ წააწყდა.

— რა გნებავთ? — გააშეშა უცხო ხმამ.

უცხო ხმა, უცხო გამოხედვა. სახეც უცხო ჰქონდა.

— მაპატიეთ, — ჩაიბურტყუნა ვოიტეკმა, — მომეჩვენა თითქოს...

— სათვალე შეიძინეთ, — ურჩია მახინჯმა თუ ლამაზმა, გაბრაზებულმა, სულელმა, უცხო ქალმა.

ვოიტეკი დაბისაკენ მიეხეტებოდა. „არც თუ ისე ცუდად მომხვდა ყბაში. სულელი სულელად რჩება. პირი შეკრეს ამ წყეულმა ქალებმა, რომ მასულელონ. ალბათ, რაღაც მოხდა. ხომ შეიძლება რაიმე მომხდარიყო (იქნებ რამე შეემთხვა, ან ავად გახდა. იქნებ ქმარმა არ გამოუშვა; იქნებ სამსახურში შერჩა). კი მაგრამ, რატომ არ მიდებეშა?“

ვოიტეკი ფოსტაში აღმოჩნდა. ზეპირად იცოდა ეს კედლები, ჭუჭყიანი დატაკი, წვიმის ჩამონადენისაგან ტაშისტური ქარგებით მოხატული კერი.

— არაფერი არ არის, — უთხრა გოგონამ სარკმლიდან.

— ვიცი. ვროცლავი მინდა შევუკვეთო.

— რა ვინდათ ვროცლავში?

— ჰემატოლოგიის ინსტიტუტი. მალე იქნება?

— სასწრაფოს შევუკვეთავ, თუ ძალიან გეჩქარებათ.

— არა, არ მეჩქარება.

მერხზე ჩამოჯდა. მოლოდინი, კვლავ მოლოდინი. მაგრამ ახლა ხმას მაინც გაიგებს. გაიგებს, რატომ არ ჩამოვიდა. არა, მარტო მისი ნახვა კი აღარ უნდოდა. უნდოდა ირა სამუდამოდ მისი ყოფილიყო.

— გესმით?

— რა გნებავთ?

— იქნებ სასწრაფო შევუკვეთოთ.

— უკაცრავად. — ტელეფონი აწკრიალდა. — ვროცლავია.

ვოიტეკი კაბინაში შევარდა. აკანკალებული ხელი ყურმილს დასტაცა.

— ილაპარაკეთ, — გაიჭრიჭინა ხმამ. ყურმილში მუსიკაც ისმოდა.

— ალო! — წამოიძახა ვოიტეკმა.

— ლაპარაკობთ? — იკითხა კრიჭინა ხმამ.

— დიახ, — დაიღრიალა ვოიტეკმა, — ჰემატოლოგიის ინსტიტუტია?

ჯერ რამდენიმე ტაქტი მოისმინა „როზ-მარიდან“, შემდეგ კი თანხმობის პასუხი. ინსტიტუტია, როგორც იქნა.

— მე მინდა პანი... მაგისტრ ზბარსკაიას ველაპარაკო.

— გაერთებთ.

ტკაცანს ტკაცანი მოჰყვა. „O Rose Marie, I love you...“<sup>1</sup>

<sup>1</sup> ო, როზ მარი, მიყვარხარ...

— ალო.

ვოიტეკს უნდოდა ეყვირა: „ირა“, მაგრამ თავი შეიკავა.

— პანი ზბარსკაია ბრძანდებით?

და მუსიკის ჰანგებს შორის მოესმა:

— პანი ზბარსკაია არ გახლავთ.

უცებ ყველაფერი დაწყნარდა, რაღაც გამორთეს და ვოიტეკმა ნათლად გაიგონა:

— რამდენიმე დღით უხელფასო შვებულება აიღო და წავიდა.

— უკაცრავად.

ფულს რომ იხდიდა, ვოიტეკმა გაიფიქრა: „მაშ წამოსვლა უნდოდა. შეიძლება ჩამოვიდეს კიდეც. რაღაცამ დააკავა. ჩამოსვლა რომ შეძლებოდა, თორმეტსა და თხუთმეტზე ჩამოვიდოდა“.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გადაწყვიტა ოთხ საათზე ავტობუსის შესახვედრად გაჩერებასთან გასულიყო. მანამ კი სათემო მმართველობის ბუღალტერი ისაკენ გაეშურა.

— ხომ არავინ მოსულა?

— არა.

— მაშინ პატიებას გთხოვთ შეწუხებისათვის და ნახვამდის.

— მიემგზავრებით?

— ჰო, მგონი.

„ხვალ წავალ, — გადაწყვიტა ვოიტეკმა, მაგრამ ქუჩაში გადაიფიქრა. რატომ ხვალ? თუ ირა ოთხზე არ ჩამოვა — საერთოდ არ ჩამოვა. დღეს წავალ“.

ამ გადაწყვეტილებამ გაამხნევა. „რას იზამ, მართალია, ყბაში ზორბად მომხვდა, მაგრამ სამუდამოდ აქ ჯდომას არ ვაპირებ. ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს“.

კიდეც ერთხელ მივიდა ფოსტაში.

— ისევ თქვენა ხართ? — ჰკითხა გოგონამ.

— როგორც ხედავთ, არც ისე უბრალოდ ყოფილა საქმე, — სცადა ხუმრობა ვოიტეკმა. მერე ჰკითხა: — პანი ზბარსკაიას წერილი კვლავ ადგილზეა?

— აბა რა!

— თუ შეიძლება, დამიბრუნეთ.

— წაღება გსურთ?

— ჰო.

— შეუძლებელია.

— რატომ?

— წერილი ზბარსკაიას სახელზეა.

— კი მაგრამ, ხომ მე გავგზავნე?!

— წერილს მხოლოდ ადრესატი მიიღებს.

ვოიტეკი გაჩუმდა. „სისულელეა, სისულელე“, წერილი სულს უფორიაქებდა. „თითქოს თანამგზავრია კოსმოსურ სამყაროში“, — გაიფიქრა მან.

— მაშინ, დახიეთ წერილი, — სთხოვა ვოიტეკმა.

— უფლება არა მაქვს.

— სამუდამოდ აქ გექნებათ?

— იმდენ ხანს, რამდენიც ინსტრუქციით არის გათვალისწინებული.

— მადლობა ღმერთს, რომ ინსტრუქციები ყველაფერს ითვალისწინებს. ვოიტეკმა ამჩინა უნთქა.

— მაშინ ძალიან გთხოვთ, მომცეთ ქალაქი და საწერ-კალამიც მოაყოლოთ.

ვიდრე წერას შეუდგებოდა, დიდხანს იხეხა ლოყა, თავში ხან მარხხანე სიტყვები მოსდიოდა, ხან ისეთი, რომლებიც აწყნარებდა. „მშვიდად“ — უბრძანა თავს.

სიმშვიდე და თავშეკავება

„ირა, — დაწერა მან, — კარგად მაჭამე“. ეს ფრაზა წაშალა. „ძვირფასო, ეს მღელვარება“... რა მღელვარება? მაჭამებს? არა, არ ვიწუწუნებ. ასე სჯობს. „ირა, მინდა დავიჯერო, რომ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა; რომ არ მოგბეზრდი. ამ ორ დღეს საზარელი წამება გადავიტანე. ახლა უკვე ვიცი, როგორია ჯოჯოხეთის პირველი წრე. მენატრები, ისე, როგორც არასდროს“. რატომ ვწერ ამას? ალბათ, ვიცინებთ. წავშლი. არა, ყველაფერი უნდა მივწერო. უნდა მივწერო! არ შემიძლია დავძლიო ეს სიტყვები. „ასე აღარასდროს მომექცე. ასეთ ტანჯვას ველარ ავიტან. ირა, ირა, რა კარგი იქნებოდა აქ. სხვას არაფერს მოგწერ. ჩემი თავისა მეშინია, ვოიტეკი“.

ერთ წამს ყოყმანობდა, მერე მიაწერა: „გეხვევი და ხელებს გიკოცნი“. კონვერტს აწებებდა და ფიქრობდა: „გული გადავუშალე, სისულელე მივწერე“.

ოთხის ნახევრამდე სასაუზმეში იჯდა. მერე გაჩერებაზე წავიდა. ირას ჩამოსვლის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ყველაფრის უგულვებელყოფაც არ შეეძლო. გზაზე ბალით გარშემორტყმული სახლი შენიშნა და დიასახლისის სთხოვა ყვავილები დაეჭრა. გაჩერებაზე თაიგულით ხელში იდგა.

ავტობუსიდან რამდენიმე კაცი გადმოვიდა. ვოიტეკს გული არც დასწყვეტია. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ელოდა. ნელ-ნელა გაშორდა იქაურობას. მიდიოდა და ყვავილებს გაუპარსავ ლოყაზე იხუტებდა. ყვავილის ფურცლების ალერსმა გაახსენა კარზე მომდგარი ბედნიერება, აუსრულებელი დაპირება, რაღაც გამაღიზიანებელი და დამამშვიდებელიც. უცებ შენიშნა, რომ ტყისკენ მიდიოდა. ყვავილები მიწაზე დაყარა.

ფეხქვეშ ტკაცატკუცი გაჰქონდა ჩამოვარდნილ რკოებს. ხეები გამხმარიყო დასაწვავად გამზადებული ნაფოტებივით. ზევით კი მოწმენდილი ცა კრილებდა. ასეთი ცა უნდა შეხვედროდა ირას.

არ ჩამოვიდა. ბილიკი მთავრდება, უკვე ბუნდოვნად მოჩანს ტყის პირი. ფოთლოვანი გვირაბი სინათლეში იხსნება. აი, მეტყევის სახლის ყვითელი კედლებიც. იქნებ ირა სულაც იქ ელოდებოდა.

იმ დროს, როცა ვოიტეკი ფოსტასა და ავტობუსს, მმართველსა თუ სასაუზმეს შორის დაეხეტებოდა, ირა ტაქსით ჩამოვიდა და პირველსავე შემხვედრს მეტყევის სახლი ჰკითხა. რა შუაშია ეს გაბრაზება? წერილები, ტელეფონი, საყვედურები!

ვერანდაზე ავიდა და კარის სახელური ჩამოსწია. დაკეტილია. „აბა რა იქნება, გასაღები ხომ თანა მქონდა. ირა მეტყევესთან იცდის“. ვოიტეკმა სახლს შემოუარა.

დიასახლისი ქურაზე ჭოთნებს აღგილს უცვლიდა. ვოიტეკის ფეხის ხმაზე

სიცხისაგან გაწითლებული სახე მოაბრუნა და უჩუმრად ისევ ქვაბებს მიუბრუნდა.

ვოიტეკმა პატარა სკამი მიიწია. დიასახლისი კვლავ ჩუმად იყო. მერე ჰკითხა:

- გწყურიათ?
- არა, გმადლობთ.
- იხვისათვის ხომ არ შემოხვედით?
- არა.



— არ დამიკლავს. ვიფიქრე ცოლის ჩამოსვლის შემდეგაც მოვასწრებ-მეთქი.

— გემრიელი საჭმელი არც ჩვენ გვაწყენდა. დიასახლისს პასუხი არ გაუცია. ვოიტეკი აღვა.

- პანი ვიხოვსკაია.
- გისმენთ.
- შე დღეს მივემგზავრები.

დიასახლისმა ჰკითხა:

- ასე რომ, ჩემს კაცთან ერთად სანადიროდ არ წახვალთ?
- ვერა! უნდა წავიდე... გესმით, იმასთან, რაღაც მოხდა. უნდა გამოვარ-კვიო.

დიასახლისმა თავი დაუქნია.

- სწორია, ასე სჯობს.
- იცით, ის ჩემი ცოლი არ არის, — ამბობდა ვოიტეკი და თვითონვე უკვირდა თავისი გულახდილობა. რაღაცა ენას ეწეოდა; იცოდა, რომ ჩუმად ყოფნა სჯობდა, მაგრამ არ შეეძლო არ გამომტყდარიყო. — მოგატყუეთ. მას სულ სხვა ქმარი ჰყავს.

— მივხვდი...

გაოცებულმა ვოიტეკმა დიასახლისს შეხედა, მაგრამ ქალი მიბრუნდა და ქვაბში რაღაცას დაუწყო რევა. ვოიტეკმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

— რაღაც სროლა არ მინდა. არ ვიცი ეს რას ნიშნავს. როგორღაც მეზარება, არ მიზიდავს ნადირობა.

- როდის მიემგზავრებით?
- უკანასკნელი ავტობუსით.

ვაჟი თავის ოთახში შევიდა. ბოროტად მიაცქერდა საწოლს. დასწყევლოს ღმერთმა! ბალიშს ხელი სტაცა და კუთხეში ისროლა. მერე მეორეც მიაყოლა. ერთ წუთს კიდევ იდგა, მუხლები ეკეცებოდა, მერე ძალაგამოლეული საწოლზე დაეგდო. თავი ცივ საბანში ჩარგო. საფეთქლებზე ხელები მოიჭირა. „არა, არა!“ ახლა წყნარად იწვა, ტირილისაგან დაღლილი ბავშვივით. ჭრიჭინას ჭრიჭინს უსმენდა, თვლები უშტერდებოდა.

უცებ გაიფიქრა: ცოტაც რომ მოვიცადო, გაიღება კარი და ირა შემოვაო. მნახავს ასეთ ყოფაში, როგორც ხორცშესხმულ მწუხარებას, დანაშაულზე წამისწრებს, დაიხრება და ტკბილად მეტყვის: „ოჰო! მაშ, ჩემს ბიჭუნას ვუყვარვარ? საშინლად კარგია, საშინლად კარგი, საშინლად კარგი“.

ვოიტეკი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა! მერე ზურგჩანთაში ნივთები ჩაალაგა. ყოყმანის შემდეგ შევსებული კროსვორდებიანი ყურნალებიც შიგ

ჩაჩხირა. საწოლზე ჩამოჯდა, რაღაცას უცდიდა, თან საათზე იხედებოდა. ექვს საათზე ზურგჩანთამოკიდებული მეტყევესთან წავიდა.

— გასაღებს გიბრუნებთ, — თქვა მან, — ნახვამდის.

ღიასახლისს კვლავ აკოცა ხელზე. მეტყევემ ჩიბუხი გადადო და დაბალი სკამიდან ოხვრით წამოდგა.

— მაშ, სანადიროდ არ მივდივართ? — ჰკითხა მეტყევემ ღიასახლის-  
გულით მენჯს იზელდა.

— არა, უნდა დავბრუნდე.

— დასანანია; იქნებ, სხვა დროს წავსულიყავით.

ვოიტეკმა თავი გააქნია.

— ახლა უნდა წავიდე.

მეტყევემ ვოიტეკი ტყემდე მიაცილა.

სადამოს ავტობუსი ცარიელი მოვიდა. ვოიტეკი პირველი შეძვრა და მძღოლის უკან დაჯდა. უკან ვიღაც ახალგაზრდები მიჰყვნენ. ვოიტეკს ესმოდა სიცილი და აღტაცებული, რაღაც აბდაუბდა ლაპარაკი ღამისთევაზე. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ რამდენიმე ხმა მისთვის ნაცნობი იყო. მაგრამ თავის ფიქრებთან სურდა მარტო დარჩენა, წარსულის მოგონება და მომავლის გეგმების შედგენა.

როცა ყველანი ჩასხდნენ და ავტობუსი დაიძრა, ვოიტეკს მოეჩვენა, თითქოს, უკნიდან ვიღაცამ მოქაჩა. მიიხედა: ალინა, იურეკი და ის გოგონა იყო — მისი დამარცხების მოწმენი.

— რასა იქმ ვოიტეკ? — ჰკითხა მეგობარმა.

ვოიტეკმა ნერვიულად შეათვალიერა მათი სახეები. „ვუთხრა? ვუამბო ყველაფერი?“

— რა მიშავს, — გამოსცრა ბოლოს.

— გვიჩვენე შენი გოგო, — თქვა ალინამ.

— წავიდა. შევბუღება არ მისცეს.

— მაშ, რა სარფა დაგრჩათ?

— თითქმის არაფერი. — თქვა ვოიტეკმა. — გამარჯობა-ნახვამდის და მორჩა.

ალინამ დაიხურჩულა:

— საოცარია.

— ასე გგონია?

— აბა რა. ეს ყველაფერს სჯობია, რაც კი შეიძლება მომხდარიყო.

იურეკი და ის, მესამე, ლაპარაკით იყვნენ გართული და მწარე სიტყვებს ისროდნენ. ვოიტეკი დაიხარა და დაბალი ხმით უთხრა ალინას:

— იცი, ის მატარებელი, იურეკმა რომ მითხრა... ის ხაზი უკვე ორი წელია აიღეს. ლიანდაგიც კი დაშალეს. მე კი მეგონა იურეკმა ყველაფერი იცოდა.

ალინამ მხრები აიჩეჩა.

— იურეკმა არაფერი იცის, — მას ქუთუთოები აუკანკალდა, — ვოიტეკ, მათ არაფერი არ იციან. არაფერი!

ალინა მიბრუნდა და მოიბუზა. ვოიტეკს მოეჩვენა, რომ გოგონას მხრები უთრთოდა და თვალზე მომდგარ ცრემლს იკავებდა...

## ხვედრი

მეგობრის ხსოვნას

ტყისპირას იწვა პარტიზანი  
სტვენდნენ ჩიტები  
სიო არხევდა ბალახს ნამიანს  
და სანთლებივით გაყვითლებულ გვამის თითებზე  
აუჩქარებლად მიცოცავდა ჭიამაია

დახვრეტის შიშით აეკრძალათ მისი დამარხვა  
არ გაბედოსო კაცისშვილმა ეგდოს ვაგლახად —  
ამუქრებოდნენ ჟანდარმები და მშობელ მიწას  
დასახიჩრებულს აოხრებულს მკერდში ჩაეკრა  
ქერათმიანი თავი  
იგი წყაროსთან იწვა  
გეგონებოდა წყურვილს იკლავს ზედ დამხობილი  
თავის ხვედრს  
თავის გაუთხრელ საფლავს

## მონება

აქა ვარ მაგრამ  
თუ ჩემი ძმა ხარ  
არ შემოხვიდე დაუკითხავად  
დააკაკუნე კარზე  
ჯობია

თორემ შემასწრებ ისეთ დროს როცა  
გაშტერებული ვზივარ და უხმოდ  
დავცქერი თეთრი ქალაღდის ფურცელს

სად შემიძლია სიყვარულზე ვწერო როდესაც  
ყურში ჩამესმის შემზარავი კვნესა და გმინვა  
შეგინებულთა დახოცილთა ანდა სიკვდილზე  
რა მათქმევიანებს თუნდ ერთ სიტყვას უცოდველ  
ბავშვთა



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მზერით მონუსხულს  
უმჯობესაა  
დააკაკუნო კარზე წინასწარ  
რომ არ შემაკრთო მე — უტყვი მოწმე  
სიკვდილის მძლევი სიყვარულისა

## კედლი

კედლისკენ იბრუნა პირი  
ვიცი ვუყვარვარ  
მაშ რად იბრუნა კედლისკენ პირი

ასე შეიძლება  
ცხოვრებასაც შეაქციო ზურგი  
სადაც  
სტვენენ ჩიტები  
და ჭრელი ყელსახვევებით  
თავს იწონებენ ყმაწვილები

ახლა ის მარტოა  
კედლის წინაშე  
და ასევე დარჩება  
ვეებერთელა კედლის ანაბარა  
საცოდავი და პატარა  
დამუშტული ხელით

მე კი ვზივარ  
და ვერ დამიძრავს გაქვავებული ფეხები  
და არ ძალმიძს  
დავტაცო ხელი  
და გავიტაცო აქედან  
თუმცა იგი  
სუნთქვაზე უფრო მსუბუქია

## პოეტიკა

მე მეგონა სიტყვა  
 ბუმბულივით არ აიწონება  
 აბრეშუმავით პრიალა მეგონა  
 გლუვი როგორც ქალიშვილის მუხლისთავი  
 და უღარდელი როგორც ჩიტის გალობა



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

მე მეგონა  
 საკმარისია ერთი დაიძახო  
 და სიტყვები  
 მორჩილად გამოგეცხადებიან  
 და მაშინ შეგაძლია  
 როგორც ბავშვმა სათამაშო აგურებისგან  
 შექმნა შინაარსიანი სახე  
 რომელშიაც უთვალავი განძია დამარხული

მე მქონდა სიტყვები  
 განშორების  
 წყევლის  
 შემდეგ გავიდა ხანი და  
 სიყვარულის სიტყვებაც შეახლნენ  
 უფრო გვიან კი  
 მე ვნახე  
 სატუსალოს კედლებზე ამოკაწრული  
 იმედის სიტყვები

თვითთული მათგანი  
 შინაარსიანი იყო  
 მათში ვერ ნახავდათ  
 ვერც მეტაფორას ვერც ალეგორიას  
 ვერც ჰიპერბოლას ვერც მოხდენილ თქმას  
 სამაგიეროდ  
 მათ ჰქონდათ დამაჯერებლობა  
 ძალა პოეზიისა  
 სიცოცხლე



## ვინმეს რომ ენახა...

ვინმეს რომ ენახა დედაჩემი  
ცისფერ ხალათში, თეთრ პალატაში,  
ხან აკანკალებული,  
ხან უძრავად გაშეშებული,  
როცა ბაგეზე შეყინული ღამილით  
გათეთრებულ ღრძილებს აჩენს...



ნახევარი საუკუნე ღმერთს ლოცულობდა,  
ახლა კი ატირებული ჩურჩულებს:  
— არ ვიცი... არ ვიცი...

მისი სახე — ამღვრეული ცრემლის წვეთია.  
გაყვითლებული ხელება მკერდზე დაუკრეფია  
შეშინებული ბავშვივით,  
ტუჩები კი — ლურჯი აქვს...

ვინმეს რომ ენახა დედაჩემი —  
დევნით გულამომჯდარი პატარა ტყიური  
გადმოკარკლული თვალებით...

ეჰ, რომ შემეძლოს  
ხელის გულზე ვატარებდა  
და ნებიერი ბავშვივით  
ტკბილეულს არ მოვაკლებდი!

## ყრპათა ქალბა

ბავშვები ყვიროდნენ: „დედიკო, დედავ,  
ბნელა აქ... წავიდეთ აქედან, დედავ!  
მე ხომ გაჯერებდი ყოველთვის, დედავ...“  
ხედავთ?  
ეს ამბავი თქვენს თვალწინ ხდება,  
მათ გამხდარ კიდურებს (არ დაივიწყოთ!)  
ბნელი და უძირო ჭაობი იწოვს.  
კუპრივით შავია ჭაობის წყალი  
და ყველგან — (შეხედეთ, შეხედეთ კარგად!) —

აქაც და იქაც,  
იქაც და აქაც —  
მოჩანს პაწაწინა ტერფების კვალი...

მათი ჭიბეები  
გამოტენილია  
ჭრელი კენჭებით,  
ასანთის კოლოფებით  
და მელნით შეღებილი  
სათამაშო კოჭებით...



თვალუწვდენელი ველი  
შემოხაზულია, როგორც უსაცოცხლო გეომეტრიული სიბრტყე  
და შავი კვამლის ხე  
ვერტიკალური  
მკვდარი ხე,  
რომლის გაფოთლილ ტოტებში  
არ ციმციმებს  
არც ერთი ვარსკვლავი.

ოსვენციში, 1946

## გ ა ნ ნ ე ე ნ ლ ა

ნუ გერცხვინებათ, ახალგაზრდა მგოსნებო, ცრემლის!  
მთვარის ნათელით აღფრთოვანდით,  
მთვარიან ღამით  
გაისეირნეთ ქალაქგარეთ,  
ბულბულის სტვენით  
დაიტკბეთ სმენა შეურყვნელი  
და გაიხარეთ  
წმიდათაწმიდა სიყვარულით...  
ნუ შეგაშინებთ  
სიმაღლე —  
მზისკენ გაბედულად გაინავარდეთ  
გრძნეულ თათებით უზენაეს ვარსკვლავებს მისწვდით  
და ამ ვარსკვლავებს  
შეადარეთ სატრფოს თვალეები,  
დაუფარავად აღფრთოვანდით ენძელით, პეპლით,

ამომავალი მზით, დაისით... ნუ გერიდებათ  
 შუა ქუჩაში დაუყაროთ საკენკი მტრელებს  
 და შეაგებოთ გულკეთილი, სათნო ღიმილი  
 ძაღლებს, ყვავილებს, მარტორქებს და ავტომობილებს...  
 გაცხოველებით იკამათეთ იდეალებზე,  
 გრძნობით, გამოთქმით წაიკითხეთ თქვენი ლექსებზე...  
 ნუ გეეჭვებათ თქვენი თავის, სხვებსაც მიენდეთ,  
 მერწმუნეთ, სხვები მიხვდებიან — რისი თქმა გინდათ!..  
 გულუბრყვილონი, თქვენ ირწმუნებთ მშვენიერებას,  
 აღელვებულნი, თქვენ ირწმუნებთ ადამიანსაც...  
 ნუ გერცხვინებთ ახალგაზრდა მგოსნებო, ცრემლის!



## Xალქის მონაწე

რად გავახილეთ თვალი?  
 დამეძგერა და წამლეკა ღვარმა  
 სახეთა, ფერთა.  
 ჭავლი ჭავლს მოსდევს, ეხეთქება და ენაცვლება  
 სახეს — ხატება, საღებავს — ფერი...

დასაღუპავად გამიმეტა  
 შხამიანმა სიმწვანემ,  
 სუსხიანმა სილურჯემ,  
 მზის გამაყრუებელმა სიყვითლემ,  
 ასთაკვების გესლიანმა სიწითლემ  
 და ვერ გავძეხი ამ სანახაობით...


რად გავიმახვილეთ სმენა?  
 ყელამდე სავსე ვარ ცოცხალთა ძახილით,  
 გარდაცვლილთა მოჩვენებითი ხმებით.  
 ცრემლიც კი  
 ღრჭიალით მისერავს სახეს,  
 როგორც აღმასი მინაზე გავლებული  
 და დაძაბული ღუმელი  
 დოლის ბრაგუნად ჩამესმის ყურში...  
 უბედურს,  
 მე ისიც მესმის  
 როგორ იზრდება მინდვრად ბალახი...

რისთვის ავიდგი ენა?  
რად დავარღვიე ოქრო-დუმილი?  
ამ მზისქვეშეთში  
რა შემიძლია ვთქვა ახალი  
უვიცმა ყბედმა?



ქართული  
ბიბლიოთეკა

ფარლალა სახლივით  
ქარების სათარეშო ასპარეზად ვიქვც  
და შელოცვა ვერ გამხსენებია  
რომ დავიბრუნო  
გულჩათხრობილი ოთახის სიმყუდროვე.



# ჯონ ფლეტჩერი

ჯონ ფლეტჩერი ინგლისური გვიანი რენესანსის დრამატურგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამდენად მისი შემოქმედება დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ ფლეტჩერი შექსპირის თანამედროვეა, გადმოცემების მიხედვით, მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ, მკვლევარები დაუინებით ამტკიცებენ მათ ლიტერატურულ თანამშრომლობასაც. ზოგიერთი პიესა (მაგ. „ჰენრი VIII“) თითქოს ერთადაც დაეწერათ. ქართულად ფლეტჩერის პიესა პირველად იბეჭდება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „მომთვინიერებლის მორჯულება“ ერთგვარ პოლემისტურ ნაწარმოებს წარმოადგენს და ავტორს ჩაფიქრებული აქვს, როგორც პასუხი შექსპირის ცნობილი კომედიის „ჭირვეულის მორჯულებისა“. სწორედ შექსპირის კომედიის მთავარი გმირი პეტრუჩიო გვევლინება ფლეტჩერის კომედიის მთავარ გმირადაც. შექსპირის კომედიაში პეტრუჩიო ათვინიერებს ჭირვეულ ცოლს, ფლეტჩერის პიესაში კი თვითონ პეტრუჩიოს მორჯულებს მისი მეორე ცოლი. თუ შექსპირის პიესაში სიყვარულია მოქმედების ქვაკუთხედი, ფლეტჩერის კომედია ბრწყინვალე ინტრიგით, მხიარული კომიკური სიტუაციებით გამოირჩევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფლეტჩერის გმირების შეტყვევებაც უფრო ფრივოლურია.

## მომთვინიერებლის მორჯულება

ნ მოქმედებიანი კომედია

ინგლისურიდან თარგმნა  
ვახტანგ ჭელიძემ

მოქმედნი პირნი

პეტრუჩიო. იტალიელი აზნაური,  
მარიას ქმარი.  
სოფოკლი } მისი მეგობრები  
ტრანიო }  
პეტრონიუსი. მარიასა და ლივიას  
მამა.  
მორთო. მდიდარი მოხუცი.  
ნოლანდი. ახალგაზრდა აზნაური.  
ფაკი }  
ბედრო } პეტრუჩიოს მსახურნი.

ეჭიმი.  
შეფთიაქე.  
გუსაგი.  
მსახურნი.  
მარია. პეტრუჩიოს ცოლი. პეტრონიუსის ქალიშვილი.  
ლივია. პეტრონიუსის მეორე ქალიშვილი.  
ბიანკა. ამათი ბიძაშვილი.

მოქმედება — ლონდონში.

მ თ ქ მ მ დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ს უ რ ა თ ი



ქართული  
ბიბლიოთეკა

(შემოდინან მთროხო, სოფოკლი და ტრანის როშმარინებით არიან მორთული)

მთროხო. აბედნიერთო ზენაარმა!

ტრანის. ამინ!

სოფოკლი. გისმინოს!

საშინელ დღეში კი ჩავარდა საბრალო გოგო —  
ჯოჯოხეთური მოთმინება მართებს უბადრუკს,  
რათა წუთიერ სიტკბოებას ეღირსოს ზოგჯერ.

ტრანის. მართალსა ბრძანებთ. უსულგულოდ მოექცა მამა;  
მიკვირს პირდაპირ — ასე როგორ გასწირა შვილი,  
ამ ურჩხულს როგორ მიათხოვა, რა გულმა მისცა?!  
ეს არის შვილის სიყვარული?! საწყალი გოგო!

მთროხო. მე თუ მკითხავთ, არა მგონია  
მართლა ისეთი საშინელი ურჩხული იყოს,  
როგორც სახელი გასტეხია.

სოფოკლი (ჩუმად ტრანისს). ამ ბებერ მელას ვერ უყურებ — უმცროსი ქალის  
ხათრით მამამისს ელაქუცება.

ტრანის. გაჰყვება ვითომ?

სოფოკლი. როგორ არა! პირი არ დასწვას!  
თუმც მამამისი შეჰპირებია.

მთროხო. არა, მე მაინც ვამტკიცებ, რომ კარგი კაცია.

სოფოკლი. მდიდარი კია, მართალს ამბობთ, მაგრამ ღირსებით  
რა მოგახსენოთ, ქალის ღირსი არ უნდა იყოს.

ტრანის. ნეტავი სულ არ გაგიჟდეს და არ აიწყვიტოს!

მთროხო. პირველ ცოლთან რომ გადირია, სულაც არ მიკვირს;  
გემახსოვრებათ — რა ანჩხლი და კაპასი იყო,  
რა ყიამყრალი დედაკაცი!.. ერთის წუთითაც  
არა ჰქონია მოსვენება იმ ქალის ხელში!  
ვეღარ გაუძლო, ხასიათი გამოეცვალა,  
თვითონაც ისე გაანჩხლდა და გაჭირვეულდა.  
ამ გვრიტივით წყნარ ქალიშვილთან არა მგონია  
ძველმა სიგიჟემ გაუსხენოს.

სოფოკლი. მე მაინც ვშიშობ.

ტრანის. მეც ისე ვშიშობ, სწორე გითხრათ, ქალი რომ ვიყო,  
და ან ურჯუკზე მითხოვებას რომ მიპირებდნენ...

მთროხო. ჰო, რას იზამდით?

ტ რ ა ნ ი თ. მოვკყვებოდნი ანჩხლ კატასავით  
გავარვარებულ ნაკვერცხლების ყლაპვას და მერე  
მაგ გიჟისათვის მიფურთხებას.... ვით ლოთი კახპა,  
სულ აფოფრილი ვიქნებოდნი, ყალყზე შემდგარი,  
პირში საწვდომად შემართული... და თავსაც ამით  
თუ დავიცავდი... თორემ ისე მაგის ცოლობა  
საშიშიც არის, სამარცხვინოც...

ს თ ფ თ კ ლ ი. რალა თქმა უნდა.

მ თ რ თ ზ თ. მე თვითონვე ვარ, ბატონებო, ამისი მოწმე:  
სიზმარშიაც რომ მოელანდოს პირველი ცოლი,  
წამოვარდება დაფეთებით, მოკყვება ღრიალს,  
ჩქარა კეტები და ფიწლები მომაშველეთო...  
შიშით კანკალებს — სამარიდან არ ამოცოცდეს  
და ძველებურად ისევ თავზე არ დამაჯდესო.  
არა, ბატონო — რაც ის ქალი შეირთო ცოლად,  
ძველ, დამშვიდებულ პეტრუჩიოს იმგვარადვე ჰგავს,  
როგორც მე ვგავარ ბაბილონსა.

ს თ ფ თ კ ლ ი. კარგი კაცია,  
მიყვარს კიდევაც, გამოვტყდები, მაგრამ ამ წყნარი  
და სათნო ქალის შესაფერი...

ტ რ ა ნ ი თ. რა ბრძანებაა!..  
ლუკმას ვერ შეჭამს, წყალს ვერ დალევს, ვერ გაინძრევა,  
ტკბილი სალამის მიცემასაც ვერ გაუბედავს,  
თუკი წინასწარ არ აიღო ქმრისგანვე ნება.

ს თ ფ თ კ ლ ი. არა, ბატონო, ოც გირვანქას ვდებ სანაძლეოდ.  
თუ სამ კვირაში სამარეში არ ჩაიყვანოს.

ტ რ ა ნ ი თ. რად უნდა მაგას სამი კვირა!  
(შემოდის ჟ ა კ ი, დოქით ღვინო შემთაქვს)

მ თ რ თ ზ თ. ისე უყვარს, რომ ჭკუას ჰკარგავს, და ეს თაფლის თვეც.  
ნახეთ, რამდენ ხანს გაუგრძელდეთ — ჟაკ, გამარჯობა...  
ვატყობ, რომ ბევრი საქმე შეგხვდა.

ჟ ა კ ი. რა ბრძანებაა:  
ამ ძველ გართობას კვერცხის გული სჭირდება ბლომად.

ს თ ფ თ კ ლ ი. ახლავე, კაცო?! ასე მალე?!

ჟ ა კ ი. მუსკატში კარგად გათქვეფილი, გაზავებული!

ტ რ ა ნ ი თ. სწორია, სწორი.

მ თ რ თ ზ თ. კრუხია თუ მსახური არის?!


ჟ ა კ ი. გაეშურე. სახლს მიხედე.

ს თ ფ თ კ ლ ი. ჩვენც მალე მოვალთ.

ჟ ა კ ი. გთხოვთ წამობრძანდეთ — ჩვენი სახლი ისე შეგხვდებათ,  
ისე ლაღად და მხიარულად, ვით მაისის დღე.  
თქვენ რალას უცდით, თქვენ როდისღა შეაჯირითებთ?  
ოღონდ ამას კი შევესწრო და ყველაფერს დავთმობ.

მ თ რ თ ზ თ. მართლა, ყმაწვილო?





მხატვარი ჯე მალ ლოლუა



ქაკი. ჩემს გალეულ სინდისსა ვფიცავ,  
თუკი რაიმე გამეგება, იმ თქვენს ქალბატონს  
ვიოლინოზე უქამანოდ დაკვრა-თამაში  
ვერ მიანიჭებს უერავითარ სიამტკბილობას.

მორთხო. რა ოხუნჯი ხარ!

ქაკი. ოხუნჯობას რა თავში ვიხლი,  
ნეტა ბრძენი მქნა. — ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.  
(უაკი გადის)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ტრანიო. რას ერჩი — მართალს გეუბნება.

სოფოკლი. ჯეარს როდის იწერთ?

კი ნუ გაგვწირავ — ქორწილს კი ნუ გამოგვაპარებ.

მორთხო. აჰ, რასა ბრძანებთ! მამის დასტურს როგორც მივიღებ,  
ალარ გადავდებ. მეგობრებსაც გაცნობებთ ხელად.

ტრანიო. რატომ ახლავე არ ინდომეთ? ბარემ ერთ ხარჯში  
გამოხვიდოდით!

მორთხო. როგორ გითხრათ — არის მიზეზი.

სოფოკლი. როლანდი კქვია მაგ მიზეზსა?

მორთხო. შინ არ შევიდეთ?

სად წავიდნენო, იფიქრებენ! შევიდეთ ბარემ.

(გადის)

ტრანიო. გაგიხარიათ, მაგრად მოხვდა თქვენი მათრახი.

სოფოკლი. აბა, თვითონ კი ვერ გადუჭერს თავის ცოლს მათრახს.

ტრანიო. ნეტავი მართლა.

(გადის)

## სურათი II

ოთახი იმავე სახლში

(შემოდინან როლანდი და ლივია)

როლანდი. ეგ სიყვარულის ფიცი თუკი ფუჭი არ არის,  
დღესვე დასტოვე მამის სახლი და გამომყევი.

ლივია. რაში გვჭირდება ეს ბალღური სულწასულობა,  
რა ძალა გვადგას — ვუღალატოთ პატიოსნებას,  
და წინ გავუსწროთ კანონიერ ბედნიერებას?!  
ჩვენი ჯვრისწერის გაგონებაც არა სურს მამას,  
ასე ჭურდულად რომ გავიქცეთ, დავიღუპებით,  
აბა, სცადე და ჩემი თვალით შეხედე საქმეს —  
ცოტა დაცდა და მოთმინება არ გირჩევნია?  
სამაგიეროდ, გაცილებით მყარ ბედს ვეწვევით.

როლანდი. ცოტას დაიცდი და მორთხოს მიგათხოვებენ!

ლივია. უმალ ვიქურდებ, ვიმათხოვრებ, კახპა გავხდები,  
ვიდრე მაგ ქლესა მელაძუას მივთხოვდებოდე!

როლანდი. მაგისმა ფულმა რომ გაცთუნოს?!

ლივია. გრცხვენოდეს, როლანდ!

რა თავში ვიხლი მაგის ფულებს! ფული მაკოცებს?

როლანდი. რატომაც არა!

ლივია. აგერ უკან? კაბის ჯიბიდან?

აქ იქნებ მართლაც მომედოს და მომეხახუნოს.

მე შენ გეტყვი და ისე მაგრად ჩამიკრავს გულში, რომ მაკივლოს და ძვლებს ჭახჭახი დააწყებინოს! შენ ფიქრი ნუ გაქვს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

როლანდი. მე მაინც ვარჩევ...

ლივია. მე მომანდუ. ნუ გეფიქრება.

როლანდი. მაინც...

ლივია. რა გინდა?

როლანდი. სათქმელი მაქვს.

ლივია. ვიცი, რას მეტყვი.

შენ ჩემი თავი მოგესურვა, ჩემთან დაწოლა!..

კარგად მიგიხვდი?

როლანდი. კარგად მიხვდი!

ლივია. დაწვები კიდევ!

მეტი რა გინდა? აღარ წახვალ?

როლანდი. გული აქ მრჩება.

ლივია. უნდა გამოვტყდე, მართლაც კარგი ბიჭი ყოფილხარ.

(შემოდინან ბიანკა და მარია)

აჰა, ჩემი დაც. ახლა წადი, გემუდარები.

ერთსაც გაკოცებ! სამი დღეც და შენი გავხდები.

ამბებს ხშირხშირად შემოგითვისლი. ახლა მშვიდობით.

როლანდი. მშვიდობით იყავ.

(გადის)

ლივია. სულელი! როგორ მოიწყინა. უმაღლ მოგკვდები,

თავს ჩამოვიხრჩობ, ოღონდ მაგას არ ვაწყენინო.

ბიანკა. არა, მარია. თუ ახლავე არ დამიჯერე,

მაშინ სიხარულს საბოლოოდ დაემშვიდობე,

ეს შენი კდემამოსილება და მორჩილება,

ეს დარცხვენა და მოკრძალება იმის ხუმტურებს,

იცოდე, გრდემლად გაუხდება, და მთელ სიავეს,

იგი ამ გრდემლზე დაიურვებს.

რაკიდა ერთხელ აიწყვიტა იმ პირველ ცოლთან,

დღემდე მაგისი დაოკება ვეღარ მოხერხდა...

მეტი რა გითხრა, შენ თვითონვე აწონ-დაწონე.

მარია. რა გაეწყობა, ამ უფსკრულში რაკი ჩავეშვი,

მორჩა, დარცხვენა-მოკრძალებას არც გავიკარებ,

და მანან ზღაპრულ სასწაულს არ დავატრიალებ,

იმ ძველ სათნო და წყნარ მარიას ვეღარც იხილავთ.

ჩემს სულში ახლა ქარიშხალი აბორგებულა,

და ვით მძვინვარე ქარიშხალი ანგრევს ყველაფერს,

მეც იმგვარადვე მოვსაძობ, რაც კი გზაზე შემხვდება,  
ვიდრე ცხოვრებას ჩემს გემოზე არ დავალაგებ.

ბიანკა. ეს კი მართლაც მწამს! ვაჟკაცობამ თუ არ გიმტყუნა.

მარია. ნუ გეშინია, არ მიმტყუნებს. მშვიდობით ჩემო  
მოკრძალებავ და მორჩილებავ. მორცხვმა და სათნო  
ქალიშვილებმა მე მომბაძონ ამიერიდან.

ბიანკა. აგერ შენი და...

მარია. საპატარძლო ბერიკაცისა.

ბიანკა. რომელსაც თვითონ ახალგაზრდა შექყვარებია.

მარია. მით უფრო კარგი.

იმაზე უფრო საშინელი რა უნდა იყოს,  
როს საქორწინო სარეცელში გაიძულებენ  
გულგაღუულმა საათების ზანტი სვლა თვალო,  
ხოლო დილით კი დამშეული წამოდგე ზეზე?!

ლივია. სად გისწავლია ეს სიტყვები? სადა ყოფილხარ?

მარია. ეკლესიაში! დაჯქორწინდი, ცოლი შევიქენ.

ლივია. ზედვე გეტყობა — ასე სათნო, მოკრძალებული!

მარია. ნეტა რას მიედ-მოუდები! ეს მოკრძალება  
იაფად ფასობს — ქინძისთავსაც კი ვერ გიყიდის.

ლივია. ღმერთმა დაგვიხსნას!

მარია. რისგან უნდა დაგვიხსნას ღმერთმა?

ბიანკა. ლივიასთანა მოკრძალებულ ქალწულებისგან!

ლივია. გაგიჟდნენ ნეტა?!

მარია. კო, გავეგიჟდით. და ეს გახსოვდეს,  
შენც თუ ჩვენსავით არ გაგიჟდი, ჩემო დაიკო,  
ალარ გვინდიხარ, არ გიწამებთ აღარასოდეს.

ლივია. ნეტა ვიციოდე, სად უშიზნებს?

მარია. კარგად დაფიქრდი  
და შენ თვითონვე გამოიყნობ.

ლივია. მგონია, მივხვდი.

მარია. დამეხმარები ამ საქმეში?

ლივია. არა, მარია,  
მე შენს განზრახვას კარგად მივხვდი და, თუ ღმერთი გწამს,  
მაგას ნუ იზამ. გირჩევნია ბედს დაყაბულდე,  
და მორჩილებით შეუგორდე ლოგინში ქმარსა.

მარია. ლოგინში? არა, ვარსკვლავები სხვაგვარად სჯიან:  
მარია ისე არ იგემებს მის მხურვალეებას,  
(რას გადმოკარკლე ეს თვალები, რა მოგივიდა?)  
მანამ იმ ურჩხულს გულმოწყალე კაცად არ აქცევს.  
ლაგამს ამოვდებ პეტრუჩიოს!

ლივია. ტყუილად ფიქრობ!..

მარია. მაგასაც ნახავ, ჯერ მადროვე! მანამ ბალდივით  
არ ვაჭიკტიკებ ჩემს ნებაზე, ზედ არ შევხვდავ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შუბლს არ გავუხსნი... და თუ კოცნას ეღირსოს ჩემგან,  
მაშინ მე თვითონ არ ვეღირსო ბედნიერებას.

ლი ვ ი ა. უცნაურია შენი ფიცი!

ბ ი ა ნ კ ა. დე, ძალა მოგცეს,  
რკინის სიმტკიცე მოგანიჭოს იმ სისასტიკემ,  
რითაც ვულქვა და მხეცი ქმრები გაჩენის დღიდან  
თავიანთ ცოლებს მოპყრობიან! ვაჟკაცურად სჯი!



მ ა რ ი ა. ვაჟკაცურადვე შევასრულებ ანდა მოვკვდები.

ლი ვ ი ა. დაფიქრდი მაინც, რის იმედით? ვის ეურჩები?  
ასევე სჯიდა პეტრუჩიოს პირველი ცოლიც!

მ ა რ ი ა. ის ბრიყვი იყო და ბრიყვულად მოიქცა კიდევ!  
გამბედაობა აღარ ეყო — მარტო სურვილმა  
ვეღარ უშველა. მე სხვაგვარად ავაცუნცრუკებ.

ლი ვ ი ა. შენც გჯერა ესა?

ბ ი ა ნ კ ა. მოვკვდე მაშინ, თუ არ მჯეროდეს!

ლი ვ ი ა. ბარემ ავდგეთ და ამოვიცვათ კაცის შარვლები!

მ ა რ ი ა. ყოჩაღ! ახლა კი ლამისაა ქალს დაემსგავსო.

ლი ვ ი ა. მე მაინც გირჩევ, ფრთხილად იყო.

მ ა რ ი ა. რას როშავ, გოგო!

ხომ ასეთია პეტრუჩიო: რამდენი ქალი  
იმას ცხენივით უხედნია და მოუთელავს...

ლი ვ ი ა. ჰეი. ჰეი, სად გაუტიე?!...

მ ა რ ი ა. ხომ გავარდნია

ქვეყნად სახელი ჭირვეულის მომრჯულებლისა;  
აგერ, თქვენ თვითონ დაინახავთ, თუ შევეპუო,  
თუ ფეხებზე არ დავიკიდო ცოლქმრული წესი,  
და თუ ბალღივით არ მოვსდრიკო, რომელსაც შემდეგ  
კბილგაცვენილი და ჩიფჩიფა დედაბერიც კი  
თავის ნებაზე აჩინდრიკებს.

ბ ი ა ნ კ ა. შთამომავლობა

არ დაივიწყებს მაგ შენს ამაგს.

მ ა რ ი ა. მეც მაგას ვცდილობ.

ლი ვ ი ა. სისხლისმწოველ ქმრებს მეც ვერ ვიტან, რა დაგიმალოთ,  
და მზად ვიქნები გამეტებით...

ბ ი ა ნ კ ა. დაადგა რქები?

მ ა რ ი ა. რატომაც არა, თუკი ამას დაიმსახურებს!

ლი ვ ი ა. ეჰ, სჯობს წავიდე. ღამე ნების! თქვენზე ვილოცებ.  
და თუკი მართლა შეასრულე, რაც განგიზრახავს,  
მაშინ გახდები ჭეშმარიტად წაბაძვის ღირსი.

(გადის)

(შემოდის ჟაკი)

ჟ ა კ ი. ჩემი ბატონი... რაღა თქმა უნდა...

მარია. შენი ბატონი როგორ არის, რაღა თქმა უნდა,  
ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

ქაკი (თავისთვის). ოჰო, შეხედე!..  
ჩემი ბატონი სახლში იცდის... რაღა თქმა უნდა...

მარია. იცადოს მერე,  
ვინ დაუშალა?!

ქაკი. სახლში იცდის და ელოდება  
ამ წვეულების დახმარებას, რაღა თქმა უნდა,  
რათა შემდეგ თქვენ მოგინახულოთ...

მარია. მე ხომ ავად არა ვარ!

ქაკი. მე ის მსურს გითხრათ, რომ საწოლი, რაღა თქმა უნდა,  
აჩვენოთ ბატონს.

მარია. მე რა — მისი შეჯინიბე ვარ?!  
წუხელ სად იწვა, აღარ ახსოვს?.. რაღა თქმა უნდა.

ქაკი. ქვედა სართულზე.

მარია. მაშ, დერეფანს დაუყვეს თავქვე.

ქაკი. თქვენ ისევ ხუმრობთ, ქალბატონო, რაღა თქმა უნდა.  
თქვენს საწოლ ოთახს მოგახსენებდით.

მარია. მერე ხუმრობას რა სჯობია, რაღა თქმა უნდა,  
მაგრამ თუ მართლა გსურს, გაიგო, მე სადა მიძინავს,  
თან გამომყევი, და რასაც ჩემს ოთახში ნახავ,  
მერე შენს ბატონს გადაეცი.

ბიანკა. ქაკ, გამოგყევი.

(მარია და ბიანკა გადიან)

ქაკი. ჰა, რაო, რაო? ამ კარიდან უბერავს ქარი?!  
მაშ, ავდარს უნდა მოველოდეთ, ღვთისმშობლის მადლმა.  
მე ამ ქალების მანჭვა-გრეხა თვალში არ მომდის:  
მთელი დღე ასე თავს გიჟივით აქიცინებენ,  
ხან ჩურჩულებენ ერთმანეთში, თვალებს პრაწავვენ,  
ასტეხენ ხითხითს, ტკარცალებენ, ასე ჰგონიათ  
საწადელს უკვე მიაღწიეს!  
ამასაც თუ ქორწილი ჰქვია! რის ქორწინება!  
მოტყუებაა, თაღლითობა, ყალთაბანდობა,  
ოღონდ მარჯვედ და ჭკვიანურად მოფიქრებული,  
ანკი რას უნდა მოელოდე ამ ქალებისგან?!  
მათი ხელობაც ეგ არ არის? არაფერია,  
ჩემი ბატონი მაგათთანებს ბევრს შეხვედრია,  
არა მგონია, რომ ამათაც ვერ მოუაროს.  
თუ ვერ მოუვლის, მე რას ვიზამ, თავს დააბრალოს.

(გადის)



პეტრუჩიოს სახლის წინ

(შემოდინ მსახურები, რომელთაც ხელში ჩირაღდნები უჭირავთ, პეტრუჩიო, პეტრონიუსი, მთროშო, ტრანიო და სოფოკლი).

პეტრუჩიო. ვისაც ცოლი გყავთ, ბატონებო, სუყველას გიწვევთ და სანაძლეოს ჩამოვდივარ — ვინ ვის აჯობებს!

მეჩვენებენ  
ბიბლიოთეკა

სოფოკლი. ამაღამინდელ დოღზე ბრძანებით?

პეტრუჩიო. ამაღამდღელზე.

სოფოკლი. ოცშილინგიან ხელთათმანებს ვდუბ სანაძლეოდ — რომ ვერ გამასწრებ, ვერ მაჯობებ.

პეტრუჩიო. მომეცი ხელი სხვები? სხვები? რას ჩაგივარდათ ნეტა ენა, სუყველას გიწვევთ!

მთროშო. ახურებულთ ვაუბატონო, ხომ ბებური ვარ, სადღოლე მინდორს თუ ვედირსე, მე მკითხეთ მაშინ, რანაირად გავაჯირითებ! ყველას გაჯობებთ.

პეტრუჩიო. რისი იმედით? მაგ შენს საათში სილა ჯერაც არ ჩამოთავდა?

ტრანიო. ერთი მაგარი ცხენი შეგხვდეს — ხომ სულმთლად დაგფშვნა!

ლოცვის თქმაზეც კი სუნთქვა გეკვრის, ქოშინი მოგდის.

პეტრონიუსი. ამათ შეხედე — არ წაგვჭამეს ტრაბახიო თავი! ჩქარა! ლოგინში მიგვლიან, სიძე ბატონო, აქ ჯირითს გიჯობს იქ ივარგო, არ გაიშხლართო!

პეტრუჩიო. შენს ქალიშვილზე დიახაც რომ გავიშხლართები. და ისევე მედგრად წამოვდევები, თუკი ვრბოში კარგად ჩაშუშულ ძირთეთრასა და კვერცხის გულებს, როგორც ამბობენ, მართლაც ისე დაუჯერებათ.

პეტრონიუსი. ამ ბრტყელ-ბრტყულ სიტყვებს მოეშვი და საქმეს მიხედე! დილისთვის თოკზე გადასაკიდს დაემსგავსები — კინგსტონში ხატზე გამოსახულ წმინდა გიორგის, ვისაც გამწყრალი გველეშაპი ასდევნებია და კუდს უღერებს, უტყაპუნებს სიზარმაცისთვის.

ტრანიო. შეხედეთ ერთი, როგორ ჩაქრა და ჩაიფერფლა...

პეტრუჩიო. რა გაეწყობა, იქნებ მართლაც მომეჭრას თავი, ასეთა რამე ქვეყანაზე ვის არ მოსვლია! და თუ მეც ასე შერცხვენილი ავდექი დილით, ეს არ იქნება არც პირველი თავის შერცხვენა და არც ბოლო და უკანასკნელი! ისე კი საცდელს არ დავაკლებ.

(შემოდის ჟაკი)

ჩემი ლამაზი ცოლი უკვე დაწვა ლოგინში?

ჟაკი. არა, ბატონო.

პეტრონიუსი. რაო? ჯერაც არ დაწოლილა?

მაგას ვაჩვენებ!.. ქალწულებთან საქმის დაჭერა  
ჯოჯობეთია... თუმც ვინ იცის, ქალწული კია?

პეტრუჩიო. ყელს გამოვლადრავ!.. თქვენს კანონებს არც კი მივხედავ!  
წამო, წავიდეთ.

ჟაკი. წახვალთ, მაგრამ არ შეგიშვებენ.

პეტრუჩიო. როგორ?

ჟაკი. ბუსრის მილიდან თუ ჩაძვრებით, ანდა ფანჯრების  
ჭუჭრუტანიდან თუ შეადწევთ, მაშინ რა მეთქმის!..  
თუმც კარიდანაც შებრძანდებით... თუკი შეამტვრევთ.

პეტრუჩიო. ნეტა რას მიედ-მოედები!

ჟაკი. სიმღერაშიაც აკი ასე არის, ბატონო.

მანამ არ შეწყდეს წვიმაო,  
ფეხს ვერ შემოდგამ შინაო.

მთელი ერთი თვის სანთვაგე შოიშარაგეს,  
ყველა სარკმელში თოფის ლულა გამოაყუდეს,  
ხოლო კარები გააშაგრეს ურდულებითა.

პეტრუჩიო. ბევრი დალიე?

სოფოკლი. წამო, წავიდეთ. ვერ უყურებთ, გადაკრულშია!

ჟაკი. გადაკრულში ვარ, ასე იყოს. ოღონდ გახსოვდეთ —

სიფრთხილე გმართებთ, ბატონებო. მეტს კრინტს არ დაუძრავ.

სოფოკლი. წავიდე, ერთი, შევამოწმო.

(გადის)

პეტრონიუსი. რაო, კარები ჩაკეტესო?

ჟაკი. დიახ, ჩაკეტეს.

და ურდულებად გაუყარეს, ჩემო ბატონო,  
ორი ისეთი ღვარძლიანი და მწარე ენა,  
დედამიწა რომ მოიართო, მსგავსს ვერას ნახავთ.  
თუ საბოლოოდ საქმე მიდგა დაზავებაზე,  
ალბათ უცნაურ პირობებსაც წარმოადგენენ...

პეტრუჩიო. ნეტა, რას ამბობ? როგორ? იქნებ... ხომ არ გგონიათ...

თუ ვინმე უცხო ვაჟბატონი მიუძვრა ჩემს ცოლს?

ჟაკი. დიახ, ბატონო, კარგად მიხვდით, თანაც მესანგრე.

მოროზო. რაო, მესანგრე? მაინც ვინა?

ჟაკი. ბიანკას თავად უკისრია მთავარსარდლობა,

უკვე აღმართეს იმნაირი ციხე-სიმაგრე,  
სპინთლა მასთან გეგონება უბრალო ბორცვი.  
მე ხომ ღარიბი და არაფრის მქონებელი ვარ,  
ნებას თუ მომცემთ, მთელ ჯამაგირს ნაძლევად დავდებ:  
მთელი ძალებით რომ მიეჭრათ და შეუტოთ,  
და მიაყოლოთ იმ თქვენს ძალებს არტილერიაც,  
სამ ღამეს მაინც ვერ აიღებთ თქვენ იმათ ციხეს.


(შემოდის სოფოკლი)



პეტრუჩიო. რა ხუმარა ხარ, ჩემო კარგო ჟაკ!  
სოფოკლი. უნდა გავბრუნდეთ. მაგ ციხეს ჩვენ ვერას დავაკლებთ!  
ჟაკი. ახლაც მთვრალი ვარ?!

სოფოკლი. თუ გული გერჩით, კი ბატონო... მიბრძანდით, სცადეთ,  
თქვენც დაგაცხრობენ!.. ძლივძლივობით გამოვასწარი.

პეტრუჩიო. ხომ არ გაგიჟდით — ქორწინების პირველ ღამესვე  
მე გარე-გარეთ ვილაყუნო?! პირუტყვი ვიყო,  
გამაგდეთ ბარემ საძოვარზე და ის იქნება!  
ისე შევუტევ!.. გამომყევით, თუ შეგერჩათ ძალა.



სოფოკლი. თუ ჩემნაირი შერცხვენა გსურთ, მაშინ მიბრძანდით...  
სადაც თქვენ საწოლ ოთახს ელით — მტრის ბანაკია,  
ყველა სარკმელში ზარბაზნების ლულები მოსჩანს,  
ხოლო რით არის დატენილი ის ზარბაზნები,  
მაგას სულ მალე თქვენს საკუთარ თავზე გამოსცდით.

პეტრუჩიო. გამარჯვებასაც მეტი ფასი ექნება მაშინ.  
(ზემოთ, ფანჯარაში, მარია და ბიანკა გამოჩნდებიან).

მორთო. ეგერ, გამოჩნდნენ სათათბიროდ მტრის ბანაკიდან!  
გონს ვერ მოვსულვარ, ეს რა ხდება! თმა ყალყზე მიდგას!

პეტრუჩიო. რას ჩაკეტილხარ, შვილო, სახლში? რა მოგივიდა?!

მარია. გადავწყვიტე, რომ საიმედოდ ვიყო დაცული.

პეტრუჩიო. ვისგან, ძვირფასო? ვინ გაბედავს შენ წყენინებას?!  
ხომ არ გგონია, სახლში ჯიქურ შემოგივარდე?!

მარია. ისე გავმაგრდი, მაგას ღმერთით, ვერც მოახერხებ.

პეტრუჩიო. მიგიხვდი, განა: ქალწულობას ველარ ელევი —  
ორიოდ ღამით კიდევ გინდა შეინარჩუნო.

მარია. ორი ღამითო?... იქნებ ათით, ოცით, ასითაც...  
მანამ თვითონვე არ ვინდომებ შენთან დაწოლას.

სოფოკლი. პა, პა, პა, პა, რას გააღმასდა!  
მორჩა, დღეიდან ვერ ვენდობი წყნარ დედაკაცებს.  
თუ აიწყვიტეს, მტრისას მერე, ველარ დააბამ.

პეტრუჩიო. როგორა ბრძანებთ? მანამ თვითონ არ ვინდომებო?  
ნეტა ასეთი ვინა მყავხარ, შენ, ქალბატონო?

ბიანკა. ვინა და ცოლი კოხტაპრუწა ვაჟბატონისა.

პეტრუჩიო. თქვენ ვილა მყავხართ? თქვენც გამიხდით აქ მბრძანებელი?!

მარია. თანაც მთავარი მბრძანებელი — ნუ დაივიწყებთ!

ბიანკა. ახლა ბრძანებაც მოისმინეთ: ცოლს მოასვენებთ  
და ქუჩა-ქუჩა, გარე-გარე ივლით ამაღამ.

მარია. ხვალე ღამითაც... ზეგ ღამითაც!

პეტრუჩიო. ნეტა რას ბოდავ?

მარია. ასეა, მამა, თუ არ მოსწონს ჩემი პირობა,  
მაშინ ვედარც კი ეღირსება შინ შემოშვებას.

სოფოკლი. აი სიტყვები! ეს კი მართლაც მწამს!

ტრანიო. ხომ გაიგონეთ —  
ენაწყლიანი ცოლი შეგხვდათ, ღმერთს უმადლოდეთ.



პეტრუჩიო. ნეტავი სულ არ გამეგონა, სმენა დამხშოდა.  
სოფოკლი. ეს ვინ ყოფილა — სულ ტყუილად არ ვიბრალებდით.  
რა სცხია ამას სათნოების, როგაპ დედაკაცს!

პეტრუჩიო. მე მაინც იმას ვიმედოვნებ, რომ გაგვეხუმრე...  
მარია. ღმერთმა იმედი ნუ მოგაკლოს!..

პეტრონიუსი. მეც ასე მჯერა,  
რომ აქ ჩამოხვალ...

მარია. მეცა მჯერა, რომ არ ჩამოვალ.

პეტრონიუსი. მაშინ მე თვითონ ჩამოგატრევ.

ბიანკა. მაგას ვერ იზამთ,  
თუნდ მოგვაყენოთ ამ საგრაფოს მთელი მხედრობა.  
ჩვენ თვითონ თუ არ მოგვესურვა, ვერ ჩამოგვატრევთ.

მორთო. ღმერთო, მაშორე ამნაირი დაქორწინება!

პეტრუჩიო. მითხარი მაინც, რა შეგიჯდა, რა მოგელანდა,  
ასე უხამსად რომ მექცევი, ჩემო მარია.

ძალათი ხომ არ შემიერთვისხარ? ის კი არადა,  
ამ ჩვენს ცოლქმრობას ჩემზე უმალ შენ ოცნებობდი.  
იქნება შიშობ?! ფიქრი ნუ გაქვს — მე ისევ შემრჩა  
ძველი გზნება და სიხალისე...

რა ბრძაყებაა — წმინდანი ხომ არა გგონივარ?!  
ვერ დავიჩემებ, სრულყოფილი კაცი ვარ-მეთქი,  
მაგრამ სიბერე ჯერ შორსაა, არც ძაბუნი ვარ,  
ჯანი კვლავ მომდევს და წამლებსაც არ ვსაჭიროებ:  
ოჯახისა და ქმრის ერთგულ ქალს რაც მოუნდება,  
ნუ გეშინია, გულს არ დაუწყვეტ და არ მოვაკლებ.

მარია. ვიცი, ბატონო.

პეტრუჩიო. ყველამ იცის, ჩემი ქონების  
და ხალხში თავის გამორჩენის არ მერცხვინება...

მარია. არ გედავები. თუნდა ვიყო გაუთხოვარი,  
მდიდარ-მდიდარი საქმროებიც რომ მეძლეოდეს,  
ტალიკ-ტალიკ ვაჟკაცები, და პეტრუჩიო  
გამომეცხადოს თუნდ პერანგის ამარა მაშინ,  
ჯიბეში ათი გახვრეტილი შილინგი ედოს,  
ისიც მღვდლისათვის მისაცემი ჯვრისწერის ფასად,  
ღვთისმშობლის მადლმა იმ ვაჟკაცებს ზურგს შეგაქცევდი  
და მაშინაც კი პეტრუჩიოს მივთხოვდებოდი.

პეტრონიუსი. მაშ, რა თავს იგდებ, რა სიგიჟემ წამოგიარა — ამ ფანჯარაში  
გაკოტრებულ მეწისჭვილეხავით რომ გადმოყუდებულხარ?!

პეტრუჩიო. თუ ასე არის, აქ ჩამოდი, ჩემო მარია,  
და ახლა საქმით დამიმტკიცე ეს სიყვარული.

მარია. არა, ბატონო, ჯერ მოვრიგდეთ ზოგ რამეებში,  
თქვენ კი მანამდე მანდ იდუქით.

ბიანკა. ყოჩაღად, ქალო!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

უფრო თამამად ითამაშე —

ყველა კოზირი შენს ხელთ არის!

ს თ ფ რ კ ლ ი. მათხოვრობაში გამძვრეს სული, თუ ამ ორ როკაპს მეტი არ ჰქონდეს თაღლითობა, ვიდრე მთელ საქალეს.

პეტრუჩიო. რა თავსატეხი გამიჩინე — ველარ მივმხდარვარ: გიყვარვარ კიდევ... არც გიყვარვარ...

მარია. დიახ, ბატონო,

მანამ ამ საკითხს არ გადაწყვეტ, არც გაგიკარებ!

პეტრუჩიო. ენას თუ აღარ გააჩერებ, მე გავცოფდები.

მარია. მაგას რაღა სჯობს, მაშინ სულაც არ გაჩუმდები.

პეტრუჩიო. გაჩუმდი-მეთქი, ნუ გაგიფიდი, გაფრთხილდი, ქალო — ნუ დაგავიწყდა, რომ მე ისევე პეტრუჩიო ვარ.

მარია. მე კიდევ უფრო უარესი — მე ის ქალი ვარ,

ვისაც მაგ თქვენი პეტრუჩიოს არც გაცოფების

და არც სახელის ოდნავადაც არ ეშინია;

ვინც არასოდეს თავს არაფის დააჩაგვრინებს.

ხომ გაგაფრთხილე?! ახლა უფრო კარგად გამიცან.

პეტრუჩიო. თუ მართლა ასე იმარჯვებ და თუ გამაგრდები, მე რაღა მეთქმის...

ბიანკა. იმარჯვებ და გამაგრდებიო!

სიმარჯვეცა და გამაგრებაც შენ გმართებს ახლა.

პეტრუჩიო. ხმა ჩაიკმინდე, ენაქარტალავ!...

პეტრონიუსი. ნუ გაიკრიფე, ქალო, ენად, დაბლა ჩამოდი, შვილის უსიტყვო მორჩილებას ნუ დაივიწყებ.

პეტრუჩიო. რაც შეგიცოდავს, გაპატიებ, ოღონდ ჩამოდი!

მარია. შენი უფლებამოსილება აკი ტაძარში

გადაულოცე ჩემს მეუღლეს, ძვირფასო მამა.

ნეტა რაღას მთხოვ? დღეის იქით შენ შეგიძლია

ელოდო ჩემგან მხოლოდ ხათრს და პატივისცემას.

გცემ კიდევ პატივს, რაღა გინდა, ოღონდ დამლოცე —

ტკბილი ძილი და მოსვენება მისურვე ახლა.

პეტრონიუსი. მასხრად არ გვიგდებს! ბედი შენი, ხელს ვერ მოგაწვდენ.

თორემ მე ისე დაგლოცავდი, როგორც ეშმაკი

დალოცა ერთხელ წმინდა დუნსტანმა —

ჩამოგათრევდი ცხვირით დაბლა.

ბიანკა. ასე ღრიალი

წმინდანს რომ სულაც არ შეჰფერის! ცოტა რევანდი

მართლაც მისწრება იქნებოდა ძილის წინ თქვენთვის.

პეტრუჩიო. რაკი უფლება მამისაგან მე გადმომეცა,

კარი გამიღე, მარია, და დამემორჩილე,

თორემ საცაა გავცოფდები!

მარია. რას უცდი მერე?

გამოიყენე ეს უფლება!

პეტრუჩიო. გამოვიყენო?!



რადანაირად, თუკი სახლში არ შემომიშვებ.

კარი გამიღე და მე ვიცი!..

ბიანკა. რას ბაქიბუქობთ?!

მარია. ისე, ბატონო, უფლებაზე თუ მიდგა საქმე —  
შენც იმდენივე გმართებს ჩემი, რასაც თხოულობ.

პეტრუჩიო. რას მევაჭრები, შემომიშვი და გავასწოროთ  
ანგარიშები ერთმანეთში. მე, ჩემდა თავად,  
რაც კი რამ მმართებს, გადაგიხდი დაუყოვნებლივ.

მარია. დაბმულ ცხენივით ნუ გაფიცხდი. შენ რომ მოითხოვ  
პატივისცემას ახლა ჩემგან, მე თუ მაქვს ნება,  
რომ შენც მოგათხოვო იმგვარივე პატივისცემა?

პეტრუჩიო. გაქვს, როგორ არა.

მარია. მაშინ მოვითხოვ — უფლებების, პატივისცემის,  
თუ ნების ძალით — როგორც გინდა, ისე უწოდე —  
ამ სისულელეს დაანებო ახლავე თავი,  
მეც ზომასვენო და შენც წახვიდე დასაძინებლად.

პეტრუჩიო. რითი ვუშველოთ ჩვენ ამ საქმეს?

პეტრონიუსი. კეტებით მხოლოდ!  
ოი, აქ მომცა შენი თავი, რას ავაჭრელებ!

ბიანკა. მადლობა ღმერთს, რომ აღარ შეგრჩათ არც ერთი კბილი!

პეტრონიუსი. ამნაირ ჯანყს და ამბოხებას კაცობრიობა  
არ მოსწრებია, როგორც ვიცი, ტირონის შემდეგ.

მარია. თუ წესიერად მოიქცევი, არ გამაბეზრებ,  
მეც თუ მანამდე გადამივლის უგუნებობა,  
თან მეგობრებიც თავდებად თუ დაგიდგებიან,  
იქნებ ამ ერთი-ორი კვირის შემდეგ მოვლბე და  
გაკოცო კიდევ, ხოლო ზოგჯერ შენც გაკოცნინო.  
გამიგე ახლა?

სოფოკლი. ჰოი, ბიჭო, რას გაუტია!

პეტრუჩიო. არა უშავს რა, კაბა ბევრია ქვეყანაზე.

მარია. მადლობა ღმერთს, რომ არც შარვლების ნაკლებობაა.

პეტრუჩიო. ასე მგელივით მოშივებულს რა დამაძინებს.

მარია. ივანშმე, სადაც მოგესურვოს. ოღონდ მომეშვი.

ბიანკა. იმ თქვენს მერძევე დედაკაცებს ესტუმრეთ ჩქარა,  
დაგანაყრებენ თქვენს გემოზე, ოღონდ ეცადეთ,  
მოსართავეები რიგიანად შემოუჭიროთ,  
არ მოგიცურდეთ უნაგირი და არ დაშავდეთ.

პეტრუჩიო. ახლა კიდევ რომ ჩამოხვიდე, მომეალერსო,  
მამაკაცების დამათრობელ კოცნით დამფარო,  
მაგემო სიტკბო საქორწინო სარეცელისა,  
ჩემს ასავზნებად ათასფრადაც რომ შეიცვალო, —  
მაინც ასეთი უგრძნობელი, ცივი, გულგრილი,



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ასეთი მძიმე და მოძულე დავრჩები შენი.  
 ღმერთს თქვენთვის ჭკუის ნატამალიც არ მოუცია,  
 ქალების მთელი ძლიერება სილამაზეა,  
 მაგრამ, ეს თქვენი სილამაზე რას ემყარება?  
 აბა, მოგაკლდეთ აბრეშუმში, ფერ-უმარილი,  
 თერძი, შიმშილით მკურნალობა!.. დამხრჩვალ კატებს  
 დაემსგავსებით.



ქართული  
 ბიბლიოთეკა

მ ა რ ი ა. ვერ მოგართვს! ჩვენ იმას ვგავართ,  
 ვინც მოგვაგვლინა ქვეყანაზე — ბუნებას ვგავართ,  
 სიმშვენიერით, სიუხვით და დიდებულებით...  
 მამაკაცების მოსახიბლად ვშობილვართ ქვეყნად,  
 და სილამაზე ისე უხვად გვიბოძა ღმერთმა,  
 რომ ჩვენგან მონურ ნორჩილებას ვერც ეღირსებით.  
 ბაჯალლო თქროდ გავჩენილვართ ამ ქვეყანაზე,  
 მაგრამ როგორც კი ქმრის ტვიფარი მოგვეკარება,  
 როცა ეს თქრო ქმრის თუნუქთან აითქვიფება,  
 სირცხვილისაგან სპილენძივით ვწითლდებით მაშინ,

პ ე ტ რ უ რ ი ო პირიქით, მაშინ ემსგავსებით ადამიანებს!  
 ხოლო მანამდე ქალებს სულიც არ გაგაჩნიათ.  
 ახლა მშვიდობით, გამომყევით თქვენ, მეგობრებო.  
 ამალამ უნდა ვიშარხულოთ, როგორც წესია...  
 თუ ამოვიდე შენთან მაინც? კარებს გამიღებ?

მ ა რ ი ა. არა, ბატონო.

პ ე ტ რ უ რ ი ო. ასე იყოს! თლონდ იცოდეთ,  
 ვერ ეღირსებით მანდ ვერც საჭმელს, ვერც ცეცხლს და სანთელს!  
 გაძალღებულებს გაყურყუტებთ, სულს ვერ მოითქვამთ!..  
 რას იტყვით, კიდევ აჯანყდებით? ახია თქვენზე.

ბ ი ა ნ კ ა. ძალიანაც ნუ იქაჩები. მაგას სჯობია  
 დამძვიდებული გაბრუნდე და ტკბილ ძილს მიეცე.  
 ერთი თვის ალყაც ვერ შეგვარყვეს, ნუ გეფიქრება...

მ ო რ ო ზ ო. მაშ ბარაქალა შენს ქალობას!

მ ა რ ი ა. ნულარ ზოზინებ,  
 ბარემ წადი და დაიძინე შენ, პეტრუჩიო.  
 თქვენც, ბატონებო, თქვენც წაბრძანდით. თორემ მამაჩემს  
 არ შეუძლია ღამის ტეხა. სხვა დროსაც გუნახეთ.  
 ათიოდე დღეს, თუ მეტს არა, აქვე ვიქნებით,  
 და მანამ ჩვენსას არ გავიტანთ, აღარც გამოვალთ.

პ ე ტ რ უ რ ი ო. თავს ყულფში გავყოფ, შენსას კი არ გაგატანინებ.

მ ა რ ი ა. მე კი ამკუწონ ასო-ასოდ, თუ პეტრუჩიოს  
 ცოლის რიდი და ცოლის შიში არ შევასწავლე!  
 ჩემი მიზანიც ეს გახლავთ სწორედ.  
 შენ დედაკაცის მომრჯულეებულს გეძახის ხალხი,  
 შიშის ზარსა სცემ ყველას, როგორც ცოლის მომდრეკი.

ახლა მაგ სახელს დედაკაცი წაგართმევს სწორედ  
და შენ თვითონვე მოგარჯულებს, შენ თვითონ მოგდრეკს.  
რას გადმოკარკლე ეს თვალები, რას დაიბღვირე,  
ის ქალი სწორედ მე გახლავარ, მე, მოგარჯულებ!..  
აგეწვათ, განა? არა. უშავს. ახლა მშვიდობით.  
ჩვენ ფხიზლადა ვართ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- ბ ი ა ნ კ ა. თუ გაბედავთ, შემოგვიტიეთ. (მარია და ბიანკა ფანჯარას მოშორდებიან).
- პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. სულში ეშმაკი შეძვრომიათ, თავს გეფიცებით.
- პ ე ტ რ უ ჩ ი ო. ეშმაკს ვაჩვენებ მაგ ალქაჯებს, ნახეთ თუ არა!  
ძველი ანდაზის სიბრძნეს კარგად შევაგნებინებ:  
„თუ არ გაინძერი, პურსაც ვერა სჭამო!“...  
გაჭენებული ტაიჭიდან არ ჩამომავდეს!  
ჩემთან, ო, ჩემთან, ბატონებო, ნუ მოშორდებით,  
ფეხს ნუ მოიცვლით — ვერა ხედავთ, მამაკაცების  
უფლებებს როგორ დაემუქრნენ! ალყა დაფარტყათ:  
ან ამოვხტოცოთ შიმშილითა, ან გავტეხოთ და  
გამოვაბრძანოთ შერცხვენილი, თავჩაქინდრული!
- პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. ყველა შესასვლელს ამოვხერგავ, იმ ფანჯრებს გარდა.  
შველა თუ სცადეს ქალაქელმა დედაკაცებმა,  
ბრძოლით უკანვე გავაბრუნოთ და არ მოვუშვათ.
- ს თ ფ ო კ ლ ი. მე იმ კუთხიდან ვუდარაჯებ.
- მ ო რ ო ზ ო. ჩემს რაზმეულს კი  
აგერ, სახლის წინ წავაწვენ და ჩავუსაფრდებით.
- ქ ა კ ი. (ჩუმად) ამ ხნის ბერიკაცს აბა დგომა სად შეგეძლება!
- პ ე ტ რ უ ჩ ი ო. სახლში შევბრუნდეთ, გავამზადოთ იარაღები!  
შევაფუცხუნოთ, გამოვრეკოთ იმ ბუნაგიდან —  
ნახეთ, მუხლებზე დაჩოქილებს რას მოვახსენებ!  
ქალების რისხვას მეძახიან, პეტრუჩიო ვარ,  
ქვეყანა ჩემზე ლაპარაკობს, და საკუთარი  
ქორწინების დღეს თავს არავის ავაგდებინებ!  
(გადიან)

#### ს შ რ ა თ ი I V

ოთახი იმავე სახლში

(სხვადასხვა მხრიდან შემოდინან როლანდი და პედრო)

რ ო ლ ა ნ დ ი. პედრო, დაიცა.

პ ე დ რ ო. არ მცალია, ჩემო ბატონო.

რ ო ლ ა ნ დ ი. საით გარბიხარ?

პ ე დ რ ო. მომიტევეთ, ჩემო ბატონო,

მაგრამ მე ჩემ თავს არ ვეკუთვნი.

რ ო ლ ა ნ დ ი. ხომ არ გაგიყდი!

პედრო. არა, ბატონო, მეჩქარება.

როლანდი. მეც ეგ არ გკითხე?

საით გარბიხარ, ასე საით მიგეჩქარება?

პედრო. საქმეს, ბატონო, რა გამოთვლევს! თქვენ უცოლო ხართ?

როლანდი. კო. არ შემირთავს...

პედრო. ნურც შეირთავთ!

როლანდი. ვითომ რათათ?

პედრო. თქვენც რომ იმნაირ ჭიანურს არ გადაეყაროთ,

რომელიც თავის გუნებაზე ავაცუნდრუკებთ.

(გადის)

პეტრუჩიო. ნეტა რას ბოდავს! ჟაკ!

(შემოდის ჟაკი)

ჟაკი. ბატონო. ბოდიშს კი ვიხდი,

დიდ პატივსაც გცემთ, ღმერთმა იცის, მაგრამ, ხომ ხედავთ,

ლამის ჩავიფლო საქმეებში...

პეტრუჩიო. სულ საქმე, საქმე!..

გამაგებინეთ, ხომ არავინ კვდება ამ სახლში?!

ჟაკი. ნეტა კვდებოდეს!

პეტრუჩიო. აღარ მეტყვი, საით გარბიხარ?

ჟაკი. გეტყვით, ბატონო, მოკლედ გეტყვით. ახლა გაგარბივარ,

რათა პაშტეტის, პუდინგის და შაშხის გაყიდვა

ავაკრძალინო ამ ქალაქში, რომ ქალაქელმა

დედაკაცებმა აჯანყებულთ არ შეუგზავნონ.

ახლა მშვიდობით!

როლანდი. ჩემი ლივია როგორღაა?

ჟაკი. თჩანი ჭაკივითაა! შესაჯდომად არ გამოდგება.

(გადის)

როლანდი. ნეტა ვიცოდე, რა ეშმაკი შეუჯდათ თავში!

შაშხი, პაშტეტი, ღვეზელი და ჭიანურიო?

ნეტა რას მიედ-მოედება!

(შემოდის სოფოკლი)

აჰა, სოფოკლიც!

სოფოკლი. სალაპარაკოდ არ მცალია. გთხოვთ მაპატიოთ.

როლანდი. ყველა რომ გარბი-გამორბიხართ, რა ამბავია?

შენ სად გარბიხარ?

სოფოკლი. დასაზვერად მივეშურები...

როლანდი. რაო?

სოფოკლი. დედაკაცების სანგრებს უნდა დავხედო, ერთი.

როლანდი. ვინ დავახედებს? მაგის ნებას ვინ მოგცემს ნეტა?!

სოფოკლი. არ გეხუმრებით.

როლანდი. სულ დავიბენი.

სოფოკლი. არ გაგიგიათ, პატარძალმა თავისი ქმარი

როგორ აღძრა და ააღელვა, ბატონო ჩემო?



როლანდი. მით უკეთესი, მაგას რა სჯობს, თუ ააღელვავა!  
სოფოკლი. რად გინდა მერე, სათოფედაც აღარ იკარებს!  
დგას და შორიდან უთვალთვალეებს, აღელვებული.  
თვითონ თთახში ჩაიკეტა. ახლა გავრბივარ,  
რათა ქალების საომარი მზადება ვნახო.



როლანდი. რას მეუბნები! მალლა ცაში რომ დამენახა  
ორი ლაშქარი ერთმანეთთან შერკინებული.  
არა მგონია, ამნაირად გამკვირვებოდა.  
ჩემი ლამაზი ქალბატონი ხომ არ გინახავს?

სოფოკლი. ახლახან ვნახე, იჯდა და ფიქრებს მისცემოდა.  
მერე, ეტყობა, გადაწყვიტა ერთბაშად რაღაც —  
გახარებული წამოვარდა... სიცილი წასკდა,  
და გამოიქცა, რომ მოროზოს არ შეხვედროდა.

როლანდი. ალბათ, ჩემკენ თუ გამოიქცა.

სოფოკლი. თქვენ არ წამოხვალთ?

როლანდი. არა.

სოფოკლი. მშვიდობით.

(გადის)

როლანდი. შენც მშვიდობა ნუ მოგეშალოს.

ნეტა ვიცოდე, რაზე იყო დაფიქრებული?  
რამ გაახარა — ისე უცებ რას წამოვარდა?!  
მე გამიხსენა ალბათ მაშინ!.. მაგრამ ვაითუ,  
იმ კუდწაჭრილმა და ბეხრეკმა ჭაკმა მოროზომ  
აცთუნა თავის ოქროებით, ხარახურათი?!  
ალბათ ერთბაშად გაუელვა — ხომ სულერთია,  
მაინც ხომ მალე ჩაძაღლდება ის ბეხრეკიო!  
და სწორედ ამის გაფიქრებამ გაახალისა.  
აჰა, აქეთკენ მოდის სწორედ!.. ეგერ, მოროზოც...  
როგორ შორიდან უთვალთვალეებს... მივესალმები.  
სალამი, ჩემო ქალბატონო.

(ერთი კარიდან ლივია შემოდის, მეორედან — მოროზო, სმენა გამახვი-  
ლებული აქვს).

ლივია (თავისთვის). მელა სოროში შეყუჟულა და მითვალთვალეებს. —  
ღმერთი გფარავდეთ, ჩემო ბატონო.

როლანდი. სად იყურებით უცნაურად?

ლივია. ჩემო ბატონო,

ჩვეულება მაქვს, როგორცა მსურს, ისე ვიყურო.

მოროზო (თავისთვის). მაგ სიტყვებისთვის მე დიდძალ ფულს გავიმეტებდი.

როლანდი. იქნებ არ მოგწონთ ის საგანი, რასაც შეჰყურებთ?

ლივია. კარგად მიმიხვდით?

როლანდი. ველარა მცნობთ? ველარ მიცანით?

ლივია. რამდენს ვცნობ, მაგრამ მერე ვნანობ, რად ვიცნობ-მეთქი!

როლანდი. რატომ გატეხეთ თქვენი ფიცი?

ლივია. პირდაპირ გეტყვით,

უწლოვანი ხართ, ხელს არ მომცემს თქვენთან კავშირი.  
 მორთო (თავისთვის). აი, მართლაც ჭკვიანი ქალი!  
 ლივია. უნდა ეცადოთ და ჭკუაში უნდა ჩავარდეთ,  
 სახეზე წვერს რომ მოუშვებდეთ, კარგი იქნება —  
 (ვის ეამება ბიჭბუჭების მშრალ კანზე კოცნა!)  
 ცოტა ლაზათიც შეიმატეთ...

მორთო (თავისთვის). შენ გენაცვალე!

ლივია. თუ მომესურვა ესპანური ხელთათმანები,  
 და ათ გირვანქად ღირებული კარგი კორსაჟი,  
 ან კოხტა ცხენი სანადიროდ, — ვინ იცის, იქნებ  
 წყალობის თვალით მოგხედო და მივიღო შენგან.

როლანდი. კარგი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ის მირჩევნია  
 სმითფილდში ერთი უხეირო ჭაკი ვიყიდო,  
 ზედ გადავჯდე და კისერი მოვატეხინო.

ლივია. თქვენ ჩემი ძველი ნაცნობი ხართ და სიკეთე მსურს.  
 ეცადეთ მალე დავაუკაცდეთ! ახლა მშვიდობით,  
 რაკი ასეთი საწყალი და უმწურო ჩანხართ,  
 შეგიჩვევთ სადმე პატიოსან მოახლე გოგოს  
 და ის გიმველით, სასარგებლო რამეს გასწავლით.

მორთო (თავისთვის). ჩემია, ჩემი! ვედარავინ წამართმევს, მორჩა! —  
 პრი, გოგონი, გენაცვალე!

ლივია. პოი, წიწილაჲ!  
 (სილას გააწნავს და გადის)

მორთო. — რათ?! ეს რა ქნა! — ვერ ვეწყობი ამნაირ ალერსს!  
 ღმერთი გფარავდეთ.

როლანდი. ეშმაკებსაც კი წაუღიხართ!..  
 (ცხვირს მოუგრებს)

მორთო. ოჰ!

როლანდი. ზომ მიიღე საჩუქარი სასიყვარულო?  
 მადლობის მეტი რაღა გეთქმის! (გადის)

მორთო. კაცი არ ვიყო,  
 თუ სხვისი ცხვირიც არ ვიხილო ამნაირ დღეში.  
 (გადის)

მთქმედება მორთო

სურათი I

ოთახი პეტრონიუსის სახლში.

(შემოდის პეტრონიუსი და მორთო)

პეტრონიუსი. ყურის ძირშიო, ასე ბრძანეთ?

მორთო. თანაც რა მაგრად!

გაშლილი ხელი ცხვირსაც მისწვდა და გამიბრტყელა...





პეტრონიუსი. იქნებ აუგად მოიხსენეთ!

მორთუო. არც ერთი სიტყვა!

პეტრონიუსი. ან ხელი ხომ არ შემოჰკარით?

მორთუო. ნეტავი მართლა!

საამაყოდაც მექნებოდა! მაგრამ, ბატონო,  
თავად გალახულს, რა ვქნა, რალა შეამაყება!

პეტრონიუსი. თქვენ მოთმინება იქონიეთ, მე გაგიკურნავთ.  
ზურგს ისე მაგრად ავუხურებ, ხელად მორჩება!

მორთუო. მეტიმეტია ეს, ბატონო, როგორ იქნება!

პეტრონიუსი. ამ გოგონების ჩასახვის დროს, სინდისსა ვფიცავ,  
ალბათ მთვრალი თუ ვიქნებოდი, — და განა ღვინით, —  
რა სათქმელია! ლუდგარეულ არყით დამთვრალი!..  
მიტომაც ასე არეული და დამთხვეული  
გამოდგნენ ბოლოს, თუმც დღემდე თავს იკატუნებდნენ.  
ის ბიჭიც ასე მოიშორა?

მორთუო. ესლა მამშვიდებს:

ვით სათამაშო ხის აჩუა, ისე გასწირა!  
არც კი შეხედა! თითქოს სულაც არა სცნობოდეს,  
თითქოს ისეთი არაფერი ეფიქროს მასზე!  
არადა აგერ სამი დღის წინ მე თვითონ ვნახე,  
ისეთი მადით დაეწაფა როლანდის ტურებს,  
გეგონებოდა, მოშიგდა და ხარბადა სჭამსო.

პეტრონიუსი. არ გაგვაცურონ!.. ბიჭმა რაო? რა უპასუხა?

მორთუო. ლამის იტირა!.. და გაიქცა, თავჩაქინდრული.

პეტრონიუსი. გამოგიტყდებით, ლივიასიც აღარა მჯერა  
თუმც მუდამ სათნო და მორჩილი გოგონა იყო...  
ანდა იქნება სილის გაწვნაც წყალობას ნიშნავს!

მორთუო. კარგა მაგარი წყალობა კი უბოძებია!

პეტრონიუსი. ნუ გეფიქრებათ! მღვდელს მე უკვე ველაპარაკე,  
და ორ საათში ჯვარსაც დაგწერთ. კმაყოფილი ხართ?

მორთუო. რალა თქმა უნდა!

პეტრონიუსი. მე მომანდეთ, ნუ გეფიქრებათ!  
მაგ ქალბატონსაც ისეთ მწარე-მწარეს ვაგემებ,  
მთელი ერთი თვე საწებელიც აღარ დასჭირდეს.

მორთუო. არა, ბატონო, ზედმეტია ეგ სისასტიკე.

პეტრონიუსი. რა ბრძანებაა..

მორთუო. მაგრამ უცებ რომ სიყვარულმა წამოუაროს,  
და ერთი მწარე ალიყური კიდევ მაჭამოს?!  
აკი ქალები ნაზ სიყვარულს ასე ავლენენ!

პეტრონიუსი. თქვენ რა გგონიათ, არც ეგ არის შეუძლებელი.

მორთუო. არც მე დავრჩები მაშინ ვალში: სამაგიეროდ  
ამალამევე, დამერწმუნეთ, ჩემი გახდება.

პეტრონიუსი. ამალამ მართლაც თქვენ გეკუთვნით.



ეროვნული

ბიბლიოთეკა

მორთო.

ხომ ბებერი ვარ,

ისეთს გავხდი, რომ თორმეტი თვე სულ კრუსუნებდეს!

პეტრონიუსი. ახლა წავიდეთ და პეტრუჩიო ვანუგეშოთ.

მორთო. ერთი მიბრძანეთ, ის როგაპი იმგვარადვეა

ურდულეგაყრილ ოთახებში გამოკეტილი?

პეტრონიუსი. იმგვარადვეა... და იმგვარად დარჩება, მანამ  
შინშილით სული გასძვრებოდეს... ეგ სხვა ქალებსაც  
გამოადგებათ გაკვეთილად; ამიერიდან  
ნახეთ, თუ ყველამ დიდ წყალობად არ მიიჩნიოს  
ქმრისთვის წადების თასმით შეკვრა და გაოფლილი,  
ნამგზავრი ცხენის დაურვება...



მორთო.

ო, მაშინ ნახეთ

ნეტარება და სიხარული.. მაგრამ, ბატონო,

არ გაგიგიათ — ხმები დადის, თითქოსდა ქალებს

გადაეწყვიტოთ აჯანყება, ქმრების გაჟუჟება...

პეტრონიუსი. ჟუჟვა და ჭყლეტა ჩვენა გვეითხონ — ისე მივაჭყლეტო

კედელზე ყველას, როგორც გინახავს!

ჯერ სამარცხვინო სკამს დავაკრათ — ზღვაში შევაგდოთ,

იქნებ კოლუმბის სიმამაცე გამოიჩინონ

და მორჩილების კუნძულები აღმოაჩინონ.

ნეტა ვიცოდე, რას გზოზინებთ. წავიდეთ ბარემ.

მორთო. წმინდა გიორგი შეგვეწიოს ყველა საქმეში!

(გადიან)

ს უ რ ა თ ი

პეტრუჩიოს სახლის წინ

(შემოდის ლივია)

ლივია. ეჰ, მამაჩემო, თუ ეს საქმე მარჯვედ წარვმართე.  
მაშინ შენს გეგმებს შესრულება არ უწერია,  
გაცურებული დამირჩებით — ჯვარს ვეღარ დამწერთ...  
ნეტა კი ღმერთით ის სიტყვები ჩემმა როლანდმა  
ტეშმარიტებად არ მიიღოს!.. რა უნდა შექნა —  
იმ ბებერ მელას ავუბნიე ამით გზა-კვალი...  
დამაცა, ვნახო — აქვე ახლოს მხედრობა უდგას  
გამძვინვარებულ პეტრუჩიოს. უნდა როგორმე  
ისე გავძვრე, რომ არ შემნიშნონ. თუ დამინახეს,  
ხელად სამხედრო ტრიბუნალში მიმაბრძანებენ. —  
ჰეი, მანდ ვინ ხართ?

(ფანჯარაში გადმოდგებიან მარია და ბიანკა)

მარია. თვითონ ვინ ხარ?

მეგობარი ვარ.

ლივია.

ბიანკა. ვინ მეგობარი?

ლივია.

შემომხედუ და დაშინახავ.

მარია.

შე უბედურო, მოციქულად ვინ გამოგგზავნა?

ვისა აქვს შენი მოქარგული ენის იმედი?!

ლივია.

არა, მარია, მეც დავრწმუნდი, რომ მართალი ხართ,

და, აბა, აგერ, მოვედი, რომ შემოგიერთდეთ.

მარია.

ასე ჩერჩეტი როგორა ხარ! რატომ გგონია,

რომ მაგ ლაქუციტ გაგვაცურებ?! შენ თვითონ მხდალო...

ლივია.

თავს გეფიცებით...

მარია.

რას ფიცულობ?! თავს რად იწუხებ,

წადი და შენი თაფლის ენით სხვები დაატკბე.

ბიანკა.

მაგ გუდა-სტვირით, ბიძაშვილო, ვერ გაგვაბრუებ,

მშვენივრად ვხვდებით, ვისგანაც ხარ გამოგზავნილი.

ლივია.

პატიოსნებას...

ბიანკა.

კარგი ურთი, რატომ გგონია,

რომ გულს მოგვიღობო ქალწულობის, პატიოსნების,

უმანკოების და სხვა ამგვარ საუქმიდღეო

გრძნობების ფიცით!..

ლივია.

დამიჯერეთ, მეც თქვენთანა ვარ

ბიანკა.

დიდიხანია, ჩვენთანა ხარ?

ლივია.

ეგ სულერთია,

ახლა მეც თქვენთან ერთად ვიცავ თავისუფლებას.

ბიანკა.

თლონდ გაფრთხილებთ, ორპირობა თუ შეგამჩნიეთ...

ლივია.

დამსაჯეთ მაშინ, როგორც გსურდეთ!

მარია.

შენი როლანდი დაიფიცე — (რადგანაც ვშიშობ

უმანკოების დაფიცება აღარ შეგფერის) —

შენი როლანდი დაიფიცე, რომ დღეის იქით

ჩვენთვისაც, შენი თავისთვისაც ისურვებ მხოლოდ

თავისუფლებას, მშვიდობას და პატიოსნებას!

ლივია.

როლანდსა ვფიცავ...

ბიანკა.

დაიცადე! მაგას ისა სჯობს,

უფრო სარწმუნო ის იქნება, იმ მულაძუა,

იმ გადამღრძვალ ბერიკაცის მორთხოს ზიზღით

და სიძულვილით შემოგვფიცო! პირდაპირ გვითხარ —

დაფარფატებს-თქო ცარიელა ტომარასავით,

ჭაკის გაქუცულ კუდს უგავს-თქო ცანცარა წვერი.

ცოდო არის-თქო მაგის გვერდში ყმაწვილი ქალი;

ხანჯალი მუდამ უკანკალებს, ყოველ ძრობაზე

ლამის ტარამდე გაედუნოს; ეგ უბადრუკი

არ გაახარებს, არ აღირსებს სიამტკბილობას,

სულ ჩააშხამებს ახალგაზრდულ უზრუნველობას,

სულ სასთუმალთან უნდა უჯდეს, როგორც ავადმყოფს...

ეს დაიფიცე და დაგიჯერებთ.



ქართული  
საქმიანობა

ლი ვ ი ა. ვეფიცებით, რომ...

მ ა რ ი ა. დაიცადე. ნუ გეჩქარება:

გულის კარნახით ამბობ ამას,  
თუ იქნებ მტურმა დაგარიგა?

ლი ვ ი ა. ნუ გეშინიათ,

რადგანაც ქმრების მეც თქვენსავით ცოტალა მჯერა,  
თავისუფლებას კი მეც თქვენებრ ვეჭომავები.

მ ა რ ი ა. კარგად დაფიქრდი — ჩვენ რომ გენდოთ, ჩემო ლი ვ ი ა,

შენ კი ღალატი დააპირო, ამ ორპირობით  
საერთო საქმეს ავნებ დიდად!.. წარმოიდგინე,  
ასი წლის შემდეგ რას იტყვიან შენზე ქალები!  
ჩვენ ხომ, ამ ჩვენი მაგალითით, გზას გაგუნათებთ,  
ახალ წესსა და ჩვეულებებს დაგუკანონებთ  
და დღეის შემდეგ ქალთა მოდგმა ჩვენ გაგვალმერთებს.

ბ ი ა ნ კ ა. ცუდი განზრახვით თუ მოხვედი, გირჩევ გაბრუნდე,

მოინანიო მძიმე ცოდვა და აღსარებაც  
ჩვენი ქალაქის ღირსებასრულ ქალებს გაანდო.  
რად გინდა სული დაიმძიმო ბოროტი ცოდვით!  
ეგეც გახსოვდეს, თუ ღალატით მოსულხარ ჩვენთან  
და ზიანი თუ მიაყენე ჩვენს დიდ განზრახვას,  
უნდა იმნაირ ქვეყანაში გადაიხვეწო,  
სადაც ქალების სახსენებელს სულაც ვერ ნახავ.

მ ა რ ი ა. თორემ იცოდე, დედაკაცი თუ შეგხვდა სადმე, —

ვისაც მხეცობა მამაკაცთა გაგონილი აქვს, —  
და თუ გაიგო შენი მძიმე ცოდვის ამბავი...

ბ ი ა ნ კ ა. კბილჩაცვენილი დედაბერიც რომ იყოს იგი,

რომელსაც ქალის აღარ შერჩა არც სილამაზე,  
არცა თვალები, მოქნილობა, ეშხი, იერი,  
და ყავარჯნებზე აბობლებულს ერთიღა მხოლოდ,  
მხოლოდღა ენა შერჩენია დედაკაცისა,  
ეს იცოდე, რომ ყნოსვით ვიცნობს, აგეკიდება,  
და საშინელი სიზმარივით ვერ მოიშორებ,  
წყველით აგავსებს, შეგილანძღავს პურსა და ღვინოს,  
და გათხოვება თუ გელირსა, ქმარს მოგინუსხავს,  
დაგიძაბუნებს და სიტკბოს ვერ განგაცდევინებს

მ ა რ ი ა. დაგესევნიან გოგონები ფურიებივით,

ისე დაგჩქმეტენ, ერთიანად დაგალურჯებენ.  
ვინც კი გაიგებს შენს ამბავსა და ვინაობას, —  
ქალებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, — ცოფიანივით  
მოგგვარდებიან და შეგძახებენ — „შურს ვიძიებთო!“  
ჯოჯოხეთიც კი სანატრელი გახდება შენთვის!  
ასე რომ, თუკი ავი გულით მობრძანებულხარ,  
უკან გაბრუნდი, გირჩევნია, და როგორც აგერ  
ჩემი ჭკვიანი ბიძაშვილი მოგახსენებდა —



მოინანიე! ღალატი არ გამოგადგება!  
ლივია. მთელმა ქვეყანამ შემიძულოს, თუ გატყუებდეთ.  
მარია. კარგი, გენდობით, ოღონდ ნდობა შენც დააფასე.  
ხელცარიელი მოგვიხვედი?

ლივია. რა სათქმელია!  
აგერ ღვეზლები, ტკბილეული, ხორცი, კუჭმაჭი,  
ღვინო და ლუდი... ოღონდ ჩქარა! არ დამიჭირონ.

მარია. სასტუმროს კართან გელოდებით,  
იქ არის ჩვენი საიდუმლო შემოსასვლელი.  
თან წაშოიღე ეს ხორაგიც. ოღონდ გახსოვდეს —  
ფეხს სახლში ისე ვერ შემოდგამ, თუკი წინასწარ  
კაცების მიმართ მორჩილება არ დაიბერტყე.

ბიანკა. ფრთხილად, არავინ დაგინახოს.

ლივია. ნუ გეფიქრებათ. (ვადის)



### ს უ რ ა ტ ი ი

#### ქუჩა.

(შემოდინან როლანდი და ტრანიო)

როლანდი. ესკალუპუსი თუ გსმენია, ჩემო ტრანიო,  
სახელგანთქმული დასტაქარი, რომელმაც თურმე  
ღალატისათვის ასო-ასოდ აქნილი ხალხი  
კვლავ მიაკერა ერთმანეთსა, სული შთაბერა  
და პატიოსან ხალხად აქცია?

ტრანიო. გამიგონია, მაგრამ ახლა რამ გაგახსენა?

როლანდი. უფრო დიდ სახელს და დიდებას თუ მოისურვებს,  
მე ქალს შეეურჩევ უსირცხვილოს, ნამუსგარეცხილს,  
ბილწს, მოღალატეს... და იმ ქალსაც თუკი გარდაქმნის,  
თუ გადააქცევს პატიოსნად, მაშინ რა გვეთქმის,  
ზეციდან ისევ გამოვიხმოთ და იყოს ჩვენთან...

ტრანიო. პირდაპირ მითხარ, თუ ღმერთი გწამს, რამ შეგაწუხა?

როლანდი. ბეჭებზე ბოღმა მომჯდომია და მიმაჭუნებს,  
ამოჰკრავს ხოლმე გამეტებით ჩემს მოთმინებას, —  
და რას ამოჰკრავს, არ იკითხავ? დეზებს კი არა, —  
გესლს, გესლს ამოჰკრავს, გამწარებულ დუდაკაცისას.

ტრანიო. სატრფომ ცხვირი თუ აგებზეა?!

როლანდი. ყოფილმა სატრფომ!

ტრანიო. ახლა არ არის შენი სატრფო?

როლანდი. ახლა აღარა.

ისე მიმუხტლა, მტერიც კი რომ არ გაგიმეტებს.

მორჩა, დღეიდან ჩემი სატრფო და საყვარელი

ცხენი გახდება, ან მახვილი, ანდა წიგნები...

(ვადის)

ტ რ ა ნ ი თ. ძაღლი მოროზო! ყველაფერი იმის ბრალია!  
მაგრამ, ღვთის მადლით, თავის ქორწილს ვერ ეღირსება,  
სული გასძვრება, ჩაძაღლდება ჯვრის დაწერამდე.  
ამ ყმაწვილს უნდა მივეშველო, თავს არა ავნოს —  
არც კეთილ რჩევას მოვაკლებ და არც შემწეობას.

(გადის)



ს ს რ ა თ ი IV

ოთახი პეტრუჩიოს სახლში.

(შემოდიან პეტრუჩიო, პეტრონიუსი, მოროზო და სოფოკლი)

პეტრუჩიო. რა ბრძანებაა, ჩემს კეთილ გულს რომ აგყვე ახლა,  
და მივეუტევო, — თუმც არ არის ღირსი ამისი, —  
ხალხი რას იტყვის? სასაცილოდ არ ამიგდებენ?

პეტრონიუსი. მეცა მგონია, აგიგდებენ.

პეტრუჩიო. რაღა თქმა უნდა!  
ვის წაუკითხავს, ვის სმენია, ვინ წარმოიდგენს  
ამ ლაპურწაკი, გოგოსაგან ამდენ თინებს?!  
გაიძვერობას ამნაირსა და უტიფრობას?!  
თან, თქვენც ხომ იცით, ხმამალალი სიტყვაც არ მითქვამს,  
არც წყენა იცის ჩემგან ჯერ და არც შეშინება...  
როგორ, ჩემს ბოღმას მევე ვუთხრა ახლა ნანინა,  
მე მივაძინო? მოვითმინო ამდენი რამე?  
დაძინების წინ გავუფუო ბალიში რბილად?  
აკვანი ნაზად დავურწიო? ვერ ეღირსება!  
ის მირჩევნია, თითისტარი ჩამჩართო ხელში!..  
მზეთუნახავად რომ გადაიქცეს,  
ჯერ თხუთმეტი წლისაც არ იყოს,  
ამ არგაგონილ როკაპობა-ხრიკებისათვის  
კვირაში ერთხელ მაინც შევესვამ გაუწვრთნელ ცხენზე!  
შევესვამ, პო, შევესვამ, დამერწმუნეთ, არ შევიბრალებ!  
იმდენს ვურტყამ, რომ რაც კი სულში ეშმაკები ჰყავს,  
გამოვუბურტყავ ერთიანად!

სოფოკლი. არა, თქვენ ცდებით!  
მე კი მგონია, მოთმინებით უფრო გაკურნავთ.

პეტრუჩიო. კი, ბატონო, მოთმინება ძნელი არ არის,  
ოღონდ იმედიც უნდა მქონდეს დაჭკვიანების.

მოროზო. იქნებ დაუთმო ზოგი რამე!..

პეტრუჩიო. არამც და არამც,  
თავს ჩამოვიხრჩობ უფრო ადრე!

პეტრონიუსი.

შეაფუცხუნე!

პეტრუჩიო.

ასეც ვიზამ, ნუ გეფიქრებათ.

მოუწევს წოლა ხმელ ლოგინზე, ხოლო საჭმელად  
მოხარშულ კვერცხებს არ მოვაკლებ, რათა დოლივით  
გაიბეროს და გასისინდეს... მთელი ათი თვე  
სკამს ვერ დალანდავს, ბატონებო, ფეხზე ვამყოფებ!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სოფოკლი. მეტისმეტია, ეგ ბატონო.

(შემოდის ქაკი)

ქაკი.

თოფი! დამბაჩა!

იარაღს ხელი, ბატონებო!

რაც ქვეყანაზე ქალებია, აქეთ მოდიან,  
გუნდად დაძრულან ბზიკებივით, მოხუხუნებენ,  
ვერც გაუფანტავთ, თუ რიგიანად არ შევუტყით.

(შემოდის პედრო)

პედრო. იარაღს ხელი! საქაჯეთი სულმთლად დაცლილა —  
ქაჯები წვიმის ღრუბლებივით აქეთ დაძრულან.

ქაკი. მრთიმლავის ცოლი წინ მოუძღვით, ტყავით ვიცანი;  
ერთი აშარი, კაპარჩხინა დედაკაცია,  
ჯერ გოგო იყო, დაბად ქმარს რომ ტყავი გააძრო,  
და მთელი მრევლის მოსართავად გამოიყენა...

სოფოკლი. ახლა ხომ ნახე, რა ქნა შენმა სულწასულობამ!

პედრო. კანონებს აღარ დაგიდევენ — ვილაც დედაკაცს  
ხელზე დათვი ჰყავს გამობმული და დაატარებს;  
სასამართლოში რომ უჩივლეს — მოიგო საქმე.

ქაკი. მეორეს კიდევ, თავის გვარის უკვდავსაყოფად,  
წამოუმართავს თვითნებურად ორი სალუდე;  
ჯარისკაცები გააგზავნეს — დაუკეტეთო.

რა ბრძანებაა — დაიფრინა იქიდან ყველა,  
ისე მოჰკურცხლეს — ორს ქუდები იქავე დარჩათ,  
ხოლო მესამეს ხელჯოხებით იმდენი ურტყეს,  
რომ, გაბეზრებულს, ზიარებაც გადაავიწყეს.  
კონსტებელი კი ლუდით ისე გამოუმბრუჟავთ,  
რომ გადიბირეს და ქალების ლაშქარში დარჩა...

პეტრუჩიო. სამხედრო საბჭო გავმართოთ ხელად.

სოფოკლი. წინასწარ ვატყობ, ზოგი რამე უნდა დავუთმოთ,  
თორემ იცოდეთ, მთელი ქვეყნის ყბაში ჩავეცვივით.

პეტრონიუსი. წავიდეთ, რამე მოვიფიქროთ, ნუღარ ვზოზინებთ.

სოფოკლი (მოროზოს).

რას აცახცახდი?

მოროზო. ნუთუ იმისთვის მოვიყარე ამ ხნის ვაჟკაცი,  
რომ ახლა თავი გამიჩიჩქვონ სარეცხის ჯოხით!  
არა, ბატონო, დათმობა სჯობს! უნდა დავუთმოთ.

პეტრუჩიო. წამო, წავიდეთ. მართლა უნდა ვიღონოთ რამე...  
თუმც ადარ ვიცი, რა ვიღონოთ!

სოფოკლი. მოვითათბიროთ.  
როგორმე თავი დავაღწიოთ ამ შტერულ ყოფას!  
კარები მაგრად გამოკეტეთ, რომ ტანსაცმელი  
არ დაგვიშალონ — არ გვატარონ ტიტლიკანები.

(გადიან)



ს უ რ ა თ ი V

ქუჩა.

(შემოდინ მთა ხ ლ ე გო გონ ე ბ ი)

- I მთა ხ ლ ე. თქვენკენ რა ისმის?
  - II მთა ხ ლ ე. ჩინებულად წარვმართეთ საქმე.
  - I მთა ხ ლ ე. ღმერთმა წყალობა ნუ მოგაკლოს! სოფლებიდანაც  
გვემატება და გვემატება მაშველი ძალა.  
ახლა წავიდეთ, არ შეგვნიშნონ.
  - I მთა ხ ლ ე. იარაღს ხელი!
  - II მთა ხ ლ ე. მტკიცედ დავიცვათ ჩვენი საქმე...
  - III მთა ხ ლ ე. და სამართალი!
  - I მთა ხ ლ ე. საქმეს მივხედოთ, ლაპარაკს კი მერეც მოვასწრებთ.
- (გადიან)

ს უ რ ა თ ი VI

პეტრუჩიოს სახლის წინ.

(შემოდინ პეტრონიუსი, პეტრუჩიო, მთროზო, სოფოკლი  
და ტრანიო)

- პეტრონიუსი. კარგი, ბატონო, აგრე იყოს, მაგრამ მე მაინც  
ვამჯობინებდი, ერთი კარგად მიბეგვილიყო.
- ტრანიო. კმარა, ამაზე ლაპარაკიც კი უედმეტია.
- სოფოკლი. იქნებ დაგვეთმო ზოგი რამე მშვიდობიანად!  
ამაზე კარგს გზას მე ვერ ვხედავ დაზავებისთვის.
- პეტრუჩიო. ლამის გაგვიჟღე!.. მაგის შერთვას ის არ მერჩია,  
თავი მარყუჟში რომ გამეყო ჩემივე ნებით?!  
ახლა ეს ზავიც მე პირველმა რომ შევთავაზო,  
გადიდგულდება, უფრო მეტის დათმობას მომთხოვს.  
უბედურებაც ვგ არის სწორედ!
- სოფოკლი. რა მოხდა მერე?!



პეტრუჩიო. რა მოხდაო? ვირი ვარ, ვირი!

განა არ ვიცი, საით უმიზნებს.

თქვენ ჯერ ამაზე მიპასუხეთ: ხალხი რას იტყვის,

როცა საქვეყნოდ სახელგანთქმულ და ქვებულ ვაჟკაცს,

ვინც ის აფთარი და აშარი პირველი ცოლი

ისე მოვსდრიკე, პერკულესსაც შემურდებოდა, —

რა ბრძანებაა, პერკულესი რას დააკლებდა,

ლომის ტყავშივე შეაძვრენდა იმ შენს პერკულესს,

რაც მედიდურად ჰქონდა ხოლმე მუდამ მოსხმული, —

რას იტყვის-მეთქი, გეკითხებით, ქვეყანა ჩემზე,

რომ ეს გომბიო, ლაპურწაკი, ტინგიცა გოგო,

ვისაც ჯერ ჩემთვის ლოგინიც კი არ გაუთბია,

ეს ორჩხომელი, ეს კარჭაბა, კანჯო, ნაფოტი,

მე — აფრაგამლილ სამხედრო გემს — ბრძოლაში მიწვევს!

ამის მოსმენა ჩემნაირ კაცს თუკი შეშვენის,

მიბრძანეთ ბარემ და მორჩილად მეც თავს დაგიხრით.

პეტრონიუსი. არა მგონია, ამის მოთმენა შეიძლებოდეს.

ტრანიო. არ მოითმენ და უარესი იქნება მერე.

სოფოკლი. მეცა მგონია, პეტრუჩიო, რომ დათმობა სჯობს.

გაიგებ მაინც, რას თხოულობს, რას გედავება.

სისულელეა ოჩნობისთვის ცხენის დაბორკვა,

თუ არ გაიგე ეს ოჩნობა საიდანა სჭირს —

ბუნებით მოსდგამს თუ ისეა გაფიცებულნი.

სჯობს, რომ დაუთმო: აჰა, ჩემი კისერი აგერ,

თუ ვინმე სხვისგან არ გამოდგეს წაქეზებული.

პეტრონიუსი. მეც ასე ვფიქრობ.

სოფოკლი. მის საქციელს მართლაც არა ჰგავს.

ტრანიო. და თქვენ თვითონვე დარწმუნდებით ამაში მალე.

სოფოკლი თუ კიდევ მოჰყვა ჯიუტობას, დეზებს ამოჰკრავ.

ოღონდ ფრთხილად და ზომიერად — ხალხს ნუღარ შეჰყრი...

ტრანიო. სჯობს გაუფრთხილდე...

მოროზო. შენს ღირსებას.

პეტრუჩიო. რა გაეწყობა!

(შემოდან მუსიკა მოისმის)

მოროზო. ხედავ, როგორ მხიარულობენ!

პეტრუჩიო. ღმერთი კი ამას მოთმინებით დასცქერის ციდან!

(შემოდის ჟაკი)

მოროზო. რას გვეტყვი, ჟაკ?

ჟაკი. თავს იგდებენ, ბატონო ჩემო.

სოფოკლი. ამას ჩვენც ვხედავთ.

ჟაკი. გაუჩენიათ ვიოლინო და პერი, ბიტო,

აწრიპინებენ უმოწყალოდ. ორ მხედართმთავარს,

(რომელთაც ჯარი მოაშველეს სახელდახელოდ),

ერთმანეთისთვის ჩაუვლიათ მხურვალედ ხელი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

და ბუქნაობენ გამწარებით. ზოგჯერ კაბები  
წამოვხდებათ და კოჭამდე ნიფხვები უჩანთ.  
აქ გვაკოცეთო, გაჭკივიან.  
თაფლნარევი ელით დამთვრალან  
და ღრიალებენ სულმოუთქმელად.

პეტრონიუსი. საიდან იცი?  
ვაკი. ჭუჭრუტანაში შევიჭყიტე.  
ტრანიო. აჰა, მღერიან.  
პეტრუჩიო.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გამაგონეთ, ნუღარ ხმაურობთ.

სიმღერა

თქვენი სადღეგრძელო იყოს —  
არ მოგშლოდეთ ჯანი, ღონე,  
ფეხს შარვალში თუ გაუყრი,  
ქმარი უფრო გაგიგონებს.  
დალიე და დამილიე,  
არ დასტოვო ერთი წვეთიც.  
შენი სადღეგრძელო იყოს,  
ნუ დადიხარ გარე-გარე,  
ფეხს შარვალში თუ გაუყრი,  
სახელმწიფოც გაიხარებს.

მაშ დაელიოთ, გავიხაროთ,  
ამოვაშროთ ღვინის თასი,  
ვიცეკვოთ და ვილაღობოთ,  
ქვეყნად რაა ქალის ფასი.  
ჩემს სულელ ქმარს გაუმარჯოს,  
შენს სულელსაც გაუმარჯოს,  
ყველა სულელს გაუმარჯოს,  
თუმცა მათი სისულელე  
ჯიბეს დაგვიცარიელებს.

მოროზო. აჰა, ფანჯრები გამოაღეს.

(ზემო ფანჯარაში გამოჩნდებიან მარია, ბიანკა, ქალაქელი  
და სოფლელი დედაკაცები)

პეტრუჩიო. საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო.

მარია. საღამო მშვიდობისა, ბატონო.

პეტრუჩიო. როგორ გეძინათ?

მარია. ჩინებულად.

პეტრუჩიო. არ მოგენატრე?

მარია. აჰ, სულაც არა, ერთხელაც არ გამხსენებოხარ.

სოფლელი. ეგ არის?

ბიანკა. ეგა!

| სოფლელი. ჰეი, ბატონო.

სოფოკლი. შეხედეთ, როგორ გაღუშოდა, ქუდს ძლივს იმაგრებს.

| სოფლელი. შენა ხარ...

სოფოკლი. პირში ენას ძლივსლა აბრუნებს...  
დაე ილაყბოს!

| სოფლელი. იცი, რა გითხრა, ჩემო ძმაო, შენ ყვეუჩი ხარ.

ტრანიო. მაგრად უხუხავს!

პეტრუჩიო. დიდი მადლობა, ქალბატონო.

| ქალაქელი. შენ მიდი, მიდი.

| სოფლელი. შენ, ჩემო ძმაო, კარგი მეუღლე შეგხვედრია,  
ფულიანი, კოხტა, მამაცი.

პეტრუჩიო. ეგ მეც ხომ ვიცი!

| სოფლელი. მაგრამ ქმრებისგან მიტოვებულ ქალების ხათრით,  
მოტყუებული ქალწულების გამოსარჩლებით,  
შენი მეუღლე არ დაგნებდა. ასე არ არის?..

პეტრუჩიო. თითქოს ასეა.

| სოფლელი. რატომ მერე? რად არ დაგნებდა?

პეტრუჩიო. თქვენ თვითონვე მიბრძანოთ იქნებ!

| სოფლელი. ოცდაათამდე მიზეზია.

პეტრუჩიო. იქნებ ინებო, ქალბატონო...

| ქალაქელი. ჰე, მიდი, მიდი...

პეტრუჩიო. და ჩამოთვალო!

| ქალაქელი. ვის რა ნება აქვს, დაუშალოს?!

პეტრუჩიო. ჰეი, ხავერდის ქუდიანო მანდილოსანო,  
იქნებ ფიქრობთ, რომ ჭკუის სასწავლად მოვედი თქვენთან!

| სოფლელი. ერთი მიზეზი შვიდ ნაწილად განიყოფება...

პეტრუჩიო. ჩემო მარია, რად გჭირდება ეს კატეხიზმო?

ტრანიო. რას გაუტიეს.

სოფოკლი. ჰეი, დიდო მქადაგებელო,  
ჩვენი აქ მოსვლის მიზეზს ხომ არ გვათქმევინებდით?

| სოფლელი. არა გვჭირდება, ისეც ვიცი, უკუდო მეღავ.  
აი, მიზეზი (მარიაზე მიუთითებს),  
მაგრამ არა, პირი არ დაგწვიათ!  
ვერცა წაგვართმევთ და იმასაც ვერ ეღირსებით,  
რომ დაუმონოთ სამარცხვინო მონანიებას.

| ქალაქელი. მეც მათქმევინე, ჩემო დაო.

| სოფლელი. მიდი, უთხარი.

| ქალაქელი. ვფიცავარ ყველა ცხარე სასმელს, უმაღლეს დავთმობთ,  
აქვე დავმარბავთ ჩვენს ძვლებს, სხეულს, სახელს, დიდებას,  
ყველაფერს, რაც კი ქალებისთვის სანუკვარია,  
ამ ქალს კი, ქმარის ბორკილების გმირულად დამმსხვრევს,  
რომელმაც მონურ მორჩილებას ზურგი აქცია,  
ვერ ეღირსებით, მანამ მისი ღირსების კვალად,



არ შეუსრულებთ სუყველაფერს, რასაც მოითხოვს.

სოფელი. ასეა, ასე... სუყველაფერს, რასაც მოითხოვს!  
და თუ ნაკლებზე დაყაბულდეთ, დე მოგვდე მაშინ,  
ჩემი ცხედარი დე დაჭფაროს არა სუდარამ,  
არამედ, აგურ, ჩემმა ქუდმა;  
დაე, კუბოში თითისტარიც თან ჩამატანონ,  
როგორც ნიშანი არაერთი გამარჯვებისა;  
ორი მებუკე დამიდგეს თავით  
და მთელ ქვეყანას ზეიმზარით შეატყობინოს,  
რომ ჩაესვენა დიდების მზე...



ქალაქელი. მეც მათქმევინე.  
ამ ქალბატონის დასაცავად აღმართეთ ხმალი,  
დავიცავთ კიდევ მთელის რწმენით და სამართალით.  
თუკი სიღაჩრე შეგვეპაროს და დაგვამარცხოთ,  
რის ღირსიც ვიყოთ, ის გვიყავით; ყველაზე უმაღ  
სიმბოლო ჩვენი ქალობისა, რაც კი რამ გვქონდეს,  
ყველა წარგვტაცეთ; წინდებით, კაბა, საცვლები  
შემოგვაგლიჯეთ ტანზე ყველას; თმის სარტები კი  
ლაჩარ თავებზე დაგვამტვრიეთ.

სოფელი. და დამარცხებაც  
უფრო ძლიერ რომ განვიცადოთ, დე ჩამოგლეჯილ  
ტანსაცმელიდან სამარცხვინოდ ჩამოგვეჩაჩოს  
საკინძეები, თასები და მოსართავეები,  
კვლავ საძროხეში გვიკრან თავი ძროხის საწველად!

პეტრუჩიო. ომზე ხელს ვიღებთ, მეომარო ქალბატონებო,  
დაზავება გვსურს — მოგვახსენეთ თქვენი სათქმელი.

მარია. აბა, ლივიას დამიძახეთ.  
ჩვენი საზავო პირობები მზადა აქვს უკვე?

(ფანჯარაში ლივია გამოჩნდება)

მორთხო. ლივია, შენა?!

მარია. გაგიკვირდათ, ჩემო ბატონო?  
აჰა, ეს ჩვენი პირობები, გადაიკითხეთ.

(ქალაქელს გადმოავდებს)

პეტრონიუსი. აჰა, ესეც აქ არ ყოფილა! ეგეც აჯანყდა?!  
ჩემო ბატონო, თქვენ რას იტყვით?

მორთხო. რა მაქვს სათქმელი?!  
კარგი დღე მელის, უკვე ვატყობ. და დამერწმუნეთ  
მეორედ მოსვლაც მალე იქნება,  
რაკი ქალებმა მორჩილება გადაივიწყეს.

პეტრონიუსი (ლივიას).  
ჩემო ძვირფასო ქალბატონო, შენც აქ ბრძანდები?

ლივია. ოჰ, მაპატიეთ, მამაჩემო, ვერ დაგინახეთ!  
იქნებ დამლოცოთ!

პეტრონიუსი. დამილოცნიხარ, ვით ოჩან ჭაკს დალოცავს კაცი.

თქვენი პირობა რალა იქნა?

ლივია (ჩაუგდებს მორთოს ქალაღდს)

ჰა, წაიკითხეთ. მე ისუდაც ზეპირად ვიცი.

მორთო. ძალიან კარგად კი მომეჭყეცით!

ლივია. რაც გეკუთვნოდათ, ის მიიღეთ. მეტის ღირსიც ხართ:

უნდა მოგასხათ თქვენ ურჩხულის წამოსასხამი,

თავზედაც ქუდი ურჩხულისა, და გამოგკიდოთ

მეაფთიაქის ფანჯარაში!

პეტრონიუსი.

ოი, შენ კახპა!

სუყველაფერი გავიგონე, რასაც ბრძანებდი.

ლივია. ჩემი კახპობა მაშინ ნახეთ, ეგ რომ შემირთავს:

ეგ თვითონ გამხდის იძულებულს კახპა შევიქნე.

ქალაქელი. ღმერთმა დაგიხსნას მაგისაგან.

ლივია. ნახშირის ყიდვით გაკოტრდება, მე რომ მივთხოვდე:

იქნება ცხელმა ნაკვერცხლებმა. მაინც აღაგზნოს.

პეტრონიუსი. ხმა ჩაიწყვიტე! პეტრუჩიო, შენ რალას უცდი?

პეტრუჩიო. რასაც ველოდი, ის სწურია.

(ქალაღდს დაჰყურებს)

თავისუფლება... და კაბები თავზე საყრელად...

ფული ქისაში ულეველად... სტუმრიანობა, —

ვისაც ისურვებს და როცა კი მოიწადინებს...

სახლში ყველაფრის გამგებელი თვითონ იქნება...

კრინტიც რომ არვინ დაძრას მასთან: „ეს რატომ?“ „რისთვის?“

ახალ-ახალი კარეტები! სასახლეები!

ბლომად ნოხები, ხალიჩები და ჭურჭლეული,

განძეულობა-სამკაული აურაცხელი, —

ათი ათასი გირვანქისა დაახლოებით, —

ბედაურები სანადიროდ, მუსიკოსები,

ერთიც მოახლე ფრანგი ქალი, რათა ძილის წინ

ფრანგულად რამე წაუკითხოს...

პეტრონიუსი.

ეს რა ბოდვაა!..

პეტრუჩიო. და დასასრულ ერთი პირობაც: რომ ეს ერთი თვე

კრინტი არ დასძრან ლივიასთან გათხოვებაზე.

პეტრონიუსი. ასეთი რამე გაგონილა?!

პეტრუჩიო.

რა გაეწყობა,

თუკი მაგის გულს სხვაგვარად ვერ მოვინადირებ,

მოვიკატუნებ თავს ცოტა ხნით, დავეთანხმები.

სოფოკლი. ერთი ლოგინში შეუგორდი და მაგ პირობას

რალა ფასი აქვს, თუ ბეჭედი შენც არ დაარტყი!

მარია. აბა, რას იტყვით? თანახმა ხართ?

პეტრუჩიო.

ჰო, თანახმა ვართ.

საკურთხეველთან მოგცემ აღთქმას — მოძღვრის წინაშე.



სოფელი. დაიწა, წინდი?

მარია. არა უშავს, ფიცი მეყოფა.

თლონდ გაფრთხილდი — არ ივარგებს ფიცის გატეხვა.

ქალაქელი. ეჰ, შეიცვალა ყველაფერი! ძველი დრო სჯობდა!

სოფელი. ყალთაბანდობას ვერ ავიტანთ: მაგ პირობებში

ერთი სიტყვაც კი რომ შეცვალოთ, კვლავ ავჯანყდებით.

მარია. მაგისი შიში ნუ გვექნებათ, არ მომატყუებს.

პეტრუჩიო. პატოსნებას გეფიცებით...

მარია. კმარა, გნებდები.

პეტრონიუსი. ეს რაღა არის, ქვემოთ რაღაც მიუწერიათ!

სოფელი. იმ თრ მამაც ქალს, მაშველი ჯარი რომ მოიყვანეს,

ახლავე უნდა გავუშალოთ მდიდრული სუფრა,

უნდა გავართოთ, შევიქციოთ ტკბილი საუბრით,

და მხედრობასაც გასამრჯელო მივართვათ თვისი.

პეტრუჩიო. მე მაგაზუნდაც თანახმა ვარ. და გასამრჯელოდ

მაგათ მხედრობას დიდი კასრით ღვინოს მივართმევ.

ხაზინადრობას, ბატონებო, თქვენ დაგაუალებთ.

ტრანიო. მაშ, დღეს კარგად მოგვილხენია.

მარია. დიდ დარბაზში მოგელით ყველას.

(ქალები ფანჯარას მოშორდებიან)

პეტრუჩიო (პეტრონიუსს). ნუ მოიწყინეთ — მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!

სოფელი. მაგისი შიში არც გვექნება.

პეტრუჩიო. თლონდ ლივიას

ვერ გაათხოვებთ ამ ერთ თვეში — სიტყვა მიფეცი.

პეტრონიუსი. კარგი, ბატონო.

პეტრუჩიო. მაშ, წავიდეთ. ვფიცავარ გამჩენს

ან გავტეხ ამ ქალს, ანდა თვითონ გავიღუნები.

(გადიან)

მ ო ჯ ე მ დ ე ზ ა მ ე ს ა მ ე

ს უ რ ა თ ი

ქუჩა.

(შემოდინან ტრანიო და როლანდი)

ტრანიო. ყური დამიგდე, რაღაც უნდა გირჩიო, როლანდ,

როლანდი. სიყვარულს ნუღარც კი მიხსენებ. მე მირჩევნია:

თავი ახლავე ყულფში გავყო! ეგ სიყვარული

საწამლაგია, თავგის შხამზე უფრო ძლიერი.

მადლობა ღმერთს, რომ მშვიდი ძილი კვლავ დამიბრუნდა.

უკვე ვწერ კიდევ აზრიანად, დალაგებულად.

ოთახში წყნარად ბოლთასა ვცემ და უფრო მშვიდად,  
გულდაჯერებით ვუფიქრდები ჩემს საზრუნავსაც —  
საყოველღეო საქმესაც და მეცნიერულსაც.

აღარ გავყვირი — „ვაი“, „გუი“, „რა მეშველება“

ეშმაკს რომ კაცის გული მისცე და შეაყვარო

უეცრად ქალი, რა მოუვა, როგორ გგონია?

მაშინვე თავი გაუსკდება, ვეღარ გაუძლებს...

ტრანიო. მართლა გჯერა, რომ სიყვარული აღარ გეწვევა?

როლანდი. თუ ისე მაგრად გავილეუე, რომ ჭკუა ღვინომ  
მთლად დამიბნელა...

ტრანიო. მითხარ მაინც, ქალზე რას ფიქრობ?

როლანდი. ჭიანურსა ჰგავს დედაკაცი — მანამ სიმები

არ დასწყვეტია, სიამოვნებას განიჭებენ.

ტრანიო. რა სიმებიო?..

როლანდი. უმანკოება, ერთგულება, რწმენა, მორცხვობა —

აჰა, ეს ოთხი სიმბოლო აქვს, ჭიანურივით.

ტრანიო. მე კი ვაცხადებ, რომ შენ იმ ქალს კვლავ შეიყვარებ.

სანაძლეოსაც ჩამოვდივარ — ათი გირვანქა!

შენ? შენ რამდენსღა ჩამოდიხარ?

როლანდი. ასი გირვანქის

თამასუქს მოგცემ... მაშ, ჩამოდი ის შენი ფული.

ტრანიო. თავს მოვიკლავ და შეგარიგებ.

როლანდი. ჯერ ფულს ჩამოდი.

მერე სცადე და შემარიგე.

(ტრანიო ფულს აძლევს)

ტრანიო. აჰა, აიღე.

როლანდი. აბა, დაიწყე.

ტრანიო. ამ დღეებში მოინახულებ!

როლანდი. ახლავე წავალ. ეს პირველი სიკეთე არის!

მე სხვა სიკეთე არც კი მახსოვს დედაკაცისგან.

ტრანიო. თუ წააგე, ასს გადამიხდი.

როლანდი. რალა თქმა უნდა.

ვაგლახ! ხალხს უნდა გავეჯიბრო მე სიძულვილში

და ვჭვიც კი არ მეპარება, რომ გავიმარჯვებ!

ტრანიო. მე მაინც გეტყვი, და, მერწმუნე, არც მოგატყუებ.

უშენოდ როგორ იტანჯება შენი ლივია.

როლანდი. ვერ დაგიჯერებ! ათ გირვანქას კიდევ ჩამოვალ!

ტრანიო. ამდენი ფული აღარა მაქვს — ვერ გამოგყვები.

როლანდი. კარგი, არ მინდა სანაძლეო — ისე მითხარი.

ტრანიო. მაშ, გავიაროთ. მიხარია, რომ ნაღველმა

გადავიარა.

(გადიან)



ქართული  
საქმიანობა

ოთახი პეტრუჩიოს სახლში.  
(შემოდინან პედრო და ჟაკი)



პედრო. სწორედ ხუნდების ღირსი არიან! წავიდნენ უკვე? რა უნდა  
ჟაკი. დოლუნის ნაცვლად ტაფა-ქვაბებს აბრაზუნებდნენ უკვე! რა უნდა  
ჩამოიარეს დიდის რიხით და გაემგზავრნენ.

უნდა გენახათ, როგორ ეცა ჩემს ბატონს ყველა,  
ემუქრებოდნენ: რაც აღგვითქვი, ის შეასრულე,  
თორემ იცოდუ, განანებთო.

პედრო. ჩემმა სიცოცხლემ,  
ცოლი მართლაც რომ შესაფერი არგუნა ბედმა.

ჟაკი. მეც ასე ვფიქრობ.

პედრო. ჭმარს როგორღა ეპყრობა, ნეტა?

ჟაკი. უნდა გენახა, თვალი თვალში რომ გაუყარა.

პედრო. გაგულისებით?

ჟაკი. არც ძალიან დიდი ალერსით!  
ცოლს აკოცაო, ეგეც მითხრეს, მაგრამ რად გინდა —  
ლოყაზე მხოლოდ, იმ დათქმული პირობისამებრ.

პედრო. ჟაკ, რას მისცემდი, ამისთანა ცოლს რომ ეღირსო?

ჟაკი. მუხლებით მიწას გავეკვროდი პურიტანივით  
და მოვკვებოდი გამწარებულ ლოცვა-ვედრებას —  
ღმერთო, მისმინე, მომაშორე ეს ქალი-მეთქი.  
იცი, რას გეტყვი — თუნდ ახლავე ძელზე გამაკრან,  
თუ ორ კვირაში თავდაყირა არ დადგეს სახლი  
და საძირკველი სახურავად არ გადაიქცეს!  
იმედად ისღა დამრჩენია, რომ ეს კახპები, —  
აქ რომ მოვარდნენ ქალბატონის გამოსახსნელად, —  
ისე დაითვრნენ, რომ ერთ თვესაც გონს ვეღარ მოვლენ.

პედრო. მაინც რა იყო, რა უღმერთოდ გაღეწილიყვნენ!

ჟაკი. ვერ ნახე, როგორ ბარბაცებდნენ?! ან ის სოფლელი  
მთავარსარდალი თუ შენიშნე, რა დღეში იყო?!

პედრო. ღმერთმა დასწყევლოს! თან სვამდა და თან გასდიოდა!

ჟაკი. საპირფარეშოს ფიცარზედაც რომ ვერ დამაგრდა!

პედრო. რის დამაგრება! ფიცარი რომ ამოუბრუნდა,  
ჭაერში ფშიკა გამწარებით ორივე ფეხი!

ჟაკი. თან რა ლამაზი ველ-მინდორი გამოაჩინა!..

პედრო. ღვინთში ქუდი რომ ჩაალბო, ის თუ შენიშნე?!

ჟაკი. კი, როგორ არა... იჯდა ერთხანს გაღენჩებული,  
მერე კასრი რომ დასცალა და ამოისუნთქა...

პედრო. ჰო, ვნახე, ვნახე...

ჟაკი. სოფოკლისკენ გაბობლდა ხელად,  
დაეჭყანა და ხელგაწვდილი წაეპოტინა...



პედრო. მტრისას, მაგნაირს ბნელ ღამეში რომ შეეფეთო...

ჟაკი. მით უმეტეს ზაფხულის ღამეს!

პედრო. ღმერთმა გვაშოროს!

ჯერ მიაჩენა უბადრუკი მონეტა ხელში,  
მაგრამ ლუდს ისე გაებერა ის უბედური,  
რომ უცაბედად იხუვლა და ზედ წაანთხია,  
რაც კი რამ ჰქონდა იმ სტომაქში. თავს გეფიცები,  
ქალის ამნაირ გაზრდილობით ნაამებ სოფოკლს  
კუჭი ერთბაშად აეშალა და თცჯერ ზედიზედ  
გარეთ გაფარდა. ეს ბებრუხანა დედაკაცები  
ახალგამთლილ ბორბლებს ჰგვანან: ჭრაჭუნ-წრიპინით  
ღამის აიკლონ ყველაფერი: არც დაცხრებიან,  
თუ რიგიანად არ გაზეთუ და არ გაპოხე.  
ის ქალაქელი ფუნთუშა ქალი? მანაც შესტოპა?

ჟაკი. იცოცხლე, იმან მოილხინა; მაგრამ რომ დათვრა  
მერე ერთბაშად მოიწყინა, და კოვზიც აწაპნა.  
აგერ, ბატონი მობრძანდება. შეხედე, ერთი  
რას დაემსგავსა. ალბათ წუხელაც აწყენინეს.  
სჯობს შეუმჩნევლად გავილალთ. (გადიან)

### ს უ რ ა თ ი III

იქვე.

(შემოდიან პეტრუჩიო და სოფოკლი)

სოფოკლი. ასე იყავი მთელი ღამე, არ გაგიკარა?

პეტრუჩიო. არა, ახლოსაც არ მიმიშვა.

სოფოკლი. შენი ქებული ვაჟკაცობა სადღა დაკარგე?

პეტრუჩიო. მან სად დაკარგა მორჩილება, ესეც იკითხე!

ჯერ არ მსმენია ამნაირი შერცხვენა კაცის,  
მეჯინიბესაც ასეთ რამეს ვერ შეჰკადრებდნენ!

სოფოკლი. და მაინც გიყვარს? თუ კაცი ხარ, მართალი მითხარ.

პეტრუჩიო. ნეტავი მართლა არ მიყვარდეს! ვფიცავ, დავთმობდი  
ჩემი ქონების ნახევარსა.

სოფოკლი. იქნებ ეს მოსდის  
ზედმეტი კდემამოსილებით და იქნებ შენგან  
ძალბომრეობას მოელოდა! ასუდაც ხდება,  
ქალებს ბევრს უყვარს ამნაირი შეჯაჯგურება.

პეტრუჩიო. არც ჯაჯგური არ დამიკლია, ისე ვებრძოლე,  
რომ გასაწური შევიქენი, მაგრამ რად გინდა,  
ეს იგივეა —

ეთიოპელის გათუთრება რომ მოინდომო.  
მეფიცებოდა, ამ ჯაჯგურით იქნებ დამქანცო,



გამარჯვებას კი, ტყუილია, ვერ მიაღწევო.  
 მანამ თვითონვე არ ვისურვებ, არ მოვიხდომებ,  
 ვერ ეღირსები ვერაფერსო. იქნებ სხეული  
 მართლაც დაიპყრო, მაგრამ ჩემს სულს და ჩემსა ნდომას...



სოფოკლი. საოცარია! ჩემს დღეში არ გამიგონია,  
 რომ ქალს ასეთი ხელსაყრელი და საამური  
 შემთხვევისათვის ხელი ეკრას, ზურგი ექცოს.

პეტრუჩიო. მეც დავეხსენი.

სოფოკლი. ეშმაკობაც აღარ იხმარე?

პეტრუჩიო. ეჰ, როგორ არა — გამწარებით ვემუქრებოდი:  
 დავას ახლავე თუ არ შესწყვეტ, ახლოს არ მოხვალ,  
 შენის ნებითვე, ალერსით და სიამტკბილობით  
 თუ არ დამაცხრობ გაცეცხლებულს, გაწიწმატებულს,  
 შევუვარდები შენს მოახლე გოგოს მაშინვე,  
 და აქვე აგერ, შენს მეზობლად ვაჯირითებ-თქო.

სოფოკლი. ალბათ შეშფოთდა.

პეტრუჩიო. სულაც არა. როგორც მე ახლა,  
 ამაზე ხეტი შეშფოთება არ შესტყობია.  
 კარგიო, მითხრა, გაცეცხლებულს მე ვერ დაგაცხრობ,  
 მაგრამ ამ სახლში ერთი ჟაკი მეც მეგულება,  
 ერთი საწყალი და კეთილი მოსამსახურე,  
 და მარტოხელა ქალს როგორმე ანუგეშებსო.

სოფოკლი. შუბის ძგერებით ანუგეშებსო?

პეტრუჩიო. ასე გამოდის.  
 თან გამაფრთხილა, ამ ერთ კვირას ნურას მოელი,  
 სალამს მოვისმენ მარტო შენგან და ერთი-ორჯერ  
 იქნებ როგორმე გაკოცნინო; ასე შევფიცე  
 და ფიცს ვერაფრით ვერ გავტეხო.

სოფოკლი. ნუთუ უწინაც  
 ასეთი იყო, შორით რომ ეკურკურებოდი?

პეტრუჩიო. რა ბრძანებაა, ისე იყო გამმაგებული,  
 კოცნასაც ისე დამიშენდა ხოშკაკალივით,  
 რომ ზოგჯერ კიდევ მეშინოდა, მართალი გითხრა.

სოფოკლი. მაშ, ეტყობა, რომ ბორბლის მანა გამოუცვლიათ.

პეტრუჩიო. მეც მაგას ვშიშობ, კარგად მიხვდი. ო, მოთმინებავე,  
 ნუ მიღალატებ, ცუდს ნურაფერს ჩამადენინებ:  
 ან მდულარე წყლით არ დავმდულრო, ცეცხლში არ დავწვა,  
 ან უცებ სილა არ გავაწნა, გამწარებულმა.

სოფოკლი. ფეხის ხმა მესმის, მგონი მოდის.

პეტრუჩიო. ახლა იხილავ  
 ყველაზე დიდი ბედოვლათის მემკვიდრეს ქვეყნად.  
 გადუწყვეტია, გამაკოტროს, გამამათხოვროს,

შაგრამ თუ სული არ ამომხდა, მალე გაჩვენებთ,  
თვითონვე როგორ ვამათხოვრებ და ვაწანწალე.

(გამოჩნდება მარია, თან ახლავს მოახლე და მსახური)

სოფოკლი. ჩუმად! იყურე!

მარია. აჰ, ეს კაბა სულაც არ მომწონს,  
ღარიბულია მეტიმეტად; აქ დაუმატონ  
ოქროს ზონარი ექვსიოდუ; ზონარებს შორის  
ოქრომკედითვე ამოქარგონ; ქობა — პლისესი,  
ხოლო სახელოს ფურჩალებზე — მარგალიტები!



პეტრუჩიო. ხომ ხედავ, სოფოკლ, რა დღეში ვარ, არ გეცოდები?

მარია. ამ ფარდებზედაც ხომ გითხარით! უნდა ჩამოხსნათ,  
და გაიტანოთ — სირცხვილია, თავი მოგვეჭრა.  
აბრეშუმისა დაუკვეთოთ, ოქროს ფოჩებით,  
და ზედ გამოცდილ მხატვრებს უნდა მოვახატინოთ  
ეპიზოდები საფრანგეთის სამოქალაქო  
ომის თემებზე.

სოფოკლი. იცოცხლე, ძვირი დაგიჯდებათ!

მარია. ამ ფარჩისა ფერი არ მომწონს, მქისეა მეტად,  
და აბრეშუმის აშიებიც არ მომდის თვალში,  
ჩემს მოახლეებს დაურიგეთ. ჰოლანდიელთან, —  
აი, ცხენები რომ მოგვყიდა, — კაცი აფრინეთ,  
კიდევ მოგვართვას ორი ცხენი, ოღონდ იჩქარეთ.  
თან ისიც უთხრას — ოციოდუ კარგი მიმინო  
შემირჩიოს და საჩქაროზე გამომიგზავნოს,  
ფასს არ დავეძებ, ოღონდ კარგები შეარჩიოს;  
ალბათ სოფელში გავატარებ მომავალ ზამთარს.  
იქ გავურთობი. მეჯინიბე სად დამეკარგა?

(შემოდის მეჯინიბე)

პეტრუჩიო. ცხენის შეკაზმვას დაავალე.

სოფოკლი. ქალის უნაგირით?

პეტრუჩიო. ჰო, ამ ერთ წელში ცხენზე ისე გაიწაფება,  
რომ საგაისოდ, იმედია, დოღშიც გამოვა.

მარია (მეჯინიბეს). წრთვნას ხვალდანვე შევუდგებით, და, თუ ღმერთი გწამს,  
კარგი უღაყი შემირჩიე, თორემ ლაფშაზე  
ტყუილუბრალოდ გავწვალდები.

სოფოკლი. ხომ გაიგონე?  
ულაყი სთხოვა!

პეტრუჩიო. ფიქრი ნუ გაქვს, ულაყს მიიღებს!

მარია. მშვიდობის დილას მოგახსენებთ!

სოფოკლი. დილა მშვიდობის, ქალბატონო, როგორ ბრძანდებით?

მარია. უქეიფოდ ვარ —

რადაც ჩახუთულ ადგილზე დგას ეს ჩვენი სახლი.

პეტრუჩიო. კიდევ ხარჯები?!

მ ა რ ი ა. მეტიხმეტად ნესტიანია...

ჩამოლპა კიდევ. ჩქარა უნდა დავანგრევინოთ!

პ ე ტ რ უ რ ი ო. აქეთა მხარეც?

მ ა რ ი ა. ერთიანად. სულ დავანგრიოთ.

ხუდი კარგი აქვს აქეთ მხარეს, მაგრამ რად გინდა —

ერთი ციცქნაა, კუდს ვერ მოიქნევ ხეირიანად.

რას იტყვით, სოფოკლ, გონიერი კაცი ბრძანდებით და თქვენი რჩევა ძვირად მიიღებს.



პ ე ტ რ უ რ ი ო. ოჰო, შეხედე!

მ ა რ ი ა. ამას დავანგრევთ, ამ ადგილზე ახალს ავაგებთ, სწორკუთხოვან სახლს, ორი ეზოთი.

პ ე ტ რ უ რ ი ო. შუაში — სკოლა, ჭირვეული ქალებისათვის!

მ ა რ ი ა. ხოლო სამხრეთით, მთელ ოც აკრზე ბაღს გადავჭიმავთ, იტალიურ ბაღს — თალარებით, ფანჩატურებით....

პ ე ტ რ უ რ ი ო. გამადატაკა და ეს არის! იქნებ მიბრძანო, ეს ყველაფერი, ქალბატონო, ძვირი დაჯდება?

მ ა რ ი ა. სულ ხუთიოდე... დიდი-დიდი ექვსი ათასი!

ჰო, დამავიწყდა, სახლს კოშკებსაც ამოვუშენებთ.

პ ე ტ რ უ რ ი ო. მოვაოქროვებთ იმ კოშკებს თუ ისე, უბრალოდ?

მ ა რ ი ა, გირჩევ, მოლიბუღ გზას ნუ დაადგები.

კარგად დაფიქრდი — შენ ქალი ხარ, ცოლი ხარ ჩემი,

და წესისამებრ მორჩილებას მოითხოვს ქმარი.

მ ა რ ი ა. ძალიან ძვირი არ დაგიჯდეს ეს მშრალი სიტყვა!

— მორჩილებას მთხოვ წესისამებრ!.. რა არის ქმარი?

ანდა ცოლები თქვენ საპალნე ცხენი გგონიათ?

ნუთუ ჩვენც ხორცი ხორცთაგანი არა ვართ თქვენი?

პატივისცემას ჩვენც თქვენსავით არ ვიმსახურებთ?!

პ ე ტ რ უ რ ი ო... ყური დამიგდე...

მ ა რ ი ა. როგორ მივხვდეთ, როგორ გავიგოთ —

წყლის ორ თანაბარ წვეთისაგან რომელი ერთი

ცოტათი მაინც გადასწონის და მეორეზე

უმალ რომელი ჩამოწყდება?

პ ე ტ რ უ რ ი ო. შენ ვერ გამიგე:

მე სიყვარულის მორჩილებას მოვითხოვ შენგან,

ნდობას მოვითხოვ, არა მონურ დამორჩილებას!

ერთსა გთხოვ მხოლოდ — შენი ზრუნვა ნუ მოაკლდება

ნურც ჩვენს მომავალს, ნურც შენს სახლს და ნურც შენს მეუღლეს.

მ ა რ ი ა. აკი არ ვაკლებ.

პ ე ტ რ უ რ ი ო. რომ არ აკლებ, ამას მეც ვხედავ.

მ ა რ ი ა. დიახ, არ ვაკლებ, პეტრუჩიო: კაცს ვერ შეხვდები,

რომ ქალის თარგზე არ იყოს ის გამოყვანილი,

რომ ზედ არ აჩნდეს ქალის ხელი, ქალის ბეჭედი,

გავლენა ქალის, რასაც შემდეგ სამ საუკუნეს

ვერ წაშლის დროის ულმობელი ცვალებადობა.

სოფოკლი. ქმარი სხვა რამეს გეუბნებათ — უნდა გაუგოთ.

მარია. მშვენივრად მესმის, ძვირფასო სოფოკლ.

გულზვიადია, მეტისმეტი პატივმოყვარე,  
ახალგაზრდასთან ვერ ახერხებს ნაზად მოქცევას,  
მოხუცებულს დაუტკბება, რომელსაც კბილი  
არ შერჩენია და სანაცვლო კბენას არ ელის;  
დაუდგრომელი სისხლი უდუღს და მიეჩვია  
პირველი ცოლის — სათნო ქალის — მასხრად აგდებას.  
თოფის წამალს ჰგავს — ხელად იცის აბრიალება!

პეტრუჩიო. თუ ასეთი ვარ, ჩემი შიში რატომ არა გაქვს?!

მარია. რად უნდა მქონდეს შენი შიში? ნურც კი მოელი!

მუდამ კრიჭაში ჩაგიდგები, ეგვიც გახსოვდეს.

პეტრუჩიო. დაგშვენდება კი?

მარია. დამშვენდება, რატომაც არა.

პეტრუჩიო. შე თავგასულო, კადნიერო და უბადრუკო,

პატივმოყვარე დედაკაცო! რაც შენ გესლი გაქვს,

მე რომ იმისი ნახევარი სიტლანქე მომცა,

თმით დაგიბრუნებდი და ცოლის ვალს გაგახსენებდი!

მარია. მე დამბრუნებდი?

პეტრუჩიო. მაგრამ რა ვქნა, მშვიდობას ვარჩევ.

მსურს მეგობრულად ვიყო შენთან... ახლა შენ იცი!

მარია. ხომ გაიგონე, რა სთქვა, სოფოკლ?!

პეტრუჩიო. მაინც მიყვარხარ,

თუმც შენს სიყალბე-ორგულობას მშვენივრად ვხედავ.

მარია (სოფოკლს).

რა იქნებოდა, დამყოლოდა ისეთი ბედი,

რომ შენნაირ კაცს შევხედროდი — კეთილს და სულგრძელს,

პატიოსნება-სათნოებით შემკულ ქმნილებას,

მოსიყვარულეს, უვნებელსა და დაფასებულს...

ფულს რას დავეძებ, ქისა თუნდაც დაცლილი ჰქონდეს,

თღონდ შენსავით მოხდენილი, ლამაზი, კონტა,

ამ თვალებისა და ამ სახის პატრონი იყოს...

(ბეჭედს აძლევს)

აჰა, ატარე ეს ბეჭედი ჩემ სამახსოვროდ,

და სიბრალულით გამიხსენე ბედკრული ქალი.

(გადის)

სოფოკლი. გამაგებინეთ, ეს რას ნიშნავს, რა მოგივიდათ?

პეტრუჩიო. თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, შენს გზას გაჰყევი.

სოფოკლი (თავისთვის). ოჰო, ეჭვებით გაიბერა.

პეტრუჩიო. მალევე გნახავ,

და თრიოდე ქარაფშუტულ შეკითხვას მოგცემ.

სოფოკლი. მეც გიპასუხებ, რამდენადაც კი შემეძლება.

(თავისთვის)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თუკი ეს ქალი არა სტყუის და მართალს ამბობს,  
მაშინ ამ საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს.  
არადა, თავის არიდებაც არ გამომივა!..  
ეჰ, მშვიდობით, ჩემო ბატონო.

(გადის)

პეტრუჩიო.

მშვიდობით იყავ.

ნუთუ საშველი აღარ არის, ვერ მოხერხდება,  
რომ ცოლი მხოლოდ ვკუთვნოდეს საკუთარს ქმარსა,  
და მოზამთრე ფრინველებივით  
სხვაგან და სხვაგან არ იფრინოს?!  
ძნელი ყოფილა, ბატონებო, ძალიან ძნელი!  
ნეტა ვიცოდე, რა ვარსკვლავზე გაფრინდი ამქვეყნად —  
ძალღის ვარსკვლავზე, დათვისაზე, ხარის ვარსკვლავზე?!  
რამ გამაგიჟა — რად მინდოდა მეორე ცოლი?!  
სისხლის გაშრობა პირველისგან არ მეყოფოდა?!  
მაშინ შეშველა, როგორც იქნა, ცამ შემობრალა  
და ის ასპიტი მომაშორა! მე კი ავდექი,  
ახალი ქაჯი ავიკიდე მოსარჯულებლად!  
ო, გასკდა გული! რამე უნდა ვიდონო ჩქარა —  
მანამ მოგკვდები, ამ ეშმაკსაც დღე გავუმწარო.

(გადის)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ი IV

ოთახი პეტრონიუსის სახლში.

(შემოდიან ლივია, ბიანკა, ტრანიო და როლანდი)

ლივია. რა ვქნა — ბედს უნდა შევურიგდე.

როლანდი. მეც ასე ვფიქრობ.

ლივია. რას ვიფიქრებდი, ფუჭი სიტყვა, ერთი შეხედვა  
თუ შეგირყევდა ფესვებგადგმულ სიყვარულს გულში.

როლანდი. კმარა, აღარ ღირს... რაც კი რამე გიჩუქებია,  
უკან გიბრუნებ. ჰა, ბეჭდები, სამაჯურები,  
ზიზილ-პიპილო, ხარახურა. აჰა, ეს ქისაც...  
ფული კი შენვე დაგახარჯე, რაც მოგიცია,  
თვატრებსა და ათასნაირ გასართობებზე.

ლივია. მაშინ მეც ასე დაგიბრუნებ სამახსოვრო ძეწკვს,  
აჰა, წაიდე, გამომართვი. შენი თმის კულულს  
ვერ შეველევი, დამიტოვე მოსაგონებლად.

ბიანკა. რას სჩადი ქალო, დაუბრუნე ეგ სიყვარული,  
ნუ გეშინია, სხვა ვინმესთან გამოიყენებს.

ტრანიო. გრცხვენოდეს, როლანდი!

როლანდი. რატომ მარცხვენ, მაგის ხრიკები  
ასი გირვანჯა როდი მიღირს.

(თავისთვის)

ღმერთმა დამწყველოს,

თუ ლივიასთან განშორება გულს არ მიღრღნიდეს.

ბიანკა. რაღაცა უნდა მოგახსენო, ყმაწვილო კაცო.

როლანდი. მიბრძანეთ, მერე, მე მოგისმენთ, ყმაწვილო ქალო.

ბიანკა. ერთ დროს ეს ქალი თქვენ გიყვარდათ!

როლანდი. დიახ, მიყვარდა.

ბიანკა. პატიოსანი კაცი თუ ხართ? გამაგებინეთ.

თქვენს ყმაწვილკაცურ სიჩაუქეს ისედაც ვხედავ.

როლანდი. დიახ, გახლავართ პატიოსანი.

ბიანკა. მით უფრო კარგი.

განსჯის უნარიც, როგორც ვატყობ, საკმარისი გაქვთ,

და რად ვერ ხვდებით — ვინ მტერია და ვინ მოყვარე?

რად მიატოვეთ ეს ქალწული?

როლანდი. მასხრად ამიგდო!

ბიანკა. მერე რა მოხდა — უამისოდ ჩვენი ცხოვრება

და სიყვარულიც მოსაწყენი შეიქნებოდა!

როლანდი. ჭკუისკოლოფი კი ყოფილხართ!

ბიანკა. ვთქვათ, შეგიყვარდით...

როლანდი. სიამოვნებით შეგიყვარებდით!

ბიანკა. და ძალიანაც შეგიყვარდით... მეც შემიყვარდით...

იმას არა აქვს მნიშვნელობა, რატომ და როგორ....

როლანდი. ვატყობ, გავტყდები!..

ბიანკა. რა მოხდა მერე, თუ მოწყენის გასაქარვებლად,

თავშესაქცევად, სალალობოდ, სიხარულისთვის

ზოგჯერ სულელი დაგიძახო, ტინგიცა ბიჭი,

ანუ გიბრძანო, ფარეშები შეიქციე-თქო.

გულში ხომ მაინც სიყვარული მექნება შენი

და იმ სიყვარულს ვერაფერი ვერ გააქარწყლებს.

შენ გაჩენილხარ ჭეშმარიტი სიყვარულისთვის.

როლანდი (თავისთვის). ორში ერთია: ან დამცინის, ან შევეყვარდი...

ნება მიბოძეთ, რომ გაგშორდეთ, გამოგეთხოვოთ.

(თავისთვის)

ამ დედაკაცებს ენის წვერზე ეშმაკი უზით.

მგონია ისევ შემიყვარდა!

ბიანკა. რა გეჩქარებათ?

როლანდი. უნდა წავიდე... ნუ მოიწყენ ასე, ლივია,

რაც მოხდა — მოხდა, გაპატიებ, მაგრამ ხელახლა

ვერ შეგიყვარებ.

(თავისთვის)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ღმერთო ჩემო, ცოტა კიდევ და  
ნაღდად წავაგებ სანაძლეოს — ორას გირვანქას.

ლი ვ ი ა. იმასლა ვნატრობ...

ტ რ ა ნ ი თ. დაიცადე, ვაჟკაცი თუ ხარ.

ლი ვ ი ა. მე თვითონ წავალ, თღონდ ერთხელ მაკოცე მაინც,  
გამოსათხოვარ კოცნასლა გთხოვ.

რ თ ლ ა ნ დ ი. აჰა, მიიღე. —

(თავისთვის)

ორმოცდაათი გირვანქა ღირს ახლა ეს კოცნა...

(კოცნის)

ერთსაც გაკოცებ და გაგშორდები.

ლი ვ ი ა. მშვიდობით იყავ.

ბ ი ა ნ კ ა. ვერა გრძნობთ მაინც, თან რომ მიგაქვთ ქალწულის გული?

ტ რ ა ნ ი თ. ხედავთ, შეჩერდა.

ბ ი ა ნ კ ა. კეთილშობილი ვაჟკაცია,  
ქალების ღირსი.

რ თ ლ ა ნ დ ი. მე მინდა რომ... არა, არ მინდა.

(გადის).

ტ რ ა ნ ი თ. წავიდა... მაგრამ გულში დაჭრილი.

თქვენ თქვენი როლი შეასრულეთ, და მეც, ჩემის მხრით,  
რასაც შეგპირდით, შეგისრულებთ. ნეტა რას ტირით,  
თვალეზე ცრემლი მოიწმინდეთ. სანაძლეოდ ვდებ  
თუნდ ორმოც ოქროს — საბოლოოდ თქვენია იგი;  
ვფიცავ, ასეა, თუკი ჭკუა მომეკითხება.

ლი ვ ი ა. სიამოვნებით გადავიხდი.

ბ ი ა ნ კ ა. ახლა წავიდეთ,  
შენი დაიკოც ვინახულოთ, იმ ჩხუბის შემდეგ  
რას საქმიანობს, ვნახოთ ერთი. ნუ დამიღონდი,  
თღონდ იცოდე, მორთოს თვალს ნუ მოაშორებ.

(გადიან)

ს უ რ ა თ ი V

ოთახი პეტრუჩიოს სახლში.  
(შემოდიან ჟაკი და პედრო)

პ ე დ რ თ. პოი, ჟაკ, ბიჭო, რა მოგველის, რა გვეშველება?  
ოი, საწყალი, ჩვენი ტკბილი, კარგი ბატონი!

ჟ ა კ ი. პედრო, გავარდი, მოიყვანე ექიმი ჩქარა,  
წამლის შუშებიც გაიყოლე, შენი ჭირიმე,  
თორემ მოკვდება, სუ-სუ-სუ-სუ-სულს დალევს მალე.





არ გეყურება?! ვინც კი შეგხვდეს, წამოიყვანე,  
გამოაღვიძე მეზობლები... არაყიც გვინდა...  
ოღონდ მღვდელი არ დაგავიწყდეს, რაც მთავარია...

პედრო. აბა გაფფრინდი!

(გადის)

(შემოდის მარია და მსახურები)

მარია. მუქთახორებო, რას ზოზინებთ? ნუთუ აქამდე  
ველარ დასძარით ეს სკივრები. შენ გაიქეცი,  
საწოლ ოთახში ჩამოსხენი ფარდები ჩქარა,  
თან თეთრეულიც გაახვიე და გააგზავნე.

ოცდაათ წუთში უნდა მორჩე.

ერთი გახედეთ, ფურგონები მოვიდა უკვე?  
პატიოსანი რომელი ხართ? ქვემოთ ჩადით და  
ტანსაცმელი და ვერცხლეული გამოიტანეთ,  
თორემ მოგვპარეს ყველაფერი!

ჯაკი. კი ნუ მიწყენთ და.

ერთი მიბრძანეთ, მოკვდა უკვე ჩვენი ბატონი?

მარია. ჯერ არა, მაგრამ, ეტყობა, რომ ჩქარა მოკვდება.  
ეს იარაღიც გაიტანეთ.

ჯაკი. მაშ, წაეალ, ვნახავ.

მარია. გადაგედება, იცოდე, შენც. ვინც იმას ნახავთ,  
ყველას გაფრთხილებთ, სათოფეზე არ გამეკაროთ.

(შემოდის სოფოკლი და პეტრონიუსი)

სოფოკლი. რა ამბავია, ქალბატონო, რა მოგივიდათ?

პეტრონიუსი. ჩემს სიძეს რამე მოუვიდა?

მარია. ღვთის გულისათვის,  
ფეხის სიმარდე ვისაც შეგრჩათ, თქვენს თავს მიხედეთ.

(შემოდის ლივია, ბიანკა და ტრანიო)

ლივია. გამაგრდი, დაო!

მარია. ჩემი ყუთი სად დაიკარგა?

პეტრონიუსი. ქმარი როგორ გყავს, აღარ მეტყვი, ადამიანო?

მარია. ნუღარ ზოზინებთ, თავს უშველეთ! ჭირია, ჭირი...

პეტრონიუსი. არ მომეკარო, გეხვეწები!..

მარია. ჭირი გვაქვს სახლში!  
ჭირმა მეუღლე მომიცელა! ბოდავს საწყალი.  
რამე მირჩიეთ, მეგობრებო!

ბიანკა. რა რჩევა გინდა —

კარი ჩაკეტე და მომვლელ ქალს გამოუძახე.

მარია. ორ ქალს მოუხმე, მაგრამ რა ვქნა, ვერ მოვასწარი,  
ჯარისკაცები დაგვიყენეს კარებთან უკვე.

ფული ბევრი აქვს ჩემს მეუღლეს, ბლომად საჭმელიც...

მისი სულისთვის ვინც ილოცებს, ფულს არ მოვაკლებთ.



პეტრონიუსი. დიდი ხანია, ავად გახდა?

მარია. სამი საათი.

(შემოდის გუშაგი)

ლამის ჭკუაზე შევიშალო! აჰა, გუშაგიც.  
ჰე, მეგობრებო, შეასრულეთ თქვენ-თქვენი ვალი,  
კარები მაგრად გადარაზეთ. ჩემს მეუღლეს კი  
მხსნელ ანგელოზად მოთმინება მოეგლინება.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ტრანიო. რა უცებ მოხდა ყველაფერი! მოულოდნელად!

მარია. მე ფლიგელში გადავსახლდები.

ვისაც ვუყვარვარ, ვინც პატივს მცემს, მომინახულებს.

პეტრუჩიო (კულისებიდან).

არ გეყურებათ?!. ჰეი, ჰეი, კარი გამიღეთ!

პეტრონიუსი. იმისი ხმაა!

ტრანიო. ჩუმად, ჩუმად! გავიგოთ, რა სთქვა.

პეტრუჩიო (კულისებიდან).

ვინ დამამწყვდია, ვის სურს ჩემი შიმშილით მოკვლა!  
ღალატსა მწამებთ? ვინ ჩამკეტა ჭირიანივით?

პეტრონიუსი. ილოცე შვილო, ღმერთს შესთხოვე!..

პეტრუჩიო. კაჟივითა ვარ, რა თავს იგდებთ!

მარია. ახლა ლოცვა და მოთმინება გმართებს, ბატონო,  
ჩვენ კი აქედან, ფიქრი ნუ გაქვს, არას მოგაკლებთ.

პეტრუჩიო. კეტი მაკლია, კეტი მინდა, რომ აქედან მოგწვდეს.  
აი, შე მავნეუ!

პეტრონიუსი. დალაგებულად ლაპარაკობს!

მარია. ეტყობა, სულით არ დაეცა.

პეტრუჩიო (კულისებიდან).

ხმაზე გიცანით სათითაოდ! არ გესმით ჩემი?  
სიმამრი იყო, სულ პირველად ხმა რომ გაიღო...  
მერე ტრანიო... და სოფოკლი... ხოლო სულ ბოლოს,  
ჩემი ათასგზის დაწყევლილი ცოლი მარია!..  
მაგრამ თუ მართლა ჭირიანი გგონივართ ყველას,  
ჰა, ჩემი ხელი, დააკვირდით!

(ფანჯარაში გამოჰყოფს ხელს)

(შემოდის ექიმი და მუაფთიაქე)

ექიმი. სალამს მოგიძღვნით, ბატონებო!

პეტრონიუსი. ღმერთმა გიმველოთ, დროზე მოხვედით, ჩვენო ექიმო.  
იქნება მაჯა გაუსინჯოთ და გვითხრათ, რა სჭირს.

ექიმი (მაჯას უსინჯავს პეტრუჩიოს).

მაჯა ჩქარია... აშკარაა, ანთებითია,  
რაც სწორედ შავ ჭირს მოასწავებს...  
ოცი უნცია ფხვნილი უნდა. ეს კაცი მოგცემთ.

პეტრუჩიო (კულისებიდან).

მე მასუღელებთ?! ბრიყვი მნახეთ?!  
მაშ, ერთ უნციას მე თვითონვე ყბაში გიბოძებთ,

შენს ხავერდის ჩაჩს ღამის ქოთნად გამოვიყენებ!  
 რა ამბავია, ბატონებო, პირი შეპკარით  
 და სამაისო გახუმრება მოიწადინეთ?  
 აკი გითხარით — კიდევ გიცხადებთ:  
 ჯანზეც კარგად ვარ, გონებაზეც,  
 არც ერთ თქვენგანს არაფერში ტოლს არ დავუდებ.  
 გამიღეთ კარი, გამომიშვით, თორემ განანებთ,  
 ამ კედლებს წიხლით ჩამოვანგრევ და სულ პირველად  
 ვისაცა გწვდებით, სასიკვდილოდ დაგასახიჩრებთ.



(ექიმი და მებაღეები გადიან).

პეტრონიუსი. ჩვენც გამოგყვებით, დაგვიცადეთ.

მარია. ასე აჯობებს,

მაჯაზე მართლაც დავუნახე ჭირის ლაქები.

პეტრონიუსი. გათავებულა ყველაფერი.

პეტრუჩიო (კულისებიდან). კარს არ გამიღებთ?!

ტრანო. ხედავთ, სიცხემაც აუწია!

მარია. ჩვენს თავს მივხედოთ,

მაგას მაინც ველარ ვუშველით!

პეტრონიუსი. აბა, ყოჩაღად, გუშაგებო, საქმეს მიხედეთ!

და თუკი რამე მოითხოვა, ისეთი რამე,

რაც ფულით, შრომით, სიყვარულით მოიპოვება,

მიიღოს კიდევ, ნურაფერი ნუ დააკლდება.

ჩვენ ახლა წავალთ, თქვენ კი მეგობრებო, აბა თქვენ იცით!

(გუშაგებს გარდა ყველანი გადიან)

პეტრუჩიო (კულისებიდან).

არამზადებო, აღარ გესმით, კარი გამიღეთ!

ჟაკ! მეგობრებო! ბატონებო! მხეცო მეუღლე!

ყველა დაყრუვდით?! ხმა გამეცით, მანდ ვინა დგახართ?!

I გუშაგი. ილოცეთ ცოტა! თქვენც ხომ იცით, საით მიდიხართ!

II გუშაგი. ამქვეყნიური საქმეები ნუ შეგაწუხებთ,

თუკი რაიმე მოგიწდებათ, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ —

კეთილი ცოლი არაფერსაც არ დაიშურებს.

II გუშაგი. ჯერ ეს მითხარით — თქვენი ნებით გამიღებთ კარებს,

თუ მაიძულებთ სანადირო თოფი ჩამოვხსნა

და გზა მე თვითონ გამოვიგნო —

ერთი გასროლით სამს თუ არა, ორს მაინც მოგკლავთ.

რას აიტუხუთ მაგ კარებთან, რა გინდათ ჩემგან?

თავს კარგადა ვგრძნობ... მადლობა, ღმერთს, კუჭიც მაგრად მაქვს.

II გუშაგი. ეგ უკვე ცუდი ნიშანია!

I გუშაგი. ხომ ხედავ, ბორგავს!

მორჩა, გათავდა!..

პეტრუჩიო (კულისებიდან).

ძილიც კარგი მაქვს... შემომხედეთ და დარწმუნდებით.

I გუშაგი. საწერ-კალამი ხომ არ გინდათ, მანამ გონზე ხართ, იქნებ ანდერძი შეგედგინათ.

პეტრუჩიო. აკი გითხარით, კარგად ვარ-მეთქი, ბატონებო. მეტი რა გინდათ.

II გუშაგი. ნეტა კი მართლა კარგად იყოთ.

პეტრუჩიო. დაფიქრდით, მაინც, თავი თუ არ მოგძულებოდათ? გამიღეთ კარი, გამომიშვით, თორემ დაგხოცავთ, არ გეხუმრებით, სათითაოდ გაგჟუჟავთ ყველას, ოთხს მაინც მოკვლავთ, თუ მეტს არა.

I გუშაგი. რა თავს ვიტყუებთ, რამე თინი არ მოგვიწყონ — წამო, წავიდეთ.

II გუშაგი. ჯანდაბამდისაც გზა პქონიათ. ჩვენს თავს ვუშველოთ!

(გარბიან)

პეტრუჩიო (კულისებიდან).

მე თქვენ გაჩვენებთ! ჯერ ეს კარი გამოვანგრის! ცოცხალს აღარც ერთს არ გაგიშვებთ.

(კარს გამოანგრევს და გამოვარდება, ხელში თოფი უჭირავს)

წახვედით განა? გამასწარიტ! ამას უყურე — ჩემი ნაცადი თინებით შემომიტიეს?!

კაცების საქმე წასულია! აბა, დაფიქრდით —

შენ რომ გგონია, მე შემხვდაო ყველაზე კარგი,

ყველაზე უფრო მშუენიერი, პატიოსანი,

სინამდვილეში რა შეგხვდა შენ? — ციებცხელემა,

ჭირი და სნება, გაკოტრება, არგადარჩენა!..

წავიდე ერთი, გავარკვიო, ეს რა მომიწყვეს,

და თუ მარიას თინებია,

მე მკითხოს მაშინ რასაც ვუზამ.

(გადის)

მოქმედება მეოთხე

სურათი I

ოთახი პეტრონიუსის სახლში

(შემოდინან მოროზო და პეტრონიუსი)

მოროზო. რომ მთელის გულით მიყვარს იგი, მთელის არსებით, ეს ცხადია და არავინაც არ დაეჭვდება...

მაგრამ იცოდეთ, აბუჩად და ყბად ასაღებად,

პატიოსანი კაცის ასე გასამასხრებლად,

როგორც არ უნდა მიყვარდეს და...

პეტრონიუსი. მოხსენით პირი?!

ცოლი — ლოგინის თბილი ჩაჩი ხომ არ გგონიათ!

ანდა ბოჩოლა, ხელები რომ აგლოკოთ ნაზად!  
იქნება ცხვირის მოხოცვაც კი ცოლს დაავალთ!

მორთო. რა ბრძანებაა!

პეტრონიუსი.

მაშ, რა გინდათ, რაღას მოითხოვთ?

მორთო. რაც შეჭფურის და ევალება, ის გააკეთოს.

კოხტად ჩაიცუას, გამოეწყოს. ეკლესიაში  
წავიდეს ჯვარის დასაწერად... მერე — ლოგინში!..  
იქ კი ნამდვილად გავსწორდებით, ღმერთის შეწევნით...  
გამიგონია!.. ზოზინებს და ხელა ირჯება,  
ცოლის ვალს როცა გავუხსენებ, ტყვიის ბურთივით  
ცივი და მძიმე შეიქნება...

პეტრონიუსი. აღარ მოგწყინდათ ეს წუწუნი?

მორთო.

ბატონო ჩემო,

სამართლიანი უნდა იყოთ! განა უარვპყოფ —  
მოვხუცდი უკვე, გამოვშტერდი, დავჩაჩანაკდი.  
მაგრამ კაცი ვარ, სითბო მინდა, მყუდროება მსურს.  
თან ისე უნდა შევიძინო ეს მყუდროება,  
რომ სანანებლად არ გამიხდეს.

პეტრონიუსი.

რას ახუნტრუცდით,

ძველი ბალადა აღარ გახსოვთ:

„სიბურგო და ვერაფერი სიკეთეო“.

მორთო. მახსოვს, ბატონო, როგორ არა, რაკი მოხუცდი —

ყბად აღებასაც შეუჩვიე!.. განა ეგა მწყინს!  
რა ბრძანებაა — ლივიასი ეგ მომწონს სწორედ,  
ამან მით უფრო შემაყვარა.

პეტრონიუსი.

მაშ რაღას ერჩით?!

მორთო. ვერჩი კი არა, ამიტომ ვთვლი თავს ვალდებულად

ავაგსო ხოლმე ოქრო-ვერცხლით და მარგალიტით,  
ვაჩუქო ბლომად ბეჭდები და სამაჯურები,  
გულსაკიდები და რასაც კი მოიწადინებს —  
პერანგებით, კორსაჟები, ქუდი, კაბები,  
ამოქარგული წინდები და ბეწვის მუფტები,  
ფრთები, ბაფთები, წვივსაკრავი ხუთი გირვანქის,  
რა გინდა სულო, ყველაფერი... ამისთვის მხოლოდ!

პეტრონიუსი. ვიცი, ბატონო.

მორთო.

დალოცვილო, თუ საკუთარ თავს

ვალდებულად ვთვლი, რომ ამნაირ პატივში მყავდეს,  
ეგ როდი ნიშნავს მოვითმინო ყმის მორჩილებით —  
ცხვირში მავთული გამიყარონ და მატრიალონ  
თავის ნებაზე! ჰა! გამგიცხეთ თუ ვცოდავ რამეს.

პეტრონიუსი. დამშვიდდით, წადით, იოცნებეთ გულდაჯერებით,

რომ ამ ორ დღეში სამუდამოდ თქვენი გახდება.  
ის ბიჭი უკვე ჩამოგშორდათ, ნულარ გაწუხებთ.  
მოახარშინეთ ახლა კარგი წვნიანი კერძი



და შეეჭეცით მადიანად; ზედმეტი ფიქრი  
და საზრუნავი სისხლსა ჰყინავს, კაცს აჩანაგებს.  
ეს თინებიც არ შეგფერით, მოძველდა უკვე,  
ზიზღს და სიძულვილს აღძრავს მხოლოდ. წვერსაც მიხედეთ:  
ესპანურად რომ შეიკრიჭოთ უმჯობესია.

ან ღამის ჩაჩი რაღად გინდათ — ცეცხლში ჩააგდეთ,  
თორემ სუდარას გაახსენებს ახალგაზრდა ქალს —  
ცივ სინანულსა და შავ ნაღველს აუშლის ხელად.  
ხახვს მიეძაღეთ — სადარდებელს შეგიმსუბუქებთ.



მ თ რ თ შ თ. იფ, ხახვი მიყვარს!

პ ე ტ რ თ ნ ი უ ს ი. სისხლს გაგიწმენდს... ოღონდ გახსოვდეთ,  
მერე პირს უნდა გამორეცხვა აუცილებლად.  
უკბილობა რომ არ დაგეტყოთ, ეგეც გახსოვდეთ,  
პირი მიხაკის ბურთულებით გამოიტენეთ.

მ თ რ თ შ თ. იმედი უნდა ვიქონიო, ასე გამოდის!

პ ე ტ რ თ ნ ი უ ს ი. ნუმც მოგეშალოთ ეგ იმედი.

მ თ რ თ შ თ. ღმერთმა გისმინოთ!

(გადიან)

## ს უ რ ა თ ი II

ოთახი პეტრუჩიოს სახლში.

(შემოდინ პეტრუჩიო, ჟაკი და პედრო)

ჟ ა კ ი. მთელი ფარდები, სარკეები, ბატონო ჩემო,  
სამზარეულოს ჭურჭლეული და ოქრო-ვერცხლი...

პ ე დ რ თ. მთელი აბჯარი, საჭურველი... და მარტის ლუდიც...  
ო, ჟაკ, რა ვნახე, ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა!..

ჟ ა კ ი. მუსკატის ღვინის ორი კასრიც — ჩვენი იმედი,  
ჩვენი ლხინი და სასოება, — (მთელს ქვეყანაზე  
ძებორციელი უკეთესს რომ ვერაფერს დალევს),  
ეს ორი ტყუპი, ორი შუმხუნა ზარბაზანი,  
რომელთა ბათქით შობასაც რჯულზე მოვილხენდით...  
მტერმა მოგვტაცა და გადაგვიჭრა მისადგომები.

პ ე ტ რ უ ჩ ი თ. თქვენ სახლს მიხედეთ — დაალაგეთ, დაასუფთავეთ.  
ეგ მე მომანდეთ, მაგისტვისაც მალე მოვიცლი.

(ჟაკი და პედრო გადიან)

ისე სხმარტალობს და იმგვარად იცვლება ხოლმე,  
რომ რიგიანად, ვერ იქნა და, ვერ მივუდექი,  
და ჩემი საქმე, რაც ვალად მდევს, ვერ მოვათავე!  
კახპა რომ იყოს, ღვთისპირიდან გადავარდნილი,  
ანდა წუპაკი, მოკლებული ყოველ სიკეთეს,

მაშინ, იცოცხლე, ამოვდები ლაგამს გემოზე!  
მაგრამ რა ვქნა რომ, ცუდთან ერთად, კარგიც ბევრი აქვს,  
და ვერ გაუგებ — სად თვალთმაქცობს, სად მართალს ამბობს.  
ნეტა ვიცოდე, ამის ფასი რა დავაშავე,  
რომ ამ დათვის ბელს გადამყარა მუხთალმა ბედმა?  
აჰა, აქეთკენ მობრძანდება!.. თუკი შეიგნო  
და სირცხვილისგან თუ გაწითლდა შეცოდებისთვის,  
მეც მივუტევებ, ჩავთვლი კიდევ ცოლობის ღირსად,  
ჭკუა აქვს-მეთქი, ასე ვიტყვი... ჯერ დავაკვირდე!..



(შემოდის მარია)

მარია. სად გაგონილა — ცოლი ახლოს არ გაიკარო,  
და სასთუმალთან სხვა დაისვა წყლის მიმწოდებლად!..  
თან, რა მიზეზით? ასე რატომ გამებუტაო!  
ახალგაზრდა ცოლს — ქარაფშუტას და თავქარიანს —  
როდის მომხდარა, გაბუტვისთვის წაჩხუბებოდნენ?!

პეტრუჩიო (თავისთვის). ასეთი რაზე ჩემს დღეში არ გამიგონია!

მარია. ქალების ჩვეულ ჯიუტობას ჯანყი შეარქვეს!  
თქვე დალოცვილო, ერთი ტკბილი სიტყვა რომ გეთქვათ,  
ჩვენც დაუტკბებოდით!.. მაგრამ არა! გამიგონია!  
ახლოსაც კი არ გაიკარა ყმაწვილი ცოლი,  
ცოლი, რომელიც ქარაფშუტა კი იყო ცოტა,  
მაგრამ (შეუნდე, ღმერთო, ცოდვა!) ქმარი უყვარდა!  
„უყვარდა“ კიდევ ცოტა არის — ჭკუას კარგავდა,  
და ცოლად რომ არ გაჰყოლოდა, გაგიჟდებოდა!

პეტრუჩიო (თავისთვის). ცბიერებით რომ სატანასაც გადააჭარბებს,  
ეს ვიცი, მაგრამ, რა ვქნა, თუკი მეც ასე მიყვარს!

მარია. როგორ დაეწამო ამნაირი უმსგავსოება —  
ყმაწვილი ცოლი მოიშორა სნეულების დროს  
და სასთუმალთან დედაბერი წამოისკუპა!

პეტრუჩიო (თავისთვის).

არა, ბატონო, ქალს რა უგავს — იეზუიტია!

მარია. ღმერთმა ხომ იცის. ჩემნაირი მოთმინებითა,  
ერთგულებითა და ალერსით სხვა ვერ მოუვლის!  
ამას მაკისრებს სიყვარულიც, მოვალეობაც!

პეტრუჩიო (თავისთვის).

ღმერთო მიშველე! ხომ ვილოცე! გამოვუჩინდე!

(წინ გამოვა)

ერთი მიბრძანეთ, ქალბატონო, ვისი ცოლი ხართ?

მარია. თქვენნი, ბატონო! ცუდი თუ ვარ, კარგი გავხდები!  
მადლობა ღმერთს, რომ კარგად გხედავ, მოკეთებულხარ,  
და აქვე რომ ხარ ძველებურად, ესეც მახარებს.  
მაგრამ იმას კი ვერასოდეს ვერ დავივიწყებ,  
ისე მზაკვრულად რომ გამწირე. ამ საქციელით

შენ ჩირქი მოსცხე, საზოგადოდ, ქმრის სახსენებელს...  
 რატომ თვალთმაქცობ — თითქოს გიკვირს ჩემი სიტყვები!  
 პირდაპირ გეტყვი, რომ სიკეთე, პატიოსნება,  
 სათნოება და...



პეტრუჩიო. ძალიანაც ნუ გაუტიე!  
 მარია. თუ უცხო გავხდით? მოვინდომე შენი დაღუპვა?  
 რატომ გაჩუმდი? შენი ცოლი არა ვარ განა?

პეტრუჩიო. მე მაინც ვარჩევ გაჩუმებას.  
 მარია. თუ ჩემთან ყოფნა...

იქნებ არც გახსოვს, რა გვარის ვარ, რა სისხლი მიჩქეფს...  
 რას გავიკვირდა: პაპაჩემი რაინდი იყო!  
 მთელს საგრაფოში..

პეტრუჩიო. ხალხი უფრთხოდა გაძარცვის შიშით?

მარია. დიდი ბოდიში მოგვიხდია — მხედარი გახლდათ!  
 ასეთი კაცი შენს ვვარს არც კი მოლანდებია —  
 ერთი საქონლის ჩარჩი გყავდათ, გაკოტრებული...  
 თუ ვეღარ მიტან. იმიტომ რომ ჯვრისწერის შემდეგ  
 შენი გულის და ხასიათის გამოსაცდელად  
 ჭირვეულობა მოვიგონე?..

პეტრუჩიო. ღმერთი გამიწყრეს,  
 მეტიც მოთმენა თუ შემეძლოს!..

მარია. პა, ვეღარ მიტან?  
 ვით თავის ქალას, გამოსახულს სიკვდილის ნიშნად,  
 ვით გადაფხევილ ძველ მონეტას არად ავღებენ,  
 ისე ვერ მიტან? იმგვარადვე არაფრად მაგდებ?!

პეტრუჩიო. ყუთი დამიგდე — მეტი დაცლა არ შემიძლია...

მარია. არა, დაიცდი და მომისმენ! ამ წყენისათვის,  
 ჩემი ღირსების შებღალვისთვის, ამიერიდან,  
 როგორც არ უნდა მელაქუცო და მომეფერო,  
 ვინაც არ უნდა მომიგზავნო, თუნდა ამავესო  
 უძვირფასესი საჩუქრებით — არ გაპატიებ...  
 ახლა კი ბრძანე, რისი თქმაც გსურს.

პეტრუჩიო. შენნაირ მზაკვარს,  
 შენნაირ ურჯუკს და უტიფარს ქალს ვერ შეხვდები.  
 ხმა ჩაიკმიდუ და მისმინე. მე რომ ვიცნობდე  
 ქაჯების მოდგმას, ერთ-ერთ ქაჯად შენ შეგიცნობდი,  
 თან იმგვარ ქაჯად, რომლისგანაც სხვები სწავლობენ  
 აჯანყებასა და ყოველგვარ არეულობას.  
 ჯერ ეს მითხარი უბადრუკო, ალქაჯო, კახპა...  
 ცრემლი მოგადგა? ჯერ სადა ხარ, მოთქმით გატირებ!

მარია. შენი ნებაა.

პეტრუჩიო. ეს მითხარი, ადამიანთა  
 პირველი ცოდვის ხელშემწყობო, თანამზრახველო,  
 ბუდევე ყოველგვარ უწყობა-არეულობის,



შურისგების და ბოროტების ბასრო მახვილო,  
ჩვენს თავს ზემოდან სუსტი ძაფით ჩამოკიდულს,  
აღარ გაძეხი ამ ცოდვებით და ბოროტებით?!  
• თუ ცოდვად არ თვლი, — ჩუმაღ-მეთქი, ნუ გამაცოფე, —  
ცოდვად არა თვლი ამ ბავშვურ ჯანყს, რითაც გასთელე  
წმინდა კავშირი ცოლქმრობისა, ღვთით კურთხეული,  
პატიოსნება, იმედები ახლობლებისა,  
რომელთაც სათნო და უმანკო ქალი ეგონე?!  
ერთხელ იყო და გაპატიე, მაინც არ დაცხრი,  
მაინც ჯანყს მიწყობ, ათასნაირ ხრიკებს იგონებ,  
ჩემი სიკეთის იმედი გაქვს, იცი, რომ მაინც  
ვერ შეგიძლებ, სიამაყეს როგორმე მოვდრეკ,  
კვლავ გამოვიჩენ სულგრძელობას!.. ასეა განა?  
შენი გზით წადი!..



მ ა რ ი ა. კი, ბატონო, ახლავე წავალ.

პ ე ტ რ უ რ ი თ. ჯერ მომისმინე!

ორი საათის მოწყვეტილო დამტკნარო ვარდო,  
რასაც არც ფერი შერჩენია, არც სურნელება!  
შე უმაქნისო, თუ გრძობ მაინც, რა დააშავე,  
და ამისათვის რა სასჯელი დაიმსახურე?!  
ნუთუ ასეთი სასაცილო ქმარი გგონივარ,  
რომ ჭაკისაგან მოვითმინო ამდენი რამე!  
დამბლა დამეცა, დავბრმავდი თუ ჭირიანი ვარ,  
რომ ჩამკეტე და დედაბერი მომისვი გვერდით?..

მ ა რ ი ა. შეგიძლია, რომ იამაყო ამ მოხერხებით!

პ ე ტ რ უ რ ი თ. როცა ეს საქმე გამჟღავნდება — მე მომდგებიან,

შე გამკიცხავეს, საკუთარ თავს რად ილუპავსო!  
გამოტყდი მაინც — რომ მოგდგე და გეშოზე გცემო,  
გულში ხომ იტყვი, ახიაო, მეტიც მცემეო?!

მ ა რ ი ა. რა უნდა გითხრა — შენი სულაც არ მეშინია.

უკანასკნელო ტრფობის ცრემლო, გემშვიდობები!  
აბა სინჯე და გამიბედე, ხელი შემახე, —  
ვიცი, გიყვარვარ, და მანამ შენი გავხდებოდე,  
ლამის ჭკუაზე შეიშალო! — ხელს თუ შემახებ,  
იმავე წუთში ზურგს შეგაქცევ და პირველ შემხვედრს,  
ვინც უნდა იყოს — (რაც უარესი, მით უკეთესი) —  
მოვაკვლევინებ ხელად შენს თავს, და მას გავყვები.  
მაგრამ თუკი ვსურს ჩემთან ყოფნა — ერთის პირობით:  
რასაც მე ვამბობ შენს სულელურ სნეულებაზე,  
შენც უნდა ფიცით დაამოწმო — ასე იყო-თქო;  
ხოლო თუ მაინც ვინმეს ეჭვი შეეპარება,  
თავხედობისთვის ხმალში უნდა გამოიწვიო;  
და საცა მიხვალ, ჩემს საქციელს აქებდე ყველგან.  
ახლა კი წავალ.

(გადის)

პ ე ტ რ უ რ ი თ.

ჯოჯოხეთის გზითაც გივლია!

ახლავე უნდა დავტრიალდე და ყველა ჯადო,  
ნუსხა, შელოცვა, თილისმა და ბალახ-ბულახი,  
ავი სულეები, ფერიები გამოვიყენო,  
იქნებ როგორმე ეს ალქაჯი გადავიყვარო,  
არადა მორჩა — სამუდამოდ დაღუპული ვარ.

(გადის)



ს უ რ ა თ ი III

ბალი ბიანკას სახლთან.

(შემოდინ ტრანიო და ბიანკა)

ტრანიო. ეს საქმე უნდა უსათუოდ დაავიწყდებოდა.

ბიანკა. ის ქაღალდები რა უყავი, მე რომ გითხარი?

ტრანიო. მზადა მაქვს, მაგრამ რად გჭირდება, ესეც მითხარი!

ბიანკა. რა ვირობაა — ყველგან უნდა ჩასჩარო ცხვირი?

ტრანიო. უნდა ჩავჩარო, აბა როგორ! თანაც ისე ღრმად,  
რომ გული კარგად დავიამო და გავიხარო.

ბიანკა. არამზადა ხარ! წადი ახლა, ნუღარ ზოზინებ,  
როლანდი ნახე და სასწრაფოდ აქ გამოგზავნე.

თორემ, იცოდე, დაიღუპა ის შენი ფული:

გადაწყვიტეს, რომ საღამომდე დასწერონ ჯვარი,

თუ ახლავე არ დავტრიალდით და არ ჩავშალეთ!

ერთი ზომისა უნდა იყოს ის ქაღალდები.

ტრანიო. ვიცი. წავედი.

(გადის)

(შემოდის ლივია)

ბიანკა. აბა, რას მომცემ, — შენი შიში, ის თქვენი ჩხუბი,

და ეშმაკური ოინები მამაშენისა,

სუყველაფერი განზე დარჩეს, შენ კი ორ დღეში

შენი როლანდი შეიწვინო ლოგინში ტკბილად?!

ლივია. როგორ?

ბიანკა. როგორ და, როგორც ქმარი, კანონიერი!

ნეტა შენს თავზე შეგახედა — როგორ გაბრწყინდი!

ასე არა სჯობს!

ლივია. რას დამცინი, ჩემო ბიანკა!

ბიანკა. რატომ დაგცინი — რაც გითხარი, სულ მართალია.

ლივია. არ დავიფიწყებ მაგ სიკეთეს მე არასოდეს.

ბიანკა. მჯერა! ახლა კი, რაც გირჩიო, ის შეასრულე,

და თუ როლანდი მართლაც შენი არ გახდეს მალე,

მაშინ მეც მშვიდი მოსვენება აღარ მეღირსოს.

ახლავე უნდა აუად გახდე, ლოგინში ჩაწვე.

ლივია. მერე?

ბიანკა. მერე კი როგორც ავადმყოფი, მოიპატიუებ  
მეგობრებს, მამას, იმ დაწყვეტილ ბუხრეკ მოროზოს,  
როლანდიც მოვა...

ლივია. რა გამოვა მაგითი მერე?

ბიანკა. ჯერ ავად გახდი, დანარჩენსაც მერე გაიგებ.

ლივია. გემორჩილები... ავადა ვარ

ბიანკა. ღმერთმა გიშველოს.

(გადიან)



#### ს ს რ ა თ ი I V

ოთახი პეტრუჩიოს სახლში.

(შემოდიან პეტრუჩიო, პედრო და ჟაკი)

პეტრუჩიო. წადი და სთხოვე, აქ მობრძანდეს. არ შევაწუხებ —  
ორი სიტყვა მაქვს სულ სათქმელი.

(პედრო გადის)

თავს გეფიცებით,

ამგვარ ცხოვრებას, ასეთ ცოლთან ჭაპანის წევას,  
სულ შიშში ყოფნას — ბოროტებას არ შემყაროსო —  
მე მირჩევნია გუთანს ვსდიო ნიადაგ კვალში,  
წყალწყალა წვნიანს შევექცე და მათხოვრობაში  
გავლიო ჩემი უხალისო წუთისოფელი.

ან თუ არადა, ქვეყნები ხომ სხვაგანაც არის,

ხალხიც ბევრია, არც ქალების ნაკლებობაა;

თუკი ვისურვებ, ხელს გავშლი და პირდაპირ ვიტყვი:

ჰა, ჩემი ფული — შენ საქონელს ჩამოდი მანდედ!

მზეც, ამბობენ, რომ ერთნაირად ანათებს ყველგან,

აქაც და იქაც; და მანამ მე ან ჩემი ცოლი, —

თღონდ ვერ გეტყვი, პირველად ვინ, სულერთიც არის, —

არ მოგკვდებით და...

ჟაკი. იცით, რას გეტყვით, ბატონო ჩემო...

პეტრუჩიო. ...და არ გაქრება ქვეყნად ჩვენი სახსენებელი,  
ჩემი სამშობლო ვეღარაფერს გაიგებს ჩემზე.

ჟაკი. ვაი, ბატონო, რა ცუდი გზა აგირჩევიათ!

პეტრუჩიო. ყოველი გზა კურთხეულია, რაც ამ ჯოჯოხეთს მომამორებს!

ჟაკი. მე კი მგონია, თუკი თქვენი დიდებულება  
ცოტას მოითმენს...

პეტრუჩიო. მოითმენსო? რის მოთმინება?

ჟაკი. დიან, ბატონო, ცოტას კიდევ თუკი მოითმენთ...

პეტრუჩიო. ვთქვათ, მოვითმინე, მერე?

ჟაკი. შერე იმის ოინებს,  
სიცილ-ხარხარით თუ შეხვდებით; როცა დაიწყებს  
ლანძღვა-გინებას, სახურავზე თუ ავარდებით,  
ნადარას დაჰკრავთ და მეზობლებს შეატყობინებთ  
იმის საქციელს დასაგმობსა, ნახეთ რა მოხდეს!  
ასე ვუქენი რამდენჯერმე ჩემს საკუთარ ცოლს...



პეტრუჩიო. შენი ცოლი ხომ მტრედი არის მაგ აშაღლანთან!  
მშვიდი ძილია, შუალამის მყუდროებაა!

ჟაკი. აჰ, რასა ბრძანებთ — დოლაბია, რკინის დოლაბი!

პეტრუჩიო. ნდობა მაინც გაქვს შენი ცოლის!..

ჟაკი. სულ ტყუილია,  
სანდო ცოლი ჯერ არავისაც არ შეხვედრია!

პეტრუჩიო. იცი ხომ მაინც, რა არის და რას წარმოადგენს!

ჟაკი. ისღა ვიცი, რომ დღე და ღამე, ეს ოცი წელი,  
ამოდ ვცდილობ მის გახედნას.

პეტრუჩიო. სულ ტყუილია,  
ცისარტყელასაც არ ექნება იმდენი ფერი,  
და მშვილდისგვარად მოხრილი და გადარკალური,  
იმგვარ სისწრაფით ვერ შეიცვლის ელფერს ზეცაში,  
რა სისწრაფითაც ჩემი ცოლი თავის მზაკვრობას  
მრავალნაირად ასხვაფერებს და აფერადებს.

(შეშოდის პედრო)

რაო, რა გითხრა?

პედრო. არაფერი. ხმაც არ გაიღო,  
ისე კი ხელით მანიშნა, რომ გამოგყვებო.  
გთხოვთ მოთმინება იქონიოთ. ჩემგან თქვენ აბა  
რა გესწავლებათ, მაგრამ ყველა კარგი ვაჟკაცი,  
ყველა მოკვდავი ჯვარს მიათრევს გოლგოთისაკენ.

პეტრუჩიო. ნეტა საით ხრის ეს ყმაწვილი!

პედრო. ეჭვიც არ არის,  
ჩემო ბატონო...

პეტრუჩიო. აღარ იტყვი? არ დაამთავრებ?

პედრო. რომ ის ჭკუიდან შეიშალა.

პეტრუჩიო. დიდება უფალს!  
ღმერთმა გისმინოს!

პედრო. ამინ, ამინ, ჩემო ბატონო!

პეტრუჩიო. როგორ გაგიჟდა, აღარ მეტყვი?

პედრო. ისე გაგიჟდა,  
როგორც ისურვებს კაცის გული, ჩემო ბატონო!  
გარეუბნებში მათხოვარა დედაკაცები  
ფულისთვის ხელეზგამოწვდილი რომ ირევიან,  
ჩვენს ქალბატონსაც იმნაირი კონკაძველები,  
რალაც ძონძები, ჭუჭყიანი, მოუძებნია

და ის ჩაუცვამს. შეკითხვაზე ხმას კი არ გაგცემს,  
დაუსტვენს ისე და თითხა გკრავს, სადაც ისურვებს.

პეტრუჩიო. მოუგონია კიდევ რაღაც!

პედრო. აგერ, სოფოკლიც.

პეტრუჩიო. რას აკეთებდა იქ სოფოკლი? თუმცა ჯანდაბას!  
ჩემი სკივრები ჩამილაგეთ, მივემგზავრები.

პედრო. სოფოკლი გეტყვით დაწვრილებით. ო, კეთილთ ჟაჭი  
ჭკუა დაკარგა, აურია!..



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

(შემოდის სოფოკლი)

სოფოკლი. ნეტა ამაზეც ქალი ითქმის?!

პეტრუჩიო. ქალია, მაშა!

სოფოკლი. ვეჭვობ, ბატონო, ქალი იყოს.

პეტრუჩიო. შე კი მგონია,  
რომ საქმითაც კი დაგიმტკიცა თავის ქალობა.

სოფოკლი. პო, დამიმტკიცა — ცოცხალმა ძლივს გამოვასწარი.

პეტრუჩიო. ასე დაგქანცა?

სოფოკლი. ცუდს ნურაფერს გაიფლებ გულში —  
ღვთისმშობელივით უმანკოა შენი მეუღლე,  
თუმცა ბეჭედი კი მაჩუქა...

პეტრუჩიო. რათა დაიცხროს ავხორცობა!..

სოფოკლი. რა ბრძანებაა!  
ერთხელაც კი არ მიკოცნია იმ ამბის შემდეგ;  
ახლა მივედი, ვნახავ-მეთქი, ვით მეგობარი,  
მაგრამ, ეტყობა, გადირია, ჩემო ბატონო:  
რომ დამინახა, წამოვარდა ფეთიანივით,  
წამაძრობინა ის ბეჭედი თითიდან ხელად,  
დანა ღააძრო მაშინათვე... რისთვის, არ ვიცი...

პეტრუჩიო. შენ ამას მართალს მეუბნები?

სოფოკლი. რა ბრძანებაა!

პეტრუჩიო. ვიცი, გენდობი... იმედი მაქვს არც მილალატებ.

სოფოკლი. აჰა, თვითონაც!

(შემოდის მარია)

პეტრუჩიო. ქალბატონო, ერთი მიბრძანე —  
რომ მიგატოვო და წავიდე, მაშინ რას იზამ?  
აჰ, გადაწყვიტე, რომ მუნჯურად გამესაუბრო?!  
რაო, ამ ზაფხულს საზღვარგარეთ გაინავარდებ?  
და მეზღვაურებს გამოიჭერ?.. ქალაქგარეთაც  
სახლს აიშენებ? დედათ მონასტერს დააარსებ?

სოფოკლი. ნუ შეაწუხებ — ვერა ხედავ, რა ყოფაშია!

პეტრუჩიო. რა ყოფაშია? ძაღლია და ძაღლივითა სდუმს...  
ჯერ დამაცადე — ჩემს ნებაზე ავაჭიკტიკებ!

სოფოკლი. ნუ მოექცევი ასე მწარედ, ჩემო ბატონო.

პეტრუჩიო. ყური დამიგდე — არ გეგონოს, რომ გამაცოფე!

დამშვიდებული გეუბნები: ყველაფერს მივხვდი!  
 კარგ ჭკუაზე ხარ და გაფრთხილებ — თავს ნულარ იგდებ!

(თავისთვის)

ღმერთო, ასეთი რა შევცოდე! რა ხათაბალას  
 გადავეკიდე! როგორ გავწირე ყველაფერი!  
 ცოლს ვეძებდი და კეთრი შემხვდა, ჭირი და სნება,  
 ჭირზედაც უფრო უარესი!.. ახია ჩემზე!  
 გიჟი ვიყავ და საკადრისსაც გადავეყარე!..



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

სოფოკლი. რატომ, არც ისე ცუდი არის!

პეტრუჩიო. უფრო უარესს

ქვეყნად ვერაფერს ვერ შეხვდები. უტიფარია!  
 და ერთი ბეწო არც ნამუსი, არც სინიღისი,  
 პატიოსნება და ქალობა აღარა სცხია.

სულ ტყუილია — ქალის ნაშობს რა უგავს ერთი!  
 მგელია, მგელი, მტაცებელი!

(თავისთვის)

არც ახლა გატყდა?

სოფოკლი. შენი სიტყვები ესმის ნეტა?

პეტრუჩიო. რა მენადვლება —

გინდა ესმოდეს, გინდა არა. მე გავათავე —  
 სიამე მსურდა მაგასთან და — მორჩა, აღარ მსურს!..

შევციტინებდი სიყვარულით და ახლა უკვე,  
 როგორც ქამარი, წელზე მჭიდროდ შემოჭერილი,  
 აჰა, მოვუშვი, — სიყვარულიც არ მსურს მაგისი.

არა, ბატონო, აღარა ვარ მაგისი ქმარი,  
 გემშვიდობებ, ჩემო პატივმოყვარეობავ!  
 მაგრამ, რაკიდა ჩემი ცოლი გერქვა, მარია,

მაინც არ მინდა, მათხოვრობით ამოგძვრეს სული,  
 და თუმც არა ხარ ამის ღირსი, მე დაგიტოვებ  
 ნახევარს ჩემი ქონებისას... ნახევარ სახლსაც...

ხოლო მეორე ნახევარი უნდა გავყიდო  
 და გავემჯავრო ჩემს ნებაზე.

მარია. ახლალა მივხვდი,

რომ მყვარებიხარ მთელის გულით! ახლალა მივხვდი,  
 რომ ჭეშმარიტი ვაჟკაცი ხარ! და გადავწყვიტე,  
 რომ გაპატიო, რაც კი შენგან სიმწარე მახსოვს.

სოფოკლი. გამაგებინეთ, მომეყურა თუ ნამდვილია?

პეტრუჩიო (თავისთვის). გადაწყვიტა, რომ გამაცუროს!

მარია. რამდენი ხანი

ამას ვნატრობდი — იქნებ ჭკუაში ჩავარდეს-მეთქი!  
 და, ჰა, ვედირსე! რაც იყო, ნულარ გავიხსენებთ.  
 თითქოს ხელახლა დაიბადე, სულ სხვა კაცი ხარ —  
 ყოვლი სიკეთით შემკული და პატიოსანი!..

ხომ არ გგონია, მეც სხვებივით მოყვები წუწუნს,  
შემოგეჭდობი კისერზე და, სხვა ბრიყვებივით,  
ალარ გაგიშვებ — შურს ვიძიებ გაბოროტებით.  
მე შენ მიყვარხარ და ეს ყველამ უნდა გაიგოს.  
მე ჩემი ქვეყნის დიდებასა და პატივს ვარჩევ,  
და რაკი მისი ღირსეული შვილი შენა ხარ,  
წადი, შეივსე შენი ცოდნა, გამოცდილება,  
სხვა ქვეყნებთან და სხვა ხალხებთან ურთიერთობით,  
ხოლო ეს ჩემი სიყვარული და ხვევნა-კოცნა,  
ღრობით მსხვერპლად შემიწირავს ამ საქმისათვის.



სოფოკლი. აჰა, ნამდვილი მეცნიერი სადა გგეყოლია!  
მარია. მიმჭირნობით უნდა იყო მთელს მგზავრობაში  
ეს ერთი ხელი ტანსაცმელი საკმარისია;  
კვირაში ერთხელ თუ სჭამ რამეს, ისიც ბევრია.  
ამაში თვითონ დარწმუნდები: რაც უფრო მეტად  
არაფრისმქონე გამოჩნდები — მეტ რამეს ნახავ.

პეტრუჩიო. გესმით, რას ამბობს?

სოფოკლი. როგორ არა!

პეტრუჩიო. რა იქნებოდა,  
ახალი რჯულის მქადაგებლად მოვლენილიყო?!

სოფოკლი. მაშინვე ყველას წარმართებად გადაგვაქცევდა.  
მიკვირს პირდაპირ — რატომ არ წერს თავის მოძღვრებას!

მარია. გაივლის დრო და დაბრძენდები, დაქკვიანდები,  
ღოთი და ფოთი — კეთილშობილ პრინცად იქცევი,  
ან უკეთ რომ ვთქვათ —  
ჯაგლაგი ცხენი ბედაურად გადაიქცევი,  
ვით ლდისევსი, დაბრუნდები სახლში ჭალარით  
და მეც დაგხვდები პენელოპა...

პეტრუჩიო. ამასობაში,  
რამდენი ენის შესწავლასაც მე მოვახერხებ,  
იმდენ საყვარელს გამოიცვლი...

მარია. მართალსა ბრძანებ,  
შენს არყოფნაში მე გავუძლებ ათას ცთუნებას,  
და ეს პატივად ჩამეთვლება.

პეტრუჩიო. რას მირჩევთ? რა ვქნა?

სოფოკლი. უნდა ადგე და გაემგზავრო... ეგ არ გინდოდა?

პეტრუჩიო. აჰ, სულაც არა! მე მინდოდა ამის გამოცდა.  
მაგრამ ხომ ნახე, კეხი როგორ შემომიბრუნა!  
უნდა წავიდე, რალა გზა მაქვს!

(ქაკს და პედროს)

სკივრები უკვე ჩაალაგეთ? ცხენი შეკაზმეთ?  
წადით და ფული მომიტანეთ.

მარია. მე, ჩემდა თავად,

არ დავიშურებ ჩემს ძალ-ღონეს, რომ როგორც ქვრივმა,  
აქ შენს ქონებას ვუპატრონო.

პეტრუჩიო. ხედავთ, საიდან დაუბერა? გადუწყვეტია,  
სულერთიანად ამომავდოს, ამომიჭამოს!

მარია. საფრანგეთისკენ დაუბერა, ჩემო ბატონო,  
და სწორედ დროზე — ზურგის ქარად გამოგადგება!  
რალას ზოზინებ, გაემგზავრე, არ ჩადგეს ქარი,  
საგზალს ახლავე მოგიმზადებ.



პეტრუჩიო. მშვიდობით გნახე!

მარია. რას გავიხარებ, ცხენზე შემჯდარს რომ დაგინახავ!

პეტრუჩიო. სახრჩობელაზე რომ გენახე, მაშინ უფრო გაიხარებდი!

მარია. საცა არ უნდა დაგინახო, გამეხარდება!

პეტრუჩიო. სოფოკლ, შენცა და სხვა მეგობრებიც,  
იმედი მაქვს, რომ გამაყილებთ.

მარია. რალა თქმა უნდა!

გამცილებლები, ფიქრი ნუ გაქვს, არ მოგაკლდება.

მაკოცე ბარემ... უნდა გავიქცე, სახლს მივხედო.

პეტრუჩიო. თავიდან მომწყდი!

თორემ თუ ისევ გამიმართე წილადობილა,

ჭიტლავს ამოგკრავ და შეგაგდებ საწოლ ოთახში.

მარია. აბა, მშვიდობით. თუ ღმერთი გწამს, ნუ დაივიწყებ —

ჭკუით იყავი, ღირსეულად გეჭიროს თავი,

როგორც შეჭფერის ნამდვილ ვაჟკაცს... ამით, იცოდე,

მეც გამახარებ და მამებ.. იმ ძველ ცოდვებზე,

შენს ქარაფშუტულ ყიალსა და უზნეობაზე, —

რამაც შინიდან გადახვეწა გაფიქრებინა,

(და მეც იმიტომ შეგელიე და გაგიმეტე), —

არც კი იფიქრო, მე აქა ვარ, ნუ გეშინია:

როგორც ერთგულ ცოლს შეჭფერის და მოეთხოვება,

შენს არყოფნაში აქ სუყველას გადაგავიწყებ.

ახლა მითხარი, როგორ ატყობ — იქნება ზღვაში

ლიმონის წვენი მოგუნატროს! მოგირბენინებ.

პეტრუჩიო. დაე სატანამ —

შენმა პირველმა მოძღვარმა და დამრიგებელმა —

გადმოგაფრქვიოს კურთხევა და წყალობა თვისი...

მარია. ვაი თუ ხელი შეგიშალო ამ გარდაქმნაში!

სჯობს გაგეცალო...

(გადის)

პეტრუჩიო. უნდა წავიდე!.. არა, არა! ფეხს არ მოვიცვლი —  
ერთხელ კიდევ ვცდი, საბოლოოდ!

სოფოკლი. სჯობს გაემგზავრო.

პეტრუჩიო. გაემგზავრები... ჩემს სიამამს და მეგობრებს უხმეთ,  
რომ გამაყილონ... და თუ ზღვაში ქალის ენაზე



უფრო საშიში ქარიშხალი დატრიალდება,  
ანდა ტალღები  
ქალების ფიცზე უნდობელი თუ გამოდგება —  
ჯანდაბა ჩემს თავს, ნუმც მეღირსოს ნაპირზე გასვლა.

(გადიან)



მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ხ უ თ ე

ს უ რ ა თ ი I

ოთახი პეტრონიუსის სახლში.  
(შემოდინ პეტრონიუსი და ბიანკა)

ბ ი ა ნ კ ა. თქვენგან განკიცხვა-საყვედური თუ მეკუთვნოდა,  
ეს ხალხმა ნახოს და განსაჯოს, ჩემო ბატონო.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. თუ ჩემი ქალის ეს ნანატრი მონანიება  
შენი კეთილი რჩევით იყო შთაგონებული, —  
(ისე კი ვატყობ მართლაც შენმა რჩევამ შესცვალა,) —  
მაშინ ვიტყვი, რომ უსამართლოდ გამიკიცხიხარ  
და ვნანობ კიდევ ჩემს საქციელს.

ბ ი ა ნ კ ა. არა, პირველად  
მამის ურჩობის უაზრობას თვითონვე ჩახვდა,  
მერე, იცოცხლეთ, მეც მოვდექი და ვეჩიჩინე —  
შვილს-მეთქი მართებს მამის ყადრი და სიყვარული;  
ჩემი სიტყვები ყურად იღო, მოინანია...  
მაგრამ ახ მწარე სინანულმა გახადა ავად —  
რად ვატკინეო მამას გული, ასე იძახის...  
ჩემი ნუგეში ვერც განკურნავს ასე ადვილად.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. ავად რომ არის, ვწუხვარ, მაგრამ თან მიხარია,  
რაკილა ამის სინანულმა დაასწავლა.

ბ ი ა ნ კ ა. აგერ, მოროზოც.

(შემოდის მოროზო)

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. კარგ დროზე კი მოხვედი სწორედ —  
კარგი ამბავი უნდა გახარო.

მ ო რ ო ზ ო. გმადლობ, ბატონო...

ნეტა ვიცოდე, ამ ქალბატონს რა უნდა აქა?

ბ ი ა ნ კ ა. სწორედ მე უნდა გიმასპინძლოთ კარგი ამბებით,  
რისთვისაც დიდი მადლობელი დამრჩებით მერე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. ბიანკა მართალს გეუბნება, ჩემო მოროზო,  
გადი და შენი ქალბატონი მოინახულე.

ბ ი ა ნ კ ა. ავადმყოფს ნახავთ, მაგრამ მაინც მაგრად ჩაკოცნეთ.

მ ო რ ო ზ ო. როგორ?!

ბიანკა. როგორ და, მოეფერეთ, მიუალერსეთ.

მორთო. მართლა ამისთვის დამიძახეთ, ჩემო ბატონო?

პეტრონიუსი. აკი გითხარი, შედი-მეთქი! შენ თვითონ ნახე.

ბიანკა. შედით, შებრძანდით, აღსარება უნდა გაგანდოს.

მორთო. ღვთისმშობელს ვფიცავ, უყოყმანოდ მიიღებს ჩემგან

მიტევებასაც და უპიტიმიასაც,

ოღონდ ცოდვების კვალობაზე, რაღა თქმა უნდა.

პეტრონიუსი. აქ რას ზოზინებ, შე ყვეყჩო, იქ შედი-მეთქი!

(მორთო გადის)

ბიანკა. აგერ, მუორეც აქეთ მოდის:

(შემოდის როლანდი და ტრანო)

პეტრონიუსი. მოგესალმებით შენც, ტრანო, შენს მეგობარსაც.

როლანდი. გმადლობთ, ბატონო...

პეტრონიუსი. ქალიშვილი მყავს...

როლანდი. მაგას რა სჯობს მერე, ბატონო...

პეტრონიუსი. თქვენც იცნობთ იმას, ეჭვი არ მაქვს.

როლანდი. დიახ, ვიცნობდი,

მაგრამ დღეიდან არ ვისურვებ მის ნაცნობობას.

იგი ქალია, ხოლო გზები ქალის გულისკენ,

როგორც თოვლის ქვეშ ბილიკები, ძნელია ხოლმე

გასაგნებად და მისაკვლევად.

პეტრონიუსი. ...ჰოდა ბატონო,

იმ ჩემს ქალიშვილს გულზიდებამ წამოუარა,

რადგანაც თქვენი ტრფობა ყელში ამოუვიდა.

როლანდი. ჩემი, ბატონო?

პეტრონიუსი. დიახ, თქვენი. წევს ლოგინში და

ფიქრობს თავისთვის, მისცემია მწარე სინანულს.

როლანდი. მერე, ბატონო?

პეტრონიუსი. კარგი იქნება, თქვენც რომ ნახოთ.

როლანდი. კეთილი, ვნახავ. ხალხის ნახვა გულს არ ამირევს.

პეტრონიუსი. ოღონდ გაფრთხილებთ — ძველ ლივიას სულაც აღარ ჰგავს.

როლანდი. არა, ბატონო, ის ძველიც კი მეტია ჩემთვის.

პეტრონიუსი. კისერზე ახლა ძველებურად არ მოგეჭდობა...

ჩემი მორჩილი გახდა ისევ, და რასაც ვეტყვი,

რასაც ვუბრძანებ, შემისრულებს ყველაფერს უხმოდ.

ახლა უნდა, რომ საბოლოოდ გამოგეთხოვოთ.

და თქვენი აღთქმა დაგიბრუნოთ.

როლანდი. მეც ამგვარადვე.

სიამოვნებით დავუბრუნებ, რაც ფიცი მომცა,

ის კი არადა, ხელწერილსაც არ დავიშურებ,

რომ ჩემი აღარ ემართება აღარაფერი.

პეტრონიუსი. ეგა მსურს სწორედ... ისიც მოგცემს თავის ხელწერილს,

და ასე ტკბილად დაშორდებით ერთიმეორეს.

როლანდი. კარგი, ბატონო!.. აბა, ტრანო,

ოცი გირვანქა გმართებს ჩემი, არ დაგავიწყდეს.

ტრანო. ნუ გეშინია, შენი ვალი არ გამაკოტრებს.

როლანდი. აბა, შევიდეთ, — ნებას გვაძლევთ, ვნახოთ ლივია?

ბიანკა. როლანდ, ერთსა გთხოვთ — რაც არ უნდა გითხრათ ლივიამ,  
თქვენ ვაჟკაცურად მოუთმინეთ.

როლანდი. ბრძანოს, რაცა სურს, მე მაგითი რა დამაკლდებოდა!  
მანამდე ენა ექაგება, სულ იტიტინოს.

შენ კი მართლაც რომ ჩამოქნილი ტანი გქონია

და სახეზედაც ლამაზი ხარ, უნდა გამოვტყდე.

(თავისთვის)

ვატყობ. შარდივით გამდის ჩემი ასი გირვანქა!

(პეტრონიუსი ფარდას გადასწევს. გამოჩნდება ლივია  
ლოგინში. სასთუმალთან მორთუო უდგას)

ბიანკა. ჩუმად გადასწი — მცირე ფაჩუნიც კი ნურვებს უშლის.

პეტრონიუსი. როგორა ხარ, ჩემო გოგონი?

ლივია. ძალიან ცუდად,

ძალიან ცუდად... მაგრამ, ვატყობ, კარგად გავხდები,  
რაკი შემინდო ამ კეთილმა ადამიანმა.

ცოტა ბალიში წამოწიეთ, უნდა წამოვჯდე...

ო, თავი, თავი!..

ბიანკა (ჩუმად ლივიას). ყოჩად გოგონი, ჩინებულია!

ლივია. მისმინე, მამა... სხვებსაც მოგმართაუთ, ვინც აქა ხართ.

იცოდეს ყველამ, რომ მე ამ კაცს გული ვატკინე,

ჯერ ბერიკაცი ასე არვის შეურაცხყვია;

რა არ ვუყავი: დავცინოდი, ვეჭყანებოდი,

სახეში ზიზღით ვაფურთხებდი, რას არ ვეძახდი!

წვერებზე სანთელს ვაწებებდი, ფარცხი შევარქვი,

(ვაიმე გვერდში როგორა მიხვლევს!..) ნათლობებზედაც

საფადარათო ზეთს ვუსხამდი მე მურაბებში,

და ერთი-ორჯერ შარვალშიც კი ჩავასვრევინე!..

ერთხელ (ო, ღმერთო, შეჩვენების ღირსი ვარ სწორედ!)

კიბეზე ცერცვი მოვუპნიე და ამ სპეტაკი,

ამ ბრძენი თავით კიბის ცხრამეტი საფეხური

სულ სათითაოდ ბრაგა-ბრუგით დაგათვლევინე,

ისე რომ ერთი საფეხურიც არ გამოსტოვა,

ხოლო სულ ბოლო საფეხურზე როცა დაეცა,

კუჭშეკრულობის წამლის ბოთლი სულმთლად დაეფშვნა,

თვრამეტ შილინგად დირებული ქვა დაეკარგა,

შარვალში ორჯერ ჩაისკარა, გონი დაკარგა...

ეს ყველაფერი მე გავაკეთე, მე, ლივიამ!..

მორთუო. მე კი შევინდე ყველაფერი...

ლივია. ბიანკას რატომ ვერა ვხედავ?

ბ ი ა ნ კ ა. აქა ვარ, დაო.

ლ ი ვ ი ა. წყალი მომეცი.

ბ ი ა ნ კ ა. აჰა, დალიე.

ლ ი ვ ი ა. ის ვინლა არის?

ბ ი ა ნ კ ა. ეს როლანდია.

ლ ი ვ ი ა. ოი, თვალთმაქცო, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ.  
ახლოს მოდექი.

რ ო ლ ა ნ დ ი. მებრალეები, ავად რომ გხედავ.

ლ ი ვ ი ა. მე რას მიბრალე, შენი თავი გებრალეობდეს,  
და ჩემს წინაშე, რაც კი რამე შეცოდება გაქვს,  
მე შემინდვია ყველაფერი.  
ქაღალდები არ მოიტანეთ?

ბ ი ა ნ კ ა. აგურ, აქა მაქვს.  
არ შეამოწმებთ?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. როგორ არა, რატომაც არა!

ლ ი ვ ი ა. მაშ, ამ ყმაწვილმაც მოაწეროს ხელი ამ ქაღალდს,  
ეს კიდევ უფრო დააჩქარებს ჩვენს განშორებას —  
ვიცი, მაგასაც სურს წარსულთან გამოთხოვება!  
რა მათხოვრობას ვუმზადებდით ერთმანეთს თურმე!  
ყმაწვილები ვართ ორივენი — შვილებს დავჩეკდით,  
და ის შვილები მერე წყევლით ამოგვაგდებდნენ  
იმ ჩვენი ძველი ყმაწვილური სიგიჟისათვის.  
ო, რა სასტიკად ორივენი დავიღუპოდით,  
ის სისულელე რომ დაგვეცლოდა!..  
ყველას წინაშე ვალიარებ მონანიებით,  
რომ ეს ყმაწვილი გაგიჟებით მიყვარდა მართლაც.  
და ესეც ჩემზე იმგვარადვე ჰკარგავდა ჰკუას.  
მადლობა დმერთს, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა,  
ჩვენ დაგჭკვიანდით ორივენი და დღეის იქით,  
ის ყმაწვილური გატაცება ვეღარ დავღუპავს.

ლ ი ვ ი ა. გადაიკითხე?

რ ო ლ ა ნ დ ი. დიახ. ხელი სად მოვაწერო?

ლ ი ვ ი ა. ნუ გეჩქარება — აქ მომეცი, რომ გადავიკითხო  
და გამოსათხოვარი ცრემლით დავნამო.

ბ ი ა ნ კ ა. ახლა მიბრძანდით სუყველანი, მარტო დავტოვოთ.  
მე დავიძახებთ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. ბატონებო, წამო, წავიდეთ,  
და როცა წვიმა გადაიღებს, ისევ მოვბრუნდეთ.

რ ო ლ ა ნ დ ი. ნეტა ჩემს დღეში არ შენახა, არ შევხვედროდი.

(ლივიასა და ბიანკას გარდა ყველანი გადიან)

ბ ი ა ნ კ ა. ყოჩაღ, ლივია!

ლ ი ვ ი ა. ნეტა მართლაც კარგად დამთავრდეს!



ბიანკა. სხვა ქაღალდებიც მოამზადე, ჯერ შენ მოაწერ, მოაწერინებ მერე სხვებსაც, მაგრამ ისე, რომ შენ არ გაუშვა ქაღალდს ხელი.

(ბიანკა გადის)

ლივია. ღმერთო, წყალობით გადმოხედუე წმინდა სიყვარულს.

(შემობრუნდებიან ბიანკა, პეტრონიუსი, როლანდი და მოროზო)

პეტრონიუსი. არ მორჩა ტირილს?

ბიანკა. კი, ბატონო, გამოიტირა. ახლოს მიბრძანდით.

ლივია. აქ მოდი, როლანდ, და მანამდე ხელს მოაწერდე, ჯერ მე მომეცი შენი ხელი... ასე!.. ძაკოცე... სამარადისოდ ვეთხოვებით ერთიმეორეს! ღმერთმა კურთხევა ნუ მოგაკლოს!.. აქ მოაწერე.

როლანდი. ცოტა მადროვეთ!

პეტრონიუსი. როგორ სტირის, შეხედეთ ერთი! ღმერთი განმწყურეს, თუ გულით არ შებრალებოდეს.

ბიანკა. აჰა, კალამი, გამომართვით.

ლივია. ახლოს მოიწი იმის ნიშნად, რომ ახლობლები ვიყავით ერთხელ.

როლანდი (ხელს აწერს). აჰა, მზად არის!

ბიანკა. ბატონებო, თქვენც მოაწერეთ, როგორც ამ საქმის მოწმეებმა.

პეტრონიუსი. რაღა თქმა უნდა. ჯერ შენ, სიძევ, შენ მოაწერე.

მოროზო. სიამოვნებით!

(პეტრონიუსი და მოროზო ხელს მოაწერენ)

ბიანკა. ახლა მომეცით ეს ქაღალდი.

როლანდი. ლივია, ღმერთმა ნუ მოგიშალოს ნეტარება, ბედნიერება. არ შემიძლია მეტი... რა ვქნა!..

(ტირის)

ბიანკა. ახლა კი ესეც დაამოწმეთ.

(სხვა ქაღალდს გაუწვდის)

პეტრონიუსი. სიამოვნებით.

(პეტრონიუსი და მოროზო ხელს მოაწერენ)

ბიანკა. აბა, მიბოძეთ.

ლივია. ბალიში ცოტა წამოსწიე, უნდა წამოვჯდე. ნუ მოგიშალოს, როლანდ, ღმერთმა ბედნიერება, კარგ ბედსა და იღბალს შეგყაროს. მეტს არას ვიტყვი.

რო ლ ა ნ დ ი. გემშვიდობები!

ლი ვ ი ა. სამუდამო მშვიდობა, როლანდ!

(როლანდი გადის)

ბ ი ა ნ კ ა. ახლა ფარდები ჩამოვუშვავთ. ყველა გავიდეთ,  
და მოვასვენოთ ავადმყოფი... დამშვიდდეს ცოტა,  
ძალა და ღონე მოიკრიბოს, მოსულიერდეს.

სტუმრების თავი აღარა აქვს. ხვალ ინახულეთ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი. შენც აქ იყავი, მოუარე. ჩვენ კი, მოროზო,

ჩქარა ცხენები შევაკაზმინოთ და გავეშუროთ,

უნდა მივუსწროთ პეტრუჩიოს და გავაცილოთ.

ნეტა მარიას შებრალებაც ასე შემეძლოს,

მაშინ ორმაგად ბედნიერი შევიქნებოდი.

ბ ი ა ნ კ ა. ნუ გეფიქრებათ — დრო იმასაც გამოასწორებს.

ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლავთ. თქვენ კი, მოროზო,

ძველი წყენის და მწუხარების სანაცვლოდ ხვალვე —

ცოლი მოგივლენთ სიხარულსა და ნეტარებას.

(გადიან)



ს უ რ ა თ ი II

ოთახი პეტრუჩიოს სახლში.

(შემოდიან ჟაკი, პედრო და მუშები, კალათები და სკივრები მოაქვთ)

ჟაკი. აქეთ, აქეთ, გამოიტანეთ!

პედრო. დიდი სკივრებიც?

ჟაკი. სკივრებიცა და კალათებიც, სუყველაფერი!

იჩქარეთ ცოტა, თორემ-ბატონს ვეღარ მივუსწრებთ.

პედრო. ეჰ, ბედი მაქვსო, შენ გეთქმის, ჟაკ!

ჟაკი. მართლაც მქონია!

პედრო. გადაურჩები ამ დედაკაცს! ზღვაში ხომ მაინც

აღარ მოგწვდება მაგის ღრიალი.

ჟაკი. ღმერთის წყალობით, პარიზამდე არც შევჩერდებით,

თორემ კალემდე იქნებ მართლაც მოგვწვდეს მაგის ხმა.

(მუშებს).

ჩქარა, ბიჭებო, ნუ ზოზინებთ, გამოეშურეთ,

გემზე აიტანთ ამ კალათებს... ჩვენც მალე მოვალთ.

პედრო. ნეტავი ჩვენი ქალბატონი ამ სკივრში ჩასვას!

ჟაკი. ღმერთმა დაგვიხსნას! დათვი ჩაჯდეს, ის შირჩევნია!

პედრო. ჯერ მომისმინე, რისი თქმა მსურს: უცებ რომ ზღვაზე

ჩამოიქროლოს ქარიშხალმა, ზღვა ააღელვოს

და თქვენი გემიც შეანჯღრიოს, შეატორტმანოს,

საჭირო გახდეს ტვირთის დაცლა, შექნან ყვირილი  
ან ამ ტვირთს უნდა შეელიოთ ან სიცოცხლესო,  
მაშინ ხომ ამ სკივრს მისცვივიან ყველაზე უმალ,  
და შუა ზღვაში გამეტებით გადუძახებენ!

ქაკი. რას ამბობ, პედრო, ეგ რომ მოხდეს, მაშინ ამ ზღვაში  
ხომ გაწყდა თევზის სინსილა და სახსენებელი —  
რადგანაც ჩვენი ქალბატონი დაიმეგობრებს  
ზვიგენებს მყისვე და წვრილ თევზებს მუსრს გაავლებენ.



პედრო. პოი, რა ენის პატრონია!

ქაკი. მაგისი ენა  
ათას უბრალო ენასაც კი გადააჭარბებს.

პედრო. სისინა ენა!

ქაკი. უტიფარი!

პედრო. გრძელი!

ქაკი. მყვირალა!

პედრო. გესლიანი!..

ქაკი. და შხამიანი!

პედრო. სპირტივით ცხარე!

ქაკი. მაგნაირ ენას ბაბილონის კოშკის ქვებიც კი  
არ მოსწრებიან... პა, პა, პა, პა, მურდალი ენა!

(შემოდის სოფოკლი)

სოფოკლი. ნეტა ამ სკივრებს სად მიათრევთ?! უკან წაიღეთ.

ქაკი. როგორ ბატონო?

სოფოკლი. რაღა როგორ! თქვენი ბატონი...  
ოი, საწყალი პეტრუჩიო!..

პედრო. ჟაკ, დავიღუპეთ!

სოფოკლი. მოკვდა საწყალი პეტრუჩიო. მოასვენებენ...  
ო, მისი ცოლი!.. ავი სული! ეშმაკის კერძი!..  
ვაუბისა და...

ქაკი. ცოლმა მოკლა?

სოფოკლი. პო, ცოლმა მოკლა,  
ცოლმა მოუღო საწყალს ბოლო!

პედრო. მერე კანონი  
აღარ არსებობს ქვეყანაზე, რომ ჩამოახრჩონ?!

სოფოკლი. ჩქარა შედით და ქმრის სიკვდილი შეატყობინეთ.  
მე ვედარ შევალ, ვერ შევხედავ, თავს ვერ ვენდობი —  
მეშინია, რომ მოთმინებამ არ მიღალატოს.  
ასე უთხარით, ხალხის თვალში სირცხვილია-თქო,  
და თუკი შურჩა ერთი ბეწო სირცხვილ-ნამუსი,  
გამოვიდეს და დაიტვიროს თავისი ქმარი.





ერთხელაც კიდევ გადავიკითხო... არა, არ მძინავს,

ჩვენი ჯვრისწერის საბუთია დანამდვილებით!

ტრანო. და ხვალ დილითვე გადამიხდი იმ ას გირვანქას!

როლანდი. ჰა, შენცა გჯერა? მაშ, სიზმარში არა ვართ განა?

ტრანო. მე ისიც მჯერა, რომ წააგე შენ სანაძლეო.

როლანდი. სიამოვნებით გადაგიხდი, ოღონდ გამართლდეს!

ტრანო. მაგისი ეჭვიც ნუ გექნება. აგერ, ბეჭედიც

გამოგიგზავნებს. შენ ამ ბეჭედს მგონია იცნობ?

როლანდი. დიახ. ვიცანი.

ტრანო. მაშ, მითხარი, ფულს როდის მომცემ?

როლანდი. ჯერ დამაცა, გამაგებინე — ჯვარს როდის ვიწერ?

ტრანო. დღეს საღამოსვე.

როლანდი. მართალს ამბობ? ნუ მომატყუებ

და ერთი-ორად გადაგიხდი. ჯერ შემომფიცე:

ნამდვილად მე ვარ? როლანდი ვარ? ხომ არ გეშლება?

ხომ შეიძლება, რომ მოვტყუვდე: მეც მოკვდავი ვარ?

ჰა, როლანდი ვარ?

ტრანო. როლანდი ხარ.

როლანდი. მძინავს თუ მღვიძავს?

ტრანო. ნამდვილად გღვიძავს.

როლანდი. ჩემს ჭკუაზე ვარ?

ტრანო. ასე მგონია.

როლანდი. ეს მე ვიყავი ლივიასთან?

ტრანო. ჰო, შენ იყავი, ეს ქალადიც იქიდან მოგაქვს.

როლანდი. მაშ, მე ლივიას ქმარი გავხდები?

ტრანო. თუ არ დაშინდი,

ასე იქნება!

როლანდი. შემომფიცე.

ტრანო. ვფიცავ, ასეა.

როლანდი. პატიოსნება დაიფიცე, შენი სინდისი —

მართლა ცხადია ყველაფერი თუ შეჩვენება.

თუ მომატყუო — მოსვენებაც აღარ გეღირსოს.

ტრანო. ცხადია-მეთქი, გეფიცები პატიოსნებას...

როლანდი. მაშ, ადგილები შევიცვალეთ. კიდევ შემფიცე.

ტრანო. ვფიცავ, სიმართლეს გეუბნები, არ გატყუილებ.

როლანდი. მაშ, წამიგია! ვენაცვალე ასეთ წაგებას!

ახლა წავიდეთ, და მითხარი, გამაგებინე —

რა მოხდა, ანდა როგორ მოხდა? წყვდიადში ვცურავ!

ტრანო. შენ ფიქრი ნუ გაქვს — ყველაფერი კარგად იქნება,

მე უკვე მღვდელიც გავაფრთხილე.

(გადიან)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ეზო ტრანოს სახლთან.

(შემოდინ პეტრონიუსი, სოფოკლი, მოროზო და მუშები, რომლებიც პეტრუჩიოს მოასვენებენ კუბოთი)

პეტრონიუსი. აქ დაასვენეთ. წადით, მარიას დაუძახეთ.

(ერთ-ერთი მუშა ვაეშართება, მაგრამ იქვე შემოხვდება მარიამი და პედრო)

აქეთ მოდექი, გაიხარე, ამ შენი საქმით!

ქმარი კუბოში გისვენია... ვერ ხედავ, განა...

მოსიყვარულე ქმარი, აგერ, კუბოში გიწევს!

შენ ამის ღირსად არ ჩაგთვალა მაღალმა ღმერთმა.

გამგზავრებაც კი ვერ მოასწრო: შენ შეიკალი,

შენმა სიკერპე-გულქვაობამ დღე მოუსწრაფა.

იტირე მაინც, თუკი შეგჩა სირცხვილის ძაფი,

ხალხს დაანახვე, რომ მთლიანად არ წაწყმედილხარ.

(მარია თითქოს ტირის)

დროზე გეტირა — ახლაც ცოცხალი გეყოლებოდა.

თუმცა ახლაც აქვს აზრი ტირილს — იქნება ვინმეს

შეებრალო და თანაგიგრძნონ.

მარია. ვთხოვთ, რომ განმსაჯოთ

იმის მიხედვით, რაც ვარ თვითონ, რაც ვაუკეთე,

და არა იმის კვალობაზე — თქვენ რასა ფიქრობთ,

თორემ საზღვარი არ ექნება ჩემს სივაგლახეს.

ღიას, მართლაც მაქვს მე მიზეზი მწუხარებისა

და ამ ცრემლებსაც გულწრფელად ვღვრი.

სოფოკლი. მე როგორც ვატყობ,

პატიოსნების ნატამალი კვლავ შერჩენია.

მარია. მაგრამ ამ მიზეზს არ იკითხავთ? ნუ გეგონებათ,

თითქოს ამ ცრემლებს ქმარს ვაფრქვევდე ასე მდუღარედ!

ასეთი ბაღლიც ნუ გგონივართ! ღმერთმა დამიხსნას!

მე იმას ვტირი, ჩემმა ქმარმა ასე ბრიყვულად,

ასე უჭკუოდ, უბადრუკად და პირუტყვულად

რად იცხოვრა-თქო ამდენი ხანი!

პეტრონიუსი. არა გრცხვენია?

მარია. მრცხვენია და მიტომაც ვტირი:

რომ გაუთლელი, უბადრუკი და სულმდაბალი,

კაცის ღირსებას მოკლებული ეს ჩემი ქმარი

აქ ჩვენთან იყო, ჩვენთან ერთად სუნთქავდა პაერს!

მე ამას ვტირი — არ გეგონოთ, ქმარს დავტიროდე.

ხოლო რომ მოკვდა, ნეტარებას ეწია ამით.

ორი წელიც რომ დღეის იქით კიდევ დასცლოდა,

ბოროტებას და სნებას ისე გაამრავლებდა,

როგორც ბუხები მრავლდებიან შემოდგომაზე.

ბრიყვი იყო და ბრიყვულადვე გაფშოკა ფეხი.  
პატიოსან და გონიერ ხალხს ის კი არ მართებს,  
რომ ეს ჩერჩეტი დაიტყოს! არა, ბატონო,  
უნდა იტირონ მხოლოდ იმის გაფიქრებაზე,  
რომ ამ უღირსსა და უბადრუკს თავის მსგავსივე  
მემკვიდრეების დატოვება შეეძლო ქვეყნად,  
მე რომ ქალური სიფრთხილე არ გამომეჩინა,  
მე რომ ჭკუით არ ვყოფილიყავ და ამ ბრიყვისთვის  
არ შემეშალა მართლაც ხელი.



პეტრუჩიო (წამოჯდება). ჩქარა საკინძე გამიხსენით, თორემ დავიხრჩვი  
და მართლა მოგკვდი! ო, მარია, შენა ხარ ჩემი  
წყევლა და კრულვა, განუყრელი უბედურება!

პეტრონიუსი. აი, შე კახპა!.. ქმართან მიდი, თორემ იცოდე  
თუ დაიღუპა — ჩამოგახრჩობ ჩემივე ხელით!

პეტრუჩიო. თი, მარია, რა შევცოდე, რა დაგიშავე?

მარია. მე ჩემს საწადელს მივადწიე! გთხოვ მომიტეგო;  
ამიერიდან შენი ვარ და შენად ჩამთვალე.  
რაკიდა ისე მოგარჯულე, როგორც მეწადა,  
ახლა თავს დავხრი და მორჩილი ცოლი გავხდები.  
რას გაგიკვირდა? ჩემგან ხრიკებს ნუღარ მოელი.  
ნუ გეშინია, გაბედე და მაკოცე ერთი.

(კოცნიან ერთმანეთს)

ჩვენი ნაძდვილი სიყვარული ახლა იწყება.

პეტრუჩიო. კიდევ გაკოცო?

მარია. რა თქმა უნდა, სიამოვნებით.

პეტრუჩიო. ერთიც კიდევ! ო, ბატონებო, სადა ვარ ნეტა?!

სოფოკლი. ჩქარა ლოგინში ჩაწექით და ხელად გაიგებ!

პეტრუჩიო. ძველ ხრიკებს აღარ გაიხსენებ, ჩემო ძვირფასო?

მარია. არა, ბატონო, რასა ბრძანებ!

პეტრუჩიო. არც დაგჭირდება.

მე აღარ მოგცემ ამის საბაბს, სინიღისს ვფიცავ.

მარია. ვფიცავარ დღემდე ხელშეუხებ უმანკოებას,

პატიოსნებას გეფიცები, რომ მთელ სიცოცხლეს

შენ შემოგწირავ, რაკი მაძლევ ამნაირ აღთქმას.

სოფოკლი. ღმერთო, შენ გმადლობ! საქმე როგორ შემოტრიალდა!

პეტრუჩიო. ჟაკ, გაიქეცი,

იყიდე ღვინო, სანოვაგე — ფულს ნუ დაზოგავ;

რაც კი რამ შეგხვდეს გემრიელი და სანუკვარი,

სუყველაფერი წამოხვეტე... გაიგოს ყველამ,

რომ ხელმეორედ დაიბადა დღეს პეტრუჩიო!

(ჟაკი გადის)

ჰოი, პატარა ინგლისო ჩემო —

თუ სადმე შევხვდი ეჭვიან და ყიამყრალ საქმროს, —

განა ინგლისელს, სხვა ერის შვილს, უცხოელს ვინმეს, —  
 ვურჩევ შეირთოს ცოლად იმან შენი ასული,  
 და თუ არ მოლობეს კარაქივით, კბილი თუ შერჩეს,  
 ველარ მცნობიხარ მაშინ მართლაც და ის იქნება.

(შემოდინ რთლანდი, ლივია, ბიანკა და ტრანიო)

პეტრონიუსი. ეს რაღა არის?

რთლანდი.

ტყვენი თუ დაუკრავთ, ჩვენ ვიცვავებთ, არ დავაყოვნებთ.

ტრანიო. არაფრის მქონე ახალგაზრდა ცოლი და ქმარი

საჩუქრებისთვის მოგვახლნენ, ბატონო ჩემო.

ბიანკა. კოპებს ნუ შეგკრავთ — ველარაფერს ველარ უშველით.

აგერ, ხელი გაქვთ მოწერილი თქვენც, მოროზოსაც.

პეტრონიუსი. რაო, ხელი გაქვს მოწერილიო?!

მოროზო. რაო, ხელი გაქვს მოწერილიო?!

ბიანკა. აგერ, დახედეთ თქვენ თვითონვე.

პეტრონიუსი.

ეს ხრიკებია!

თავს გეწყიცვებით, ხრიკებია.

ბიანკა.

დიახ, ბატონო.

და ჩვენ მოგიწყვეთ ეს ხრიკები.

ლივია. მამა...

პეტრონიუსი.

მიიხარი, შენ მაგასთან იწვევი უკვე?

ლივია. დიახ, ბატონო.

პეტრონიუსი.

შენს საწადელს ეწიე, ბიჭო?

რთლანდი. დიახ, ბატონო...

პეტრუჩიო. თუკი ასეა, ჩემზე იყოს ქორწილი მაშინ.

მოროზო, ამას გაცხარება აღარ უშველის —

მაგის ყოფილა გოგო უკვე. მოგჭამა ჭირი!

მოროზო. სადილზე მაინც დამპატიეთ, რათა ამ წყენას

ცოტ-ცოტა ღვინო დავაყოლო და გადავყლაპო.

პეტრონიუსი (რთლანდს).

რაკი ასეთი თინი მიყავ, ეგეც გახსოვდეს,

წლის თავზე პაპა თუ არ გავხდი, მარჯვენის მადლმა,

გაგინახევრებთ მზითუვსა და მემკვიდრეობას.

რთლანდი. ჩემი მხრივ, ჯაფას არ დავაკლებ, ჩემო ბატონო,

ფულს არ დაგკარგავ — რაც დაგკარგე, ისიც მეყოფა.

ტრანიო. მადლობელი ვარ ლივიასი, რომ გამიმართლა.

რთლანდი. მე შენ გაჩვენებ!

პეტრუჩიო. შინ შემობრძანდით, დავლიოთ და გავმხიარულდეთ.


რაკი ვეღირსე ჩემს კვიცს ისევ, აწი მე მკითხეთ...

და, ბატონებო,

ცოლის შერთვა ვისაც კი უნდა,

ჩემი ამბავიც ახსოვდეს მუდამ.

(გადიან)



## გერმან კესე

გერმანულიდან თარგმნა  
რუსო ყარალაშვილმა

## პოეტი

როგორც ჰყვებიან, სიჭაბუკეში ჩინელ პოეტს ჰან ფოკს გასაოცარი ლტოლვა ჰქონია ისე ესწავლა და დაუფლებოდა პოეტურ ოსტატობას, სრულ-ქმნილებისთვის მიეღწია. იმხანად, როცა ჰან ფოკი თავის ქვეყანაში, ყვითელი მდინარის პირას ცხოვრობდა, თვისივე სურვილით და დედ-მამის შემწეობით, რომელთაც იგი ნაზად უყვარდათ, ერთი კარგი ოჯახის ქალზე დაინიშნა და ქორწილიც სულ მალე, ერთ-ერთ ბედნიერების მომტან დღეს უნდა გადაეხადათ. ჰან ფოკი მაშინ ოცდაორი წლისა იყო, პირმშვენიერი, მოკრძალებული და საამური ქცევა-თავდაჭერისა, თან ფრიად განსწავლული და სიყმაწვილის მიუხედავად რამდენიმე ჩინებული ლექსითაც თავისი ქვეყნის ლიტერატორთა შორის ცნობილი. ვერ ვიტყვით, რომ სიმდიდრე დიდძალი ჰქონდა, მაგრამ მომავალში მაინც საკმაო შეძლება ელოდა, მეტადრე, რომ საცოლესაც მზითევი მოსდევდა. ამასთან მისი საცოლე ძალიან ლამაზი და სათნო ვინმე იყო. ისე რომ, შეიძლება გვეფიქრა, მომავალში მის ბედს ძალღი არ დაჰყეფსო. და მაინც კმაყოფილი არ იყო, ისე შეეპყრო სრულყოფილ პოეტად გახდომის ვინს.

ერთ საღამოს, როცა მდინარეზე ფარნების ზეიმი იყო, ჰან ფოკი მარტო დაეხეტებოდა წყალგაღმა. მერე მდინარეზე გადახრილ ერთ ხეს მიეყრდნო და დააცქერდა, წყლის ზედაპირზე როგორ დაცურავდა ათასობით მოციმციმე ლიფლიფა, ნავებსა და ტივებზე როგორ ესალმებოდნენ ერთმანეთს საზეიმოდ

მორთულ-მოკაზმული ქალები, კაცები და ნორჩი ასულები, ცოცხალ ყვავილებს რომ მიაგავდნენ. მოკიაფე წყლის სუსტ ღუღუნში მის ყურამდე აღწევდა მომღერალ ქალთა გალობა, ციტრათა სტვენა და ფლეიტების ტკბილი ჰანგები. ზემოთ კი ტაძრის გუმბათივით ლივლივებდა მოლურჯო ღამე. გული აუჩქროლდა თავის გუნება-განწყობას აყოლილ და ამ მშვენიერი სურათის შემყურე ყმაწვილს. მაგრამ რაოდენ დიდი არ იყო მისი სურვილი, გაეღმეოდა და თავის საცოლესა და მეგობრებთან ერთად მოეღმებინა მსხვილი უფრო ძლიერი იყო სანუკვარი წადილი ყოველივე ისე აღეჭვა, როგორც ნატიფ განცდების მქონე მეთვალყურეს, შემდეგ კი უზადო ლექსად გადმოეცა ღამის სილურჯე, წყლის ზედაპირზე სინათლეთა ათინათინი, ზეიმის მონაწილეთა მოღხენა და წყალზე გადახრილ ხეს მიჯრდნობილი ფარული მოთვალთვალის სევდა. მან იგრძნო, რომ ვერც ამქვეყნიური ზეიმი და მზიარულება მიანიჭებს სრულ ლხენასა და სილაღეს, რომ ამ წუთისოფელში ის მუდამ მარტოსული, მუდამ მეთვალყურე და უცხო დარჩება, რომ სხვა მრავალ და მრავალთა შორის მხოლოდ მისი სულია ისე რიგად შექმნილი, რომ ერთსა და იმავე დროს იგრძნოს ამ წუთისოფლის მშვენიერებაც და უცხოისულის იდუმალი სწრაფვანიც. ამის შეგრძნებამ იგი სევდით ადავსო. ხოლო რომ გაპყვა ფიქრთა ძაფს, ისიც დაასკვნა, ჭეშმარიტ ბედნიერებას და სრულ კმაყოფილებას მხოლოდ მაშინ ეწევა, როცა ამ სამყაროს სრულქმნილ უზადოებით არეკლავს თავის ლექსებში, როცა თვით სამყაროს, განწმენდილსა და უკვდავყოფილს, დაეუფლება მის მიერ არეკლილ სახეებში.

ჰან ფოკი კარგად ვერც გაერკვია, ცხადში იყო თუ სიზმარში, რომ უცებ ჩუმი შრიალი ჩაესმა და ხის გვერდით იისფერ სამოსში გამოწყობილი დარბაისლური იერის უცხო მოხუცი შენიშნა. ჰან ფოკი წელში გაიმართა და ისე მიესალმა, როგორც მოხუცთ და დარბაისელთ ესალმებიან. უცხო მოხუცმა კი ჩაიღიმა და რამდენიმე სტროფი წარმოთქვა. ამ სტროფებში იყო ის ყოველივე, რაც ეს-ესაა განიცადა ყმაწვილმა, ოღონდაც ისე სრულქმნილი და დიდ პოეტთა კანონების მიხედვით ისე უზადოდ ჩამოყალიბებული, ყმაწვილს გაოცებისაგან სუნთქვა შეეკრა.

— ვინა ხარ, რა კაცი, ჩემს გულში ჩახედვის უნარა რომ გქონია და ისეთი მშვენიერი ლექსები მითხარი, ჩემი მასწავლებლებისგანაც არა მსმენია? — შესძახა მან და წელში ოთხად მოიკეცა.

უცხოს ხელმეორედ ჩაეღიმა სრულყოფილი კაცის ღიმილით და თქვა:

— თუ პოეტობა გინდა, მოდი ჩემთან. ჩემს ქოხს ჩრდილო-დასავლეთ მთებში იპოვი, დიდი მდინარის სათავესთან. მე სრულქმნილი სიტყვის ოსტატს შეძახიან.

ესა თქვა, ხის ვიწრო ჩრდილს შეერია და გაუჩინარდა. ჰან ფოკმა ბევრი ეძია იგი, მაგრამ ამაოდ. როცა მისი კვალიც ველარსად ნახა და დარწმუნდა, აღბათ დაღლილს მეზმანაო, საჩქაროდ გადავიდა გაღმა ნაპირზე და საერთო ზეიმს შეუერთდა, თუმცადა ხალხის ლაპარაკსა და ფლეიტების რაკრაკში სულ იმ უცხო კაცის იდუმალი ხმა ჩაესმოდა, თითქოსდა მისი სულიც იმ კაცს გაპყოლოდა უკან. ამიტომაც უცნაურად გაღურსული იჯდა მოზეამეთა შორის თავის ოცნებებში წასული, ისინი კი მის ასეთ ქცევას სულ სხვა რასმე აწერდნენ და ეხუმრებოდნენ, შეყვარებული ხარო.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰან ფოკის მამამ ნათესავ-მოყვრების შეყრა და-  
აპირა, ქორწინების დღე დაენიშნოთო. მაგრამ აქ სასიძო წინააღმდეგი წავიდა  
და უთხრა მამას:

— მომიტევე, თუკი მორჩილების საზღვარს დავარღვევ და იმას არ შეეას-  
რულებ, რაც შეილს მოეთხოვება მამის წინაშე. შენ ხომ იცი, რაოდენ დიდია  
ჩემი სურვილი პოეტურ ხელოვნებაში ვისახელო თავი. მართლაც, უფრო ჩემი  
მეგობარი კი მიქებს ლექსს, მაგრამ ხომ ვიცი, რომ ჯერჯერობლაში ვარ  
და ხელოვნების გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯი მაქვს გადადგმული. ამიტომ  
გთხოვ, ნება დამართო ცოტა ხნით განმარტოებას მივეცე და ვიმეცადინო. ასე  
მგონია, თუ ცოლსა და ოჯახს მოვეკიდები, ეს ამბავი ყველაფერს მომწყვეტს.  
ახლა, ვინემ ჯერ ყმაწვილი ვარ და არავითარი ვალი არ მაქისრია, მსურს ცოტა  
ხანს მხოლოდ ამ ხელოვნებას მივსდიო, რაიც მე სიხარულს და დიდებას მო-  
მიხვეჭს.

ამ სიტყვებმა გააოცა მამა და თქვა:

— ვატყობ, ეს ხელოვნება ყველაფერს გირჩევნია, თუკი ამის გამო ქორ-  
წილიც გინდა გადადო. ან იქნებ რაღაც მოხდა შენსა და შენს საცოლეს  
შორის? მაშინ მითხარი და ვინძლო მოვახერხო შეგარიგო, არადა სხვა მო-  
გიძებნო.

მაგრამ ვაჟიშვილმა შეჰფიცა, საცოლე ისევე მიყვარს, როგორც გუშინ  
და როგორც ყოველთვის, ჩვენს შორის სულ პატარა უთანხმოებაც არ მომხ-  
დარაო. ისიც უამბო მამას, ნათურების ზეიმზე როგორ გამოეცხადა ძილში  
ოსტატი, ვისი შეგირდობაც ოცნებად გადაქცევია და ამქვეყნად უზუნაეს ბედ-  
ნიერებად ესახება.

— კეთილი, — უთხრა მამამ, — გაძლევ ერთი წლის ვადას. ამ დროის მან-  
ძილზე შეგიძლია მისდიო შენს ოცნება-სიზმარს. ვინძლო სულაც ღვთის მოვ-  
ლენილი იყოს ეგ სიზმარი.

— რა ვიცი, იქნებ ორ წელსაც გასტანოს, — უთხრა ჰან ფოკმა ყოყმა-  
ნით. — ვის შეუძლია ამის თქმა?

დაღონდა მაშინ მამა და გაუშვა ვაჟი. ყმაწვილმა კი წერილი მისწერა სა-  
ცოლეს, დაემშვიდობა და გაეცალა იქაურობას.

დიდი გზა გამოიარა ჰან ფოკმა, ვიდრე მდინარის სათავეს მიაღწია. იქ დაი-  
ნახა განმარტოებით მღვარი ბამბუკის ქოხი. ქოხის წინ კი დაწნულ ჭილოფზე  
ის მოხუცი იჯდა, რომელიც მაშინ წყლის პირას ნახა ხესთან, და ბარბითზე  
უკრავდა. მოხუცმა დაინახა, როგორ მოკრძალებით უახლოვდებოდა მას სტუ-  
მარი, მაგრამ თვით არც წამოდგა და არც მიესალმა, მხოლოდ ჩაიღიმა და ნაზი  
თითები სიმეზზე აათამაშა. როგორც ვერცხლისფერი ღრუბლები გადაუვლის  
ხოლმე ველს, ისე მოეფინა იქაურობას ჯადოსნური მუსიკის ხმები. უტკბესმა  
ვაოცებამ შეიპყრო ყრმა და დაავიწყა ყველაფერი, ვინემ სრულქმნილი სიტყვის  
ოსტატმა განზე არ გადადო ბარბითი და ქოხში არ შევიდა. მოკრძალე-  
ბით შეჰყვა ჰან ფოკი და დარჩა მასთან, როგორც მისი მსახური და მისი შე-  
გირდი.

განვლო ერთმა თვემ. ჰან ფოკმა მეხსიერებიდან აღმოიფხვრა ყველა ის  
სიმღერა, რომლებიც აქამდე დაეწერა, რადგან ისწავლა მათი ზიზღი. რამდენი-

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



წიგნი  
სახელი

შატავაძე მ. მალაზონია



მე თავის შემდეგ კი ის სიმღერებიც დაივიწყა, რომლებიც მასწავლებლებისა-  
გან ესწავლა. მოძღვარი ხმას არ სცემდა ჰან ფოკს, მღუმარედ ასწავლიდა ბარ-  
ბითზე დაკვრას, ვინემ შეგირდის მთელი არსება მუსიკამ არ მოიცვა. ერთხელ  
ჰან ფოკმა პატარა ლექსი შეთხზა. შიგ აღწერა, როგორ ფრენდა შემდგომის  
ცაზე ორი ფრინველი. ძალიან მოეწონა ჰან ფოკს ეს ლექსი. თლიხლაც ვერ  
გაბედა მოძღვრისათვის ეჩვენებინა. მაგრამ საღამოს კი ქოხის მოშორებით და-  
ამღერა იგი. მოძღვარმა მშვენივრად გაიგონა ეს ლექსი, <sup>ლექსის შემტყვევაც არ</sup>  
<sup>დასცდენია.</sup> მხოლოდ უხმოდ ჩამოჰკრა ბარბითის სიმებს, ჩამოჰკრა და უმაღ-  
აგრილდა, ჩამოწვა ბინდი, ამოვარდა მძაფრი ქარი, თუმცა შუაგული ზაფხული  
იყო, და განაცრისფერებულ ცაზე უცხო ქვეყნებში გამგზავრებით დასევდი-  
ნებულმა ორმა ყანჩამ გადაიფრინა. ეს ყოველივე კი შეგირდის ლექსზე იმდე-  
ნად მშვენიერი და სრულქმნილი იყო, რომ დაღონდა ყმა. დადუმდა და თავი  
არარაობად იგრძნო. მას შემდეგ მუდამ ასე იქცეოდა მოძღვარი. განვლო ერთ-  
მა წელმა და ჰან ფოკი თითქმის უზადო ოსტატი გახდა ბარბითზე დაკვრისა.  
პოეტური ხელოვნება კი სულ უფრო მიუვალ, მიუდგომელ მწვერვალად ეჩვე-  
ნებოდა.

განვლო ორმა წელმა და ყმაწვილს საოცრად მოაწვა სევდა, მოენატრა სამ-  
შობლო, თავისიანები, საცოლუ და მოძღვარს შინ წასვლის ნება სთხოვა. ოს-  
ტატმა ჩაიციხა, თავი გადააქნია და უთხრა:

შენ თავისუფალი კაცი ხარ. შეგიძლია სადაც გინდა იქ წახვიდე. შე-  
გიძლია უკან მობრუნდე. შეგიძლია იქ დარჩე. ისე მოიქეც, როგორც უფრო  
მოგეწონება.

გაუდგა გზას შეგირდი. იარა შეუსვენებლივ და გარიყრაჟზე მშობლიურ  
ნაპირს მიაღწია, იქ თალიან ხიდს მიღმა მამისეული ქალაქი იდგა. მალულად  
შეიპარა ჰან ფოკი მამის ბაღში და ფანჯრიდან მიაყურა ჯერ ისევ მძინარე მამას  
ფშვინვას. მერე გადაძვრა ხეხილის ბაღში, რომელიც საცოლეს ბაღს ემიჯნებო-  
და, მსხლეს კენწეროზე აძვრა და დაინახა, მისი საცოლუ სენაკში თმას ივარცხ-  
ნიდა. შემდეგ თავისი თვალით ნანახი შეადარა სურათს, რაიც სევდამ დაახატ-  
ვინა, და მიხვდა, რომ იგი პოეტად იყო დაბადებული, მიხვდა, რომ პოეტთა  
ოცნება-ზმანებაში ისეთი მშვენიერება და მომხიბლაობა არსებობს, მის მგავსს  
სინამდვილეში ამაოდ ეძიებს ადამიანი.

ჰან ფოკი ჩამოძვრა ხიდან, საჩქაროდ დატოვა ბაღი, მამისეული ქალაქი.  
გადავიდა ხიდზე და ისევ მაღალ მთებს მიაშურა. როგორც მაშინ, მოხუცი  
მოძღვარი ახლაც ქოხის წინ იჯდა სადა ჭილოფზე და თითებს სიმებზე ათამა-  
შებდა. საღამოს ნაცვლად მოხუცმა მხოლოდ ორი სტროფი თქვა იმ უღრმეს  
ბედნიერებაზე, რასაც ხელოვნება ანიჭებს ადამიანს. ისე ღრმა და ისე უზადო  
იყო ეს სტროფები, რომ შეგირდს თვალები ცრემლით აევსო.

ასე დარჩა ჰან ფოკი სრულქმნილი სიტყვის ოსტატთან. რადგან ბარბითს  
უკვე კარგად ფლობდა, ახლა ციტრაზე დაკვრას ასწავლიდა მოძღვარი. რო-  
გორც თოვლი დასავლეთის ქარში, ისე სწრაფად ილეოდა თვეები. კიდევ ორ-  
ჯერ სძლია მშობლიური კუთხის სევდამ ჰან ფოკს. ერთხელ შუაღამისას გამოი-  
პარა მალულად. მაგრამ ვინემ ხეობის უკანასკნელ მოსახვევს მიაღწევდა.  
ღამის ნიავემა შეატოვა ქოხში ციტრა, ააქლერა სიმები, მისი ხმა წამოეწია ჰან  
ფოკს და ისეთი ძალით მოუხმო უკან, წინააღმდეგობა ვერ გაუწია ყმაწვილმა.

შეორეჯერაც ესიზმრა, თითქოს თავის ბაღში პატარა ხე დარგო, ცოლიც იქვე იდგა, შვილები კი რძითა და ღვინით რწყავდნენ ხეს. გამოელვინა ჰან ფოკს, შთვარე მის სენაკს ანათებდა. წამოდგა შეცბუნებული, დაინახა, მოძღვარს ეძინა. ბებრული თეთრი წვერი ნელა ერხეოდა. სიძულვილმა აიტანა ყმაწვილი. ამ ადამიანმა დაუმსხვრია ცხოვრება, ჩაუფუშა მომავალი, იცოტუნა ყოვლი იმედებით. სურვილმა შეიპყრო, სცემოდა მოხუცს და მოეკლა იგი. ამ დროს თვალი გაახილა ბერიკაცმა და ისე სევდიანად და უწყინრად განუტრიალა ფარ-ხმალი დააყრევინა შეგირდს.

— გახსოვდეს, შენ თავისუფალი ხარ, ჰან ფოკ, — უთხრა მოხუცმა წყნარად, — ისე მოიქეც, როგორც მოგესურვოს. გინდა სამშობლოში დაბრუნდი და ხეები დარგი, გინდა შემოძულე და მომკალი, ყოველივე ამას აზრი არა აქვს.

— თქ, როგორ შემეძლო შენი შეძულება, — მძლავრად შეტოკდა პოეტი... — ეს ხომ იგივეა, რომ თვით ცის შეძულება მომესურვოს.

დარჩა ჰან ფოკი მოძღვართან. ისწავლა ციტრაზე დაკვრა, დაეუფლა ფლეიტასაც. შემდეგ მოძღვარის დახმარებით ლექსების წერასაც მიჰყო ხელი და ნელ-ნელა გაიწაფა ამ იდუმალ ხელოვნებაში, დაოსტატდა ისე, რომ თითქოს უბრალოსა და ჩვეულებრივის გამოთქმითაც შეეძლო მსმენელის სული ისევე აელეღვებინა, როგორც ქარი ააღვლევეს ხოლმე წყლის ზედაპირს. ის წერდა, როგორ ამოდის მზე, როგორ გადმოდგება მთის თხემზე და წამით შეყოვნდება ხოლმე, ჩრდილებივით როგორ უხმოდ დასრიალებენ თევზები წყალში, როგორ არხევს ნორჩ ტირიფს გაზაფხულის ქარი. უხმენდი მის ლექსებს და ხედავდი არა მხოლოდ მზეს, თევზების სრიალს, ტირიფის ჩურჩულს, არამედ ცაცა და სამყაროც ამ დროს წამით ერთ მთლიან სრულქმნილ მუსიკად იქცეოდა და ყოველ მსმენელს სიხარულითა და გულისტკენით აგონებდა იმას, რაც უყვარდა თუ სძულდა: პატარა ბიჭს — თამაშს, ყმაწვილს — თავის სატრფოს, მოხუცს — სიკვდილს.

დაჰკარგა ჰან ფოკმა წლების ანგარიში, აღარ იცოდა, რამდენი ხანი დაჰყო მოძღვართან მდინარის სათავეში. ხშირად ეგონა, თითქოს მხოლოდ წუხელ ამოვიდა აქ, წუხელ შემოეგება მოხუცის ჩანგის ქღერა, ხშირად კი ეჩვენებოდა, რომ ადამიანთა დრო-ხანს დაჰკარგოდა თავისი აზრი და ფოთლებივით დაცვენილიყო მის უკან.

ერთ დღეს ჰან ფოკს მარტოს გაეღვიძა ქოხში. ბევრი ეძია, ბევრი უძახა მოძღვარს, მაგრამ ვერსად ვერ ნახა. თითქოს ამ ერთ ღამეში შემოდგომა დამდგარიყო. ცივი ქარი აზანზარებდა ძველ ქოხს, ქედების თავზე გუნდ-გუნდად მიფრინავდნენ მძლევარნი, თუმცა მათი გადაფრენის დრო ჯერ არ უნდა ყოფილიყო.

მაშინ ჰან ფოკმა წამოიღო პატარა ბარბითი და თავის სამშობლოში გამოეშურა. სადაც კი არ მივიდოდა, ყველგან ისე კრძალვით ესალმებოდნენ, ვით მოხუცსა და კეთილშობილს უნდა მიესალმოს კაცი. მიადგა ბოლოს მამისეულ ქალაქს. იქ გაიგო, რომ მამამისი, საცოლუ და ყველა ნათესავი მომკვდარიყო და მათ ბინებში სხვანი ცხოვრობდნენ. საღამოს კვლავაც გაიმართა მდინარეზე ფარნების ზეიმი. პოეტი ჰან ფოკი კი იდგა ბნელში ჩაფლულ გაღმა ნაპირზე და ხეს მიყრდნობოდა. მან ჩამოჰკრა სიმებს და ააქღერა ბარბითი, ამოიკვნესეს ქალებმა და შეშფოთებითა და სევდით გაჰხედეს სიბნელეს. ყმაწვილები კი

ხმამალლა შეეხმიანენ დამკვრელს, რომელიც არსად არ ჩანდა, ხმამალლა გასძახეს, ესოდენ საამური ხმები არასოდეს არა გესმენიაო. ჰან ფოკი კი ილიმებოდა, დასცქეროდა მდინარეს, სადაც ათასობით ლიფლიფა დაცურავდა. ჰოდა, როგორც ახლა ვერ ანსხეავენბდა, სად იყო ანარეკლი სინათლე და სად ნამდვილი, ისევე თავის გულშიაც ვერ პოულობდა სხვაობას ამ ზეიმსა და ამ ბირველ ზეიმს შორის, როდესაც ჯერ სულ ყრმა აი აქ იდგა და უცხო ოსტატის სიტყვებს ისმენდა.

ბიბლიოთეკა

## პიქტორის ფრინველები

შედგა თუ არა ფეხი სამოთხეში, ხე დაინახა პიქტორმა. ქალ-კაცა იყო ეს ხე, ანუ ქალიცა და კაციც ერთდროულად. კრძალვით მიესალმა პიქტორი ხეს და ჰკითხა: შენ ხომ არა ხარ სიცოცხლის ხეო! არა უპასუხა რა ხემ. მაშინ წამოჰყო გველმა თავი და პასუხი დააპირა. არ მოუსმინა გველს პიქტორმა, ზურგი აქცია და გზა გააგრძელა. მიდიოდა და თვალები სულ აქეთ-იქით გაურბოდა, ისე მოსწონდა იქაურობა. გულზე უთქვამდა, სიცოცხლის დასაბამთან და სათავესთან ხარო.

ახლა სხვა ხე დაინახა პიქტორმა. მზე-მოვარისა იყო ეს ხე, ანუ მზეცა და მოვარეც ერთდროულად.

შენ ხომ არა ხარ სიცოცხლის ხეო? — უთხრა პიქტორმა.

თავი დაუქნია მზემ და შესცინა. თავი დაუქნია მოვარეშაც და შეჰლიმა.

ტურფა რამ ყვავილები შესცქეროდნენ პიქტორს. ზოგი თავს უქნევდა და უცინოდა, ზოგი თავს უქნევდა და ულიმოდა, ზოგი არც თავს უქნევდა და არც ულიმოდა, ისე იყვნენ თავის თავში ჩაფლულნი ყვავილები წყნარები, ნაირფერი თვალებით, საკუთარი ოცნებით და სურნელით მთვრალეები. ფერად სოსანი მღეროდა, ფერად ლურჯი ძილისპირულს გალობდა. ერთს დიდრონი ლურჯი თვალეები ჰქონდა, მეორემ პირველი სიყვარული გაახსენა. ერთს მისი ბავშვობის სურნელი ასდიოდა, დედის ხმასავით ტკბილი იყო მისი სურნელი, მეორემ სახეში შეჰხარხარა და მოკაკული წითელი ენა გადმოუგდო. მოლოკა პიქტორმა იგი. ძლიერი და უცხო გემო ჰქონდა, ფიჭვისა და თაფლისა ერთად და ქალის კოცნას მოაგავდა.

იდგა ამ ყვავილებში პიქტორი, სევდითა და შიშნარევი სიხარულით აღსავსე, რეკდა გული ზარივით: უცხო შუქით ბურვილის — შეუცნობლის შეცნობის სწავდა პიქტორს სურვილი.

ერთი ფრინველი დაინახა პიქტორმა. ლივლივებდა ათასფრად, ენთო გასაკვირველი, იჯდა ტურფად ბალახში მშვენიერი ფრინველი. ჰოი ფრინველო, ბედნიერება სად ვეძიო? — ჰკითხა პიქტორმა ამ მშვენიერ, ნაირფერ ფრინველს.

— ბედნიერებო, — თქვა მშვენიერმა ფრინველმა და გადაიხარხარა თავისი ოქროს ნისკარტით: — ბედნიერება, მეგობარო, ყველგანაა, მთასა და ბარში, ყვავილსა და ქვაში.

ესა თქვა და მხიარულად შეარხია ფრინველმა ფრთები, მოიღერა კისერი, გააქნი-გამოაქნია კუდი, აახამხამა თვალეები, ხელმეორედ გაიცინა და უცებ გა-

ილურსა. იჯდა ასე გალურსული ბალახებში და დახეთ: უეცრად ფერად ყვავილად გარდაიქმნა, ფრთები ფურცლებად, კლანჭები კი ფესვებად ექცა. ასე შუა ცეკვაში, ელვარე და მღვღვარე ფერებად რომ ბრწყინავდა, უცბად იქცა მცენარედ. გაოცებული უყურებდა ამას პიქტორი.

უმაღლესი შეარხია ფრინველ-ყვავილმა ფურცლები, აატოკა მტკრიანები, წამსვე მობეზრდა ყვავილად ყოფნა. გაუქრა ფესვები, მსუბუქად შეირხა, ნელ-ნელა ზემოთ აფრიალდა და ახლა თვალისმომკრელ მოელქარქმენქმელ იქცა, ფარფატა და ბრწყვიალა პებლად ცაში იალა. გაკვირვებულნი მტკრიანები გაუფართოვდა პიქტორს.

ეს ახალი ფარვანა კი, ეს მხიარული, ქრელი ფრინველ-ყვავილ-პებელა, ეს ნათელი მოლივლივე ხატება კამარას არტყამდა გაოცებული პიქტორის ირგვლივ, ელვარებდა მზის სხივებში, ფაფუკ ფიფქივით ძირს ეშვებოდა პიქტორის ფეხთან, ნაზად სუნთქავდა, ოდნავ უთრთოდა მბზინავი ფრთები და უცებ კრისტალად გადაიქცა. გადმოიღვარა სხივთა წითელი წყალჯავარი მის წახნაგთაგან, ჯადოსნურად აკიაფდა მწვანე ბალახებსა და შამბნარებში ზარების საზეიმო რეკვასავით ნათელი ეს წითლად მოელვარე ძვირფასი ქვა. მაგრამ თითქოს უხმოო მიწამ — მისმა მშობელმა — ელვის სისწრაფით დაბატარავდა და მიწაში ჩაძრომა დააპირა.

აქ უკვე ველარ გაუძლო ცთუნებას პიქტორმა, დასტაცა ხელი და ზემოთ ასწია მთლად დაღეული ქვა. აღტაცებით შეაცქერდა მის ჯადოსნურ ელვარებას და ნეტარების წინათგრძნობით აღევსო გული.

უცებ ხმელი ხის ტოტს გველი შემოეხვია და ყურში ჩასსისინა:

ვინემ გვიან არ არის, ჩქარა უთხარი შენი სურვილი და ქვა, რადაც ვინდა, იმად გადავაქცევსო.

შეკრთა, შეშინდა პიქტორი, ბედნიერება ხელიდან არ გავუშვაო. სწრაფად წარმოთქვა ნატვრა და უმაღლეს ხედ იქცა, რამეთუ ხეები სიმშვიდის, ძლიერებისა და ღირსების გამონატვად მიაჩნდა და ხედ ქცევა მანამდეც ხშირად მონდომებია.

იქცა პიქტორი ხედ, გაიდგა მიწაში ფესვები, აიყარა ტანი, შეისხა ტოტები და შეიმოსა ფოთლებით. ძლიერ კმაყოფილი იყო ყმაწვილი, ფესვებით წოვდა გრილი მიწის წიაღს, წვენს მწყურვალ ბოჭკოებით ისრუტავდა, ფოთლებს ლაქვარდში აშრიალეზდა. ხოჭოებს დაებუდათ მის ქერქში, ფეხებთან დაელოთ ბინა კურდღელსა და ზღარბს, ტოტებში ბუდე ჰქონდათ ფრინველებს.

ბედნიერი იყო ხე-პიქტორი და წელთა სვლა არად მიაჩნდა. მრავალმა წელმა გაიარა, ვინემ შეამჩნევდა, მისი ბედნიერება რომ სრულყოფილი არ იყო. ნელ-ნელა ისწავლა ხის თვალებით ცქერა. ბოლოს თვალები აეხილა და დალონდა.

დაინახა პიქტორმა, რომ მის ირგვლივ სამოთხეში სხვადასხვა არსებანი ერთობ ხშირად იცვლიდნენ ფერს, რომ აქ მარადიული ფერისცვალება მიმდინარეობდა. ყვავილები ძვირფას ქვებად იქცეოდნენ, ხან მოელვარე კოლიბრის სახეს იღებდნენ და შორს მიფრინავდნენ. ხეები უეცრად ქრებოდნენ მის გვერდით. ერთი წყაროდ იღვრებოდა, მეორე ნიანგი ხდებოდა, მესამე კი, თევზად ქცეული, მხნედ მიჰქროდა, მთელი მისი არსებით ილხენდა და მღეროდა. ახალ ფერისცვალებებს, ახალ თამაშს ელოდა. სპილოები თავის სამოსს კლდეებს უცვლიდნენ, ეირაფები თავის სახეს ყვავილთ უთმობდნენ.

მარტოოდენ ხე-პიქტორი აღარ იცვლიდა სახეს, აღარ ძალუძდა ფერისცვალება. რაც ეს შეიცნო, მას შემდეგ დაკარგა ბედნიერების შეგრძნება, მას შემდეგ შეეპარა სიბერე და მოტყდა, დაფიქრება და დაღლილობა დაეტყო, როგორც ეს ბებერ ხეებს სჩვევიათ. ასე მოსდგამთ ხოლმე მუდამ ცხენებს, ფრინველებს, ადამიანებს თუ სხვა სულდგმულებსაც: როცა ჰკარგავენ გარდაქმნის უნარს, ძაბუნდებიან და სილამაზეც უქრებათ ხოლმე.

გზა აებნა ერთ დღეს პატარა გოგოს და სამოთხის ამ კუთხეში მოხვდა. ოქროსფერი თმა ჰქონდა და ცისფერი კაბა ეცვა. სიმღერ-სიმღერით და ცეკვა-ცეკვით მიცქრიალებდა ხეებში. მანამდე არასდროს არ გაუვლია მის გულში გარდაქმნის წადილს.

ჰკვიანი მაიმუნებიდან ზოგი ხითხითით აცილებდა, ჩირგვები ნაზად ეკონწიალებოდნენ პწკალებით, ხეებიდან ვინ ყვავილს, ვინ ვაშლსა და ვინ კაკალს უგდებდა, ის კი არც აქცევდა ამას ყურადღებას.

დაინახა ხე-პიქტორმა გოგონა და უმაღლესი სევდამ მოიცვა და ბედნიერების ისეთმა ნდომამ აიტანა, როგორც არასოდეს არა ჰქონია. თითქოს საკუთარმა სისხლმა უყვილაო, ერთმა ფიქრმა შებოჭა: „გონს მოდი! გაიხსენე ამ წუთს მთელი შენი ცხოვრება, ჩასწვდი მის არსს, თორემ გვიან იქნება, წავა ბედნიერება და აღარასოდეს დაგიბრუნდება“. დაუჯერა ამ ხმას ხე-პიქტორმა, გაიხსენა ცხოვრების დასაბამი, ადამიანობის წლები, სამოთხეში მოხვლა, მეტადრე ის წამი, ვიდრე ბედ იქცეოდა, როცა ნატვრის ქვა ხელში ეკავა. მაშინ მისთვის შესაძლო იყო ყოველნაირი ფერისცვალება, მაშინ სიცოცხლე ისე ჩქეფდა მის არსებაში, როგორც არასდროს! მოაგონდა ფრინველი, მისი სიცილი, გაახსენდა ხე მზე-მთვარისა. გულმა უთხრა, რომ იმ წუთს რაღაც გამოეპარა, რაღაც დაავიწყდა და რომ გველის რჩევა არ იყო სასიკეთო.

მოესმა გოგონას ხე-პიქტორის ფოთლების შრიალი, აიხედა და გული უეცრად აუკვნესდა. სხვა სურვილები, სხვა აზრები, სხვა ოცნებები გაეღვიძა. რაღაც უცნობი ძალით მონუსხული ხის ქვეშ ჩამოჯდა. ობლად, ეულად და სევდიანად ეჩვენა ეს ხე, უტყვი სევდა კი უფრო მშვენიერს, ამაღლებულსა და კეთილშობილს ხდიდა მას. მაცთურად ჟღერდა ფოთოლთ იდუმალ შრიალში მისი სიმღერა. მიეყრდნო გოგონა ხის დახორკლილ ტანს, იგრძნო, როგორ დაუარა ჟრუანტელმა ხეს მთელ ტანში, თვითონაც ჟრუოლამ აიტანა, უცნაურად აუკვნესდა გული, მის სულში სევდის ღრუბელი ჩამოწვა, ნელა გადმოუგორდა თვალთაგან ცრემლის მძიმე კურცხალი. რა იყო ეს? რა ტანჯავდა ასე? რად იყო, რომ გული აღარ ეტეოდა საგულეს და ამ მშვენიერი მარტოხელა ხისკენ ილტვოდა შესაწებებლად?

ფესვებამდე უხმოდ ცახცახებდა ხე, მთელი ძალები დაძაბა გოგონასთან შეერთების მწველი ჟინით ატანილმა. ვაი, როგორ მოატუებინა თავი გველს და სამუდამოდ ხეში ჩააჭვდინა თავი, ვაი, რა ბრმა და უგუნური იყო მაშინ! ნუთუ სულ არაფერი არ იცოდა, ნუთუ ასე უცხო იყო მისთვის სიცოცხლის იდუმალება? არა, იგი უკვე მაშინ წინათგრძნობდა და აღიქვამდა მას ქვეცნობიერად. პოი, რა სევდით და თანაგრძნობით გაახსენდა ახლა ის ხე, ქალიცა და კაციც რომ იყო ერთსა და იმავე დროს!

მოფრინდა ფარანდა: წითელ-მწვანედ იელვა ლამაზმა და ძლიერმა და გოგონას დაჰქროლა ციდან უცხო ფრინველმა. ხედავს გოგონა, როგორ მოფ-

რინავს იგი, ხედავს, როგორ გაუვარდა რაღაც ნისკარტიდან, ის რაღაც კი სისხლივით წითლად აკიაფდა მწვანე ბალახში. უცბად ისე აკიაფდა, უცბად ისე ინათა, ისე ძლიერ იზიდავდა, ისე ტურფად ბრწყინავდა, რომ დასწვდა გოგონა და აიღო ის ქვა — თვალი პატიოსანი, ლალი შუქით მთოველი, აღსრულდება რომლისგან კაცის ნატვრა ყოველი.

დაიჭირა ეს ჯადო ქვა გოგონამ თეთრ ხელში და მყისვე დასრულდა ნატვრა, გულით რომ სურდა. მოსწყდა ამ სოფელს ტურფა გოგონა, დასწყობა და შეეწება ხეს, ნორჩ ყლორტად იფეთქა ხის ტანიდან და თვალის დახამხამებაში იწყო ზრდა ზევით და ზევით.

ახლა მოგვარდა ყოველივე, ისევ გამეფდა სამყაროში წესრიგი, ახლა იქნა ჭეშმარიტად ნაპოვნი სამოთხე. აღარ იყო პიქტორი ბებერი, დაღონებული ხე. „პიქტორია, პიქტორია“, მკვექარე ხმით მღეროდა იგი.

ასე გარდაიქმნა და იცვალა ფერი ხე-პიქტორმა. პოდა, რამეთუ ეს გარდაქმნა მარადიული და ჭეშმარიტი იყო, რამეთუ ნახევრიდან ის მთელად იქცა. ამიერიდან მას შეეძლო იმდენჯერ ეცვალა ფერი, რამდენჯერაც მოისურვებდა. გამუდმებით ჩქეფდა მის ძარღვებში სახეცვლილების ეს ჯადო ნაკადი, გამუდმებით მონაწილე იყო იგი სამყაროს მარადიული გარდაქმნა-ფერისცვლებისა.

შველი იყო თუ თევზი, ადამიანი თუ გველი, ღრუბელი თუ ფრინველი — ყველგან მთლიანი იყო, წყვილი იყო, მთვარესა და მზეს, კაცსა და ქალს შეიცავდა, ტყუპ-ტყუპ ნაკადად მიედინებოდა ქვეყნად, წყვილ ვარსკვლავად ციმციმებდა ცაში.

## ზამბახის გულის საიდუმლოება, ანუ მოგზაურობა პერმან ჰესეს ზღაპრების სამყაროში

პერმან ჰესეს ზღაპრები ამ უანრის იმ სახეობას განეკუთვნებიან, რომელსაც ჩვეულებრივ, ხელოვნურ ზღაპარს (Kunst-Märchen) უწოდებენ და რომელიც ხალხური ზღაპრით მთელი ერის სპონტანური და გაუცნობიერებელი შემოქმედების შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ პოეტური ინდივიდუალობის ნებას ექვემდებარება. იგი, მართალია, ერთობ სშირად გადმოიღებს ხოლმე ფოლკლორული ზღაპრის ცალკეულ ელემენტს, მოტივსა და თხრობის მანერას, მაგრამ თითქმის ყოველთვის ანადგურებს მის არსს და საბოლოოდ მაინც თვით ხელოვანის ხუბიექტური ძაღვისა და შემოქმედი გონის გაცნობიერებული მოქმედების პროდუქტს წარმოადგენს.

ხელოვნური ზღაპარი, რომელსაც ფესვები ფრანგულ როკოკოში აქვს გაღმული (Cabinet des Feés), რომანტიზმში განიცდის სწრაფ ზრდასა და ძლიერ უვავილობას. XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე გერმანულ ლიტერატურაში თითქოს ერთბაშად იფეთქებს ათასობით უვავილი და მთელ არემარეს მძაფრ და გამაბრუებელ სურნელს მოჰყენს. ტიკის ერთი მხრივ ლალი და გამომწვევი, ხოლო მეორეს მხრივ იღუმაღლებითა და მშფოთვარე ფანტასტიკით აღსავსე ზღაპრები, ნოვალისის მძიმე სიმბოლიკით დატვირთული და ამავე დროს ცისფერთვალეზა ფერმკრთალი ქალწულივით უმანკო და წმინდა ხიღვანი, არნიშის, ფოკისა და ბრენტანოს მომაჯადოვებელი და ამაღელვებელი, თითქოსდა ხალხური სულის წიაღიდან ამოხეთქილი ამბები და ბოლოს მოფმანის დემონური ფანტაზიები ქმნიან იმ გამაბრუებელ და დამათრობელ ატმოსფეროს, რომელიც უველას, ვინც კი ფეხს შესდგამს მათ სამფლობელოში, გრძნეული ბურუსივით გარს ევლებს და თავის ტყვეობაში ამყოფებს ღიღხანს.

ახალი, რაც რომანტიკოსებმა ზღაპრის ფორმაში შემოიტანეს, არის სამყაროს სიმბოლიური აღქმა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იმ თვალუწვდენელი ხიღრმეების წინათგრძნობა, რომლის წვდომისა და გამოხატვის ძალა მხოლოდ სიმბოლოს შესწევს. რომანტიკოსებმა ადამიანის ქვეცნობიერი სამყარო აღმოაჩინეს, პირველადი ვნებისა და ინსტინქტის ბნელი სამყარო. მაგრამ მათ, რიკარდა ჰუხის თქმისა არ იყოს, კოლუმბივით არ იცოდნენ საკუთარი აღმოჩენის ფასი და მნიშვნელობა. თუმცაღა ეს სამყარო მათ მოხვენებას არ აძლევდა და გრძობად სფეროებში ტრანსპონირებას მოითხოვდა. „აღზრდისა და განათლების უმაღლესი ამოცანაა დაეუფლო შესს ტრანსცენდენტულ მეს, შესი საკუთარი მეს მედ იქცე“, — ამბობს ნოვალისი. მის მიერვე ეგზომ ხშირად ხმარებული სიტყვა — „რომანტიზირებაც“ გაუცნობიერებელის, ინდივიდუუმის ფარული მეს სწორედ ამ გააზრებასა და გაცნობიერებას გულისხმობს. ბნელ და არაცნობიერ შინაარსთა სუბლიმირების, მათი განწმენდისა და ამაღლების საუკეთესო ფორმად რომანტიკოსებს ზღაპარი მიაჩნიათ. ზღაპარს, მათი აზრით, შესწევს ძველთაძველი ინსტინქტების ქვეყანაში წიაღსვლისა და ველურ მხეცთა და ნადირთა მოთვინიერების, შეუცნობელი ძაღების შელოცვისა და მათი მზის შუქზე გამოყვანის უნარი. „ყოველი ზღაპარი, — წერს ერთგან ნოვალისი, — სიზმრისეული ხიღვა და ოცნებაა იმ მშობ-



ლიურ ქვეყანაზე, რომელიც ყველგან და არსადაა. უმაღლესი ძალები ჩვენს თავში, რომელნიც ოდესმე, როგორც გენიები, განახორციელებენ ჩვენს ნებას, ახლა მუშების სახეს იღებენ და ცხოვრების ამ დამქანცველ გზაზე საამური მოგონებებით გვიამებენ გულს\*. მაგრამ ზღაპარსაც მხოლოდ მაშინ ძალუძს უმაღლესი ძალების მუშებად გარდაქცევა, თუ იგი სიმბოლოებით სარგებლობს. სიმბოლო კი, თავის მხრივ, რომანტიკოსებთან აღსანიშნავი მოვლენის ანალოგია, შემოკლებული ნიშანი და ხატოვანი აბრევიატურა კი არ არის, არამედ ფსიქიური პროდუქტია, აზრობრივი ფორმულა, რომელიც რაიმე ნავარაუდები ამ სუსტად დადგენილი, მაგრამ ჭერჭერობით არსებითად გაურკვეველი და შეუცნობელი მოვლენის გარემოების ერთადერთ შესაძლებელ გამოხატულებად გვევლინება. ამ თვალსაზრისით ქრისტიანობა იმ დეროს წარმოადგენს, რომლითაც ჰერმან ჰესეს ზღაპრები იკვებება.

ჰერმან ჰესეს ზღაპარს პირობითად „ფსიქოლოგიური“ ზღაპარი შეიძლება ვუწოდოთ\*. ზღაპრის ფორმა, რომელიც მოკლებულია დროისა და სივრცის განზომილებას, მწერალს ქვეცნობიერის სიღრმისეულ ფენებში, ბნელით მოცულ დედისეულ სამყაროში წიაღსვლისა და გაუცნობიერებელ შინაარსთა მხატვრულ ფორმაში წარმოდგენის საშუალებად ესახება. იდუმალებით მოცული სამყაროს ერთადერთი კარი სიზმარია — ფსიქიური მდგომარეობა, როდესაც მოეშვება გონების მუხრუჭები, შესუსტდება ადამიანის შედმატებული მეს და ყოველგვარი დანაშრევი მორალური ნორმებისა და მოთხოვნათა ცენზურა, სულის წიაღიდან შედაპირზე ადამიანის ფარული მურაზი და გულისნადები ამოტივტივდება, ცნობიერებაში შეაღწევს და იქ, გარესამყაროდან მიღებულ შთაბეჭდილებებში აღრეული, ფანტასტიკურ სახეებსა და ნაერთებს ქმნის. ჰერმან ჰესეც არაერთხელ სარგებლობს ამ კარით სახიფათო სფეროებში შესაღწევად, რაიც ხშირად მისი ზღაპრების სათაურშიაც აიხსება. ასე მაგალითად, ერთი ზღაპარი „სიზმართა წყებადაა“ წოდებული, მეორეს „ფლუციტების სიზმარი“ ჰქვია, მესამის სათაურში, მართალია, არაფერი მიგვანიშნებს სიზმარზე, მაგრამ თვით ამბავი განვითარება, ეპიზოდების ერთმანეთთან დაკავშირება, წარმოდგენილ ხატთა ხასიათი თუ სხვა რამ აშკარად სიზმრისეული ხილვისაა. ჰერმან ჰესეც ფრთხილად მიიკვლევს გზას უცნობ სამყაროში. მოგონებების, ასოციაციებისა და სიზმრების საფუძველზე იგი ცდილობს სულის იმ სიღრმეთა წვდომას, რომელნიც დაფარულია გონების თვალთავან და მას სამყაროს იდუმალებასთან აკავშირებს. რაც უფრო ღრმად ჩადის იგი საკუთარი ფსიქიკის წიაღში, რაც უფრო სუსტდება დღის სინათლე, მით უფრო ბუნდოვანდება და იკარგება მისი ინდივიდუალობის კონტურები, რომელიც საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეცნობიერში გადადის და ამგვარად მას არაცნობიერის მთელ კოსმოსთან აკავშირებს. ამრიგად, ჰესესთვის მთელ სამყაროს საერთო საფუძველი აქვს, მთელი სამყარო ერთიანი ზეპიროვნილი სულიერ-ფსიქიური სუბსტანციის თანაზიარია. ამიტომაც ყოველი მოვლენა, ყოველი არსება და საგანი შეიძლება იქცეს სამყაროს იდუმალებაში შესასვლელ კარად. „ყოველი მოვლენა ამქვეყნად, — წერს ერთგან ჰესე. — ქარაგმაა, ხოლო ყოველი ქარაგმა ღია კარია, რომელსაც სული, თუკი ის მზადაა, სამყაროს ცენტრსა და იდუმალებაში შეჰყავს — იქ სადაც მე და შენ, დღე და ღამე ერთად იქცევა. ყოველ ადამიანს შეხვედრია ცხოვრებაში ღია კარი, ყველას მოსვლია თავში აზრი, რომ მთელი გრძნობადი სამყარო მხოლოდ ქარაგმაა და ამ ქარაგმის მიღმა რომ გონი და მარადიული სიცოცხლე სუფევს. მაგრამ მხოლოდ მცირეთ გაუბედავთ ღია კარში შესვლა და მშვენიერი ცთომილების დათმობა იდუმალი სინამდვილის სასარგებლოდ“.

ყოველი არსება, ყოველი ქია-ლუა და სულ პატარა მცენარეც კი თავის გულში სამყაროს საიდუმლოებას ინახავს. მწერალი აღწერს ზამბახის ყვავილს და პატარა ანსელმის მოგზაურობას ყვავილის კედლებზე — გვირგვინის სოსანი ფურცლების გასწვრივ, ფერმკრთალი და დამარდვული ჯამის ფსკერისაკენ, სადაც მოოქროვილი მესერის მსგავსად აღმართულან ყვითელი მტვრიანები, რომელთა მიღმაც ყვავილის ლურჯ წიაღში მისი გული და იდუმალება მიმაღულა. ცისფერი და თეთრი ძაფებით დასერილ ზამბახის ლურჯ ჯამში, ყვავილის დამათრობელ სურნე-

\* თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზღაპარი, რამდენადაც იგი ადამიანის ქვეცნობიერი სურვილების სუბლიმირებისა და ზეწესრიგისადმი სწრაფვის მხატვრულ გამოხატულებას წარმოადგენს, იმთავითვე უშუალო კავშირში იყო ფსიქოლოგიასთან. მაგრამ თუ ხალხურ ზღაპარში ადამიანის გაუცნობიერებელი სურვილები, მისი იდუმალი ზრახვანი და განცდები სპონტანურად ამოხეთქენ ხოლმე, ახლა ქვეცნობიერისადმი მიმართება ჰესეს ზღაპრების ძირითად და განმსაზღვრელ, თვით ავტორის მიერ სტიმულირებულ ინტენციად იქცა.

ლებასა და ბუტკოს დაფიქსულ სიმშვიდეში, საითკენაც მირბიან გვირგვინის ფურცლებიდან ბილიკები, ანსელში ამოუცნობელისა და მიუწვდომელის ფეთქვას გრძნობს. ხშირად ღამით, სიზმარში, მას ხან მერანსა და ხან თეთრ გედებზე ამხედრებულს შეურღვევია ყვავილის იისფერი მდუმარება და მთელი ქვეყანაც თან მიჰყოლია ციურ სასახლეში, სადაც ყოველი მოლოდინი აღსრულებად და ყოველი წინათგრძნობა სინამდვილედ იქცევა.

პერმან ჰესეს ზღაპრებიც მოგზაურობაა ზამბახის ოქროსფერ გულსა და წიაღში, იმ დამტვერილ და მოუხელებელ სივრცეებში, რომელთაც ყვავილის უალი ხავერდოვანი ფურცლები ფარავენ. მეზღაპრე ჰესე, თავისი გმირის მსგავსად, ზურგს უკან მოეტოვებს ჰატეპატა სამყაროს და ქვეცნობიერისა და პირველადი ვნების ლურჯ იდუმალებას უჩინარდება.

შეუცნობელისა და პირველადი ძალების სამყარო, დაბადების გამოცანა და სქესის საიდუმლოება, ყრმა კაცის ბუნდოვანი და ამაღლვებელი წინათგრძნობანი, დესტრუქციისა და სიკვდილისადმი სრულიად გაურკვეველი, მაგრამ ადამიანის არსების სიღრმეებიდან ამომავალი ლტოლვა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც ზამბახის გული მალავს თავის წიაღში და რასაც ყოველი ადამიანის ფსიქიკის სიღრმისეული ფენები მოიცავენ, დედის სახესთანაა დაკავშირებული. დედაა ყველაფერი — ეროსიცა და ტანატოსიც, ადამიანის გაუცნობიერებელი სწრაფვა გამრავლებისა და სახის შენარჩუნებისათვის და განადგურებისა და დესტრუქციისათვისაც. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწრაფვა ახალი ფორმების წარმოებისა და აღრინდელ მდგომარეობას დაბრუნებისათვის. ამიტომაც, რომ ჰესეს ზღაპრებში (და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ შემოქმედებაშიც) დედის ხატი ღომინირებს. ჰესეს გმირებს დავიწყებული ჰყავთ დედა, მეხსიერებიდან აქვთ ამოშლილი ზამბახის ეშხი და მშვენება. ისინი მშობლიურ მხარეს არიან მოწყვეტილნი და სამშობლოს სევდით შეპყრობილნი დედის გახსენებას ლამობენ. ამიტომაც შინ დაბრუნება დედის მოგონებასთანაა დაკავშირებული, დედის კალთაში მოხვედრას ნიშნავს. აუგუსტუსს სიკვდილის წინ დედის ხმა ჩაესმის, ასევე ანსელმსაც. „მძიმე ეზის“ გმირი ზღაპრის დასასრულს დედის მკერდისკენ მიექანება, მთა ფალდუმში კი თვალუწვდენელ ზღვად იქცევა, რაიც დედასთან შეერთების ხატოვან გამოხატულებად შეიძლება იქნას მიჩნეული. პერმან ჰესე დედის ხატივლადაა გამოსული. მაგრამ ეს დედამისი კი არ არის — მოძრავი, შავგვრემანი, ფრანგული ტემპერამენტის მქონე ქალი, რომელიც ბავშვის პირველად, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ ლტოლვათა და სწრაფვათა ერთადერთი ობიექტია და ურომლისოდაც პატარა პერმანს ხშირად დაძინებაც კი არ შეეძლო, ეს არის დედის განმდგარი და განსხვავებული, ზედმატებული ხატი. მაგრამ ამავე დროს იგია უადრესად კომპრეტული რამ, თვით ავტორის წმილათაწმიდა და მისი სულის სიღრმეში არსებული შინაარსი. დედა არის ჰესეს ცნობიერებიდან ქვეცნობიერში განდევნილი პირადულობა, რომელიც თავისი უკანასკნელი ფესვებით ცხოველ წინაპართა სამყაროს წვდება და ამგვარად არაცნობიერის მთელ ისტორიულ ასპექტს მოიცავს. ამიტომაც დედისადმი სწრაფვა საკუთარი ქვეცნობიერების სფეროებში წიაღსვლასა და მთელი შინაგანი სამყაროს ამობრუნებას გულისხმობს.

დედის საიდუმლოების სადარაჯოზე გონია გამოსული. ოქროსფერი რაინდებივით ჩამწკრივებულან მტვრიანები ზამბახის გულის ირგვლივ ეველა იმათ დასახვედრად გამზადებულნი. ვინც კი შეჭბედავს წმინდა საზღვრების შელაზვას. ნათელ გონს ჰესესთვის მამა განსახიერებს. იგი იცავს დედას ვაჟიშვილის შემოტევისაგან და ცდილობს აარიდოს ამ უკანასკნელს დედისეული სამყაროს გზება. ის მუდამ თან სდევს დედის ხატს და კმნის იმ ძაბვას, რომელიც მთელ ნაწარმოებს სიმკვრივესა და დრამატიზმს სძენს. მამა ზღაპრებში წარმოდგენილია ავტორიტეტული პერსონაჟის სახით, რომლის მოქმედება, გამონათქვამები, ტენდენციები და მისწრაფებები აშკარად გონისმიერ და ინტუიტურ-ქვეცნობიერისადმი დაპირისპირებულ, ერთგვარად მტრულ ხასიათსაც კი ატარებენ. როდესაც ანსელმი მთის ნაბრალს მიაშურებს, რომელიც უზარმაზარი ყვავილივით და დედის კალთასავით გადაშლილა მის წინაშე, წინ მოხუცი კაცი (მამა!) გადაუდგება: „უკან გაბრუნდი, ადამიანო, უკან გახწი. ეს სულთა საბრძანებელია. ვისაც კი აქ მოუდგამს ფეხი, უკან არავინ გაბრუნებულა“. მამა — ეს ზემდგომი ინსტანციაა, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე. იგი ხშირად განაგებს მოქმედ პირთა ბედობლას (იხ. „აუგუსტუსი“, „ფალდუმი“ და სხვ.), დამაჯერებელი და ხანაც მბრძანებლური კიდობი იძლევა რჩევა-დარიგებებს და ყოველთვის სწორედ მაშინ ჩნდება ხოლმე, როდესაც გმირი გასაჭირშია და მოქმედებასაც სრული ჩახშობა და შეჩერება მოელის. იგი უპირატესად ხანდაწმული კაცის და თმაშვერცხლილი ბრძენის სახითაა წარმოდგენილი („პოე-

ტი“), მაგრამ ხანდახან ჯუჯაკაცის გროტესკულ სახეს იძენს და შოფმანის არქივარიუს ლინდ-  
შორსტივით შუა ბიურგერულ ყოველდღიურობაში ეწევა თავის ჯადოსნურ არსებობას.  
ასეთია ბატონი ბინსვანგერი, რომლის ჩაბნელებულ, მხოლოდ ბუხრის ცეცხლით განათებულ  
ოთახში საღამოობით პაწაწინტელა ანგელოზები და ოქროს ფრთებით შემკული ბავშვები  
დანავარდობენ ჰაერში და წყვილ-წყვილად ცეკვავენ.

ფსიქოლოგიურად სწორად შენიშნული და საინტერესოა ის გარემოებაც, რომ გონისა  
და მამის განმასახიერებელი პერსონაჟები ერთგვარი ანონიმურობით ხასიათდებიან (საქმე  
ისაა, რომ მამა მხოლოდ მამა კი არ არის, იგი, ამავე დროს, ოჯახის, საზოგადოებრივ-საქმე  
ისტორიული წარსულის მიერ გამომუშავებული ტრადიციის და ზნეობრივ-საზოგადოებრივი კონსერვაციული  
კომპლექსია, რომელიც ადამიანის ფსიქიკაში ანონიმური და შეუცნობელი ძალის სახით  
შეღავნდება — სინდისი, კატეგორიული იმპერატივი). ჩვენ არასდროს არ ვიცით, ვინ არიან  
ისინი და რას წარმოადგენენ. „ფაქტუალური“ ეს არის ტყვიან გამოსული კაცი, რომლის სა-  
ხელსაც კი არ გვეუბნება მთხრობელი. არაფერი ვიცით არც ბატონ ბინსვანგერზე, გაურკვე-  
ველი პროფესიისა და საქმიანობის ადამიანზე, რომელიც თითქოსდა დროის მიღმა არსებობს,  
და არც სრულყოფილი სიტყვის ოსტატზე (ზღაპრიდან „პოეტი“), რომელიც ისევე შეუმჩნე-  
ვლად ქრება თხრობის დასასრულს, როგორც თავში გამოჩნდა.

მამის სახე, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში გონის პერსონიფიკაციას წარმოადგენს,  
მომრავი და დინამიური ფაქტორია, — მაცოცხლებელი და ცხოველი საწყისი. იგი იმდენად  
აღემატება დედას, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც თავისთავად ცოცხალი ბუნების ხატად  
გვევლინება, გონისადმი მიმართული სიკვდილის სახით (ცალკე პერსონაჟებში კი სიკვდი-  
ლისადმი ლტოლვის სახით) ვლინდება. ამიტომაც, რომ შინ დაბრუნებას და დედასთან  
შეერთებას შესესთან უპირატესად დიონისური სიკვდილისა და სამყაროს ელემენტებში გან-  
წავების სახე აქვს.

მაგრამ ჩვენ არ ვვითქვამხ ძირითადი. ჩვენ აქამდე მხოლოდ გარს ვუვლიდით უარსე-  
ბითესსა და უმნიშვნელოვანესს — იდუმალებას, რომელიც ყვავილის მზინავი ბუსუსებით და-  
ფარული მკვრივი ფურცლების შიგნით იშალება; ჩვენ სახელი არ შეგვირქმევია იმ იისფერი  
დაძარღვული ბილიკისთვის, იმ ლურჯად მოლივლივე გზისთვის, რომელიც მტვრიანების ოქ-  
როს სვეტებში იკარგება და რომლითაც მიღის პერმან პესეს ზღაპრების გმირი. ეს გზა არის  
ინდივიდუალობისა და საკუთარ არაცნობიერთან შეხვედრის მეშვეობით პიროვნების მთლიან-  
ობისაკენ სწრაფვის გზა. იგი მიზნად ისახავს ინდივიდუალური პიროვნულობის, პოტენციაში  
არსებული თვითობის (Selbst) გამოჭეპარებასა და ჩამოყალიბებას. ამდენად იგი დიფერენცია-  
ციისა და გამოცალკევების პროცესს წარმოადგენს და კოლექტიურ ნორმას უპირისპირდება. ინდი-  
ვიდუალობა განსაკუთრებულის წარმოშობას ნიშნავს, მაგრამ არა გაურკვეველი და ნებისმიერი  
„განსაკუთრებულობისა“, არამედ კონკრეტული და ინდივიდუალური a priori არსებულისა;  
იგი ყვავილის ბოლქვში მოცემული სასიცოცხლო ძალებისა და პოტენციის სრულ რეალი-  
ზაციას ვუღიხნებოდა, რაიც მის ინდივიდუალურ იერს და განუმეორებლობას განაპირობებს.  
ინდივიდუალობა ცნობიერების „იდენტური მდგომარეობიდან“ — ე. ი. როდესაც ინდი-  
ვიდუალური თავს სრულიად გაუცნობიერებლად მშობლებთან ან რაიმე სხვა ავტორიტეტ-  
თან აიგივებს — გამონთავისუფლების პროცესს ემთხვევა და პრიმიტიული აზროვნებიდან თავის  
დადწევას, გაცნობიერებული ფსიქიური ცხოვრების ჩარჩოების გაფართოებას წარმოადგენს.  
იგი აღრე-ინფანტილური მდგომარეობის მომდევნო საფეხურია, სახიფათო მოგზაურობაა  
საკუთარ შიდა სამყაროში, სადაც ჩვენი არსების არსი და წმიდათაწმიდა მიშალულა, სადაც  
ჩვენი ქვეცნობიერება შავი ნაკადივით ერთვის არაცნობიერის ოკეანეს. მხოლოდ ასეთ მოგ-  
ზაურობად შეიძლება იქნეს გავებული ფლექტაზე დამკვრელი ყმაწვილის თავგადასავალი  
ზღაპარში „ფლექტების სიზმარი“. გემი, რომელზეც ადის და რომელსაც შემდგომში მართავს  
ფლექტაზე დამკვრელი ჯაბუკი, არაცნობიერის დინებას შიშვება „ზღვისაკენ“, „სადაც სიკვ-  
დილი და სიცოცხლე, სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთში გადახლართულან და მარადიულ  
სახიფათო ბრძოლაში არიან ჩაბმულნი“.

საკუთარი თვითობის აღმოჩენა მოგზაურობის უკანასკნელი და ერთადერთი მიზანია.  
თვითობაა სწორედ ის საიდუმლოება, რომელსაც ზამბახის სოსანი ფურცლები ფარავენ. იგი  
მოწესრიგებული მთლიანობის პირველსახეს და ჩანასახს წარმოადგენს, რომელიც ინდივი-  
დუუმის ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქიკას მოიცავს ერთდროულად. იგი არის ადამიანის  
ყველა ფსიქიური ფენომენის ისეთი ერთიანობა, ისეთი ფსიქიური მთლიანობა, რომელშიც

ცნობიერი და არაცნობიერი არადიფერენცირებულ და განუყოფელ ურთიერთმიმართებაშია შეტრული. ემპირიულად იგი სიზმრებში, მითოსში და ზღაპრებში ცხადდება ხოლმე „ზედმატრებული პიროვნების“ სახით. „ფლეთების სიზმარში“ თვითობა გემის ანონიმური მეტატრონიის სახითაა წარმოდგენილი, რომლის გმირთან იდენტურობას ნაწარმოების უკანასკნელი სიტყვებიც უსვამს ხაზს: „რათა დავრწმუნებულიყავი იმაში, რისი წინათგორძნობაც მთელ ჩემს არსებას მოიცავდა, ფარანი ზემოთ ავწიე და წყალზე გადავიხარე. ნაკადის შავი ტალღებიდან გონიერი გამკრიახი სახე მიცქერდა, ბებერი, ყოვლისმცოდნე, სახე, რომელსაც კროლა თვალეხი ჰქონდა და ეს სახე ვიყავი მე. და რაკი უკანდევსწვევსწვევსწვევს იყო, მე განვაგრძე შავი წყლით ჩემი მოგზაურობა წყვედიად ღამეში“.

ბ ი ზ ლ ი რ მ შ ო მ ა

მაგრამ თვითობა ზღაპრებში ყოველთვის ადამიანის სახით როდია წარმოდგენილი. აქ იგი ხშირად მთის სახესაც იძენს. მთა ხან მოგზაურობის მიზნად, ხან გადასალახავ დაბრკოლებად და ხანაც საიდუმლოების შემცველ ბუნებრივ სასახლედაა წარმოსახული. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდა პოეტი ჰან ფოკი ჰესეს ზღაპრიდან „ბოეტი“ ჩრდილო-დასავლეთის მთებში მიდის, აღმართ-აღმართ მიიკლავება მოგზაურთა ციცაბო ბილიკი ზღაპარში „მძიმე გზა“, მთის წიაღში უჩინარდება ანსელმი და ბოლოს მევიოლინეს მეგობარი უმაწვილი „ფალდუმში“ თვით იქცევა მთად. ექვგარეშეა, რომ ყველა ამ შემთხვევაში მთა გმირის (და თვით ავტორის!) თვითობის ფსიქოლოგიური გამოხატულებაა.

გერმან ჰესეს ზღაპრები ამრიგად თვით ავტორისთვის თვითშემეცნების და საკუთარი თვითობისკენ მოგზაურობის, ამ თვითობის გამოვლენისა და გამომწეურების ფორმას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, მწერალი „გზას შინაგანისაკენ“ ჩვენი საუკუნის ათიან წლებში დაადგა. მძიმე შინაგანმა კრიზისმა და ნერვიული სისტემის დარღვევამ იგი 1918 წელს ზონმატში, ლუცერნის კერძო კლინიკაში მიიყვანა. აქ ის პირველად უშუალოდ გაეცნო ფსიქონალიზს. იუნგის ცნობილმა მოსწავლემ, დოქტორ იოზეფ ბერნჰარდ ლანგმა მას 1918 წლის ივნისიდან ნოემბრამდე სამოცამდე სეანსი ჩაუტარა, რომელთაც, როგორც აღნიშნავს ჰესეს მეგობარი და პირველი ბიოგრაფი მუგო ბალი, უფრო ფსიქოთერაპიული საუბრების სახე ჰქონდა, ვიდრე სამედიცინო პროცედურებისა და მკურნალობისა. ამ საუბრებმა და გამოჩენილი ფსიქოლოგების ადლერის, ბლოელერის, იუნგის, ფროიდის ნაშრომთა გაცნობამ მნიშვნელოვნად შეუწვევს ხელი ჰესეს მიერ მისი სულიერი კრიზისისა და შინაგანი კონფლიქტის დაძლევის. გარდა ამისა, მათ მწერალს გადაუშალეს სრულიად ახალი სივრცეები, არაცნობიერის, გონის თვალისთვის უწვდომი სიღრმეები, რომელთა დაუფლებასა და გაცნობიერებას საკუთარი მსოფლმომართების გარკვევისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თვით ჰესე იხსენებს: „ჩემი გარდაქმნა და შინაგანი ტანჯვის მწვერვალი ომის დასასრულს დაემთხვა. მაგრამ ამ ტანჯვას აღარაფერი ჰქონდა საერთო არც ომთან და არც მსოფლიოს ბედთან. არც გერმანიის დამარცხებას, რომელსაც ჩვენ, მის საზღვრებს გარეთ მყოფნი, აგერ უკვე ორი წელია მოველოდით, არ შევუწუხებდით მაინცდამაინც. მე მთლიანად ჩემ თავში და ჩემ საკუთარ ბედში ვიყავი ჩამძირული, თუმცა, ცხადია, იმ შეგრძნებით, რომ იქ მთელი კაცობრიობის ბედი წყდებოდა. იქ, ჩემ თავში, მე ომი და მთელი ქვეყნის უღმობელოება, მისი ქარაფშუტობა, ავბორცობა და სიმხდალე აღმოვაჩინე. ყოველივე ამის შედეგად ჯერ ჩემი თავის პატივისცემა დაგვარგე, შემდეგ კი ჩემივე უპატივცემლობა და ზიზღი. სხვა გზა არ მქონდა, ბოლომდე უნდა ჩამებედა ქაოსში ხან ძლიერ ცეცხლად აგიზგიზებული და ხანაც თითქმის მთლიანად ჩამქრალი იმედით, ქაოსის მიღმა ისევ ბუნება და უმანკოება უნდა აღმომჩინა. ყოველმა გამოდვიძებულმა და საკუთარ ცნობიერებას ქეშმარიტად დაუფლებულმა კაცმა უნდა განვლოს ეს ვიწრო გზა, რომელიც უდაბნოზე გადის“.

გერმან ჰესეს არაცნობიერთან და საკუთარ თვითობასთან შეხვედრის პირველ ნაყოფს მისი ზღაპრები წარმოადგენს. თვითობა, რომელიც თავისი უღრმესი ფესვებით ადამიანის ფსიქიკის წიაღში ბუდობს და მას არაცნობიერის მთელ კოსმოსთან აკავშირებს, არ შეიძლება რაციონალური და ანალიტიკური გზით იქნას გამოვლენილი. იგი გაურბის წმინდა ლოგიკურ კატეგორიებში ყოველგვარ გამოსახვას და შეიძლება იქნას მინიშნებული მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაში, რომელიც ცნობიერისა და არაცნობიერის ერთიანობას და ამრიგად თვითობის ადექვატურ ფორმას წარმოადგენს. ამ გარემოებამ განაპირობა ჰესეს მიერ ზღაპრის ფორმის არჩევა თვითშემეცნებისა და მოუხელებელ შინაარსთა წვდომისა და ანალიზისთვის. მაგრამ მხოლოდ ჩვეულებრივი ზღაპრის ფორმა აქ არ კმარა. ქვეცნობიერ შინაარსთა მთელი სისავსე მხოლოდ სიმბოლოს შეუძლია გადმოსცეს, რომელიც, თვით თვითობისა არ იყოს,

ადამიანის ფსიქიურ ფუნქციათა ყველა მონაცემის ერთიანობა და რაციონალურ და ირაციონალურ, აზრობრივ და გრძნობად მომენტებს შოიცავს. ამიტომაც, რომ ჰესეს ზღაპართა ფანტასტიკური სახეები უსასრულო სიმბოლურ ძეწკვებადაა ასხმული და ამ თვალსაზრისით ჩვენ მათ არა მხოლოდ „ფსიქოლოგიური“, არამედ „სიმბოლური ზღაპრებიც“ შეიძლება ვუწოდოთ.

ჰერმან ჰესეს პოეზიის ბაღში დიდრონი ზამბახებით იზრდებიან სიზმარებით სუცნაური და მომხიბლავი ზღაპრები. ისინი ნელ-ნელა, მაგრამ ჭიუტად ინთავისუფლებენ ჰესეს ქვეცნობიერების მომწვანო-მოყავისფრო მკვრივი ფოთოლაკებისაგან დაქმდნილ კრისტალურ კაშკაშებში, დაღლილები, აბრეშუმის ენა გამოვადებულები, თავიანთ იისფერ ოცნებებს ეძლევიან. ვისაც ამ ყვავილმარის ნაწი სუნით დატკბობა და მისი მშვენიერების სრული აღქმა სურს, იგი პატარა ანსელმივით ცოტა ხნით მაინც უნდა დააკვირდეს ყვავილთ ხანჯლის მსგავს ფოთლებს, გვირგვინის სოსან ფურცლებს, მსუბუქ მტვრიანებს, მან წამით მაინც უნდა გააყოლოს თვალი პატარა დამარღვულ იისფერ ბილიკს, ყვავილის წიაღში რომ იკარგება და მაშინ, ვინ იცის, შეიძლება ეს ზღაპრები მისთვის იმ კარად იქცეს, რომელიც სრულიად ახალ სივრცეებს გადაუშლის წინ.

## ლოტრეამონი

XIX საუკუნის ფრანგი პოეტის ლოტრეამონის შემოქმედებამ მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ამ პეტად თავისებურ პოეტს დიდი ხნის მანძალზე შეშლილა გენიოსის სახელი ჰქონდა და მისი ნაწარმოები სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ ბიბლიოფილთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი.

ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში ლოტრეამონს პეტად თავისებური ადგილი უჭირავს. ძნელია მივაკუთვნოთ ის რომელიმე სკოლას ან მიმართულებას.

პოეტის შემოქმედებითი გზა ხანმოკლე და ტრაგიკული იყო (1868—1870). მისი ორი ნეკრე მოცულობის წიგნი უპირველეს ყოვლისა ბუნტარული ხასიათის ნაწარმოებია, ამკვეყნიერებასთან შეუგუებელი ქაბუჯის ამბოხი, საკუთარი სამყაროა შექმნის გამმაკებული მცდელობა.

მწვავე შეგრძნება სამყაროს არასრულყოფილებისა, ადამიანის სულიერი სამართვისა, ცხოვრების არსის ძიება, იმედგაცრუება, ყველაფერი ეს ლოტრეამონთან გამოხატულებას პპოვებს უაღრესად თავისებურ ფორმებში. ლოტრეამონი პაროდულად იყენებს „შავი რომანის“ ბერბებს. „მალდორორის სიმღერების“ სიმბოლურა და გროტესკული სახეები, ფანტასტიკური გარემოცვა, სისაატის სცენები მოვეავონებს უოლპოლის ან კაზოტის რომანებს. პოეტა მიმართავს რომანტიკულა ლიტერატურის არსენალს და როგორც თვითონ ამბობს, ირონიულად უმღერის ბოროტებას ბაირონის, ა. დე მიუსეს, ბოდლერის მგაგსად. „მალდორორის სიმღერები“, მისი განმარტებით, წარმოადგენს „რალაცას ბაირონის „მანფრედისა“ და მიცევეინის „კონრადის“ მგვარს, ოღონდ გაცილებით უფრო სამანელს“.

ლოტრეამონის მეორე ნაწარმოები „მომავალი წიგნის წინასიტყვა“ სრულიად განსხვავებულია. ეს არის ვნებიათა ტრაქტიკა პოეზიაზე. პოეტა, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინ ირონიულად უმღეროდა ბოროტებას და მუქი ფერებით ხატავდა თანამედროვე სინამდვილის სურათებს, ახლა უარყოფს მის პირველ წიგნში აღებულ გეზა და რომანტიკული ლიტერატურისათვის სასტიკი განაჩენი გამოაქვს. „ამ საუკუნის პოეტური გმინვა მარტოოდენ ამზრზენი სოფიზმია... სულიერ ტანჯვაზე, სევდაზე, განსაცდელზე, მელანქოლიაზე, სიკედილზე, აირდილებსა და უკუწეზე მოთქმა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერში მარტოოდენ ბაკმუერ მხარეებს ვამჩნევთ“<sup>1</sup>.

ლოტრეამონის ამბოხის საფუძველს წარმოადგენს პოეტისათვის ნიუღებელი ბურჟუაზიული საზოგადოება, გაწონასწორებული თავისი წესებითა და ფასეულობებით. იგი მწვაველ განიცდიდა კაცობრიობისა და სამყაროს არასრულყოფილებას. აქედან იღებს დასაბამს მისი განდგომა ყოველგვარი ტრადიციული ლიტერატურული ნორმებისაგან. პოეტა თავის მგამბოხე პოეზიას უაღრესად თავისებურ ფორმას უძებნის.

საკმაოდ რთულია „მალდორორის სიმღერების“ კომპოზიცია. მას ვერ მივაკუთვნებთ

<sup>1</sup> Lautréamont. Oeuvres complètes. Paris, 1963. p. 369.

პოეზიის რომელსავე განსაზღვრულ სახეობას. ძნელია ამ ნაწარმოებს მოეძებნოს უანრული შესატყვისობა და განმარტება.

არსებობს ბევრი ემოციური აზრი წიგნის კომპოზიციის შესახებ. ლოტრეამონის ერთ-ერთი პირველი კომენტატორი ლეონ ბლუა წერდა: „რაც შეეხება ლიტერატურულ ფორმას, აქ ამის ვერ ვხედავთ. ეს არის თხევადი ლაეა, უგონო, შავი და ყოვლისშთამბრუნელი“<sup>1</sup>.

მორის ბლანშოს აზრით „მალდორორის სიმღერები“ თავბრუდამხვევი ნაწარმოებია... „გრძნობათა ქარიშხალი“.

ფილიპ სუბო პოემის რთული კომპოზიციის გამო წერდა: „ლოტრეამონის ფორმის განსაზღვრა შეუძლებელია. ეს არის ეპოპეა და „შავი რომანიც“, ჯოჯოხეთის წიაღსვლა და გენიალური პაროდია რომანტიკული ტექსტებისა...“<sup>2</sup>.

ცხადია ასეთი ზოგადი განმარტებები ამ ნაწარმოების კომპოზიციისა თუ სტილის დასახსიათებლად საკმარისი არ არის.

საინტერესოა როგორ აღიქვამდა თვით ავტორი თავის ნაწარმოებს. გამომცემლისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იგი თავის წიგნს პროზად დაწერილ ლექსების კრებულს უწოდებს.

„მალდორორის სიმღერების“ უანრი და კომპოზიცია უფრო გასაგები გახდება თუ გაეითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნეში დიდი გავრცელება ჰპოვა პროზად დაწერილი ლექსის უანრმა. ამით გამოიხატა ერთგვარი ბუნტი, მიმართული პოეტური თემატიკის სივიწროვისა და ლექსწყობის დაკანონებული ნორმების წინააღმდეგ. გაეიხსენოთ ალოიზიუს ბერტრანის „გასპარი, ბნელეთის მოციქული“.

ლოტრეამონის მეამბოხე სული ვერ ეგუებოდა ტრადიციული ლიტერატურისაგან მემკვიდრეობით მიღებულ მეთოდებს და განაწყობდა მას ახალ საშუალებათა საძიებლად.

პოემა სულ ექვსი სიმღერისაგან შედგება. პირველი ხუთი სიმღერა აღიქმება როგორც ერთი მილიანობა. მეექვსე სიმღერა კი გამორჩეულია და განსხვავდება დანარჩენებისაგან თავისი ნოველისტური სიუჟეტით. იგი პროზაული თხრობის სტრუქტურას უახლოვდება.

„მალდორორის სიმღერები“ მიმართული იყო რომანტიკული პოეზიის და რომანტიკული რომანის წინააღმდეგ. მეექვსე სიმღერა შეიძლება განვიხილოთ როგორც რომანის პაროდია, როგორც გროტესკული გამოსატყულება ზოგიერთი ტიპური სახისა, ბურჟუაზიული ოჯახისა და მისი ზნეობისა, როგორც ძალიან შემოკლებული რომანი ყოფისა და ხასიათების ვრცელი აღწერების გარეშე. ამ სიმღერაში მოთხრობილია ჭაბუკი მერვენის სულიერი ცდუნებისა და შკვლელობის ამბავი.

ექვსივე სიმღერა ეპიზოდებადაა დაყოფილი. მათი რიტმული სისტემატიზაცია ძალზე ძნელია. ჩვენ აქ ვერ ვხვდებით რიტმის ისეთ სისტემატიზობას, რაც კლოდელისა და სენ-ჟონ პერსის ნაწარმოებებში გვხვდება. სტროფულობის ელემენტები მხოლოდ ერთ ეპიზოდში ჩანს (ძველი ოქეანისადმი მიმართვა). მიუხედავად იმისა, რომ პოემაში არ არის ლექსები ამ სატყვის ჩვეულებრივი გაგებით, არავის უცდია განეხილა „მალდორორის სიმღერები“ როგორც არაპოეტური პროზაული თხზულება.

ლოტრეამონის პოეზიის ორგანიულ ფორმად გვევლინება არასისტემატურად რიტმიული. მაგრამ ხატოვანებით დატვირთული პოეტური პროზა. იგი წარმოიშვა როგორც ნაყოფი ერთი მხრივ, ტრადიციული რომანისა და მეორე მხრივ, რომანტიკული პოეზიის უარყოფისა. ტრადიციული რომანი თავისი ჩვეულებრივი პროზაულობით ვერ აკმაყოფილებდა ლოტრეამონს, ხოლო რომანტიკული პოეზია თავისი ეფემერულობითა და „კეთილგანწყობილებით“ სასაცილოდ ეჩვენებოდა. მას სურდა შეექმნა განსაკუთრებული, სხვაგვარი პოეტური საშუარო, რომელიც ამ რეალობასთან ამდენად გადახლართული არ იქნებოდა.

პოეტურობის შთაბეჭდილებას ლოტრეამონი თავისი რისხვისა და ზიზღის მგზნებარე გამოხატულების, ტექსტის სარკასტული ირონიის, ინტენსიური ლირიზმის, სპეციფიკური სახეობრივი სტრუქტურის ემოციურად დატვირთვის მეშვეობით აღწევს. მკითხველმა „მალდორორის სიმღერები“ პროზასავეთ რომ წაიკითხოს, ვერაფერს გაუგებს, ისევე, როგორც პროზად აწყობილ ლირიკულ ლექსს, თუ მას წმინდა ლოგიკური ურთიერთდასყიდებულებების თვალსაზრისით მიეღვება.

<sup>1</sup> Bloy, Léon. Le Cabanon de Prométhée. „La Plume“. Paris, 1890, p. 10.  
<sup>2</sup> Soupault, Philippe. Lautréamont. Paris, 1946. Préface.

ეპიზოდებში მოკლე დრამატული ნაწყვეტების ფორმით დახატულია მთავარი მოქმედი პირის მალდორორის ბრძოლა ღმერთის წინააღმდეგ ან საზოგადოების სისასტიკე და ადამიანის ბიწიერი ბუნების მაჩვენებელი მოვლენები.

თითოეული ეპიზოდი შეიძლება ცალკე ნაწარმოებად იქნეს გამოყოფილი. მაგრამ მისი სისრულით აღქმისათვის აუცილებელია მთელი ნაწარმოების კონსტრუქტი.

პოემაში ყოველი მომდევნო ეპიზოდი ყოველთვის არ აგრძელებს წინა ეპიზოდის აზრს. ახალ ეპიზოდში შეიძლება განვითარდეს ადრე შუა გზაზე მიტოვებული უწყველდეს შეწყვეტილი ფიქრი... შეიძლება შეგნებულად დაირღვეს ლოგიკური ბუნებრივი კავშირები და გამოჩნდეს სახეები, რომელთაც უნდა გაგაოცონ მოულოდნელობით და დაუკავშირებლობით უკვე ცნობილ სახეებთან.

ტექსტის ქაოტური დანაწევრებისათვის ლოტრეამონი ძალზე მოულოდნელ ხერხებს მიმართავს, მობრძილი ციტატები მეცნიერული წიგნებიდან მხატვრული თბრობის ელემენტებადაა გამოყენებული. ამ მხრივ ლოტრეამონი დადასტურებისა და სიურრეალისტების წინამორბედეა (მხედველობაში გვაქვს ე. წ. „კოლაჟის“ მეთოდი).

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი სცენების მოჩვენებითი ქაოსი იმდენად აბნევდა „მალდორორის სიმღერების“ ზოგიერთ კომენტატორს, რომ ისინი თითქმის სრულიად უარყოფდნენ ამ ნაწარმოების სისტემას, მისი კონსტრუქციის ლოგიკურ სიცხადეს და ლოტრეამონს უდისციპლინო შემოქმედებითი იმბულსების მქონე პოეტად მიიჩნევდნენ. იდუმალი ურთიერთკავშირი ეპიზოდებს შორის ზოგჯერ სრულიად იკარგება.

მიუხედავად ამ სირთულისა, პოემა ქმნის მოლიანობის, განუწყვეტლობის, ერთიანობის შთაბეჭდილებას. პოემის კომპოზიცია საგანგებოდაა მოფიქრებული, თუმცა ერთი შეხედვით ფორმალურად გაურკვეველ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ექვსი სიმღერის კავშირი ერთმანეთთან უფრო მათ სტილისტურ ერთიანობას ემყარება, ვიდრე სიუჟეტურ ხაზის განვითარებას. წიგნის მოლიანობას ქმნის პრობლემატიკის ერთიანობა, თემებისა და მოტივების მონაცვლეობა, ავტორისეული ლირიკული განწყობა, ერთიანობას აგრეთვე ქმნის მთავარი მოქმედი პირის მალდორორის სახე.

მალდორორი რთული პერსონაჟია. იგი ზოგჯერ ავტორის ორეულია, ხან კიდევ რამოს ამისწულისა თუ ვოტრენის მსგავსი სკეპტიკური მეთვალყურე ბურჟუაზიული სამყაროსი. იგი ზოგჯერ ამ საზოგადოების გახრწნილ პროდუქტად გვევლინება, მასში ამ საზოგადოების ავიზნე და სისასტიკეა დაბუდებული. იგი კაცობრიობის შურისმაძიებელია. მალდორორის თითქოს უაზრო ბოროტმოქმედება გაგებულ უნდა იქნეს როგორც გროტესკული და ჰიპერბოლური გამოხატულება ობიექტური ბოროტებისა.

მალდორორი ხშირად ავტორის იდენტიფიკაციად გვევლინება. მალდორორიც მონტევიდეოშია დაბადებული და განათლებას საფრანგეთში იღებს. ამან ზოგიერთ მკვლევარს საბაბი მისცა, რომ ლოტრეამონის ბიოგრაფიის აღსადგენად ეს ნაწარმოები გამოეყენებინათ.

მალდორორის არსებაში შენივთულია ადამიანური და დემონიური მხარეები. მას ახასიათებს რაღაც იდუმალი ძალმოსილება, რომელიც მის შეამბოხე სულს ამღვლევარებს და აღამადლებს მის ირგვლივ მყოფთა შორის.

დემონური საწყისისადმი ინტერესი დამახასიათებელია XVII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის ფრანგული ლიტერატურისათვის. ბოროტების მატარებელი პირქუში და ტრაგიკული დიადი ეშმაკეული სული, მასში შენივთული წინააღმდეგობრიობა კეთილი და ბოროტი საწყისებისა უაღრესად იზიდავდა და აღელვებდა რომანტიკოსებს. მათ განსაკუთრებით ხიბლავდა სატიანისათვის დამახასიათებელი ბუნტარული სული და მასთან დაკავშირებული ირრაციონალური იდუმალება.

მალდორორი თავისი შინაგანი თვისებებით უახლოვდება რომანტიკული შეამბოხე გმირის ტიპს, რომელიც უსამართლო ღმერთისა და ბილწი კაცობრიობის წინააღმდეგ არის ამხედრებული.

ამ კავშირს თვით ავტორიც აღიარებს. ერთ-ერთ წერილში იგი აღიარებს თავის გმირს ზაირონის მანფრედს და მიცკევიჩის კონრადს. მაგრამ ამავე დროს მალდორორის სახეში პაროდის ელემენტებიც იჩენს თავს. ზოგჯერ იგი აშკარა გროტესკში გადაიზრდება ხოლმე.

მალდორორი მოქმედებს ფანტასმაგორიულ ასპარეზთა ფონზე, რომელნიც თანდათანობით რეალურობის სიბრტყეში იჭრებიან. ამქვეყნიური ბოროტებისა და მანკიერი კაცობრიობის



წინააღმდეგ ბრძოლის იდეა მთელ ნაწარმოებს ვასდევს. რომანტიკული თემა ღმერთის მიმართ ამხედრებული პიროვნებისა ლოტრეამონის შემოქმედებაში უკიდურესობამდე მიყვანილი. ღმერთი პოემაში არის გულწვა, სასტიკი ტირანი, რომელიც დროს აღვირახსნილობაში ატარებს. მას ყოველგვარი მანკიერება ახასიათებს. ლოტრეამონამდე არავის შეუქმნია ღმერთის ამგვარი უხამსი სახე.

ერთხელ ამქვეყნიური გზის ციკაბო ბილიკებით მოქანცულმა, ცხოვრების ბნელ კატაკომბებში მთვრალივით მობარბაცემ, თვალთა მზერა ნელ-ნელა შეაქრტყინა და ვარსკვლავარჩივადამიანის ექსკრემენტებისა და ოქროსაგან გაკეთებული ტახტი, რომელიც სიყვარულს ქუჩყიან ზეწრებში გახვეული, იდიოტური სიამაყით წამომჯდარიყო ის, ვინც თავის თავს შემოქმედს უწოდებს! მას ცალ ხელში ეჭირა ადამიანის გახრწნილი გვამი, რომელიც ხან თვალვებთან მიჰქონდა და ხან კიდევ ცხვირ-პირთან. პირთან რატომაც მიჰქონდა, ეს ადვილი მისახვედრია. მას ფეხები ეწყო მღვლარე სისხლის გუბებში, რომლის ზედაპირზეც ამოტივტივდებოდა ხოლმე ორი თუ სამი ჭკვიანი თავი, რომლებიც ელვისებური სისწრაფით იწევ იძირებოდნენ. ცხვირის ხრტილისაკენ ზუსტად მიმართული წიხლი წამებისადმი დაუმორჩილებლობას საზღაურს ნიშნავდა. დაუმორჩილებლობა კი სხვა გარემოში სუნთქვის აუცილებლობით ცოტა გამოწვეული... ღმერთი დროდადრო წამოიძახებდა ხოლმე: „თქვენ მე შეგქმენით და ამიტომ უფლება მაქვს მოგექცეთ ისე, როგორც მნებავს. თქვენ ჩემთვის არაფერი დაგიშავებიათ. მე არ ვამტკიცებ საწინააღმდეგოს. მე თქვენ გაწამებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ასე მსურს“<sup>1</sup>.

პოეტი ღმერთს უკავშირებს ყოველგვარ უსამართლობას: „ხნიერი არა ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ სიკეთე მხოლოდ ლამაზი სიტყვების გროვია და სხვა არაფერი... მე არსად შევხვედრივარ სიკეთეს“<sup>2</sup>.

ერთ-ერთ ეპიზოდში მთვრალი ღმერთი შუა ქუჩაში გღია და გამვლელების შეურაცხყოფას ისმენს.

„იგი ეგდო გზაზე დაძონძილ სამოსში გახვეული. ქვედა ტუჩი ჩამოგრძელებოდა... კბილები ქუჩყიანი ჰქონდა, ხოლო ქერა თმები მტვერში ამოვანგლული... ღორისჯაგრისიანი სიშტერე ფრთებით ფარავდა მას და სიყვარულით უმზერდა... იგი მთვრალი იყო საშინლად მთვრალი მთვრალი, როგორც ერთ ღამეში სამი ტონა სისხლით გამომთვრალი ბაღლინჯო. მე ჩემს თავს უფლებას მივცემ, მოვერიდო მისი დაუკავშირებელი სიტყვების გამეორებას, რომლებიც ეჭოს გაჰქონდ-გამოჰქონდა... თუ უზენაესი ღოთი თავის თავს პატივს არა სცემს, მე ხომ უნდა ვცოტა პატივი ადამიანს“.

ფრინველები და ცხოველები მიდიან შემოქმედთან და შესჩივიან თავიანთ ბედს. ისინი სარგებლობენ ღმერთის სისუსტით და ლანძღავენ მას.

ღმერთი საცოდავადაც კი ქცეულა და მალდორორის გულში თანაგრძნობას იწვევს. „ო, ადამიანებო! გემუდარებით, დაინდეთ ეს საცოდავი ქმნილება... ო, თქვენ ვერასოდეს გაიგებთ, თუ რაოდენ ძნელია გამუდმებით ხელთ გეპყრას სამყაროს აღვირი“<sup>3</sup>.

პოემის ერთ-ერთი მთავარი თემაა მალდორორის ორთაბრძოლა ღმერთთან. მალდორორი დებს აღთქმას, რომ ოთხი საუკუნის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდება, ან იქცევა ჯაღოსნურ რეაფებად და თავს ესხმის შემოქმედს. ან კიდევ დებს აღთქმას არ იძინოს, რათა ღმერთის ვერაგობის მსხვერპლი არ გახდეს. პოემაში რეალური პლანი იცვლება ფანტასტიკურით. მალდორორი ხან ჩვეულებრივ ადამიანად გვევლინება, ხან კი ფანტასტიკურ არსებად, ღმერთი კი ხან მარტორქად იქცევა, ხან კი საშინელ კიბოდ გარდაიქმნება.

პოეტის მიერ შექმნილი უჩვეულო სამყარო აღსავსეა მოულოდნელი შეხვედრებით, გარდასახვებით. ნეხვის ხოჭოს წინ დიდი ბურთი გაუგდია და მიაგორებს, ბურთი, როგორც ირკვევა, მისი მოღალატე ცოლია; ქალაქის თავზე ფროთსანი რეაფებები დაფრინავენ, ჭვაფენილი თავის მარტოობას ჩივის, პარიზის უკაცრიელ ქუჩებში მიჰქრის ომნიბუსი, მგზავრებს მკვდარი თევზის თვალები აქვთ; ლამპარი, რომელიც ტაძარს ანათებს, უცებ ანგელოზად იქცევა. მისტიკური ფანტასმაგორია ფარსში გადადის, საშინელებით აღსავსე სცენა ლირიკული სცენით იცვლება.

<sup>1</sup> Lautréamont. Oeuvres Complètes. Paris, 1963. p. 146.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

მართალია პოემაში რომანტიკული სახეობრიობა დომინირებს, და აქვეა რომანტიკული თემები — დვთისმგმობელობა, მვამბოხეობა, მძაფრი შეგრძნება თანამედროვე საზოგადოებისა და სამყაროს არასრულფასოვნებისა, გვხვდება ეპიზოდები, სადაც თანადროელობის სურათები დახატულია რეალისტურად. სცენა ტიულის ბაღში, სადაც მალდორორი ესაუბრება ჭაბუკს, იგივე პრინციპებით არის აგებული, როგორცაც ცნობილი დიალოგი ვოტრენსა და ტასტინიას შორის „მამა გორიოში“, სადაც ვოტრენი თვალს აუხელს რასტინიას და დაახებებს პარიზის ბურჟუაზიული საზოგადოების ქვეშარტ სურათს. როდესაც ამ პარსიკულს შემოქმედებთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლოტრეამონის პოემაში აშკარად სტარბუქს —

რომანტიკულად სტილიზებული რეალისტური პრინციპები გამოხატულია კიდევ რამდენიმე სცენაში.

„მალდორორის სიმღერები“ არის ცდა პოეზიაში ახალი გზების დამკვიდრებისა.

ლოტრეამონის შემოქმედება წლების მანძილზე ვაცხოველებულ კამათს იწვევდა. უმრავლეს შემთხვევაში მკლევარები მიკერძოებულ აზრებს გამოთქვამდნენ, ყოველი კრიტიკოსი საკუთარი მიმართულების გამართლებას ეძებდა მის შემოქმედებაში. ამის საფუძველს იძლეოდა ლოტრეამონის პოეზიის ღრმა ემოციური ზემოქმედება მკითხველზე. ის სხვაობა, რაც მის ორ ნაწარმოებს შორის არსებობს და თვით პოეტის ლეგენდარული, ბურჟუაზიული მოცული ვინაობა.

ბიოგრაფიული ცნობებია ლოტრეამონის შესახებ ძალზე მცირეა. მხოლოდ ვარაუდით თუ წარმოვიდგინოთ მის პიროვნებას, იმ გარემოს, რომელშიც მან შექმნა თავისი ორი წიგნი.

ლოტრეამონი დაიბადა 1846 წ. მონტევიდეოში, საფრანგეთის საკონსულოს თანამშრომლის ოჯახში. 14 წლის რომ შესრულდა, სააწავლებლად გაგზავნეს საფრანგეთში. სწავლობდა ჯერ ჟ. ტარბის, შემდეგ ჟ. პოს ლიკეუმებში.

1865 წ. აგვისტოდან მოყოლებული ლოტრეამონის ასაკულ-დასაკალი საიდუმლოებითაა მოცული. ეს წლები წინ უძღოდა პირველი წიგნის შექმნის პერიოდს, სამწუხაროა, რომ არ ვიცნობთ მისი შემოქმედებითი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ნონაკვეთს.

1868 წ. ლოტრეამონი პარიზში დასახლდა. ორი წლის მანძილზე მან შექმნა პრთხაული პოემა „მალდორორის სიმღერები“ და მცირე მოცულობის ლიტერატურული მანიფესტი „მომავალი წიგნის წინასიტყვა“.

უჩვეულო იყო ლოტრეამონის წიგნების ბედი. განმცემელმა დასტამბა „მალდორორის სიმღერები“, მაგრამ უკანასკნელ წუთს გადაიფიქრა წიგნის გასაყიდად გატანა. მან მოიმაზეზა, პოემაში ცხოვრება ძალზე მუქ ფერებშია დახატული. ალბათ განმცემელი უფრთხოდა. ცენზურას, რადგან კარგად ახსოვდა იმ საუკუნის 50-იან წლებში გამართული სასამართლო პროცესები ფლობერის „მადამ ბოვარის“ და ბოდლერის „ბორტების ხვაილების“ წინააღმდეგ.

გავიდა ერთი წელიწადი და ლოტრეამონმა სცადა გამოექვეყნებინა ახალი ნაწარმოები „მომავალი წიგნის წინასიტყვა“. მაგრამ ამაოდ. 1870 წ. ნოემბერში ლოტრეამონი გარდაიცვალა. 24 წლის პოეტის სიკვდილის მიზეზი უცნობია.

განმცემლის საწყობში შემთხვევით გადაჩენილი რანდენივე ეგზემპლარი „მალდორორის სიმღერებისა“ აღმოჩენილ იქნა დიდი ხნის შემდეგ და გამოიცა 1890 წ. ეს გამოცემა ფართო მკითხველისთვის შეუმჩნეველი დარჩა. რაც შეეხება მეორე ნაწარმოებს, ის პირველად გამოქვეყნდა 1919 წ.

პირველი კრიტიკული სტატია ლოტრეამონზე ეკუთვნოდა ფრანგ მწერალს ლეონ ბლუას<sup>1</sup>. ბლუა აღშფოთებული იყო პოეტის მკრეხელობით, იგი შეწლილად მიაჩნდა, თუმცა აღიარებდა, გენიოსთან კი გვაქვს საქნეო. მოქდევნო თაობის კრიტიკოსებმა უურადღება გაამახვილეს ბლუას ვერსიაზე, რომელიც პოეტს შეწლილად აცხადებდა. ამ ვერსიას ეთანხმებოდა სიმბოლიზმის ცნობილი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი რემი დე გურმონი. თუმც იგი ბლუას საწინააღმდეგოდ ვარაუდობდა, ლოტრეამონი უფრო ირონიის ნიღაბს ეფარება და შეწლილის როლს თამაშობსო.

დიდი ხნის მანძილზე ლოტრეამონის შემოქმედება სათანადო შესწავლის საგნად არ ქცეულა, იქნებ იმიტომ, რომ ლიტერატურული წრეები დაიპყრო მისი თანადროული პოეტის რემბოს, შემოქმედებამ.

<sup>1</sup> Bloy, Léon. Le Cabanon de Prométhée. „La Plume“. Paris, 1890.

1925 წ., როცა პოლ ვალერის სთხოვეს შეეფასებინა ლოტრეამონის შემოქმედება, მან განაცხადა: „ლოტრეამონის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. გაბედულება არ მყოფნის გამოეტყუდო, რომ ზერულად ვიცნობ ამ პოეტს. ცნობაც არ ექმნის: კარგა ხნის წინ გადავთვალე რე „მალდორორის სიმღერები“. მაინც შევეცდები აგიხსნათ, რატომ არ გამოუჩინე მეტი ცნობისმოყვარეობა: ცხრაშეტი წლისა ვიყავი, როცა რემბოს პატარა ტომი „Illuminations“ ჩამივიარდა ხელში“<sup>1</sup>.

XX საუკუნის ოციან წლებამდე იშვიათად თუ გამოთქვამდნენ აზრს ლოტრეამონის შესახებ. სულ რამდენიმე კრიტიკული სტატია მიეძღვნა პოეტის შემოქმედებას.

პირველი მათგანი იმის შემდეგ, პოეტური ღირებულების საჭიროდ კრიტიკის პერიოდში, როცა ახალგაზრდა თაობა ხელაღებით უარყოფდა ბურჟუაზიულ კულტურას, ლოტრეამონის ბუნტარულმა პოეზიამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ფრანგი პოეტების ინტერესი ლოტრეამონის მიმართ იხსნება იმით, რომ ისინი მასში ხედავდნენ თავიანთი იდეების დასტურს, და მათ ინტერპრეტაციაში ლოტრეამონმა ტენდენციური და ცალმხრივი გაცემა პოეზია. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ფრანგ სიურრეალისტებს, მათ ლოტრეამონი თავიანთ წინამორბედად გამოაცხადეს. მათი აზრით, პოეტი ეძიებდა პასუხს იმ პრობლემებზე, რომლის გადაჭრასაც თვითონ ცდილობდნენ.

სიურრეალისტები მიზნად ისახავდნენ „გაენთავისუფლებიანთ“ ადამიანი მტრულ, უხამსი სინამდვილის უღლისაგან. ამისათვის საჭიროდ შეიჩნდათ შეეღწიათ „ზერეალობაში“ და იმოგხსნათ ქვეცნობიერების საიდუმლო. ლიტერატურული ნაწარმოების დანიშნულება მდგომარეობდა „ზერეალობის“ გახანაში, რისთვისაც ისინი გამოხატეს ახალ ხერხებს ეძებდნენ. ლოტრეამონს უმთავრეს ღირსებად ის ჩაუთვალეს, რომ მან „პირველმა შეიგნო ნათლად, რომ გამოხატვის საშუალებები ამოიხიჯებენ აზრს, და უარყო ტრადიციული ლიტერატურული ხერხები“.

„მალდორორის სიმღერებს“ სიურრეალისტები მიიჩნევდნენ „ავტომატური წერის“ ნიმუშად, რაც ლოგიკის კონტროლის გარეშე ქვეცნობიერი ხმანებების ასახვაში მდგომარეობს.

„ზერეალობის“ ასახვის ერთ-ერთ ხერხად სიურრეალისტები თვლიდნენ „შავ იუმორს“. რომლის ნიმუშებსაც ხედავდნენ ლოტრეამონის პოეზიაში. „შავი იუმორი“, მათი აზრით, თითქოსდა აშიშვლებდა საგნის ქვეშეშეშეშე არსს, მის ახალ თვისებებს. რეალიზმს ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით ეკვლიდა „ზერეალიზმი“ და საგნის ასეთი „განთავისუფლები“ აღმოაჩენდა ახალ, ქვეშეშეშეშეშე პოეტურ მშვენიერებას.

სიურრეალისტები ძალიან შეფასებდას აძლევდნენ ბარადოქსიულ სახეება, მათ ასოციაციურ შემოქმედებას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ სახეება ექსპრესიულობას. მათ იხიდავდა ლოტრეამონის ყველაზე უფრო ძნელად შესათავსებელი სახეები („მშვენიერია, როგორც შემოხვევითი შეხვედრა ქოლგისა და საკერავი მანქანის ანატომიურ მაგიდაზე“).

სიურრეალისტები უგულბებულყოფდნენ იმ ფაქტს, რომ მსგავსი ხერხი ლოტრეამონის მხატვრულ სახეება საერთო ხისტემაში დაქვემდებარებულ როლს თამაშობდა და მიმართული იყო „ბურჟუაზ ეპატორებისაგან“. სიურრეალისტები კი ამ ხერხს სერიოზულად აღიქვამდნენ.

30-იან წლებში სიურრეალისტური კონცეფცია უფერულდება, ბუნდოვანი ხდება და საფუძვლად ედება ბურჟუაზიულ-მოდერნისტულ შეხედვლებებს ლოტრეამონის შემოქმედების შესახებ.

ამავე დროს სიურრეალისტებთან დაკავშირებულ მწერალთა შორის (არაგონი, ელუარი, დესნოსი, ლეონ ჰეირ-ენი) ისახება სიურრეალისტური ვიწრო ჩარსოვებისაგან განთავისუფლებული პროგრესული კონცეფცია ლოტრეამონის შემოქმედების შესახებ.

შემოქმედების მოდერნისტული კონცეფცია ნათლად არის გამოხატული ფილბერ ლასკოს მცირე მოცულობის სტატიაში „ტრანსგრესიის პოეტიკა“<sup>2</sup>. ეს სტატია ეძღვნება ლოტრეამონის შემოქმედებას. ლასკოს სტატიის რამდენიმე გვერდზე მოცემულია ლოტრეამონის მოდერნისტული ახსნის კვინტესენცია.

თუ დავეთანხმებით ამ სტატიის დებულებებს, ლოტრეამონი და მასთან ერთად უკანასკნელი საუკუნის მთელი ფრანგული პოეზია უნდა დავაშორეთ რეალისტურ ტრადიციებს.

<sup>1</sup> Le Cas Lautréamont. „Le Disque vert“. Paris—Bruxelles. 1925. p. 7-8.

<sup>2</sup> Lascault, Gilbert. Une poétique de la transgression. „L'arc“. Paris, 1967.

ქვეყნის პოეზიის ესთეტიკური არსი ლასკოს აზრით შემდგომში მდგომარეობს: პოეზია ახორციელებს „ბუნებრივი კანონების ტრანსგრესიას“, ე. ი. აქტიურად არღვევს ბუნების კანონებს. პოეტურმა ნაწარმოებმა უნდა გადმოგვეცეს სამყაროს სახეშეცვლილი სურათი. ამიტომ ლასკო მოდერნიზმთან დაკავშირებულ ზოგიერთ ცნობილ პოეტსაც კი არ შიშხენიებს. თუ იგი „ტრანსგრესიის“ პოეტად არ ითვლება. ლოტრეამონს იღარებს რუსულს, არტოს, ბატაის. ავტორი განიხილავს ლოტრეამონს ისტორიული კონტექსტიდან გამოთიშულად, დარღვეულია კავშირი გასული საუკუნის 60—70-იან წლებთან, ეპოქასთან, რეალობასთან მოღვაწეობდა პოეტი.

თანდათან ყალიბდებოდა ლოტრეამონის შემოქმედების პროგრესული კონცეფცია. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მისი პირველი პოეზიის მიზანტროპიისა, ლოტრეამონი თავისებურად ჰუმანურია. რეალიზმის სატირული უარყოფა ჰუმანიტური იდეალების ქადაგებასთანაა დაკავშირებული.

ელუარის შემოქმედებაში სიურრეალიზმის პერიოდი ხანმოკლე და გარდამავალი იყო, დიდი სოციალური და მხატვრული გამოცდილებით გამდიდრებულმა პოეტმა ახლებურად გაიზარა ლოტრეამონის შემოქმედება, მან ლოტრეამონი დააყენა ისეთ მწერალთა გვერდით, როგორებიც არიან ბოდლერი, ნერვალე, რემბო, კრო, აპოლინერი. მისი აზრით, ეს პოეტები განეკუთვნებიან ყველაზე უფრო ნამდვილ შემოქმედთა რიცხვს. რემბოს და ლოტრეამონის ტრადიციათა აღორძინებაში ელუარი რეალიზმისაკენ მიბრუნებას ხედავდა.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ 60-იან წლებში ჩილიელმა პოეტმა-კომუნისტმა პაბლო ნერუდამ ლოტრეამონს მიუძღვნა პოემა „ლოტრეამონის ბრძოლით დაბრუნება“ („Lautréamont reconquistado“). სათაურს თეზისური ხასიათი აქვს. იგი მიუთითებს პრთგრესული კრიტიკის ბრძოლაზე მოდერნისტული კონცეფციების წინააღმდეგ.

ჩვენში ლოტრეამონის შემოქმედებას ჯერ არავინ შეხებია, ამიტომ ჩვენს წერილს ფორმაციული ხასიათი აქვს. აქ ესკიზურად არის მოცემული ლოტრეამონის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი შტრიხები.

## დილან თომასი

თუ გადავხედოთ ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისური ლიტერატურის დარგში საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებს, დაინახავთ, რომ ყოველ მათგანი მოდერნისტი პოეტის დილან თომასის შემოქმედების მიმოხილვით ბოლოვდება. ეს გარემოება შემოხვევითი არ არის. დილან თომასის პოეზია და პროზა ყურადღებას იპყრობს არაჩვეულებრივი ძლიერადობით, თავისებურად, უჩვეულო სახეებითა და მოქნილი სიტყვით. სწორედ ამის გამო შევიდა დილან თომასი ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში როგორც საოცრად მუსიკალური პოეტი.

თუ რა გარემოებებმა განაპირობეს დ. თომასის შემოქმედების ეს თავისებურება, ამაზე თვით პოეტი იძლევა პასუხს თავის ინტერვიუში: „დილან თომასის პოეტური მანიფესტი“, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის და ქვემოთ მოგვთქვს:

„თქვენ გსურთ იცოდეთ, თუ როდის, ან რატომ დავიწყე ლექსების წერა და რომელმა პოეტებმა, ან რა ლექსებმა იქონიეს ჩემზე გავლენა.

მოგახსენებთ, რომ ლექსების წერა თავიდანვე მიტაცებდა, რადგან სიტყვები შევიყვარე. პირველი, რაც შევისწავლე, საბავშვო ლექსები იყო და სანამ თვით შევიძლებდი წამყვითხა ისინი, მათი სიტყვები შევიყვარე, მხოლოდ სიტყვები. რას გამოხატავდნენ ისინი, რას ასახეობდნენ, ან რას ნიშნავდნენ, ჩემთვის ამას მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მქონდა. როცა ამ სიტყვებს ვისმენდი, მთავარი იყო როგორ უდერდნენ ისინი ჩემთვის შორეული, მიუწვდომელი უფროსების ბაგეებზე, იმ უფროსებისა, რომლებიც, რაღაც მიზეზით, ცხოვრობდნენ ჩემს სამყაროში. ჩემთვის ეს სიტყვები იყო ზარის წკრიალი, მუსიკალურ საკრავთა ხმები, ქარის ზუზუნი, ზღვის ტალღების ტლაშუნა, წვიმის შხაპუნა, რძის ფურგონის გრუხუნა, ქარაფებზე ჩლიქების თქარათქური, სარკმლის რაფაზე ტოტების იდუმალი ჩურჩული. ისეთი შეგრძნება მქონდა, როგორც დაბადებით ურუ ადამიანს, რომელსაც სასწაულად მიეცა სმენა.

არ დაგეძებდი თუ რას ამბობდნენ ეს სიტყვები. უფრო მეტიც, არად ვაგდებდი, რა მოუვიდათ ჭეკსა და ჭილს, დედა ბატსა და სხვებს. მე მაფიქრებდა ჩემს სმენაში შექმნილი ბგერათა ფორმა, სიტყვები, რომლებიც მათ მოქმედებას აღწერდნენ. მე მაფიქრებდნენ ფერები, რომლებსაც ეს სიტყვები ღვრიდნენ ჩემს თვალებზე.

როცა ამ შორეულ გზას მივუბრუნდები ხოლმე, ვხვდები, რომ ეს გულუბრყვილო, მარტივი და მშვენიერი სიტყვები რომანტიკულად შესახებოდა მაშინ; მაგრამ ერთი რამ მაინც ნათლად მახსოვს, რაგინდ დიდმა დრომაც უნდა ვააყაღბოს ჩემი მეხსიერება. მე შევიყვარე — ეს ერთადერთი შესაფერისი გამოთქმაა, რაც კი შემიძლია მოვიფიქრო. აქამდე სიტყვათა ტყვეობაში ვარ, თუმცა ახლა, როცა შევისწავლე ცოტაოდენი რამ მათ საქციელზე, ვცდილობ აღწავ მაინც ვიქონიო შეგავლენა და, თუ შედმეტად გათამამდებიან, ხანდახან მოვცხო კიდევ.

როცა თვით დავიწყე საბავშვო და შემდეგში სხვა ლექსებისა და ბალადების კითხვა,

მაშინვე სიტყვებში ჩავიძირე, გავიგე, რომ სამუდამოდ აღმოვაჩინე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ; თავისთავად სიტყვები უსიცოცხლონი იყვნენ, შექმნილნი თეთრითა და შავით. მაგრამ მათგან, მათი არსებობიდან მოდიოდა სიყვარული და შიში, სიბრალული და ტკივილი, განცვიფრება და ყველა ის ბუნდოვანი აბსტარქცია, რაც ჩვენს წარმავალ ცხოვრებას საფრთხით, ამტანიანობითა და დიდებულებით აღსავსეს ხდის. იმ თითქმის მივიწყებულ დროში, თუმც სიტყვათა მნიშვნელობა უცვლელი რჩებოდა, ეს სიტყვები საოცრად სასაცილოდ მეჩვენებოდნენ თავისი ზომის, ფორმის, ელფერისა და უღერადობის გამო, როცა ზუზუნებდნენ, ელარუნობდნენ, როკავდნენ და მიჰქროდნენ. ეს უცოდველობა სიტყვები თავზე მეფრქვეოდნენ, დატვირთულნი წვრილმანი და თვალბედითი ასტროციტების სიტყვები წყაროსავით მორაკრავებდნენ, ელემის ცვრით გაცოცხლებულნი და თავის განუმეორებელ ასოციაციებს ქმნიდნენ, როცა სათავეს იღებდნენ და ელვარებდნენ.

ზოგი გამოთქმა მუდამ თან მდევდა, თუმც მათი მნიშვნელობა არც კი მესმოდა. შემდეგში, როცა უფრო მეტსა და მეტს ვკითხულობდი, ჩემი სიყვარული სიტყვათა ჭეშმარიტი რაობისადმი იზრდებოდა მანამ, სანამ არ მივხვდი, რომ მე სიტყვებით და სიტყვებში უნდა მეარსება, სანამ არ მივხვდი, რომ სიტყვათა მწერალი უნდა ვყოფილიყავი და სხვა არაფერი. უპირველეს ყოვლისა, უნდა შემეცნო და მეგრძნო სიტყვათა ხმოვანება და არსი. რის გაკეთებას ვაპირებდი მათი მეშვეობით? როგორ უნდა გამომეყენებინა ისინი? რა უნდა მეთქვა? — ეს უფრო მოგვიანებით შევიცანი. მივხვდი, რომ სიტყვები ღრმად უნდა შემესწავლა, თავისი ფორმებითა და კილოებით, ცვალებადობითა და მდგრადობით (ვშიშობ, აქ ბუნდოვნად ვიწყებ მსჯელობას. არ მიყვარს, როცა სიტყვების შესახებ ვწერ, რადგან ხშირად ცუდი, შეუფერებელ, მოქველელულ, უბეშ გამოთქმას ვხმარობ. მიყვარს, როცა სიტყვებს ისე ვექცევ, როგორც ოსტატი ექცევა ხეს ან ქვას: ჰკვეთს, ძერწავს, ჭელავს, აბრიალებს, თარგებად აწყობს თანმიმდევრულად, აქანდაკებს ბგერათა ფუგას, რომელიც რაიმე ლირიკულ იმპულსს, რაიმე სულიერ მერყეობას, სინანულს ან რაღაც ბუნდოვნად-შეცნობად სინამდვილეს გამოხატავს. მე ვცდილობდი და ვცდილობ შევიცნო და გავიაზრო ისინი). ეს იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ სკოლაში ვიყავი და მამაჩემის კაბინეტში შემექლო ერთმანეთისაგან განმეხზვავებინა სხვადასხვა წიგნი, სიკეთე და მანკიერება. ჩემი პირველი და უდიდესი თავისუფლება სწორედ ის იყო, რომ შემექლო წამეკითხა, რაც მსურდა და რამდენიც მსურდა. მეც ვკითხულობდი განურჩევლად, მთელის გულისხურით. სიჭმრადაც კი ვერ ვნახავდი, რომ ამდენი რამ ხდებოდა წიგნების ყდებს შორის მოქცეულ სამუართში, ვერ წარმომედგინა, რომ არსებობდა სიტყვათა ასეთი ჭარბუქი და კორიანტელი, ასეთი თვალისმომჭრელი სინათლე, რომელიც სერავს ახლადგადვილებულ გონებას და მილიონობით ნამცვეცებად იღვრება უურცლებზე. სინათლის ეს ნამცვეცები სიტყვებია, სიტყვები, სიტყვები, რომლებიც მარად ცოცხლობენ განცხრომით, სიდიადით, უცნაურობითა და განუმეორებელი სიკაშკაშით (უნდა შევეცადო, რომ ეს სასარგებლო შენიშვნები ჩემი ლექსების მსგავს გაუგებრობად არ ვაქციო).

მუდამ მიბაძვით ვწერდი, თუმცა არასდროს ვთვლიდი ჩემს ლექსებს მიბაძვად. პირიქით, ისინი ისევე ორიგინალურად მეჩვენებოდნენ, როგორც ლომის მიერ დადებული კვერცხები. ვბაძავდი ყველაფერს, რასაც იმ ხანებში ვკითხულობდი. ვბაძავდი სერ თომას ბრაუნს, დიქონსს, მენრი ნიუბოლტს, ბლეიკს, ბარონესა ორეზს, მარლოუს, ჩამზს, იმაჯისტებს, ბიბლიას, პოუსს, კიტსის, ლოურენსსა და სხვებს. ჩემს სრულიად გამოუცდელ ხელს თითქმის ყველა პოეტურ ფორმაში ვცდიდი. აბა როგორ უნდა მესწავლა სხვადასხვა იდეით, თუ თვით არ შევეცდებოდი მის შესრულებას? გავიგე, რომ ცუდი იდეით ადვილად შესასწავლია, კარგს კი, რომელიც გეხმარება წერო სწორედ ის, რის თქმაც გსურს, რაც ყველაზე ჩამწვდომად გამოხატავს შენს აზრს, ჯერ კიდევ ვსწავლობ (ამ იდეებს სხვა სახელები შეგიძლიათ უწოდოთ. ასე მაგალითად, ტექნიკური საშუალებები, პროზაული ექსპერიმენტები და სხვა).

მწერლები, რომლებმაც შეგავლენა მოახდინეს ჩემს ადრეულ ლექსებსა და მოთხრობებზე, როგორც შემომოყვანილი სიიდან ჩანს, იყვნენ სათავგადასავლო მოთხრობების მწერლებიცა და ბლეიკის მსგავსი შეუღარებელი და განუმეორებელი ოსტატებიც. ამიტომ გასაგებია, რომ მდარე ნაწერებს ისეთივე შეგავლენა ჰქონდა ჩემზე, როგორც კარგს. ვცდილობდი ცუდი გავლენა მომეცილებინა, განვდგომოდი მას თანდათან, ჩრდილდაჩრდილ, ჯაფითა და შეცდომებით, სიამოვნებით, ზიზღითა და ექვით. ამასობაში სიტყვები კიდევ უფრო მეტად შევიყვარე და შევიძულე ტლანქი ხელები, რომლებიც მათ უთავბოლოდ ისვრიან, შევიძულე ის სქელკანიანი ენები, რომლებიც გემოს ვერ შეიგრძნობენ, ის გონებაჩლუნგი ხელოსნები,

რომლებიც სიტყვებს უფერულ, უგემურ პასტად აბრტყელებენ, ის პედანტები, რომლებიც სიტყვებს თავის მსგავს აზარაობად ბერავენ.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველი, რამაც ენა შემაყვარა და სურვილი აღმიძრა მის-  
თვის და მასში მემუშავა, საბავშვო ლექსები, ხალხური ზღაპრები, შოტლანდიური  
ბალადები, ჰიმნის რამდენიმე სტრიქონი, ბიბლიის ყველაზე პოპულარული მოთხრობები და  
რიტმები, ბლექის „უცოდველობის სიმღერები“ და შექსპირის ჯადოსნური დიდებულება  
იუო. სწავლის პირველ ხანებში ვისმენდი, ვკითხულობდი და შეუბრალებლად ვახრჩობდი მათ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თქვენ მეკითხებით, მართალია თუ არა, რომ სამმა ძირითადმა ფაქტორმა იქონია ასე  
პიტი გავლენა ჩემს მიერ გამოქვეყნებულ პროზასა და პოეზიაზე — ჯ. ჯოისმა, ბიბლიამ და  
ფროიდმა (აქ განგებ ვხმარობ სიტყვას „გამოქვეყნებულ“ პროზასა და პოეზიას, რადგან ზე-  
მოთ ვლადარაკობდი ურთობის პერიოდის გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე არსებული გავ-  
ლენის შესახებ).

ვერ ვიტყვი, რომ ჯოისმა, რომელსაც უდიდეს თავვანს ვცემ, გავლენა არ მოახდინა ჩემზე.  
არაერთხელ წამიკითხავს მისი „ულისე“ და მოკლე მოთხრობები, მაგრამ, ვფიქრობ, რომ  
ჯოისს მას შემდეგ მიმამსგავსეს, რაც პრესაში აღნიშნეს, რომ ჩემი მოთხრობების კრებულის  
სახელწოდება ჯოისის „შხატვის პორტრეტი ახალგაზრდობაში“ სახელწოდებას წააგავს. რო-  
გორც ცნობილია, არსებობს პორტრეტული ჟანრის მრავალი ნაწარმოები, რომელსაც ზემო-  
ხსენებული სათაური აქვს, სავსებით პირდაპირი. ქვეტექსტის გარეშე, ეს სახელწოდება პირ-  
ველად ჯოისმა გამოიყენა ლიტერატურული ნაწარმოების სათაურად. მე, ცოტა არ იყოს,  
ავდებულად ვუყურებდი ამ სათაურს (ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება თვით ჯოისს). არა მგონია  
ჯოისს და, მით უმეტეს, მის „ულისეს“ რაიმე ხელი ჰქონდეს ჩემს ნაწერებთან. მეორეს  
მხრივ, ვერ უარვყოფ იმ ფაქტს, რომ ჩემს „პორტრეტულ“ მოთხრობათა ჩამოყალიბებაში  
ერთგვარი წვლილი მიუძღვის ჯოისის მოთხრობათა კრებულს — „დუბლინელები“. ამასთანავე  
უნდა ვთქვა, რომ მაშინ მოკლე მოთხრობის ჟანრში „დუბლინელები“ ბიონერული ნამუშევარი  
იყო და არ არსებობს არც ერთი კარგი მწერალი, რომ მისგან რაიმე სასარგებლო არ მიეღოს.

ვუპასუხებ თქვენს პირველ შეკითხვას და ვეხები ბიბლიას, რომლის მოთხრობებს ნოეს,  
მოსეს, დავითის, იაკობისა და სხვა მრავალთა შესახებ, რა თქმა უნდა, ბავშვობიდანვე ვიცნობ.

უელსის ეკლესიის საკურთხეველიდან ჩემკენ მოგორავდნენ და მნთქავდნენ ძლიერი რიტ-  
მები. თუმცა ახალი აღთქმის ამბავი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, არასდროს  
დავმჩქადარვარ, რომ სერიოზულად შემესწავლა იგი, შეგნებულად არასდროს ჩავწვდომივარ  
მისი ენის ჯადოსნურ გამოძახილს და, სინამდვილეში, ისეთივე უფიცი დავრჩი ამ მხრივ, რო-  
გორც უმეტესობა ქრისტიანებისა. ჩემს ნაწარმოებებში გამოყენებული ბიბლიის ადგილები  
ჩემი ბავშვობის მოგონებებია მხოლოდ და ყველა იმათი საკუთრება, ვინც ინგლისურად  
შოლაპარაკე საზოგადოებაში აღზრდილა. მართლაც, არხად მომაქვს ისეთი დებულება, რო-  
მელიც უჩვეულო იყოს განათლებული ადამიანისათვის. ჩემს ადრეულ ლექსებში ვიყენებდი  
რამდენიმე ძნელ სიტყვას, ლექსში ახალგაზრდული ყოყლოჩინობით გადმოსროლილს, რაზე-  
დაც ახლა უარს ვამბობ.

ყოველივე შემოხსენებულს მივყავართ მესამე „ძლიერი გავლენის“ — ზიგმუნდ ფროიდი-  
საკენ.

დოქტორ ფროიდის თეორიებსა და აღმოჩენებს პირველად გავეცანი თანამედროვე რომა-  
ნისტების, საგაზეთო ალქიმიკოსების (რომლებმაც ისე გააუბნეს ფროიდის შრომები, რომ მათი  
ცნობა შეუძლებელი ხდება) და რამდენიმე პოეტის მეშვეობით. ამ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის  
ოდენიც, რომელმაც სცადა ზოგიერთ თავის ნაწარმოებში გამოეყენებინა ფროიდის ფსიქონა-  
ლიტიკური ფრაზეოლოგია და თეორია. წაკითხული მაქვს ფროიდის ერთადერთი წიგნი: „სიზ-  
მრის ინტერპრეტაცია“ და არ მახსოვს, რომ მას რაიმე განსაკუთრებული ზეგავლენა მოეხ-  
დინოს ჩემზე. მაგრამ, უნდა აღვნიშნო, რომ ვერც ერთი თანამედროვე მწერალი გვერდს ვერ  
აუულის ვერც ფროიდის ნამუშევარს ქვეცნობიერების შესწავლისა და ვერც მის სხვა თანა-  
მედროვეთა აღმოჩენებს მეცნიერების, ფილოსოფიისა და ხელოვნების დარგში. ეს კი სრუ-  
ლიად არ ნიშნავს, რომ ეს გავლენა აუცილებლად უშუალოდ ფროიდისაგან მომდინარეობდეს.

თქვენს მესამე შეკითხვაზე — წინასწარი განზრახვით ვიყენებ თუ არა რიტმის, რიტმისა

და სიტყვათწარმოების ქარგას, მე, რა თქმა უნდა, მაშინვე დადებითად ვუპასუხებ. მე გულ-  
მოდგინე, კეთილსინდისიერი, სიტყვებში მოხეტიალე ხელოვანი ვარ. რა წარუმატებელიც არ  
უნდა ჩანდეს შედეგი, რაც ხშირად ხდება ხოლმე, და, რა ცუდადაც არ უნდა ვიხმარო ჩემი  
სიტყვების მარაგი, სიტყვებს მაინც ჩემთვის საჭირო მიმართულებით წავმართავ. ძველი  
და ახალი ხერხები თუ იმპროვიზირებული გამოთქმები იმ სიამოვნების ნაწილებია, რომელ-  
საც პოეტი დიდი ტკივილის შედეგად იღებს.

თქვენ შეკითხვებით, სიტყვათა წყობა, რომელსაც ვიყენებ, რაღაც ახლის ძიებას, რაიმე  
დადგენილ ფორმულას ექვემდებარება სიურრეალისტთა მსგავსად. თუ ჩემს მიერ არის შექმ-  
ნილი?

ფიქრობ, აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. სიურრეალისტთა დადგენილი ფორმულა  
ნიშნავს სიტყვათა დალაგებას ყოველგვარი წინასწარი გააზრების გარეშე. ნება მიბოძეთ, შეძ-  
ლებისდაგვარად, ავხსნა ეს.

სიურრეალისტები (ე. ი. სუპერ რეალისტები, ანუ ზერეალისტები) იყო მხატვრებისა და  
მწერლების ჯგუფი ოცინი წლების პარიზში. მათ არ სწამდათ სახეთა შეგნებულად შერჩევა  
და სხვაგვარად დალაგება. ეს ხელოვანი უკმაყოფილონი იყვნენ როგორც რეალისტების  
(ვინც ცდილობდა სიტყვითა და ფერით არსებული სამყაროს ჭეშმარიტი სურათები მოეცა),  
ასევე იმპრესიონისტებისა, რომლებიც ცდილობდნენ ჩაძირულიყვნენ ქვეცნობიერ აზროვ-  
ნებაში, ცნობიერების მიღმა არსებულ სულში, იქიდან ამოეთხარათ სახეები და ფერებითა  
და სიტყვებით არალოგიკურად, გონიერების გარეშე დაელაგებინათ ისინი. სიურრეალისტები  
ამტკიცებდნენ, ვინაიდან გონების სამი მეოთხედი ჩაძირულია, ხელოვნების დანიშნულება  
ისაა, რომ სწორედ ამ ჩაძირული მასალიდან და არა ტვინიდან, რომელიც აისბერგით ამო-  
ზიდულა ქვეცნობიერების ზღვიდან, ამოკრიფოს მისთვის საჭირო სახეებიო. ერთ-ერთი მე-  
თოდი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ისინი პოეტურ ნაწარმოებთა შექმნის დროს, იყო  
სახეთა და სიტყვათა ისეთი წყობა, რომელსაც ერთმანეთთან არავითარი რაციონალური კავ-  
შირი არა აქვს. ასე ცდილობდნენ სიურრეალისტები მიეღწიათ ქვეცნობიერისათვის, სიზმარისა-  
თვის, პოეზიისათვის, რომელიც არსებულ პოეზიაზე ნამდვილი იქნებოდა, გონების მიერ წარ-  
მოსახული სამყაროსათვის, უფრო ქვეცნობიერისათვის, ვიდრე ის პოეზიაა, რომელიც ემყა-  
რება იდეების, საგნებისა და სახეების ლოგიკურ, რაციონალურ კავშირს.

ახეთია, ძალზე უხეშად რომ ვთქვათ, სიურრეალისტების კრედო, რასაც მე ძირეულად ვე-  
წინააღმდეგები. ჩემთვის სულ ერთია, საიდანაა ამოთრეული ესა თუ ის სახე. თუ გნებავთ  
ამოათრიეთ ის თქვენი დაფარული „მე“-ს უძირო ფსკერიდან, მაგრამ სანამ ქალაქლზე გადაი-  
ტანთ, მან უნდა გაიაროს იქტელექტის ყველა რაციონალური პროცესი. სიურრეალისტები სიტყ-  
ვებს ისევე უწესრიგოდ ათავსებენ, როგორც ისინი წარმოიშობაან ქაოსში, გამოუძერწავად.  
არათანმიმდევრულად. ქაოსია მათთვის ფორმაცა და წყობაც. მე კი ყოველივე ეს ნეტისმეტ  
თვითდაჯერებად მიმაჩნია. სიურრეალისტებს ჰგონიათ, რომ რასაც თავისი „მე“-ს ქვეცნობიერ-  
ებიდან ამოათრევენ და გამოხატავენ ფერებითა და სიტყვებით, ყველაფერი რაიმე ღირე-  
ბულებისა და ინტერესის შემცველია. მე უარვყოფ ამას. პოეტის ოსტატობა ის არის, რომ  
შეცნობადად და ნათლად გამოხატოს ის, რაც ქვეცნობიერების წყაროდან წარმოიქმნება.  
ინტელექტის ძირითადი გამოყენება სწორედ ის არის, რომ ქვეცნობიერების სახეთა ამორ-  
ფული მასიდან შეარჩიოს ისეთი, რომელიც მის წარმოსახვას საუკეთესო ლექსის დასაწერად  
განავითარებს.

დაბოლოს, უკანასკნელი საკითხი — როგორია პოეზიის ჩემეული განსაზღვრა? მე, ჩემდა-  
თავად, მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებისათვის ვკითხულობ პოეზიას. ვკითხულობ ლექსებს,  
რომლებიც მომწონს. ეს კი ნიშნავს, რომ სანამ მივაგნებდე იმას რაც მომწონს, უნდა წავი-  
კითხო უამრავი ისეთი ლექსი, რომელიც არ, მომწონს. იკითხეთ ლექსები, რომლებიც სიამოვნ-  
ებას გგვრით. თავს ნუ შეიწუხებთ იმის ფიქრით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სიცო-  
ცხლისუნარიანი არიან ისინი. რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენს პოეზია ბო-  
ლოს და ბოლოს? თუ თქვენ პოეზიის განსაზღვრა გსურთ, თქვით, პოეზია არის ის, რაც  
შატირებს და მაცინებს, მთქნარებასა და ყრუანტელს მგვრის, მაკეთებიანებს ამას, იმას, ან  
სრულიად არაფერს და ამით დაამთავრეთ.

ძირითადი, რაც პოეზიას ახასიათებს, ეს სიამოვნებაა, რა ტრაგიკულიც არ უნდა იყოს  
იგი, მარადიული მოძრაობაა რაღაცის მიღმა, ადამიანური სევდის, სიბარულის, თავის მოკა-  
ტუნების, ამაღლებისა და უფიცობის მიღმა.



შეგიძლიათ დაანაწევროთ ლექსი იმისათვის, რომ დაინახოთ, თუ რა ხდის მას ტექნიკურად სრულყოფილს. როცა ლექსი თქვენს წინაშეა თავისი ხმოვანებითა და თანხმოვნებით, რითმებითა და რიტმით, თქვით, ღიახ, ეს სწორედ ის არის, რაც ასე მალეღვებს. ეს კი დიდი ოსტატობის შედეგია. მაგრამ, ხედავთ, თქვენ ისევ იმას მიუბრუნდით, რითაც დავიწყეთ-დაუბრუნდით საიდუმლოებას, თუ როგორ გვალღვებენ სიტყვები. საუკეთესო ოსტატი ყოველთვის ტოვებს ხერხებსა და ინტერვალებს იმისათვის, რომ რაც ლექსში არ არის, შემოიპაროს, შემოცოცდეს, გაიფლოს და დაიჭუხოს.

პოეზიის სიხარული და ფუნქცია მუდამ იყო და არის ადამიანის უფრო უზენაესი ძალის ზეიმია“.

დილან თომასის, დიდი ნიჭის, საოცარი მუსიკალური შეგრძნებისა და შრომისმოყვარეობის მქონე პოეტის შემოქმედება მეტად წინააღმდეგობრივი თვისებებით ხასიათდება — რამდენადაც მუსიკალურია და ბუნდოვანი მისი პოეზია, იმდენად ლაკონიური და დახვეწილია მისი პროზის ყოველი სტრიქონი.

თუმცა დილან თომასის შემოქმედებას არ ახასიათებს არც თემატური მრავალფეროვანება და არც დიდი პრობლემების დასმისა და გადაჭრის სურვილი, მისი პროზა მკითხველს იტაცებს თავისი უშუალოებით, სისადავითა და აზრის ნათლად გადმოცემის ოსტატობით.

დ. თომასი დაიბადა 1914 წ. უელსის ქალაქ სუენსიში, ინგლისური ენის მასწავლებლის დევიდ თომასის ოჯახში.

მომავალი პოეტის მხატვრული გემოვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის მის მამას, რომელიც თავის მშობლიურ ქალაქში მასწავლებლობდა. თანამედროვეთა გადმოცემით, დევიდ თომასი ძალზე თავისებური ადამიანი ყოფილა — ათეისტი, ფიცხი, სარკასტული ბუნების. კოლეგებს მისი მწარე ენის ცეცხლივით ეშინოდათ. მოსწავლეები შიშით ძრწოდნენ მის დანახვაზე — მცირე დანაშაულიც კი საკმარისი იყო, რომ კლასის გარეთ აღმოჩენილიყვნენ. მაგრამ, როცა დევიდ თომასი კლასს ხმამაღლა უკითხავდა რაიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს, მოსწავლეები მოჯადოებულნი უსმენდნენ. მას მშვენიერი, მელოდირი ხმა ჰქონია. ინგლისური ლიტერატურაც ისე საფუძვლიანად სცოდნია, რომ სიცოცხლის სული შეჰქონდა თითოეულ ლექსსა და მოთხრობაში. სწორედ მან ჩაუნერგა პატარა დილანს ინგლისური ლიტერატურისადმი უსაზღვრო სიყვარული. დილანის დედა იგონებდა:

„მაშინ დილანი ძალზე პატარა იყო. ხშირად ვეტყობდი ხოლმე დევიდს: ოთხი წლის ბავშვს შექსპირს ნუ უკითხავ-მეთქი. შექსპირსაც ისევე გაიგებს, როგორც რომელიმე სხვა ნაწარმოებსო, — მიპასუხებდა.

ასე რომ, დილანი შექსპირზე აღიზარდა“.

დედისაგან დილან თომასს განოპყეა ღვთის სიყვარული, სიხალისე, სიფაქიზე და კეთილშობილება.

პოეტის ხასიათზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მისმა ჯანმრთელობამ. ბავშვს სუსტი ფილტვები ჰქონდა და თვეობით იყო ლოგინზე მიჯაჭვული, ბევრს ოცნებობდა, წერდა და კითხულობდა. 7-8 წლის იქნებოდა დ. თომასი, როცა ლექსების წერა დაიწყო და ამ დღიდან ინგლისური ლიტერატურის შესწავლა და პოეტური ხელოვნების დაუფლება მის ერთადერთ მიზნად იქცა.

14 წლის დ. თომასს უკვე შესწევს უნარი აღღო აუღოს მის თანამედროვე პოეზიის პრობლემებს, ჩაწედეს ამა თუ იმ მოდერნისტი პოეტის თავისებურებას და დაახასიათოს თითოეული მათგანი. მან შეისწავლა თანამედროვე პოეზიის მიზნები, მხატვრული ხერხები და პოეზიის რაობის თავისი საკუთარი კონცეფცია ჩამოაყალიბა. მისთვის თვითმიზნად იქცა ლექსის შინაგანი რიტმი, განსაკუთრებით, მისი შემოქმედების პირველ პერიოდში, როცა დ. თომასი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბგერას, ხმას, სიტყვის ელერადობას. აზრს, შინაარსს მისთვის მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

დ. თომასი გაბედულ ცდებს ატარებს სიტყვის ბგერით და შინაარსობლივ მხარეებზე. ამ პერიოდში მისი რიტმი თითქმის მონოტონურია — ხუთმარცვლიანი სტრიქონით დაწერილი. რითმა თითქმის სრულიად იგნორირებულია, აზრი კი სადღაც შორს, უკანა პლანზე ღვას. ასეთმა მიდგომამ, უდაოდ, განაპირობა დილან თომასის ლექსების ბუნდოვანება და ხშირად პოეტს უკან უბრუნებდნენ დასაბეჭდად გავზავნილ ლექსებს. ერთ-ერთ წერილში თომასი ჩივის:

„ის მწერს, შენი პოეზია მთლიანად ავტომატურისა და ექსტაზის დროს დაწერილი ლექსების შთაბეჭდილებას ტოვებსო.“

მაგრამ, ვფიქვავ, სცდება. ჩემი ლექსების, როგორც ის ამბობს, ლაღი მდინარება, სინამდვილეში, უსაზღვროდ მძიმე შრომის შედეგია. საათში ორ სტრიქონზე მეტს ვერა ვწერ. ასობით ლექსი დამიწერია და თითოეულისათვის ბევრი მტკივნეული, თავსატეხი და ტკბილი საათი მომინდომებია“.

თომასი თვით გრძნობდა რაოდენ ბუნდოვანი და გაუგებარი იყო ზოგიერთი მისი ლექსი და წუხდა კიდევ:



სტრიქონზე

„დღითიდღე უფრო და უფრო ბუნდოვანი ვხდები. ფიზიკურ ტკივილს მძინუნებს ლექსების წერა. ვგრძნობ, რომ მთელი კუნთები მეძაბება, როცა ვცდილობ ამოვათრიო ჩემი თავი სიტყვათა მორევიდან, რომელიც ჩემს უცვლელ შეხედულებას — სიცოცხლეზე უფრო ძლიერი სიკვდილის აზრს — გამოხატავს. ზოგიერთი სიტყვა ხსნის, თუ როგორ ჩანს მიცვალებულთა ვარსკვლავთსისტემა, რომელიც უვავილის ძირის ორბიტაზე, ცის სასაფლაოზეა განლაგებული. მაგრამ, როცა სიტყვები მოდიან, მე მათ ისე საგულდაგულოდ ვარჩევ ცოცხალი ასოციაციებიდან, რომ ხელთ მხოლოდ სიკვდილი მრჩება. როცა ჩემს სტრიქონს ვხედავ ფურცელზე გაშიშვლებულს, სანსკრიტიკის ლექსით უშინაარსოს, მე ვყვირი ნამდვილი ფიზიკური ტკივილისაგან. მე ვერასოდეს გამიგებენ. გადავწყვიტე მხოლოდ მოთხრობები ვწერო.“

გუშინ ლექსის ექვს სტრიქონზე მიწის მუშასავით ვიშრომე. დავამთავრე, მაგრამ იმდენი ჯაფა გავწიე, რომ ბარბაროსული ბგერის გარდა აღარაფერი შემრჩა. მართალია, დავწერე „ჩემი სიკვდილი ვარდის ორბიტაზე“, მაგრამ დავინახე, რომ „სიკვდილი“ არ ნიშნავდა სიკვდილს, „ორბიტა“ — ორბიტას, და, რა თქმა უნდა, „ვარდი“ — ვარდს. „ზე“-ც კი რიტმის გულისთვისაა სტრიქონში შემოტანილი. ვიცი, რომ ყოველი სტრიქონი ათმაგადაა ინტენსირებული. ვგრძნობ, ეს ის სიტყვები არ არის, რომლებიც ჩემს ჩანაფიქრს გამოხატავენ. სიტყვები, რომელსაც ვიყენებ, მხოლოდ ნახევრად გადმოსცემენ ჩემს მიერ ნაგულისხმევ აზრს. ეს ძალზე ცუდია. მე მხოლოდ სიტყვათა ჭირვეული მომხმარებელი ვარ და არა პოეტი. ეს ჭეშმარიტებაა. არავითარი სიბრაღული საკუთარი თავისადმი! სიტყვათა მომხმარებელი ვარ და არა პოეტი! ეს საშინელი სიმართლეა!“.

ზემოთ მოყვანილი წერილიდან ცხადად ჩანს, რომ სიტყვის მუსიკალობას გამოდევნებამ პოეტი უკიდურესობამდე მიიყვანა, ჩანს, თუ რა სულიერ და ფიზიკურ ტკივილს აყენებდა დ. თომასს შეგრძნება იმისა, რომ ლექსის მუსიკამ სრულიად დაახშო მის მიერ ჩაფიქრებული აზრი.

1934 წელს დ. თომასმა „Sunday Referee“-ს პრიზი მიიღო. ამან საშუალება მისცა გამოქვეყნებინა თავისი ლექსების პირველი კრებული — „თვრამეტი ლექსი“, რომელმაც გინაცვიფრა მკითხველი საზოგადოება. აი რას წერდა ინგლისური პრესა დ. თომასზე:

„მისი ყოველი სტრიქონი იმდენად არის გაფლენილი სახეებით, ანტითეზისებითა და გაკვრით გამოთქმული აზრებით, რომ წარმოადგენს ლექსს ლექსში. სიტყვებს დ. თომასი ბოთლებივით ექცევა და ახალ მნიშვნელობას ასხამს შიგ“.

„დ. თომასმა გააოცა მკითხველები თავბრუდამხვევი სახეებითა და ზებუნებრივი მუსიკალობით“.

თანამედროვე მოდერნისტი პოეტი იდით სითუელი ქება-დიდებას ასხამდა დ. თომასის ლექსის ლაღ მდინარებას, სხვები მის პოეზიას სიურრეალიზმის გამოხატულებად თვლიდნენ.

ორი წლის შემდეგ, „ოცდახუთი ლექსის“ სახელწოდებით გამოვიდა დ. თომასის ლექსების მეორე კრებული. კრიტიკოსები, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ დ. თომასს, როგორც თანამედროვე უნიჭიერეს პოეტს, ამჯერად გულგრილად შეხედნენ მის ახალ კრებულს.

„Spectator“-ში დ. თომასზე შემდეგს წერდნენ:

„მან ვერ შეძლო მიედწია წარმატებისათვის, თავისი ლექსები გამომხატველ ფორმას ვერ დაუპოვრჩილა“. „Times Literary Supplement“-ის ანონიმური მიმომხილველი პირდაპირ აღიარებდა, დ. თომასის ლექსებს ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლოო და მკითხველს ურჩევდა თავი არ აეტკივებინა მათი კითხვით.

„New English Weekly“ დ. თომასის უსაზღვრო, ქაოტიურ რიტორიკაზე ლაპარაკობდა, რაც, როგორც წერილის ავტორს მიაჩნდა, „ნაყოფია მშფოთვარე, თითქმის უხეში ფანტაზიისა, რომელსაც ფორმა დაუქარგავს სოციალური წანამძღვრებისაგან განყენებული წარმოსახვის გამო“.

იმდენად ბუნდოვანია დ. თომასის პოეზია, რომ მისი ახსნა ხანდახან სრულიად შეუძლებელი ხდება. როგორ უნდა ჩავწვდეთ იმ პოეტის სულის სიღრმეს, რომელიც შემდეგს წერს:

„The Atlas-eater with a jaw for news,  
Bit out the mandrake with to-morrow's scream“<sup>1</sup>.



თავის მიმოხილვაში, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევდა დ. თომასის პოეზიას, იდით სითუელი შეეცადა ზემოხსენებული ლექსის რამდენიმე სტრიქონის სასტიკი ინტერპრეტაცია მოეცა. მაგრამ ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ დ. თომასის საყვედურს ვერც კი დასაძახებდა. ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება, თუ როგორ ხსნის თვით დ. თომასი ზემოხსენებული ლექსის ორი სტრიქონის აზრს:

„ქალბატონი იდით სითუელის ანალიზი სტრიქონებისა —

„The Atlas-eater with a jaw for news,  
Bit out the mandrake with to-morrow's scream“.

— წერს დილან თომასი, — ბუნდოვნად მეჩვენება. მისი სიტყვით ეს სტრიქონები ეხება „შეგრძნებათა და საშინელებათა მოყვარული თანამედროვე გამძაფრებული ცხოვრების გიჟურ სრბოლას“. ის მხედველობაში არ იღებს სიტყვასიტყვით მნიშვნელობას: რომ სამყაროს მშთანთქმელმა აჩრდილსებურმა არსებამ ჩაკბიჩა ხვალისდელი დღის საშინელებანი ჯენტლმენის წელიდან. „უბა ახალი ამბებისათვის“ — „ახალი ამბების უნოხვის ნათელ ვარიაციას“ წარმოადგენს და ნიშნავს, რომ ამ არსებამ უკვე იგემა საშინელება, რომელიც ჯერ არ მომხდარა, ან მას შეუძლია შეიგრძნოს ამ საშინელების მოახლოება, შეუძლია ჩასჩაროს ენა ჯერ არ მომხდარ ახალ ამბებში, შესწევს უნარი იგემოს შთამომავლობის უსაშინელესი ბოროტმოქმედება, სანამ ამ ბოროტების მარცვალი გაღვივდებოდეს, შეუძლია მიხვდეს ჩანასახის ბუზლუნს, სანამ გაიხსნებოდეს საშო, რომელიც ამ ჩანასახს ხვალისდელი დღისათვის ბადებს. რა არის ეს ქმნილება? — ეს ძალღია ფერიებს შორის (იგივე ასტრონომიული Canis Major, Cereberus — სიკვდილის სიმბოლო. — ლ. უ.). მითებშია ავი ძალღი, რომელიც დემონებს უღრენს, აფრთხობს აჩრდილებს და ქადოქრის მღვეარია. ეს ლექსი განსაკუთრებული თავგადასავლის განსაკუთრებული შემთხვევაა და არა საერთო ელიბტიკური უგულვებელყოფა „ამ საზარელი, შეშლილი, მსრბოლი ცხოვრებისა“.

კითხულაბ ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს, გინდა როგორმე ჩაწვდე მათ პოეტისეულ ინტერპრეტაციას, მაგრამ ხელთ საოცარი აბდაუბდა გრჩება. დილან თომასის პოეზიის გაგებას კიდევ უფრო ართულებს ის მდგომარეობა, რომ დ. თომასი იშვიათად ხმარობს სიტყვებს მათი პირდაპირ მნიშვნელობით — ის მათ პარაფრაზირებას ახდენს. ასე მაგალითად, „ატლასის მჭამელში“ — ის მსოფლიოს მშთანთქმელს გულისხმობს, ლექსში „უბა ახალი ამბებისათვის“ — ახალი ამბების შეცნობის განსაკუთრებულ ალღოს, „მანდრაგორაში“ — საშინელებას. თავისებურია დ. თომასის წარმოსახვაც. თუ ჩვენ საფლავზე ყვავილებს ვხედავთ, თომასი ხედავს მკვდარს, რომელიც ყვავილების პერისკოპით ცისკენ იმზირება.

კრიტიკოსთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ დილან თომასი სიმბოლისტია, მაგრამ რაც უფრო ვითარდება მისი პოეზია, მით უფრო იშვიათად იყენებს ის ამ სიმბოლოებს.

დ. თომასის შემოქმედება შორს დგას დიდი სოციალური პრობლემებისაგან, პოეტი მოგვითხრობს თავის უზრუნველ ბავშვობაზე, სექსუალურ ენერგიაზე, რელიგიასა და სიკვდილზე. ამ უკანასკნელზე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას. ეს გარემოება ერთგვარ ახსნას ბოულობს მის პირად ცხოვრებაში, როგორც პოეტის თანამედროვენი გადმოგვცემენ, დ. თომასს ეჭიშვები ახალგაზრდობაში სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ.

„მთელი სიცოცხლის მანძილზე საათი მისი ცხოვრების მწუხრის ზარს რეკდა“. ამით ხსნიან მისი ბიოგრაფები და კრიტიკოსები იმ ფაქტს, რომ დ. თომასს არ ჰქონდა აკადემიური განათლება, რასაც ძალზე მტკივნეულად განიცდიდა.

„დრო მოკლე იყო, მეტისმეტად მოკლე, რომ ესწავლა. ადამიანი, რომელიც მომავალ

<sup>1</sup> ატლასის მჭამელმა ახალი ამბების უბით ჩაკბიჩა მანდრაგორა ხვალისდელი დღის წამოკვივლებით.

კვირას უნდა ჩამოადრჩონ, ჩინურის სწავლას არ დაიწყებს. მთელი სიცოცხლის მანძილზე დ. თომასი სიკვდილმისჯილთა საკანში გრძნობდა თავს, რასაც მისი ლექსებიც მოწმობენ. მაგრამ სიკვდილი არც ისე მალე მოვიდა მასთან, როცა 36 წლისა შეიქნა, მწარედ ნანობდა თავის უსწავლელობას. წუხდა, რომ ვერ შეძლებდა სტრავინსკისთან ერთად დაეწერა ოპერის ლიბრეტო, შიშობდა, რომ ამოსწურა მთელი თავისი ლირიკული რესურსები და გერაურის შექმნას ვეღარ შეძლებდა — წერდა დ. თომასზე ფიცგიბონი.

თომასს არა ერთხელ უცდია დაესაბუთებინა თავისი მეთოდის წინააღმდეგობა სიურრეალისტური მიმდინარეობის მეთოდებთან, მაგრამ, სინამდვილეში, მკვლევრებმა მინერ პოეზიის შინაგანი უცვლელი სიურრეალიზმის ფილოსოფიასთან, რომლის საფუძველსაც ავსტრიელი ფსიქიატრის ფროიდის ფსიქოანალიზური მოძღვრება წარმოადგენს, მართალია, ფროიდის ფილოსოფია დილან თომასს საგანგებო შესწავლის საგნად არ გაუხდია, მაგრამ ფროიდის ცდამ, განესაზღვრა ადამიანის შინაგანი სამყაროს სტრუქტურა და დინამიკა, მნიშვნელოვანი გაელენა მოახდინა მასზე. ფროიდმა ადამიანის ფსიქიკა სრულიად მოსწყვიტა მატერიალურ პირობებს და დაუქვემდებარა განსაკუთრებულ, მარადიულ, შეუცნობელ, ირაციონალურ ძალებს, რომლებიც წემუცნების მიღმა არსებობენ.

ფროიდის აზრით ადამიანია მოქმედებას განაგებს არა გონება, არამედ ირაციონალური ძალა, — რაღაც ქვეცნობიერი.

თუმცე დილან თომასი მთლიანად არ იზიარებს ფროიდის ფსიქოანალიზის მეთოდს, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ არსებობს ქვეცნობიერი ირაციონალური სამყარო და ჭეშმარიტი პოეტის დანიშნულებაა ამ სამყაროდან ამოტივტივებული სახეები რაციონალური განწყობის საგნად აქციოს.

დილან თომასი ყოველთვის მომხრე იყო ეწერა ის, რაც ძნელი დასაწერია და ძნელად გასაგები; მოეცა წინააღმდეგობრივი, ილუზიული სახეები, ერთი სიტყვით, ორი რამ ეთქვა, პოეზია ექცია ერთსა და იმავე დროს გამაყრთიანებლად და განმაცალკევებლად, პროზაგანდა გაეწია „პიროვნული საათის მასაში და მასისათვის პიროვნულში“. მისი აზრით, ყოველივე ამისათვის უნდა მიეღწია სიტყვებზე მეშაობით. თომასს მიაჩნია, რომ „პოეზია მედიუმი და არა დალი“.

მიუხედავად იმისა, რომ დ. თომასს თავისებურად ესმოდა პოეზიის რაობის საკითხი, მას მაინც მიაჩნდა, რომ პოეზია ხალხის სამსახურში უნდა მდგარიყო, ესთეტიური სიამოვნება მიენიჭებინა მისთვის, ჩაეფიქრებინა და აეღლეუებინა მკითხველი. დილან თომასი ყოველთვის სასტიკად გამოდიოდა სისხლისღვრისა და ომების წინააღმდეგ. ის მზად იყო არამცთუ მონაწილეობა მიეღო მშვიდობისმოყვარეთა მოძრაობაში, არამედ თვით ჩადგომოდა სათავეში ამ მოძრაობას.

1936-37 წლებში ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ბევრი მისი მეგობარი წავიდა თავისუფლების მოყვარე ესპანელი ხალხის დასახმარებლად. მართალია, დ. თომასს არც უფიქრია მათი მაგალითისათვის მიებაძა, მაგრამ მთელი სულითა და გულით რესპუბლიკის მხარეზე იყო.

ბოლონეთზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის სამი დღით ადრე დ. თომასი შემოფოთებული წერდა მამამისს:

„საშინელი დღეები დაგვიდგა და ძალიან შეწუხებულები ვართ. რა შემადრწუნებელია არაფრისაგან — საკუთრებისა და მატერიალური დახმარების გარეშე ავგო სრული ბედნიერება და, სრულიად უდანაშაულო, შენივე ნაამაგარის უეცარი აფეთქებისა და მსხვრევის მოწამე გახდე“.

მიუხედავად იმისა, რომ თომასი ძალიან ცდილობდა შორს მდგარიყო პოლიტიკისაგან, მაინც გულდამშვიდებით ვერ ხედებოდა ომის საშინელებას.

ჯერ კიდევ 1939 წელს შეეცადა ომის მოწინააღმდეგე მწერალთა ერთგვარი სიმპოზიუმიც კი მოეწყო და ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მშვიდობისმოყვარეთა მოწოდებას.

1952 წელს გამოვიდა დ. თომასის „რჩეული ლექსები“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ამ წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისმა მხატვრული კითხვის ოსტატობამ. დ. თომასი ხშირად გამოდიოდა რადიოთი, კითხულობდა ძველი და თანამედროვე ინგლისური პოეზიის ნიმუშებს. იმდენად დიდი იყო მისი ხელოვნება, იმდენად შთაბეჭდილი და ამაღელვებელი ხმა ჰქონდა, რომ დიდი პოპულარობა მოიპოვა ინგლისში და საზოგადოე-

მაც უფრო მეტად დაინტერესდა საკუთრივ მისი პოეზიით. მასზე, როგორც მსახიობზე, მხატვრული კითხვის შეუღარებელ ოსტატზე, ბევრს წერდნენ პრესაში. ამერიკელი ჟურნალისტი კარლ ბექსონი ასე ახასიათებდა დილან-მსახიობს:

„როდესაც 1953 წელს ნიუ-იორკში გარდაიცვალა უელსელი პოეტი დილან თომასი, მსოფლიომ დაკარგა არა მხოლოდ დიდი მგოსანი, არამედ მხატვრული კითხვის შეუღარებელი ოსტატიც. მის მეღერ ხმას საოცრად ცოცხლად მიჭონდა მსმენელამდე ლირიკული და დრამატული პოეზია. დილან თომასმა აუდიტორიას მიანიჭა მომხიბლავი ახალი ემოცია, ენის შინაგანი თრთოლვის შეგრძნება. მოღულაციით მდიდარი მისი ხმა, თავისუფალიყო მხატვრული კითხვის ოსტატთათვის დამახასიათებელი ხელოვნურობისაგან. თითოეული ლექსი გადმოცემული იყო ორატორული ოსტატობით, გრძობათა ინტენსივობით, დაბეჭდილი სიტყვები მნიშვნელობათა ახალ განზომილებებში ცოცხლდებოდნენ“.

ცნობილი ინგლისელი მწერალი და კრიტიკოსი ჯ. ბ. პრისტლი მაღალ შეფასებას აძლევდა დ. თომასის შემოქმედებას, თუმც ისიც აღიარებდა მისი პოეზიის ბუნდოვანებას:

„ოცდაათიანი წლების მიწურულში, ჩვენი პერიოდის ზღვართან ელვითა და ქექა-ქუხილით მოვიდა უელსელი ჭაბუკი დ. თომასი, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისმა სიკვდილმა ამერიკაში მოგზაურობის დროს, როცა ის მხოლოდ 40 წელს იყო მიღწეული, უცნაურ და მომაჯადოებელ ფიგურად აქცია იგი მილიონობით ადამიანისათვის, რომელთაც მანამდე არასდროს უფიქრიათ არც პოეტებსა და არც პოეზიაზე. თითქოს საუცხოო ხმების წინდაუხედავი შმაგი ბარდი ბარბაციტ, ველური გამოხედვით მოვიდა ჩვენში მივიწყებული კელტური სამყაროდან, თითქოს ეს მათი პროტოტიპი იყო, ვინც დღევანდელმა ცხოვრებამ უარყო. მისი პირველად დანახვისას, ან, უფრო უკეთ, მისი მოსმენისას, გაგიტაცებდათ თომასისათვის დამახასიათებელი, განუმეორებელი, მშვიდი, ღრმა და ელფებით მდიდარი ხმა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს იყო სიმშაგის დროს შეთხზული პოეზია, — ემაყოფილების მომგვრელი, გულში ჩამწვდომი. მისი განსაკვიფრებელი სტრაქონები პასაჟებს შორის მიმოდიოდნენ. ის სრულიად არ ჰგავდა თავისი წინამორბედი „ძნელი“ პოეტების ვალერიანა და პაუნდის ენებებით გაედენტოლ ლექსებს. დ. თომასის ლექსები არა მხოლოდ ემოციის, არამედ სერიოზული პოეტის ინტენსიური შრომის შედეგია. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ მათი ვაგება არა მარტო ძნელია, არამედ, ხშირად შეუძლებელიც“.

დ. თომასის შემოქმედების თავისებურება თუ, ერთის მხრივ, მისი ღრმა პოეტური არსებიდან მომდინარეობდა, მეორეს მხრივ, ის ატარებდა იმ საზოგადოების მოღუშეებელ იარებს, რომლის სწრაფვამ ექსცენტრულობასაქენ დაღუპვამდე მიიყვანა ნიჭიერი პოეტი.

უცხოელი კრიტიკოსები წერენ, რომ დ. თომასი ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა, მუდმივ ხელმოკლეობას განიცდიდა და როგორც კი ფულს იშოვნოდა, ბარიდან ბარში გადადიოდა, სვამდა, სანამ სრულიად არ ჰკარგავდა გონებას. დ. თომასის ასეთ საქციელს სხვადასხვანაირად ხსნიან მისი თანამედროვენი. ერთნი ამბობენ, ამდენს იმიტომ სვამდა, რომ გაეოცებინა საზოგადოება, მისი ყურადღება მიეპყროთ; მეორენი თვლიდნენ, რომ ალკოჰოლურ სასმელებში ის უწყვეტ პოეტურ აღმაფრენასა და სამყაროს ახალ შეცნობას ხედავდა.

საზოგადოებამ რომ დიდი როლი ითამაშა დ. თომასის დაღუპვაში, აშკარად ჩანს თვით პოეტის სიტყვებიდან. შეკითხვაზე, თუ რატომ ლოთობდა ის ასე, მან უპასუხა: — „იმიტომ, რომ ჩემგან ამასაც მოელოან“. ცხადია, აქ სენსაციების მოყვარულთა ხელი ერია. ჟურნალ-გაზეთები აღფრთოვანებულ დითირამებებს უმღეროდნენ ლოთ გენიოსს და თომასიც იქამდე მივიდა, რომ იკვებნიდა, „მე ყველაზე ლოთი კაცი ვარ მსოფლიოშიო“. საზოგადოებასაც სწორედ ასეთი მოსწონდა ის — ექსცენტრულად ჩაცმული, ქუჭკიანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. თომასის „რჩეულ ლექსებს“ სენსაციური წარმატება ხვდა წილად. მხოლოდ მაშინ იგრძნო პოეტმა თავი ბედნიერად და ნიუ-იორკში მოგზაურობის დროს აღნიშნა თავისი დაბადების 39 წელი. წვეულება ავადმყოფობით დამთავრდა და, როცა დ. თომასი საავადმყოფოში წაიყვანეს, გამოიჩინა, რომ ტვინის მძიმე დაავადება, ენცეფალიტი, ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა განძრვავც კი აუკრძალეს, ის მაინც, მისდა საბედისწეროდ, გაიბარა ბარში. თომასი გარდაიცვალა იმავე ღამეს, 1953 წლის 9 ნოემბერს.

ლექსების გარდა, დ. თომასის კალამს ეკუთვნის პოლიეუდის ბევრი ფილმის კინოსცენარი, მათხრობათა რამდენიმე წიგნი: „მხატვრის პორტრეტი“, „დილაადრიან“, „ზღვის ხედი“, „თავგადასავლები ტყავით ვაჭრობის დროს“ და პიესა „მილქუდის ქვეშ“, რომელსაც

მაღალი შეფასება მისცა პროგრესულმა თანამედროვე ინგლისელმა კრიტიკოსმა და მწერალმა ჯეკ ლინდსეიმ თავის ცნობილ წიგნში „ოცდაათიანი წლების შემდეგ“.

„პიესაში, — წერს ლინდსეი, — დილან თომასმა მიაღწია იმის ყველაზე სრულყოფილ და კონკრეტულ გამოხატულებას, რაც მას ადამიანურ ოცნებად და დილემად მიაჩნდა“.

დილან თომასის შემოქმედება, ისევე, როგორც სხვა მოდერნისტ პოეტთა შემოქმედება, საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს. ჩვენმა მკითხველმა თვით უნდა განსაჯოს ამ შიმართულების მწერალთა მანკიერი და დადებითი მხარეები. მოდერნიზმი და მისი ნაწარმოებები სიურრეალიზმი, შემთხვევითი მოვლენა არ არის — ის არსებულმა ცხოვრებამ განაპირობებდა წარმოშვა. რადგან მოდერნიზმი და, კერძოდ, სიურრეალიზმი იყო ბურჟუაზიული ცივილიზაციის საფუძვლების უარყოფა, მან იმთავითვე მიიზიდა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობა, რომელთა შორის იყვნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი სახელგანთქმული მოღვაწეები, როგორცაა ფრედერიკო გარსია ლორკა, პაბლო ნერუდა, პაბლო პიკასო, რენე კლერი და მრავალი სხვა. ეს ახალგაზრდობა სიურრეალიზმისაგან მოელოდა აზრის თავისუფლებას, რაც მათი აზრით, განახლებას მოუტანდა არა მხოლოდ ხელოვნებასა და ლიტერატურას, არამედ არსებულ ცხოვრებას, პოლიტიკასა და მორალს.

თუმცა დილან თომასმა მეტად რთული შემოქმედებითი გზა განვლო, მისი უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებები პოეტმა მთლიანად მიუძღვნა რწმენისა და სიყვარულის იდეებს. ამდენად შესაძლებელია, რომ დასცლოდა, ისიც შეერთებოდა იმ პროგრესულ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა რიგებს, რომელთაც ხალხის უანგარო სამსახური დაისახეს მიზნად.



ეროვნული  
ბიბლიოფილთა

გამომცემლობის რედაქტორები:  
მანანა იორდანიშვილი, ბესიკ ხარანაული  
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე  
კორექტორები: ნორა თაყაძე, ლაურა კალანდაძე  
გამომწვეები ნთე მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 20/VIII-71 წ. ხელმოწერილი  
დასაბუქდად 5/III-72 წ. ქალ. ზომა 70×108<sup>1/16</sup>.  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,1 სააღრ.-სავამომც.  
თაბახი 18,51. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 802:

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი  
სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფ-  
მრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома  
Государственного комитета Совета Министров  
Грузинской ССР по печати.  
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.



საბჭოთა  
საბჭოთა

## ХОМЛИ № 7

Альманах иностранной литературы

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»  
Тбилиси, Марджанишвили, 5.

1972



2. 4/8



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆԱԿԱՆ

